

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია
ACADEMY OF PHILOSOPHICAL SCIENCES OF GEORGIA

ფილოსოფიური პირანი

პრეპული ოცდამესამე

ეძღვნება
ქართველ ფილოსოფოსებს
შალვა წერებულება და სერგი დანელიას

PHILOSOPHICAL INVESTIGATIONS
COLLECTED ARTICLES VOLUME TWENTY-THREE

*The volume is dedicated
to Georgian philosophers
Shalva Nutsubidze and sergi danelia*



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2019 Tbilisi

ISSN 1512-2468

UDC (უაკ) 1 (479.22)
(061.2) ფ. 562

„ფილოსოფიური ძიებანის“ ოცდამესამე კრებული ტრა-
დიციულად ძველი და ახალი თაობის ფილოსოფოსთა ნაშრო-
მებს მოიცავს და საქართველოში მიმდინარე ფილოსოფიური
კვლევა-ძიების ნათელ სურათს იძლევა.

მთავარი რედაქტორი:

ირაკლი კალანდია

რეცენზიული მუნიციპალიტეტი:

ანზორ ბრეგაძე

ირაკლი იმედაძე

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკა-
დემიკოსები

სარედაქციო კოლეგია

EDITORIAL BOARD

ასათიანი გურამი

Asatiani Guram

ბრეგაძე ანზორი

Berdzenishvili Amirian

ბერძენიშვილი ამირანი

Bregadze Anzori

ბურჯალიანი არსენ

Burjaliani Arsen

გახოკიძე რამაზი

Gakhokidze Ramaz

დოლიძე მამუკა

Dolidze Mamuka

იმედაძე ირაკლი

Kalandia Irakli {Ch. Editor}

კალანდია ირაკლი {მთ. რედაქტორი}

Ketsbaia Kakha

კვარაცხელია ნაპო

{Dep. Ch. Editor}

ფანჯიკიძე თეიმურაზ

Khasaia Zurab

ქეცბაია კახა

Kvaratskhelia Napo

{მთ. რედაქტორის მოადგილე}

Panjikidze Teimuraz

ხასაბაძე თეიმურაზ


ლიტ. რედაქტორი: ჯემალ შონია

LIlt. Editor – Djemal Shonia

გამომცემულობა „ენივერსალი“, 2019

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



Նշոած Համեսթյունօս - 80

რედაქტორის ნინასიჭყვაობა

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის საგამომცემლო ორგანოს „ფილოსოფიური ძიებანის“ ოცნებამესამე ტომი, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ, ეძღვნება გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსების – აკადემიკოს შალვა ნუცუბიძისა და პროფესორ სერგი დანელიას ნათელ ხსოვნას, რომელთა საიუბილეო თარიღები (130 წ.) ღირსეულად აღინიშნა ცოტა ხნის წინ.

ცხადია, ამ მოკლე წინასიტყვაობაში შეუძლებელია თუნდაც ზედაპირულად და სქემატურად ჩამოითვალოს ის დამსახურება და ღვანლი, რაც შ. ნუცუბიძესა და ს. დანელიას მიუძღვით ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებაში. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მათ არა მარტო ღრმა კვალი დაამჩნიეს ფილოსფიური აზრის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში, არამედ თავიანთი გამოკვლევებით განსაზღვრეს კიდევაც ჩვენში ფილოსფიის განვითარების პერსპექტივები. საკმარისია აღინიშნოს, რომ შ. ნუცუბიძის უმთავრესი მიღწევაა ქართველოლოგის ახალი დარგის, ქართული ფილოსფიის ისტორიის ჩამოყალიბება ფუნდამენტურ თრატომეულში. ეს მეცნიერული სიახლე შ. ნუცუბიძის იმ უმნიშვნელოვანეს აღმოჩენას დაემყარა, რომლითაც ავტორმა ფარდა ახადა თხუთმეტსაუკუნოვან საიდუმლოს და დაასაბუთა, რომ ცნობილი არეოპაგიტულ წიგნთა კორპუსის ავტორია არა სხვა ვინმე, არამედ მეხუთე საუკუნის ქართველი მოღვაწე პეტერე იბერი; შ. ნუცუბიძემ ასევე დაასაბუთა, რომ სწორედ პეტრე იბერის შეხედულებები იყო ერთ-ერთი წყარო შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა, უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ კი არის აღმოსავლური რენესანსის მთავარი ნიშანსვეტი (პროფ. ვ. ქვაჩახია).

რაც შეეხება ს. დანელიას დამსახურებასა და როლს ქართული ფილოსფიის ისტორიის წინაშე, შეიძლება ითქვას, რომ იოანე პეტრინის შემდეგ ქართულ ფილოსფიურ აზროვ-

ნებას არ ჰყოლია მკვლევარი, რომელიც ასე მასშტაბურად იკვლევდეს ორიგინალში ბერძენ, ლათინურენოვან, ფრანგ, ინგლისელ, გერმანელ და რუს მოაზროვნეთა შრომებს (პროფ. გ. თევზაძე).

სწორედ შ. ნუცუბიძისა და ს. დანელიას და არაერთი სხვა მათი თანამოაზრის მიერ საქართველოში ფილოსოფიური პრობლემების კვლევის სფეროში დამკვიდრებული ტრადიციის რეალური გაგრძელება მიმდინარეობდა სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტში, სადაც ფილოსფიის თითქმის ყველა აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემის კვლევა ხორციელდებოდა თანამედროვე სტანდარტების დონეზე.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ღირებულებათა გადაფასების, ხშირად ქვეყანაში გამწვავებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, არასოდეს შეცვლილა ინსტიტუტის, მისი ძირითადი ბირთვის პოზიცია და კურსი, რომელიც ყოველთვის მიმართული იყო ჭეშმარიტების ძიებაზე, ჩვენში ჯანსაღი ზნეობრივი მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაზე. ინსტიტუტის თანამშრომლებს არასოდეს მოუხრიათ ქედი ძლიერთა ამა ქვეყნისა წინაშე, გაბატონებული იდეოლოგია ვერ მოერია იმ პათოსს, ძირითად სულისკვეთებას, რომელიც ინსტიტუტში სუფევდა – თავისუფლების სიყვარულს, ჭეშმარიტების ძიებისათვის მუდმივად მზადყოფნას, ამიტომაც მთელი საპტოეტოს მასშტაბით ფილოსფიის ინსტიტუტი სამართლიანად ითვლებოდა ლიბერალური აზროვნების ერთ-ერთ გამორჩეულ ცენტრად, თავისუფალი აზროვნების ოაზისად.

ეს ტრადიცია გრძელდებოდა 2011 წლამდე, მანამ, სანამ ნეობოლშევიკურად მოაზროვნე ნაციონალური მოძრაობის მესვეურთა იდეოლოგებმა, ილიაუნის ხელმძღვანელობამ (რექტორი გიგი თევზაძე, ადმინისტრაციის ხელმძღვანე-

ლი სერგო რატიანი) ფაქტობრივად არ გააუქმა ფილოსოფიის ინსტიტუტი.

მიუხედავად იმისა, რომ ფილოსოფიის ისნტიტუტის თანამშრომლებმა სასამართლოს ყველა ინსტანციაში მოიგეს პროცესი და მათი მასობრივი განთავისუფლების გადაწყვეტილება უკანონოდ იქნა მიჩნეული, დღემდე ფილოსოფიის ინსტიტუტის აღდგენის საკითხი გადაუწყვეტელი რჩება. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების არც ერთი უმაღლესი ორგანო, მაღალჩინოსანი, ვინც დაინტერესებული უნდა იყოს საქართველოში მეცნიერების განვითარებით (ჩვენ მათ არაერთხელ მივმართეთ) არანაირ ყურადღებას არ იჩენს აღნიშნული საკითხისადმი. განსაკუთრებით სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ამ საკითხისადმი გულგრილი აღმოჩნდა სპეციალობით ფილოსოფოსი, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი გ. მარგველაშვილი. არადა, მას კარგად მოეხსენება, რომ ფილოსოფიის ინსტიტუტის გაუქმება არ არის მხოლოდ ერთი რომელიდაც კონკრეტული დაწესებულების გაუქმება, არამედ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რუდუნებით და თავდადებით ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული ტრადიციის მოშლასა და განადგურებასთან, რომლის აღდგენა საეჭვოა საერთოდ მოხერხდება თუ არა გარკვეული წლების შემდეგაც.

ასეთი ვითარების მიუხედავად, საქართველოში ფილოსოფიის გადასარჩენად კვლავ ენთუზიაზმის საფუძველზე აგრძელებს საქმიანობას საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია და მისი საგამომცემლო ორგანო „ფილოსოფიური ძიებანი“, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო და არის ჩვენში ფილოსოფიურ ძალთა კონსოლიდაცია და ამ გზით საქართველოში ფილოსოფიური პრობლემების კვლევის სფეროში წინა თაობების ფილოსოფოსთა მიერ ჩამოყალიბებული ტრადიციების გაგრძელება.

„ფილოსოფიური ძიებანი“ ტრადიციულად უთმობს გვერდებს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა ნაშრომებს და ამით ცდილობს გზა გაუხსნას მათ მეცნიერებისა-

კენ. მკითხველი შეამჩნევს, რომ ჩვენს ახალგაზრდებში გარკვეული დონის ინტელექტუალური რესურსი არსებობს, რაც გვაძლევს საფუძველს, რომ დაბეჯითებით ვთქვათ შემდეგი: საქართველოში ფილოსოფიური პრობლემების კვლევა გრძელდება თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად და ამით ჩვენში ფილოსოფია მომავალშიც იქნება ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტი. ამისთვის აუცილებელია თითეულმა ჩვენგანმა სათანადო ყურადღება დავუთმოთ და სილრმისეულად ვიკვლიოთ თეორიული ფილოსოფიის კარდინალური პრობლემები, რაც, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ უარი ვთქვათ თანამედროვეობის აქტუალური და მნვავე საკითხების კვლევაზე.

ირაკლი კალანდია
2019 წლის 29 იანვარი

ნაცილი პირველი

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა
აკადემიის ცნობარი

2018

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები

1. ასათიანი გურამ
2. ბალანჩივაძე რევაზ
3. ბერძენიშვილი ამირან
4. ბრეგაძე ანზორ
5. ბურჯალიანი არსენ
6. გახოკიძე რამაზ
7. გოლეთიანი რობერტ
8. დოლიძე მამუკა
9. იმედაძე ირაკლი
10. კალანდია ირაკლი
11. კვარაცხელია ნაპო
12. მთიბელაშვილი თეიმურაზ
13. სარჯველაძე ნოდარ
14. ფანჯიკიძე თეიმურაზ
15. ფაჩულია თეიმურაზ
16. ფორჩიხიძე ბადრი
17. ქეცბაია კახა
18. ჩანტლაძე რაულ
19. ხასაია ზურაბ

საქართველოს ფილოსოფიურ მაცნეორეპათა აკადემიის პრეზიდენტი

1. პრეზიდენტი – **ირაკლი კალანდია**
2. ვიცე-პრეზიდენტი – **არსენ ბურჯალიანი**
3. აკადემიკოსი-მდივანი – **კახა ქეცბაია**
4. ონგრედობის, გნოსეოლოგისა და ლოგიკის განყოფი-
ლების აკადემიკოსი-მდივანი – **ნაპო კვარაცხელია**
5. მეცნიერების ფილოსოფიის განყოფილების აკადემიკო-
სი-მდივანი – **რამაზ გახოვიძე**
6. პოლიტიკური ფილოსოფიის განყოფილების აკადემიკო-
სი-მდივანი – **გურამ ასათიანი**
7. ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილების აკადე-
მიკოსი-მდივანი – **ანზორ ბრეგაძე**
8. ეთიკისა და ესთეტიკის განყოფილების აკადემიკოსი-
მდივანი – **მამუკა დოლიძე**
9. რელიგიის ფილოსოფიისა და რელიგიათმცოდნეობის
განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი – **თეიმურაზ ფან-
ჯიკიძე**
10. სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყო-
ფილების აკადემიკოსი-მდივანი – **ამირან ბერძენიშვი-
ლი**
11. უცხოეთისა და ქართული ფილოსოფიის ისტორიის გან-
ყოფილების აკადემიკოსი-მდივანი – **ზურაბ ხასაია**
12. კულტურის ფილოსოფიის განყოფილების აკადემიკოს-
მდივანი – **თეიმურაზ მთიბელაშვილი**

FIRST PART

**REFERENCE BOOK
OF THE ACADEMY OF PHILOSOPHICAL
SCIENCES OF GEORGIA**

2018

ACADEMICIANS OF THE ACADEMY OF PHILOSOPHICAL SCIENCES OF GEORGIA

1. ASATIANI GURAM
2. BALANCHIVADZE REVAZ
3. BERDZENISHVILI AMIRAN
4. BREGADZE ANZOR
5. BURJALIANI ARSEN
6. CHANTLADZE RAUL
7. GAKHOKIDZE RAMAZ
8. GOLETIANI ROBERT
9. DOLIDZE MAMUKA
10. FORCHKHIDZE BADRI
11. IMEDADZE IRAKLI
12. KALANDIA IRAKLI
13. KVARATSKHELIA NAPO
14. KETSBAIA KAKHA
15. KHASAIA ZURAB
16. MTIBELASHVILI TEIMURAZ
17. SARJVELADZE NODAR
18. PANJIKIDZE TEIMURAZ
19. PACHULIA TEIMURAZ

PRESIDIUM OF THE ACADEMY OF PHILOSOPHICAL SCIENCES OF GEORGIA

1. **PRESIDENT – KALANDIA IRAKLI**
2. **VICE– PRESIDENT – BURJALIANI ARSEN**
3. **ACADEMICIAN SECRETARY – KETSBAIA KAKHA**
4. **ACADEMICIAN SECRETARY OF THE DEPARTMENT
OF ONTOLOGY, GNOSEOLOGY AND LOGIC –
KVARATSKHELIA NAPO**
5. **ACADEMICIAN SECRETARY OF THE DEPARTMENT
OF PHILOSOPHY OF SCIENCE – GAKHOKIDZE RAMAZ**
6. **ACADEMICIAN SECRETARY OF THE DEPARTMENT
OF SOCIAL AND POLITICAL PHILOSOPHY –
ASATIANI GURAM**
7. **ACADEMICIAN SECRETARY OF DEPARTMENT OF
PHILOSPHYCAL ANTHROPOLOGY – BREGADZE
ANZOR**
8. **ACADEMICIAN SECRETARY OF THE DEPARTMENT
ETHICS AND OF AESTHETIC – DOLIDZE MAMUKA**
9. **ACADEMIC SECRETARY OF THE DEPARTMENT OF
PHILOSOPHY OF RELIGION AND THE STUDY OF
RELIGION – PANJIKIDZE TEIMURAZ**
10. **ACADEMIC SECRETARY OF THE DEPARTMENT OF
SOCIOLGY AND SOCIAL PSYCHOLOGY –
BERDZENISHVILI AMIRAN**
11. **ACADEMICIAN SECRETARY OF THE DEPARTMENT
OF FOREIGN AND GEORGIAN PHILOSOPHY –
KHASAIA ZURAB**
12. **ACADEMICIAN SECRETARY OF THE DEPARTMENT
OF PHILOSOPHY OF CULTURE – TEIMURAZ
MTIBELASHVILI**

ნაცილი მარჩა

ფილოსოფიური პირანი

SECOND PART

PHILOSOPHICAL INVESTIGATIONS

ონთოლოგია

ONTOLOGY

ნაპო კვარაცხელია – ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი-მდივანი. მუშაობს თეორიული ფილოსოფიის (ონტოლოგია, გნოსეოლოგია), ადამიანის ყოფიერებისა და მსოფლმხედველობის საზრისას პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ სფეროებში. ეწევა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას.

ფილოსოფიური აზროვნების რაციონალობა

ფილოსოფია ადამიანური გონების ქმნილება და ჩვენი აზროვნების პროდუქტია. ამიტომ „ფილოსოფიური“ ეწოდება სწორედ ისეთ აზროვნებას, სადაც გონებისათვის არ არსებობს სხვა ავტორიტეტი, გარდა საკუთარი თავისა. იგი გონების აპსოლუტურ ავტონომიას ემყარება და იგი სწორედ ამ სახით წარმოიშვა ძველ საბერძნეთში როგორც საგანთა აზროვნებითი განხილვა, სამყაროს რაციონალური გააზრების თუ მოაზრების მცდელობა.

ფილოსოფიური რაციონალობის ეს ბუნება ზღვრული სიცხადით არის გამოთქმული დეკარტეს საყოველთაო ეჭვის მეთოდოლოგიურ მოთხოვნასა და მის საფუძველზე მოპოვებულ Cogito-ს პრინციპში, ფიხტეს „ცნობიერების ერთიანობის დებულებასა“ და „ყოველგვარი გამოცხადების კრიტიკაში“. მხოლოდ ის შეიძლება იყოს ნამდვილი და ჭეშმარიტი, რაც ჩვენი აზროვნების ბუნებრივი სიცხადითა და სინათლით არის მიღებული და დადასტურებული. სწორედ ამგვარი ევიდენტობა ქმნის ჩვენი ცოდნის უეჭველობის გარანტიას, განსხვავებას მის ყოფიერების წინამეცნიერულ და მითორელიგიური ხედვისაგან.

ფილოსოფიური რაციონალობა ეფუძნება არა შთაგონებას და ზეშთაგონებას, არა გამოცხადებას, არამედ ჩვენი გო-

ნების თვითაქტივობასა და კრიტიკულ აზროვნებას. მან არა-ფერი არ უნდა დაუშვას დოგმატურად: ფილოსოფია რაიმეს „არდაშვების“ პრინციპის განუხრელ გატარებას გულის-ხმობს. უწანამძღვრობის პრინციპი მისი ძირითადი მეთოდური პრინციპია. ფილოსოფია არის უწანამძღვრო და უსასრულო აზროვნება უსასრულო საგნის შესახებ. აქ არც ერთ ცნებას თავის თავში დასრულებული და ცალსახად განსაზღვრული მნიშვნელობა არ გააჩნია: ისინი, როგორც პალიტრაზე ფერები, ერთმანეთს ფარავენ და ერთმანეთში გადადიან. ჰეგელმა მას ცნების კონკრეტულობა უწოდა და ცნების ეს თავისებურება ოსტატურად გამოიყენა თავის დიალექტიკაში.

ფილოსოფია რაციონალური და კრიტიკული აზროვნებაა, რაც გაკვირვების და სკეფსისის მუდამ მაღალი ძაბვის ქვეშ ყოფნას ნიშნავს. და როცა ის ტოვებს რაციონალობის საზღვრებსა და გაკვირვების პათოსს, არსებითად წყვეტს არსებობას, დოგმატურ თვლემაში გადადის და ფანტასმაგორიად იქცევა. აქ გონიერა ნამდვილობის ერთადერთი საზომი და მაჩვენებელი. ჰეგელის მტკიცებით „მხოლოდ ისაა ნამდვილი, რაც გონიერია, და მხოლოდ ისაა გონიერი, რაც ნამდვილია.“ ამიტომ, ვინც გონივრულად შეხედავს სამყაროს, მას სამყაროც გონივრულად შემოხედავს. არ მოიძებნება ხდომილება თუ მოვლენა, რომელსაც თავისი რეალური მიზეზი ან ლოგიკური საფუძველი არ გააჩნდეს ამ მთლიანობაში. სამყაროს გონივრულობა და რაციონალური ბუნება სწორედ ამას ნიშნავს. ღრმა მეტაფიზიკური აზრით, შემეცნება, აზროვნება ნიშნავს საგნის მოყვანას ჩვენს თვითცნობიერებასთან მიმართებაში, მთელი სინამდვილის გადაქცევას ცნობიერების ფაქტად. ლაიბნიცმა და ჰეგელმა თავიანთ მოძღვრებებში სწორედ ამ ვითარების იდეალური მოდელი აღწერეს. კაცთა მოდგმის გონიერივი განვითარების ისტორია ეს არის დოგმატური თვლემისაგან სულის თანდათანობითი გამოღვიძების პროცესი, მისი ამაღლება საგნობრივი აღქმიდან თვითცნობიერებამდე, რომელიც ასე ვირტუალუ-

რად წარმოადგინა ჰეგელმა თავის „გონის ფენომენოლოგია-ში.“

ფილოსოფია წინამორბედ არარაციონალურ აზროვნებასთან დაპირისპირებაში წარმოიშვა, რომელსაც სიმბოლურად „დელფოს სამისნო“ და „სოკრატეს დემონი“ გამოხატავენ. პირველი გამოცხადების ჭეშმარიტების სიმბოლოა, მეორე კი – შემეცნების ჭეშმარიტებისა. ისინი რაციონალურისა და არარაციონალურის, ცოდნისა და რჩმენის, შემეცნებისა და გამოცხადების, ათენისა და იერუსალიმის, აკადემიისა და ეკლესიის დაპირისპირებას გამოხატავენ. დელფოს სამისნოს მოწოდება „შეიცან თავი შენი!“ სოკრატემ ფილოსოფიური, რაციონალური აზროვნების პრინციპად აქცია. მისი „დემონი“ სხვა არაფერია, თუ არა მისივე გონების ხმა, იმანენტიზებული დელფოს მისანი. ორაკულის ადგილს გონება იყავებს, ბოდვისას – აზროვნება. პითია ბოდავს, სოკრატე აზროვნებს.

ფილოსოფია, როგორც სამყაროს სუბსტანციურ ერთიანობაზე რაციონალური აზროვნება, სწორედ ბერძნული წარმოშობისაა და არა აღმოსავლური. მისივე წიაღში ჩაისახა და აღმოცენდა კულტურის ის ფენომენი, რომელსაც მეცნიერებასა და ტექნიკას უწოდებენ.

მარტინ ჰაიდეგერის მტკიცებით, ფილოსოფია სწორედ როგორც „ფილოსოფია“ ბერძნული წარმოშობისაა როგორც შინაარსის, ისე დასახელების მიხედვით. იგი სამყაროზე საკუთრივ ბერძნული, რაციონალური აზროვნების წესის კუთვნილებაა. პირველად ბერძნებმა და მხოლოდ ბერძნებმა სცადეს სამყაროს ასეთი გააზრება, სინამდვილისადმი ამგვარი დამოკიდებულების დამყარება, რომელსაც მათსავე ენაზე „ფილოსოფია“ ეწოდა. სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავდა თავისუფლად მოაზროვნე ინდივიდის მიერ სინამდვილის მრავალფეროვან მოვლენათა ერთიანი საფუძლის მოაზრებისა და ამის შესაბამისად ცხოვრების წესს (2,

432). მაშასადამე, კითხვაზე „სად და როდის წარმოიშვა ფილოსოფია?“ პირდაპირ, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე უნდა ვუპასუხოთ, რომ იგი ანტიკური საბერძნეთის პირმშოა. ფილოსოფია როგორც სწორედ „ფილო-სოფია“, როგორც სამყაროს კოსმიურ მთლიანობაზე თეორიულ-რაციონალური და გონებაჭვრეტითი აზროვნება, ძველ საბერძნეთში წარმოიშვა და ჩამოყალიბდა. აქვე გამოეყო იგი მსოფლმხედველობის სხვა წინამორბედ ფორმებს. ამიტომ ფილოსოფია უნდა განვიხილოთ როგორც სამყაროს ერთიანი საფუძვლისა და საწყისის მოაზრების, საგანთა რაციონალურ-აზროვნებითი განხილვის საკუთრივ ბერძნული წესი. ამიტომ, ს. დანელიას აზრით, ბერძნული კულტურის თავისებურება არაფრით გამოიხატება ისე გარკვეულად და ღრმად, როგორც ფილოსოფიით. ფილოსოფია ამ კულტურის უმაღლესი ნაყოფია, და შეუძლებელია მისი საფუძვლიანი შესწავლა, თუ ბერძნული ფილოსოფიის განვითარება არ იქნება შესწავლილი (1, 41). ს. დანელია იქვე შენიშნავს, რომ რიპარდ ვაგნერი სხვა აზრისა იყოო: იგი ფიქრობდა, რომ ბერძნული კულტურის თავისებურება ყველაზე უფრო ნათლად ბერძნულ დრამაში მოჩანს, მაგრამ ეს ცალმხრივობაა.

მარტინ ჰაიდეგერის მტკიცებით, ძველი ბერძნული წესი სამყაროსადმი ადამიანის მიმართების გაგებისა და მისგან აღმოცენებული და მისით განსაზღვრული ევროპული კულტურა თავის საფუძველშივე „ფილოსოფიურია“. ამიტომ ხშირად გაგონილი აზრი „დასავლეთევროპული ფილოსოფიის“ შესახებ, აღნიშნავს ჰაიდეგერი, სინამდვილეში არის ტავტოლოგია (2, 434). და ეს იმიტომ, რომ ფილოსოფია თავის არსში არის ბერძნული, რაც იმას ნიშნავს, რომ ის თავდაპირველად ელინიზმს, და მხოლოდ მას, ეყრდნობა თავისი განვითარებისათვის. აანალიზებს რა სტრუქტურას კითხვისა – „რა არის ფილოსოფია?“ ჰაიდეგერი მიუთითებს: არა მხოლოდ ის, რა-საც ჩვენ განვიკითხავთ, ფილოსოფია, ბერძნულია თავისი

წარმოშობით, არამედ აგრეთვე წესიც, თუ როგორ ვიკით-სავთ. შეკითხვის წესი – რა არის ეს? (რა არის რაიმე?), რო-მელსაც დღესაც ვიყენებთ, არის ბერძნული. ჰაიდეგერი გვაფრთხილებს, კარგად მივაქციოთ ამას ყურადღება: რო-გორც საკითხის თემა „ფილოსოფია“, ისე აგრეთვე წესი, რომლითაც ვკითხულობთ „რა არის ეს?“ – ორივე თავისი წარმოშობის მიხედვით ბერძნულია (2, 435).

ფილოსოფია თავის არსში არის ბერძნული, ჰაიდეგე-რის განმარტებით, ნიშნავს: დასავლეთი და ევროპა, და მხო-ლოდ ისინი, თავიანთ უძირითადეს ისტორიულ მსვლელობა-ში არიან ძირეულად „ფილოსოფიურნი.“ აქ ჰაიდეგერი აშკა-რად იცავს ფილოსოფიის დასავლური წარმოშობის იდეას. სხვა ამბავია, დავეთანხმებით თუ არა ამ იდეას, მაგრამ ერ-თი რამ უსათუოდ უნდა აღინიშნოს: სწორედ ძველ საბერ-ძნეთში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ტრადიციისა და მას-ნავლებლის ავტორიტეტის ბრძანი ინერციისაგან თავისუფალი ინდივიდის მიერ სამყაროს მსოფლმხედველობრივი გააზრე-ბისა. აქ ინდივიდს თვითონ, საკუთარი გონების ძალით შეეძ-ლო მოეაზრებინა სამყაროს მსოფლმხედველობრივი სურა-თი, საგანთა პირველსაწყისი, რაც წარმოუდგენელი ჩანს ძველი აღმოსავლეთის იდეური და პოლიტიკური დესპოტიზ-მის პირობებში. სოციალურ-პოლიტიკურად ამას ადამიანთა თანაცხოვრების პოლისური წყობა და სტრუქტურაც უზ-რუნველყოფდა ძველ საბერძნეთში. აზროვნების თავისუფ-ლება კი ფილოსოფიის წარმოშობისა და განვითარების ყვე-ლაზე ელემენტარული და ამასთანავე აუცილებელი პირობაა (ს. დანელია). თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ, აღმოსავ-ლური სიბრძნის მთელი სილრმისა და სიდიადის მიუხედავად, მთლად ზუსტი და კორექტული არ უნდა იყოს „ვედური ჰიმ-ნების“ ან „უპანიშადების“ აღნიშვნა „ფილოსოფიის“ სახე-ლით. ამ უკანასკნელს ინდურ აზროვნებაში „დარშინა“ შეე-სატყვისება. საგულისხმოა, რომ სიტყვა „უპანიშადი“ სიტ-ყვა-სიტყვით მასწავლებლის ფერხთით ჯდომას, მოძღვარი-

სადმი ყურისგდებას და მისი დარიგების მოსმენას ნიშნავს, რაც გამორიცხავდა კრიტიკულ აზროვნებასა და კრიტიკულ დამოკიდებულებას. ამიტომ ცნობილი სენტენცია, რომელიც არისტოტელეს მიეწერება, – „მიყვარს პლატონი, მაგრამ უფრო მეტად – ჭეშმარიტება“ არ შეიძლებოდა აღმოსავლეთის სააზროვნო პირობებში წარმოშობილიყო. თანამედროვე ისტორიულ-ფილოსოფიურ მეცნიერებაში ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ძველი აღმოსავლეთის კულტუროსან ხალხებს უთუოდ გააჩნდათ ზოგად-სამყაროული პრობლემების გაცნობიერების მაღალი დონე და მათი რელიგიურ-მითოლოგიური გააზრების სოლიდური კულტურა. ამის უარყოფა დღეს, ცხადია, არავის შეუძლია. მაგრამ როცა ფილოსოფიის როგორც სინამდვილის თეორიული მოაზრების საკუთრივ ბერძნულ წესზე ვლაპარაკობთ, საქმე ეხება თავისუფლად მოაზროვნე პიროვნების მიერ სამყაროული პრობლემების განხილვის, მათი გააზრების განსაკუთრებულ მანერასა და მეთოდოლოგიას, აზროვნების სპეციფიკურ სტილს, რომელ-მაც მხოლოდ ელადაში მიიღო გამოკვეთილი, დამოუკიდებელი სახე და რომელსაც ძველბერძნულსავე ენაზე „ფილოსოფია“ და „ფილოსოფიური“ ეწოდა. ბერძნებისათვის უცხოიყო რელიგიური ფანატიზმი და ფუნდამენტალიზმი.

ფილოსოფია იწყება იქ და მაშინ, სადაც და როდესაც კითხვა დაისვა სამყაროს მრავალფეროვან მოვლენათა საერთო საწყისის, ერთიანი დასაბამის („არხეს“) შესახებ და ამ „ერთის“ ბუნების რაციონალური გააზრება პირველად იქნა ნაცადი თავისუფლად მოაზროვნე და იდეურად შეუზღუდავი ინდივიდის მიერ. რაც არის ყველაფრის ერთი სა-ერთო, ის უნდა იყოს კიდეც ყველაფრის დასაბამი და არხე – ასე დაუყენებია საკითხი პირველ ბერძნ ფილოსოფოსს თალეს მიღეთელს. საკითხის ასეთი დაყენებით მან უარი უთხრა სამყაროს მითო-რელიგიური გაგების პომეროს-ჰესიოდესუულ ტრადიციას და გზა გაუხსნა ფილოსოფიურ აზროვნებას. სწორედ ამიტომ ითვლება საწყისის პრობლემის პირველდამ-

ყენებელი თალესი ბერძნული ფილოსოფიური აზროვნების დამწყებად.

ჯერ პლატონმა, ხოლო შემდეგ არისტოტელემ სრული-ად გარკვევით და არაორაზროვნად მიუთითეს, რომ გაკვირვება არის ფილოსოფიის საწყისი, რომ ფილოსოფოსი ეს არის ადამიანი, რომელსაც აქვს გაკვირვებისა და განცვითობის უნარი. მაგრამ გაკვირვება არ არის ისეთი საწყისი, რომელიც ფილოსოფოსობის მხოლოდ დასაწყისში, მის თავში დგას და რაკი ფილოსოფიური აზროვნება დაიწყო, უკან მოიტოვა მან ეს გაკვირვება. არა, აქ, ცხადია, სულ სხვაგვარი საწყისი იგულისხმება, – სახელდობრ ისეთი საწყისი, რომელიც თავიდან ბოლომდე გასდევს და განმსჭვალავს ფილოსოფიასა და ფილოსოფოსობის მთელ პროცესს; გაკვირვება არ არის ფილოსოფიის უბრალო დასაწყისი იმ აზრით, რომ იგი თავში იყო და შემდეგ გაქრა. იგი მთლიანად ფლობს და განაგებს ფილოსოფიური აზროვნების მთელ პროცესს თავიდან ბოლომდე, ყოველთვის მართავს და წარმართავს მას, ბატონობს მასზე (ამაზე მიანიშნებს ბერძნული ზმნა „არხეინ“, რომლიდანაც წარმოსდგება „არხე“). არისტოტელე „მეტაფიზიკაში“ ამბობს: „ადამიანები როგორც თავდაპირველად, ისე ახლაც გაკვირვების შედეგად იწყებენ ფილოსოფოსობას“ (ჰაიდეგერი თარგმნის: „რადგან გაკვირვებაში (გაკვირვებით) აღწევდნენ ადამიანები როგორც ახლა, ისე თავდაპირველად გაბატონებულ გამოსვლას ფილოსოფოსობისას“ (2. 443). გაკვირვება როგორც პათოსი არის არსი ფილოსოფიისა; იგი განაგებს ფილოსოფიის ყოველ ნაბიჯს. ჰაიდეგერის აზრით, ბერძნული სიტყვა ჩვენ მისი სრული მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. ასე ეძახიან იმას, საიდანაც რაიმე გამოდის. მაგრამ ეს „საიდანაც“, -განმარტავს ჰაიდეგერი – გამოსვლის დროს კი არ ჩამოიტოვება, პირიქით, ხდება იმად, რასაც ზმნა წარმოთქვამს, ისეთად, რაც ბატონობს. ჰაიდეგერის მოსწრებული შენიშვნით „გაკვირვების პათოსი ისე უბრალოდ არა დგას ფილო-

სოფიის დასაწყისში, როგორც, მაგალითად, ოპერაციას წინ უსწრებს ქირურგის მიერ ხელების დაბანა. გაკვირვება ფლობს და განაგებს ფილოსოფიას“ (2. 433). ბერძნულ სიტყვას „პათოს“ ჰაიდეგერი თარგმნის და ჰერმენევტიკულად განმარტავს არა „ვნებით“, „გატაცებით“, „გრძნობათა აგზნებით“, არამედ განწყობილებით. ამიტომ ჰაიდეგერის თანახმად, გაკვირვება არის განწყობილება, რომლის ფარგლებშიც ბერძნ ფილოსოფოსებს შესაბამება ჰქონდათ მინდობილი არსებულთა ყოფიერებისადმი“ (2. 444). ამრიგად, თავდაპირველი ბერძნული გაგების მიხედვით, „ფილოსოფოსი“ არის ადამიანი, რომელიც გაკვირვების პათოსით არის შეპყრობილი, ყოველთვის ინარჩუნებს ამ პათოსს და მუდამ ამ გაკვირვების თუ გაოცების სტიქიაში მყოფობს.

მაგრამ რა არის ის „საკვირველი“ და „გასაოცარი“, რაც ფილოსოფოსს ანცვიფრებს და მუდამ გაკვირვებაში ამყოფებს? პირველად თალესმა დასვა კითხვა ყველაფრის საწყისისა და „არხეს“ შესახებ. „რა არის ყველაფერი?“ – თალესისთვის ნიშნავს: რა არის ის „ერთი“, რომელიც ყველაფერში მონაწილეობს, ყველაფერში საერთოა, რომლისაგანაც ყველა მოვლენა აღმოცენდება და წარმოიშვება? ცვალებად მოვლენათა სიმრავლეში არის თუ არა რაიმე მდგრადი და უცვლელი? სამყაროს მრავალსახოვან მოვლენათა თავბრუდამხვევი ცვალებადობა და ქმნადობა შეიცავს თუ არა რაიმე უცვლელ არსს? თალესისათვის სამყაროს ფილოსოფიური გაგება ნიშნავს სამყაროს მრავალფეროვანი საგნების ერთი და ერთიანი, ყველა მოვლენისათვის საერთო და იგივური ქვემდებარის, „არხეს“ პოვნას, ქმნადობაში -არსის წვდომასა და განჭვრეტას. სწორედ ამგვარ ხედვას დაერქვა შემდგომ „ფილოსოფია“. საკითხის ამგვარი დაყენებით თალესმა პირველად მიანიშნა ბერძნული და მასზე აღმოცენებული ევროპული აზროვნების ერთიან უნივერსალურ მოდელზე – სამყაროს ფილოსოფიური შემეცნების, მისი გააზრების თავისებურებაზე, რის გამოც იგი სამართლიანად ითვლება ევრო-

პული ფილოსოფიურ-რაციონალური აზროვნების დამწყებად, ფილოსოფიური აზროვნების უნივერსალური მოდელის პირველ გამომგონებლად და აღმომჩენად. თალესი პირველი მოაზროვნეა, რომელმაც სიმრავლეში „ერთის“ დანახვა, ბევრში ერთის განჭვრეტა და მისი რაციონალური გააზრება მიიჩნია სამყაროს ფილოსოფიურ შემეცნებად. ამიტომ იგი, ამასთანავე, პირველი ბერძენი ფილოსოფოსია. სხვა ამბავია, რამდენად სწორია მრავალში ერთის განჭვრეტის, მრავლის ერთზე დაყვანის თუ ერთიდან გამოყვანის მიჩნევა სამყაროს ფილოსოფიურ შემეცნებად, მისი არსების გაგებად. მთავარი აქ ის არის, რომ შემეცნების ეს უნივერსალური მოდელი თუ პარადიგმა ძევს ევროპული ფილოსოფიური და მისით განსაზღვრული საერთოდ მეცნიერული აზროვნების საფუძველში. იგი განსაზღვრავს შემეცნების ყველა სხვა მსოფლმხედველობრივ მოდელს, შემეცნების ყველა იმ გაგებას, რომელიც შემეცნების თეორიული აზროვნების ისტორიაში გვხვდება. სწორედ აღნიშნული მოდელი განაპირობებს ფილოსოფიური შემეცნების როგორც სამყაროს რაციონალური გააზრების თავისებურებას, მის არსებას. „ფილოსოფიური გაგება ის არის, – წერს ჰეგელი – რომ ყველაფერი, რაც თავისთვის აღებული შეზღუდულად მოჩანს, თავის ფასსა და ღირებულებას იმით იძენს, რომ იგი მთელს ეკუთვნის და იდეის მომენტია“ (3. 436). რაც, შეეხება თავისთავად უაღრესად საინტერესო საკითხს იმის შესახებ, რომ სამყაროს ერთიანი საწყისის დადგენა ისტორიულად რატომ იქნა მიჩნეული მის შემეცნებად და გაგებად ამის სხვადასხვაგვარი ახსნა შეიძლება არსებობდეს: ლოგიკურ-გნოსეოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და ა.შ. მართლაც, აზრიანია ვიკითხოთ – ყველაფრის ერთიანი დასაბამის დადგენა, სიმრავლეში ერთისა და ზოგადის განჭვრეტა რატომ უნდა ჩაითვალოს საგანთა შემეცნებად? სამყაროს ერთიანობა ხომ პრობლემატურია და გარკვევას საჭიროებს! ვინ დაადგინა, რომ სამყაროს ერთი ძირი უნდა ჰქონდეს, რომ ყველაფერი

ამ ერთი ძირიდან წარმოსდგება? ან სამყაროს ერთიანი სუბსტანციის შემეცნება ნიშნავს თუ არა ყოველი ცალკეული მოვლენის ცოდნასა და გაგებას? არადა, სწორედ ასე დააყენეს საკითხი თალესმა და მისმა მომდევნო მოაზროვნებმა. მაგალითად, პლატონი საგანთა სიმრავლეში ზოგადი იდეის განჭვრეტას, მის მოგონებას მიიჩნევდა ჭეშმარიტ ცოდნად.

ეხება რა ამ საკითხს არისტოტელე „მეტაფიზიკის“ მე-12-ე წიგნში უმთავრესად ზოგადი ხასიათის შენიშვნებითა და პოეტური გამონათქვამებით შემოიფარგლება. მაგალითად, იგი ამბობს: „არსა არ სურს, რომ ცუდად იმართებოდეს“. და ამის დასადასტურებლად მოაქვს პომეროსის ცნობილი სიტყვები „ილიადადან“: „მრავალხელისუფლებიანობაში არ არის სიკეთე, დაე, ერთი ხელმწიფებდეს!“ საბოლოოდ არისტოტელე იმ აზრისაა, რომ უნდა არსებობდეს ერთი საწყისი, ყოველივეს ერთიანი მმართველი („არხეინ“), რომელიც როგორც მიზანი ტელეოლოგიურად კრავს საგანთა უსასრულო მრავალფეროვნებას ერთიან და განუყოფელ მთელად. რუსი მეცნიერი ა. ლოსევი კი საკითხის წმინდა სოციალურ ახსნას იძლევა. მისი აზრით, სამყაროსა და „კოსმოსს“ ბერძნები ადამიანთა პოლისური თანაცხოვრების მსგავსად და ანალოგიურად იაზრებენ.

ჩვენს წინაშე ხილული სინამდვილე წარმოსდგება როგორც განუწყვეტელი ცვალებადობის და მუდმივ ქმნადობაში მყოფი ცალკეულ მოვლენათა სიმრავლე, სრულიად განსხვავებულ მოვლენათა ერთობლიობა. მაგრამ ბერძნებმა მოაზროვნებმა კარგად შეამჩნიეს, რომ ეს სრულიად განსხვავებული, ხშირად ურთიერთსაპირისპირო მოვლენათა სიმრავლე, თუ მას გონიერის მეოხებით გავიაზრებთ, თავის არსებაში ერთია, ერთი არსების მქონეა, ერთარსია. „ყველაფერი არის ერთი და ერთი არის ყველაფერი“ – ეს არის სწორედ ის „საკვირველი“ და „გასაოცარი“, რაც ძველი ბერძნებისათვის სამყაროს ფილოსოფიური გააზრების დასაბამად იქცა.

მაგალითად, ჰერაკლიტეს მიხედვით, არამარტო განსხვავებულები არიან ერთიანობაში, არამედ ურთიერთდაპირისპირებულნიც, რომლებიც ერთიანი არიან და ერთიანობას ქმნიან. „ერთი და იგივეა ჰადესი და დიონისე“ ე.ი. სიკვდილი და სიცოცხლე.

მაგრამ უნდა ვიკითხოთ – რა „ერთზეა“ აქ ლაპარაკი. რა „ერთია“ ეს ერთი, როგორია მისი ბუნება? ცხადია, იგი არ არის ერთი სიმრავლის სხვა ერთებს შორის. ეს არის „ყველაფრის ერთი“ (ჰენ პანტა), ბევრის ერთი, სა-ერთო, ყოვლის ერთობა, ყველაფრის გამაერთიანებელი საყოველთაო ანუ საზოგადო „ერთი“; ეს არის ერთი როგორც უნიკალური და ერთად-ერთი, „მრავლის ერთი“, ყველა არსებულის არსებობის პრინციპი, საწყისი და მმართველი, გან-მდგომარე და აბსოლუტი, რომელსაც ყველა არსებული არსებობამდე მიჰყავს. არისტოტელე მას „არსებულს როგორც არსებულს“ უწოდებდა.

„ყველაფერი არის ერთი“ – სწორედ ამან გააკვირვა პირველი ბერძენი ფილოსოფოსები და ეს პრინციპი დაედო საფუძვლად დასავლური აზროვნების ყველა მსოფლმხედველობრივ მოდელს. ამ ერთის ბუნებას ეძებდა ყველა ფილოსოფოსი: პლატონი მას იდეას (სიკეთის იდეას) უწოდებს, არისტოტელე – არსებულს როგორც არსებულს ანუ „უსიას“, სპინოზა – სუბსტანციას, ჰეგელი – ცნებას (აბსოლუტის ცნებას), ჰაიდეგერი – ყოფიერთა ყოფიერებას ანუ არარას და ა.შ.

მრავალი არსებული თავის არსებაში არის ერთი, ერთარსი – აი, ეს გახდა ძველი ბერძნებისათვის გასაოცარი. ამის თაობაზე მოსწრებულად შენიშნა ჰაიდეგერმა: „მაგრამ ბერძნებსაც კი უნდა ეხსნათ და დაეცვათ ეს გაოცება ამ გასაოცარის სოფისტური განსჯის ჩარევისაგან, რომელსაც ყოველთვის იმნამსვე გასაგები ახსნა-განმარტება ბაზარზე გამოჰქონდა“ (2. 437).

„რისგანაც ყოველი საგანი წარმოიშობა მასვე უბრუნდება აუცილებლობის ძალით. ყველა ისინი ერთმანეთს სჯიან უსამართლობისათვის დროის წესის მიხედვით“. – ანაქსიმანდრეს ამ დებულების თანახმად, ცალკეულ, ინდივიდუალურ მოვლენათა არსებობა არანამდვილი, მოჩვენებითი, ეფემერული და ამდენად არასამართლიანი არსებობაა. ნამდვილობა მხოლოდ ერთს და ერთიანობას გააჩნია. ამიტომ ყოველთვის უნდა აღდგეს დარღვეული ერთიანობის ეს ნამდვილობა იმით, რომ ერთეული მოვლენები კვლავ თავის უსახო და განუსაზღვრელ საწყისში (აპეირონში) ჩაბრუნდნენ აუცილებლობის ძალით. სამყაროს სუბსტანციური პრინციპია ერთიანობა და არა განსხვავება. შემდეგ ჰეგელიც ადასტურებს: „თითქოს აბსოლუტი თავისი სათნოიანობის წყალობით ერთეულებს თავის თავისაგან გაუშვებს, რათა ისინი დატკბნენ თავიანთი თავით, თავიანთი ყოფიერებით, ხოლო იგივე თვითდატკბობა უკანვე აბრუნებს მათ აბსოლუტურ ერთიანობაში“ (3. 128).

როგორც ცნობილია, არსის ერთიანობის პრინციპი უფრო ცხადად ელიატური სკოლის ფილოსოფიურებმა ჩამოაყალიბეს დიადი ონტოლოგიური დებულების სახით – „არსი არის, არარსი არ არის“, რომელმაც შემდგომი განვითარება ჰპოვა ჰეგელის ფილოსოფიურ სისტემაში. „მხოლოდ ღმერთია ცნებისა და რეალობის ჭეშმარიტი თანხმობა; ყველა სასრული ნივთი კი თავისთავად არაჭეშმარიტია. მათ ცნებაც აქვთ და არსებობაც, მაგრამ ეს არსებობა მათ ცნებას არ შეესაბამება. ამიტომ ისინი უნდა დაიღუპონ, რითაც სწორედ მათი ცნებისა და არსებობის შეუსაბამობა მუღავნდება“ (3.91). ინდივიდის გადარჩენის ერთადერთი გზა მისი საყოველთაოსთან მიმართებაშია. ყოველ ცალკეულ მოვლენას (მათ შორის ადამიანურ ინდივიდსაც) თავის თავში ამ საყოველთაოს, სუბსტანციურისა და აბსოლუტის გამოხატვა ანიჭებს ნამდვილობას, ღირებულებასა და მნიშვნელობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, თბ. 1983;
2. ჰაიდეგერი მ., რა არის ფილოსოფია? „მიმომხილველი“, 6/9, თსუ, თბ., 1972;
3. ჰეგელიგ.ვ.ფ., ლოგიკის მეცნიერება, თბ. 1962.

Napo Kvaratskhelia – doctor of Philosophy, Professor. Academician-secretary of the Academy of Philosophical Sciences of Georgia. Studies problems of theoretical philosophy (ontology, gnosiology), He is the author of more than 100 scientific works in these spheres of science. Lectures on these problems.

RATIONALITY OF PHILOSOPHICAL THINKING

ABSTRACT

It is shown in the article that philosophy is a product of human mind and is based on absolute autonomy of thinking. That is why it originated for the first time not in the East but in ancient Greece.

ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ონტოლოგიის, გნოსეოლოგიისა და ლოგიკის განყოფილებამ.

კახა ქეცბაია – ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი-მდივანი. მუშაობს თეორიული ფილოსოფიის (ონტოლოგია, გნოსეოლოგია), სოციოლოგიისა (თეორიული, დარგობრივი და მეტასოციოლოგია) და რელიგიის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ სფეროებში. ეწევა აქტიურ პედაგოგიურ და მთარგმნელობით საქმიანობას.

მონისტური პრინციპი, როგორც მნიშვნელობის საფუძველი

მონისტური კონცეფცია სამყაროს შესახებ მოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიაა. ამ შემთხვევაში მონიზმი წარმოსდგება როგორც ისეთი მსოფლმხედველობა, რომელიც სამყაროს ერთიანი საფუძვლის არსებობას ასაბუთებს. მის საფუძველზე შესაძლებელი ხდება სამყაროს საგნებისა და მოვლენების მრავალფეროვნების, მათი ინდივიდუალობის მიღმა სამყაროს ერთიანობის, მისი ერთიანი საწყისის დანახვა. სამყაროს მოწესრიგებულობა მის ერთიან საფუძველზე მეტყველებს. ადამიანებს შემეცნების პროცესში საგანთა და მოვლენათა სიმრავლე ეძლევა. ამ სიმრავლის საფუძველი, მისი ერთიანი საწყისი, ამხსნელი პრინციპი კი აღმოჩენასა და დასაბუთებას საჭიროებს. ამ პოზიციებიდან სამყაროსადმი მიღვომა კი მონიზმს წარმოადგენს. ამდენად მონიზმის პრინციპი ბუნების შემეცნების პროცესში მეთოდოლოგიურ როლს ასრულებს. ამ მეთოდოლოგიას ორი ასპექტი აქვს – ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური. ონტოლოგიური ასპექტის ქვეშ იგულისხმება სამყაროს საწყისის – სუბსტანციის, აბსოლუტის – პრობლემა. ამ შემთხვევაში ერთიანის იდეა გამოდის როგორც ყოფიერების კორელატი და აგრეთვე შემეცნების განმაპირობებელი. ამას ადასტურებს თუნდაც პლატონის „პარმენიდეში“

გამოთქმული თეზისი, რომლის მიხედვით, სიმრავლე მხოლოდ მაშინ შეიცნობა და თავის ნამდვილ არსს მოიპოვებს, როდესაც მის საფუძვლად აღებულია ერთი პრინციპი, ანუ მიმართებაშია ერთთან: „თუ ერთი არ არსებობს, მაშინ არაფერი არ შეიძლება რომ მოიაზრებოდეს...“ ერთის გარეშე სიმრავლის მოაზრება შეუძლებელია; თუ ერთი არ არსებობს, მაშინ მისი საპირისპიროც არ არსებობს...“ აქ მოცემულია სიმრავლის მონისტური ახსნა, რომელიც ამ შემთხვევაში მასის-ტემატიზირებელ როლს ასრულებს. რაც შეეხება გნოსეოლოგიურ ასპექტს, უდავოა, რომ ნებისმიერი მეცნიერული თეორია შეუძლებელია ერთიანი საფუძვლის, ერთი საფუძვლმდებარე პოსტულატის გარეშე, რაც გნოსეოლოგიის ამოსავალი პრინციპია. პლატონის მიხედვით კი ამოსავალია აბსოლუტი, რის გამოც მონიზმი იგივე აბსოლუტის ფილოსოფიაა.

ონტოლოგიური პლურალიზმის არათანამიმდევრულობის ერთ-ერთი გამოვლინებაა რელატივიზმი, რომელიც კლასიკური ონტოლოგიისათვის მიუღებელია. რელატივიზმი მონიზმის პრინციპს ეწინააღმდეგება, რის გამოც მისი გამოყენება ონტოლოგიური სისტემის აგებისას შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, აბსოლუტური რელატიურის საფუძველია. სამყაროს ეთიანობის საფუძველი აბსოლუტურია, ამიტომ საფუძველსმოკლებულია სამყაროს შესახებ პლურალისტური ონტოლოგიური წარმოდგენები. აბსოლუტურის უარყოფის შემთხვევაში მის ადგილს რელატიური დაიჭერს, ანუ რელატიური იქცევა აბსოლუტურად, რაც აბსოლუტურის ლოგიკურ აუცილებლობაზე მეტყველებს. ლოგიკურად რელატიური და აბსოლუტური ერთმანეთისაგან განუყრელია. აბსოლუტურს, როგორც არსს, პრივილეგირებული მდგომარეობა უჭირავს რელატიურის მიმართ. რელატიური ხომ ის არის, რაც სხვაზეა დამოკიდებული. რელატიური მოკლებულია დამოუკიდებლობას, იგი არსებობს მხოლოდ მიმართებაში. აბსოლუტური კი, პირიქით, არის უპირობო, დამოუკიდებელი არსი – სუბსტანცია – რის გამოც, საბოლოო ჯამში რელატიური აბსოლუტურზეა დამოკიდებული. რელატიურის უკმა-

რობას და აბსოლუტურის აუცილებლობას ადასტურებს შემეცნების პროცესი, რადაგანც შემეცნება შესაძლებელია მხოლოდ ერთნიშნიანობის პირობებში; წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება აზროვნება. ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს პლატონმა და არისტოტელემ სოფისტებისა და პერაკლიტეს რელიტივიზმის კრიტიკისას. არისტოტელემ ჩამოაყალიბა ე.წ. „წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი“, რომელიც თავის მნიშვნელობას საუკუნეების მანძილზე ინარჩუნებს. მის მიხედვით, ეს კანონი, როგორც აზროვნებისა და არსებობის კანონი, მიმართული იყო პერაკლიტეს წინააღმდეგ. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არისტოტელე მას „მეტაფიზიკაშიც“ (ონტოლოგია) გამოთქვამს და „ონგანონშიც“ (ლოგიკა), სადაც ის მას ლოგიკურ სახეს აძლევს. „მეტაფიზიკაში“ იგი ონტოლოგიური კანონია, „ორგანონში“ კი – ლოგიკური. მნელია გადააფასო ამ კანონის მნიშვნელობა აზროვნების ისტორიაში. „ერთი და იგივე ერთსა და იმავეს დროს და ერთსა და იმავე მიმართებაში არ შეიძლება კიდევაც ეკუთნოდეს და არც ეკუთნოდეს!...“ არისტოტელე ამ კანონის სახით უარყოფს მრავალნიშნობას ანუ პლურალიზმსა და რელატივიზმს. ამ კანონის ლოგიკურ-ონტოლოგიური ლირებულება იმაში მდგომარეობს, რომ დაცულ იქნას ერთნიშნობის ანუ მონიზმის პრინციპი, რაც აბსოლუტზე მითითებას ნიშნავს, რის გარეშეც ნამდვილი ონტოლოგიური სისტემა ვერ აიგება, ნამდვილის ქვეშ კი იგულისხმება ლოგიკურად თანამიმდევრული და მწყობრი სისტემა, რაც შესაძლებელია მონიზმის საფუძველზე. კლასიკური ონტოლოგიის საფუძველმდებელ ცნებას კი აბსოლუტის – სუბსტანციის ცნება წარმოადგენს, რომლისთვისაც პლურალიზმი მიუღებელია. კლასიკური ონტოლოგია არის მონისტური ანუ „აბსოლუტის ონტოლოგია“. „ისტორია არის მოწმე იმისა, რომ ღმერთის – აბსოლუტის – არსებობა არც ერთ დიდ მოაზროვნეს სერიოზული ეჭვის ქვეშ არ დაუყენებია... დიდი ფილოსოფიური დავა სრულიად არ ეხებოდა აბსოლუტის, უსასრულოს არსებო-

¹ არისტოტელე, მეტაფიზიკა, 1005. 40.

ბას, ასეთი რამის არსებობას ერთნაირი დარწმუნებულობით ამტკიცებდნენ პლატონი, არისტოტელე, პლოტინი, დეკარტი, სპინოზა, ლაიბნიცი, კანტი, ჰეგელი და უაიტჰედი²...” ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ კლასიკური ონტოლოგისათვის პლურალიზმი მიუღებელია, რის გამოც, კლასიკური ონტოლოგია სუბსტანციის ონტოლოგიას წარმოადგენს. კლასიკური ონტოლოგიური სისტემები განუხრელად იცავენ მონიზმის პრინციპს. მონისტური მსოფლმხედველობის გარეშე კი მეცნიერული შემეცნება ის იქნება, რაც ადამიანი ხერხემლის გარეშე. მონიზმი მიეყენება არა მხოლოდ უნივერსუმს, არამედ რეალობის სხვა სფეროებს, რაც ზოგადად მონიზმის სახესხვაობებს ქმნის. თუმცა ამჯერად ჩვენ ვეხებით მონიზმის პრინციპს, როგორც კლასიკური ონტოლოგიის ძირითად პრინციპს, რის საფუძველზეც ვასკვნით, რომ ნამდვილი ონტოლოგიური კონცეფცია შეუძლებელია მონიზმის პრინციპის გარეშე. კიდევ მეტიც, კვლევის პროცესში მონიზმი გვევლინება როგორც ონტოლოგიის საფუძველი. ამას ადასტურებს ჰეგელის მოძღვრება აბსოულტური არსის შესახებ.

კლასიკური ონტოლოგიის მწვერვალს ჰეგელის ფილოსოფია შეადგენს, კერძოდ, მისი მოძღვრება აბსოულტური არსის შესახებ, რომელიც ჰეგელის ონტოლოგიური კონცეფციის საფუძველთა საფუძველია. მის მიხედვით, საყმროს გააჩნია ერთი, სულიერი, იდეალური, საწყისი, რომელსაც ჰეგელი „მსოფლიო სულს“, „მსოფლიო გონებას“, ანუ უბრალოდ აბსოლუტს უწოდებს. იგი ვითარდება დიალექტიკის კანონების მიხედვით. ის არის სამყაროს უპირობო საფუძველი, სუბსტანცია, რომელიც თავისი პროგრესული მოძრაობა-განვითარებით, კატეგორიების მეშვეობით რომ ხორციელდება, საკუთარი თავიდან ქმნის საგნებისა და მოვლენების უსასრულო მრავალფეროვნებას. ჰეგელის ამოსავალი პრინციპია აბსოლუტური არსი, რაც მონიზმის პრინციპის

² ი.მ. ბოხენსკი, „აბსოლუტი“. ურნალი „რელიგია“. №9. 1992. გვ. 60.

რეალიზაციას წარმოადგენს. ჰეგელი მონისტი ფილოსოფოსია. მისი ონტოლოგია არის მეცნიერება აბსოლუტური არ-სის შესახებ და, მაშასადამე, იგი მონისტურ ხასიათს ატა-რებს. საწყისი, როგორც საწყისი, განსაზღვრავს ყველა-ფერს, იგი საყოველთაოა; ის არ შეიძლება იყოს სინამდვი-ლის რომელიმე ნაწილი და, შესაბამისად ამისა, მის შესახებ მეცნიერებაც არ შეიძლება იყოს კერძო მეცნიერება; ონტო-ლოგია არის ყველაზე უზოგადესი მეცნიერება.

ყოველივე ზემოაღნიშნული საშუალებას გვაძლევს და-ვასკვნათ: მონისტური პრინციპი არის კლასიკური ონტოლო-გიისა და საერთოდ ონტოლოგიის საფუძველი. ცხადია, არც მონისტურ ონტოლოგიაშია ყველაფერი რიგზე და ყველა პრობლემა მოგვარებული, მაგრამ პლურალისტურ ონტო-ლოგიასთან შედარებით იგი ლოგიკურად სწორი და თანამიმ-დევრულია; თანამიმდევრულობა კი ყოველი მეცნიერული სისტემის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. გარდა ამისა, მას დიდი როლი ენიჭება ჩვენს პრაქტიკულ ცხოვრებასა და საქ-მიანობაში, რამეთუ თანამიმდევრულობის დაცვის გარეშე ძალზე საეჭვოა რამე სფეროში წარმატების მიღწევა, მითუ-მეტეს, როდესაც საქმე ეხება სამყაროს ონტოლოგიურ ანა-ლიზს.

ლიტერატურა

1. ავალიანი ს. მეცნიერული ონტოლოგია. თბ., გამომც. „ფილოსოფიური ბიბლიოთეკა“, 1994;
2. ავალიანი ს. ყოფიერება, დრო და სივრცე. თბ., თსუ-ს გა-მომც., 1991;
3. ავალიანი ს. ფილოსოფიის დასაცავად. უურნალი „მაცნე“. ფილოსოფიის სერია. №1. თბ., გამომც. „მეცნიერება“, 1998
4. ავალიანი ს. მეცნიერული ონტოლოგიის ცნება. კრებული „ფილოსოფიური ძიებანი“. ტ. 1. თბ., გამომც. „კეგელი“, 1997

5. არისტოტელე. მეტაფიზიკა. თარგმანი ბერძნულიდან, კომენტარები და წინასიტყვაობა თამარ კუკავასი. თბ., გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1964;
6. ბოხენსკი ი.მ. აბსოლუტი. უურნალი „რელიგია“. №9. თბ., გამომც. „სამშობლო“, 1992;
7. ნიბლაძე ვ. სუბსტანციის ტრადიციული პრობლემა. კრებული „მარტინ ჰაიდეგერი“. თბ., თსუ-ს გამომც., 1991. რედ. გ. თევზაძე;
8. ქეცბაია კ. ონტოლოგიური პლურალიზმის არსი. კრებული „ფილოსოფიური ძიებანი“ ტ. 3. თბ., გამომც. „კეგლი“, 1999;
9. ქეცბაია კ. პლურალიზმისა და მონიზმის ურთიერთობის პრობლემა უ. ჯეიმზის ფილოსოფიაში. კრებული „ფილოსოფიური ძიებანი“, ტ. 4. თბ., გამომც. „მერანი“, 2000;
10. ციმინტია ა. უნივერსუმის ეინოლოგიური ახსნისათვის. კრებული „ფილოსოფიური ძიებანი“. ტ. 1. თბ., გამომც. „კეგლი“, 1997;
11. ჰარტმანი ნ. ონტოლოგიის ახალი გზები, თბ., გამომც. „მეცნიერება“, 1997;
12. ჰეგელი. ლოგიკის მეცნიერება. თბ., გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1962.

Kakha Ketsbaia – doctor of Philosophy, Professor. Academician-secretary of the Academy of Philosophical Sciences of Georgia. Studies problems of theoretical philosophy (ontology, gnosiology), sociology (theoretical, branch, meta-sociology) and philosophy of religion and theology. He is the author of more than 100 scientific works in these spheres of science. Lectures on these problems, translates scientific works into Georgian.

MONISTIC PRINCIPLE AS A FOUNDATION OF ONTOLOGY

ABSTRACT

The principle of monism is a foundation of classic ontology as well as of ontology in general. Of course, monistic ontology, too, has its problems and shortcomings, but in difference to pluralistic ontology it is logically well-founded and coherent; and coherence is one of the principle conditions for any scientific system. At the same time, it plays a serious role in our practical life and activities since it seems rather doubtful to achieve success in any sphere without keeping to coherence, especially if it comes to ontological analysis of the world.

**ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერება-
თა აკადემიის ონტოლოგიის, გნოსეოლოგიისა და ლოგი-
კის განყოფილებაზ.**

ფიქრია დიდებაშვილი – ფილოსოფიის დოქტორი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; მუშაობს სოციალური ფილოსოფიის პრობლემებზე; გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები ამ სფეროში. ეწევა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას

ადამიანი და თავისუფლება

ადამიანის ყველაზე დიდი სიმდიდრე მისი თავისუფლებაა: ეს უკანასკნელი გამოხატავს მის არსებას. თავისუფლება ადამიანის არსებობის წესში დევს. მაგრამ რა იგულისხმება ამ ცნებაში?

თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, უარყოფითი შინაარსით ითქმის. ადამიანიც თავისუფალია ამ სიტყვის ნეგატიური მნიშვნელობით, ესე იგი, რაიმესაგან დამოუკიდებლობის აზრით. ბუნებრივი დეტერმინაცია ადამიანზე მთელი სისრულით არ ვრცელდება.

ნათელია, რომ მხოლოდ ზემოთ დახასიათებული ნეგატიური თავისუფლება ქმნის ავტონომიურობის – თავის თავის განსაზღვრის შესაძლებლობას. ავტონომიურობა ნიშნავს არა მხოლოდ ნეგატიურ თავისუფლებას, არამედ პოზიტიურსაც, ანუ თავისუფალ ქმედებას, პროდუქტიულობას, შემოქმედებას.

თავისუფლება ნებელობითი ქცევის გამოხატულებაა. სწორედ ამიტომ ადამიანი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, აკეთებს არჩევანს და პასუხისმგებელიცაა. ამიტომ დადებითი მნიშვნელობით გაგებული თავისუფლება ნების თავისუფლებაა.

ადამიანის თავისუფლების პრობლემა ექსისტენციალურ-ანთროპოლოგიური პრობლემაა. ასეა, რადგან თავისუფლება ადამიანს ახასიათებს იმის მიუხედავად, თუ რა სა-

ზოგადოებაში ცხოვრობს. თავისუფლება ადამიანის ყოფიერების წესის სტრუქტურაში დევს. ადამიანი თავისუფალი არსებაა. მას თავისუფლების მოპოვება არ სჭირდება: იგი მას მუდამ აქვს, საკითხი ეხება მისი გამოვლენის შესაძლებლობას.

თავისუფლებისკენ მისწრაფება ადამიანის ბუნებაში იმთავითვე მოცემულია. თავისუფლება ის ძალაა, რაც არ „ასვენებს“ ადამიანს და საფუძვლად უდევს მის ქმნადობას. ადამიანის წინაშე მდგარი მარადიული მიზანი თვითსრულყოფაა. ყოველ მოაზროვნესა და, საერთოდ, ნორმალურ ადამიანს აუცილებლად აქვს გარეგანი შეზღუდვისაგან განთავისუფლების სურვილი. თავისუფლების ქონა ერთგვარი „უნარია“, რომელსაც აუცილებლად ესაჭიროება შინაარსით ავსება და გაღვივება.

სამართლის ფილოსოფიის შესავალში ჰეგელი განასხვავებს თვითნებობასა და თავისუფლებას. ჰეგელის მიხედვით „ყველაზე ჩვეულებრივი წარმოდგენა თავისუფლების შესახებ, არის წარმოდგენა თვითნებობის შესახებ... როცა ამბობენ, თითქოს თავისუფლება საერთოდ ისაა, როცა შეუძლიათ აკეთონ ის, რაც სურთ, ასეთი შეხედულება შეიძლება ჩაითვალოს გაუგებრობად. ამ დროს წარმოდგენა არა აქვთ იმის შესახებ, თუ რა არის თავისუფალი ნება, სამართალი, ზნეობრიობა და ა.შ.“ [9, 66]. იმავე საყვედურს გამოთქვამს ჰეგელი თავის ისტორიის ფილოსოფიაში, როცა..მარადიულ გაუგებრობას“ უწოდებს თვითნებობისა და წადილის გაიგივებას თავისუფლებასთან.

ვინც ამბობს, თითქოსდა სამართალი, ზოგადი კანონები, ზნეობრივი წარმები მის ნდომას ზღუდავენ, იგი, ჰეგელის აზრით, გულისხმობს თვითნებობის ნდომას, რომელიც წამდვილად იზღუდება ამით, და არა თავისუფლებას, რომლის რეალიზება მხოლოდ ამ ზოგადი შინაარსების ნდომის მეოხებით ხდება. ამიტომაც არის, რომ წარმოდგენა, თით-

ქოს ადამიანის თავისუფლება მხოლოდ იქამდე ვრცელდება, სანამ იგი სხვისი თავისუფლებით არ შეიზღუდება, სრულიად არ მიესადაგება თავისუფლების ნამდვილობას. ეს წარმოდგენაც იქიდან მომდინარეობს, თითქოსდა ცალკეული ადამიანის თავისუფლება თავისთავად უსასრულო იყოს და იგი ყველა შესაძლო შინაარსზე ვრცელდებოდეს. სინამდვილეში ჭეშმარიტი თავისუფლება თავს თვითონვე იზღუდავს, რადგან მისთვის სხვისი თავისუფლება რაღაც უცხო კი არაა, არამედ – თავისივე ნდომის შინაარსი. ის კი არ ზღუდავს ჩემს თავისუფლებას, არამედ, პირიქით, ამდიდრებს.

ამ თვალსაზრისით, ჰეგელმა თავის უფრო ადრეულ ნაშრომში გააკრიტიკა ფიხტეს პოზიცია, თითქოს ადამიანთა ერთობის შექმნა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ცალკეული უარს იტყვიან საკუთარ თავისუფლებაზე. ჰეგელი თვლის, რომ ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას, თუ თავისუფლებას გავიგებთ, როგორც „ლიტონ უარყოფითობას“, „აბსოლუტურ განუსაზღვრელობას“. მაგრამ თუ თავისუფლების პოზიტიურ მნიშვნელობას ვიგულისხმებთ, მაშინ „პიროვნების სხვებთან ერთობა განიხილება, არსებითად, არა როგორც ინდივიდის ჭეშმარიტი თავისუფლების შეზღუდვა, არამედ, პირიქით, გაფართოება“ [10; 454].

ამგვარად, ჭეშმარიტი თავისუფლება ნების ის განსაზღვრაა, რომლის მიხედვითაც მას ჭეშმარიტად და შეუზღუდავად სურს საყოველთაო თავისუფლება, ე. ი. თავისი საკუთრივი თავისუფლება სხვათა თავისუფლებებთან კავშირში. „მოკლედ რომ ვთქვათ: თავისუფლება აბსოლუტურად სხვა არათერია, თუ არა ის, რაც თავის თავს უზიარებს სხვებს.

ამით ისიც ნათელი ხდება, თუ რაში მდგომარეობს ჰეგელის ნების მეტაფიზიკა. იგი წარმოადგენს პირველ კონცეფციას, რომელშიც თავისუფლება გაიგება კომუნიკაციურ თავისუფლებად“ [4; 143]. ჰეგელი წერდა: „მე ჭეშმარიტად თავი-

სუფალი ვარ მხოლოდ მაშინ, როცა სხვაც თავისუფალია და ჩემს მიერ არის აღიარებული როგორც თავისუფალი“.

„ცალკეული პიროვნება მხოლოდ სახელმწიფოში ახორციელებს ნამდვილ თავისუფლებას, რადგან, ჰეგელის აზრით, სწორედ აქ მიიღწევა ობიექტური თავისუფლების, ე.ი. საყოველთაო ნებისა და ცალკეული პიროვნებების სუბიექტური თავისუფლების ერთიანობა“ [1; 102].

კანტის თანახმად, ადამიანი თავისუფალია. რამდენადაც შეუძლია დაუდგინოს თავის თავს ზნეობის კანონი. კანტის თეორიულ ფილოსოფიაში არ არსებობს თავისუფლების ცნება. ბუნებაში ბატონობს აუცილებლობა და ადამიანიც, როგორც მოვლენათა სამყაროს წევრი, მიზეზობრიობის კანონს ემორჩილება. მაგრამ უკვე ანტინომიების შესახებ მოძღვრებაში წამოყენებულია აზრი, რომ ბუნების კანონების მიზეზობრიობასთან ერთად არსებობს მიზეზობრიობა თავისუფლების საშუალებით. იქვე არის აღნიშნული, რომ ანტინომიის ეს ორივე სანინააღმდეგო დეტულება შესაძლებელია ჭეშმარიტი აღმოჩენდეს, ერთი – ბუნების, გრძნობადი სფეროს, ხოლო მეორე – ზეგრძნობადის მიმართ. თავისუფლება ზნეობრივი კანონის რეალური საფუძველია, ხოლო ზნეობრივი კანონი – თავისუფლების შემეცნების საფუძველი. ვინც აღიარა კატეგორიული იმპერატივი და მისი განხორციელების შესაძლებლობა, მან უნდა დაუშვას მისი განხორციელების შესაძლებლობის პირობა. ეს პირობა არის თავისუფლება.

ვისაც სწამს ზნეობრივი კანონის საყოველთაო ხასიათი, მან უნდა იწამოს იმ პირობების არსებობა, რომლებიც შესაძლებელს გახდის მის საყოველთაობას. ხოლო თუ ვინამე ამ პირობის არსებობა, ე.ი. თავისუფლება, მაშინ უნდა ვიწამო ზეგრძნობადი სამყაროს არსებობაც.

ამრიგად, ზეგრძნობადი სამყარო – თავისთავადი ნივთების სამყარო – რომელიც თეორიულ ფილოსოფიაში მხოლოდ პრობლემატური იყო, ახლა პრაქტიკული გონიერისათ-

ვის რეალობის ნიშანს მიიღებს. თავისუფლება არსებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ვიტყოდი: „მე შემიძლია, რადგან მე ვალდებული ვარ”. თავისუფლება არ არსებობს მოვლენათა სამყაროში, ის არის ზეგრძნობად სამყაროში. „ადამიანი ორ სამყაროს ეკუთვნის: როგორც მიზეზობრივად განსაზღვრული – გრძნობად სამყაროს, როგორც თავისუფალი – ზეგრძნობად, ინტელიგიბელურ სამყაროს“ [2, 460].

შინაგანი თავისუფლება ადამიანში მისი თავდაპირველი და ბუნებრივი ძალების მოთოკვას, ნებისყოფის ფაქტორის გამოყენებას, ბევრ მისწრაფებაზე უარის თქმას და ამით ადამიანურობისაკენ სვლას უკავშირდება. თავისუფლება მუდამ შინაგანია და საკუთარი თვითორგანიზებულობისა და თვითდისციპლინის გამომხატველია. ადამიანი თავისუფლებისათვის მზადაა იტანჯოს, იგი მოითხოვს ბრძოლას საკუთარ თავთან იმიტომ, რომ თავისუფლება ის უმაღლესი აქტია, რომელშიც ყველაზე სრულყოფილად მუდავნდება ადამიანური ყოფიერების საზრისი.

ფ. ნიცხეს შემოქმედებაში თავისუფლება არის, უპირველეს ყოვლისა, განთავისუფლება ადამიანში ადამიანურის მოძიებისათვის, იმანენტური შემოქმედებისათვის, პიროვნებად ქცევისათვის და არა მხოლოდ გამონთავისუფლება გარედან „თავს მოხვეული” მოვალეობებისაგან. რაც უფრო ძლიერი და ამტანი სულისაა ადამიანი, მით უფრო მძიმედ იტვირთება გარედან თავს მოხვეული მოვალეობებით. ესაა ინდივიდის ცხოვრება შინაგანი იმპულსების, შინაგანი აქტივობის გარეშე. ამიტომ ინდივიდის უმაღლესი განვითარების სახელით, უნდა გამონთავისუფლდეს ყოველი ადამიანი, რომელშიც ჯერ კიდევ ფეთქავს შემოქმედებითი იმპულსი.

შემოქმედება როდია ყველასათვის მისაწვდომი. ვინც ბრძოლით დაძლია მოვალეობა და თავი დააღნია გარეგანი ძალების ბატონობას, ის ჯერ კიდევ არაა თავისუფალი. თავისუფლება მიიღწევა მაშინ, როდესაც ადამიანი თვითონ და-

ადგენს ღირებულებებს. ასეთი ადამიანი „ზეკაცია“. მან საფუძველი უნდა დაუდოს ახალ ღირებულებებს, შექმნას ახალი, იმანენტური სამყარო. ეს კი ხდება საკუთარი ნება-სურვილის საფუძველზე. ზეკაცისთვის არ არსებობს სხვა არანაირი მოვალეობა, გარდა იმ ერთადერთი მოვალეობისა, რომელიც თავად მის მიერვე საკუთარი ნებით დადგენილი ვალდებულებაა. ნება თავისუფალია, როცა იცი თავისუფლად ემორჩილება თავის თავს და არ არსებობს მისი განსაზღვრულობის სხვა რაიმე მიზეზი.

ნიცშესთან თავისუფლება ნიშნავს, უპირველესად ტრანსცენდენტურისგან, ყოველივე მეტაფიზიკურისაგან განთავისუფლებას შემოქმედებისათვის და თვითსრულყოფისათვის. „ღმერთის სიკედილი“, როგორც ყოველგვარი გარე ინსტანციის გაუქმების და პიროვნებად ფორმირების შემზღვდველი პირობების დაძლევის საშუალება, არის ადამიანის თავისუფლების მეტაფიზიკური საფუძველი. ადამიანისათვის უმთავრესი უნდა იყოს არა ნეგატიური, არამედ პოზიტიური თავისუფლება, რომელიც ადამიანისაგან შემოქმედებას მოითხოვს. შემოქმედების ვალდებულება უმძიმესი ტვირთია და იგი მხოლოდ ზეკაცის ხვედრია. სწორედ ამ სიმძიმის გამოა თავისუფლება რჩეულთა ხვედრი.

ნიკოლაი ჰარტმანი თვლის, რომ ადამიანის თავისუფლება არ არის ერთმნიშვნელოვანი რამ. იგი ეთანხმება შელინგის მოსაზრებას: „თავისუფლება სიკეთის არჩევა კი არაა, არამედ ამორჩევა სიკეთის ან ბოროტების“ [7, 78]. თუ ნება მხოლოდ სიკეთისკენ იქნება მიმართული, იგი არ იქნება თავისუფალი. იყო თავისუფალი, ნიშნავს უნარს, აირჩიოს ის, რაც ნინასწარ არის განპირობებული ადამიანის სამყაროში ყოფიერების ხასიათით, ანუ მისი არსებობით არჩევანის სიტუაციაში. სიტუაცია მიანიშნებს ადამიანს, რომ მან უნდა იმოქმედოს, მაგრამ არ მიუთითებს თუ როგორ, სწორედ ამ აზრით განაწყობს იგი ადამიანს თავისუფალი ქცევისთვის.

ჰარტმანის აზრით, თავისუფლება ხდის ადამიანს არას-რულყოფილად. თუ ცხოველს საშიშროება გარედან მოელის, ადამიანს – შიგნიდან. ადამიანი განიცდის საშიშროებას გვერდი აუაროს ზნეობრივ კანონს, დაადგეს ბოროტების გზას და ამით ბოლო მოუღოს თავის არსებობას უმაღლესი არსების სახით. ჩვენი აზრით, ჰარტმანი გულისხმობს იმ შემთხვევას, როცა პიროვნება მზად არ აღმოჩნდება პასუხი აგოს თავისი არჩევანისთვის.

„კანტის მსგავსად, ჰარტმანიც განასხვავებს ნეგატიურ და პოზიტიურ თავისუფლებას (ანუ სპეციფიკური სახის დეტერმინაციას). კაუზალურად დეტერმინირებულ სამყაროში არ არსებობს ნეგატიური თავისუფლება, არ არსებობს განუსაზღვრელი ვითარება. თავისუფლების პრობლემა ჰარტმანს წარმოდგენილი აქვს დეტერმინიზმისა და ინდეტერმინიზმის ჭიდილის გარეშე. ბუნების კანონების მიხედვით დეტერმინაცია ხელს არ უშლის პოზიტიურ თავისუფლებას, რამდენადაც კაუზალური დეტერმინაცია არ არის ჰარტმანის მიერ გაგებული მონისტურად. ჰარტმანს ნების თავისუფლება არ მიაჩნია დეტერმინაციის „შემცირებად”, „შერბილებად”, პირიქით, ნების თავისუფლება, მისი აზრით, დეტერმინაციას აღემატება, მასზე მეტია. იგი კაუზალურს კი არ მოხსნის, არამედ თავისუფლების უფრო მაღალი დეტერმინაციით ავსებს მას“ [3; 51].

პიროვნების თავისუფლება არის პიროვნების მიერ განხორციელებული დეტერმინაცია. ჰარტმანი ფიქრობს, რომ მორალური თავისუფლება მხოლოდ გონის სფეროშია შესაძლებელი. პოზიტიური თავისუფლება სიკეთეს მიეწერება, ნეგატიური –ბოროტებას. თუ ადამიანის ნება მისდევს პრინციპს, რომელსაც მან თავისი თავი უნდა დაუქვემდებაროს, ისმის კითხვა: როგორ არის შესაძლებელი, რომ ამგვარი ნება თავისუფალი იყოს? ეს არის ჰარტმანის ერთერთი ცნობილი წინააღმდეგობა, რომელიც, მისი აზრით, ვერასოდეს გადა-

იჭრება. ნების თავისუფლებას ჰარტმანი განსაზღვრავს და-მოუკიდებლობად ნებისმიერი დეტერმინაციისაგან. დამოუკიდებლობის გარეშე ნების თავისუფლება გაუქმდებოდა.

ექსისტენციალიზმი თავისუფლებას მაღალ შეფასებას აძლევს. მისი წარმომადგენლები თავისუფლებას ისეთ მდგომარეობად ახასიათებენ, როდესაც ადამიანი არაფრისა-გან და არავისგან დამოკიდებული არაა გადაწყვეტილების მიღებასა და მის განხორციელებაში. თავისი თავის არჩევა, „თვითობის“ განხორციელება ხდება „ექსისტენციური განა-თებით“. ადამიანი თავისუფალია და თავისუფალი ყოფნა არის ჭეშმარიტი არსებობა.

კარლ იასპერსს ამბობს, რომ „ადამიანი თავის თავს ჰქმნის თავისივე თავისუფალი არჩევანით. ადამიანი არის გონი, იგი თვითმყოფია“ [11, 7], ყოფნის შეძლებაა, საკუთარი თავის განხორციელების ან დაკარგვისთვის მზადყოფნაა. „მე“, როგორც თავისუფალი ყოფიერება, არის საკუთარი „მე“-თი არსებობა. ეს..მე”, „მე თვითონ“ (Ich Selbst) არ არის ზოგადი, განსხვავებით „ცნობიერებისაგან საერთოდ“. ცნო-ბიერების საერთო დონეზე ყოველი „მე“ შეიძლება იყოს მე-ორე „მე“-ს წარმომადგენელი. ექსტენციის დონეზე ერთი „მე“ ვერ იქნება მეორის წარმომადგენელი, რადგან „თვით-ყოფნა“ ერთხელადია, განუმეორებელია, კონკრეტულია. ექ-სისტენცი შეუმეცნებადია, მაგრამ გააზრებადია და სწორედ ამ გააზრების უამს ხდება მისი განათება, ანუ მისი დანახვა საკუთარი ნიშნების მიხედვით – თავისუფლებით, საზღვრი-თ სიტუაციით, ისტორიულობით.

იასპერსის მიხედვით, ჭეშმარიტი თავისუფლება არის არჩევანი, გადაწყვეტილების მიღება. თუ ადამიანი ვერ იღებს გადაწყვეტილებას, ეს იმას ნიშნავს, რომ მას საკუთა-რი თავი არ უპოვია. გადაწყვეტილების მიღების აქტში ეძ-ლევა ადამიანს თავისუფლება, რომელშიც შეუძლებელია არჩევანისა და „მე“-ს დაცალკევება. ეს არის არა შიშველი

არჩევანი რეალობებს შორის, არამედ თვით რეალობის, თანაც უმაღლესის, შექმნა. რამდენადაც ადამიანი ირჩევს, ის არსებობს. ხოლო თუ იგი არ ირჩევს, მაშინ არც არსებობს „მე”-ს სახით.

მარტინ ჰაიდეგერი ფიქრობს, რომ ადამიანი იგივეა, რაც თავისუფლება. ეს უკანასკნელი განსაკუთრებული დამოკიდებულებაა ყოფნასთან, რასაც ცნებაში ვერ მოაქცევ. თავის მოღვაწეობაში ადამიანი მას აუცილებლად ითვალისწინებს, როგორც სავალდებულოს. „ახალი თავისუფლების სახეობათა მთელი დიაპაზონის რეალიზაციაში მდგომარეობს ახალი დროის ისტორიის არსი. რამდენადაც ამ თავისუფლებაში აუცილებლად შედის ადამიანის მიერ კაცობრიობის ამოცანათა დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება, ეს უკანასკნელი არსებითი და კატეგორიული აზრით გულისხმობს ძალაუფლებაზე დაყრდნობას, რადგან მხოლოდ ახალი დროის ისტორიაში და თვით ამ ისტორიის სახით ძალაუფლების თვითრწმენა პირველად ხდება ძირეული რეალობა” [8, 268].

ჰაიდეგერის აზრითაც, ადამიანი, თავისი არსით, თავისუფალია. მაგრამ, საკუთარი ადამიანობის რეალიზაცია ძნელია და მას იშვიათი გამონაკლისები აღწევენ. უმრავლესობა კი გაურბის მას და ადამიანობის მოჩვენებითობას აფარებს თავს. შემთხვევითი არ არსის, რომ ადამიანი ხშირად თავისი შინაგანი მოთხოვნების შესაბამისად არ მოქმედებს და ბაძავს სხვებს. ასეთია საზოგადოება, რომელშიც ის ცხოვრობს. მასზე გავლენას ახდენს ინფორმაციის მასობრივი საშუალებებიც, მთელი საზოგადოებრივი სტრუქტურა. ხდება ადამიანთა ქცევის სტანდარტიზაცია. ადამიანი მოქმედებენ ისე, როგორც უმრავლესობა. ბატონობს საშუალოსკენ სწრაფვა და ასე იქმნება „საშუალო ადამიანი”, უპიროვნო „das man”, რომელშიც წაშლილია ინდივიდურობა. ყოველივე განსაკუთრებულის, გამორჩეულის და აღმატებულის ჩახშობილია. ადამიანები, არსებითად, ცხოვრობენ საკუთარი ფიქ-

რისა და აზროვნების გარეშე. ისინი კარგავენ თავის განსაკუთრებულ სახეს და უმრავლესობისგან განუსხვავებელნი ხდებიან. ყოველივე ამის გამო კი ადამიანები ვერ აძლევენ გასაქანს თავისუფლებას და ამდენად არ კისრულობენ პასუხისმგებლობას საკუთარი ცხოვრების მსვლელობაზე.

უან პოლ სარტრის მიხედვით, ადამიანი „თავისუფლებამისჯილი ტუსაღია”. იგი არ ირჩევს თავისუფლებას, მას მისჯილი აქვს იგი. ადამიანი დაწყევლილია თავისუფლებით. თავისუფლება ადამიანის მძიმე ტვირთია, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია. ეს სიმძიმე გამონვეულია თავისუფლების თანამდევი პასუხისმგებლობით. ასეთია ჭეშმარიტი ადამიანური თავისუფლება და მისი თანამდევი პასუხისმგებლობა.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ პასუხისმგებლობა თავისუფლების მეორე, უკანა მხარეა. ადამიანის თავისუფლება გულისხმობს მის პასუხისმგებლობას საკუთარი საქციელის გამო. როგორი შეზღუდულიც უნდა იყოს ადამიანის ქცევა გარეშე ფაქტორებით, მას ყოველთვის საქმე აქვს ერთზე მეტ შესაძლებლობასთან და ერთერთის არჩევით პასუხისმგებლობასაც კისრულობს. ადამიანს ნებისმიერ პირობებში შეუძლია სხვადასხვაგვარად მოიქცეს. ასე რომ იქცევა და არა სხვაგვარად, ეს მხოლოდ მისი ბრალია. ამიტომ თავის ქცევაზე თავადვერა პასუხისმგებელი.

ცხოვრებაში ადამიანთა ერთი ნაწილი საკუთარი ნებით ირჩევს ცხოვრების გზას, მეორენი სხვის კვალს მიჰყებიან და მათი ცხოვრებით ცხოვრობენ. ორივე შემთხვევაში, სარტრის მიხედვით, ადამიანი პასუხისმგებელია. პირველ შემთხვევაში ადამიანი გასაქანს აძლევს თავისუფლებას, მეორე შემთხვევაში „თავისუფლად” გაურბის მას, ანუ თავისუფლებას იმისათვის იყენებს, რომ მასზე უარი თქვას. ესე იგი, თავისუფლების ჭეშმარიტი მნიშვნელობით გამოუყენებლობაც მის თავისუფლებაზე მეტყველებს.

ადამიანი ცდილობს „მე”-დან „სხვებთან” გაქცევას, რათა „მათ” შეაფაროს თავი, „მათ” გადააბაროს საკუთარი არჩევანი, „სხვებს” დააკისროს საკუთარი პასუხისმგებლობა, „სხვებში” გაითქვიფოს და მათში დაკარგოს საკუთარი სახე. მაგრამ ადამიანის ტრაგედია იწყება მაშინ, როცა საკუთარი სახის „სხვებისათვის” დამკარგავი და ამ „სხვების” ვერმპოვნელი, იგი ვეღარ გაუგებს ვერც „სხვებსა” და ვეღარც საკუთარ თავს. საკუთარი თავისუფლებიდან გაქცეულ და „სხვებთან” თავშეფარებული ადამიანისათვის ეს „სხვები” ჯოჯოხეთად გადაიქცევა. ადამიანს ისღა რჩება, რომ ან მტრად უნდა ექცეს „სხვებს”, ან ეძიოს გამოსავალი. ეს გამოსავალი კი მდგომარეობს „სხვებთან” დიალოგში. „მოსახდენი მოხდა, საბოლოო სიტყვა ჩვენზეა, შენ არაფერი ხარ, თუ არა შენი ცხოვრება” [5, 241].

თავისუფლების რთული ბუნების, მისგან გაქცევის საერთო ადამიანური მცდელობის შესახებ წერს ერის ფრომი. იგი ყურადღებას ამახვილებს თავისუფლებიდან როგორც მარტოობიდან ინდივიდის გაქცევაზე. ადამიანი დაიღალა თავისი უიმედო მდგომარეობით: ბუნებიდან „გამოძევებული” სოციალურში ეძებს თავშესაფარს, მაგრამ ვერც აქ ჰპოვებს სიმშვიდეს. იგი გაურბის ყველას და ყველაფერს და საკუთარ მარტოობას აფარებს თავს, რათა დაიცვას თავისი „მე”-ობა. რჩება მეორე გზაც – შეეგუოს სოციალურ გარემოს და „მოერგოს” არსებულ სინამდვილეს.

„თავისუფლებისაგან გაქცევის” დროს ადამიანი ვერ აცნობიერებს, რომ ის მაინც თავისუფალი რჩება. ის ხომ თვითონ იღებს ამ გადაწყვეტილებას? თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტური ნიშანია, აუცილებელი ხვედრია და მას თავიდან ისევე ვერ მოიცილებს, როგორც წარმართი – ბედისწერას. ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ადამიანი მუდამ თავისუფალია, ოღონდ ჩვეულებრივ ვერ აცნობიერებს ამას. ამ დროს მისი თავისუფლების ხარისხი მცი-

რეა. განსაკუთრებულ შემთხვევაში კი ადამიანი აცნობიერებს მას და ამ დროს ის უფრო „დიდი რაოდენობით“, ანუ „ნამდვილადაა“ თავისუფალი” [6, 171].

თავისუფლება მარად სასურველი, მაგრამ მოუხელთებელია; მარადიული იდეალია, რომლისკენაც კაცობრიობა მიისწრაფვის. იგი განუხორციელებელია იმ აზრით, რომ შეუძლებელია მისი მოპოვება და ამით ყოველივეს დასრულება; ასეთ შემთხვევაში ცხოვრება ერთ წერტილში გაიყინებოდა და და გაქრებოდა იდეალისაკენ სწრაფვის შესაძლებლობა.

„თავისუფლება არაა ჩაკეტილობა და იზოლაცია, თავისუფლება ღიაობაა, ჩემში უნივერსუმის გახსნის გზა“ – წერდა ბერდიაევი. თავისუფლება, როგორც ადამიანის შინაგანი განცდა, მისი სულის მდგომარეობა, ინდივიდუალური განცდაა და განისაზღვრება პიროვნების სულიერი განვითარების დონით, სინდისის ხმით. ჰეგელის სიტყვებით რომ ვთქვათ: თავისუფლება ზნეობრივი ყოფნაა. ზნეობრივი პიროვნება შინაგანად თავისუფალია უკიდურესად შეზღუდულ პირობებშიც კი. თავისუფლება მისთვის, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი პასუხისმგებლობაა, მოვალეობაა, როგორც საკუთარი თავის წინაშე, რომ შეძლოს თვითსრულყოფა, ისე სხვა ადამიანების და გარემოს წინაშე. ინდივიდის თავისუფლება არის მისი თავისუფალი დასტური ამ ღირებულებათა განხორციელებისათვის. ამ ღირებულებათაგან გამონთავისუფლება მისი, როგორც პიროვნების გამანადგურებელი და დამლუპველია.

ადამიანი, გარკვეული აზრით, ყოველთვის თავისუფალია, თუმცა ხშირად ვერც აცნობიერებს ამას. მისთვის თავისუფლება აუცილებელი მდგომარეობაა. თავისუფლება არსებობს შინაგანი დაუდგენლობის, განუსაზღვრელობის სახით და ამდენად ადამიანი თავისუფალია არა მხოლოდ თავისუფალი შემოქმედებითი ცხოვრების პირობებში, არამედ

მაშინაც, როცა არაფერი იცის ამ თავისუფლების შესახებ, უარყოფს ან არ იყენებს მას.

მაშასადამე თავისუფლება ადამიანად ყოფნის სტრუქტურაში დევს. იგი მას მუდამ აქვს. საკითხი ეხება მისი გამოვლენის შესაძლებლობას. თავისუფალ არსებად ქცევა თავად ინდივიდის პრეროგატივაა. მან თვითონ უნდა „დაასრულოს“ თავისი თავის ქმნადობა და ამ მიმართულებით სრულქმნას საკუთარი ცხოვრება; ადამიანი თავად უნდა გახდეს თავისუფალი, ოღონდ არა მხოლოდ თავისუფლებაზე თეორიების შემუშავებით, არამედ თავისუფალი შემოქმედებით.

ლიტერატურა

1. ასათიანი გ. დასავლური პოლიტიკურ-ფილოსოფიური მოძღვრების ისტორია, თბ., თსუ, 2003;
2. ბაქრაძე კ. ახალი ფილოსოფიის ისტორია, თბ., თსუ, 1969;
3. ბოჭორიშვილი თ. ლირებულების ობიექტურობა და პიროვნების პრობლემა, კრ. ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები, წარ. IX, თბ., მეცნიერება, 1991;
4. კობუში თ. თავისუფლება როგორც ზნეობრივი ყოფნა: ჰეგელის სამართლის ფილოსოფია, კრ. ფილოსოფიური განაზრებანი 1, თბ., 2001;
5. სარტრი ჟ. პ. ცხრაკლიტული ლ/ა: დრამატურგია №1, თბ., 1990;
6. ხასაძი ზ. ფილოსოფიის სისტემური კურსი, თბ., 2015;
7. Гартман Н. Эстетика, М., 1958;
8. Хайдеггер М. Европейский нигилизм, в кн. Проблема человека в современной западной философии, М., 1988;
9. Hegel G.W. Rph §15 sw.7,66 f. Thw 7,66..
10. Hegel G.W. Differenz des Fichteschen und Schellingschen Systems. GW 4,54.
11. Jaspers K. Die Gesitige Situation der Zeit, Berlin, WdeG, 1972.

Piqria Didebashvili – Doctor of Philosophy; Associate Professor of Georgian Technical University (GTU); works on the problems of social philosophy; has published articles in this field.

MAN AND FREEDOM

ABSTRACT

We state that a man is a creator. His life, as a will and the activity connected with consciousness, is free activity. Human freedom means to give space to his inner nature. This inner nature is in creative activity. It is manifested only in social and through social. But absolute freedom does not exist; it may be only relative, historical, as a man is determined by internal and external factors. On the other part, a man is born in certain social environment and is determined by him as well.

The essence of freedom is in a man's effort to overcome the reached level of existence through it and to move towards more perfect existence. This movement does not ever end, as it fails to reach absolutely full existence. The way of freedom is an endless process, that's why progress of the mankind, ongoing under the mark of freedom increase, is also endless.

A man strives for self-realization; He creates his own self through his free creative activity. To make his own self perfect, to create, as the manifestation of freedom, is possible in social and through social.

ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ონტოლოგიის, გნოსეოლოგიისა და ლოგიკის განყოფილებაზ.

ნატალია ბერძენიშვილი – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი.

ენა, როგორც ჰერმენეტიკული ონთოლოგიის პორიზონტი

ნაშრომში განხილული საკითხი უკავშირდება პ.გ. გადამერის ნააზრევს ჰერმენევტიკულ პრობლემათა უნივერსალობის შესახებ. ჰერმენევტიკული ასპექტი დაკავშირებულია ყველაფერ იმასთან, რაც ურთიერთგაგებინების შესაძლებლობით ხასიათდება. თუ ურთიერთგაგებინებას ადგილი არა აქვს, ეს იმიტომ, რომ ადამიანები „სხვადასხვა ენაზე მეტყველებენ“. ჰერმენევტიკული ამოცანის მთელი სერიოზულობა სწორედ საერთო ენის ძიებაა.

გადამერის მიღვომა მიმართულია არა მეცნიერებაზე და მისთვის დამახასიათებელი ცდის სახეობაზე, არამედ „ადამიანური ცდისა“ და „ცხოვრებისეული პრაქტიკის მთლიანობის შენარჩუნებაზე“. იგი აცხადებს, რომ ფილოსოფიური აზრი მოწოდებულია დაანგრიოს ე.წ. „ქიმიურად წმინდა გაქვავებულობა“. იმ წინაპირობაში, რომ უნდა მიღწეული იქნას ცნებების სიცხადე, ჩადებულია სხვა წინაპირობა, რომ „ცნებები – ჩვენი იარაღია, რომელსაც ჩვენ ჩვენთვისვე ვამზადებთ, რათა მივუახლოვდეთ საგნებს და შევიცნოთ ისინი“ [6,28]. ცნებების განმარტება შეიძლება იყოს მხოლოდ ნაწილობრივი. ის საჭიროა და სასარგებლოა იქ, სადაც ენის გაუცხოების გამო, დაფარულის გახსნას ეხმარება, ან აიძულებს გააზრებაში მიაღწიოს საჭირო ექსისტენციალურ დაძაბულობას. ის ვინც ცდილობს გაიაზროს, უნდა გაიგოს დამწერის ენობრივი გაჭირვება. გადამერი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ის აზროვნებს ფილოსოფიურად, ვინც ენაში არსებული გამოხატვის საშუალებების წინაშე

გრძნობს უკმარისობას და მხოლოდ ავტორთან ერთად ფიქ-რობს, ანუ ეს ის მდგომარეობაა, „როცა ჭეშმარიტად იზია-რებ ადამიანის უბედურებას, რომელიც გაბედავს გამოთ-ქვას ისეთი რამ, რაც მხოლოდ მისი გამოცდილებით დას-ტურდება“ [6,36].

„ენის უკმარისობის მუდმივი ტანჯვა, ენის მუდმივი ძა-ლისხმევა – ესაა ფილოსოფიის ჭეშმარიტად უდიდესი, სუ-ლისშემძვრელი დრამა“ – ამბობს გადამერი. ის მოითხოვს ცნებასა და ენაში არსებულ ჭეშმარიტებას შორის კავშირის აღდგენას, სიტყვისა და ცნების (და არა სიტყვებისა და ცნე-ბების) შეფარდებით გააზრებას, მათ შინაგან ერთობლიო-ბას, რადგანაც მიიჩნევს, რომ რეალურ ენაში, მეტყველება-ში, დიალოგში და მხოლოდ მათში, ფილოსოფიას აქვს თავი-სი ჭეშმარიტი, მხოლოდ მისი კუთვნილი სასინჯი ქვა [6, 42].

როცა გადამერი ლაპარაკობს „ენის ცხოვრებიდან“ ცნებების წარმოშობის შესახებ, აღნიშნავს, რომ აქ საქმე არა მხოლოდ ცალკეული ცნებების ისტორიულ განმარტება-შია, არამედ აზროვნების ძალისხმევის განახლებაშია, რომე-ლიც თავს გვახსენებს ფილოსოფიური სიტყვათხმარებისას, გადამერი აქ ეხება ცნებების ბუნებრივი ჩამოყალიბების სა-კითხს, რაც ნიშნავს თავიდან გაიარო გზა სიტყვა-ცნებიდან მისი ხელახალი გააზრებისაკენ.

ასეთი ძალისხმევის ახსნას „ძალის“ კატეგორიის ანა-ლიზით ცდილობენ. ძალა თავის თავს აცნობიერებს წინააღ-მდეგობის მეშვეობით. ეს არის შინაგანი გამოცდილების მქონე თავისუფალი მოქმედების უნარი, რომელიც დაკავში-რებულია საწყისისეულ ძალასთან და ინდივიდუალურ წარ-მონაქმნებს ერთმანეთთან აკავშირებს. ძალა შინაგანად-ყოფნით, თავის თავზე მიმართულობით ხასიათდება. მისი რეფლექსური სტრუქტურაა სწორედ ის, რაც ისტორიულად ძალისა და სულის ცნებების გაიგივების საშუალებას იძლევა

და რაც პირველად არისტოტელესთანაა მოცემული სულის უნარის შესახებ მოძღვრებით [4,193].

გადამერის მიერ განვითარებული ფილოსოფიური ჰერ-მენევტიკის კონცეფცია ტრადიციული ჰერმენევტიკისა და ექსისტენციალურ-ფენომენოლოგიური ფილოსოფიის სინ-თეზის შედეგია. ჰერმენევტიკა არის ონტოლოგია, – ყოფიე-რების ის გაგებები, რომელიც იქმნება ~ საუკუნეთა სილრმე-ებისაკენ მიმართული დიალოგის შესაძლებლობით. ის რაც დიალოგებშია გაცხადებული, ენის სტიქიურობითაა განპი-რობებული. ამიტომაც ენა წარმოადგენს იმ ფილოსოფიურ საგანს, სადაც ხდება მეცნიერებისა და კაცობრიობის ცხოვ-რების გამოცდილების შეხვედრა.

„ჩვენ მუდმივად ჩართულნი ვართ დიალოგში” – ამბობს გადამერი, და ცდილობს განიხილოს ჰერმენევტიკული “სა-უბრის” ბუნება, როცა მონანილეთა შორის შემდგარი კომუ-ნიკაცია უბრალო ურთიერთშეთანხმებას აღემატება. ის, თუ როგორ მოსდევს ერთ სიტყვას მეორე, როგორ იცვლება და როგორ განვითარება-დასრულებას დებულობს საუბარი, – ყველაფერ ამაში არის რაღაცა „გამგებლობა”, რაღაცის „წარმოება”. ამგვარი „წარმოებისას” მოსაუბრენი კი წარ-მართავენ დიალოგს, მაგრამ უფრო მეტად, ისინი ეცნობიან ერთმანეთს. რისი „გაცხადება” ხდება საუბრისის, – ეს წი-ნასწარ არავინ იცის. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საუბარი დასრულდება, შეგვიძლია იმის თქმა, შედგა ის, თუ – არა. ყოველივე ეს ნიშნავს, რომ დიალიგს გააჩნია თავისი საკუ-თარი ნებელობა, და რომ ენა, რომელზედაც ჩვენ ვმეტყვე-ლებთ თავისთავში ატარებს საკუთარ ჭეშმარიტებას, ანუ „ამჟღავნებს”, სინათლეზე გამოაქვს რაღაც ისეთი, რაც იმავდროულად რეალური ხდება, ამიტომაც ჰერმენევტიკის პრობლემას შეადგენს არა ენის სწორი გამოყენება, არამედ ამა თუ იმ სახის ჭეშმარიტი ურთიერთგაგება ამ ენის ფარ-გლებში.

გადამერის თანახმად, ყოველგვარი ენის შეთვისება შესაძლებელია ისე, რომ ჩვენი ენიდან “თარგმნა”, ან პირიქით, ჩვენს ენაზე “თარგმნა” საჭირო აღარ იყოს. ამ შემთხვევაში, ეს ენა, რომელზედაც ჩვენ ვფიქრობთ, – საკუთრივ ფიქრის ენაა. ენის ამგვარი ფლობა, ანუ ერთსა და იმავე ენაზე საუბარი, წარმოადგენს ურთიერთგაგების წინაპირობას. გაგება, როგორც ასეთი, ნამდვილ პრობლემად იქცევა მხოლოდ მაშინ, როცა ენობრივი ურთიერთგაგება შესაძლებელია.

ენობრივი განმარტება არის განმარტების ზოგადი ფორმა და, ამგვარად, მას ადგილი აქვს მაშინაც, როცა განმარტებას დაქვემდებარებული ენობრივი ბუნებით არ ხასიათდება, ანუ არ წარმოადგენს ნერილობით ტექსტს. მაგალითად, ფერწერა, ან მუსიკალური ნაწარმოები თუმცა არ ატარებენ ენობრივ ფორმას, თავისთავად საჭიროებენ ენობრივ წინამდლვარს.

გადამერი ჰაიდეგერის მსგავსად აცხადებს, რომ „ყოფიერება რომლის გაებაც შესაძლებელია, არის ენა“. ის ენას განიხილავს, როგორც ყოფიერების გამხსნელ მედიუმს და არა როგორც ამა თუ იმ შინაარსის მიხედვით შერჩეულ ინსტრუმენტს ან ნიშანს. ამასთან, გადამერი მუდმივად ხაზს უსვამს, რომ სამყაროს საკაცობრიო გამოცდილების ენობრივი ხასიათი არ გულისხმობს სამყაროს საგნად ქცევას. ენა – ესაა გარემო, სადაც „მე“ და სამყარო გამოიხატება თავდაპირველ ურთიერთკუთვნიელებაში. ჰაიდეგერის მიხედვით, ამით მიიღწევა თვითონ ყოფიერება, როგორც ექსისტირება, როგორც ყოფნა.

ენის შესახებ მეცნიერება და ენის ფილოსოფია, გადამერის აღნიშვნით, ემყარება იმ წინაპირობას, რომ მათთვის უმთავრეს საგანს წარმოადგენს ენის ფორმა (დადგენილი გარეგნული მხარე). მაგრამ მართებულია კი საერთოდ აქ ფორმის ცნება? ვწვდებით კი ჩვენ ამით მის თავისებურებას,

რომელიც გულისხმობს იმას, რომ ყველა სიმბოლური ფორმა ენობრივ ხასიათს ატარებს?

გადამერი მიმართავს ფორმის იმგვარ აბსტრაქტორებას, რომელიც ჰუმბოლდტისა და ლაიბნიცის მიერაა შემუშავებული. ცნობილია, რომ ჰუმბოლდტი ყველა ენას განიხილავს როგორც თავისებურ მსოფლხედვას. ის იკვლევდა იმ შინაგან ფორმას, რომელიც მუდმივად დიფერენცირდება ადამიანური ენის თავდაპირველი შექმნის პროცესი.

როგორი მცირედიც არ უნდა იყოს ცალკეული ადამიანის შესაძლებლობა ენის უფლებამოსილ ძალასთან შედარებით, მათ შორის არსებობს ისეთი ურთიერთმიმართება, რომელიც ადამიანს ენასთან დამოკიდებულებაში გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებს. მაგრამ, ამასთანავე, ეს თავისუფლება შეზღუდულია, რამდენადაც ნებისმიერ ენას საკუთარი ყოფიერება გააჩნია, და ამით ის ყველაფერ იმაზე მაღლა დგას, რაც თითოეულ მოცემულ შემთხვევაში ამ ენით გამოითქმება. “განსაკუთრებით ცხადად იგრძნობა ის, თუ როგორ არსებობს შორეული წარსული ჩვენს აწმყოში” [2,510]. გადამერის მიხედვით, ასე ხდება რადგანაც ენა გაჯერებულია წინარე თაობათა განცდებით და შემონახულია, როგორც “ცოცხალი სუნთქვა”. თუმცა ენისა და აზროვნების უნივერსალური კავშირი დაიყვანება უბრალო ფორმალურ ჩვევამდე, – აღნიშნული განხილვის თანახმად, ენა წარმოადგენს თავისებურ სულიერ სარკეს.

ჰერმენევტიკული გაების ენა არის ცოცხალი ხმის ენა. გადამერს არ აინტერესებს ენა, როგორც ნიშანთა სისტემა, მათი მნიშვნელობების ურთიერთგავლენა. ჩვენ ვიგებთ არა ბერებს, სიტყვებს ან წინადადებებს თავისთავად, არამედ საზრისს, რომელსაც ისინი გამოხატევენ. ხოლო საზრისის გამოსახატავად და, აქედან გამომდინარე, ტექსტების გასაგებად, საჭიროა მისი შესაბამისი ხერხით ინტერპრეტაცია, რაც წარმოადგენს ამოსავალ საფუძველს სხვადასხვა ტექ-

სტების თუ საერთოდ სემიოტიკური სისტემების გაგების პროცესში. კერძოდ, გაგების საგანი ხდება არა ცალკეული ტექსტი, არამედ ყოფიერების ჭეშმარიტების შემცველი ენა, რომლის თვითგამოხატვის მომენტს შეადგენს ცალკეული ტექსტი. მაგრამ გადამერს აინტერესებს, არა მხოლოდ ტექსტები, არამედ ყველაფერი, რაც შეტყობინების საშუალებას იძლევა. ამიტომაც, ჰერმენევტიკის ონტოლოგიური ასპექტის თანახმად, ენას ის განიხილავს როგორც სამყაროს გამოცდილებას და წინააღმდეგია დეკონსტრუქციის, დესტრუირების ან უკუგდების, რადგანაც მიიჩნევს, რომ “ენა” არის “უახლოესი სხვა”, რომელთანაც შეიძლება საუბარი, და ამ სახით, მისი გარკვეულნილად ათვისება დღევანდელი პერსპექტივიდან.

რასაკვირველია, გარკვეული ენისა და კულტურის ტრადიციებზე აღზრდილი ადამიანები სამყაროს სხვადასხვარად განჭვრეტენ. ასევე განსხვავდებიან ისტორიული “სამყაროები” როგორც ერთმანეთისაგან, ისე თანამედროვე სამყაროსაგან. მაგრამ ყოველგვარ ტრადიციაში გამოხატულია ადამიანური სამყარო, რომელიც ენობრივი ბუნებით ხასითდება და, ამგვარად, ნებისმიერ “სამყაროს” შესწევს სხვაგვარობის შემეცნების უნარი, შესაბამისად, – ის მისაწვდომია სხვა სამყაროსთვისაც.

გადამერთან ამგვარ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც მისთვის სამყარო, როგორც ადამიანური გამოცდილების დაუსრულებელი სრულყოფის შესაძლებლობა, – ეს არის ნებისმიერი ენის სფეროში ქმედება, რომელიც გულისხმობს სამყაროსთან უფრო ფართო “ხედვის” ასპექტით მიდგომას. სამყაროს გამოცდილების ენობრივ სტრუქტურას (verfasstheit) შეუძლია მოიცვას მრავალფეროვანი ცხოვრებისეული ურთიერთობანი. ასე, მაგალითად, ვიცნობთ, რა კოპერნიკისეულ სამყაროს სურათს, ჩვენთვის მზე მაინც “ჩადის” და “ამოდის”. ეს არის სიტუა-

ცია, როცა ხილვადიბა (augenschein) დაცულია, მაგრამ გონების მიერ გაცნობიერებულია როგორც მცდარი შეხედულება. აქ ერთი არ გამორიცხავს მეორეს. რადგანაც მზის ჩასვლა ნამდვილია ჩვენი ხედვისთვის, ის „შეფარდებულია ადამიანურ ყოფიერებასთან“ (“daseinsrelativ”) და ინარჩუნებს თავის ამ უფლებას.

ადამიანის ყოფიერებაში არსებითადაა მოცემული დანახვისთვის ზრუნვა. „ხედვა“, – ჰაიდეგერის განმარტებით, – არ გულისხმობს მხოლოდ სხეულებრივი თვალით აღქმას, არამედ ამ სიტყვიდან ექსისტენციალური მნიშვნელობის-თვის ხედვის მხოლოდ ის თვისებებია აღქმული, რომ ხედვა, მისთვის მისაწვდომ ყოფიერებას თვით თავის თავთან დაუფარავი შეხვედრის შესაძლებლობას აძლევს. აქ ჰაიდეგერი ორიენტირებულია ხედვაზე, ანუ „ხედზე“ როგორც მიღომის წესზე. მისი თქმით, ყოფიერება არის ის, რაც წმინდა მჭვრეტელ დაკითხვაში ვლინდება, და მხოლოდ ეს ხედვა აღმოაჩენს ყოფიერებას [2,261].

„დანახვის“ საყურადღებო უპირატესობა ყველაზე ადრე ავგუსტინემ შეამჩნია ინტერპრეტაციასთან კავშირში: დანახვა საკუთრივ თვალებს ეკუთვნის, მაგრამ სიტყვა „დანახვას“ ჩვენ ვხმარობთ სხვა შეგრძნებებისთვისაც, როცა მათი საშუალებით შეცნობას განვიზრახავთ. ჩვენ არ ვამბობთ: მოისმინე როგორ ციმციმებს, ანდა იგემე როგორ ანათებს და ა. შ. ყველა ამ შემთხვევაში ჩვენ ვამბობთ: ნახე – როგორ ხმაურობს, ნახე – როგორი სურნელი აქვს, ნახე – როგორი გემო აქვს, ნახე – რა სიმარეა. ყურსაც შეუძლია ეს ფუნქცია იტვირთოს, მაგალითად: „უ-ყურ-ე, როგორ მოძრაობს“. გამოდის, რომ გრძნობის სხვა ორგანოებიც ითვისებენ დანახვის საქმეს, როცა მიზანი შემეცნებაა.

დანახვას ცდილობ იმისთვის კი არა, რომ გაიგო, ე.ი. დანახულთან ერთ ყოფიერებაში აღმოჩნდე, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ დაინახო. ჩვეულებრივ, ხელოვანიც

ამას აკეთებს: მხატვარი როცა ხატავს, იგი იმას კი არ ხატავს, რაც დაინახა, არამედ ხატავს უფრო იმისათვის, რომ დაინახოს. ის ხატვით ხედავს. ხატვის პროცესში ადამიანი, ემორჩილება რა ფორმის კანონებს, “ინდუქციურად შობს დანახულს”. ამ “ხედვის” ზრუნვა მიზნად წვდომას და ჭეშმარიტებაში მცოდნე ყოფნას კი არ ისახავს, არამედ საკუთარი თავის სამყაროსათვის მინებების შესაძლებლობებს [1,263].

გადამერი აღნიშნავს, რომ ენა არის არა რაღაც სულიერი მდგომარეობის მაგვარი, არამედ ეს ყოველივე ნიშნავს იმას, რომ სამყაროს ხედვის უშუალობა დაცულია ენაში და მის გამგებლობაშია. ენა წარმოადგენს არა რეფლექსური აზროვნების საგანს, არამედ მონაწილეობს სამყაროსთან დამოკიდებულების ჩვენეულ რეალიზაციაში, – იმ საზღვრებში, რომელშიც ვარსებობთ.

რატომ არის გაგება ენობრივი მოვლენა? გავების პრობლემატიკას შეადგენს ის, რომ აქ საქმე ეხება სიცხადეს, როცა სრულად გამჭვირვალე ხდება იმ მიზეზთა რიგი, რომელთა გამო სხვა ამბობს იმას, რასაც ამბობს. როგორ ახერხებს ენა, რომელიც არის როგორც აზრის, ასევე გამოსახულების გადმოცემის საშუალება, გააერთმნიშვნელიანოს მათ შორის საერთო და განმასხვავებელი? ამასთან დაკავშირებით, გადამერი საუბრობს ყოველდღიური ენის პოეტურის-გან გამიჯვნის შესახებ. ის მიმართავს ასეთი სახის შედარებას (ლაპარაკია ძველ დროზე, როდესაც მიმოქცევაში ოქროს ფული იყო): ყოველდღიური სამეტყველო ენა ჰეგავს წვრილი ზომის მონეტას, ან ქაღალდის ბანკნოტს, იმ მნიშვნელობით, რომ თვითონ ქაღალდს არ გააჩნია ისეთივე ღირებულება, რისი სიმბოლოც თავად არის, ხოლო პოეტური სიტყვის შემთხვევაში, პირიქით, სიმბოლო და მისი ღირებულება ერთმანეთის განმსაზღვრელია, ანუ პოეტური სიტყვა არის არა უბრალოდ რაღაც სხვაზე მითითება, არამედ ოქ-

როს მონეტის მსგავსად, თავად წარმოადგენს იმას, რაც არის [5,118].

გადამერის აზრით, პერმენევტიკის პრობლემას შეადგენს ურთიერთგაგებინება ენის ფარგლებში. იქ, სადაც კომუნიკაციის საშუალება არის ენა, ბუნებრივად ჩნდება კითხვა ფილოსოფიისა და ხლეოვნების ენობრივი ფორმების ურთიერთობის შესახებ. როგორ ეთანხმებიან ერთმანეთს ამ ორი ენის გამოყენების კონტრასტული ფორმები – თავის თავში ჩამკეტი პოეტური ტექსტი და თავისი თავის გამაუქმებელი ცნების ენა? გადამერს მაგალითად მოჰყავს ლირიკული პოეზია, სადაც საქმე ეხება ენის მუსიკალურობას და შემჭიდროვებულ სინტაქსტურ სტრუქტურას. პოეტურ კონსტრუქციას აყალიბებს ბგერები, რითმები, ვოკალიზაციები, ასონანსები და სხვა მასტაბილიზირებული ფაქტორები, რომლებიც ქმნიან სიტყვის სიცხადეს. ეს კონოტაციები, გადამერის აღნიშვნით, – სიტყვას აძლევენ შინაგანად დამახასიათებელ სემანტიკურ მოზიდულობას, ანუ სიტყვას შეუძლია სხვადასხვანაირად განსაზღვროს თავისი თავი. სწორედ ამის გამოა, რომ ლირიკულ პოეზიაში არც ერთი სიტყვა არ გულისხმობს იმას, რასაც ის ნიშნავს – ტექსტი აგრძელებს სიცოცხლეს მხოლოდ იმის წყალობით, რომ წარმოადგენს თვითკმარ ენობრივ ფორმას.

ამასთან დაკავშირებით, გადამერი საუბრობს ფილოსოფიისა და პოეტური აზრის სიახლოვის შესახებ: ის წერს, რომ ენის პოეტურ და ფილოსოფიურ საშუალებებს აქვთ ერთი საერთო თვისება, – მათი ენა მოკლებულია „სიყალბეს“ და ამ მიზნით, ისინი შორს არიან რაიმე თვითნებობისაგან, რადგან ასეთ შემთხვევაში სიტყვა კარგავს „თავის განსაკუთრებულ უღერადობას“, ინტონაციურ გულწრფელობას, ან იქცევა „ცარიელ ფილოსოფიურ ფორმულად“ [2,125]. ლირიკა აქ უკავშირდება თამაშის სფეროს და არ უნდა გავიგოთ როგორც მხოლოდ პოეზიის ლირიკული ჟანრი და პოეტური

გამომსახველობა. ლირიკის არსობრივი თვისება – ეს არის ლტოლვა ლოგიკური განსჯის ყალიბთა დაძლევისკენ [3.174]

გადამერი აღნიშნული თვალსაზრისით განხილულ ფილოსოფიას ადარებს მუსიკას: „ჩვენს მიერ გამოყენებული სიტყვების ობერტორნები მუდმივად გვაგრძნობინებს იმ ამოცანებს, რომლებიც ჩვენთვის არსებობს ფილოსოფიის სახით, და მხოლოდ ეს გვაძლევს მათი შესრულების საშუალებას ყველა გარდაუგალი არასრულყოფილებით“ [4, 42].

როგორ ასრულებს ენა ამგვარ გარდაქმნებს? მეტი სიცხადისათვის, გადამერი ცდილობს აღნიშნული საკითხი განიხილოს ლირიკული ლექსისა და მისი დიალექტიკური გაგების მაგალითზე, რადგანაც ლირიკული ლექსი არის ზღვრული შემთხვევა, სადაც ყველაზე სუფთა სახითაა ნაჩვენები, რომ ხელოვნების ნაწარმოები და მისი ენობრივი გამოხატულების ორგინალობა განუყოფელია. სწორედ ასეთი მტკიცებით ლირიკული ლექსი ვერ ითარგმნება. უკიდურეს შემთხვევაში, ჩვენ მივმართავთ ხოლმე ყველაზე რადიკალურ ფორმას, – პოეტური ენის უაღრესად მზარდ მუსიკალურობას. პოეტური კონსტრუქცია აიგება უდერადობისა და მნიშვნელობის მუდმივი წონასწორობის გათამაშებით [5, 120]. ასეთი ნაწარმოები იმავდროულად წარმოადგენს სამეტყველო ერთეულს. ეს ნიშნავს, რომ ლექსში მოქმედებენ გაცნობიერებული ლოგიკურ-გრამატიკული ფორმები, მაშინაც კი, თუ ნაწარმოების აღნიშნული სტრუქტურული მხარე ზემოქმედებით გადადის უკანა პლანზე. საპოლოო მთლიანობა, – ეს არის ზოგადი დაძაბულობა, რომელსაც ქმნის ენობრივი ველი, ანუ ბეგრითი და აზრობრივი ენერგიები, და ერთმანეთთან შემხვედრი სიტყვების ცვალებადობა.

პოეტური ფორმის სწორედ ასეთი მდგრადობა განასხვავებს ხელოვნებას ყველა სხვა ენობრივი მოვლენისაგან. ეს ძირითადი ფაქტორი განაპირობებს პოეზიის სინქრონიზაციას სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში, ანუ თვითკმარი

ენობრივი ფორმის წყალობით, ხელოვნების ქმნილებას აქვს უნარი იყოს მუდმივად განახლებადი.

გაგებაზე მსჯელობისას გადამერთან საქმე ეხება არა “სუბიექტის” და “ობიექტის”, ინტერპრეტატორისა და ავტორის ურთიერთქმედებას, არამედ იმ “მესამის” ძიებას, რომელიც ორივეს უკან იმყოფება და რომელთან მიმართებაშიც მათი განსხვავება არსებითი არ არის. სწორედ ამ მესამის როლში გამოდის ენა. ენა, – ის გარემოა, სადაც ერთიანდება “მე” და “სამყარო”. აქ ლაპარაკია ენის შესაძლებლობაზე, – გახადოს სამყარო უფრო ახლობელი, რომ ენის გამოყენების მეშვეობით ვიყოთ სამყაროში, როგორც სახლში. ამდენად, გაგების ამოსავალი წერტილი გადამერთან მდგომარეობს არა მარტო სუბიექტის ნებით ინტერპრეტაციაში, არამედ სიცოცხლესთან ზიარებასა და თანამონაწილეობაში, – არა შემეცნებაში, არამედ “ცდაში”. ამიტომაც, მის ფილოსოფიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხელოვნების ენის საკითხს და ჰერმენევტიკული აზრის უფლებას მხატვრულ გამოცდილებაზე.

ლიტერატურა:

1. მამარდაშვილი მ. საუბრები ფილოსოფიაზე, თბ. 1912;
2. ჰაიდეგერი მ. ყოფიერება და დრო, თბ. 1989;
3. ჰაიზინგა ი, Homo ludens, თბ. 1995;
4. Г.Г. Гадамер, Актуальность прекрасного, М. 1991;
5. Г.Г. Гадамер, Истина и Метод, М. 1988;
6. G.G. Gadamer, Wahrheit und Methode, 2. 1993.

LANGUAGE AS A HORIZON OF HERMENEUTICAL ONTOLOGY

ABSTRACT

The question considered in the paper is related to Hans-Georg Gadamer's notion concerning the universality of hermeneutic problems. The hermeneutic aspect is related to all that is characterized by mutual understanding. If there is no mutual understanding, it is because people speak "different languages". The whole seriousness of the hermeneutic problem is the search for common language.

The language of hermeneutic understanding is a live voice language. Gadamer is not interested in the language as a sign system, the mutual influence of their definitions. We do not hear sounds, words, or sentences in themselves, but the thoughts they express. In order to express the thought and to comprehend the texts, it is necessary to interpret through the relevant method, which is the basis for the understanding of various texts or semiotic systems in general. In particular, the subject of comprehension becomes not a separate text, but a language containing the truth of existence, whose moment of self-expression is made up of particular texts. But Gadamer is interested not only in texts but in everything that enables notifying. Therefore, taking into consideration the ontological aspect of hermeneutics, he considers the language as the experience of the universe and is against the continuity, destruction or unconditional rejection of the deconstruction as he thinks "language" is "the closest other" to whom it is possible to speak to, and in this way, to pick it up to some extent from the modern perspective.

ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერება-
თა აკადემიის ონტოლოგიის, გნოსეოლოგიისა და ლოგი-
კის განყოფილებაზ.

გნოსეოლოგია

GNOSEOLOGY

ნაპო კვარაცხელია – ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი-მდივანი. მუშაობს თეორიული ფილოსოფიის (ონტოლოგია, გნოსეოლოგია), ადამიანის ყოფიერებისა და მსოფლმხედველობის საზრისას პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ სფეროებში. ეწევა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას.

შემაცნების თეორიის ნარმოშობის ნაცამდლორები

უნინარეს ყოვლისა, „შემეცნების თეორიის“ შინაარსი უნდა დავაზუსტოთ. როგორც ფილოსოფიურ ენციკლოპედიებშია მითითებული, ეს ტერმინი შემოუტანია შოტლანდიელ ფილოსოფოსს ჯონ ვეინერს.იგი არის ზუსტი თარგმანი ბერძნული „გნოსეოლოგიისა“ და, ამასთანავე, მისი შინაარსის ექვივალენტი. ამავე ვითარების აღსანიშნავად დასავლურ სააზროვნო ტრადიციაში, განსაკუთრებით ანგლო-საქსურ გარემოში, ხშირად გამოიყენება ტერმინი „ეპისტემოლოგია“, რაც ბერძნული „ეპისტემედან“ არის წარმოებული და ცოდნას აღნიშნავს, მაშინ როდესაც ბერძნული „გნოსის“ შემეცნებად უნდა ითარგმნოს. მაგალითად, არისტოტელელიაპარაკობს ფილოსოფიაზე როგორც „ეპისტემე თეორეტიკეზე“, სადაც „ეპისტემეში“ მეცნიერების თანამედროვე გაგებას გულისხმობენ ხოლმე, რაც ჰაიდეგერის გაგებით არ არის სწორი. სინამდვილეში ბერძნული „ეპისტემე“ არის გარკვეული სახე კომპეტენტურობისა.ასე ჰქვია ადამიანს, რამდენადაც ის რაიმეს მიმართ დახელოვნებულია. ჰაიდეგერის შენიშვნით, არისტოტელეს იმის თქმა სურს, რომ „ფილოსოფია არის სახე კომპეტენტურობისა, რომელიც ხელს გვიწყობს იმაში, რომ არსებული ჩვენი ხედვის არეში შემო-

ვიყვანოთ, სახელდობრ იმის გათვალისწინებით, თუ რა არის ეს, რამდენადაც ეს არსებულია.“

შემეცნების თეორიის, როგორც ადამიანურ შემეცნებაზე ფილოსოფიური მოძღვრების, აღსანიშნავად ახალი გნოსეოლოგიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი და ჰერმენევტიკული ფილოსოფიის თვალსაჩინო ნარმომადგენელი ოტო ფრიდრიხ ბოლნოვი გამოიყენებს ტერმინს „შემეცნების ფილოსოფია“. სწორედ ასე არის დასათაურებული მისი ერთერთი ნაშრომი, რომელიც შემეცნების საწყისის პრობლემას ეძღვნება. (იხ. 3)პროფ. ს. ავალიანი თავის სტატიაში „თეორიული გონების სტრუქტურა“ შემეცნების თეორიას, გნოსეოლოგიასა და ეპისტემოლოგიას სუვერენულ ფილოსოფიურ დისციპლინებად მიიჩნევს, რომელთაგან პირველი შეისწავლის ცოდნის გენეზის, მეორე ცოდნის ბუნებას, მესამე კი მეცნიერული ცოდნის სპეციფიკას (1. 78). ეს მეტად საყურადღებო, მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია განსაკუთრებით ეპისტემოლოგიისა და მეცნიერების ფილოსოფიის კვლევის ამოცანების დაზუსტებისა და მათი ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. მაგრამ, ჩემი აზრით, სადავოა მათი ფილოსოფიის სუვერენულ დისციპლინებად ნარმოდგენის მართებულობა. აქ საქმე უფრო ტერმინებს შეეხება, ვიდრე მათ ცნებით შინაარსს. ე.წ. ოკამის სამართებლის პრინციპი უნდა დავიცვათ და ტერმინები არ უნდა გავამრავლოთ უკიდურესი საჭიროებისა და აუცილებლობის გარეშე. მე ვფიქრობ, რომ შემეცნების თეორია, გნოსეოლოგია და ეპისტემოლოგია განსხვავებული ფილოსოფიური დისციპლინები კი არ არიან, არამედ ერთი და იგივე შემეცნების თეორიის სხვადასხვა ასპექტებისა და კვლევის დონეებს ნარმოადგენენ. ცხადია, ასე გაგებული შემეცნების თეორიის აღსანიშნავად შეიძლებოდა გვეხმარა „შემეცნების ფილოსოფია“, მაგრამ საქმე მხოლოდ ტერმინში როდია. მთავარი და არსებითია როგორი შინაარსით მოვიხმართ „შემეცნების თეორიას“.

შემეცნების თეორიის მიზანი არ შემოიფარგლება მხოლოდ ცოდნის გენეზისისა და ბუნების კვლევით. მან, უწინარეს ყოვლისა, პასუხი უნდა გასცეს ჯერ კიდევ პირობის მიერ დაყენებულ კანტისეულ კითხვას: რა შემიძლია ვიცოდე? ეს კითხვა ორი რამის გარკვევას გულისხმობს: რა აზრი დევს სიტყვაში „შემეცნება“ და რა არის ადამიანი როგორც შემძეცნებელი არსება. ამ მხრივ შემეცნების თეორია ადამიანზე უნივერსალური მოძღვრების ფილოსოფიური ანთროპოლოგიის სამსახურში დგას. ფილოსოფიურ ანთროპოლოგიას სწორედ შემეცნების თეორიამ უნდა უთხრას, თუ რას წარმოადგენს ადამიანი როგორც შემმეცნებელი არსება. ამ აზრით, და მხოლოდ ამ აზრით, უწოდებენ კანტის „წმინდა გონების კრიტიკას“ შემეცნების თეორიას, რომლის მიზანი არ შემოისაზღვრება მხოლოდ ეპისტემოლოგიური პრობლემატიკით და საერთოდ ადამიანზე, როგორც შემმეცნებელ არსებაზე, მოძღვრებად გვევლინება.

წინამდებარე სტატიაში სწორედ ამ მნიშვნელობით მოვიხმართ „შემეცნების თეორიას“ და მის ჩასახვასა და წარმოშობას ადამიანის თვითშემეცნების განვითარების გარკვეულ საფეხურად მივიჩნევთ.

როცა შემეცნების თეორიის როგორც ადამიანის თვითშემეცნების წარმოშობის კულტურულ-ისტორიულ წანამდღვრებზე ვლაპარაკობთ, ეს წანამდღვრები აუცილებლად ორ წანილად უნდა გავყოთ: 1. წინაფილოსოფიური წანამდღვრები და 2. საკუთრივ ფილოსოფიური წანამდღვრები.

წინაფილოსოფიური წანამდღვრები, თავის მხრივ, შეიძლება ორ წანილად გავყოთ: ა) პოლითეისტურ-ანთროპომორფული რელიგიის წარმოშობა და ბ) პომეროსისა და ჰესიოდეს ეპოსიდან ლირიკასა და ტრაგედიაზეგადასვლა.

ა) წინამორბედი ზოომორფული რელიგიებისაგან განსხვავებით ანთროპომორფული პოლითეისტური რელიგიის წარმოშობა იყო უდიდესი წინგადადგმული წაბიჯი, შეიძლება ითქვას, წამდვილი წახტომი ადამიანის თვითშემეცნების

განვითარების გზაზე. ქსენოფანე კოლოფონელმა მასში მხოლოდ უარყოფითი მხარე დაინახა მონოთეიზმთან მიმართებაში, რაც მტკიცედ დამკვიდრდა მეცნიერებაში (4). მაგრამ მასში დადებითი მომენტებიც უნდა დავინახოთ. ადამიანმა აქ პირველად მიაწერა ღმერთებს თვისი თვისებები, წარმოიდგინა ისინი მსგავსად და ხატად თვისად. მაგრამ ეს ნაბიჯი რომ გადაედგა, მას, უპირველეს ყოვლისა, თავისი თავისთვის უნდა შეეხედა, შეემეცნებინა თუ გაეცნობიერებინა თავისი როგორც ფიზიკური, ისე მორალური თვისებები. იმისათვის, რომ ადამიანური თვისებები ღმერთებზე გადაეტანა, მას წინასწარ უნდა სცოდნოდა ეს თვისებები. ღმერთების ანთროპომორფული წარმოდგენა აუცილებლად გულისხმობს ადამიანის თვითცნობიერებისა და თვითშემეცნების გარკვეული ხარისხის წინასწარმოცემულობას. თუ, ვთქვათ, პრიმიტიულ ტოტემიზმში ადამიანი თავის წინაპრად და პირველსახედ მიჩნევს მგელს ან კენგურუს, ბერძნულ პოლითეიზმში ასეთებად ზევსი, ჰერა, ათენა და აპოლონია მიჩნეული. სინამდვილეში ეს ღმერთები იდეალური ადამიანებია, ადამიანური სრულყოფილების იდეალური სახეები. ამიტომაცაა ბერძნული „თეოს“ ერთ-ერთი მნიშვნელობა „სრულყოფილი.“

ბ) ადამიანის თვითცნობიერებისა და თვითშემეცნების გზაზე უდიდესი ნიშანსვეტი იყო პომეროსის და ჰესიოდეს ეპოსიდან ლირიკაზე გადასვლა. ეპიკური მსოფლმხედველობის ადამიანი გვარის (თემის) უზრუნველი მფარველობის ქვეშ ნებიერად გრძნობდა თავს. ცხოვრებაში მომხდარი გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური ძვრების შედეგად (ძვ. წ. a. VII ს.) იგი გამოეყოფა გვარს და ინდივიდად იქცევა, რაც სულიერ ცხოვრებაში ლირიკული პოეზიის წარმოშობას მოასწავებდა, რომლის უდიდესი წარმომადგენლები არიან არქილოქე, პინდარე, ანაკრეონტი და სხვები. გვარისაგან განთავისუფლებულმა ინდივიდმა პირველად იგრძნო პირადი

პასუხისმგებლობა, მარტოობა და სამყაროში ყოფნის ტრაგიკულობა. კოლექტიურ შეგნებაზე აგებულმა ძველმა წესებმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა. ინდივიდს უიმედობის და პესიმიზმის განცდები დაეუფლა. „ადამიანისათვის სჯობდა, რომ ის არ დაბადებულიყო, – მოსთქვამს VI საუკუნის ლირიკოსი თეოგნიდე, – და რაკი დაიბადა, უკეთესია, რაც შეიძლება ადრე მოკვდესო.“ როდესაც ღვთაება ადამიანს ქმნიდა თიხისგან, მან ეს თიხა ცრემლებში მოზილა და ამიტომ ცრემლითა და მწუხარებით არის აღვსილი ჩვენი ცხოვრებაც, ჩივის ამავე ხანის სხვა ლირიკოსი. განსაკუთრებით განვითარდა ლირიკული ელეგიის უახრი (ბერძნულია „ელეგია“ და „ვაის თქმას“ ნიშნავს).

„სოციალურმა შეხლა-შემოხლამ გააღრმავა ადამიანის ზნეობრივი შეგნება, – წერს ს. დანელია. მას უკვე აღა-მაყოფილებს ეპოსის ღმერთები, რომლებიც უფრო ბუნების კანონების პერსონიფიკაციას წარმოადგენენ, ვიდრე ზნეობრივი იდეალის განსახიერებას. თუ ზევსი ღმერთია, რატომ არ მოუღებს იგი ბოლოს უსამართლობას, რომელიც მეფობს ამ ქვეყნად? ორში ერთი: თვითონ ღმერთი ყოფილა ან უსამართლო, ან უძლური. ასეთი აზრები ებადებოდა მეექვსე საუკუნის საპერძეოთში არა ერთ მონინავე პიროვნებას (თეოგნიდე), რომელიც ცხოვრების გართულებამ დააფიქრა რელიგიის საკითხებზე. აქ გაიბზარა ის ძველი ჰარმონიული მსოფლმხედველობა ბერძენისა, რომელიც ბუნებას შვილური გრძნობით უყურებდა. აქ ადამიანმა პირველად იგრძნო დისპარმონია ბუნებასთან დაშეიგნო თავისი დამოუკიდებელი „მე“ (5. 77-78).

2) რაც შეეხება თვითშემეცნების ჩასახვისა და შემეცნების თეორიის წარმოშობის საკუთრივ ფილოსოფიურ წანამძღვრებს, აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ სკეპტიკიზმი. თვით ფილოსოფიაც სკეპტიკური წარმოშობისაა.

სკეპტიციზმი, როგორც ცნობილია, არის გარკვეული თვალსაზრისი, თავისებური ტიპის აზროვნება, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს, საბოლოო ანგარიშით კი უარყოფს ადამიანის მიერ სინამდვილის შემეცნების, მის შესახებ საყოველთაო და ობიექტური ცოდნის მოპოვების შესაძლებლობას და, აქედან გამომდინარე, გარკვეულ ეთიკურ დასკვნებამდე მიდის. ამ მხრივ, იგი, როგორც თეორიული თვალსაზრისი, მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის პრაქტიკულ ყოფიერებასთან, საერთოდ ცხოვრების მსოფლმხედველობრივ პოზიციასთან. ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საგულისხმოა ჩვენთვის, ვინაიდან სკეპტიკოსებმა შემეცნების რაობის პრობლემა ორგანულად დაუკავშირებს ადამიანის რაობის, მისი ზნეობრივი დანიშნულების საკითხს და ამით არსებითად სწორადგანსაზღვრეს შემეცნების თეორიის ძირითადი ამოცანები და საბოლოო მიზანი.

ე. ნ. გულუბრყვილო რეალიზმის მიხედვით, რომელიც ადამიანური აზროვნების საწყის ეტაპს გამოხატავს, ადამიანის მიერ სინამდვილის შემეცნების შესაძლებლობა თავისთავად ცხად და გასაგებ ვითარებად არის მიჩნეული: ივარაუდება, რომ ჩვენი წარმოდგენები გარე სინამდვილეზე შეესაბამება და ადექვატურად ასახავს მას. შემმეცნებელი სუბიექტის მიერ ტრანსუბიექტური რეალობის წვდომის შესაძლებლობა მის მიერ ეჭვს გარეშეა დაყენებული, საგნობრივი ვითარების შესახებ გრძნობადი აღქმის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას სრული ნდობა აქვს გამოცხადებული. შესაბამისად, შემეცნების ფენომენზე საგანგებო ფილოსოფიური რეფლექსია აზროვნების ამ ეტაპზე იმთავითვე ზედმეტ საქმიანობად არის მიჩნეული.

მაგრამ ადამიანური შემეცნების თანდათანობითი განვითარების პროცესში აღმოჩენილი სიძნელეები ნიადაგს აცლის გულუბრყვილო რეალიზმის ამგვარ პოზიციას: სინამდვილის კანონზომიერების უფრო ღრმად შემეცნების მცდელობისას აზროვნება აწყდება წინააღმდეგობას და, ამრიგად,

ჭეშმარიტების ძიების გზაზე სერიოზულ შეფერხებას განიცდის. ამის გამო ადამიანის გონება იძულებული ხდება მოახდინოს საკუთარი შემეცნებითი უნარების რევიზია, რომლის მეოხებითაც გარე სამყაროს შესახებ ჭეშმარიტი ცოდნის მოპოვებას ლამობდა. აზროვნების გარე სინამდვილეზე მიპყრობილი მზერა თვითონ შემეცნებაზე გადააქვს; ის უკვე თვითონ შემეცნების კანონზომიერებას იხდის შემეცნების საგნად, მასზე აზროვნებს, მის საგანგებო „ობიექტივაციას“ ახდენს. ეს იყო უდიდესი შემობრუნება ბუნებიდან ადამიანისაკენ, შემეცნებიდან თვითშემეცნებისაკენ, რომელიც შემეცნების თეორიის როგორც შემეცნებაზე ფილოსოფიური მოძღვრების ჩასახვასა და წარმოშობას მოასწავებდა. ამ წარმოშობის სათავეში სკეპტიციზმი დგას. თუ არა ეჭვი და სკეპსისი ადამიანის გონება „დოგმატურ ძილს“ მიეცემოდა და მის წინაშე არასოდეს დადგებოდა შემეცნების უფრო მტკიცე და სანდო ნიადაგზე დაფუძნების ამოცანა. შეიძლება ითქვას, ეჭვმა იგივე როლი შეასრულა ადამიანის თვითშემეცნების განვითარებაში, რაც გაკვირვებამ ფილოსოფიური აზროვნების წარმოშობაში. ამიტომაც, არისტოტელეს მიხედვით, გაკვირვებაა ფილოსოფიის საწყისი, ვინაიდან ადამიანები, როგორც თავდაპირველად, ისე ახლაც გაკვირვების შედეგად იწყებენ ფილოსოფოსობას. (2. 69) შემდეგ პაიდეგერმა განმარტა: „გაკვირვების პათოსი ისე უბრალოდ არა დგას ფილოსოფიის დასაწყისში, როგორც, მაგალითად, ოპერაციას წინ უძღვის ქირურგის მიერ ხელების დაბანვა. გაკვირვება თავიდან ბოლომდე ფლობს და განაგებს ფილოსოფიას“ (12. 443).

სამეცნიერო ლიტერატურაში განასხვავებენ ანტიკური სკეპტიციზმის ორ ძირითად განშტოებას – პირონიზმსა და ე.წ. აკადემიურ სკეპტიციზმს, რომელიც წარმოიშვა პლატონის აკადემიაში. უკვე ბერძნულმა სკეპტიციზმმა ყურადღება გაამახვილა შემეცნების თითქმის ყველა ძირითად სიძნელეზე, რომელიც შემდეგ მისი თვალსაჩინო წარმომადგენ-

ლის ენეზიდემეს მიერ ე.წ. ტროპების სახით იქნა ჩამოყალიბებული.

სკეპტიციზმის დასაბამი ზოგიერთ მკვლევარს ჰომეროსთან გადააქვს (იხ. 8, 9). მიუთითებენ აგრეთვე შვიდ ბრძენთა, ჰერაკლიტეს, დემოკრიტეს და სხვა ფილოსოფოსთა ცალკეულ გამონათქვამებზე, რომლებიც ფართოდ შეიცავენ სკეპსისის ელემენტებს. სკეპტიციზმის ძლიერი ტენდენცია გაპატონებული ყოფილა დემოკრიტეს მოწაფებში. მაგალითად, ცნობილია ანაქსარქე აბდერელის გამონათქვამი იმის შესახებ, რომ „მან ისიც კი არ იცის, რომ არაფერი არ იცის“ (წინააღმდეგ სოკრატეს ცნობილი პრინციპისა, რომ „მან ის მაინც იცის, რომ არაფერი არ იცის“).

ძველი ბერძნული სკეპტიციზმის ფუძემდებლად ითვლება პირონი, რომელმაც ჩამოყალიბა მისი ყველა ძირითადი პრინციპი. იგი აყენებს სამ ძირეულ კითხვას: 1. როგორია საგანთა ბუნება? 2. როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება მათდამი? 3. რა შედეგები გამომდინარეობს ჩვენთვის საგნებისადმი ამგვარი მიმართებიდან? (ეს კითხვები ახალ დროში კანტის მიერ დაყენებულ კითხვებს მოგვაგონებს). სამივე ამ კითხვაზე პირონი უაღრესად სკეპტიკურ პასუხს იძლევა. საგანთა ბუნების შესახებ ჩვენ პრინციპულად არ შეგვიძლია რაიმე ვიცოდეთ, ვინაიდან შემეცნების ორივე უნარი – როგორც გრძნობადი, ისე გონებრივი – ფაქტიურად გვაცდენენ. პირონის აზრით, ყოველ მტკიცებას შეიძლება დავუპირისპიროთ თანაბარი ძალისა და მნიშვნელობის საწინააღმდეგო მტკიცება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამ ორი მტკიცებიდან არც ერთია ჭეშმარიტი და არც მეორე. ისინი თანაბარი ძალისანი არიან. აქედან გამომდინარეობს პასუხი პირონის მიერ დასმულ მეორე კითხვაზე: საგნებისადმი ჩვენი დამოკიდებულება უნდა იყოს უკიდურესად სკეპტიკური. არაფერზე არ უნდა გამოვთქვათ ჩვენი აზრი და თავი შევიკავოთ ყოველგვარი მსჯელობებისაგან. თავშეკავება („ეპო-

ხე“) წარმოადგენს პირონისტული სკეპტიციზმის საბოლოო და აუცილებელ შედეგს. რაკი არაფრის ცოდნა არ ძალგვიძს, სამყაროს წინაშე ყოვლად ბრძნული დუმილი გვამრთებს.

ასეთი თვალსაზრისიდან პირონიზმი აკეთებს თავისებურ ეთიკურ დასკვნებს, რომლებიც ფაქტიურად მესამე კითხვის პასუხს წარმოადგენს. ადამიანური ცხოვრების ზნეობრივი იდეალია სრულყოფილება, რაც უშფოთველობის, აუმღვრევლობის, გარკვეული სულიერი სიმშვიდის („ატარაქსია“) და აბსოლუტური განურჩევლობის, გულგრილობის („ადიაფორის“) მდგომარეობის მიღწევაში გამოიხატება. ზნეობრივად სრულებრივი, ბრძენი არის ის, ვინც ახერხებს შინაგანი სულიერი წონასწორობის, სიმშვიდის მოპოვებას და შენარჩუნებას. შემდეგ სტოელი ეპიქტეტე იტყვის: საგნები კი არ გვაშფოთებენ ჩვენ, არამედ ჩვენი წარმოდგენები საგნებზე. „საბოლოო მიზნად – წერს დიოგენე ლაერტი– სკეპტიკოსები თვლიან მსჯელობისაგან თავშეკავებას („ეპოხე“), რომელსაც როგორც აჩრდილი თან ახლავს უმღვრეველობა („ატარაქსია“). პირონისტული სკეპტიციზმის საბოლოო შედეგია ნიჰილიზმი.

სკეპტიციზმა შემეცნების რეალურ სიძნელეებზე მითითებით ხელი შეუწყო შემეცნების თეორიის წარმოშობას. სამართლიანდ აღნიშნავდა ს. წერეთელი: „სკეპტიციზმი მცდარია, რადგან ჭეშმარიტების უარყოფა შეუძლებელია. ჭეშმარიტების უარყოფის დროს აზროვნება იძულებულია აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიიღოს ის დებულება, რომელიც ჭეშმარიტებას უარყოფს.“ და შემდეგ: „მაგრამ სკეპტიციზმის დამსახურება ის არის, რომ მან აღმოაჩინა მრავალი ისეთი სიძნელე, რომელთა გადაწყვეტა აზროვნების განვითარებამ ამოცანად დაისახა; ზოგიერთი სიძნელე გადაწყდა და ზოგიერთი დღესაც ელის დაძლევას“ (11. 426).

ახლა უკვე, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, შეიძლება დავსვათ სრულიად კანონიერი კითხვა, თუ სად, ფილოსო-

ფიის ისტორიის რომელ ეტაპზე და კონკრეტულად რომელ მოაზროვნესთან განხორციელდა აღნიშნული დიადი შემობრუნება სამყაროს შემეცნებიდან ადამიანის თვითშემეცნებისაკენ, რაც, თავის მხრივ, ონტოლოგიიდან გნოსეოლოგიაზე გადასვლას და, შესაბამისად, შემეცნების თეორიის აღმოცენებასაც მოასწავებდა. ასეთი შემობრუნების პუნქტად თითქმის ერთხმად მიჩნეულია სოკრატეს ნააზრევი, მისი ეთიკურ-ფილოსოფიური მოძღვრება. ითვლება, რომ სოკრატეთი მთავრდება ანტიკური ბერძნული აზროვნების ე.წ. ნატურფილოსოფიური ანუ კოსმოლოგიური პერიოდი და დასაბამი ეძლევა ანთროპოლოგიურ პერიოდს, ვინაიდან სოკრატე იყო პირველი, ვინც ადამიანი დააყენა ფილოსოფიური აზროვნების ცენტრში და „ფილოსოფია ზეციდან მიწაზე ჩამოიყვანა“ (ციცერონი).

მაგრამ ეს გამიჯვნა ანტიკური ფილოსოფიის ამ ორი პერიოდისა ერთობ პირობითა, ვინაიდან პირველ პერიოდშიც იდგა თავისებურად გნოსეოლოგიური ხასიათის პრობლემები, ისევე როგორც მეორე პერიოდს არ უთქვამს უარი ონტოლოგიური საკითხების კვლევა-ძიებაზე. სოკრატემდელი პერიოდის ფილოსოფოსთა ონტოლოგიურ ნააზრევში ჩვენ შეიძლება ამოვიკითხოთ მათი შემეცნებისთეორიული შეხედულებები. სწორედ ამ აზრით, ს. დანელია სრულიად სამართლიანად ლაპარაკობს დემოკრიტესა და წინასოკრატული ფილოსოფიის სხვა წარმოდგენებსა და შეხედულებებზე შემეცნების, ცოდნის ბუნების შესახებ (6. 7) ოღონდ საქმე ისაა, რომ ეს ცალკეული წარმოდგენები ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ლოგიკურად მწყობრი თეორიის, სისტემატურად განვითარებული თვალსაზრისისა თუ კონცეფციის სახით. ამდენად, არ შეიძლება ვიმსჯელოთ, ვთქვათ პერაკლიტეს ან დემოკრიტეს შემეცნების თეორიაზე როგორც შემეცნების შესახებ სისტემურ ფილოსოფიურ მოძღვრებაზე, მაგრამ შემეცნების თაობაზე მათი ცალკეულ შეხედულებებზე ლაპარაკი სრულიად კანონზომიერია და გამართლებული.

როცა ანთროპოლოგიურ შემობრუნებაზე ვლაპარაკობთ, საქმე ეხება არა ონტოლოგიის უარყოფას, არამედ იმას, რომ ონტოლოგია გნოსეოლოგიის გარეშე არ არის სრული. ჯერ სოფისტებმა, ხოლო შემდეგ უფრო საფუძვლიანად სოკურა-ტემ და პლატონმა აჩვენეს, რომ ადამიანის არსების, მისი თვითშემეცნების გარეშე სინამდვილის ონტოლოგიური სუ-რათი არათუ სრული არ არის, არამედ საერთოდ არ არის სწორი. სოკურატესთან ასე რადიკალურად ამიტომ დაისვა ადამიანის თვითშემეცნების პრობლემა. მან დელფოს სამის-ნოს მოწოდება – „შეიცან თავის შენი!“ პირველად აქცია ფი-ლოსოფიური აზროვნების პრინციპად და მეთოდურ მოთ-ხოვნად. მანვე ჩამოაყალიბა ცნობილი „სოკურატული ირონი-ის“ (მაიევტიკის) პრინციპი – „მე ვიცი, რომ არაფერი არ ვი-ცი“, რითაც იგი კრიტიკული აზროვნებისა და, საერთოდ, ფი-ლოსოფიური კრიტიკის საფუძვლის ჩამყრელად გვევლინე-ბა.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი ფილო-სოფიური აზროვნების ცენტრში სოკურატემდე სოფისტებმა დააყენეს. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სოკურატე თავის თანამედროვეებს ხშირად სოფისტებში ერეოდათ (კომედი-ოგრაფმა არისტოფანემ თავის „ღრუბლებში“ იგი სოფისტად წარმოადგინა). პირველად სწორედ პროტაგორამ – სოფის-ტური სკოლის მამამთავარმა წამოაყენა პრინციპი: „ადამია-ნი არის საზომი ყველა საგანთა: არსებულთა, რამდენადაც ისინი არიან, და არარსებულთა, რამდენადაც ისინი არ არ-ან“, რომელსაც ჰეგელმა დიადი პრინციპი უწოდა. „აქ გა-მოთქმულია ის დიადი აზრი, – ამბობს ჰეგელი – რომლის გარშემო იტრიალებს ყოველივე ამიერიდან“ (13. 24). სოფის-ტებმა პირველებმა შემოიტანეს ინდივიდუალობის პრინციპი აზროვნებაში და მიუთითეს მის განსაკუთრებულ ღირებუ-ლებზე ფილოსოფიისათვის. ამ მხრივ ჰეგელმა სრულიად სამართლიანად მოახდინა სოკურატესა და პლატონის მიერ ერთგვარად კომპრომეტირებული სოფისტიკის რეაბილიტა-

ფია და მიუთითა მის კანონიერ დამსახურებაზე ევროპული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში.

რამდენადაც დიდია პროტაგორას პრინციპი, იმდენად თავზარდამცემი და შოკისმომგვრელი იყო იგი იმდროინდელი ბერძენისათვის. კანონები, რომლებიც ღვთაებრივი წარმოშობისად (ღმერთის დადგენილად) მიაჩნდათ მანამდე, თურმე ადამიანთა შეთანხმების (კონვენციის) შედეგი ყოფილა და მეტი არაფერი. სოკრატე უფრო შორს წავიდა და ღმერთები ჩვენი გონების მიერ შემუშავებულ ცნებებად გამოაცხადა, სოკრატეს ცნობილი „დემონი“ სხვა არა იყო რა, თუ არა თვითონ სოკრატეს გონება. გონების ეს კულტი გამორიცხავდა ღმერთების ჩარევას ადამიანთა საქმეებში, რაც წარმოუდგენელი იყო წარმართული მსოფლმხედველობისათვის. ეს იყო მომაკვდინებელი დარტყმა ბერძენთა პოლიტეისტურ ცნობიერებაზე. აკი სოკრატე სიკვდილით დასაჯეს კიდეც.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, კოსმოლოგიდან ანთროპოლოგიისკენ წამდვილი შემობრუნების ავტორად მაინც სოკრატე უნდა მივიჩნიოთ. სრულიად მართებულად ასეთ პოზიციას იცავს ძველი ბერძენული ფილოსოფიის ცნობილი მკვლევარი ს.დანელია და ცდილობს მის დასაბუთებას. ს. დანელია ანტიკური ფილოსოფიის განვითარებაში ტრადიციისამებროვ პერიოდს გამოყოფს – კოსმოლოგიურსა და ანთროპოლოგიურს. კოსმოლოგიურიპერიოდის მოაზროვნები უმთავრესად ბუნების მოვლენების შემეცნებაზე იყვნენ ორიენტირებული. „თუკი ამ პერიოდის ფილოსოფია ეხებოდა? – წერს ს. დანელია, – იგი მას ისე შეისწავლიდა, როგორც ბუნების სხვა მოვლენებს (მაგალითად, თევზს ან ლოკოკინას), ე.ი. შეისწავლიდა გარეგანი დაკვირვების იმ მეთოდებით, რომლითაც სარგებლობს ბუნებისმეტყველი ან ფიზიკოსი საკუთარი პრობლემების გადაწყვეტის დროს.“ (7. 66) იგი არსებითად ვერ ხედავდა ადამიანის სპეციფიკას და მას ბუნების სხვა მოვლენების გვერდით აყენებდა. ეს იყო

განხილვის ფიზიკალისტური მეთოდი, რომელიც არ გამოდგება ადამიანის მიმართ. „აქედან გასაგებია, – აღნიშნავს ს. დანელია – კოსმოლოგიური პერიოდის მოაზროვნეს ადამიანში შეეძლო მხოლოდ ის შეენიშნა, რაც ფიზიკური მეთოდის საშუალებით შეინიშნება ხოლმე (7. 66). მართალია, სოფისტებმა ადამიანი ფილოსოფიის ცენტრში დააყენეს, მაგრამ მათ ვერ შეძლეს ადამიანის შემეცნების შესატყვისი მეთოდისა და აზროვნების სტილის გამომუშავება და მთლიანად ძველი, კოსმოლოგიური აზროვნების ჩარჩოებში დარჩნენ. სოფისტები ვერ ამაღლდნენ ადამიანის, როგორც ბუნების მოვლენებისაგან თვისებრივად განსხვავებული სუბიექტის, პიროვნების გაგებამდე, თუმცა ნიადაგი შეამზადეს ამგვარი გაგებისა და მისი შესაბამისი მეთოდის შემუშავებისათვის. ადამიანის არსების ამ სრულიად ახლებური გაგებისა და მისი შემეცნების შესატყვისი მეთოდების ჩამოყალიბება წილად ხვდა სოკრატეს, რომელმაც დაძლია კოსმოლოგიური პერიოდის ფიზიკალისტური აზროვნების მეთოდი. სოკრატესა და სოფისტებს შორის განსხვავება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის შემეცნების სხვადასხვა მეთოდებში გამოიხატება. „სოფისტებისაგან განსხვავებითსოკრატე არ დაკმაყოფილდა იმით, რომ აზროვნებას ახალი საგანი გაუჩნდა, არამედ საჭიროდ სცნო მოენახა აზროვნების ახალი მეთოდიც, რომელიც ფიზიკოსებისთვის უცნობი იყო. ეს კი გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ სოკრატე უფრო რადიკალურად გაემიჯნა ძველ ფიზიკას, ვიდრე ეს სოფისტებმა შეძლეს.“ – სავსებით მართებულად ასკვნის ს. დანელია (7. 76)

ამრიგად, სოკრატემ აჩვენა: 1. ყოველგვარ ადამიანურ შემეცნებას, ნებისმიერ კონკრეტულ ცოდნას სინამდვილის ამა თუ იმ სფეროზე ლოგიკურად წინ უნდა უსწრებდეს თვითონ შემეცნების რაობის, ცოდნის ბუნების გამოკვლევა. რაიმეს შესახებ ცოდნა ლოგიკური აუცილებლობით (ტრანსცენდენტალურად) გულისხმობს თვითონ ცოდნის არსების

ცოდნას წინასწარ მოცემულად. შესაბამისად, ზოგადის ცოდნა, ცნებითი შემეცნება უფრო ნამდვილია (აპოდიქტიკური) და ლოგიკურად წინ უსწრებს ერთეული მოვლენების შესახებ ჩვენს წარმოდგენებსა და შეხედულებებს, როგორც მოჩვენებით და არაჭეშმარიტ ცოდნას. ამიტომ სოკრატეს ღრმა რწმენით, შემეცნების, ცოდნის რაობის შესახებ დასმული კითხვა, თავისი საზრისისა და მნიშვნელობის მიხედვით, ყველა სხვა კითხვაზე ძირეულია და უწინარესი. 2. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო მომენტი სოკრატეს ნააზრევისა ის არის, რომ აქ პირველად მთელი პრინციპულობით ცოდნის რაობის ძიების პრობლემა ორგანულად დაუკავშირდა ადამიანის რაობის, მისი ზნეობრივი თვითშემეცნების პრობლემას. სოკრატემ აჩვენა, რომ ადამიანის ზნეობრივი თვითშეგნება მის თვითშემეცნებაზეა დაფუძნებული, რის გამოც სიკეთე არის გააზრებული ცოდნის აღსრულება და არა გარეგანი წესებისადმი ბრმა მიღევნება. ამ ვითარებას კარგად გამოხატავს სოკრატეს ცნობილი დებულება – ცოდნა არის სიკეთე, რომლის სიღრმე და ლირებულება, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამაში უნდა დავინახოთ. ზნეობრივია მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც საკუთრებასა და თვითშეგნებას ემყარება და არა ტრადიციას ან ლოთარებრივი გამოცხადების ავტორიტეტს. სოკრატესთან ცოდნის არსების პრობლემა ისმის არა როგორც თვითმიზნური, საკუთრივ გნოსეოლოგიური და ამ აზრით თვითკმარი საკითხი, არამედ როგორც ეთიკური პრობლემატიკისადმი დაქვემდებარებული და, საბოლოო ანგარიშით, ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი პრობლემა. იმის გარკვევა, თუ რა არის სიკეთე, ჭეშმარიტება, მშვენიერება, სამართლიანობა, სიმამაცე და ა.შ. ადამიანის ბუნების, მისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკური დანიშნულების, მისი ცხოვრების საზრისისა და ზნეობრივი არსების შემეცნებას ნიშნავს. ამიტომ სოკრატეს მიერ შემუშავებული ირონისა და მაიევტიკის მეთოდები ადამიანის მიერ საკუთარი ყოფიერების თვითგაგებისა და

ზნეობრივი თვითსრულყოფის ამ უმაღლესი მიზნის მიღწევის საქმეს ემსახურება. ცოდნაზე მოძღვრება, ცოდნის თეორია სოკრატეს ზოგადი ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური და ეთიკური მოძღვრების ორგანული და განუყოფელი ნაწილია. სოკრატეს ლრმა ჩანაფიქრითა და თავდაპირველი განზრახვით, შემეცნებაზე მოძღვრება, ცოდნის თეორია ისევე არის ადამიანის არსებაზე მოძღვრება, როგორც ეთიკა. შემეცნების თეორიას არანაკლებ ევალება ეთიკასთან ერთად გაგვაგებინოს ადამიანის ადგილი და ზნეობრივი დანიშნულება, სინამდვილის საზოგადოებრივსა და ბუნებრივ წყობაში.

შემეცნების თეორიის ადამიანის ზნეობრივ არსებასთან დაკავშირების სოკრატული ტრადიცია დავიწყებას მიეცა და თითქმის გაქრა პოზიტივისტურ და სტრუქტურალისტურ ეპისტემოლოგიაში. იგი დაყვანილი იქნა მეცნიერული ცოდნის ლოგიკურ-მეთოდოლოგიურ ანალიზზე. მ. ფუკო აცხადებს, რომ „დღეს აზროვნება შესაძლებელია მხოლოდ ცარიელ სივრცეში, სადაც უკვე აღარ არის ადამიანი“ (10, 438). ამგვარი სულისკვეთების სათავესთან დგას ნიცვე, რომელმაც კაცობრიობას ღმერთის სიკვდილთან ერთად ადამიანის სიკვდილიც აუწყა, რამეთუ ღმერთი და ადამიანი ურთიერთის თანაარსნი არიან (10. 437).

შემეცნების თეორია, როგორც ადამიანის თვითშემეცნების გაგება, დასაბამს სოკრატესთან იღებს და იგი დავიწყებას არ უნდა მიეცეს. მ. ჰაიდეგერი ხსნასა და გამოსავალს ამიტომაც ხედავს ბერძნული ონტოლოგიური აზროვნებისადმი დაბრუნებაში.

ლიტერატურა:

1. ავალიანი ს, „თეორიული გონების სტრუქტურა“, ფილო-სოფიური ძიებანი, კრ. XII, თბ., 2008
2. არისტოტელე, თხზულებათა I ტომი, მოსკოვი, 1976 (რუსულ ენაზე)
3. ბოლნოვი ო, „შემეცნების ფილოსოფია“, შტუტგარტი, 1970 (გერმანულ ენაზე)
4. დანელია ს, „ქსენოფანე კოლოფონელის მსოფლმხედველობა“, თბ., 1925
5. დანელია ს, ანტიკური ფილოსოფიის ნარკვევები, თბ., 19..
6. დანელია ს, ფილოსოფიური გამოკვლევები, თბ., 1977 (რუსულ ენაზე)
7. დანელია ს, ნარკვევები ანტიკური და ახალი ფილოსოფიის ისტორიაში, თბ., 1976
8. ლოსევი ა, შესავალი წერილი წიგნისთვის „სექსტ ემპირიკოსი, თხზ. ორ ტომად, ტ. I, მოსკოვი, 1976 (რუსულ ენაზე)
9. რიხტერი რ, „სკეპტიციზმი ფილოსოფიაში“, სპბ, 1910 (რუსულ ენაზე)
10. ფუკო მ, სიტყვები და საგნები, მოსკოვი, 1977 (რუსულ ენაზე)
11. წერეთელი ს, ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1968
12. ჰაიდეგერი მ, „რა არის ეს – ფილოსოფია?“, მიმომხილველი, თსუ, 1972)
13. ჰეგელი გ.ვ.ფ, თხზულებათა ტ.10, მოსკოვი, 1932 (რუსულ ენაზე)

Napo Kvaratskelia – doctor of Philosophy, Professor. Academician-secretary of the Academy of Philosophical Sciences of Georgia. Studies problems of theoretical philosophy (ontology, gnosiology), He is the author of more than 100 scientific works in these spheres of science. Lectures on these problems.

PREMISES OF FORMING THEORY OF COGNITION

ABSTRACT

The article deals with two premises of the theory of cognition: transition from epos to lyrics and turning thinking from cognition of nature towards self-cognition of man performed by Socrates.

ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ონტოლოგიის, გნოსეოლოგიისა და ლოგიკის განყოფილებაში.

არსენ ბურჯალიანი – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი. მუშაობს ფილოსოფიის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო წარომი მეცნიერების ამ სფეროში.

ლია მეტრეველი – განათლების მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. არის სახელმძღვანელოების ავტორი. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები როგორც საქართველოში ასევე უცხოეთში. მონაცილეობა აქვს მიღებული არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. ძირითადად მუშაობს ფილოლოგისა და განათლების პრობლემებზე.

გრძელებათა და შეგრძნებათა ურთიერთობის საკითხი ფილოსოფიაში (ფენომენოლოგია)

გრძნობათა, ემოციათა და შეგრძნებათა ურთიერთობიმართებას მეტ-ნაკლებად ყველა მოაზროვნე აქცევდა ყურადღებას. მაგალითად ფ. ბეკონი, ჯ. ლოკი, ჯ. ბერკლი, თანამედროვეობაში მაგ. მ. შელერი და სხვანი.

მ. შელერი თავის ფილოსოფიურ შეხედულებებში ერთომეორესთან ურთიერთობაში განიხილავს ღირებულების პრობლემას და შეგრძნებების აუცილებლობას ღირებულებათა განსაზღვრებისა და შეფასების საკითხში. შელერის აზრით, ერთომეორისაგან პრინციპულად უნდა იქნეს განსხვავებული ინტენციონალური გრძნობა (Fühlen) და ემპირიული გრძნობა (Zinnliche Zefühle). ემპირიული გრძნობა, ემოციური ცხოვრების ოთხ ფენას შორის, პირველი და ყველაზე დაბა-

ლი საფეხურია. იგი ყველა სხვა გრძნობისაგან განსხვავებით მოცემულია ტანის (სხეულის)³ განსაზღვრულ ადგილზე, მას შეუძლია „შეგრძნობადად“ განთვენა. ემპირიული გრძნობა არასოდეს არაა ობიექტს მოკლებული, მაგრამ მ. შელერის აზრით, ინტენციონალური დამოკიდებულება ობიექტის მიმართ მას არასოდეს არა აქვს. ეს ნიშნავს იმას, რომ ემპირიული გრძნობა ყოველთვის მოცემულია როგორც ფსიქოლოგიური მდგომარეობა და როგორც გ.შუშანაშვილი ფიქრობს⁴ – არასოდეს, როგორც ფუნქცია და აქტი. ეს გრძნობა პერსონისაგან ყოველთვის დამოუკიდებლად არსებობს. ემპირიული გრძნობის გარდა შელერი ადამიანის ემოციურ ცხოვრებაში გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კიდევ სამ ფენას გამოყოფს ერთმანეთისაგან: 2. არის ე.წ. ტანის გრძნობა როგორც ფსიქური მდგომარეობა და სიცოცხლის გრძნობა, როგორც ფუნქცია, 3. წმინდა სულიერი გრძნობა (წმინდა შეგრძნება) და 4. გონისეული გრძნობა (პიროვნულობის გრძნობა).

გრძნობათა შელერისეულ კლასიფიკაციაში პირველი ორი სახე გრძნობებისა ფაქტიურად არ არის გრძნობა, არა-მედ მხოლოდ შეგრძნებები. მაშასადამე, ემპირიული გრძნობა და სხეულისეული გრძნობები განეკუთვნებიან მხოლოდ შეგრძნებებს მათი ლოკალური და არაგლობალური ბუნების გამო. ის გრძნობები კი, რომლებიც აღმოცენდებიან შეგრძნებათა და აღქმათა შემდეგ არიან სულიერი გრძნობები (Zeclische gefühle), რომელსაც შელერი თავის კლასიფიკაციაში წმინდა მე–ს გრძნობებს უწოდებს. განსხვავებით სულიერი გრძნობებისაგან ემპირიული გრძნობა, მისი არსების მიხედვით არის განსაკუთრებულად აქტუალური ნამდვილი

³ M. Cheheler. Der Formalismus in der Ethik und die materiale Wertethik. Bd. 2. Bern. 1954. s. 59.

⁴ გ. შუშანაშვილი. ღირებულების იდეალისტური გაგების კრიტიკა. თბ. 1987. გვ. 26.

მდგომარეობა. ეს, შელერის აზრით, ნიშნავს, იმას, რომ ემპი-რიული გრძნობისათვის არ არსებობს არავითარი ჭეშმარიტი გრძნობადი გახსენება და გრძნობადი მოლოდინი, ანუ უფრო მკვეთრად რომ ვთქვათ – არ არსებობს არავითარი „განმეო-რებითი გრძნობა“. არავითარი წინათგრძნობა, ამის გამო არ არსებობს არავითარი „თანაგრძნობა“ ემპირიული გრძნობი-სა. მისი განსაკუთრებული ფორმა არის მისი დრო და ადგი-ლი სხეულზე. ჩვენ საგსებით შეგვიძლია მოგონების და რეპ-როდუქციის საშუალებით მოვიგონოთ ეს საგნები, რომელე-ბიც იყვნენ, ან არიან მისი გამღიზიანებლები და ამის საფუძ-ველზე მსგავსი ემპირიული გრძნობა ჩვენთვის (კლებად ხა-რისხი) გამოვავლინოთ. მაგრამ ეს, შემდეგ, არის მახლობე-ლი ემპირიული გრძნობა და მოცემულია, როგორც ასეთი.⁵ შელერი მართალია იმაში, რომ ემპირიული გრძნობის „თა-ნაგრძნობა“, ან „წინგრძნობა“ შეუძლებელია საერთო გრძნობის სფეროში, ვინაიდან მე არასოდეს სიზუსტითა და სიცხადით არ შემიძლია ვიცოდე, რას და როგორ განიცდის სხვა, არამედ მე განვიცდი მხოლოდ ჩემს თავს და ჩემი ტკი-ვილით „ვადგენ“, მსგავს სიტუაციაში, „სხვის“ ტკივილს, ე.ი. მე „სხვისი“ კი არ მტკივა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ „ჩე-მი“ ტკივილი. ეს არის ყოველი ადამიანური ყოფიერების ულ-რმესი საფუძველი. „თანაგრძნობა“ არის ილუზია, „თითქო-სი“ (als ob), რომლის თანახმად ადამიანს თითქოს შეუძლია სხვისი გრძნობების განცდების გაზიარება, მაგრამ სინამ-დვილეში იგი მხოლოდ საკუთარ განცდებს იზიარებს. სხვისი განცდების გაზიარება, ან გაგება არის ფიქცია, რომელიც წარმოიშობა უსაფუძვლო ანალოგიის საფუძველზე. აღნიშ-ნული მოსაზრება გარკვეულ ანტისოციალურ, ანტიმორა-ლურ ელფერს ატარებს, მაგრამ ეს, მხოლოდ ერთი შეხედ-ვით. ადამიანი ყოველ სიტუაციაში თვითონ ირჩევს (კირკე-

⁵ M. Cheheler, იქვე, გვ. 346

გორი) თავის თავს, მას არ გააჩნია სხვა საკმაო საფუძველი თუ არა თავისი საკუთარი ყოფიერება, რომელიც სხვა არა-ფერია თუ არა განცდისეული ყოფიერება, „სხვისკენ“, სამყაროსაკენ „გასვლა“, არის თავის თავში ექსისტენციალური განათება“. ადამიანური ყოფიერება ანათებს მხოლოდ საკუთარ ყოფიერებაში. ეს სხვა არაფერია თუ არა სიმბოლური აზროვნება თავის თავით საკუთარი განცხდების საფუძველზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ობიექტურ ღირებულებებს ვწვდები, სინამდვილეში მე ღირებულებებს კი არ ვწვდები, არამედ მე მგონია რომ „თითქოს“ ღირებულებებს ვწვდები, სინამდვილეში, ჩვენის აზრით, მე ვწვდები მხოლოდ ჩემს საკუთარ განცდისეულ ყოფიერებას სიმბოლური და არა აქსიოლოგიური აზროვნების საფუძველზე. ადამიანი არის არა „სხვისი“ საზომი როგორც ეს სოფისტებს ეგონათ, არამედ ადამიანური ყოფიერება არის მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ყოფიერების საზომი. საკუთარი განცდისეული ყოფიერების საფუძველზე ადამიანი მხოლოდ თავის თავში რჩება, ვინაიდან იგი გარშემორტყმულია შეგრძნებებისა და აღქმების ციხესიმაგრით. მას ჰგონია, რომ შეუძლია განიცადოს „სხვა“ სამყარო, ადამიანური ყოფიერება და სულის უკვდავება, ე.ო. გამოვიდეს თავისი თავიდან და შეაღწიოს „სხვაში“, დაინახოს ობიექტური, აპრიორული ღირებულებები, მაგრამ ამაოდ ეს „სიზიპეს“ უსასრულო მუშაობად რჩება, ესაა ადამიანთა „გვარეობითი ილუზია“, მისწრაფება. მე ვერასოდეს ვერ გავიგებ სხვის განცდებს, გრძნობათა ინტენსივობას, შიშს, მწუხარებას, ვინაიდან მე ამისათვის არ გამაჩნია არავითარი სხვა საკმაო საფუძველი, თუ არა, მხოლოდ და მხოლოდ, ჩემი განცდისეული ყოფიერება ანუ სიმბოლური აზროვნება. მე ვარ საკმაო საფუძველი მხოლოდ ჩემი განცდისეული ყოფიერებისათვის და არა სამყაროსათვის, ან სხვა ადამიანისათვის. საკმაო საფუძვლის კანონი ყველაზე მკვეთრ გამოხატულებას სწორედ განცდისეულ

ყოფიერებაში პოულობს და არა ლოგიკაში. ლოგიკაში იგი ერთ-ერთ რიგით კანონად ითვლება. შეიძლება ითქვას, რომ აქ ლოგიკური და სიმბოლური ურთიერთშეხამებაში მოდიან.

სხვა ყოფიერება, სამყარო და სხვა ადამიანი რომ არსებობს, ამაში მე ეჭვი იმდენად არ შეიძლება შემეპაროს, რომ ისინი მეძლევიან მე ობიექტური ცდაში და მათ მიმართ შეიძლება გამოითქვას სინთეზურ-აპრიორული მსჯელობა, მაგრამ თუ როგორ განიცდის სამყარო ან სხვა ადამიანი თავის თავს, ეს ჩემთვის „ნოუმენია“, რის შესახებაც მე არ შემიძლია არაფერი მითხრას იმ ობიექტური სამყაროს შემეცნების უნარმა, რომელიც ოპერირებს ცენტებით და სინთეზურ-აპრიორული მსჯელობებით. ამდენად ემოციონალურ, ანუ ექსისტენციალურ ფენომენოლოგიას, სიმბოლურს არაფერი არ აქვს საერთო გნოსეოლოგიურ სოლიპსიზმთან. ჩვენის აზრით, გნოსეოლოგიური სოლიპსიზმი ჩნდება იქ, სადაც გრძნობებისა და ექსისტენციალურის სფეროში ხელოვნურად შეაქვთ შემეცნების სფეროც, ცნების სფეროც, როგორც მაგალითად ამას ადგილი აქვს კ. იასპერსთან.

იმისათვის რომ მე „გავიგო“, ვწვდე „სხვა“ ადამიანის, ან სამყაროს განცდებს, მე ამისათვის გამარჩნია მხოლოდ ჩემი საკუთარი განცდები ამ აზრით, შეიძლება ამ დებულებას სოლიფსიზმის ელფერი ჰქონდეს, მაგრამ ეს მოსაზრება შეიძლება ჩაითვალოს მართებულად თუ დამტკიცდება, რომ არ არსებობს ორი აბსოლუტურად ერთნაირი, იგივეობრივი განცდა და, მით უმეტეს, არ არსებობს ორი აბსოლუტურად იგივური ადამიანური ყოფიერება. ჯერ კიდევ ლაიბნიცმა დაამტკიცა, რომ არ არსებობს ორი აბსოლუტურად იგივე-ობრივი ფოთოლიც კი, რომ აღარ ვილაპარაკოთ ისეთ ურთულეს ფენომენზე, როგორიცაა ადამიანური ყოფიერება და მისი ექსისტენციალები.

„ექსისტენციალური სიმბოლიზმის“ ერთგვარ ხელოვნებისეულ გამოსახულებად შეიძლება ჩაითვალოს ე.ნ. „მსა-

ხიობის ფენომენი გარდასახვის წინააღმდეგ“, რაც ნიშნავს შემდეგს: მსახიობი თვლის, რომ მან უნდა შეასრულოს მის-თვის განკუთვნილი როლი სცენაზე, რაც მოითხოვს „სხვა“ – ში განცდისეულ შეღწევას და თავისი თავიდან „გამოსვლას“. ესაა მსახიობის ფენომენის ობიექტური გაგება. ფილოსო-ფოსმა კი იცის, რომ მსახიობის ფენომენი, გარდასახვა, წარ-მოადგენს არა „სხვა“ – ში შესვლას, როგორც ეს ერთი შეხედ-ვით, ობიექტურად გამოიყურება, არამედ „სხვის“ ძიების, სხვისი განცდების ძიებას თავის თავში. ესაა მისი არსება.

თუ მსახიობი „სხვა“ – ში შესვლას ცდილობს და იგი ასე გამოდის სცენაზე, იგი, უკეთეს შემთხვევაში, წარმოადგენს „საშუალო“ სახეს. ხოლო, როდესაც იგი თავის სულში, გან-ცდებში იხედება და, საუკეთესო შემთხვევაში, „პოულობს“ „სხვისი“ სულის განცდისეულ მოძრაობებს“, სიმბოლოებს, თავის თავში ტრაგედიის გავლით, მხოლოდ მაშინ შეუძლია მას მოიპოვოს აღიარება და უმაღლესი კათარზისი, რომელ-საც (ამ უკანასკნელს) მსახიობთან ერთად განიცდის თვით მაყურებელიც, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მაყურებელიც ასრულებს იგივე სიმბოლურ აპერაციას და ცდილობს საკუ-თარ სულში განიცადოს, იპოვოს „სხვისი“ განცდები, რომე-ლიც სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა „თვით“ (Zelbst).

ნაკლოვანია ის მსახიობი, რომელიც თავის თავს კი არ თამაშობს, თავის განცდებს კი არ განიცდის და გამოხატავს, არამედ ამაოდ ცდილობს ითამაშოს „სხვა“, შეაღწიოს სხვა-ში, ცდილობს გამოვიდეს თავისი თავიდან, მოსწყდეს საკუ-თარ განცდებს და შეიჭრას „სხვა“ – ში, „ითამაშოს“ „თით-ქოს“. ეს უკანასკნელი რეალურად პრინციპულ შეუძლებლო-ბას წარმოადგენს, და ილუზიათა რიცხვს მიეკუთვნება. მო-ნადას არ გააჩნია ფანჯრები, მას მხოლოდ თავისი თავი გა-აჩნია, როგორც აღნიშნავს ნიცშე „მსახიობს აქვს სული, მაგ-რამ ცოტა აქვს სულის ცნობიერება. იგი ყოველთვის ფიქ-რობს იმაზე, თუ რით გაიძულოს უფრო ძლიერად ირწმუნო –

გაიძულებს ირწმუნო შენი თავი⁶.⁶ აღნიშნულ ილუზიაზე ადამიანს იმდენად გააჩნია უფლება, რამდენადაც, საერთოდ, თვით ილუზიას აქვს უფლება ჭეშმარიტებაზე. „ზარატუსტრაში“ ნიცშეს ტერმინი „მსახიობის ფენომენი“ სწორედ იმით არის ლირსშესანიშნავი, რომ აქ ადამიანის ცდის თავის თავზე აღმოაჩინოს „სხვა“, საკუთარი განცდების საფუძველზე და ამ განცდების საფუძველზე მიგვანიშნოს იმ სიმბოლოებზე, რა თქმა უნდა, საკუთარი განცდების გადმოცემის საფუძველზე, რომლებიც, პოტენციალურად, შესაძლოა, არსებობენ ადამიანებში, ვინაიდან ჩვენ შეგრძნებებსა და აღქმებში ობიექტურად გვეძლევა სხვა ადამიანის მოძრაობა, ქცევა, მიმიკა, სიტყვა, ინტონაცია და სხვა, რომელთა საფუძველზე ჩვენ გარკვეულ განცდისეულ უშუალო „წვდომას“ ვახორციელებთ „სხვა“-ში, მხოლოდ მისი ჩემს საკუთარ განცდებთან შედარების საფუძველზე. ასეთი უშუალო „კავშირი“ „სხვასთან“ საკუთარი განცდების საფუძველზე ახასიათებს გრძნობას და არა განსჯას.

განსჯას კომუნიკაციისათვის ესაჭირეობა მხოლოდ და მხოლოდ ენა. სიტყვები და წინადადებები, თავისთავად, არ არიან განცდისეული შინაარსის მქონე. სიტყვებს არ ესაჭიროებათ განცდები, ვინაიდან სიტყვა, თავისთავად, არის ობიექტური, კონვენციონალური საზრისის მატარებელი, სადაც თვით საზრისი უნდა იყოს განცდის მატარებელი, თუმცა ეს შეუძლებლობას წარმოადგენს, ვინაიდან, თავისთავად, საზრისი, რომელიც სიტყვასა და წინადადებებშია ჩადებული, თვითაა ობიექტური, რომლის აღქმის შემდეგ იწყება მისი ემოციური, ან გნოსეოლოგიური გადამუშავება ცნობიერებაში. შესაძლებელია, ჩემში შემოვიდეს სიტყვა, წინადადება, სმენის ან ხედვის და სხვ. შეგრძნების ორგანოების საშუალებით, მაგრამ ჩემი ამით არ შემოდის სხივის განცდები, არამედ მხოლოდ ნიშნები.

⁶ ნიცშე ფ. ასე ამბობდა ზარატუსტრა. თბ. 1988. მაცნე 1-4.

განცდა გარკვეული აზრით თვითაა ენა, განსხვავებით განსჯისეული ენისაგან. ჭეშმარიტ განცდებს სიტყვები არ ესაჭიროება. აქ ჰერმესი თავის უშუალობასა და უპირობობაშია. როდესაც საქმე გვაქვს ჭეშმარიტ განცდასთან გრძნობასთან, ადამიანებს ამის გასაგებად არ ესაჭიროებათ სიტყვები, რომლებიც ამ შემთხვევაში, მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს თამაშობენ. სიტყვები, ვინაიდან ისინი განსჯისეული ბუნებისა არიან, უძლურნი სჩანან გრძნობათა სიღრმის გადმოცემაში, ისინი მხოლოდ გარეგან ფორმას წარმოადგენენ „სხვისათვის“, ისინი მხოლოდ ყურადღებას იპყრობენ, მაშინ, როდესაც განცდათა ჭეშმარიტი გაგება სრულიად სხვაა. იგი იმდენად შინაგანი და ღრმაა, რომ გარეგანი სიტყვა მას ვერ მოიცავს. ჭეშმარიტია გრძნობა, რომელიც არსებობს სიტყვებამდე, სიტყვებით არ ამოიწურება და სიტყვების სიკვდილის შემდეგ პოულობს თავის უმაღლეს ფენომენალობას და სიმბოლურობას.

ასევეა საქმე ღირებულებების შემთხვევაში: მე ღირებულებებს კი არ ვწვდები, რომლებიც ჩემგან დამოუკიდებელია, ობიექტურია და აპრიორულია, არამედ მე მგონია, რომ „თითქოს“ (Alsoob) ვწვდები ამ ღირებულებებს. სინამდვილეში მე ვწვდები მხოლოდ ჩემს საკუთარ განცდისეულ ყოფიერებას სიმბოლური აზროვნების და არა „აქსიოლოგიურის“ საფუძველზე. ეს უკანასკნელი სიმბოლური აზროვნების საფუძველზეა შესაძლებელია, მაგრამ მისგან განსხვავებული სფეროა და ამავე დროს ნაწარმოებია მისგან.

მაშასადამე, ჩვენის აზრით, ის ფაქტი, რომ მე უნარი მაქვს მივწვდე ღირებულებებს, სინამდვილეში სხვას არაფერს წარმოადგენს თუ არა გარკვეული სახის „თითქოსს“, ფუნქციას. აქ უდავოდ ნათლად გვაქვს გარკვეული შეხების მომენტი ღირებულებასა და ფიქციას შორის. თუ ბოლომდე თანმიმდევრული ვიქნებით, ღირებულება თავის თავში შეიცავს ფიქციურობის მომენტს, ექსისტენცის პოზიციიდან

ამოსული – თუ თითქოსი ჰ. ფაიშინგერთან ნიშნავს სამყაროს გარკვეული მოდელის, კონსტრუქციის შექმნას მოაზროვნე ლოგიკური გონების მიერ, ჩვენის აზრით, ღირებულების, როგორც ობიექტურის და აპრიორულის წვდომა შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც მე თვით ვქმნი ყოველი ობიექტური ღირებულების საკუთარ პიროვნულ-ყოფიერებისეულ, ე.ი. განცდისეულ მოდელს – სიმბოლოს, რომლის დროსაც მგონია, რომ ეს სიმბოლო არის სწორედ იმ ობიექტური ღირებულების განცდისეული ანალოგია, სწორედ ეს ანალოგია არის თავისებური ფიქცია, „თითქოს“ მე ვწვდები ობიექტურ ღირებულებას მაგრამ, სინამდვილეში მე შემიძლია მივწვდე მხოლოდ საკუთარ განცდებს, სიმბოლოებს და ვთვლი მათ „თითქოს“ ისინი არიან რაღაც ობიექტური ღირებულებანი, რის უფლებაც მე როგორც ექსისტენცის არ გამარჩნა და, თუ ექსისტენცი მაინც მოინდომებს ამის გაკეთებას, იგი ანალოგიას ვერ გასცდება. მე განვიცდი მხოლოდ იმას, რასაც „მხოლოდ მე განვიცდი“, მე მხოლოდ ჩემს საკუთარ განცდებთან და სიმბოლოებთან მაქვს საქმე. ამ აზრით, ჰაიდეგერის ექსისტენციალიზმი უფრო ახლოს მივიდა პიროვნული ყოფიერების პრობლემების გაგებასთან, ვიდრე შელერისა და ჰარტმანის აქსიოლოგია, რომლებიც მაინც ხაზს უსვამენ ანტიურის დომინირებას ღირებულების გაგებაში, რითაც იკარგება თვით ექსისტენცი და ღირებულება გამოდის როგორც ობიექტურის ძიება პიროვნულთან მიმართებაში, თუმცა, შელერთან გრძნობების გაანალიზებიას, გარკვეული აზრით, იგრძნობა ექსისტენციალური მომენტები. მაგალითად: როდესაც იგი ახდენს გრძნობების განსხვავებას იგი გამოყოფს ერთ-ერთ გრძნობას ყველა სხვა გრძნობისაგან, როგორიცაა სიცოცხლის გრძნობა. იგი წერს: „სიცოცხლის გრძნობაში ჩვენ ვგულისხმობთ თვით ჩვენს სიცოცხლეს, ე.ი. ჩვენს ამ გრძნობაში გვეძლევა რაღაც, როგორიცაა მისი „ამაღლება“, მისი „დაცემა“, მისი „ავადმყოფო-

ბა“ და „ჯანმრთელობა“, მისი შიში და მისი „მომავალი“. ეს კი ითვლება შესაბამისად ჩვენს საკუთარ სიცოცხლეზე მიმართული სიცოცხლის გრძნობისა, როგორც ისეთი სიცოცხლის გრძნობისა, რომლიც ფუნქცია მისადაგებულია გარეგანი სამყაროს სხვა ცოცხალი არსებებისადმი გრძნობაში და „თანაგრძნობაში“ და ვიტალურ სიმპატიაში. მაშინ, როდესაც ემპირიული გრძნობები არავითარი აზრით არ გადიან მათი არსებობის პუნქტუალობის გარეთ, ამის საპირისპიროდ სიცოცხლის გრძნობაში მოცემულია ჩვენთვის აგრეთვე გარეგანი სამყაროს საკუთრივი ღირებულებითი შინაარსი“.

როგორც ვხედავთ მ. შელერი ახლოს მიდის თანამედროვე ექსისტენციალიზმთან მაგრამ იგი ვერ ამაღლდა ექსისტენციისა და ექსისტენციალების გაგებამდე იმ მიზეზით, რომ იგი ღირებულებაში ეძებდა ობიექტურს და აპრიორულს და არა პიროვნულ-განცდისეულ-ყოფიერებისეულს, ეს მით უფრო ნათელი გახება, თუ შევადარებთ ერთმანეთს შელერის „ღირებულებით შემეცნებას“ და ჰაიდეგერის „ლიაობას“. აქ ნათელია, რომ შელერი მაინც შემეცნებით პოზიციაზე დგას, თუმცა იგი ღირებულებით შემეცნებას განასხვავებს ჩვეულებრივი მეცნიერული ცნებითი შემეცნებისაგან, მგრამ იგი ვერ თავისუფლდება ბოლომდე გნოსეოლოგიზმისაგან, რის ძირითად მომენტს შეადგენს ობიექტურობა, თუმცა იგი ადგენს რომ ღირებულებითი შემეცნება განსაკუთრებული ემოციური აქტების დახმარებით ხდება. შელერი განასხვავებს ემოციური აქტების სამ სახეს: „ინტენციონალური გრძნობა“, განსხვავებით გრძნობის მდგომარეობისაგან, რომელიც მდგომარეობით განცდას წარმოადგენს და რაიმეზე მიმართებაა. გრძნობის მდგომარეობანი მიეკუთვნებიან შინაარსებს და მოვლენებს, ინტენციონალური გრძნობა კი მათი აღქმის ფუნქციებს. „გრძნობის მდგომარეობანი“ არავითარ ობიექტზე არ მიიმართებიან, „ინტენციონალურ გრძნობას“ კი ღირებულებებზე თვითმიმართებულება ახასიათებს. გრძნობის აქტი, განსხვავებით გრძნობის მდგომარეობისა-

გან, შემეცნებითი აქტია, იგი ღირებულების შესახებ ცნობის მომცემია.⁷

„ღირებულებით შემეცნებასთან“ შედარებით ჰაიდეგერის „ღიაობა“ გამორიცხავს ყოველგვარ ობიექტურობას, „ღიაობა“ ექსისტენციის არსებითი მახასიათებელია საპირისპიროდ ყოველგვარი ობიექტურობისა. თვით ინტენციონალური გრძნობა, რომელიც შეღერისათვის მთავარი ფორმაა ღირებულებითი შემეცნებისა და, რომელიც „თვითმიმიმართება“ ღირებულებებზე, არის განსაზღვრული ობიექტურით და, მაშასადამე, თვითონაც ობიექტურ სტატუსს ატარებს. გარდა ამისა, ემოციური აქტი, გრძნობის აქტი, ჩვენის აზრით, შეუძლებელია წარმოადგენდეს შემეცნებით აქტს, თუნდაც ღირებულებით შემეცნებით აქტს, ვინაიდან გრძნობა, განცდა არიან წმინდა სუბიექტური, პიროვნულ-ყოფიერებითი, ფენომენები, რომლებიც გამორიცხავენ, თავისთავად, ყოველგვარ ობიექტურს, მაშასადამე, ყოველგვარ შემეცნებასა და ცნებას. ცნების დადგენის გარეშე შეუძლებელია შემეცნებაზე ლაპარაკი, რომელიც აუცილებლობით შეიცავს თავის თავში ობიექტურობას. შესაბამისად, თუ ღირებულება შეიცავს ობიექტურობას, მაშინ შესაძლებელია მხოლოდ მისი შემეცნება და არა განცდა. აზრი „განცდისეული შემეცნების“ შესახებ წინააღმდეგობრივია და ერთმანეთთან შეუთავსებელია. ხოლო თუ ღირებულება ობიექტურია და შესაძლებელია მისი შემეცნება, მაშინ გამორიცხულია მისი განცდა, თუ განცდისეული „შემეცნება“. მაშასადამე, ღირებულების განცდისეული შემეცნება, ჩვენის აზრით, წინააღმდეგობას წარმოადგენს, მაგრამ ეს წინააღმდეგობა არ ნიშნავს იმას, რომ განცდისეული აზროვნებაც შეუძლებლობას წარმოადგენს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ასეთი აზროვნება

⁷ გ. შუშანიშვილი. ღირებულების იდეალისტური გაგების კრიტიკა. გვ. 32

იქნება არა ლირებულებითი განცდისეული შემეცნება, როგორც ეს შელერთანაა წარმოდგენილი, არამედ განცდის.

ლიტერატურა

1. გ. შუშანიშვილი. ლირებულების იდეალისტური გაგების კრიტიკა. თბ. 1987.
2. M. Zcheler. Der Formalistus in der Ethik und die material Wertethik. Bd.2. Bern. 1954.
3. ფ. ნიცშე. ასე ამბობდა ზარატუსტრა. თბილისი. „მაცნე“. №1-4, 1988.
4. H Vailinger. Die Philosophie des Als Ob. Laipzig. 1920.
5. M. Zcheler. Zur Phanomenologie und Theorie der Sympatie gefühle und von Liebe und Hass. Halle. 1913.
6. ა. პოპიაშვილი. ინდივიდის პრობლემა ს. კირკეგორისა და ფ. ნიცშეს ფილოსოფიაში. თბილისი, 1988.

Arsen Burjaliani -Doctor of Philosophy; Vice-president of the Academy of Philosophical Sciences of Georgia; Professor at Technical University of Georgia. He works on problems of philosophy, is the author of many scientific works.

Lia Metreveli – Academic Doctor of Education Sciences. Associate Professor, Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences, Georgian Technical University. Is the author of few textbooks, has published scientific articles both in Georgia and abroad. Also she has participated in many international scientific conferences. The spheres of her research mainly are psychology and education problems.

THE ISSUE OF INTERRELATION OF FEELINGS AND SENSATIONS IN PHILOSOPHY (Phenomenology)

ABSTRACT

Sensations and perceptions occupy an important place in the process of human cognition. This fact is stressed by many thinkers. Some philosophers try to differentiate not only perceptions and sensations, but sensations and feelings as well. In this respect contribution of a German philosopher M. Scheler is worth of considering. He discusses sensations and feelings in relation to values and tries to point out the role of sensations in relation with them. Scheler offers an interesting classification of sensations and feelings and associates them to emotional life of person.

ეთერ ორმოცადე – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფისიქოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი. მუშაობს მეცნიერების ფილოსოფიისა და ბუნების-მეცნიერების ფილოსოფიის პრობლემზე. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები და წიგნები: „დეტერმინაცია ბუნებისშეცნიერებასა და ფილოსოფიაში“ (თბ., 2005), „სივრცისა და დროის ფილოსოფია“ (თბ., 2013), „ზოგადი უნარები. ფორმალურ-ლოგიკური დავალებები (თეორია და ამოხსნის მეთოდები)“, (ქუთ., 2013), „ი. გომართელი – „ნება და ზნეობა“ (ქუთ., 2017).

დაკვირვებადობის ცენტრის საზრისი

ადამიანის თეორიულ (შემეცნებითი) მოღვაწეობის ისტორია თვითონ ადამიანის წარმოშობის ისტორიას ემთხვევა. ადამიანს შემეცნების გარეშე არსებობა არ შეეძლო თუნდაც იმიტომ, რომ მისი მატერიალური (ვიტალური) მოთხოვნილებების დაკმაყოფილება აუცილებლობით მოითხოვდა მის გარშემო არსებული სინამდვილის შემეცნებას. ერთი სიტყვით, შემეცნების ასაკი თვითონ ადამიანის ასაკის ტოლია.

შემეცნების გენეზისი გრძნობად ცდასთან არის დაკავშირებული, რომლის ამოსავალს – საწყისს დაკვირვება წარმოადგენს. თუ თვითონ დაკვირვების გენეზისს შევისწავლით, აღმოჩნდება, რომ იგი გაკვირვებასთან, ცნობისმოყვარეობასთან არის დაკავშირებული. არისტოტელე შენიშნავდა, რომ შემეცნების საწყისია გაკვირვება. ადამიანს თვალში ეცემა რა უცხო საგანი თუ მოვლენა, ცნობისმოყვარეობა შეიძყრობს, უკვირს მისთვის უცხო რამ, რის გამოც იგი იწყებს შემეცნებას. თანამედროვე შემეცნების თეორიის ენაზე ეს ნიშნავს, რომ შემეცნება გრძნობადი ცდით ანუ დაკვირვებით იწყება.

თანამედროვე მეცნიერების ფილოსოფიაში ერთმანეთისაგან განსხვავებულია ორგვარი დაკვირვება – გრძნობადი ანუ ემპირიული და რაციონალური. ზოგჯერ მათ გრძნობადსა და გონიერივ დაკვირვებასაც უწოდებენ. გრძნობადი

დაკვირვება გრძნობის ორგანოების საშუალებით სრულდება, ხოლო გონებრივი ანუ რაციონალური დაკვირვება გონებრივი პროცესია. ამ უკანასკნელი ტიპის დაკვირვებას ცნობილი ამერიკელი ფილოსოფოსი და ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი პერსი უილიამ ბრიჯმენი „ფანქრისა და ქალალდის ოპერაციებს“ უწოდებდა. ამ ორი ტიპის დაკვირვებიდან ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს მხოლოდ გრძნობადი ანუ ემპირიული დაკვირვება.

დაკვირვებადობის პრობლემა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა შემეცნების თეორიის მთელი ისტორიის მანძილზე; საკმარისია ითქვას, რომ ემპირიზმისა და რაციონალიზმის, როგორც ორი ურთიერთდაპირისპირებული ფილოსოფიური მიმართულების არსებობა სწორედ გრძნობადი დაკვირვების როლის სხვადასხვაგვარ გაგებასთან არის დაკავშირებული შემეცნების პროცესში. ემპირიზმი გრძნობად ცდას შემეცნების საწყისად თვლიდა, და, რაც მთავარია, ცნობიერების მთელი შინაარსის ემპირისტულ ხასიათს ამტკიცებად. რაციონალიზმი კი, თუმცა გრძნობად ცდას არ უარყოფდა, მაგრამ შემეცნების პროცესს რაციონალური პრინციპებით ხსნიდა. ამის საუკეთესო მაგალითს ლოკისა და ლაიბნიცის კამათი წარმოადგენდა. ლოკი როგორც ემპირისტი, ამტკიცებდა, რომ („არაფერი არ არის გონებაში ისეთი, რაც ცდიდან არ იყოს წარმომდგარი“). ამ ემპირისტულ თეზისს რაციონალისტმა ლაიბნიცმა შხოლოდ სამი სიტყვა დაუმატა: „ისი იპსე ინტელლეცტუს“ („გარდა თვითონ გონებისა“). ამით გამოთქმულია ემპირიზმისა და რაციონალიზმის დამოკიდებულება გრძნობადი ცდის როლისა და დანიშნულებისა შემეცნების პროცესში.

გასული საუკუნის პოზიტივისტებმა ანუ ნეოპოზიტივისტებმა მ. შლიკმა, პ. რაიხენბახმა, რ. კარნაპმა და სხვებმა თითქოს კვლავ აღმოაჩინეს დაკვირვებადობის პრინციპის როლი შემეცნების პროცესში. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მათ თითქმის ყოველმხრივ გამოიკვლიერს ეს პრობლემა და ბევრი რამ ისეთიც აღმოაჩინეს, რაც მანამდე უცნობი იყო. მაგალითად, მათ ერთმანეთისაგან გა-

ნასხვავეს პრინციპული და ტექნიკური დაუკვირვებადობა, რაც მათ მიერ შემოტანილ პრინციპულსა და ტექნიკურ შეუძლებლობასთან იყო დაკავშირებული. ისინი პრინციპულ შეუძლებლობად თვლიდნენ იმას, რაც არასოდეს არ გახდება შესაძლებელი, ტექნიკური კი ისეთ შესაძლებლობას უწოდეს, რაც შეუძლებელია მეცნიერების და ტექნიკის არასაკმაო განვითარების გამო დროის მოცემულ მომენტში. მაგალითად, მორიც შლიკი 1932 წელს წერდა, რომ მთვარის მეორე მხარე ტექნიკურად დაუკვირვებადია, ვინაიდან მასზე დაკვირვების საშუალება ამჟამად არ არსებობს, მაგრამ პრინციპულად იგი დაკვირვებადია, ვინაიდან მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ შეიძლება იმ დონეს მიაღწიოს, რომ მთვარის მეორე მხარე ადამიანისათვის დაკვირვებადი გახდეს. როგორც ვიცით, ეს წინასწარხედვა გამართლდა: კოსმონავტიკის განვითარებამ შესაძლებელი გახადა, რომ მთვარის ორივე მხარე ადამიანის დაკვირვების ობიექტი გამხდარიყო. ადამიანმა ფეხი დადგა მთვარეზე, რაც მ. შლიკის დროს ეს ტექნიკურ შეუძლებლობას წარმოადგენდა.

ანალოგიურად მსჯელობენ პოზიტივისტები პრინციპული და ტექნიკური დაუკვირვებადობის შესახებ. ოქროს ზოდი, რომელიც სადღაც მიწაში ძევს, ამჟამად დაუკვირვებადია (ვინაიდან იგი ჯერ კიდევ არაა ნაპოვნი), მაგრამ პრინციპულად დაკვირვებადია, ვინაიდან მომავალში შეიძლება აღმოაჩინონ. ერთი სიტყვით, ტექნიკურად დაუკვირვებადი პრინციპულად დაკვირვებადია. შეიძლება იგი ვერასოდეს ვერ აღმოაჩინონ, მაგრამ მაინც პრინციპულად აღმოჩენადი იქნება, რაკი მის აღმოჩენას არაფერი არ აბრკოლებს, გარდა იმისა, რომ ადამიანებს ჯერ არ მიუგნიათ.

პრინციპულად დაუკვირვებადია ელექტრონის კოორდინატი და იმპულსი ერთდროულად. ნილსონის კამერაში ჩანს ელექტრონის კოორდინატი ან იმპულსი ცალ-ცალკე და არა ორივე ერთდროულად: რაც არ უნდა განვითარდეს მეცნიერება და ტექნიკა ელექტრონის კოორდინატს და იმპულსს ერთდროულად ვერ ვიპოვნით.

დაკვირვებადობის პრინციპის პოზიტივისტური ინტერ-პრეტაცია მთელ რიგ კრიტიკულ შენიშვნებს ბადებს. ამ შე-ნიშვნებიდან მთავარს ის წარმოადგენს, რომ პრინციპული დაკვირვებადობა მათ ესმით როგორც რეალობის კრიტერიუმი. ამგვარ ინტერპრეტაციას პროფ. სერგი ავალიანი ონ-ტოლოგიურს უწოდებს და მკაცრად აკრიტიკებს. თუ დაკ-ვირვებას გავიგებთ როგორც რეალობის კრიტერიუმს, მაშინ სუბიექტურ იდეალიზმს თავს ვერ დავაღწევთ. დამკვირვებე-ლი ადამიანია, შემმეცნებელი სუბიექტია, რეალობა კი ობი-ექტური შინაარსისა. რეალობის არსებობა-არარსებობის კრიტერიუმად დაკვირვებადობის მიჩნევა სუბიექტისაგან რეალობის დამოკიდებულებას ნიშნავს. მართალია, პოზიტი-ვისტები (მაგალითად, მ. შლიკი) ამბობენ, რომ ისინი არც ამ-ტკიცებენ და არც უარყოფენ რეალობის არსებობას, არამედ ორივე მათგანისაგან თავს იკავებენ, მაგრამ რეალობის აღი-არებისაგან თავის შეკავება არსებითად მის უარყოფას ან, უფრო ზუსტად, შემმეცნებელი სუბიექტისაგან მისი არსებო-ბის დამოუკიდებულებას ნიშნავს, რაც სხვა არაფერია, გარ-და სუბიექტური იდელიზმისა. პოზიტივიზმი სუბიექტურ-იდეალისტური ფილოსოფია იყო; ამიტომ მართალია ისინი, ვინც პოზიტივიზმის იდეურ წინაპრად XVIII საუკუნის ცნო-ბილ სუბიექტურ იდეალისტს ჯორჯ ბერკლს მიიჩნევნს. ჯ. ბერკლს ფილოსოფიის მთავარი პრინციპი „ესსე პერციპი“ („არსებობა არის აღქმა“) სუბიექტისაგან რეალობის ობიექ-ტურად არსებობას გამორიცხავს. ისიც უნდა აღვნიონოთ, რომ ჯ. ბერკლი იმპლიციტურად პრინციპული დაკვირვება-დობის ცნებასაც მოიხმარს. მაგიდა, წერს იგი, რომელიც ჩემს ოთახშია, უთუოდ არსებობს არა მარტო მაშინ, როცა იქ დამკვირვებელი სუბიექტია, არამედ მაშინაც, როცა ოთახში არავინ არ არის. ამაში, ჯ. ბერკლის აზრით, ის იგულისხმება, რომ ოთახში ადამიანის ყოფნის შემთხვევაში მაგიდას იგი უთუოდ აღიქვამდა. როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია აღ-ქმის პრინციპულ შესაძლებლობაზე, თუმცა ეს იდეა ჯ. ბერ-კლის, ნეოპოზიტივისტებისაგან განსხვავებით აშკარად არ აქვს გამოთქმული.

მაგრამ დაკვირვებადობის ონტოლოგიური ინტერპრეტაციის უვარგისობა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს დაკვირვებადობის პრინციპის უარყოფას. პროფ. ს. ავალიანმა შემოიტანა ამ პრინციპისაგან სრულიად განსხვავებული-გნოსეოლოგიური ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვით დაკვირვება რეალობის კრიტერიუმი კი არ არის, არამედ სამყაროს მეცნიერული სურათის კრიტერიუმი. ეს ნიშნავს, რომ სამყაროს მეცნიერულ სურათში მხოლოდ ის დებულებანი შედის, რომლებიც შედგენილია დაკვირვების საფუძველზე. ამით პრინციპულად დაუკვირვებადი მსჯელობა სამყაროს მეცნიერული სურათიდან გამოირიცხა. აქ იგივე ვითარება გვაქვს, რაც კანტის შემთხვევაში. ნივთი თავისთავადი შეუმეცნებადია; ამიტომ მის შესახებ არაფრის ცოდნა არ შეიძლება, გარდა იმისა, რომ იგი შეუცნობადია. ამავე მიზეზით მასზე მსჯელობა სამყაროს მეცნიერული სურათის ფარგლებში შეუძლებელია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პრინციპული დაკვირვებადობა სამყაროს მეცნიერული სურათის კრიტერიუმს წარმოადგენს; მას გნოსეოლოგიური შინაარსი აქვს და არა ონტოლოგიური.

ერთ-ერთ სირთულეს თანამედროვე პოზიტივიზმის გნოსეოლოგიურ მსოფლმხედველობაში ის ქმნის, რომ პრინციპული და ტექნიკური შეუძლებლობის განსხვავება მეტად რთულია. თუ ამ პრობლემას ისტორიულ ასპექტში განვიხილავთ, მათი ერთმანეთისაგან განსხვავება ბევრ კითხვას დაბადებს, ტელევიზორების, კომპიუტერებისა და ტელეფონების შესაძლებლობა რამდენიმე საუკუნის წინ აღბათ შეუძლებლად მიაჩნდათ. კანტი და ბევრი მისი თანამოაზრე პრინციპულ შეუძლებლობად თვლიდა ევკლიდური გეომეტრიისა-გან განსხვავებული გეომეტრიის არსებობას, მაგრამ სულ რაღაც 22 წლის შემდეგ კანტის გარდაცვალებიდან ნ. ლობარევსკიმ სამეცნიერო საზოგადოებას წარუდგინა არაევკლიდური გეომეტრიის პრინციპები. მეცნიერების ისტორიამ იმის მაგალითებიც იცის, როცა პრინციპულად შეუძლებელს, ტექნიკურ შეუძლებლობად თვლიდნენ. ქტრონის კოორდინატისა და იმპულსის ერთდროული გაზომვის შეუძლებლობას

ქვანტური მექანიკის არასაკმაო განვითარების შედეგად თვლიდნენ, ანუ ტექნიკურ შეუძლებლობად მიაჩნდათ. ყოველივე ეს ნიშნავს, რომ ნეოპოზიტივისტებმა ვერ აჩვენეს მკაფრი წყალგამყოფი პრინციპულსა და ტექნიკურ შეუძლებლობას შორის.

პოზიტივისტური დაკვირვებადობის პრინციპის კიდევ უფრო სერიოზულ ნაკლს ის ნარმოადგენს, რომ მის ქვეშ მხოლოდ და მხოლოდ უშუალო დაკვირვება იგულისხმება და ყურადღების გარეშეა დატოვებული გაშუალებული დაკვირვების ცნება. „ტერმინი დაკვირვებადი”, – წერს გამოჩენილი გერმანელი პოზიტივისტი რ. კარნაპი ხშირად იხმარება, ნებისმიერი მოვლენის აღსანიშნავად, რომელიც უშუალოდ შეიძლება აღვიქვათ”. უშუალო დაკვირვება გრძნობადი შემეცნებაა, რომელიც დაკვირვების ობიექტის თანხლებას მოითხოვს. ჩვენ უშუალოდ ვხედავთ საგნებს, პროცესებს, ალვიქვამთ მათ გრძნობის ორგანოების საშუალებით. თუ დაკვირვების საგანი უშუალოდ მოცემული არა გვაქვს, მაშინ მასზე უშუალო დაკვირვება შეუძლებელია. ეს რასაკვირველია, შემეცნების ამოსავალს ნარმოადგენს; შემეცნება ხომ უშუალო დაკვირვებით იწყება! მიუხედავად ამისა, უშუალო დაკვირვება შემეცნებისათვის არასაკმარისია. დაკვირვება რომ მხოლოდ უშუალო იყოს, მაშინ მეცნიერების კანონების აღმოჩენა შეუძლებელი იქნებოდა. კანონი ზოგადია. იგი არის ის რაც მოვლენებში მეორდება. ინერციის კანონს ყველა მოვლენა ემორჩილება, მენდელის კანონებს ყველა ცოცხალი ორგანიზმი ეკვემდებარება, ლირებულების კანონი ყველა ეკონომიკური პროცესის კანონია და ა. შ. მაგრამ არც ერთი მათგანი უშუალო დაკვირვებაში არ გვეძლევა. ამავე დროს მეცნიერებას უმთავრესად კანონები აინტერესებს და არა მოვლენები, რომლებიც უშუალო დაკვირვებაში გვეძლევა. მოვლენები მათი არსების (კანონის) შემეცნების. საშუალებაა, ვინაიდან არსება მოვლენებში მეორდება. გადმოგვცემენ, რომ ნიუტონმა მსოფლიო მიზიდულობის კანონი ვაშლის ჩამოვარდნაში „დაინახა”. ვაშლის ჩამოვარდნა უშუალო გრძნობადი დაკვირვებაა, იგი ნიუტონმა თვალით დაინახა;

მაგრამ მსოფლიო მიზიდულობის კანონი უშუალო გრძნობად დაკვირვებაში არ გვეძლევა, მისი „დანახვა“, აღმოჩენა მხოლოდ და მხოლოდ გაშუალებული დაკვირვებით შეიძლება; გამაშუალებელს ამ შემთხვევაში ვაშლის ჩამოვარდნა (მოვლენა) წარმოადგენდა. პოზიტივიზმი გაშუალებული დაკვირვების შესახებ არაფერს არ გვამცნობს; იგი ხომ არსების, როგორც ზოგადის არსებობას უარყოფს და მხოლოდ გრძნობად-ემპირიული რეალობით იფარგლება, რასაც იგი მთელ რიგ სიძნელეებამდე მიჰყავს. თვითონ პრინციპული დაკვირვებადობის ცნების ქვეშ კვლავ უშუალო დაკვირვებას გულისხმობს. დაკვირვების პრინციპულობა უშუალობის სფეროდან არ გადის. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაშუალებული დაკვირვება ხელსაწყოს მეშვეობით დაკვირებას როდი ნიშნავს. როცა მიკროსკოპით ან ტელესკოპით რაიმე ობიექტს აკვირდებიან, მაშინაც გაშუალებულ დაკვირვებასთან გვაქვს საქმე. მაგრამ ამ ტიპის გაშუალება როდი იგულისხმება მაშინ, როცა საქმე ეხება გაშუალებული დაკვირვების ზემოაღნიშნულ ტიპს. იგი ემპირიულთან ერთად რაციონალურ მომენტებსაც შეიცავს, თუმცა იგი არ არის არც შემეცნება და არც ინტუიცია. დაკვირვებადობა ამ შემთხვევაში მხოლოდ მოცემულობას ნიშნავს და ამ სფეროს არ ტოვებს. ეს ნიშნავს, რომ მოცემულობა შეიძლება იყოს უშუალოც და გაშუალებულიც. იგი უშუალო და გაშუალებული დაკვირვების პრინციპულ ერთიანობას წარმოადგენს.

ლიტერატურა:

1. ავალიანი ს., „თანამედროვე პოზიტივიზმის ბუნებისმეცნიერების ფილოსოფია“, თავი III, თბ., 1964.
2. ავალიანი ს. ბუნებისმეცნიერების ფილოსოფია, თავი III, თბ., 1974.
3. P. Карнап, Философские основания физики, М., 1971.

Eter Ormocadze – Doctor of Philosophy, Assistant Professor of Kutaisi ac. Tsereteli State University, works on science and nature-philosophical problems; She has published scientific articles and books: "The Determination in natural sciences and philosophy" (Tb.2005); "The Philosophy of Space and Time" (Tb.2013); "General skills, The formal-logical assignments" (Qut., 2013); "I. Gomarteli-will and morality" (Qut., 2017).

THE CONCEPT OF OBSERVATION

ABSTRACT

Empiricism and rationalism, as the existence of the opposite philosophical direction, are related to different understanding of the role of sensational observation.

In the work the Gnoseological outlook on positivism has been criticized, According to which There is only direct observation, Which, in our understanding, does not allow us to find the law. Also, Ontological interpretation of positivism is also unacceptable. We believe that observation can not be a criterion of reality.

**ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერება-
თა აკადემიის ონტოლოგიის, გნოსეოლოგიისა და ლოგი-
კის განყოფილებამ.**

მიხეილ ხალვაში – ფილოსოფიის დოქტორი, ეთიკის ფილოსოფიური პრობლემების მკვლევარი; გამოქვეყნებული აქვს ეთიკის პრობლემებზე სამეცნიერო სტატიები და ვრცელი მონოგრაფია „პედაგიკური მეცნიერული ოვალსაზრისით“ (თბ., 2013).

დიოგენეს სიპრანის და კანონზოგიერების მასახეპ

ისტორიული ფაქტის სახით ცნობილია, რომ საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ ალექსანდრე მაკედონელი ამალასთან ერთად ეწვევა დიოგენეს. ის ამ დროს კასრთან ახლოს იყო წამოწოლილი, მზეს ეფიცებოდა და ყურადღებას არ მიაქცევს დაუპატიჟებელ სტუმრებს. თუ უფრო ობიექტურები ვიქნებით და გავითვალისწინებთ საბერძნეთის ეზო-თერულ პრაქტიკას, უნდა დავუშვათ, რომ დიოგენე უბრალოდ კი არ თბებოდა მზეზე, არამედ ღრმა მისტიკური განწყობით – მედიტაციით. ამიტომ ის სხარტი რეაქციით ვერ მიეგებებოდა მეფეს. ასეთ მდგომარეობაში მყოფ დიოგენეს მიუახლოვდებიან მხედრები და მზეს დაუჩრდილავენ. ალექსანდრე შეიძლება ელიდა, რომ ორი ქვეყნის მეფეს, მომავალ მსოფლიო მბრძანებელს და, მით უმეტეს, არისტოტელეს მოსწავლეს დიოგენე სიხარულით და „მუხლმოყრით“ მიეგე-გებოდა! ის კი საერთოდ ყურადღებას არ მიაქცევს მათ, რადგან დიოგენეს არ უნდოდა და არც შეიძლებოდა უცებ იმ ავტოგენური ნეტარი მდგომარეობიდან გამოსვლა, რომელ-შიც ის იმყოფებოდა. მეორე, ალექსანდრე იყო დამპყრობელი მეფე. ამიტომ დიოგენე სიმპათიით ვერ იქნებოდა განწყობილი მის მიმართ. ამაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტი: ბერძნები არისტოტელეს სიკვდილს მიუსჯიან ალექსანდრეს მასწავლებლად ყოფნის გამო, მაგრამ ის გაექცევა სასჯელს და თავს შემდეგი სიტყვებით იმართლებს: „არ მინდოდა, რომ საბერძნეთს მეორე ცოდვა ჩაედინა ფილოსოფიის წინაშეო.“ პირველი, როგორც ცნობილია, სოკრატეს სიკვდილით დას-

ჯა იყო. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, უკვე ნახსენები რეალობის საფუძველზე, შეიძლება დავუშვათ: დიოგენეს „უცნაურ“ დახვედრას გააჩნდა საკმაო საფუძველი. თუმცა მეფე არაფრად ჩააგდებს ცნობილი ფილოსოფოსის „სტუმართმოძულეობას,“ თავად დაარღვევს სიჩუმეს და მას ეტყვის, რომ ის ალექსანდრე მაკედონელია; თან დაუმატებს: „მთხოვე, რაც გინდა და ყველაფერს შეგისრულებო!..“ დიოგენე კი მიუგებს: „მხოლოდ გთხოვთ, მზეს ნუ დამიჩრდილავთ, გვერდზე გადადექითო!“

დიოგენეს მსგავსად, მრავალი ცნობილი ადამიანი ხშირად გვაოცებს მისი ნიჭით, სათნოებით, გმირობით, უცნაური ქცევით და უმრავლესობისგან განსხვავებული არსებობის წესით. გაივლის საუკუნეები, მაგრამ ასეთ პიროვნებათა შემოქმედებას და უცნაურ ქცევებს, მათი განსაკუთრებულობის გამო, ვერ ივიწყებენ. უფრო ზუსტად, ყოველდღიური, განმეორებადი და ჩვეულებრივი რამ ეძლევა დავინწყებას, მნიშვნელოვანი და უცნაური მოვლენები კი რჩება ისტორიაში. რჩება, რადგან ისინი იდუმალებით მოცულ კანონზომიერებაზე მიუთითებენ და ადამიანთა აღფრთოვანება-შთაგონების წყაროდ გვევლინებიან. აღიარების მიუხედავად ხდება ისეც, რომ აღნიშნულ მოვლენათა გამომწვევ რეალურ მიზეზებს არავინ აქცევს ყურადღებას. ეს მაშინ, როცა სამყაროში არაფერი არ ხდება უმიზეზოდ – ყველა შემთხვევა სხვადასხვა კანონზომიერების გამოვლენაა. შესაბამისად, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, როცა „ჩამოჰკრავს სიახლის ზარი“ და ირკვევა კანონზომიერება, მხოლოდ მაშინ ხდება ნათელი: უცნაური ადამიანები შემთხვევით კი არ იქცეოდნენ სხვებისგან განსხვავებულად, არამედ გონებით ჭვრეტდნენ ან ინტუიციით გრძნობდნენ კანონზომიერებას და ეს აუცილებლობა განაპირობებდა მათ ქცევებს. ისმის კითხვა: დიოგენეს ქცევა იყო კანონზომიერი თუ რაიმე იძულებით ან ახირებით გამოწვეული შემთხვევა?

ცხადია, რომ დიოგენეს ქცევა არ იყო ჩვეულებრივი და სწორედ ამის გამო შემორჩა ის ისტორიას, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ არა მხოლოდ დიოგენეს, არამედ ალექსან-

დრეს ქცევაც არ იყო შემთხვევითი. უფრო ზუსტად, ორივე შინაგანი აუცილებლობით გამოწვეული მოვლენებია, რადგან ალექსანდრეს, დოგენესთან შედარებით, „პქონდა ყველაფერი“, დიოგენეს კი „არაფერი“ და გაუგებარი იყო: რა აიძულებდა მეფეს, რომელსაც „პქონდა ყველაფერი“ და „შეეძლო ყველაფერი“, მისულიყო დიოგენესთან, რომელსაც „არ პქონდა არაფერი“ და არც ცდილობდა რაიმეს კეთება-შეძენას?! მეტიც, რა აიძულებდა მეფეს, რომ მას დიოგენესთვის შეთავაზებინა ყველა სურვილის ასრულება? ან რა აიძულებდა დიოგენეს, უარეყო მეფის სურვილი და მხოლოდ ეთხოვა, მზეს ნუ დამიჩრდილავო, რაც არსებითად ნიშნავს, რომ მას არაფერი უთხოვია ალექსანდრესთვის. ეს მაშინ, როცა შეეძლო ეთხოვა ერთი ან რამდენიმე ტომარა ოქრო, ძვირფასი სასახლე, მეფის მრჩევლად, ან სხვა რომელიმე თანამდებობაზე დანიშვნა და მაღალი ხელფასი, ლამაზი საცოლე ან ხარჭა და ა.შ. ჩვეულებრივი ადამიანები ხომ ასე მოიქცეოდნენ?!

დიოგენეს საქციელით გაოცებული, აღფრთოვანებული და უკანგაბრუნებული მაკედონელი მხლებლებს ეუბნება: „ალექსანდრე რომ არ ვყოფილიყავი, დიოგენეობას ვისურვებდიო!“ ამ სიტყვებით მან დიოგენეს თითქოს პატივი მიაგო, მაგრამ საკუთარი თავი მასზე უფრო მაღლა დააყენა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ის ხომ მეფე და მომავალი მსოფლიოს მბრძანებელი იყო! თუმცა აღნიშნული ისტორიული ფაქტი საპირისპიროზე მეტყველებს: დიოგენე კი არ მისულა ალექსანდრესთან და უთხოვია ან შეუთავაზებია რაიმე მისთვის, არამედ ეს უკანასკნელი ეწვია მას, რაც ნიშნავს, რომ ცოდნით, ცნობიერი და სულიერი მდგომარეობით დიოგენე მეფეზე უფრო მაღლა იდგა და ფლობდა ისეთ სიბრძნეს – „განძს და საიდუმლოს,“ რომლიც უცნობი იყო „ყოვლის-მფლობელი“ და „ყოვლისშემძლე“ მაკედონელისთვის. ვფიქრობთ, სწორედ მისი გაგება და დაუფლება სურდა მეფეს, მაგრამ ამას, ბუნებრივია, პირდაპირ ვერ გაამხელდა; მით უმეტეს, – ისეთ პირობებში, როცა დიოგენემ უარყო შეთავაზება.

რა უნდა ყოფილიყო აღნიშნული „განძი?“ რა თქმა უნდა, ის იყო ცოდნა უმაღლესი ცნობიერი მდგომარეობის და ბედნიერების წვდომის შესახებ; რაც ნიშნავს: დიოგენეს მატერიალურად არაფერი გააჩნდა, მაგრამ ის იყო ალექსანდრეზე უფრო კმაყოფილი და ბედნიერი, ანუ ფლობდა ისეთ საგანძურს, რაც ტოლფასი იყო „ყველაფერის.“ ამ ჭეშმარიტებას საინტერესოდ გამოთქვამს ეპიკურე: „თუ ხარ ბედნიერი, მაშინ გაქვს ყველაფერი, მაგრამ თუ ის დაკარგე, მაშინ ყველაფერს აკეთებ იმისთვის, რომ ბედნიერება დაიბრუნო“ (7,402). გამოდის, რომ დიოგენეს არ ჰქონდა არაფერი, მაგრამ „ფლობდა ყველაფერს,“ რადგან ის იყო კმაყოფილი და ბედნიერი. ალექსანდრე კი ფლობდა ყველაფერს, მაგრამ ამით არც კმაყოფილი იყო და არც ბედნიერი. სწორედ ამიტომ ეწვია ის დიოგენეს და უნდოდა გაეგო, როგორ მოეხსნა სულიერი ქაოსი და წვდომოდა ბედნიერებას.

საიდან უნდა სცოდნოდა ალექსანდრეს ეპიკურეს დებულება? ცნობილია, რომ ის ფილოსოფიის სფეროში დაამკვიდრა არა ეპიკურემ, არამედ არისტოტელემ. ეპიკურემ კი მისი თვალსაზრისი ერთგვარად განსხვავებული კუთხით გამოთქვა. სწორედ არისტოტელეს თავისი შვილის აღმზრდელად მიიწვევს ალექსანდრეს მამა – მეფე ფილიპე. ის კი მრავალ სხვა ცოდნასთან ერთად, ბუნებრივია, გაუმხელდა ალექსანდრეს ფილოსოფიის სფეროში ცნობილ ჭეშმარიტებას იმის შესახებ, რომ ბედნიერება არის ყველა მიზნის საბოლოო მიზანი – საკითხთა-საკითხი და ადამიანის უაშუალო ან საბოლოო მიზანი; რადგან ადამიანს ყველაფერი სურს ბედნიერებისთვის და არა ბედნიერება სხვა რაიმესთვის (6,63). ეს ნიშნავს, რომ რასაც ადამიანი აკეთებს: სწავლობს, შრომობს, ყიდულობს, აშენებს, ხატავს, მღერის, იკვლევს თუ იპყრობს... ყველაფერი სურს ბედნიერებისთვის და არა ბედნიერება სწავლისთვის, შრომისთვის, ყიდვისთვის, შენების-თვის, ხატვისთვის, სიმღერისთვის, კვლევისთვის, დაპყრობისთვის და ა.შ. აქედან გამომდინარე, არგუმენტირებულად ცხადი ხდება, რომ ალექსანდრეს მსოფლიოს დაპყრობა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, სურდა არა ჩვეულებრივი, არა-

მედ აბსოლუტური ბედნიერების მისაღწევად. მის შესახებ პრაქტიკული ცოდნა კი გააჩნდა დიოგენეს, რადგან მან ნახ-სენები მიზნისთვის „ყველა სურვილზე“ თქვა უარი. სწორედ ამ მიზეზთა გამო არისტოტელე ბედნიერებას უმაღლეს სი-კეთეს უწოდებდა და ეთიკის, როგორც მეცნიერების, სათა-ვეში ათავსებდა, ხოლო ეთიკას – ფილოსოფიის სათავეში; რის შედეგადაც მთელი ფილოსოფია არსებითად სხვა არა-ფერი იყო, თუ არა მოძღვრება ბედნიერების შესახებ (2,29). ასე გრძელდებოდა ორი ათასზე მეტი წლის განმავლობაში ახალ ეპოქამდე, ვიდრე იმანუილ კანტმა, შემდეგ მაქს შე-ლერმა (XX საუკუნეში) არ სცადეს ამ ტრადიციული თვალ-საზრისის შეცვლა, მაგრამ არსებითად ვერაფერი შეცვალეს (3,28). ბედნიერება მაინც რჩება უმაღლეს სიკეთედ, ატარებს ყველა იმ თვისებას, რასაც ის ატარებდა ახალ ეპოქამდე და ყველა მიისწრაფვის მისკენ.

როგორც ვხედავთ, ზემოთ აღნიშნული ისტორიული ფაქტი, პირველყოვლისა, მიგვითითებს, რომ არისტოტელეს მიერ „გამხელილი“ ცოდნის ზეგავლენით ალექსანდრე დიო-გენესთან ადამიანური არსებობის ყველაზე ძირითადი მიზ-ნის – ბედნიერების შესახებ ცოდნის ძიებას უნდა მიეყვანა. მეორე მხრივ, ის ცხადყოფს: თუ ადამიანმა იპოვა უმაღლეს სიკეთესთან – ბედნიერებასთან მისასვლელი გზა და მიაღწია უნივერსალურ სამყაროსეულ კანონზომიერებებთან ჰარმო-ნიას, მას ეუფლება სიმშვიდე და აზრად არ მოსდის ვინმეს შევიწროება-დამონება. ასეთ პიროვნებას უდიდესი დამ-პყრობელიც კი ისეთ ადამიანად ეჩვენება, რომლისთვისაც სიბრძნის გაზიარება აზრს კარგავს, რადგან ეს შედეგს ვერ გამოიღებს. მესამე, – ბედნიერებას ვერ მიაღწევ დაპყრო-ბით, მას ვერ იყიდი ფულით, ვერც მეფის ტახტით ან სხვა თანამდებობით... ის პიროვნებას ბუნებრივად, ანუ სათნოე-ბაზე და ცოდნაზე დამყარებული კანონზომიერი პროცესე-ბის შედეგად უნდა „ეწვიოს.“ ადამიანი შეიძლება იყოს მეფე, მატერიალურად ფლობდეს ყველაზე მეტს და გააჩნდეს ყვე-ლაზე მეტი უფლებები, მაგრამ თავს ვერ გრძნობდეს ბედნი-ერად. მეტიც, შეიძლება საერთოდ იტანჯებოდეს და თავს

ყველაზე უბედურად თვლიდეს. შორს რომ არ წავიდეთ, ამაზე მიგვითითებს თავად მაკედონელის მოღავწეობა და ტრაგიკული აღსასრული. ის მემკვიდრეობით გახდა მაკედონიის მეფე, მაგრამ ამით კმაყოფილება, სულიერი სიმშვიდე და ბედნიერება ვერ მოიპოვა. ამიტომ დაიპყრო საბერძნეთი და ევროპული ცივილიზაციის ცენტრის მეფეც გახდა. თუმცა ვერც ეს მიანიჭებს მას კმაყოფილებას, რადგან ის მთელი მსოფლიოს დაპყრობას და მისი „საკუთრების“ უკიდეგანოდ გაზრდას ცდილობდა.

ალექსანდრესგან განსხვავებით, დიოგენე იქცეოდა პირიქით: მან ყველა სურვილზე, საკუთრებაზე თქვა უარი, რის შედეგადაც თავს თვლიდა კმაყოფილად და ბედნიერად. თუმცა აღმოსავლელი მისტიკოსები შენიშნავენ, რომ ყველა სურვილის უარყოფის მცდელობა, თავად არის სურვილი და ამიტომ ის სავსებით არ ნიშნავს რეალურად ყველა სურვილის უარყოფას. შესაბამისად, თუ დავაზუსტებთ დიოგენეს მსოფლმხედველობას, შეიძლება ითქვას: ის უმოკლესი გზით – ყველა სურვილის უარყოფით და ზედმეტი შფოთვით ცდილობდა უმაღლესი სიკეთის – ყველაზე ძირითადი მიზნის წვდომას. ასეთ პირობებში მისი ბედნიერებისთვის ისიც კი საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ ის მთელი სამყაროს შვილი იყო, საზღაურის გარეშე სუნთქავდა მის უანგბადს, ჭვრეტდა მზეს, მისი სხივებით თბებოდა და სულიერად ერწყმოდა მის უსაზღვრო სილამაზეს თუ იდუმალებას.

ჩვეულებრივ მკითხველს შეიძლება დაებადოს კითხვა: როგორ შეიძლება არაფრისმქონე დიოგენე ყოფილიყო ბედნიერი და ყველაფრისმქონე მაკედონელი უკმაყოფილო ან უბედური?! სიმდიდრე და მეფის ტახტი ხომ ბედნიერების უზრუნველმყოფელი მოვლენებია, სიღარიბე და არაფრის ქონა კი – უსიამოვნება-უბედურების?

თუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის სფეროში დამკვიდრებულ ცოდნას და ჩვენს გამოკვლევაში დადგენილ ბედნიერების კანონზომიერებას დავემყარებით, შეიძლება ითქვას: დაბალი სიციალური მდგომარეობა და სიღარიბე, მართალია, არის უსიამოვნება-უბედურების გამომწვევი ერთ-ერთი მი-

ზეზი, მაგრამ არა ყოველთვის. გარკვეულ შემთხვევაში მას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ბედნიერება. მსგავსად ამისა, სამყაროში არსებულმა ყველა სხვა მოვლენამ, ისევე როგორც მეფის ტახტმა და სიმდიდრემ, შეიძლება ადამიანი აზიაროს ბედნიერებას, მაგრამ არა ყველა შემთხვევაში. აღნიშნული რეალობის ნათელი მაგალითია არა მხოლოდ მაკედონელი ან დიოგენე, არამედ მრავალი სხვა მეფე, ჩვეულებრივი ადამიანი, პრეზიდენტები, მილიონის და მილიარდის მფლობელი პიროვნებები თუ სხვანი, რომლებიც არ არიან ბედნიერი მათი მდგომარეობით. პირიქით, თავს უბედურადაც კი შეიძლება თვლიდნენ. ცნობილია უამრავი შემთხვევა, როცა უმდიდრესი ადამიანები იტანჯებიან თავიანთ ულამაზეს სასახლებში, ვარდებიან დეპრესიაში, უარს ამბობენ ყველაფერზე და სიცოცხლეს თვითმკლელობითაც კი ასრულებენ. უფრო ზუსტად, ცნობილია, რომ ვერც ერთი ამქვეყნიური წარმატება და სიმდიდრე არ არის გარანტია იმისა, რომ ის ადამიანს მოუტანს ბედნიერებას. პირიქით, მან შეიძლება ის უბედურებას აზიაროს. ამის საპირისპიროდ, უკიდურეს სიღარიბესა და ნეგატიურ პირობებში ადამიანი ბედნიერებას ეზიაროს.

აღნიშნული დებულების რეალობის ნათელასყოფად აუცილებელია გავიხსნოთ ინდოეთის პრინცი გაუტამა (ბუდა), რომელიც დიოგენეზე რამდენიმე საუკუნით ადრე მოლვანეობდა. როცა ის გააცნობიერებს, რომ მეფის სასახლე და ტახტი მას ვერ იხსნიდა უბედურებისგან – დაბერების, დაავადებისა თუ სიკვილისგან, უარს იტყვის ტახტზე, მეფურ პირობებში ცხოვრებაზე, მიატოვებს სასახლეს და ბრაჟმანთა კასტასთან – აღმოსავლელ ბერებთან ერთად შიმშილითა და მედიტაციით შეეცდება ჭეშმარიტების წვდომას: განმინდანება-გასხივოსნებას და აბსოლუტური ბედნიერების მიღწევას. ცნობილია, რომ ის თავის მიზანს სწორედ „სიღარიბეში“ – ყველაფერზე უარის თქმის შემდეგ მიაღწევს და შექმნის მსოფლიო რელიგიას – ბუდიზმს. ასე, რომ ბუდამ ყველა ამ-ქვეყნიურ ფუფუნებაზე, სიმდიდრეზე და წარმავალ ბედნიერებაზე უარი შემთხვევით ან რაღაც ახირების გამო კი არ

თქვა, არამედ უკიდურეს უქონლობაში აბსოლუტური – ყველაზე სრულყოფილი და ღირებული – ბედნიერების მიღწევის სურვილის გამო. აღმოსავლური ცივილიზაცია და მისტიკა მჭიდრო კავშირში იყო ანტიკურ საბერძნეთთან. შესაბამისად, უნდა დავუშვათ, რომ დიოგენესთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ბუდას მოძღვრება, რადგან მის მიერ ყველაფეზე უარის თქმა და ჭეშმარიტება-ბედნიერების წვდომის მცდელობა ძალაუნებურად მოგვაგონებს ბუდას მოძღვრებას.

ზემოთ ნახსენები რეალობა კარგადაა ასახული სხვადასხვა ლიტერატურულ ნაწარმოებშიც. მაგ. ლევ ტოლსტოის ნაწარმოების „ომი და მშვიდობის“ მთავარი პერსონაჟები ანდრეი ბოლკონსკი და გრაფი პიერ ბეზუხოვი მაღალი სოციალური კლასის წარმომადგენლები არიან. მათ აქვთ ყველაფერი, რაც კი შეიძლება უბრალო ადამიანმა ისურვოს: სიმდიდრე, სასახლეები, ოჯახი, მეგობრები, თავისფლება და მრავალი სხვა ბედნიერების უზრუნველყოფელი პირობები, მაგრამ ისინი ყოველივე ამით საერთოდ არ იყვნენ კმაყოფილი, ვერც თავისუფლებას გრძნობდნენ და ვერც ბედნიერებას. ნაპოლეონის მიერ მოსკოვის აღების დროს პიერს ფრანგები დაატყვევებენ. არათავისუფლების და უბედურების განცდის მწვერვალზე ყოფნისას პიერი გააცნობიერებს, რომ ის არის უცნობი კარგად მოძრავი მანქანის ბორბლებში მოქცეული ნამცეცი (9,ტ.4,29). თუმცა, სწორედ ამ მდგომარეობაში – არათავისუფლებისა თუ წამების გოლგოთაზე „იღვიძებს“ მასში შინაგანი თავისუფლება და ბედნიერების განცდა. მასში ღვივდება შინაგანი სასიცოცხლო ძალა და ის ხვდება, რომ სიცოცხლის, თავისუფლების და ბედნიერების უზრუნველყოფელი ღმერთი არის არა ნახსენებ სხვაში – ევროპულ ცხოვრებაში, პოლიტიკაში, მასონობაში და ა.შ. არამედ მასში, როგორც ძიძა ეუბნებოდა, მის ირგვლივ ყველაფერში. ნიკოლოზ კუზანელის ფილოსოფიის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, ის ხვდება, რომ ღმერთია ყველაფერში და ყველაფერი ღმერთში. ამის შემდეგ პიერისთვის აღარაფერია უცნაური და საშიში. მის მიერ შინაგანი თავისუფლების და ბედნიერების განცდას ვეღარ თრგუნავს ვერანაირი არათა-

ვისუფლებით მიყენებული ტკივილი და დამცირება, რადგან მისი „სული ემზადებოდა რა მძიმე ბრძოლისთვის, უარყოფა და ყველა იმ შთაბეჭდილების მიღებას, რომელიც აძაბუნებდა მას“ (8,ტ.4,80), ანუ – იმას, რაც არათავისუფლებას და უბედურებას განაცდევინებდა. სწორედ ამ იდუმალი შინაგანი ძალის საფუძველზე იგრძნობს პიერი, რომ ადამიანი შინაგანად ყოველთვის თავისუფალია, შეუძლებელია, თავისუფლების განმასახიერებელი შინაგანი მე-ს შეზღუდვა ფიზიკური ტყვეობით, რადგან სწორედ „მე-შია მოცემული უსასრულო სამყარო და აბსოლუტური სული“ (იქვე, 81). როცა პიერი შეიგრძნობს ამ ჭეშამრიტებას, თავისუფლების და ბედნიერების განცდის მწვერვალზე აღმოჩნდება. მას ისტერიული, ცრემლის მოგვრელი სიხარული აიტაცებს, გაიკირვებს, რომ ის თითქოს დაატყვევეს და გარშემომყოფთა უცნაური ყურადღების ობიექტი გახდება (იქვე, 81). როგორც ვხედავთ, პიერი თავისუფლებასა და ფუფუნებაში იყო უკმაყოფილო და უბედური, ხოლო დიოგენეზე უფრო ცუდ მდგომარეობაში – ტყვეობასა და უკიდურეს გაჭირვებაში იქცა უბედნიერეს ადამიანად. შესაბამისად, ისმის კითხვა: რა იყო ამის მიზეზი?

ანდრეი ვერ გრძნობდა რა კმაყოფილებას და ბედნიერებას მდიდრულ და მაღალ სოციალურ მდგომარეობში, პიერისგან განსხვავებით, შინაგანი სულიერი სიცარიელის და ნეგატიური განცდების გადალახვას გმირობის მიღწევას უკავშირებდა. ის იყო მისთვის უმაღლესი მიზანი და ყველაზე სრულყოფილი ბედნიერების მიღწევის აუცილებელი ნინაპირობა. მოარული საყოველთაო შეხედულების შესაბამისად ისიც გმირობის იდეალად ნაპოლეონს თვლიდა. მაგრამ მასთან უცნაურმა შეხვედრამ და სურვილის ასრულებამ მას ნეგატიური შედეგი მოუტანა: მძიმედ დაჭრილ სიკვდილის და სიცოცხლის კარიბჭესთან მდგარ ანდრეის ნაპოლეონი გმირად აღიარებს ბრძოლის ველის დათვალიერებისას, რითაც ანდრეის უმაღლესი სურვილი ასრულდება. თუმცა ეს მას ბედნიერებას კი არ მოუტანს, არამედ არსებობის საზრისს დააკარგვინებს და „მწარე“ უბედურებას განაცდევინებს (9,269-270).

როგორც ვხედავთ, არა მხოლდ მაღალმა სოციალურმა მდგომარეობამ და სიმდიდრემ, არამედ ყველაზე მთავარი სურვილის ასრულებამაც კი არა ბედნიერებას, არამედ უბედურებას აზიარა ადამიანი. შესაბამისად, ისმის კითხვა: რა იწვევს ასეთ შედეგებს? მსგავსი ვითარებაა ასახული ჯეკ ლონდონის ნაწარმოებში „მარტინ იდენი.“ თუმცა მის მთავარ მოქმედ პერსონაჟს – მარტინს, ანდრეი ბოლკონსკისგან და გრაფი პიერისგან განსხვავებით, სიმდიდრე და წარმატება მზამზარეულად – მემკვიდრეობით კი არ მიუღია, არამედ დიდი შრომის და ნიჭის შედეგად. მარტინი ნაწარმოების დასაწყისში უბრალო მუშაა, მაგრამ ამის გამო უკმაყოფილოა და თავს დამცირებულად – უბედურად გრძნობს, რადგან უყვარს მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი რუთი; მისი მშობლები კი ენინაალმდეგებიან მათ ქორწინებას მარტინის სიღარიბის გამო. ამ ბარიერის გადასაღახავად სიყვარულით შთაგონებული მარტინი უმოკლეს დროში შეძლებს დიდი ცოდნის დაგროვებას, გახდება აღიარებული მწერალი და უმდიდრესი ადამიანი. თუმცა სიმდიდრის და დიდების მწვერვალზე ყოფნისას ის თავს ყველაზე უბედურ ადამიანად ჩათვლის და სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებს (1,386). ამ შემთხვევაშიც, მიზნების ასრულება უბედურებით მთავრდება. რა არის ამის მიზეზი?

განხილული მაგალითები ნათელყოფს, რომ მაღალი სოციალური მდგომარეობა და სიმდიდრე სულაც არაა ბედნიერების გარანტი. მეორე მხრივ, ცნობილია: ნახევნები მდგომარეობა და სიმდიდრე გარკვეულ შემთხვევაში უზრუნველყოფს სიამოვნება-ბედნიერების განცდას. უფრო ზუსტად, ბედნიერების გამომწვევი ყველა სხვა მოვლენის მსგავსად, მაღალ თანამდებობას და სიმდიდრეს შეიძლება შედეგად მოჰყვეს არა მხოლოდ სიამოვნება-ბედნიერება, არამედ უსიამოვნება-უბედურება. მსგავსად ამისა, ურთიერთსაპირისპირო შედეგები მოჰყვება დაბალ სოციალურ მდგომარეობას და სიღარიბეს მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძირითადად უსიამოვნება-უბედურების გამომწვევ მოვლენებად ითვლებიან. ასე, რომ სავსებით დასაშვებია, დიოგენე

ყოფილიყო ალექსანდრეზე უფრო კმაყოფილი და ბედნიერი, ალექსანდრე კი უკმაყოფილო და უბედური. დიოგენეს კმაყოფილებაზე და პოზიტიურ განცდებზე, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ნათალად მიუთითებს მის მიერ მეფის შეთავაზების უარყოფა. ასეთ შემთხვევაში ისმის კითხვა: რა კანონზომიერება მართავს ასეთ ურთიერთსაპირისპირო პროცესებს? არაფრის მქონე დიოგენეს, ბუდას ან ტყვეობით დაუძლურებული პიერ ბეზუხოვის მდგომარეობაში როგორ შეიძლება ადამიანი ეზიაროს ბედნიერებას? ხოლო „ყველაფრის მფლობელი“ მაკედონელის, ანდრეის, პიერის ან მარტინ იდენის მსგავს მდიდრულ პირობებში უკმაყოფილებას და „უბედურებას?“ ამ მოვლენის გამომწვევი კანონზომეირება ნათელი გახდება, თუ პასუხს გავცემთ უფრო ზოგად კითხვას: რა შემთხვევაში იწვევს მეფობა, პრეზიდენტობა, მინისტრობა თუ სხვა სახის მაღალი სოციალური მდგომარეობა და სიმდიდრე ბედნიერების განცდას და რა შემთხვევაში უბედურებას?

აუცილებელია შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ კითხვებზე, მათი სასიცოცხლო მნიშვნელობის მიუხედავად, არგუმენტირებული პასუხის გაცემა შეუძლებლად ითვლებოდა საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისის მიხედვით. იმანულ კანტმა კი ამ პრობლემის მოგვარება უშუალოდ ინსტინქტს გადააპარა (8,257) და ძალაუნებურად განამტკიცა მისი ამოხსნის უარმყოფელი საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისი (3,41). თანამედროვე ეტაპზე ბედნიერება-უბედურების, ზნეობის, სიყვარულის და სხა მათთან დაკავშირებული მოვლენების კანონზომიერება უკვე ცნობილია (3,220-312). შესაბამისად, თუ მისი გათვალისწინებით განვიხილავთ ზემოთ განხილულ პრობლემებს და შევეცდებით ნახსენებ კითხვებზე პასუხის გაცემას, აღმოჩნდება: დიოგენეს, მაკედონელის, მარტინის, პიერის, ანდრეის და ა.შ. სულიერი მდგომარეობა, ქცევები და განცდები არ ყოფილა შემთხვევითა. მათ არსებითად მართავდა ადამიანის ემოციური სამყაროს მარეგულირებელი ზომები. რას ნიშნავს ეს ზომები? მასში იგულისხმება ის კრიტიკული წერტილები ადამიანის

საერთო ენერგეტულ პოტენციაში, რომლის გადალახვას შედეგად მოყვება სიამოვნება-ბედნიერების ან უსიამოვნება-უბედურების განცდა და შესაბამისი ქცევა. უფრო ნათლად რომ გავიაზროთ ეს კანონზომიერება, აუცილებელია, გავიხსენოთ ბედნიერება-უბედურების ყველაზე ძირითადი ცნებები და შემდეგ ვცადოთ კითხვებზე პასუხის გაცემა

ბედნიერება, არსებითად, არის ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის შეგუებულ ზომაზე მეტად ზრდით გამოწვეული განცდა (3,367). ეს ნიშნავს: სიამოვნება-ბედნიერების და უსიამოვნება-უბედურების განცდა, ისევე როგორც მათ შუალედურ ნეიტრალურ ემოციურ მდგომარეობაში ყოფნა დამოკიდებულია გარესამყაროდან ადამიანში შეღწეულ სასიცოცხლო ან მომაკვდინებელ ძალაზე და მის შედეგად ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის ცვალებადობაზე: მის სიამოვნება-ბედნიერების და უსიამოვნება-უბედურების ზომებს შორის მერყეობაზე. ემოციების მარეგულირებელ ზომებში იგულისხმება, რომ ადამიანის ემოციურ სამყაროში მოცემულია სამი ძირითადი მდგომარეობა და ყველა მათგანს აქვს მისი მარეგულირებელი ზომა – კულმინაციური წერტილი; სწორედ მისი გადალახვის შემდეგ წარმოიქმნება ახალი თვისებრიობა განცდის სახით. ემოციური სამყაროს სამი ძირითადი მდგომარეობაა: დადებითი – სიამოვნება-ბედნიერების, უარყოფითი – უსიამოვნება-უბედურების და ამ ორ ურთიერთდაპირისპირებულ მოვლენას შორის მოცემული – ნეიტრალური, რომელსაც არ ახლავს არც დადებითი და არც უარყოფითი განცდა.

ადამიანის საერთო ენერგეტულ პოტენციას ქმნის არა მხოლოდ მისი ფიზიკური და ცნობიერი სასიცოცხლო ძალა, არამედ ყველაფერი, რასაც ის ფლობს საკუთრების, ანუ ენერგიის სახით. თუ ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენცია დადებით და უარყოფით ემოციათა მარეგულირებელ ზომებს შორისაა, მაშინ ის არაფერს განიცდის – ნეიტრალურ მდგომარეობაშია.

თუ პოზიტიურ განცდათა გამომწვევი მოვლენის მიერ გაცემული, ანუ გარესამყაროდან ათვისებული ენერგიის

საფუძველზე ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის პოზიტიური შემადგენლობა რაოდენობრივად იზრდება მის-დამი ადაპტირებულ სიამოვნების ზომაზე მეტად, მაშინ იწყება სიამოვნების განცდა და წარმოიქმნება ახალი თვისებრიობა ნეიტრალური ემოციური მდგომარეობის უარყოფის სახით. ეს არის პოზიტიური უარყოფის პირველი საფეხური.

როცა ეს პროცესი გრძელდება, ან ერთბაშად აღმოჩნდება ისე დიდი, რომ ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის ზრდა რაოდენობრივად გადააჭარბებს მისდამი ადაპტირებულ ბედნიერების ზომას, მაშინ იწყება ბედნიერების განცდა – წარმოიქმნება ახალი თვისებრიობა. ეს არის პოზიტიური უარყოფის უარყოფა და მისი მეორე საფეხური, რადგან ბედნიერებით უარიყოფა არა მხოლოდ სიამოვნება, არამედ ნეიტრალური ემოციური მდგომარეობა.

თუ პოზიტიურ განცდათა უზრუნველყოფა დაუკავშირდა განუსაზღვრელ ენერგეტულ პოტენციას, ანუ სამყაროს უსასრულობის განმასახიერებელ სუბსტანციას – ღმერთს, უმაღლეს იდეას ან სხვა მისტიკურ საწყისს, მაშინ: შეიძლება გადაილახოს ადამიანური შესაძლებლობის ზომა და ბედნიერების განცდამ ზეადამიანური, ზესრულყოფილი, ღვთაებრივი და მარადიული შინაარსი შეიძინოს, რადგან ამოუწურავი ღვთაებრივი წყაროს საფუძველზე, ენერგეტული შევსების პროცესი იქნება აბსოლუტურად სრულყოფილი და მარადიული. ეს ნიშნავს, რომ შემოქმედთან ურთიერთმიმართების შედეგად გამოწვეული ბედნიერების, ექსტაზის, სამაღხის... განცდაც დიალექტიკურ კანონზომიერებას ემყარება.

პოზიტიურ განცდათა ეს საფეხურები არის ბედნიერების დადებითი დიალექტიკა. მის საპირისპიროდ, თუ ნეგატიური ენერგეტული ზემოქმედებით ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის ოდენობა კლებულობს და მისი შემადგენლობა იცვლება უარყოფითად უსიამოვნების ზომაზე მეტად, წარმოიქმნება ახალი თვისებრიობა – უსიამოვნების განცდა. მის საფუძველზე უარიყოფა ნეიტრალური ემოციუ-

რი მდგომარეობა და ის არის ნეგატიური უარყოფის პირველი საფეხური.

თუ ეს პროცესი რაოდენობრივად გადააჭარბებს უბედურების ზომას, მაშინ იწყება უბედურების განცდა – წარმოიქმნება ახალი თვისებრიობა. ეს არის უარყოფის უარყოფა, რადგან მის საფუძველზე უარიყოფა არა მხოლოდ უსიამოვნება, არამედ ნეიტრალური ემოციური მდგომარეობაც. ის ნეგატიური უარყოფის მეორე საფეხურია.

თუ ასეთი პროცესი გახანგრძლივდა, ან აღმოჩნდა ისე დიდი, რომ უცებ დაიშრიტა და მოინამლა ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენცია უბედურების უკიდურეს კულმინაციურ წერტილზე მეტად, მაშინ ის საერთოდ შეწყვეტს არსებობას.

ნეგატიურ ემოციათა ეს საფეხურები არის ბედნიერების უარყოფითი დიალექტიკა. ის ერთიანდება უბედურების ცნებაში და მისი არსი გამოითქმის შემდეგნაირად: **უბედურება, არსებითად, არის ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის დადებითი სუბსტანციების აქტიური დაკარგვით და მისი ნეგატიური შემადგენლობის შეგუებულ ზომაზე მეტად ზრდით გამოწვეული განცდა.**

ასეთია ზოგადად ბედნიერების დადებითი და უარყოფითი დიალექტიკა. ამ ორი ურთიერთადპირისპირებული მოვლენის საფუძველზე, იქმნება საერთოდ ემოციური სამყაროს მთლიანობა. სხვადასხვა სახის ბედნიერება კი უზრუნველყოფა ენერგეტული სუბსტანციის სხვადასხვა ფორმით: ყოფითი ბედნიერება უკავშირდება ენერგიის ფიზიკურ ფორმებს, ესთეტიკური – მშვენიერების სახით გამოვლენილს, ინტელექტუალური – ცნებაში მოცემულს, რელიგიური – ღმერთიდან მომდინარეს, იდეალისტური – მთელი სამყაროს შემოქმედი უმაღლესი იდეის მიერ გაცემულს, მისტიკური – მისტერიული პრინციპებით „შემეცნებული“ შემოქმედიდან მომდინარეს, ზნეობრივი – სათნოების შედეგად სხვისთვის ბოძებულს და ა.შ.

ვფიქრობთ, აუცილებელია, უფრო კონკრეტულად ავსნათ, რა იგულისხმება ემოციების მარეგულირებელ ზო-

მებში, რადგან ისინი ადამიანის საერთო ენერგეტულ პოტენციაში ყოველთვის არ ვლინდება ფიზიკური, ანუ თვალით აღქმადი ფორმით. უფრო ზუსტად, ადამიანის საერთო ენერგეტულ პოტენციაში შედის არა მხოლოდ ფიზიკური მოვლენის სახით არსებული და თვალით ხილული მოვლენები – ადამიანის ფიზიკური სხეული, უძრავ-მოძრავი ქონება, ათასობით ლარი, მილიონი, მილიარდი და ა.შ. არამედ – თვალით უხილავი ფსიქიკური თუ სულიერი სასიცოცხლო ძალა. ე.ი. ადამიანის საერთო ენერგეტულ პოტენციას ქმნის ხილული და უხილავი ენერგია შესაბამისი ზომებითურთ. ამიტომ ის უნდა მოვიაზროთ გონებით ჩვენს მონოგრაფიაში მოცემული ხატოვანი სქემის მიხედვით (3,405). გონების ჩართავა აუცილებელია იმიტომაც, რომ ზომა კანონზომიერების შემადგენელი ნაწილია და კანონზომიერება საერთოდ არ ეძლევა ადამიანს შეგრძნებებში ხატოვანი აღქმის სახით, მისი წვდომა ხდება აზროვნებით. ადამიანი სურათობრივად ხედავს მხოლოდ კანონზომიერების შედეგს (მაგ. კონკრეტული საგნის – ვამლის, ქვის... – ვარდნას დედამიწაზე) და არა თავად კანონზომიერებას (დედამიწის მიზიდულობის ძალას). ეს ეხება ყველა კანონზომიერებას და, რა თქმა უნდა, სხვადასხვა განცდის წარმომქმნელ – ემოციის მარეგულირებელ ზომებსაც.

ემოციის ზომის ნათლად წარმოსადგენად შეიძლება პარალელების გავლება და მაგალითების მოყვანა სხვადასხვა სფეროდან, რადგან არა მხოლოდ ადამიანში, არამედ მთელ სამყაროში, თვით ატომში და მის მიკრო სტრუქტურაში თუ მაკრო და მეგა სამყაროში, ცოცხალ და არაცოცხალ მოვლენებში თვისებრივი ცვლილებები მიმდინარეობს გარკვეული ზომების შესაბამისად. ეს ნიშნავს, რომ ზომა არის სამყაროში მოქმედი უნივერსალური კანონზომიერების შემადგენელი ნაწილი და ისეთი კრიტიკული წერტილი, რომლის გადალახვის შემდეგ წარმოიქმნება ახალი თვისება. მაგალითად, მენდელეევის ტაბულის, ანუ მატერიალურ სამყაროში არსებული ყველა ქიმიური ელემენტის სხვადასხვაგვარობა – ახალი თვისებრიობის თუ ელემენტების წარმოქმნა – ემყარება

ატომური წონის რაოდენობრივ ზრდას და შესაბამისი ზომის გადალახვას. სწორედ ამიტომ, სამყაროში არსებული ყველა მარტივი თუ რთული ნივთიერება წარმოიქმნება თვისებრივად მსგავსი ან განსხვავებული ატომების რაოდენობრივი ზრდით და შესაბამისი ზომის გადალახვის საფუძველზე: ერთ ატომ წყალბადს თუ შეუერთდება ორი ატომი ჟანგბადი, გადილახება აღნიშნული ზომა და წარმოიქმნება თვისებრივად ახალი ნივთიერება H_2O ა.შ. ამ შემთხვევაში ზომები, რა თქმა უნდა, თვალით უხილავია, თუ მიკროსკოპს არ მოვიშველიერთ.

რაც შეეხება უშუალოდ სითხის სახით არსებული წყლის თვისებრივ ცვლილებებს, ისიც გარკვეული ზომების შესაბამისად მიმდინარეობს და დამოკიდებულია სითბოს რაოდენობრივ ზრდაზე ან კლებაზე. მაგ. წყლის თვისებრივი ცვლილების მარეგულირებელი ზომებია 0 და 99 გრადუსი ცელსიუსი. ეს ნიშნავს, რომ თუ მას, როგორც სითხეს, ცეცხლზე გავაცხელებთ 40, 50, 60, 70, 80, 90 გრადუსამდე, ის თავის თხევად მდგომარეობას შეინარჩუნებს. 99 გრადუსზე, როგორც ზომაზე მეტად გაცხელების შემთხვევაში კი ის უცებ თვისებრივად შეიცვლება და იქცევა ორთქლად. ამის საპირისპიროდ, 0 გრადუსამდე გაცივების შემთხვევაში წყალი თხევად მდგომარეობაში რჩება, მაგრამ 0 გრადუსზე, ანუ ზომაზე მეტად გაცივების შემდეგ, ის თვისებრივად იცვლება და იქცევა მყარ სხეულად – ყინულად.

როგორც ვხედავთ, 0 და 99 გრადუსი არის წლის თვისებრივი ცვლილებების გამომწვევი ზომა, მისი თხევადი მდგომარეობიდან ორთქლად ან ყინულად ქცევის კულმინაციური წერტილი. ამ ზომებს შორის კი წყალი გვევლინება იმ სახით, რასაც ის წარმოადგენს რეალურად. ეს ეხება არა მხოლოდ წყალს, არამედ ყველა სხვა სითხეს. შესაბამისად, ამ კანონზომიერებას ემყარება არა მხოლოდ ქიმია, მედიცინა და სხვა ადამიანის თუ საერთოდ ცოცხალი ორგანიზმების შემსწავლელი კონკრეტული მეცნიერება, არამედ ტექნიკური უსაფრთხოების სამსახურებიც კი. მათ ქიმიის წყალობით ზუსტად იციან არა მხოლოდ წყლის, არამედ სხადასხვა საწ-

ვავი სითხის (ბენზინის, ნავთობის, ზეთის...) თვისებრივი ცვლილების გამომწვევი ზომა და შესაბამისი მკაფრი კონტროლის საშუალებით ხორციელდება მათი ტრანსპორტირება თუ მხომარება შიგაწვის ძრავებში. ეს რეალობა რომ არ გაითვალისწინონ მათ, ასეთი რამ შეუძლებელი იქნებოდა.

განხილულ კანონზომიერებას ემყარება წყლისგან თვისებრივად საერთოდ განსხვავებული მოვლენის ელექტროენერგიის მიღებაც. მაგალითისთვის მოკლედ შევეხებით ამ პროცესს. წყლის მექანიკური ენერგიის ელექტრობად გარდაქმნისთვის აუცილებელია, წყლის გარკვეული რაოდენობის კაშხლის სიმაღლიდან დაშვება და მისი დაცემა ტურბინის ფრთებზე. ამის შედეგად ის ამოძრავდება და დაატრიალებს ტურბინის ლილვს. როცა მისი ბრუნვის სიჩქარე გადალახავს ელექტროენერგიის მისაღებ ზომას – კულმინაციურ წერტილს, წყლის მექანიკური ენერგია ახალ თვისებრიობაში გადადის. ის გარდაიქმნება ელექტროენერგიად და გამოდის ლილვის ზედაპირზე. შემდეგ მას ანანილებენ მოხმარების-თვის. იმავე კანონზომიერებას ემყარება წყლისგან არა მხოლოდ ელექტროენერგიის, არამედ მრავალი სხვა თვისებრივად განსხვავებული მოვლენის მიღება, მაგრამ მათი ანალიზი შორს წაგვიყვანს. ამიტომ შევეხებით მხოლოდ ადამიანურ სამყაროს.

აღინიშნა, რომ განხილულ კანონზომიერებას ექვემდებარება ბუნების მიკრო, მაკრო და მეგა სტრუქტურა, ანუ არაცოცხალი და ცოცხალი სამყარო. უფრო ზუსტად, მას ექვემდებარება თავად ადამიანი და მისი არსებობა, ლოგიკური აზროვნება, ცოდნის დაუფლება, ემოციები, სიყვარული, ზნეობრივი ქცევები თუ მისი სამყაროს პირველსაწყისთან – ღმერთთან ურთიერთმიმართება. ამ შემთხვევაში განვიხილავთ ადამიანურ არსებობას და შემეცნებას (უფრო ვრცლად იხ. 5, 70).

ადამიანი არსებობის პროცესში გაივლის ჩვილობის, ბავშვობის, მოზარდის, ახალგაზრდის, ზრდასრულობის და მოხუცებულობის ასაკს. ყველა ამ საფეხურს აქვს შესაბამისი ზომა. ადამიანი კი ზეაღმავალი თანმიმდევრობით თვი-

სებვრივად იცვლება იმიტომ, რომ რაოდენობივად იზრდება ასაკი და გარკვეულ ეტაპზე გადაილახება მისი თვისების მარეგულირებელი სხვადასხვა კულმინაციური წერტილი – ზომა.

ასაკის რაოდენობრივ ზრდაში იგულისხმება დროის ნინძვლა და ის სასიცოცხლო პროცესი – მეტაბოლიზმი, რომელიც ადამიანში მიმდინარეობს გარესამყაროდან ათვისებული ენერგიის ხარჯზე. ამ დროს განუწყვეტლივ მეორდება ნივთიერებათა ცვლა, ძველი უჯრედების კვდომა და ახალის წარმოქმნა. სწორედ ამ განმეორების და მისი რაოდენობრივი ზრდის შედეგად იცვლება ადამიანი, როგორც ცოცხალი არსება, და ის ახალ თვისებრიობაში გადადის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, – გვემატება ასაკი და როცა მისი რაოდენობრივი ზრდა გადალახავს ჩვილობის, ბავშვობის, მოზარდობის, ახალგაზრდობის, ზრდასრულობის თუ მოხუცებულობის წარმომქმნელ ზომებს, ადამიანი გადადის ახალ თვისებრიობაში, ჩვილი ხდება ბავშვი, ბავშვი – მოზარდი, მოზარდი – ახალგაზრდა და ა.შ. უფრო ზუსტად, როცა სასიცოცხლო პროცესების რაოდენობრივი გამეორება და ასაკის ზრდა გადალახავს დაახლოებით შვიდ თვეს, ანუ ასაკის მარეგულირებელ პირველ ზომას, ჩვილი იცვლის თვისებას და ის ხდება ბავშვი. როცა ის გადალახავს დაახლოებით 7 წელს, როგორც კულმინაციურ წერტილს, კვლავ წარმოიქმნება ახალი თვისებრიობა: ბავშვი ხდება მოზარდი. როცა გადაილახება შემდეგი ზომა, დაახლებით 14 წელი, კვლავ ახალი თვისებრივი ცვლილება ხდება და მოზარდი გვევლინება ახალგაზრდად. ასაკის რაოდენობრივი ზრდით ახალი ზომის, დაახლოებით 21 წლის, გადალახვის შედეგად ადამიანი კვლავ ახალ – ზრდასრული ახალგაზრდის თვისებებს იძენს. იმავე პროცესების რაოდენობრივი ზრდით ახალი ზომის – 28 და 35 წლის გადალახვის შემდეგ ადამიანი გადადის ახალ თვისებრიობაში და ის ხდება მამაკაცი. დაახლოებით 35 – 42 წლის ფარგლებში და შემდეგ ადამიანი კვლავ იცვლის თვისებას და ხდება ზრდასრული მამაკაცი. 42 – 49 წლის შემდეგ იწყება ხანში შესული მამკაცობა. 56 წლის შემდეგ კი იწყება მოხუ-

ცებულობა... ასაკის რაოდენობრივი ზრდით სასიცოცხლო ზომის გადალახვის შემდეგ, პიროვნება კვლავ ახალ თვისებრიობაში გადადის – ის წყვეტს ფიზიკურ სხეულში არსებობას და გადადის სხვა „უხილავ“ განზომილებაში.

მაშასადამე, არსებობის ყოველი წამი და მისი რაოდენობრივი ზრდა სხვადასხვა ზომის გადალახვის შემდეგ ინვევს ადამიანის გადასვლას ასაკის ახალ თვისებრივ საფეხურზე. ასაკის ყველა ახალი საფეხური კი არის წინას უარყოფა.

არსებობის პროცესში ადამიანის მიერ ცოდნის დაგროვებაც თვისებრივ ცვლილებებს სწორედ გარკვეული ზომის გადალახვის საფუძველზე ინვევს. სახელდობრ, სწავლის პროცესში ცოდნის ზრდას კანონზომიერად თან ახლავს მოსწავლის, აბიტურიენტის, სტუდენტის თუ სხვა ადამიანის თვისებრივი ცვლილება. ეს ხდება იმ შეთხვევაში, როცა ცოდნის რაოდენობრივი ზრდის შედეგად გადაილახება გარკვეული ზომა – კულმინაციური წერტილი – პირველი, მეორე, მესამე თუ ნებისმიერი სხვა კლასი ან კურსი გამოცდების შემდეგ. უფრო კონკრეტულად, ყოველი კლასის ან კურსის დასასრული არის ახალი თვისების წარმომქმნელი ზომა. როცა მოსწავლე ან სტუდენტი გადადის სხვა კლასში თუ კურსზე, მისი ცნობიერი მდგომარეობა აღარ არის ისეთი, როგორიც იყო წინა კლასსა თუ კურსზე, ის თვისებრივად იცვლება, უმჯობესდება და ადის ახალ საფეხურზე, რადგან იმყოფება ახალ ზომაში. ასე გრძელდება სკოლის, უნივერსიტეტის თუ ნებისმიერი სხვა სასწავლებლის დამთავრებამდე. საბოლოოდ, როცა ბარდება გამოსაშვები ან სახელმწიფო გამოცდები სკოლაში თუ უნივერსიტეტში, თვისებრივად „იბადება“ ახალი ადამიანი: მას, მოსწავლისგან განსხვავებით, შეუძლია დაიწყოს დამოუკიდებელი ცხოვრება, გააგრძელოს სწავლა ან დაიწყოს სამსახური და ა.შ. ხოლო სტუდენტი აღარ არის ის, რაც ის იყო სტუდენტობისას. ის უკვე სპეციალისტია და ეს თვისებრივი ცვლილებები ხდება იმის შედეგად, რომ ცოდნის რაოდენობრივი ზრდის შედეგად გადაილახა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ზომა – საბოლოო კულმინა-

ციური წერტილი ცოდნის დაუფლების რამდენიმეწლიან ციკლში.

როგორც ვხედავთ, შემეცნების პროცესში თვისებრივად ახალი საფეხურის წარმოქმნა ექვემდებარება გარკვეული ზომით რეგულირებად კანონზომიერებას. ის ახასიათებს ცოდნის დაუფლების ყველა პროცესს, არა აქვს მნიშვნელობა ეს პროცესი მიმდინარეობს სასწავლებელში თუ მის ფარგლებს გარეთ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ავხსნათ, თუ რამ გამოიწვია ჯეკ ლონდონის მხატვრული პერსონაჟის მარტინ იდენის შინაგანი სულიერი ცვლილებები და ტრაგიკული აღსასრული. მისი სულიერი ცვლილებები განაპირობა დამოუკიდებლად ცოდნის რაოდენობრივი დაგროვების შედეგად ემოციის და ადამიანის სულიერი სამყაროს მარეგულირებელი კრიტიკული წერტილის – ზომის გადალახვამ. სწორედ ამის გამო თვისებრივად შეცვალა მარტინი და მან საერთოდ სხვაგვარად დაინახა ერთ დროს სათაყვანებელი მაღალი კლასის ადამიანები, სატრაფო, ახლობლები, საზოგადოება და მთელი სამყარო. შეამჩნია მათი ნაკლი, რადგან ის შინაგანად – თვისებრივად ამაღლდა და სხვა ადამიანად იქცა; მაგრამ ვერც ძველ ცხოვრებას და მეგობრებს დაუბრუნდა, რადგან მათ შორის ათასობით წაკითხული წიგნი და მათში მოცემული ცოდნა, როგორც ზომა, გადაულახვი კედელივით იყო აღმართული. უფრო ზუსტად, ისინი სხვა ზომაში იმყოფებოდნენ, მარტინი კი აღმოჩნდა სხვაში.

ცოდნის დაგროვების, შინაგანი თვისებრივი ცვლილების და დიდი წარმატების მიღწევის მიუხედავად რატომ ასრულებს მარტინი სიცოცხლეს ტრაგიკულად – თვითმკვლელობით? ასეთი შემთხვევის მიზეზთა მეცნიერული ახსაც შეუძლებელად ითვლებოდა, მაგრამ, განხილული კანონზომიერების საფუძველზე, მათზე პასუხის გაცემა უკვე შესაძლებელია: სახელდობრ, მარტინმა ვერ გაითვალისწინა, რომ ცოდნის დაუფლებას პოზიტიურთან ერთად ახლავს ნეგატიური განცდები. უფრო ზუსტად, მას ახლავს ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის „მონამლვითა“ და კლებით გამოწვეული უსიამოვნება-უბედურების განცდაც. შესაბამი-

სად, თუ ასეთი ნეგატიური პროსესის შედეგად გადაილახა სასიცოცხლო ზომა, მაშინ პიროვნება სიცოცხლეს წყვეტს ბუნებრივი სიკვდილით ან თვითმკვლელობით. არა აქვს არ-სებითი მნიშვნელობა, რა წარმატებებს მიაღწია მან ან რა სა-კუთრებას ფლობს. ეს ნიშნავს, რომ გარეგნული წარმატების მიუხედავად მარტინის შინაგანი სულიერი სამყარო – საერ-თო ენერგეტული პოტენცია გამოფიტული და მონამლული იყო სასიცოცხლო ზომაზე მეტად, ამიტომ მას აღარ ყოფნი-და ძალა არსებობის შესანარჩუნებლად.

ასე რომ, ზომები ყველა მოვლენაშია, მაგრამ განსხვა-ვებული ფორმით. ფიზიკურ მოვლენებში შესაძლებელია მი-სი ფიქსირება სხვადასხვა აპარატურით. მაგ. წყლის ტემპე-რატურას ვზომავთ თერმომეტრით, ატომებში კი ის უკავ-შირდება მათ რაოდენობას – ატომურ წონას. ადამიანური არსებობის პროცესში ზომები ეხება წლების სიმრავლეს – სასიცოცხლო ციკლის რაოდენობას, ცოდნის დაუფლების დროს კი ის უკავშირდება სასწავლო წლებს – კლასს, კურსს – და ცოდნის რაოდენობრივ დაგროვებას. რაც შეეხება ემო-ციის სფეროს, ეს ძალიან ფაქიზი სამყაროა და ზომები უკავ-შირდება ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის არა მხოლოდ ხილულ (ფიზიკურ), არამედ უხილავ (ცნობიერები-სეულ) ნაწილს, თუმცა მათი მოაზრება შესაძლებელიცაა და აუცილებელიც. ის შესაძლებელია იმიტომ, რომ კანონზომი-ერება უკვე ცნობილია. აუცილებელია იმიტომ, რომ მასზე ჩვენი სიცოცხლე და წარმატებაა დამოკიდებული. სახელ-დობრ, კანონზომიერება რადგან აბსტრაქტული და ცნობიე-რებით საწვდომი მოვლენაა, ადამინმა ემოციების ზომები უნდა მოიაზროს გონებით და რეფლექსით – საკუთარ გან-ცდებზე დაკვირვებით. მაგალითად, როცა მას მოემატება სა-სიცოცხლო ძალა და იგრძნობს სიამოვნებას ან ბედნიერე-ბას, უნდა გააცნობიეროს, რომ მისი ენერგეტული პოტენცია გამოვიდა ნეიტრალური მდგომარეობიდან და გადაილახა შე-საბამისი ზომა... რაც უფრო მეტად დააკვირდება პიროვნება ასეთ და მსგავს პროცესს, მით უფრო გაუადვილდება აღნიშ-ნული ზომების „აღქმა.“

აუცილებელია, შევნიშნოთ ისიც, რომ ემოციის ზომა არის არა უცვლელი – ერთხელ და სამუდამოდ მოცემული მოვლენა, არამედ ცვალებადი და შეგუებადი. ის იცვლება – იზრდება ან მცირდება ასაკის, ცოდნის, ქონების თუ სხვა ფიზიკური და ცნობიერი პროცესების შედეგად დაგროვილი ან დაკარგული სასიცოცხლო ენერგიის შესაბამისად და უზრუნველყოფს ადამიანის სხვადასხვა პირობებისადმი შეგუებას, განცდების ჩაქრობას. ეს კანონზომიერება უფრო ნათელი გახდება, თუ განვიხილავთ კონკრეტულ მაგალითებს ზე-მოთ დასმული კითხვების შესაბამისად: რატომ იწვევს მაღალი სოციალური მდგომარეობა (მეფობა, პრეზიდენტობა, მინისტრობა...) და სიმდიდრე არა მხოლოდ ბედნიერების განცდას, არამედ უბედურებას? ასე ხდება იმიტომ, რომ სამყაროში არსებული ყველა მოვლენა არის არა მხოლოდ პოზიტური, არამედ ნეგატიური თვისებების და ენერგიის მატარებელი. შესაბამისად, თუ მოვლენის პოზიტიური ენერგიის საფუძველზე ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენცია გაიზარდა ბედნიერების ზომაზე მეტად, მაშინ ის განიცდის ბედნიერებას. თუ მოხდა პირიქით და მოვლენის ნეგატიური თვისებების თუ ენერგიის საფუძველზე ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენცია შემცირდა და მოიწამლა უბედურების ზომაზე მეტად, მაშინ ის განიცდის უბედურებას.

როგორც ვხედავთ, ბედნიერება-უბედურების განცდას იწვევს ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის ზრდა ან კლება ემოციების მარეგულირებელ ზომებზე მეტად. შესაბამისად, გასაგები ხდება, რომ ნებისმიერი მაღალი სოციალური მდგომარეობა და სიმდიდრე თუ აღავსებს ადამიანს სასიცოცხლო ენერგიით სიამოვნება-ბედნიერების ზომაზე მეტად, მაშინ მას დაეუფლება სიამოვნების და ბედნიერების განცდა. საპირისპირო შემთხვევაში – აღნიშნული მდგომარეობა და სიმდიდრე თუ ფიტავს და წამლავს ადამიანის საერთო ენერგეტულ პოტენციას უსიამოვნება-უბედურების ზომაზე მეტად, მაშინ ის განიცდის უსიამოვნებას და უბედურებას. ვნახოთ, როგორ ვლინდება ზომები ქონებასათან – ფულთან მიმართებაში?

ყველა სახის ქონება რადგან ფულის ერთეულით იზომება, უნდა გავარკვიოთ, რა არის ფული არსებითად? უფრო ზუსტად, უნდა დავადგინოთ, არის თუ არა ის ენერგეტული მოვლენა, რადგან ბედნიერების განცდას სწორედ ენერგია უდევს საფუძვლად. ფული არის ადამიანის მიერ შრომის სახით დახარჯული ენერგიის სანაცვლოდ მიღებული პირობითი ნიშანი – ქაღალდის კუპიურა, ოქრო, ბრილიანტი და ა.შ. ეს ნიშნავს, რომ ის არის ადამიანის მიერ გაცემული ენერგიის ასანაზღაურებლად და მისი სიცოცხლის უზრუნველსაყოფად მიღებული ისეთი ენერგია, რომელიც ფულში მოქცეულია საცვლელი ღირებულების ფუნქციით. მაგ. ადამიანი რომელიც ქარხანაში ამზადებს სათამაშოს, ის შრომისას ხარჯავს ენერგიას, ანუ მისი სიცოცხლის გარკვეულ ნაწილს პროდუქციის წარმოებისთვის. შესაბამისად, აუცილებელია ამ დაკარგული ენერგიის აღდგენა და მისი არსებობის უზრუნველყოფა კვებით, ტანსაცმლით, საცხოვრებლით და ა.შ. ყოველივე ამას კი ის ახერხებს ფულში ფიქსირებული ენერგიის წყალობით: ის ფულის გარკვეულ რაოდენობას, რომელსაც ხელფასის სახით ღებულობს, უხდის სხვას და იძენს საკვებს, ტანსაცმელს, იშენებს ბინას და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ფული ენერგიის ეკვივალენტია. ფულის ერთეულით იზომება და არსებითად ენერგიაზე დაიყვანება ადამიანის მფლობელობაში არსებული ყველა სახის უძრავ-მოძრავი ქონებაც. ამიტომ, როცა ადამიანი ფულის ან ქონების გარკვეული რაოდენობის მესაკუთრე ხდება, მისი საერთო ენერგეტული პოტენცია და შესაძლებლობები იზრდება – ის არსებითად გვევლინება უფრო მეტი სასიცოცხლო ენერგიის მფლობელად. შესაბამისად, თუ ფულის სახით განხორციელებული ენერგეტული შევსების ოდენობა გადააჭარბებს სიამოვნების ზომას, ადამიანი განიცდის სიამოვნებას. თუ ის გადააჭარბებს ბედნიერების ზომას, მაშინ იწყება ბედნიერების განცდა. მაგრამ თუ ფულის რაოდენობა ვერ გადააჭარბებს ვერც ერთ პოზიტიურ ზომას, მაშინ ადამიანი რჩება ნეიტრალურ მდგომარეობაში და არაფერს არ განიცდის, არც სიამოვნებას და არც ბედნიერებას.

აუცილებელია დავაზუსტოდ: სიამოვნება-ბედნიერების განცდა, შემდეგ კი მათი ჩაქრობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ადაპტირებული ზომების შესაბამისად ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის ზრდაზე, არამედ მისდამი შეგუებაზეც: თუ იზრდება ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენცია, მის შესაბამისად იზრდება ემოციის ზომებიც გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. აღნიშნული პოტენციის კლების შემთხვევაში კი მიმდინარეობს საპირისპირო პროცესი და მცირდება სიამოვნება-ბედნიერების ზომა. ამიტომ არა აქვს არსებითი მნიშვნელობა: რა რაოდენობას ხელფასს ღებულობ და რა რაოდენობის ქონებას, ანუ ენერგიას ფლობ, რადგან მათ ნებისმიერ ოდენობას ეგუება ემოციის ზომა და განცდა წყდება. მეტიც, სხვადასხვა ადამიანის სიამოვნება-ბედნიერების გამომწვევი კრიტიკული წერტილი არის არა მხოლოდ ცვალებადი და ადაპტირებადი, არამედ სხვადასხვა. ის იცვლება არა მხოლოდ ასაკის მატების შესაბამისად, არამედ ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციისა თუ მატერიალური შემოსავლის ცვლილებისდაკვალად და ეგუება ნებისმიერი ოდენობის სასიცოცხლო ძალას. ეს ნიშნავს, რომ მილიონერს, თუ მისი სიამოვნება-ბედნიერების გამომწვევი ზომები შეგუებულია მილიონს, ათას ლარიანი ხელფასის აღება სიამოვნება-ბედნიერებას ვერ მიანიჭებს. ვერ მიანიჭებს, რადგან მისი საერთო ენერგეტული პოტენციის ზომა უფრო დიდ შემოსავალზე – მილიონზეა შეგუებული. ამ შემთხვევაში სიამოვნება-ბედნიერების განცდა შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ მილიონზე მეტმა ხელფასმა, ანუ მისი საერთო ენერგეტული პოტენციის ისეთმა ზრდამ, როცა გადაილახება მილიონს შეგუებული სიამოვნება-ბედნიერების გამომწვევი ზომა. ათას ლარიანმა ხელფასმა ბედნიერება შეიძლება განაცდევინოს მხოლოდ იმას, ვინც თვეში ღებულობს ათას ლარზე ნაკლებ ხელფასს; დავუშვათ, ხუთასს. ეს კი ხდება იმიტომ, რომ მისი საერთო ენერგეტული პოტენცია და ემოციების მარეგულირებელი კრიტიკული წერტილი – ზომა შეგუებულია ხუთას ლარში გასაგნებულ ენერგიას.

რიგითი ადამიანის სიამოვნება-ბედნიერების გამომწვევი ზომა რადგან შეგუებულია ხუთას ლარს, მილიონერისა კი მილიონს და ისინი სხვადასხვა ზომებში „იმყოფებიან,“ სწორედ ამიტომ ისინი სიამოვნება-ბედნიერებას განიცდიან სხვადასხვა რაოდენობის ხელფასის მიღებით. ასე, რომ არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, რა რაოდენობის იქნება ხელფასი და საერთოდ შემოსავალი. ფულით გამოწვეული პოზიტიური განცდები გრძელდება მხოლოდ გარკვეულ დრომდე. კერძოდ, – მანამ, ვიდრე ემოციების მარეგულირებელი ზომები არ შეეგუება ახალ ხელფასს: ათას ან მილიონზე მეტ ლარს. როცა ის შეეგუება მათ, ხელფასის აღება უკვე ვეღარ მიანიჭებს ვერც რიგით მუშას და ვერც მილიონერს ბედნიერებას. იგივე განმეორდება, თუ რიგითი ადამიანის ხელფასი გაიზრდება ათასიდან ათასხუთას, ორიათას, სამიათას, ათიათას ლარამდე. მილიონერისა კი – ორ, სამ მილიონსა თუ მილიარდ ან მეტ ლარამდე და ა.შ. უსასრულოდ. შესაბამისად, თუ ადამიანისთვის უცნობია ეს კანონზომიერება და ის მხოლოდ თავისი მზარდი მოთხოვნილებების დაქმაყოფილებაზე ზრუნავს, სასურველ შედეგს ვერასდროს მიაღწევს; რადგან ემოციების მარეგულირებელი ზომები განუწყვეტლივ გაიზრდება, შეეგუება ფულის ნებისმიერ რაოდენობას და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სურვილი საბოლოოდ უკიდურესობაში – გაუმაძლრობაში გადაიზრდება.

ამრიგად, მილიონერი, მილიარდერი ან უფრო მეტი ქონების მფლობელი იმ შემთხვევაში ვერ განიცდის ბედნიერებას სიმდიდრით, როცა მისი ემოციების მარეგულირებელი ზომები ეგუება მილიონს, მილიარდს და ნებისმიერი ოდენობის ქონებაში ფიქსირებულ ენერგიას. მეტიც, ის ეგუება არა მხოლოდ ყველა სახის ქონებას, არამედ მეფურ საკუთრებასაც კი: მეფობას ერთ, ორ, სამ თუ უფრო მეტ სახელმწიფოსა და იმპერიაში, ანუ ნებისმიერი საკუთრების „უსაზღვროდ“ ზრდას. სწორედ ამიტომ მაკედონელი ან ნებისმიერი სხვა მეფე და დამპურობელი არ იყო კმაყოფილი და ბედნიერი ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ფარგლებში მეფობით, – იმით, რასაც ფლობდნენ და გამუდმებით ცდილობდნენ ახალი ქვეყნის

დაპყრობას. ცდილობდნენ, რადგან მათი ემოციების მარეგულირებელი ზომები ეგუებოდა დაპყრობილი ქვეყნის ენერგეტულ მასშტაბებს – ზომებს – და დაპყრობით გამოწვეული სიამოვნება-ბედნიერების განცდა ადრე თუ გვიან ქრებოდა. საბოლოოდ ასეთი სურვილები ქრონიკულ უკმაყოფილება-უსიამოვნების განცდაში გადაიზრდება ემოციისა და ადამიანის სულიერი სამყაროს მარეგულირებელი ზომების უსასრულოდ ზრდის და „დეფორმაციის“ შედეგად. ეს კანონზომიერება მხატვრულადა ასახული არა მხოლოდ უკვე განხილულ, არამედ ბევრ სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებსა თუ ლექსში. მაგ. ნ. ბარათაშვილი ამბობს: „მაინც რა არის ჩვენი ყოფა წუთისოფელი, თუ არა ოდენ საწყაური აღუვსებელი? ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს, და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს? თვითონ მეფენი უდრტვინველნი რომელთ უმაღლეს ამა სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება, შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან, ის სამეფოცა ჩვენი იყოს“...

განხილული კანონზომიერება საინტერესოდაა გამოთქმული ძველბერძნულ ანდაზაშიც: „ვისაც ცოტა არ ყოფნის, მას ბევრიც ცოტად მოეჩვენება.“ მოეჩვენება, რადგან ემოციების გამომწვევი ზომა ეგუება ნებისმიერი რაოდენობის შემოსავალს, საკუთრებას და სამფლობელოს ენერგეტულ შესაძლებლობებს, რის შემდეგაც ბედნიერების განცდა ნებისმიერი საკუთრების შემთხვევაში ადრე თუ გვიან ქრება. შესაბამისად, თუ მოთხოვნილებებს არ მოვთოკავთ, შევამცირებთ და აღნიშნულ ზომებს არ დავარეგულირებთ, ის უსაზღვროდ გაიზრდება და ითქვა, რომ ქრონიკულ უკმარისობა-უსიამოვნების განცდაში – გაუმაძღვრობა-უმაღლება-ში გადაიზრდება. ლოგიკურია დავუშვათ, რომ ეს ანდაზა არა მხოლოდ იცოდა დიოგენემ, არამედ მასში ასახულ კანონზომიერებას ის ინტუიციურად გრძნობდა. მით უმეტეს ისეთ პირობებში, როცა რამდენიმე საუკუნით ადრე შეიქმნა ბუდიზმი და ცნობილი იყო სურვილების უარყოფაზე დამყარებული ბუდას მოძღვრება. შესაბამისად, შემთხვევითი არ იყო, რომ დიოგენემ სულიერი სიმშვიდის – ატარაქსის და აბსოლუ-

ტური ბედნიერების მისაღწევად აირჩია არა მაკედონელისეული, არამედ ბუდასეული გზა. მაკედონელისეულს ვერ აირჩივდა რამდენიმე მიზეზის გამო. პირველყოვლისა, – იმიტომ, რომ ის უკავშირდებოდა კოსმიური ზნეობრივი პრინციპების დარღვევას – ძალადობას და მკვლელობას. მეორე, – ის ემყარებოდა ზომას მოკლებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ზრუნვას და ადამიანის შინაგანი სულიერი სამყაროს დეფორმაცია-დამახინჯებას. ყოველივე ეს სულიერად კი არ ამაღლებს, არამედ ამდაბლებს და უფსკრულისა თუ უბედურებისკენ მიაქანებს ადამიანს. ბუდასეული კი პირიქით, ეფუძნება ზნეობრივი პრინციპების დაცვას და ზედმეტი მოთხოვნილებების „უარყოფას.“ უფრო ზუსტად, – ემოციის მარეგულირებელი ზომების შემცირებას და მათ ისეთ ფარგლებში მოქცევას, რომ ადამიანი სიამოვნება-ბედნიერებას განიცდის სამყაროს მშვენიერებიდან, წესრიგიდან და იდუმალებიდან მომდინარე ძალის აღქმით, ბუნების „სუნთქვასა“ და ჰარმონიაში კოდირებული სასიცოცხლო ენერგიის შეგრძნებით: განთიადის ხილვით, მზის ამოსვლის ან ლანდშაფტისა თუ მთების სილამაზის ჭვრეტით, სიცოცხლის ყოველი წამის და მარადიულობის გააზრებით... ასეთი აღქმისგან ალექსანდრე, მეფური და მხედართმთავრული სიდიადის მიუხედავად, ძალიან შორს იყო, რადგან მისი გონება, სულიერი სამყაროს და ემოციების მარეგულირებელი ზომები უსაზღვროდ დიდი და დეფორმირებული იყო. შესაბამისად, ისინი ვერ აღიქვამდნენ ბუნების მშვენიერებიდან თუ სხვა ფაქტიად აღსაქმელი მოვლენებიდან მომდინარე სასიცოცხლო ძალას შეგუებულ ზომაზე მეტად. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ალექსანდრე საერთოდ ვერ განიცდიდა ბედნიერებას. ის მას ეზიარებოდა ყველა იმ შემთხვევაში, როცა მისი საერთო ენერგეტული პოტენცია გაიზრდებოდა შესაბამის ზომაზე მეტად. მაგ. სიყვარულის პროცესში ან ამა თუ იმ ქვეყნის დაპყრობის და საპრძოლო წარმატების შედეგად, თუ სატრიფოს მიერ მშვენიერების სახით გაცემული სასიცოცხლო ძალით ან დაპყრობილი ქვეყნის ენერგეტული შესაძლებლობებით ალექსანდრეს პოტენციის ზრდა გადააჭარბებდა სია-

მოვნება-ბედნიერების ზომას. მაგრამ ეს განცდები, ბუნებრივია, დიდ ხანს ვერ გასტანდა, რადგან მისი ძირითადი მიზანით – მსოფლიოს დაპყრობის სურვილით დეფორმირებული სულიერი სამყაროს და ემოციების მარეგულირებელი ზომა ძალიან მაღე შთანთქავდა მათ და ბედნიერებას უკმაყოფილების განცდით ჩაანაცვლებდა. ამასთანავე, საკითხავია რამდენად ჯანსაღი, ზნეობრივი და სრულყოფილი იყო ალექსანდრეს ბედნიერება?! ის ხომ ზნეობრივი პრინციპების უარყოფას – სხვა ადამიანის დაპყრობა-დამონებას, მკვლელობა-გაუბედურებას და მათი სასიცოცხლო ენერგიის მითვისებას ემყარებოდა?! ერთი რამ ცხადია: მისი განცდები ვერ იქნებოდა ისეთი სრულყოფილი, როგორიც დიოგენეს, ბუდას ან მათ მსგავს პიროვნებებს გააჩინათ, რადგან ისინი სხვადასხვა ზომებში იმყოფებოდნენ. უფრო ზუსტად, დიოგენე და ალექსანდრე მათი ემოციების და სულიერი სამყაროს მარეგულირებელი ზომებით ურთიერსაპირისპირო „პოლუსებზე“ იმყოფებოდნენ. სურვილების უარყოფის და ზომების შემცირების გამო დიოგენეს სულიერი სამყარო იმდენად უნდა ყოფილიყო გაფაქიზებული, რომ მის საერთო ენერგეტული პოტენციის ზომებს ბუნების ყველაზე სათუთი სილამაზიდან მომდინარე სასიცოცხლო ძალის აღქმა, ასიმილირება და კრიტიკული წერტილების გადალახვის შემდეგ ღრმა სიამოვნება-ბედნიერების განცდა შეეძლო. მსოფლიოს დაპყრობის სურვილის გამო ალექსანდრეს ემოციათა მარეგულირებელი ზომები კი იმდენად იყო გაზრდილი, რომ მას მთელი სამყაროს სასიცოცხლო ძალაც ვერ „ამოავსებდა“ და მის აბსოლუტურ ბედნიერებას ვერ უზრუნველყოფდა. სწორედ ამ კანონზომიერების გამო ყველაფრისმქონე ალექსანდრე იყო უკმაყოფილო და ტანჯული. არაფრის მქონე დიოგენე, ბუდა და ტყვებაში მყოფი პიერი კი ბედნიერი.

როგორც ვხედავთ, დიოგენეს უმაღლესი ცნობიერი მდგომარეობის და აბსოლუტური ბედნიერების მისაღწევად სურვილების ასრულება კი არა, მათი უარყოფა სჭირდებოდა. ეს ნიშნავს, რომ მან ალექსანდრეს შეთავაზება შემთხვევით არ უარყო: მისი მიღება ნიშნავდა საპირისპირო ზომებში

და სამყაროში გადასვლას. ის მთელი სიცოცხლის მანძილზე სურვილების უარყოფას – ემოციის მარეგულირებელი ზომების შემცირებას და ამის წყალობით სულიერი სიმშვიდის და აბსოლუტური ბედნიერების მიღწევას ცდილობდა. სურვილების უცებ, თანდათან ან სხვა სახით ასრულება კი საბოლოოდ გამოიჩვევდა მისი ემოციის და ცნობიერი სამყაროს მარეგულირებელი ზომების დეფორმაცია-გადაგვარებას – გაუმაძლრობა-უმადურებისკენ სვლას და სულიერ დაცემას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეთავაზების მიღება ნიშნავდა დიოგენეს არსებობის წესის, მიზნის, იდეალების უარყოფას და მის ნაცვლად უცებ გადასვლას ალექსანდრეს არსებობის წესებზე. ნუთუ ალექსანდრემ ვერ გააცნობიერა, რომ ის დიოგენეს სთავაზობდა იმას, რასაც ეს უკანასკნელი თეორიულად და პრაქტიკულად უარყოფდა?! ან უნდა დავუშვათ, რომ მან ეს ყველაფერი გაიაზრა და ქველმოქმედების სახით დიოგენეზე დახმარება კი არ ამოძრავებდა, არამედ იმის გაგება რეალურად შესძლო თუ ვერა ფილოსოფოსმა სურვილების უარყოფა და ამის გასარკვევად სცადა მისი ცდუნება ყველაზე დიდი სურვილის ასრულების შეთავაზებით!

შეიძლება დავუბრუნდეთ ზემოთ დიოგენესთან ერთად ნახსენებ პიერს, რადგან უკვე გასაგები უნდა იყოს ისიც, თუ რატომ იყო ის და ანდრეი თავისუფლებასა თუ მრავალმხრივ უზრუნველყოფილ ფუფუნებაში უკმაყოფილო და უბედური. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ მათი ემოციების მარეგულირებელი ზომები შეგუებული იყო სიამოვნება-ბედნიერების უზრუნველყოფელ იმ სოციალური მდგომარეობის და სიმდიდრის ენერგეტულ შესაძლებლობებს, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ. ამის საპირისპიროდ, როგორ ეზიარა პიერი ბედნიერებას ტყვეობაში და უკიდურეს გაჭირვებაში? ასეთ მდგომარეობაში დიოგენეს მსგავსად მისი სულიერი სამყაროს და ემოციების მარეგულირებელი ზომები იმდენად შეიზღუდა და შემცირდა, რომ მან აღიქვა უფაქიზესი ღვთაებრივი სასიცოცხლო ძალა, იგრძნო მასთან კავშირი და შინაგანად გაცისკროვნებულმა გააცნობიერა მარადიულობა, ბუნების ჰარმონია და სიდიადე. ღვთაებრივმა სასიცოცხლო ძა-

ლამ იმდენად აღავსო მისი საერთო ენერგეტული პოტენცია და გადალახა კრიტიკული წერტილები, რომ ის წვდა აბსოლუტურ ღვთაებრივ ჭეშამრიტებას და რელიგიურ ბედნიერებას ეზიარა (9,ტ.4.,81). სხვაგვარად რომ ვთქვათ იაპონური ეგზისტენციალიზმის ტერმინოლოგიით, განიცადა სატორი. მხოლოდ ამის შემდეგ ხვდება ის, რომ „ადამიანი შექმნილია ბედნიერებისთვის, ეს უკანასკნელი კი თავად მასშია, მისი ჩვეულებრივი ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაშია; და რომ მთელი უბედურება მომდინარეობს არა უკმარისობიდან, არამედ ზედმეტობიდან. რადგან არ არ-სებობს მდგომარეობა, რომელშიც ადამიანი იქნება სავსებით თავისუფალი და ბედნიერი. მან იგრძნო, რომ ის ისევე იტანჯებოდა მდიდრულ ვარდისფერ სანოლში, როგორც შიშველ, ნესტიან მიწაზე ძილისას და მხარის შეცვლის შემდეგ ხან ერთი, ხან კი მეორე ფერდის გაცივებისას. ისევე იტანჯებოდა მდიდრული ვიწრო ავადმყოფური ფეხსაცმელების ჩაცმისას, როგორც ფეხშიშველი, იარებით დაფარული ფეხებით სიარულისას. ის მიხვდა, რომ თითქოს თავისი ნებით შერთულ ცოლთან არასდროს ყოფილა იმაზე უფრო თავისუფალი, ვიდრე ტყვეობაში ღამდამობით ცხენის თავლაში რომ იყო ჩაკეტილი... თავისუფლების და ბედნიერების წვდომის შემდეგ პიერი კანისმჭამელი მკენარების ფათურსა თუ სხეულზე კბენასაც კი სასიამოვნოდ აღიქვამდა. ტან-საცმელდაფლეთილ, ფეხშიშველ და ყინულისგან ფეხებდახეთქილ პიერს ცეცხლზე უმარილოდ შემწვარი კარტოფილის ჭამაც კი უდიდეს სიამოვნებას განაცდევინებდა“ (იქვე, 117), რადგან მისგან ათვისებული ძალიან მცირე ენერგიაც კი საკმარისი იყო უკიდურესად შემცირებული ზომის გადასალახავად. პიერის ეს სულიერი მდგომარეობა უცვლელი დარჩება შემდეგაც, როცა ის განთავისუფლდება, სახლში დაბრუნდება, საყვარელ ადამიანზე იქორნინებს და კვლავ ფუფუნება-სიმდიდრეში აღმოჩნდება (იქვე, 156). ეს მაშინ, როცა ტყვეობამდე მაღალი სოციალური მდგომარეობა და ფუფუნება-გართობა პიერს ვერ ანიჭებდა ბედნიერებას. ამის მიზეზიც უკვე გასაგებია: ადრე მისი ემოციების მარე-

გულირებელი ზომები ამ მდიდრულ სამყაროს ენერგეტულ წყაროს შეგუებული იყო; ტყვეობის შემდეგ კი არსებითად განსხვავებული ვითარება შეიქმნა: აღნიშული ზომები შემცირდა, რის შედეგადაც პიერს ბედნიერებას ანიჭებდა არა მხოლოდ ბუნების მშვენიერება და უღარიბეს მდგომარეობა-ში პრიმიტიული მოთხოვნილებების დაკამყოფილება, არა-მედ სიმდიდრისა და ფუფუნებისგან მომდინარე სასიცოცხლო ენერგიაც.

პიერის მაგალითი გვიჩვენებს, რომ თუ ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენცია არასწორი განწყობის და უზომო მოთხოვნილებების შედეგად მძლავრად არაა „დე-ფორმირებულ-გადაგვარებული,“ ის ადეკვატური გარემო პირობების, განწყობის, არაცნობიერი თუ ცნობიერი ზემოქმედების ან სხვა მსგავსი პროცესების შედეგად შეიძლება შემცირდეს და ჩვეულებრივ ადამურ საზღვრებში მოექცეს. მეტიც, – იმდენად გაფაქიზდეს, რომ აღიქვას უშუალოდ ბუნებიდან და შემოქმედიდან მომდინარე სათუთი სასიცოცხლო ძალა. ხოლო თუ ასეთი წყაროს საფუძველზე გაიზარდა ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენცია და გადაიღახა სიამოვნება-ბედნიერების ზომა, მან შეიძლება ეზიაროს ღვთაებრივ სიბრძნეს და „უსაზღვრო“ სიამოვნებ-ბედნიერების განცდას, რადგან მისი უზრუნველყოფელი ღვთაებრივი და სამყაროსეული სასიცოცხლო ძალა ამოუწურავია.

გამოდის, რომ ადამიანს შეუძლია მოთხოვნილებების შეზღუდვა და ემოციის მარეგულირებელი ზომების რეგულირება, თუ ამის სურვილი გააჩინა. წინააღმდეგ შემთხვევა-ში ის გახდება ხარბი, ვერ დაკმაყოფილდება, ვერ ჰპოვებს სულიერ სიმშვიდეს და ბედნიერებას მიუხედავად იმისა, მისი შემოსავალი, ქონება თუ სამფლობელო ერთბაშად იქნება ძალიან დიდი ან ის განუწყვეტლივ გაიზრდება. სწორედ ამიტომ ამბობს ჭაბუა ამირეჯიბი მუშნის სიტყვებით: „ხელფასი კი არ უნდა ეყოს კაცს, არამედ კაცი – ხელფასს.“

პასუხგაუცემელი დარჩა მხოლოდ ერთი კითხვა: გმირად აღიარების და სურვილის ასრულების შემდეგ რატომ განიცადა ანდრეიმ უბედურება და არა ბედნიერება?! მასზე

პასუხის გასაცემად გავიხსენოთ საერთოდ უბედურების გა-
მომწვევი ზოგადი კანონზომიერება: თუ მაღალი სოციალუ-
რი მდგომარეობა, სიმდიდრე, სიყვარული, გმირად აღიარება
და ნებისმიერი სხვა წარმატება კი არ აღავსებს სასიცოც-
ხლო ენერგიით ადამიანის საერთო ენერგეტულ პოტენციას,
არამედ ფიტავს და წამლავს მას უსიამოვნება-უბედურების
ზომაზე მეტად, მაშინ ის განიცდის უსიამოვნება-უბედურე-
ბას. აქედან გამომდიანრე, შეიძლება დავასკვნათ: ანდრეი
გმირად ჩათვალეს, მაგრამ ის ამ დროს ბედნიერების უზრუნ-
ველმყოფელი სასიცოცხლო ძალით კი არ ივსებოდა, არამედ
სისხლისგან იცლებოდა და სიცოცხლეს საერთოდ კარგავდა.
უფრო ზუსტად, კარგავდა მთელ ენერგეტულ პოტენციას სა-
სიცოცხლო ზომაზე მეტად... სწორედ ამიტომ იყო ის უბედუ-
რი. მეტიც, მან იგრძნო, რომ ამის მიზეზი იყო მისი გმირობის
იდეალი – ნაპოლეონი, რომელმაც თანასწორობის, სამარ-
თლიანობის და ბედნიერების უზრუნველყოფის ლოზუნგით
არა მხოლოდ მას წაართვა სიცოცხლე და ბედნიერება, არა-
მედ უამრავ სხვა ჯარისკაცსა თუ ადამიანს. შესაბამისად,
იგრძნო, რომ ნაპოლეონი სინამდვილეში თავისუფლების,
თანასწორობის, გმირობის და ბედნიერების უზრუნველყო-
ფელი იდეალი კი არა, მისი წამგლევი, მიმთვისებელი დამ-
პყრობელი და მოძალადე იყო. ე.ო. ანდრეი არა მხოლოდ
მთელ სასიცოცხლო ძალას კარგავდა, არამედ მას ნაპოლე-
ონზე იმედის გაცრუებით არსებობის იდეალებიც დაემსხვრა
და სულიერ სიცარიელეში აღმოჩნდა: აღარ დარჩა ისეთი მი-
ზანი, რომელისკენ სვლა, საბოლოოდ კი მისი მიღწევა მას
კვლავ სასიცოცხლო ძალით აღავსებდა ზომაზე მეტად და
ბედნიერებას განაცდევინებდა. ამიტომ ძალიან მწარედ გა-
ნიცდიდა უბედურებას.

ყველა ზემოთ განხილული პიროვნების, მხატვრული
პერსონაჟის ქცევა და არსებობის წესი, როგორც ვხედავთ,
არ არის შემთხვევითი. უფრო ზუსტად, ისინი განასახიერე-
ბენ იმ კანონზომიერებას, რომელიც მოქმედებდა არა მხო-
ლოდ ანტიკურ ეპოქაში, არამედ – დღესაც და ის უცვლელი
იქნება მომავალშიც. ეს ნიშნავს, რომ მის შესაბამისად იქცე-

ვიან თანამედროვე ადამიანებიც, მაგრამ თუ ამ კანონზომიერებას არ გავითვალისწინებთ, დიოგენეს მსგავსი ქცევის ღირებულება შეიძლება ვერ განვსაზღვროთ და ის შეუმჩნეველიც კი დარჩეს. მაგალითად, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ტელეოპერატორების ერთად ეწვია მუხრან მაჭავარიანს და საუბრის ბოლოს მას ჰქითხა: რას ისურვებთ, რომ თქვენთვის გავაკეთოთ? პოეტს ბევრი არც კი უფიქრია და წარპიც არ შეუხრია, ისე უპასუხა: სოფელს წყალი არა აქვს და თუ გაუკეთებთ, კარგი იქნება! პოეტს დანაპირები შეუსრულეს და სოფლისთვის მიწოდებულ წყალს „მუხრანის წყალი“ უწოდეს, რადგან ყველა გრძნობდა, რომ პოეტი განსაკუთრებული პიროვნება იყო, მაგრამ რამდენად განსაკუთრებული, ამის წათლად გარკვევა შეუძლებელი იყო. მეტიც, ის ყოფველთვის ასეთი იქნება თუ არ გავითვალისწინებთ უკვე განხილულ კანონზომიერებას და სიკეთის რაობას (3,313). მათ შესაბამისად თუ შევაფასებთ აღნიშნულ ფაქტს, შეიძლება დავასკვნათ: მაცდურ შეთავაზებაზე მუხრანის პასუხი დიოგენეს საქციელზე უფრო ღირებული და სათნო აღმოჩნდა, რადგან მან არა საკუთარ, არამედ სხვის კეთილდღეობაზე და ბედნიერებაზე ზრუნვა უფრო მაღლა დააყენა. დიოგენეს კი სიკეთის ეს არსებითი ატრიბუტი მხედველობაში საერთოდ არ მიუღია, რაც ნიშნავს: სულხანის სულიერი სამყაროს და ემოციების მარეგულირებელი ზომები დიოგენეს ულზე უფრო სრულყოფილი და ფაქიზი აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ მას „ყველაზე კრიტიკული დილემის დროს“ გაახსენდა ხალხი, დიოგენეს კი – არა. ის მხოლოდ პირადი ინტერესით შემოიფარგლა მიუხედავად იმისა, რომ მისი ფილოსოფიისთვის არ იყო უცხო სიკეთის იდეა. მაგალითად, ცნობილია, რომ ის დღისით ანთებული ფანრით დადიოდა ხოლმე და როცა ეკითხებოდნენ დღისით ფანარი რად გინდაო, პასუხობდა: ადამიანებს ვეძებ და ვერ ვხედავო! უფრო ზუსტად, ის გულისხმობდა: კეთილ ადამიანებს ვერ ვხედავო.

გამოდის, რომ ბედნიერების კანონზომიერების და სიკეთის რაობის (3,313) გათვალისწინებით უკვე შეიძლება კონკრეტულად განვსაზღვროთ ადამიანის არა მხოლოდ

ქცევის ღირებულება, არამედ მისი სულიერი სრულყოფილების დონე. კერძოდ, ბედნიერება იმდენად ღირებული მოვლენაა ადამიანისთვის, რომ მისი აბსოლუტური ფორმის მისაღწევად ადამიანმა ყველა სხვა სურვილზე და მიწიერ ფუფუნებაზე შეიძლება თქვას უარი დიოგენეს ან ბუდას მსგავსად. მაგრამ თუ ადამიანი საკუთარ ბედნიერებაზე წინ სხვათა ბედნიერებას დააყენებს, მაშინ ის იშვიათი, მაღალზნეობრივი, განსაკუთრებულად მიმზიდველი პიროვნება ხდება და ართუ საყოველთაოდ აღიარებულ მეფებზე და პრეზიდენტებზე, არამედ დიოგენეზეც კი მაღლა დგება. ეს ნიშნავს, რომ ადამიანის სულიერი სრულყოფილება და სილამაზე განისაზღვრება არა მაკედონელის მსგავსად ქვეყნების დაპყრობით და სხვაზე გამარჯვებით, თანამდებობით, სიმდიდრით, ძვირფასი ჩაცმულობით, უნიკალური ნივთების ფლობით და მრავალი სხვა საშუალებით პირადი კეთილდღეობა-ბედნიერებისკენ სწრაფვით, არამედ სათონ ქცევით – სხვაზე ზრუნვით: ჩვენთვის ძვირფასი ნივთების, სიცოცხლის და ენერგიის სხვისი კეთილდღეობა-ბედნიერებისთვის გაცემით. რადგან ეს პრინციპი არ შეცვლილა ანტიკური ეპოქიდან დღემდე, შეიძლება დავუშვათ, რომ ის არის კოსმიური კანონზომიერება და მარადიული ღვთაებრივი სამართალი. მის შესაბამისად კი აგებულია ადამიანის არა მხოლოდ ემოციური, არამედ ცნობიერი და მთელი სულიერი სამყარო, „გენეტიკური კოდი“ (4,294) და სხეულებრივი განზომილება ატომების თუ მისი უმცირესი შემადგენელი ნაწილების ჩათვლით. სწორედ ამიტომ, როცა ადამიანი იქცევა ნახსენები კოსმიური პრინციპების შესაბამისად – დიოგენესა თუ მუხრანივით, ის სულიერად მაღლდება და დიდების „შარავანდედით“ იმოსება. თუ იქცევა საპირისპიროდ და არღვევს მათ, სულიერად ეცემა, შინაგანად ნადგურდება და ისჯება. ამ შემთხვევაში მან შეიძლება აიცილოს იურიდიული სასჯელი, მაგრამ ვერ გაექცევა კოსმიურ ღვთაებრივ სამართალს – მის ცნობიერებაში, სულსა თუ სხეულში ნეგატიურად ასახულ დესტრუქციულ შედეგებს (3,332). აღმოსავლური რელიგიე-

ბის, ფილოსოფის და მისტიკის ენაზე რომ ვთქვათ – კარმას – ქცევაზე პასუხიმგებლობას.

ამრიგად, მთელ სამყაროში მოქმედ უნივერსალურ კანოზომიერებას – ზომის გადალახვით ახალი თვისების წარმოქმნას ემორჩილება არა მხოლოდ არაცოცხალი საგნები, არამედ ცოცხალი არსებები და თავად ადამიანიც: მისი სიცოცხლე, ლოგიკური აზროვნება, ცოდნის დაუფლება, სიყვარული, ზნეობრივი ქცევები თუ სამყაროს პირველსაწყისთან – ღმერთან ურთიერთმიმართება და ემოციები. შესაბამისად, დიოგენეს მიერ ალექსანდრეს შეთავაზების უარყოფა, ისევე როგორც თავად ეს შეთავაზება და ალექსანდრეს არსებობის წესი იყო არა შემთხვევითი, არამედ აღნიშნული კანონზომიერებით – ემოციის და ადამიანის სულიერი სამყაროს მარეგულირებელი ზომებით გამოწვეული. სურვილების უარყოფის მცდელობის შედეგად დიოგენეს ემოციური ზომები იმდენად იყო შემცირებული და გაფაქიზებული, რომ მათ გადასალახავად და აბსოლუტური ბედნიერების განსაცდელად უშუალოდ მზიდან თუ სამყაროს სხვა მოვლენებიდან მოდინარე სასიცოცხლო ძალაც კი საკმარისი იყო. მას არ სჭირდებოდა რაიმე სხვა სურვილის ასრულება. პირიქით, მისი დაშვებაც კი უკვე ნიშნავდა საპირისპირო სფეროში და ზომებში გადასვლას, რასაც საბოლოოდ შედეგად მოყვება სურვილების დაუსრულებლად მონაცვლეობა-გამრავლება და აღნიშნული ზომების დეფორმაცია-დამახინჯება: ქრონიკული უკმარისობის და უმადურება-გაუმაძღვრობის განცდა. სწორედ ამიტომ უარყო დიოგენემ ალექსანდრეს შეთავაზება. თავად ალექსანდრეს ემოციური ზომები კი მსოფლიოს დაპყრობის სურვილის გამო იმდენად იყო გაზრდილი და დეფორმირებული, რომ „ყველაფრის მფლობელი და ყოვლის-შემძლე“ მეფე აბსოლუტურ ბედნიერებას კი არა ქრონიკულ უკმაყოფილებას, სულიერ ქაოსს და ტანჯვას განიცდიდა.

სტატიაში დასმულ ყველა კითხვაზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა ემპირიულად ადასტურებს: მეცნიერული მეთოდოლოგიის მიხედვით, ჩვენს მონოგრაფიაში დადგენილი ბედნიერება-უბედურების, სიყვარულის, ზნეობის და

სხვა მათთან დაკავშირებულ საკითხთა კანონზომიერება (3,198-208) ადეკვატურია, რადგან მის საფუძველზე შეიძლება აიხსნას არა მხოლოდ ძენონის, არამედ მრავალი სხვა ადამიანის მიერ განხორციელებული „უცნაური“ ქცევის კანონზომიერება ნიუანსების ჩათვლით. საპირისპირო შემთხვევაში ის იქნებოდა მცდარი.

ლიტერატურა

1. ლონდონი ჯეპ, „მარტინ იდენი,” აფხაზეთის სახ. გამი, – 1960.
2. შუმანაშვილი გ., გამოყენებითი ეთიკის საფუძვლები, „ლეგა,” თბ., – 2004.
3. ხალვაში მიხეილ, ბედნიერება მეცნიერული თვალსაზრისით, „რაე” – 2013.
4. ფილოსოფიური ძიებანი, XIV, „უნივერსალი,” თბილისი – 2010.
5. ფილოსოფიური ძიებანი, XXI, „უნივერსალი,” თბილისი – 2017.
6. Аристотель, Сочинения в четырёх томах, т. 4, „Мысль,” М., 1984.
7. Лаэртский Д., О жизни, учениях и изречениях знаменитых философов, „Мысль,” М., 1998.
8. Кант И., Сочинения в шести томах, т.4, часть 1, „Мысль,” М., 1965
9. Толстой А. Н., Война и мир в четырёх томах, т. 1, „Просвещение,” М., 1981.

Mikheil Khalvashi – Doctor of Philosophy; he studies philosophical problems of ethics, has published scientific articles on problems of ethics and a monograph „Happiness From Scientific Point of View“ (Tbilisi, 2013).

ABOUT GIOGEN’S WISDOM AND REGULARITY

ABSTRACT

In accordance to scientific methodology nobody tried to explain the reasons of Diogen’s behavior, when he rejected Alexander the Great’s suggestion, because it was considered impossible to establish the regularity of happiness and emotions at all. But it becomes clear in the article, that Diogen rejected Alexander’s suggestion not accidentally, but hencing from the regularity of emotions, by regulative levels, which creates the new quality.

ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ონტოლოგიის, გნოსეოლოგიისა და ლოგიკის განყოფილებაში.

მაცნეორების ფილოსოფია

PHILOSOPHY OF SCIENCE

რამაზ გახოკიძე – საქართველოს ფლოსოფიის მეცნიერება აკადე-
მიის აკადემიკოსი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიოროგანული ტექნო-
ლოგიების ინსტიტუტის დირექტორი, საერთაშორისო საინჟინრო
აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლა-
ურეატი, საქართველოს და აშშ-ის ლირსების ორდენების კავალე-
რი. ამერიკის ქიმიური საზოგადოების წევრი. 500-ზე მეტი პუბლი-
კაციის – სამეცნიერო ნაშრომების, სახელმძღვანელოების, მონოგ-
რაფიების, აღმოჩენისა და გამოგონებების ავტორი მეცნიერების
სხვადასხვა დარგში. კემბრიჯის ბიოგრაფიულმა საერთაშორისო
ცენტრმა იგი დაასახელა საუკუნის დიდ მოაზროვნეთა შორის.

მეცნიერების და რელიგიის ჰარმონიული დიალოგი

გუეძღვნი დიდი ფილოსოფოსის,
განუმეორებელი პირვენების
და ლირსეული მამულიშვილის,
აკადემიკოს **სერგი ავალიანის** ნათელ ხსოვნას

სტატიის წინა ნაწილები გამოქვეყნებულია შემდეგ გა-
მოცემებში: „რელიგია და მეცნიერული მსოფლმხედველო-
ბა“. წიგნში: „მეცნიერება და რელიგია“. პირველი საერთაშო-
რისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი,
2005; „მეცნიერული კვლევის კრეაციული მსოფლმხედველო-
ბა“. წიგნში: „პირველად იყო სიტყვა“, თბილისი, 2006; „კრეა-
ცია თუ ევოლუცია“. წიგნში: „ფილოსოფიური ძიებანი“, ტ.
XIII, თბილისი, 2009; „ათეიზმის კრახი“. წიგნში: „ფილოსო-
ფიური ძიებანი“, ტ. XIV, თბილისი, 2010; „მეცნიერება, ფი-
ლოსოფია, რელიგია და სამყაროს კოსმოლოგიური მოდე-
ლი“. წიგნში: „ფილოსოფიური ძიებანი“ ტ. XV, თბილისი,
2011; „მეცნიერების, რელიგიისა და ფილოსოფიის ერთიანო-

ბა“. წიგნში: „ფილოსოფიური ძიებანი“, ტ. XVI, თბილისი, 2012. „სამყარო როგორც კანონზომიერი ორგანიზებული სისტემა“. წიგნში „ფილოსოფიური ძიებანი“ ტ. XVIII, თბილისი, 2014.

კულტურის მთელი ისტორიის ე.ი. მატერიალური და სულიერი ღირებულებების მანძილზე რელიგიის და მეცნიერების თანაფარდობა არაერთგვაროვანი იყო და არსებითად იცვლებოდა. რელიგია მეცნიერებაზე ბევრად ადრე ჩაისახა და იგი წარმოადგენდა კაცობრიობის კულტურის ფორმირების საფუძველს XVI საუკუნემდე. განვიხილოთ კულტურის ისტორიის პერიოდიზაცია და მასში რელიგიის და მეცნიერების მდგომარეობა. შეიძლება გამოიყოს კაცობრიობის კულტურის განვითარების ექვსი ეტაპი:

1) პირველყოფილი თემური წყობილება (10–4 ათას. წ ჩ.წ.-მდე) – პირველადი კულტურის ჩასახვა და ფორმირება, სამყაროს მითოლოგიური სურათის ჩამოყალიბება.

2) ქალაქი-სახელმწიფოების, შუამდინარეთის, ეგვიპტის, მაიას ცივილიზაციის, ძველი საბერძნეთის, ინდოეთის და ჩინეთის სახელმწიფოების ჩასახვა და აყვავება. ამ პერიოდში საზოგადოება კულტურას აღიქვამს როგორც სოციალური განვითარების, განათლების და ტექნოლოგიების ნაწილს, ჩნდება პირველი სამეცნიერო ცოდნა ძველი საბერძნეთის სისტემაში, მაგალითად, გეომეტრიის, როგორც მინის გაზომვის შესახებ მეცნიერების, სახით. მთავარი მიზანი ხდება ცოდნის შეძენა, ხოლო მეთოდი – დაკვირვება. სამყაროს მითოლოგიის სურათის პარალელურად, ყალიბდება რელიგიური და ფილოსოფიური სურათი.

3) შუა საუკუნეების ხანა (V-XIV სს ახ. წ) – ამ პერიოდში ევროპაში მთავარ როლს ასრულებს რელიგია. იგი განსაზღვრავს სამყაროს ერთიანი რელიგიური სურათის შექმნას. აქტიურად ვითარდება ფიზიკის, მათ შორის, მექანიკის,

თეოლოგიური ფილოსოფიის საფუძვლები, ჩნდება პირველი სამეცნიერო სკოლები.

4) აღორძინების ხანა (XIV-XVI სს) – ამ პერიოდში მცირდება რელიგიის გავლენა კულტურაზე, ვითარდება კლასიკური მეცნიერება, სამყაროზე დიალექტიკური ხედვა.

5) ახალი დროის პერიოდი (XVII-XIX სს) – რელიგია ადგილს უთმობს მეცნიერებას, რაციონალური და ემპირიული შემეცნების საფუძველზე ხორციელდება მეგა, მაკრო- და მიკროსამყაროების კომპლექსური კვლევა, სამყაროს ზოგადმეცნიერული სურათის ფორმირება. XVII საუკუნის სამეცნიერო რევოლუცია დაგვირგვინდა ახალი მეცნიერების დაბადებით, რომლისთვისაც დამახასიათებელია შემდეგი ნიშან-თვისებები: ა) არისტოტელესეული და საშუალო და იერარქიულად მოწესრიგებული სამყაროს შეცვლა უსასრულო სამყაროთ, რომელიც წარმოადგენს ერთ მთლიანობას თავისი ელემენტების იდენტურობის და კანონების ერთგვარობის წყალობით; ბ) სამყაროს გეომეტრიზაცია, ე.ი. არისტოტელეს კონკრეტული სივრცის ჩანაცვლება ევკლიდესეული გეომეტრიის აბსტრაქტული სივრცით; გ) „მოძრაობა-მდგომარეობა“ კონცეფციის შეცვლა „მოძრაობა-პროცესი“ კონცეფციით.

6) უახლესი პერიოდი (XX-XXI სს) – პოსტკლასიკური მეცნიერების შემდგომი განვითარება, ანტროპოცენტრიზმი-დან ბიოსფეროცენტრიზმამდე, ე.ი. დედამიწის ერთიან შესწავლაზე გადასვლა, პოსტინდუსტრიული და ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბება ახალი ტექნოკულტურით, რელიგიასა და კულტურას შორის დიალოგის გამართვა და სამყაროს სინთეზური სურათის ფორმირება.

უხსოვარი დროიდან აინტერესებს კაცობრიობას სამყაროს წარმოშობის საკითხი. რელიგიისგან განსხვავებით ფილოსოფიური სურათი ცდილობს ახსნას სამყარო არა გრძნობადი შემეცნების საფუძველზე, არამედ აზროვნების –

ლოგიკის და ანალიზის საფუძველზე. იგი წარმოადგენს სამყაროს მეცნიერული სურათის წინამორბედს. სამყაროს ფილოსოფიური სურათი ვითარდებოდა არასწორხაზოვნად. მაგალითად, მას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, ხოლო შემდეგ მეორე ადგილზე გადაინაცვლა შუასაუკუნებრივ თეოცენტრულ კულტურაში.

სამყაროს მეცნიერული სურათის ქვეშ იგულისხმება სამყაროს აგებულებაზე მეცნიერული წარმოდგენების სისტემატიზირებული ერთობლიობა. სამყაროს თითოეულ მეცნიერულ სურათს საფუძვლად უდევს ფუნდამენტური პრინციპები სამყაროს შესაცნობად, ე.ი მოცემულ პერიოდში მეცნიერული აზროვნების ნიმუში, სამეცნიერო პრობლემებისადმი პრინციპული მიდგომა, რომელთაც პარადიგმები ეწოდება.

პარადიგმა ანუ მსოფლმხედველობა სამყაროს რაციონალური მოწყობის ყველაზე ზოგადი სურათია. იგი შეხედულებათა სისტემაა სამყაროზე, მასში ადამიანის ადგილსა და ურთიერთდამოკიდებულებაზე. მეცნიერული ცოდნა, როგორც წესი, მსოფლმხედველობით მნიშვნელობას იმის შემდეგ იძენს, როგორც კი ახდენს ფილოსოფიურ ინტერპრეტაციას. მეცნიერული მსოფლმხედველობა არ წარმოადგენს რაღაც დასრულებულს. მისი ფორმირება რთული პროცესია. იგი შედგება მეცნიერული ჭეშმარიტებისგან, ლოგიკურად დადასტურებული დასკვნების და იდეებისგან, რომლებიც, მთელ რიგ შემთხვევაში, მეცნიერებაში შემოვიდა რელიგიდან, ფილოსოფიიდან ან ხელოვნებიდან.

სამყაროს მეცნიერულმა სურათმა განვითარების მანძილზე ხუთი პერიოდი გაიარა: 1) სამყაროს ანტიკური ფიზიკური სურათი; 2) სამყაროს ნიუტონისეული მექანიკური სურათი (ფარადეიდან აინშტაინამდე). 4) სამყაროს კვანტურტალდური სურათი (მ. პლანკი, ნ. ბორი); 5) სამყაროს თანამედროვე მეცნიერული სურათი, როგორც ერთობლიობა ვე-

ლის ერთიანი თეორიის დამუშავებისა, ბუნებისმეტყველები-სადმი დიალექტიკური მიდგომისა, მეცნიერებათა დიფერენ-ციაციისა და ინტეგრაციისა.

სამყაროს მეცნიერული სურათის გარდაუვალი ცვლი-ლები თითოეულ აღნიშნულ პერიოდში გამოწვეული იყო მეცნიერული ცოდნის განვითარებით, რაც ზოგჯერ იღებდა მეცნიერული რევოლუციის სახეს. ასე, მაგალითად, ანტიკუ-რი ატომიზმი შეცვალა ლეონარდო და ვინჩის მექანიკამ, ნ. კოპერნიკის ჰელიოცენტრულმა სისტემამ, გ. გალილეის ექ-სპერიმენტულმა ბუნებისმეტყველებამ, ი. ნიუტონის და ი. კეპლერის მექანიკის კანონებმა. ისინი, თავის მხრივ, შეცვა-ლა მ. ფარადეის ელექტრომაგნეტიზმა, დ. მაქსველის ელექტრომაგნიტური ველის თეორიამ, გ. ლორენცის ელექ-ტრონულმა თეორიამ და ა. აინშტაინის ფარდობითობის თე-ორიამ, რომლებიც შეავსო მ. პლანკის, ვ. ჰაიზენბერგის, ნ. ბორის კვანტურმა თეორიებმა და ე. შრედინგერის ტალღურ-მა თეორიამ. ამის შედეგად სამყარო განიხილება როგორც მატერია, რომელიც შედგება 16 ელემენტარული ნაწილაკის და ანტინაწილაკისგან. მათი ურთიერთგარდაქმნა და ურთი-ერთობა წარმოქმნის სამყაროს მრავალფეროვნებას.

კონკურენცია ანუ ბრძოლა ორ ძირითად პრინციპს შო-რის დასაბამს იღებს დემოკრიტეს და პლატონის დროიდან. მატერიალიზმის ფუძემდებელი დემოკრიტე თვლიდა, რომ სამყაროში ყველაფერი ატომებისა და სიცარიელისგან არის შექმნილი და ყოველივე არსებული წარმოადგენს სირთულის სხვადასხვა ხარისხის აგრეგატებს. ასეთმა მიდგომამ მიიღო რედუქციონიზმის სახელწოდება. აქ ნებისმიერი მთელი, სა-ბოლოო ჯამში, დაიყვანება თავისი ნაწილების ჯამზე. ნაწი-ლები წინ უძლვის მთელს. სამყარო, დემოკრიტეს მიხედვით, ატომთა მექანიკური მოძრაობის ერთობლიობაა. პლატონმა წამოაყენა პრინციპულად ახალი – ქოლისტიკური შეხედუ-ლება სამყაროზე, რომლის თანახმად, მთელი წინ უძლვის

თავის ნაწილებს და განსაზღვრავს მის თვისებებს. მთლიანობა, პლატონის მიხედვით, ფუნდამენტური თვისებაა, რომელიც არ დაიყვანება ნაწილების ურთიერთმოქმედებაზე. შევადაროთ ნიუტონის „კლასიკური მექანიკა“ ბორის „კვანტურ მექანიკას“. განვიხილოთ ჰელიუმის ატომი, რომელიც შედგება 2 პროტონისგან, 2 ნეიტრონისგან (რაც შეადგენს მის ბირთვს) და 2 ორბიტალური ელექტრონისგან. პლანეტა-რულ მოდელში იგი აღინიშნებოდა როგორც ბირთვი, რომლის გარშემო ბრუნავს 2 სხვადასხვა ელექტრონი. ატომის ქცევას განსაზღვრავს ამ კომპონენტების ქცევა. ხოლო კვანტურ თეორიაში ჰელიუმის ატომი განიხილება როგორც მთელი. მისი ტალღური ფუნქცია არ წარმოადგენს 2 ელექტრონის ტალღურ ფუნქციათა ჯამს. ელექტრონებმა დაკარგეს თავიანთი ინდივიდუალობა. კლასიკური ფიზიკის სტატისტიკაში განიხილება, რომ ატომს, როდესაც ალუმინი იმყოფება აგზნებულ, ხოლო ბერილიუმი ნორმალურ მდგომარეობაში, გააჩნია განსხვავებული კონფიგურაცია, ვიდრე ატომს, რომელშიც A და B ატომები იცვლის ადგილს. მაგრამ კვანტურ თეორიაში ასე არ არის. ჰელიუმის და უფრო რთული ატომების შემთხვევაში ითვლება, რომ მათ კონფიგურაციას მართავს პაულის აკრძალვის პრინციპი, რომელიც ეხება ატომს მთლიანობაში და შეუძლებელია მათი გამოყვანა კანონებისგან, რომელთაც საქმე აქვს ცალკეულ ელექტრონებთან. ეს პრინციპი ამტკიცებს, რომ ერთ ატომში არავითარ 2 ელექტრონს არ შეუძლია ერთნაირ მდგომარეობაში არსებობა (ერთნაირი კვანტური რიცხვებით, რომლებიც განსაზღვრავს ენერგიას, ორბიტალურ მომენტს და სპინებს). როცა მოცემულ ატომს ემატება კიდევ ერთი ელექტრონი, იგი უნდა იმყოფებოდეს ყველა არსებული ელექტრონისგან განსხვავებულ მდგომარეობაში. კლასიკური მოდელის მიხედვით, ახალი ელექტრონი ზემოქმედებას განიცდის ყველა სხვა ელექტრონებისგან. კვანტური თეორია უარ-

ყოფს ატომის შემადგენელი ელექტრონების აღწერის მცდელობას. ატომის, როგორც მთელის, თვისებები აღინიშნება ახალი, განსხვავებული კანონებით. ბმული ელექტრონები – ეს სისტემის მდგომარეობაა და არა დამოუკიდებელი ერთეული.

მყარ მდგომარეობაში (მაგ. კრისტალურ მესერში) ატომთა ერთობლიობის ენერგეტიკული დონეები – მთელი სისტემის თვისებებია და არა მისი კომპონენტებისა. გარდა ამისა, ზოგიერთი გადასვლა უწესრიგობიდან წესრიგისკენ და ე.წ. კოოპერაციული მოვლენები არ ექვემდებარება ატომისტიკურ ანალიზს, მაგალითად, ელემენტარული მაგნიტური ერთეულების ჯგუფური ურთიერთმოქმედება მეტალის გაცივებისას ან ელექტრონების ერთობლივი ქცევა ზეგამტარებში.

მეცნიერებამ აღმოაჩინა, რომ სამყარო შექმნილია კანონებით და მათემატიკური კანონმდებლობით – ზუსტად მოცემული მსოფლიო კონსტანტებით, ფორმულებითა და განტოლებებით. ეს კანონმდებლობა მეცნიერებამ ასახა მკაფრ და ზუსტ თეორიებში. პირველი მათგანია ევკლიდესეული გეომეტრია, ფიზიკური სივრცის თეორია (რასაც აინშტაინმა აზროვნების ტრიუმფი უწოდა). ნიუტონის კლასიკური მექანიკა სხეულთა მოძრაობის მოვლენების და კანონების უტყუარ ასახვას გვაძლევს, მაგრამ სწრაფად მოძრავი (სინათლის სიჩქარესთან მიახლოვებული) სხეულებისთვის ნაწინასწარმეტყველევი სიზუსტე ოდნავ განსხვავდება ცდისგან. ამიტომ შეიქმნა ფარდობითობის ორი თეორია – სპეციალური და ზოგადი, რომლებიც მოიცავს ნიუტონის მექანიკას და პრინცინვალედ აღწერს არა მარტო ჩვენს, მიწიერ სამყაროს, არამედ კოსმოგენურ სამყაროსაც. უნდა აღინიშნოს, რომ ფარდობითობის თეორიები ბევრად ადრე გაჩნდა, ვიდრე ექსპერიმენტულად დამტკიცდებოდა. ეს მეტყველებს მეცნიერების და ადამიანის გონების უდიდეს ძალაზე, როცა

წინასწარმეტყველება წინ უსწრებს ცდას და თეორიები გა-
მოხატულია მკაცრი და საოცრად ზუსტი მათემატიკური
ფორმით.

მიკროსამყაროს შემსწავლელი მეცნიერება – კვანტუ-
რი მექანიკა შეიქმნა XX საუკუნის დასაწყისში. როგორც აღ-
მოჩნდა, ყველა სხეულს გააჩნია ენერგია, ხოლო ყველა ობი-
ექტი შეიძლება იყოს ან ნაწილაკი ან ტალღა. კვანტურ მექა-
ნიკაში კი მიკროსამყაროს ობიექტები განსხვავებულად და
არალოგიკურად იქცევა – ისინი ნაწილაკებიდან გარდაისა-
ხებიან ტალღებად და პირიქით. გარდა ამისა, მათ გააჩნიათ
განსაზღვრული ენერგეტიკული მდგომარეობები და ეკრძა-
ლებათ, ჰქონდეთ ნებისმიერი ენერგია. კვანტური მექანიკა
XX საუკუნის უდიდესი მიღწევაა, თანამედროვე ცივილიზა-
ციის საფუძველია, ახალი გარღვევაა ატომური ენერგიიდან
მთვარეზე ადამიანის დაჯდომამდე. ადამიანის გონებაც
კვანტური ბუნების აღმოჩნდა, ე.ი. აზრი, ისევე როგორც
სხვა ინფორმაცია, შეიძლება ჩაიწეროს, შეინახოს, გადაეცეს
და გამოვლინდეს საჭირო მომენტში. მთელი ინფორმაცია
ინახება კოსმოსურ საინფორმაციო ველში. მასში ინახება
ყველა იდეა, რომლებიც ოდესმე გასჩენიათ ან გაუჩინდებათ
გამომგონებლებს.

ჩვენ ორ სამყაროში ვცხოვრობთ: მაკროსამყაროში,
„დიდი“ ობიექტების სამყაროში, რომელიც იმართება კლასი-
კური მექანიკის კანონებით და მიკროსამყაროში, „მცირე“
ნაწილაკთა სამყაროში, რომელიც ემორჩილება კვანტური
მექანიკის კანონებს. მაგრამ ისინი ერთმანეთთან შეუთავსე-
ბელნი არიან და იმყოფებიან ანტაგონისტურ მდგომარეობა-
ში. ამან ასახვა ჰქონდა აინშტაინის ველის ერთიან თეორიაში [1,2].

რელიგია, ფილოსოფია, ხელოვნება და მეცნიერება თა-
ვისებურად აღწერს რეალობას და, ამასთან ქმნის თავის სა-
კუთარ სამყაროს, თავის ხელოვნურ რეალობას. მეცნიერება

ქმნის ცოდნის სამყაროს (სიტყვა „*scientia*“ ლათინურად ნიშნავს „ცოდნას“), რომელიც შედგება მხოლოდ ამ სამყაროს შესახებ ლოგიკის კანონებით დამტკიცებული მონაცემების და შედეგებისგან. ხელოვნება მხატვრული სახეების საშუალებით ასახავს რეალობას, ქმნის ესთეტიკურ ღირებულებებს, გამოხატავს ხელოვანის ურთიერთობას რეალურ სამყაროსთან. ეკონომიკა, იმისთვის, რომ დააკმაყოფილოს საზოგადოების მოლვანეობა, უნდა ეყრდნობოდეს ჭეშმარიტ ცოდნას სინამდვილის შესახებ და იგი უნდა შეფასდეს პრაქტიკული შედეგების და ეფექტიანობის კრიტერიუმებით. რელიგია ქმნის ტრანსცენდენტული ცოდნის სამყაროს, რომელშიც ადამიანი ურთიერთობს ღმერთან. ფილოსოფია აყალიბებს ადამიანის ცოდნას ყოფიერების, სამყაროში ადამიანის ადგილის და მისი საკუთარი შინაგანი სამყაროს შესახებ.

საზოგადოებრივი ცნობიერების ყველა ამ ფორმასთან ერთად მეცნიერება წარმოადგენს ერთიანი კულტურის ნაწილს. კულტურის ყველა შემადგენელი ნაწილი, რომლებიც წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს ადამიანსა და ბუნებას შორის, ასრულებს თავის ძირითად ფუნქციას – უზრუნველყოს და გააიოლოს ადამიანის ცხოვრება. თუ ამ ურთიერთობაში რომელიმე ერთ ნაწილს მეტი მნიშვნელობა ენიჭება სხვებთან შედარებით, ეს გამოიწვევს კულტურის გაღრიბებას ზოგადად და მისი ძირითადი მნიშვნელობის დაკნინებას. ისტორია იცნობს კულტურის ერთი სფეროს წინ წამოწევას მეორის საზიანოდ. პირველ რიგში, ეს ეხება მეცნიერების, ფილოსოფიისა და რელიგიის ურთიერთობას, დაწყებულს შუა საუკუნეებიდან. ასე, მაგალითად, შუასაუკუნეობრივი მეცნიერება იმყოფებოდა რელიგიის გავლენის ქვეშ, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა მეცნიერების განვითარება და დავიწყებას მიეცა ანტიკური მეცნიერების მრავალი მიღწევა. აღორძინების ხანაში მეცნიერება თავისუფლდება რელიგიის ბატონობისგან და იწყებს მძაფრ განვითარებას, მაგ-

რამ ინარჩუნებს ფილოსოფიის სახით განათლებულ ადამიანთა მსოფლმხედველობაში მთავარი ელემენტის ადგილს. მხოლოდ XIX საუკუნეში, ბუნებისმეტყველების მიღწევებთან დაკავშირებით, მეცნიერება იკავებს გაბატონებულ მდგომარეობას ადამიანისა და საზოგადოების კულტურასა და მსოფლმხედველობაში. ამ პერიოდში იწყება ბრძოლა მეცნიერებასა და ფილოსოფიას შორის ჭეშმარიტების უკანასკნელი ინსტანციის უფლების მოსაპოვებლად. მეცნიერება, რომელიც არ ცნობს თავის ზღვრებს, ცდილობს ყველა კითხვაზე პასუხის გაცემას კაცობრიობისთვის საუკეთესო მომავლის შესაქმნელად. ჩვეულებრივ, ეს მომავალი წარმოდგენილი იყო მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძველზე მატერიალური კეთილდღეობის მიღწევით. მხოლოდ ზოგიერთმა ფილოსოფოსმა და კულტუროლოგმა გამოთქვა ეჭვი XX საუკუნის დასაწყისში, რომ ამ გზას შეუძლია კატასტროფის გამოწვევა, რაც წათელი გახდა გასული საუკუნის შუა წლებში ბირთვული იარაღის შექმნით და ეკოლოგიური კატასტროფების გამოწვევით. ამაზე მიუთითებს ჩვენ მიერ გასულ საუკუნეში დაწერილი წიგნიც „გზა ხსნისა“, რომლის გამოცემა ორი ათეული წელი აკრძალული იყო. სციენტიზმის იდეოლოგიის, როგორც მეცნიერების ერთადერთი მხსნელი ძალის, ნაშთები დღემდეა შემორჩენილი. განმანათლებლობის წიაღში შობილმა განვითარება პპოვა პოზიტივიზმის ფილოსოფიაში, და საბუნებისმეტყველო მეცნიერების უსაზღვრო შესაძლებლობათა აპოლოგეტად და საზოგადოებრივ და პუმანიტარულ მეცნიერებათა საპირნონედ იქცა.

სწორედ ამ რწმენამ მიიყვანა ჩვენი პლანეტა თანამედროვე ეკოლოგიურ მდგომარეობამდე, თერმობირთვული ომის საშიშროებამდე და, რაც მთავარია, კულტურის ეთიკური და ესთეტიკური მაჩვენებლების მკვეთრ შემცირებამდე, ტექნოკრატული ფსიქოლოგიის უფრო და უფრო მზარდ გავლენამდე, რამაც გამოიწვია თანამედროვე საზოგადოების

სამომხმარებლო განწყობის სტიმულირება. სციენტიზმის ასეთი როლი გამოწვეულია იმით, რომ იგი, როგორც მსოფლიმხედველობითი იდეოლოგია, ეფუძნება რაციონალურ გათვლებს და განსაზღვრული პრაგმატული მიზნის მისაღწევად ანგარიშს არ უწევს ეთიკურ დაბრკოლებებს. ასეთი მსოფლმხედველობა კი იწვევს ადამიანის გაუცხოებას. იგი ხდება პრაგმატიკოსი და სხვა ადამიანებს განიხილავს მხოლოდ თავის მიზნების მიღწევის საშუალებას. მას ეკარგება ის მიზანი, რისთვისაც უნდა ცხოვრობდეს ადამიანი. ირლვევა მისი მსოფლმხედველობის მთლიანობა. სამრეწველო რევოლუციის მომენტიდან ახალმა მეცნიერულმა აზროვნებამ დაიწყო სამყაროს რელიგიური სურათის რღვევა, სადაც ადამიანს ეძლეოდა უნივერსალური და ურყევი ცოდნა, თუ როგორ უნდა ეცხოვრა და როგორი პრინციპები განსაზღვრავდა სამყაროს წესრიგს. მეცნიერული აზროვნების პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ დაარღვია რა სამყაროს შესახებ გულუბრყვილო შეხედულება, მეცნიერებამ ეჭვქვეშ დააყენა ყველა პოსტულატი, რომელიც ადრე რწმენად მიიჩნეოდა, სანაცვლოდ კი დამაჯერებელი მსოფლმხედველობა არ მოუცია. მეცნიერებამ ადამიანს ყველაფერში ეჭვის შეტანა ასწავლა.

მეცნიერება, თავისთავად, არ შეიძლება ითვლებოდეს კაცობრიობის ცივილიზაციის უმაღლეს ლირებულებად, იგი მხოლოდ საშუალებაა ადამიანის არსებობის სხვადასხვა პრობლემის გადასაჭრელად. ნორმალურ ჰარმონიულ საზოგადოებაში ერთდროულად უნდა არსებობდეს ადგილი მეცნიერებისთვისაც, ხელოვნებისათვისაც, ფილოსოფიისთვისაც, რელიგიისთვისაც.

მეცნიერება, რომელსაც ფუნდამენტურ მიმართულებასთან ერთად სოციალური ასპექტიც გააჩნია (მათ შორის, შემეცნებითი, ზოგადკულტურული და, რაც მთავარია, მსოფლმხედველობრივი), წარმოადგენს საზოგადოებრივ

მოვლენას, კვლევის კოლექტიურ პროცესს და ამ კვლევის შედეგების გამოყენებას. ამგვარად, მეცნიერება სამყაროს შესახებ ობიექტური ცოდნის დინამიკური სისტემაა, რომელიც, უშუალოდ გარდაიქმნება საზოგადოების პრაქტიკულ ძალად. მეცნიერების ძირითადი ფუნქციაა:

1. აღწერილობითი – სინამდვილის არსებული თვისებების და ურთიერთობების გამოვლინება; 2. სისტემაში მომყვანი – აღწერილი მოვლენების და საგნების კლასებად და ჯგუფებად დაყოფა; 3. განმარტებითი – შესასწავლი ობიექტის არსის სისტემური გადმოცემა; 4. სამრეწველო-პრაქტიკული – მიღებული ცოდნის წარმოებაში გამოყენების შესაძლებლობა საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულაციასა და სოციალურ მართვაში; 5. პროგნოზული – არსებული თეორიების ჩარჩოებში ახალი აღმოჩენების წინასწარმეტყველება და სამომავლო რეკომენდაციები; 6. მსოფლმხედველობრივი – მიღებული ცოდნით სამყაროს სურათის აღწერა, ადამიანის სინამდვილესთან ურთიერთობის რაციონალიზაცია. მსოფლმხედველობა არის იდეათა და შეხედულებათა სისტემა სამყაროზე, მასში ადამიანის ადგილსა და ურთიერთდამოკიდებულებაზე.

ამერიკელების კვლევის მონაცემებით, მეცნიერებას ქმნის მეცნიერთა 10%, ხოლო 90% დევნის მათ. გამოყოფენ მეცნიერთა სამ ეშელონს: 1) მეცნიერები, რომლებიც წინ მიდიან და ახდენენ გარღვევებს, შემეცნების ახალი სფეროების აღმოჩენებს; 2) მეცნიერები, რომლებიც „ძოვენ“ ამ მინდვრებში; 3) მეცნიერები, რომლებიც აგროვებენ ნარჩენებს და უკანასკნელ ბალასაც თელავენ ოდესლაც იდეებით ამწვანებულ ამ ველში. ძლიერი მეცნიერება იქ არის, სადაც ნაკლებია ამ უკანასკნელთა წილი. მეცნიერების მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს სამყაროს მეცნიერული შემეცნება. მეცნიერება დიდი ხანია გაქრებოდა, ის რომ მხოლოდ უშუალო სარგებლობაზე ზრუნავდეს და მხოლოდ

პრაქტიკულ ამოცანათა გადასაჭრელად იყოს მიმართული. შილერი ამბობდა: „მეცნიერება ზოგისთვის ზეციური ქალ-ლმერთია, ზოგისთვის კი მეწველი ძროხა, კარაქით რომ ამა-რაგებს“. რაოდენ სამწუხაროა, რომ ამას წინათ აკადემიკო-სის ტიტულის მქონე პიროვნებამ განაცხადა, რომ „მეცნიე-რება არ არის ის, რაც ფულთან არ მიგიყვანს“(!?). ალბათ, ზოგისთვის ჭეშმარიტება ფულშია და არა სამყაროს საი-დუმლოებათა წვდომაში. თუმცა იგივე შილერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჭეშმარიტება არ იჩაგრება იმით, რომ ვიღაცა მას არ იზიარებს“. მახსოვს დიდი მეცნიერის, ნამდვილი (!) აკადემიკოსის ელეფთერ ანდრონიკაშვილის მოსწრებული გამონათქვამი: „მეცნიერება არის ის, რაც შეუძლებელია, ხოლო ის, რაც შესაძლებელია, არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი“. დიახ, მეცნიერება არის შეუძლებლის ხელოვნე-ბა! მეცნიერება არის ბუნების მართვის ხელოვნება! მეცნიე-რების შეჩერება შეუძლებელია. სხვაგვარად ცივილიზაცია დაიწყებს ერთ ადგილზე ტკეპნას, ეს კი დაღუპვაა. მეცნიე-რების მიზანი ჭეშმარიტებაა! ხოლო მეცნიერების მიერ დაგ-როვილმა ცოდნამ უნდა მოუტანოს მსოფლიოს საყოველთაო მშვიდობა და კეთილდღეობა!

ნილს ბორის სიტყვებით, რომ ვთქვათ, მეცნიერმა არ უნდა გამოიგონოს კანონები, როგორც ეს გააკეთეს მატერი-ალისტებმა, არამედ მხოლოდ აღმოაჩინოს ბუნებაში თვისე-ბები, რომლებიც შემოქმედის მიერ არის ჩადებული. ძველი ბერძნები თვლიდნენ, რომ ჭეშმარიტება შეუძლებელია და-ამტკიცო, ჭეშმარიტება შეიძლება აჩვენო.

სამყაროს თანამედროვე სურათისთვის დამახასიათე-ბელია საბუნებიმეტყველო და ფილოსოფიური სურათების შეთავსება. პირველი წარმოადგენს სამყაროს, დედამიწის და ადამიანის შესახებ სისტემატიზირებული ცოდნის მოწესრი-გებულ ერთიანობას, ფუნდამენტური აღმოჩენების და სა-მეცნიერო გამოცდილების საფუძველზე, მეორე კი – სამყა-

როზე წარმოდგენის ამსახველი თეორიების და კონცეფციების შესახებ სისტემაში მოყვანილი ცოდნის ერთიანობას. ამგვარად, თანამედროვე კულტურა რთული მოვლენაა, რომელიც თავის თავში აერთიანებს სამყაროს გრძნობადი და ემპირიული აღქმის სულიერ და მატერიალურ შედეგებს. მის ძირითადად ნიშან-თვისებას წარმოადგენს ხელოვნების, სულიერი პრაქტიკის, სამეცნიერო დისციპლინების ფორმების მრავალფეროვნება, ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების კონცეფციის თანახმად, ტექნოლოგიების დონის მიხედვით, კულტურაში ჭარბობს თანმიმდევრობით სამი სფერო: მოღვაწეობის „პირველადი“ სფერო (ე.ი. სოფლის მეურნეობა), „მეორეული“ (ე.ი. მრეწველობა) და „მესამეული“ სფერო (ე.ი. მომსახურების სფერო). მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთობის პროცესში შეინიშნებოდა როგორც მწვავე კონფლიქტები, ისე მეცნიერების და რელიგიის შერიგების პერიოდები. კონფლიქტები მაშინ ხდებოდა, როცა რელიგია ცდილობდა მიეთვისებინა მონოპოლიური უფლებები საზოგადოების სულიერ ცხოვრებაზე, გამხდარიყო ჭეშმარიტების უმაღლესი არბიტრი სამყაროს შეხედულებებზე. ეს კონფლიქტები ხშირად მწვავე ხასიათს იღებდა, როგორიცაა, მაგალითად, შუა საუკუნეების ინკვიზიცია ან საბჭოთა კავშირში მიმდინარე ანტირელიგიური ბრძოლა. ამის გამო ზარალდებოდა კულტურა, მათ შორის განათლების სისტემა და ხელოვნება, ადგილი ჰქონდა ძალადობას და შეიარაღებულ კონფლიქტებსაც კი, ნადგურდებოდა მრავალი სოციალურ-კულტურული ღირებულება.

თეოლოგიასთან ბრძოლაში მეცნიერებამ მოიპოვა რელიგიისგან დამოუკიდებლად არსებობის უფლება. მოხდა რელიგიური რწმენის და სამყაროს მეცნიერულად შემეცნების ერთმანეთისგან გამიჯვნა. რწმენა – პოსტულატების სისტემაა, რომელიც მიღებულია მათი ჭეშმარიტების ექსპერიმენტული მტკიცების გარეშე. ცოდნა – პოსტულატების

სისტემაა, რომელიც მიღებულია განმეორებადი და საიმედო ცდების საშუალებით. სამყაროს შესაცნობად მეცნიერება იყენებს საკუთარ მეთოდებს და, შინაგანი კანონზომიერების საფუძველზე, მეცნიერული აზროვნების პრინციპების შესაბამისად, ნათელს ჰქონს მას. რელიგიამ თავის ყურადღება გაამახვილა ადამიანის ყოფიერების ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, ადამიანის წარმოშობა, სიცოცხლის არსი და ღირებულებები, სულის უკვდავება და ა.შ. ამ საკითხების გადაწყვეტის მთავარ მეთოდს თეოლოგიაში წარმოადგენს რელიგიური რწმენა. **შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერება კულტურის რაციონალური საფუძველია, ხოლო რელიგია – მისი ირაციონალური კომპონენტი.** სამყაროს მითოლოგიური, რელიგიური და ფილოსოფიური სურათების გაცნობა გვიჩვენებს, თუ როგორ ხდებოდა წარმოდგენების ფორმირება სამყაროს, როგორც ერთიანი ცოცხალი ორგანიზმის, შესახებ, სადაც ყველა ელემენტი ურთიერთდაკავშირებულია და ერთმანეთთან ურთიერთმოქმედებს.

ჯერ კიდევ პლატონი ამბობდა, რომ აზროვნების რაციონალური ხერხი, სულაც არ არის ერთადერთი და საუკეთესო, და შემოქმედების წყარო უნდა ვეძებოთ არა ადამიანის ცნობიერებაში (გონებაში), არამედ ქვეცნობიერებაში (გულში). ჰომეროსის გამოთქმით, სამყარო უნდა შევიცნოთ როგორც გონებით, ისე გულით. ცხადია, ირაციონალური ფაქტორების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია სამყაროს ერთიანი სურათის აგება, მსოფლმხედველობის განვითარების და ღირებულებათა სისტემების კვლევა. მაშასადამე, არა მარტო რაციონალური, არამედ ირაციონალურიც წარმოადგენს ყოფიერებისა და კულტურის განუყრელ მხარეებს. მხოლოდ სამყაროს მეცნიერული (რაციონალურ-თეორიული) და არამეცნიერული (მხატვრულ-სახოვანი) აღქმა უზრუნველყოფს ერთიანი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

ირაციონალურის ქვეშ იგულისხმება ყველაფერი, რაც უპირისპირდება რაციონალურ აზროვნებას, ლოგიკას. ესენია: რწმენა, ნება, გამოცხადება, ინტუიცია და ა.შ. როგორც წესი, ირაციონალურის გამოვლინებას უკავშირებენ გრძნობების სფეროს, ასევე ადამიანის ფსიქიკაში ქვეცნობიერის და არაცნობიერის გამოვლენას, ე.ი. სულიერ გამოცდილებას, რომლის მონესრიგება შეუძლებელია გონების საშუალებით. დიდი ხნის განმავლობაში რაციონალური აზროვნება ითვლებოდა აბსოლუტურად. ირაციონალური განიხილებოდა როგორც გონების შეცდომა, რომელიც ადამიანის ცხოვრებაში არ ასრულებდა არსებით როლს. რაციონალურის და არარაციონალურის მრავალრიცხოვანი კონცეფციის განხილვა გვიჩვენებს, რომ რაციონალური წარმოადგენს სამყაროს ასახვის უმაღლეს ფორმას, თუმცა არარაციონალური შემადგენელი, ყველა მის გამოვლინებაში, არ კარგავს თავის მნიშვნელობას, რადგან აკავშირებს ინდივიდუალურს, პირადს უნივერსალურთან, ზოგადთან და პირიქით. რელიგია და მეცნიერება ერთობლივად ამდიდრებს კულტურას, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებას უფრო ლირებულს ხდის. ირაციონალურის ფენომენი, როგორც სულიერი კულტურის და მსოფლმხედველობის მნიშვნელოვანი შემადგენელი, წარმოადგენს მსოფლგაების რელიგიური და მითოლოგიური ფორმების ჩამოყალიბების საფუძველს.

არისტოტელეს დროს მეცნიერების მიღმა იდგა ელექტრობა, მაგრამ ფარადეის დროიდან იგი ცივილიზაციის ელემენტი გახდა. ასევე მეცნიერების მიღმა იდგა ლაზერები, რადიოაქტიურობა, კომპიუტერები, მობილური ტელეფონი, ტელევიზორი და მრავალი სხვა, რაც წარმოადგენს თანამედროვე ცივილიზაციას. თანამედროვე მეცნიერების მიღწევები ბევრად აღემატება ძველი მითოლოგიის სასწაულებს. უნდა აღინიშნოს, რომ უიულ ვერნის 108 წინასწარმეტყველებიდან 98 ახდა. 1863 წელს მის ნაწარმოებში „XX საუკუნის

პარიზი“ დაწვრილებით იყო აღნერილი ავტომობილი, ფაქსი და ელექტროსკამი. გამომცემელმა ჟიულ ვერნს წიგნის ხელნაწერი უკან დაუბრუნა და იდიოტი უწოდა. ამასთან დაკავშირებით, მახსენდება ცნობილი ფსიქიატრის, აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილის საუბარი პაციენტთან: „თქვენ ამბობთ, რომ დადგება დრო, როცა ადამიანები ფოტოსურათს ტელეფონით გადაიღებენ, მაგრამ ტელეფონში ფოტოფირი როგორ უნდა ჩადო?“, „ფოტოფირი არ იქნება საჭირო!“ – პასუხობს პაციენტი. „მაში, როგორ გადაიღებენ?“, „ციფრული სისტემით!“ მთავარმა ფსიქიატრმა განკარგულება გასცა, „მოაზროვნე“ ახალგაზრდა იმ პალატაში მოეთავსებინათ, სადაც „ისააკ ნიუტონი“ იყო და დასძინა: „ბატონი „ისააკი“ ამბობს, რომ მოვა დრო, ტელევიზორებს კედელზე შპალერივით გააკრავებ და ნებისმიერი გასული გადაცემის უკან გადმოხვევა გახდება შესაძლებელი, ასეა?“ „დიახ, ბატონი ავლიძ!“ „გაგიუდება კაცი...“ – აღმოხდა მხცოვან მეცნიერს. მარსის თანამგზავრის ფობოსის შესახებ ხალხმა პირველად გაიგო ჯ. სვიფტის „გულივერის მოგზაურობიდან“. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დაამტკიცეს მეცნიერებმა მისი არსებობა. ასევე 67-იდან 58 განხორციელებული მეცნიერული და ტექნიკური წინასწარმეტყველება ეკუთვნის ჰერბერტ უელსს, 50-იდან 47 – ალექსანდრე ბელიავს.

ოფიციალური მეცნიერება ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ახალ ცოდნას. ჭეშმარიტი მეცნიერები იპრძოდნენ მის დასაცავად, სიცოცხლის ფასადაც კი. სხვათა შორის ჯორდანო ბრუნო კოცონზე დაწვეს არა ჰელიოცენტრული პლანეტარული მოდელის გამო, არამედ იმის გამო, რომ იგი პროპაგანდას უწევდა მრავალი მსოფლიოს არსებობის, სამყაროს უსასრულობის იდეას. მან გამოთქვა ვარაუდი, რომ ვარსკვლავები – ეს შორეული მზეებია, რომელთა გარშემო ბრუნავს პლანეტები და ზოგიერთ მათგანზე შესაძლოა სიცოცხლის არსებობა. სასამართლომ მას კოცონზე დაწვა მი-

უსაჯა, რადგან არ უარყო თავისი შეხედულებები. ჯორდანო ბრუნოს შრომები შეიტანეს აკრძალულ წიგნთა ინდექსში, რომელსაც ყადაღა მოეხსნა მხოლოდ 1948 წელს, ხოლო კა-თოლიკური ეკლესია დღემდე უარს ამბობს მისი სახელის რეაბილიტაციაზე (გალილეისგან განსხვავებით), რადგან ინ-კვიზიციის მოქმედებას სწორად მიიჩნევს. “როცა უცხოპლა-ნეტელებს იპოვნით და ბრუნოს თეორია დამტკიცდება, მა-შინ მისი რეაბილიტაციის საკითხის განხილვა შესაძლებელი გახდება, “ – განაცხადა პაპმა იოანე პავლე მეორემ.

მრავალი თასწლეულის განმავლობაში ჩვენი წინაპრები აკვირდებოდნენ ღამის ცას და სვამდნენ კითხვებს სამყაროს ბუნების შესახებ და იმ კანონების შესახებ, რომლებიც მარ-თავს მზის, მთვარის, ვარსკვლავების მოძრაობას. ისინი თვლიდნენ, რომ დედამინა სამყაროს ცენტრია, მზე დედამი-ნის გარშემო ბრუნავს, ხოლო ვარსკვლავები მიმაგრებულია ცის თაღზე. მზის ყოველდღიური ამოსვლა აღმოსავლეთი-დან და ჩასვლა დასავლეთში ეჭვს არ ბადებდა, რომ სამყა-როს კანონები ისეთივეა, როგორც ეს აღწერა ძველმა ბერ-ძენმა ასტრონომმა. კაცობრიობის შეხედულება სამყაროზე შეიცვალა, როცა გალილეი გაჩნდა ამ ქვეყნად (1654 წ). ახლა უკვე მზე კი არ ბრუნავდა დედამინის გარშემო, არამედ დე-დამინამ დაინყო ბრუნვა მზის გარშემო. რა თქმა უნდა, პლა-ნეტებმა კი არ შეცვალა თავიანთი მოძრაობის მარშრუტი, არამედ შეიცვალა კაცობრიობის შეხედულება სამყაროზე. გალილეო გალილეის აღმოჩენებმა დაასრულა შუა საუკუნე-ები მეცნიერებაში და გახსნა კარი თანამედროვე მსოფლიო-ში. მაგრამ შეხვდნენ თუ არა მის გასაოცარ აღმოჩენას მო-ნონებით? რა თქმა უნდა, არა. გალილეიმ ვერაფრით დაუმ-ტკიცა ფლორენციის აკადემიის პროფესორებს პლანეტა იუ-პიტერის თანამგზავრთა არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გარკვევით ჩანდნენ გალილეის მიერ გამოგონებულ ტელესკოპში. ამის მიზეზი ის იყო, რომ უკლებლივ ყველა პროფესორმა კატეგორიული უარი თქვა, გაეხედა გალილეის

მიერ დამზადებულ ხელსაწყოში. მთელი სიცოცხლის განმავლობაში გალილეის კოლეგები მისი მოწინააღმდეგები იყვნენ, ხოლო რომის ეკლესიამ იგი განკვეთა ეკლესიიდან ერესის გამო. 400 წლის შემდეგ, როცა ამერიკულმა კოსმოსურმა ხომალდმა „ვოიკერმა“ გადაკვეთა მთელი მზის სისტემა და სამყაროს წყვდიადში ჩაიკარგა, დამტკიცდა გალილეის ყველა აღმოჩენა. პირველად იქნა გადაღებული სურათი, რომელმაც კაცობრიობას საშუალება მისცა, კოსმოსიდან დაენახა თავისი თავი და თავის როლი სამყაროში. პლანეტა დედამინა მასში მხოლოდ ერთი ბეწო ლაქა აღმოჩნდა. ამასთან დაკავშირებით, მინდა გავიხსენო ჩემი შეხვედრა გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ნილ ამსტრონგთან, რომელმაც პირველმა დადგა ფეხი მთვარეზე. მოხდა ისე, რომ იმ უნივერსიტეტში, სადაც მე სამეცნიერო სტაუირებას გავდიოდი, მასაც უმუშავია და ერთ-ერთ შეხვედრაზე ასეთი რამ გვიამბო: „მე არ ვარ გულჩვილი ადამიანი და არც არასდროს მიტირია, მაგრამ როცა მთვარიდან გადმოვხედე დედამინას, სული შემეკვრა და ავტირდი... დავინახე პატარა ცისფერი სფერო, ჩვენი პატარა სახლი, სადაც ჩვენ სულიერად დაბრმავებული ადამიანები ერთმანეთის სიძულვილით ვიძირებით გამუდმებულ ომებში“. არ უნდა განმეორდეს ის შეცდომა, რაც დაუშვა პარიზის მეცნიერებათა აკადემიამ, რომელმაც რამდენჯერმე უარყო ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინა, რომელიც აღმოჩინა გენიალურმა ქიმიკოსმა ლუი პასტერმა. ამავე აკადემიამ უარყო მეტეორიტების წარმოქმნის თეორია იმ მოტივით, რომ „არ შეიძლება ქვები ზეციდან ცვიოდეს, იმიტომ რომ ქვები ზეცაში არ არის“, ამ ვერდიქტს ხელს აწერდა მრავალი დიდი მეცნიერი, მათ შორის ლავუაზიე. ამ განაჩენმა მრავალი ათეული წლით შეაფერხა მეტეორიტების შესახებ მეცნიერების განვითარება. მრავალმა მუზეუმმა გადააგდო უძვირფასესი მეტეორიტები, რომლებიც ადრე ჰქონდათ შეძე-

ნილი (გერმანია, დანია, შვეიცარია, იტალია, ავსტრია). როცა 1933 წელს უკვე სახელგანთქმულმა აინშტაინმა აკადემიის სხდომაზე დასწრება დააპირა, 33-მა აკადემიკოსმა განაცხადა – თუ ეს „შარლატანი“ დარბაზში გამოჩენდება, სხდომას დავტოვებთო. მეცნიერების ამა თუ იმ დარგის განსაზღვრება მოითხოვს ზუსტ ტერმინოლოგიურ მიდგომას. მაგალითად, ასტროლოგია დღემდე აღიარებულია ცოტ მოძღვრებად, რომლის თანახმად, თითქოს შესაძლებელია, ცაზე მნათობთა განლაგების მიხედვით, ადამიანის ან მთელი სახელმწიფოს ბედის წინასწარმეტყველება. თუ ტერმინოლოგიურად გავმართავთ, მაშინ ასტროლოგია იძენს მეცნიერების-თვის დამახასიათებელ წინანა: ასტროლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის და კოსმოსის რითმების ურთიერთკავშირს, ადგენს ადამიანის შინაგან რითმებსა და ბუნების და საზოგადოების გარე რითმებს შორის ჰარმონიზაციის კანონებს. სწორედ ამ ურთიერთკავშირით აიხსნება მზეზე თუ მთვარეზე აფეთქებების და ულკანიზმის გავლენა დედამინაზე (ოკეანების მიმოქცევა, გეოლოგიური კატაკლიზმები, ეპიდემიები და სხვ.). მეცნიერების როლი, როგორც შემეცნების საშუალება, მნიშვნელოვნად გაიზარდა XX საუკუნეში და განაგრძობს ზრდას. სწორედ მეცნიერების საშუალებით შეძლო კაცობრიობამ სამყაროს შესახებ ცოდნის მოპოვება, მაკრო- და მიკროსამყაროს საიდუმლოებებში შეჭრა. დაგროვილმა ცოდნამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ბუნებაზე ადამიანის ხედვის ჰორიზონტები და შემოქმედებითად ასახვის შესაძლებლობანი. სამყაროზე ცოდნის ზრდას სულაც არ გამოუწვევია რელიგიის ავტომატური შესუსტება, რასაც მოელოდნენ განმანათლებლები, არამედ მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთობამ ბევრად რთული ხასიათი მიიღო. მეცნიერება დაკავშირებულია არა მარტო მიღწევებთან, არამედ მარცხთანაც. ერთი პრობლემის წარმატებით გადაჭრა წარმოშობდა სხვა, ხშირად დრამატულ

პრობლემებს. ჩვენს დროში იზრდება მოთხოვნილება არა მარტო მეცნიერულ ცოდნაზე, არამედ ამ ცოდნის მორალურ შეფასებაზეც, განსაკუთრებით, ადამიანის მოღვაწეობაში ეკონომიკის, ახალი ტექნოლოგიების, პოლიტიკის სფეროში. მაგალითად, ხშირად დგება საკითხი შობადობის რეგულირების, გენური ინჟინერიის, ღეროვანი უჯრედების გამოყენების, სამედიცინო ევთანაზიის და ა.შ. ეთიკის შესახებ. ცხოვრებასთან და ბუნებასთან სამომხმარებლო ურთიერთობის შედეგებმა გამოიწვია წონასწორობის რღვევა, რომელიც ათასეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ჩვენს პლანეტაზე. თანამედროვე ცივილიზაცია, რომელიც დაადგა ტექნოკრატულ და მომხმარებლობით გზას, მწვავე ეკოლოგიური პრობლემების გამო მივიდა თავის არსებობის კრიტიკულ წერტილამდე. დღეს განსაკუთრებული სიმწვავით დგას მეცნიერებისა და საზოგადოებრივი მორალის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი [3]. მეცნიერების მილიტარიზაცია მრავალ სოციალურ და მორალურ პრობლემას ბადებს. გამოჩენილი ამერიკელი მწერლის კურტ ვონეგუტის არ იყოს: „რაც არ უნდა გამოივონონ მეცნიერებმა, მაინც იარაღი გამოუდიოთ“. მეცნიერება არ შეიძლება იყოს დამნაშავე. დამნაშავენი არიან მხოლოდ ისინი, რომლებიც ცუდად იყენებენ მათ მიღწევებს. სამწუხაროდ, შესაძლოა, გამართლდეს პოლვალერის საოცარი პარადოქსი: „გონება, შესაძლოა, ერთერთი ის საშუალებაა, სამყარომ რომ აირჩია საკუთარი თავის მოსასპობად“.

ამ სიტუაციაში რელიგია გამოდის როგორც თანამედროვე ცივილიზაციის მეტერიალურ-ტექნიკური ბაზის კრიტიკული ფაქტორი. ფართო ხასიათს იღებს დიალოგი მეცნიერებასა და რელიგიას შორის თანამედროვეობის გლობალურ საკითხებზე, განიხილება კაცობრიობის ცივილიზაციის მომავალი: შეიარაღებული კონფლიქტების გადაჭრის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული დავების არაძალადობრივი მოგვარების, ბირთვული განიარაღების და სხვა

პრობლემები. ბევრს, ალბათ, სმენია ინფორმაციული ომის შესახებ. იგი ინფორმაციის დამახინჯებაა, როცა სიცრუე სი-მართლედ ცხადდება, ხოლო სიმართლე – სიცრუედ ან ხდება ინფორმაციის „შესწორება“ ისე, რომ დაიკარგოს პირვანდე-ლი მნიშვნელობა. ამის მაგალითია აკრძალული ტექნოლო-გიები. დიდი ხანია დადასტურებულია საწვავის გარეშე ენერგიის მიღების შესაძლებლობა. ამ პირობებში არ არის საჭირო ნავთობის, ნახშირის და გაზის გამოყენება, რის გა-მოც მოხდება პლანეტის რესურსების და ბუნებრივი სიმ-დიდრის შენარჩუნება. მაგრამ გარკვეულ სტრუქტურებს ეს არ აწყობთ, რადგან დაკარგავენ ზღაპრულ მოგებას და კა-ცობრიობაზე ზენოლის და მართვის ბერკეტებს. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია. მსგავსი ტექნოლოგიების და გამოგონებე-ბის რეალიზაცია მუხრუჭდება ყველა შესაძლო მეთოდით. ხდება მათი ავტორების დაშინება და განადგურებაც კი. პლატონის და საერთოდ ანტიკური კოსმოლოგიის თვალსაზ-რისით, სამყარო წარმოადგენს ერთგვარ პროპორციულ მთელს, რომელიც ემორჩილება ჰარმონიული დაყოფის – ოქ-როს კვეთის პრინციპს (ე.ი. მთელი ისე შეეფარდება დიდ ნა-ნილს, როგორც დიდი ნანილი მცირეს). სამყაროს აგების სხვა მოდელია „მუდმივად“ რხევადი სამყაროს ჰიპოთეზა“. აღნევს რა ჰარმონიულ („ოქროს“) მდგომარეობას, სამყარო არ რჩება ამ მდგომარეობაში, არამედ ინერციით განაგ-რძობს მოძრაობას იმავე მიმართულებით, გაფართოებადი სამყაროს ეს მოვლენა ექსპერიმენტულად იქნა ნაჩვენები XX საუკუნის 20-იან წლებში. „გალაქტიკების გაბნევის“ პროცესი მანამ გაგრძელდება, სანამ არ დაიწყება სამყაროს უკუმიმართულებით მოძრაობა „ჰარმონიულ“ მდგომარეო-ბამდე. გალაქტიკები დაუახლოვდება ერთმანეთს, სანამ კოსმოსური ძალები კვლავ არ შემოაბრუნებს სამყაროს მოძ-რაობას საპირისპირო მიმართულებით. მაშასადამე, სამყარო – ეს დინამიკური სისტემაა, რომელიც მუდმივად ირხევა

, „ჰარმონიული“ მდგომარეობის გარშემო. ასეთია „მუდმივად რხევადი სამყაროს“ ჰიპოთეზის არსი. არსებობს მოსაზრება, რომ სისტემის „ჰარმონიული“ მდგომარეობა იცვლება სისტემის (სამყაროს) განვითარებასთან ერთად, ე.ი. სამყარო ყოველთვის თითქოს გადადის „განვითარების მაღალ საფეხურზე“, მოძრაობს რა ახალი „ჰარმონიული“ მდგომარეობისკენ [4]. დღეს ფართოდ არის გავრცელებული „დიდი აფეთქების“ თეორია, რომელსაც საფუძვლად დაედო ზემოთ ნახსენები მოვლენა „გალაქტიკების გაბნევისა“. სამწუხაროდ, თანამედროვე ფიზიკამ სამყაროს მუდმივად რხევადი მოძრაობიდან ამოაგდო „გალაქტიკების გაბნევის“ ფაქტი, რომელიც ახლა შეიმჩნევა და მოახდინა მისი აბსოლუტიზმირება და ექსტრაპოლირება. ამის საფუძველზე წარმოიშვა აბსურდული იდეა, რომ იყო მომენტი, როცა სამყარო იმყოფებოდა რომელიღაც „ნულოვან მდგომარეობაში“, შემდეგ მოხდა „დიდი აფეთქება“ და სამყარომ დაიწყო გაფართოება. ამგვარად „დიდი აფეთქების თეორია“ არ არის ექსპერიმენტულად დადასტურებული და, შესაბამისად, შეუძლებელია საფუძვლად დაედოს კოსმოლოგიურ თეორიას.

დღეს მეცნიერებაში ათასობით თეორეტიკოსი მუშაობს ამ პრობლემაზე. თითქმის ყოველდღე ქვეყნდება ახალი თეორიები. თითქმის ყველა წამყვანი უურნალი ავსებულია ასეთი წაშრომებით, რომელთაც არა აქვს შეცდომები გამოთვლებში, თუმცა არავითარი სარგებლობაც არ გააჩნია, გარდა დისერტაციებისა. ასეთ მეცნიერებს, როგორც აღნიშნავს გ.შიძოვი [5], არ გააჩნიათ მეცნიერული ინტუიცია. ეს გამოწვეულია ფილოსოფიური აზროვნების შესუსტებით, ფილოსოფიის კანონების და კატეგორიების იგნორირებით.

მეცნიერებისთვის კვლავ ამოუხსნელი რჩება სხვა კარდინალური საკითხებიც, მაგალითად, როგორ წარმოიშვა ცოცხალი არსება? ერთ-ერთი ასეთი საკითხია ემბრიონის განვითარება. თანამედროვე წარმოდგენებით, უჯრედი-ჩა-

ნასახი იყოფა ორ სრულიად მსგავს უჯრედად. თითოეული მათგანი კვლავ იყოფა ორ იდენტურ უჯრედად. მაგრამ რომელილაც მომენტში იწყება ფუნქციათა დიფერენციაცია: ზოგიერთი უჯრედი გარდაიქმნება ნერვულ ქსოვილად, ზოგი – შემაერთებელ ქსოვილად, ზოგი – კუნთის ქსოვილად და ა.შ. ვინ განაგებს ამ პროცესს, თუ საწყისი უჯრედები ერთნაირია? დღეს ასევე არ შეუძლია მეცნიერებას, ასენას გონების წარმოშობა. არის თუ არა იგი მატერიის თვისება, როგორც თვლიან? რას წარმოადგენს აზრი? ბუნებისმეტყველება მას ტვინის განვითარებას უკავშირებს, თუმცა ტვინში „გონებაზე პასუხისმგებელი“ უბნის ძებამ შედეგი არ გამოიღო. ტვინის სირთულის ხარისხზე ასეთი რამ განაცხადა ტვინის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ნ. ბერტერევმა: „მთელი სიცოცხლე მე მივუძღვენი ყველაზე სრულყოფილი ორგანოს – ადამიანის ტვინის – შესწავლას და იმ აზრამდე მივედი, რომ ასეთი საოცრების შექმნა შემოქმედის გარეშე შეუძლებელია“. საიდუმლოს წარმოადგენს გენეტიკური კოდიც. ცოცხალ ორგანზმთა მემკვიდრეობითი ინფორმაციის საოცარი სისადავით გამორჩეული კოდირების ფაქტიც განეკუთვნება კაცობრიობის უმნიშვნელოვანეს აღმოჩენათა რიცხვს. სიმარტივე იმაშია, რომ მემკვიდრეობითი ინფორმაციის კოდირება ხდება 3-ასოიანი სიტყვებით შედგენილი ტექსტებით – ტრიპლეტებით ანუ კოდონებით, რომლებიც შედგენილია ოთხი ასოს ალფავიტის საფუძველზე. ესენია აზოტოვანი ფუძეები: A(ადენინი), C (ციტოზინი), G(გუანინი), T(თიმინი).

ჩანსერის ეს სისტემა არსებითად ერთნაირია ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის, რასაც გენეტიკური კოდი ეწოდება. მაგრამ ვინ შექმნა გენეტიკური კოდი, რომელიც განსაზღვრავს ცოცხალი ორგანიზმის განვითარების პროგრამას? ამ საკითხზე თანამედროვე მეცნიერებას არ შეუძლია პასუხის გაცემა. ევოლუციური თეორია ეფუძნება სამ ძირი-

თად პოსტულატს: ცოცხალ ორგანიზმთა ცვალებადობას, არსებობისათვის ბრძოლას და ბუნებრივ შერჩევას. ცვალებადობის მექანიზმს ხსნიან დნმ-ში წერტილოვანი მუტაციით, რომელიც იწვევს ცილებში ცალკეულ ამინმუავათა შეცვლას. მუტაციები იშვიათი მოვლენაა, ამიტომ ორი ამინმუავას ნაშთის ერთდროულად შეცვლა შეუძლებელია. ცალკეულ ამინმუავათა შეცვლა გააუარესებს ფერმენტის მუშაობას. წერტილოვანი მუტაციებით შეუძლებელია ერთი ფერმენტის მეორედ გარდაქმნა. ამისთვის საჭიროა ამინმუავური თანმიმდევრობის შეცვლა. მსგავს სიტუაციაში შერჩევა კი არ ეხმარება, არამედ, პირიქით, ძლიერ უშლის ხელს. შეიძლება დავუშვათ, რომ ამინმუავათა თანმიმდევრობითი შეცვლა საბოლოოდ გამოიწვევს მთელი თანმიმდევრობის და, შესაბამისად, ფერმენტის სივრცული სტრუქტურის გადაკეთებას. თუმცა ასეთი მცირე ცვლილების მიმდინარეობისას გარდაუვალად დადგება დრო, როცა ფერმენტი შეწყვეტს თავის წინა ფუნქციის შესრულებას და ახალი ფუნქციის შესრულებასაც ვერ შეძლებს. აქ კი ბუნებრივი შერჩევა გაანადგურებს ფერმენტს მის მატარებელ ორგანიზმთან ერთად. ამ შემთხვევაში ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს იმავე წარმატების შანსით. როგორ გადავლახოთ ეს უფსკრული? რა არის საჭირო, რომ მოხდეს ძველის შენარჩუნება მანამდე, ვიდრე ახლის შექმნა ჯერ არ დასრულებულა?

კლასიკურმა გენეტიკამ ვერ შეძლო ისეთი მოდელის შემოთავაზება, რომელიც დაუშვებდა ახალი ვარიანტების შექმნას ძველი ვარიანტების სრული უარყოფის გარეშე, რამაც წარმოშვა მოლეკულურ და ევოლუციურ თეორიებს შორის მწვავე კონფლიქტი. 1984 წ აღმოჩენილი იქნა, რომ ბაქტერიებმა, ადაპტაციური ცვლილებების გამო, გამოიმუშავეს ნაილონის დაშლის უნარი. რადგან ნაილონი მხოლოდ 1937 წელს შეიქმნა, ამიტომ ეს ფაქტი მეტყველებდა სრულიად ახალი ფერმენტის წარმოშობაზე ე.ი. წარმოიშვა ფერმენ-

ტის გენი, რომელიც პასუხისმგებელია ნაილონის დეგრადა-ციაზე [6]. 1998 წელს აღმოჩნდა, რომ ეს არის მანგანუმ-და-მოკიდებული პეროქსიდაზა – ჩვეულებრივი ფერმენტი. რა თქმა უნდა არავითარ „ახალ გენზე“ არ შეიძლება საუბარი [7].

ევოლუციური მოძღვრების ვერიფიცირება შეუძლებე-ლია. ამ მოძღვრებას საფუძვლად უდევს მეტაფიზიკური პრინციპი – რედუქციონიზმი, რომლის თანახმად, ნაწილები წინ უსწრებს და განსაზღვრავს მთელს.

თანამედროვე მეცნიერებას ასევე არ შეუძლია ერთ-ერთი უდიდესი საიდუმლოს ახსნა – ეს არ არის ფილოტაქსი-სი, ბოტანიკური მოვლენა, ფოთლების განლაგების წესი, რომელიც ოქროს კვეთის კანონზომიერებას ექვემდებარება. ფოთლები ღეროზე ისეა განლაგებული, რომ ნაკლებად ჩრდილავს ერთმანეთს და უზრუნველყოფს ფოტოსინთე-ზისთვის სრულყოფილი სინათლის მიღებას. ამას განაპირო-ბებს ყუნწის სხვადასხვა სიგრძე, მისი დახვევა. ფოთლის ფირფიტის სხვადასხვა ზომა და ფორმა, სივრცეში ორიენტა-ცია და ა.შ. საოცრად მუშაობს რიბოსომა – რამდენიმე მანქანისგან შემდგარი კომპაინი, სადაც ხდება ცილის მო-ლეკულის აწყობა. თითოეული მათგანი ასრულებს თავის ფუნქციას სხვებთან ზუსტად შეთანხმებულად. ეს კომპაინი მოძრაობს დნმ-ის ორმაგი სპირალის გასწვრივ, შლის მას ცალკეულ ძაფებად (სპირალებად), იღებს მათგან ნუკლეო-ტიდებს (სატრანსპორტო რნმ-ის საშუალებით), ირჩევს მო-ცემული კოდისთვის საჭიროს, შემდეგ უერთებს მას სხვა დნმ-ის სპირალს, რისთვისაც იყენებს სხვა მოლეკულურ მანქანას – დნმ-პოლიმერაზას. ეს მანქანა არა მარტო კერავს დნმ-ის ახალ სპირალს, არამედ ასწორებს კიდეც თავის „სა-კერავ“ მანქანაზე იშვიათად დაშვებულ შეცდომებს. საბო-ლოოდ, „ძველი“ სპირალების საფუძველზე იკერება ახალი ორმაგი სპირალი. დნმ-ის რეალუპლიკაცია მართლაც გასაო-

ცარი პროცესია. საოცრად არის მოწყობილი და ფუნქციონირებს სინაპსები – ნეირონების სტრუქტურული ელემენტები, სადაც ხდება დამახსოვრება და იპადება აზრები. რატომ ხდება ნეირომედიატორების სინთეზი ერთ ადგილზე, ხოლო მათი მუშაობა სხვა ადგილზე? რატომ არსებობს გონება და როგორ წარმოიშვა იგი? როგორ ხდება მეხსიერების ფორმირება, სად მიმდინარობს დამახსოვრების ქიმიური რეაქციები, რასაც ასე მონდომებით სწავლობს თანამედროვე ნეიროფიზიოლოგია და ნეიროქიმია? აღფრთოვნებას იწვევს კინეზინის – მოლეკულური „მეტლე“ ძრავის მუშაობა, რომელსაც ნეირომედიატორები გოლჯის აპარატიდან გადააქვს სინაპში. არ შეიძლება აღრფრთოვანება არ გამოიწვიოს მიკროსომამ – სტრუქტურამ, რომელიც დნმ-ის ორმეტრიან სპირალს ახვევს მიკრონის ზომის ბურთულად. გაოცებას იწვევს ბიოქიმიურ რეაქციათა უზარმაზარი კასკადის შეთანხმებული მოქმედება, რომელიც ორგანიზმს უზრუნველყოფს სამშენებლო მასალით და ენერგიით. როგორ წუნდაუდებლად მუშაობს მოლეკულური მანქანები – ფერმენტები, რომლებიც ორგანიზმს ამარავებს ატფ-ით, მთავარი ენერგომატარებლით, რომლის მარგი ქმედების კოეფიციენტი უმაღლესია (100%). ადამიანის მიერ შექმნილ არც ერთ მანქანას ეს არ შეუძლია. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერება, რომელშიც გაერთიანდა ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და კიბერნეტიკა, ჩამოყალიბდა მოლეკულური ბიოლოგიის სახით, ყველაზე ენერგიულ მეცნიერებად. იგი თავის აღმოჩენებით ნათელს ჰავენს სიცოცხლის და მისი მწვერვალის – აზროვნების საიდუმლოს, რაც ჯერჯერობით ამოუცნობია. ჰამლეტი-სეული გაოცებისა არ იყოს, „ბევრი რამ არის ქვეყნად ისეთი, რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ მოლანდებიათ“. რატომ არის ჩვენი სამყარო ასეთი მშვენიერი? რატომ ემორჩილება იგი ჰარმონიის ზოგად კანონზომიერებებს, რაც მუდავნდება მკაცრი მათემატიკური ანალიზის გზით? ოთხი საუკუნის წინ

გალილეიმ აღნიშნა, რომ მეცნიერება უზარმაზარ წიგნშია ასახული, რომლის სახელია სამყარო და დაწერილია მათემატიკის, ყველაზე დახვენილი და ესთეტიკურად სრულყოფილი მეცნიერების ენაზე.

თავის დროს ევოლუციის თეორიის ფუძემდებელმა ჩარლზ დარვინმა დაუშვა, რომ ცოცხალ ბუნებაში შემთხვევით გაჩენილი ესთეტიკური კანონზომიერებები იზიდავს სანინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებს და ხდება მათი დაფიქსირება შემდგომ თაობებში. მაგრამ ცოცხალ არსებებში ევოლუციის პროცესში რატომ უნდა წარმოიქმნას ესთეტიკური გრძნობა თუ იგი, საბოლოო ჯამში, წარმოშობს ისეთ უსარგებლო ზოგჯერ კი ისეთ დამამძიმებელ სტრუქტურებს, როგორიცაა, მაგალითად, ფარშავანგის კუდი. ასეთი კუდით ხომ ბევრად ძნელია მტაცებლისგან თავის დაღწევა, ვიდრე მის გარეშე. დარვინის მოძღვრების თანახმად, ყველაფერი, რაც ხელს უშლის სახეობის გადარჩენას, უმოწყალოდ იცვლება ბუნებრივი შერჩევით, და ჩვენს პლანეტაზე ტოვებს მხოლოდ ყველაზე ძლიერ, ყველაზე მარდ და უვნებელ მარჯვე სახეობებს. მაგრამ ესთეტიკური კანონზომიერებები, რომელიც დამახასიათებელია ცოცხალი ბუნებისათვის, სრულიად არ ეწერება ამ დარვინისტულ „პროკრუსტეს სარცეფელში“. ბუნების შესწავლით ვლინდება, რომ ესთეტიკური ნიშან-თვისებები არ არის დაკავშირებული გარემოსთან სახეობის შეგუების პრობლემასთან. ბიოლოგიური ობიექტების მორფოლოგიური სტრუქტურები მხოლოდ კერძო შემთხვევებში განისაზღვრება მათ მიერ შესრულებული ფუნქციებით და უმრავლეს შემთხვევაში ემორჩილება ჰარმონიის მათემატიკურ კანონებს. ფორმების მრავალფეროვნებაში შეიმჩნევა ფუნქციისგან დამოუკიდებელი მოწესრიგებულობა.

დარვინისტული მიდგომა უძლურია მთელი რიგი მოვლენის ასახსნელად, რომელთა შესახებ წინა წერილებში გვქონდა საუბარი. ესთეტიკურად სწორი ფორმები ბუნებაში

ბევრად უფრო გავრცელებულია, ვიდრე ეს პირველი შეხედვით ჩანს. მაგრამ რა აზრი აქვს ორგანულ სამყაროში მოფენილ ყველა ამ სილამაზეს? რაში სჭირდებათ, მაგალითად ჩიტებს მაღალორგანიზებული „ადამიანური“ მუსიკა? რაში სჭირდება ბულბულს მთელი ღამის განმავლობაში მშვენიერი განუწყვეტელი გალობა ტრელებით? შიგასახეობრივი სიგნალიზაციისთვის ხომ საკმარისი იქნებოდა უფრო მოკლე და მარტივი ბეგერების გამოცემა, ესოდენ გრძელი სიმღერით მტაცებლისთვის თავის ადგილსამყოფლის გამხელის გარეშე.

სიცოცხლის ორგანულ ევოლუციას, დარვინისეული გაგებით, ნინ უძლოდა ბევრად უფრო ხანგრძლივი ქიმიური ანუ მოლუკულური ევოლუცია, თუმცა არავითარი ქიმიური ევოლუცია არ არსებობდა. ეს პრობლემა აინტერესებს ყოველ მოაზროვნე ადამიანს. ევოლუციონისტების აზრით, სიცოცხლის წარმოშობა დედამინაზე წარმოადგენდა ნახშირბადოვან ნაერთთა თანდათანობით გართულების, რთული ორგანული ნაერთების მიღების ხანგძლივ, დიალექტიკურ პროცესს, რომელმაც მიგვიყვანა სიცოცხლისთვის აუცილებელი ბიოპოლიმერების შექმნამდე. პოლიმერებია კაუჩუკი, პლასტიკური მასები, ბოჭკოები, იონგაცვლითი ფისები და აშ., რომლებიც ასრულებს გარკვეულ ფუნქციებს. ყოველ ასეთ ფუნქციას შესაბამება პოლიმერის სტრუქტურის განსაზღვრული ტიპი. ბიოპოლიმერების ფუნქციები ბევრად უფრო ფაქტიზი და ნატიფია, ვიდრე სამრეწველო პოლიმერებისა, ამიტომ ამ პოლიმერთა აგებულების გაგება, მხოლოდ მათ მიერ შესასრულებულ ფუნქციათა კავშირში, შეუძლებელია. დარვინისეული ბუნებრივი შერჩევა აქ აშკარად გამოუსედებარია. ჯერ ერთი, არ არსებობს ევოლუციის მამოძრავებელი ძალა, რადგან მოლეკულები არ არის ცოცხალი არსებები და გადარჩენისთვის არ იბრძვის. წინა წერილებში ჩვენ მიერ ნაჩვენებია, რომ ცილების სინთეზი წყლის გარე-

მოში, ლე-შატელიეს თერმოდინამიკური პრინციპის თანახმად, შეუძლებელია. ევოლუციური მოძღვრების ვერიფიცირება შეუძლებელია, რადგან იგი ეფუძნება მეტაფიზიკურ პრინციპს – რედუცექიონიზმს, რომლის თანახმად, ნაწილები წინ უსწრებს და განსაზღვრავს მთელს. რადგანაც აღნიშნული პროცესი ატარებდა შეუქცევად ხასიათს, ჩვენ არ შეგვიძლია დავაკვირდეთ მას უშუალოდ ბუნებრივ პირობებში. აგრეთვე შეუძლებელია ხელოვნურად მისი გამეორება, რადგან ეს პროცესი მიეკუთვნებოდა შორეულ ისტორიულ პერიოდს და, ევოლუციონისტების აზრით, იგი გრძელდებოდა მილიარდი წლები.

მოგვყავს მაგალითი, რომელიც აჩვენებს ბიოლოგიური სტრუქტურის შექმნის ალბათობის დაბალ ხარისხს. თამბაქოს მოზაიკის ვირუსის რნმ შეიცავს 6000 ნუკლეოტიდს. რიბონუკლეინის მჟავას სპეციფიკური მოლეკულის შექმნის ალბათობა 4 ნუკლეოტიდის შემთხვევითი კომბინაციით შეადგენს $\frac{1}{4}^{6000} = 10^{-2000}$. რადგანაც სამყაროს მასა მიღებულია 10^{80} პროტონის მასის ტოლად, მაშინ პრაქტიკულად 10^9 წლის მანძილზე (დედამინის არსებობის ხანგძლივობა) რნმ-ის მიღება შეუძლებელია, მაშინაც კი რომ მთელი სამყარო შედგენილი ყოფილიყო მორეაგირე ნუკლეოტიდების ნარევისგან, ე.ი თვითჩასახვით სიცოცხლის წარმოშობა შეუძლებელია. თვლიან, რომ მატერია თვითორგანიზებადი სისტემაა, მაგრამ როგორ ხდება მატერიის თვითორგანიზება? დაკვირვება სანინაალმდეგოს გვიჩვენებს. მატერია უწყვეტლივ ქაოსისკენ მიექანება. ამასვე გვეუბნება თერმოდინამიკის მეორე კანონიც. აშენებული სახლი თავის-თავად კი არ შენდება, არამედ ინგრევა ან ჩაი ჭიქაში ცივდება და, რაც არ უნდა ელოდოთ, თავისთავად არ გაცხელდება.

რატომ არსებობს სამყარო ასეთი ფუნდამენტური კონსტანტებით? რატომ არის ცილები ცოცხალ ორგანიზმში წარმოქმნილი „მარცხენა“ ამინმჟავებისგან (რომლებიც პოლარიზებული სხივის სიბრტყეს საათის ისრის მიმართულე-

ბით აპრუნებს), ხოლო ნახშირწყლები – „მარჯვენა“ მოლეკულებისგან? თუმცა ზუსტ კანონზომიერებებში გვხდება მცირეოდენი გამონაკლისებიც. მაგალითად, ვენერა ერთა-დერთი პლანეტაა მზის სისტემაში, რომელიც საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით ბრუნავს. დედამიწამ რომ თანდათანობით შეწყვიტოს მოძრაობა საკუთარი ღერძის გარშემო, მოხდება გამანადგურებელი ცვლილებები. ჩვენი პლანეტის მოძრაობის სიჩქარეა 1700კმ/სთ, ამიტომ გაჩერებისას ყველაფერი – ადამიანები, ცხოველები, ხეები, შენობები უბრალოდ აღიგავება დედამიწის ზედაპირიდან. გარდა ამისა, ოკეანეები ინერციით გააგრძელებენ ბრუნვას, ასე რომ, შემთხვევით გადარჩენილებსაც დაფარავს გიგანტური ცუნამები. შეჯახება ასევე წარმოშობს მრავალრიცხოვან მინისტრას და ამოფრქვევას. დღე-ღამე თვეობით გაგრძელდება. დედამიწის ერთ ნახევარზე, ნახევარი წელი მცხუნვარე მზის გამო აუტანელი სიცხე იქნება, მეორეზე კი ცივი ღამე. ცენტრიდანული ძალები გააპრტყელებს დედამიწას პოლუსებზე და წარმოქმნის „კუზს“ ეკვატორზე და ოკეანეები ჩაიღვრება პოლუსებთან. პლანეტაზე დარჩება ერთ-ერთი გიგანტური კონტინენტი, ცხოველების და მცენარეების უმრავლესობა ვერ შეეგუება მკვეთრ შეცვლილ პირობებს და გაქრება. ახალი გეოგრაფიის ფორმირების პროცესში წყლის ქვეშ აღმოჩნდება ანტარქტიდა, გრელანდია, კანადა, მთელი ევროპა, ჩინეთის ნაწილი. გაქრება დედამიწის მაგნიტური ველი, რომელიც პლანეტას მზის სხივების ქარისგან – დამუხტული ნაწილაკებისგან იცავს, რომლებიც უდიდესი სისწრაფით მოძრაობს ვარსკვლავიდან. მაღალენერგეტიკული კოსმოსური ნაწილაკების ზემოქმედება მომაკვდინებელია ადამიანის და სხვა ცოცხალი ორგანიზმებისთვის. ადამიანებს მოუწევთ მიწის ქვეშ გადასახლება და იქ მცენარეების გამრავლება და საქონლის მწყემსვა. მიწის ზედაპირზე ამოსვლისას კი აუცილებელი იქნება დამცავი ტანსაცმლის ჩაცმა

და სკაფანდრების დახურვა. დედამინა თანდათან შეამცირებს ბრუნვას, თუმცა სრულ გაჩერებამდე კაცობრიობა ვერ მიაღწევს. დაახლოებით 5 მილიარდი წლის შემდეგ მზე გადაიქცევა წითელ გიგანტად, გაიზრდება ზომებში და შთანთქავს ჩვენს პლანეტას.

ბუნების საიდუმლოებათა კვლევა, ალბერტ აინშტაინის თანახმად, შეუძლებელია „კოსმოსური რელიგიური გრძნობის“ გარეშე: „ჩვენს მატერიალურ საუკუნეში სერიოზული მეცნიერები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ღრმად რელიგიური ადამიანები.“ ელექტრონის აღმომჩენი ჯ. ტომსონის აზრით, „თუ თქვენ საკმაოდ ძლიერად აზროვნებთ, მეცნიერება უეჭველად მიგიყვანთ ღმერთის რწმენამდე“.

აი, რას წერს ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი ა. მორისონი [8]: ჩვენ სამეცნიერო ცოდნის ჯერ კიდევ გარიურაჟზე ვიმყოფებით, რაც უფრო ახლოს ვართ განთიადთან, მით უფრო ნათელია ჩვენი დილა, მით უფრო ცხადად გვეხატება გონიერი შემოქმედის ქმნილებანი. ახლა სამეცნიერო მორჩილების სულისკვეთებით, ცოდნაზე დაფუძნებული რწმენის სულისკვეთებით, ჩვენ სულ უფრო ვუახლოვდებით ღმერთის არსებობის ურყევ რწმენას. პირადად მე შვიდი გარემოება მაქვს, რომელიც განსაზღვრავს ჩემს რწმენას ღმერთში. აი ისინიც:

პირველი: სავსებით მკაფიო მათემატიკური კანონი ამტკიცებს, რომ სამყარო შექმნილია უმაღლესი გონების მიერ. წარმოიდგინეთ, რომ ტომარაში ათი მონეტა ჩააგდეთ. მონეტები, მათი ღირებულების მიხედვით, ერთიდან ათ ცენტამდე. შემდეგ შევარჩიოთ ტომარა. ახლა შეეცადეთ ამოიღოთ მონეტები ერთმანეთის მიყოლებით მათი ღირებულების რიგის მიხედვით იმ პირობით, რომ ყოველ მონეტას ისევ ჩავდებთ უკან და ისევ შევარჩევთ ტომარას.

მათემატიკა ამბობს, რომ ჩვენს განკარგულებაში ერთი შანსია ათიდან, რომ პირველივე ცდაზე ამოვილოთ ერთი ცენტის ღირებულების მონეტა. ერთცენტიანი რომ ამოვილოთ, და მის მომდევნოდ ორცენტიანი, ჩვენი შანსი უკვე ასიდან ერთს გაუტოლდება. ზედიზედ სამი მონეტა რომ ამოვილოთ – შანსი ათასიდან ერთია და ა.შ. დაწესებული რიგის მიხედვით ათივე მონეტა რომ ამოვილოთ, ჩვენ გვაქვს ერთი შანსი ათი მილიარდიდან. იგივე მათემატიკიური მსჯელობანი ცხადყოფს, რომ დედამიწაზე სიცოცხლის ნარმოქმნისა და განვითარებისთვის საჭიროა იმდენად ნარმოუდგენელი რაოდენობის ურთიერთკავშირი, რაც გონიერი ჩარევის გარეშე, უძრალო შემთხვევითობის ნაცობით, ნარმოუდგენელია. დედამიწის ბრუნვის სიჩქარე განისაზღვრება ათასი მილით საათში. დედამიწა რომ ბრუნვავდეს ასი მილით საათში, მაშინ ჩვენი დღეები და ღამეები ათჯერ უფრო გრძელი იქნებოდა. ხანგრძლივი დღის განმავლობაში მზე გადაწვავდა ყოველივე ცოცხალს, ხანგრძლივი ღამის განმავლობაში კი ყოველივე ცოცხალი გაიყინებოდა. ამასთანავე, მზის ტემპერატურა ფარენგეიტით **12000** გრადუსია. დედამიწა სწორედ იმდენითაა დამორებული მზისგან, რამდენითაც საჭიროა, რომ ამ “მარადიულ-მა ცეცხლმა” საჭიროებისამებრ გაგვათბოს, არც მეტად და არც ნაკლებად! მზე რომ ნახევარზე ცოტა სითბოს გვაძლევდეს, გავიყინებოდით. ორმაგ სითბოს რომ გვაძლევდეს, სიცხისგან დავიღუპებოდით. დედამიწის დახრილობა **23** გრადუსის ტოლია. აქედან ნარმოდგება ნელინადის დროები. დახრილობა სხვანაირი რომ იყოს, ოკეანის ანაორთქლი წინ და უკან იმოძრავებდა, სამხრეთით და ჩრდილოეთით, და ყინულის უზარმაზარ კონტინენტებს დაახვავებდა. თუკი მთვარე, მისი ახლანდელი დისტანციის ნაც-

ვლად, 50000 მილით იქნებოდა დაშორებული ჩვენგან, ოკეანის მიმოქცევები ისეთ გრანდიოზულ მასშტაბებს მიიღებდა, რომ ყველა კონტინენტი წყალქვეშ აღმოჩნდებოდა დღე-დღამეში ორჯერ. შედეგად, მთებიც კი ჩაირეცხებოდა. დედამინის ქერქი შედარებით სქელი რომ ყოფილიყო, ვიდრე ახლაა, ზედაპირზე არასაკმარისი რაოდენობით იქნებოდა უანგბადი, და ყოველივე ცოცხალი დასაღუპად იქნებოდა განნირული. თუკი ატმოსფერო, დედამინას გარშემო რომ ეკვრის, ოდნავ თხელი იქნებოდა, მილიონობით მეტეორი, ყოველდღიურად რომ ინვება მასში, დედამინაზე უცვლელი სახით დაენარცხებოდა და ყველგან აურაცხელ ხანძარს გამოიწვევდა. ეს და უამრავი სხვა მაგალითი მოწმობს, რომ დედამინაზე სიცოცხლის შემთხვევითი აღმოჩნისათვის არ არსებობს არც ერთი შანსი მრავალი მილიონიდან.

მეორე: იმ წყაროების სიუხვე, საიდანაც სიცოცხლე ძალებს იკრებს თავისი ამოცანის შესასრულებლად, თავის-თავად იმის მტკიცებულებაა, რომ არსებობს ყოვლისშეძლე გონება. აქამდე ვერც ერთმა ადამიანმა ვერ შეძლო ჩასწვდომოდა სიცოცხლის საიდუმლოს... სიცოცხლემ დაამარცხა წყალი, ჰაერი და ხმელეთი, დაეუფლა მათ ელემენტებს, აიძულა დაეშალა და გარდაექმნა მათივე შემადგენელი კომბინაციები. სიცოცხლე – მოქანდაკეა, ყოველივე ცოცხალს რომ ფორმას ანიჭებს, მხატვარია, ხეზე ყოველი ფოთლის ფორმას რომ კვეთს, ყოველი ყვავილის ფერს რომ განსაზღვრავს. სიცოცხლე – მუსიკოსია, ფრინველთ სიყვარულის სიმღერა რომ შეასწავლა, ხოლო მწერებს – აურაცხელი ბერის გადმოცემა და ერთურთის ძახილი-მონდება. სიცოცხლე – უნატიფესი ქიმიკოსია, რომელმაც გემო მიანიჭა ნაყოფს, სურნელება ყვავილებს, ქიმიკოსი, რომელიც წყალსა და ნახშირმუავას შაქრად აქცევს და

იღებს უანგბადს, ასე აუცილებელი რომ არის ყოველივე ცოცხალისთვის. აი, ჩვენს ნინაშეა პროტოპლაზმის, თითქმის უხილავი, წვეთი, გამჭვირვალე, უელეს რომ წააგავს, შეუძლია მოძრაობა და ენერგიას მზისგან იღებს. ეს უჯრედი სიცოცხლის ჩანასახს წარმოადგენს და გააჩნია ძალა, რომლითაც სიცოცხლეს გადასცემს დიდს თუ პატარას. ამ წვეთის ძალა გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენი არსებობის ძალა, ადამიანებსა და ცხოველებზე ძლიერია, რადგანაც იგი ყოველივე ცოცხალის საფუძველია. ბუნებას არ შეუქმნია სიცოცხლე. ცეცხლით გახლეჩილი კლდეები და მტკნარწყლიანი ზღვები ვერ უპასუხებდნენ იმ მოთხოვნებს, რასაც სიცოცხლე თავისი არსებობისათვის აყენებს. მაშვინ ჩადო სიცოცხლე პროტოპლაზმის ამ ნაწილაკში?

მესამე: ცხოველების გონება უცილობლად მეტყველებს გონიერ შემოქმედზე, რომელმაც ინსტინქტი ჩააგონა არსებებს, რომლებიც მის გარეშე უმწეონი და უსარგებლონი იქნებოდნენ. ახალგაზრდა ორაგული თავის ახალგაზრდობას ატარებს ზღვაში, შემდეგ მშობლიურ მდინარეს უბრუნდება და მოძრაობს მასში სწორედ იმ მხრიდან, რომლითაც მიდიოდა ქვირითი, რომლისგანაც ის იშვა. რა ამოძრავებს მას ასეთი სიზუსტით? თუკი მას სხვა გარემოში მოვათავსებთ, ის მაშინვე იგრძნობს, რომ მიმართულება აერია და დაინტებს გზის გაკვალვას მთავარი ნაკადისკენ, შემდეგ დინების საწინააღმდეგოდ წავა და თავის ბედს განსაზღვრული სიზუსტით აღასრულებს. კიდევ უფრო მეტ საიდუმლოს ინახავს გველთევზას ქცევა. ეს საოცარი არსებები მონიფულობის ხანაში იწყებენ მოგზაურობას წყალსატევებიდან, მდინარეებიდან და ტბებიდან. ევროპაშიც რომ იყვნენ, ათას მილს გაივლიან ოკეანეში და ბერმუდის კუნძულების ზღვის სიღრმეებში მოხვდებიან. აქ გამრავლების აქტს აღასრულებენ და კვდებიან. პატარა გველთევ-

ზები, რომლებიც ადვილად შეიძლება დაიკარგონ ოკეანის სიღრმეში, მიცურავენ თავიანთი მამების გაკვალული გზებით, იმავე მდინარეებით, წყალსატევეებითა და ტბებით, საიდანაც დაიწყეს თავიანთი გზა ბერმუდის კუნძულებამდე. ევროპაში არც ერთხელ არ დაუჭრიათ გველთევზა, რომელიც ამერიკულ წყლებს ეკუთვნის. ასევე ამერიკაშიც, არც ერთხელ არ დაუჭრიათ ევროპული გველთევზა. ევროპული გველთევზა მოწიფულობას ერთი წლით გვიან აღნევს, რისი წყალობითაც დაასრულებს მოგზაურობას. მაშად იბადება ეს იმპულსი, მიმართულებას რომ განსაზღვრავს? კრაზანა, კალის დამარცხების შემდეგ, ზუსტად განსაზღვრულ ადგილას განგმირავს მას. ამ დარტყმისგან კალია „კვდება“. ის კარგავს გრძნობას და ცოცხლობს, თუმცა კონსერვირებული ხორცის სახით. ამის შემდეგ კრაზანა დებს კვერცხს იმ ანგარიშით, რომ ახალგამოჩეკილ კრაზანებს შეეძლებათ კალის წოვა, მისი მოკვლის გარეშე. მკვდარი ხორცი მათთვის მომაკვდინებელი იქნებოდა. ამ სამუშაოს შესრულების შემდეგ დედა-კრაზანა მიფრინავს და კვდება. ის თავის შვილებს ვერასდროს იხილავს. ეჭვიც არაა, რომ თითოეული კრაზანა ამ სამუშაოს ასრულებს პირველად თავის ცხოვრებაში, ყოველგვარი განსხვლის გარეშე და აკეთებს ამას ზუსტად ისე, როგორც საჭიროა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საიდან გაჩნდებოდნენ კრაზანები? ეს მისტიკური ტექნიკა ვერ აიხსნება იმით, რომ კრაზანები ერთმანეთისგან სწავლობენ. ეს მათ სისხლსა და ხორცშია ჩადებული.

მეოთხე: ადამიანი ფლობს გაცილებით მეტს, ვიდრე ცხოველური ინსტინქტია. მას გააჩნია გონება. არ არსებობს ისეთი ცხოველი, რომელსაც შეუძლია ათამდე თვლა. მას არც კი ძალუძს ჩასწოდეს ათის მნიშვნელობას. თუკი

ინსტინქტის შედარება შეიძლება ფლეიტის ერთ ნოტთან, მშვენიერ, მაგრამ შეზღუდულ ბგერასთან, მაშინ უნდა ვალიაროთ, რომ ადამიანის გონებას ძალუძს ჩასწვდეს ყველა ნოტს და არა მხოლოდ ფლეიტისას, არამედ ორკესტრის ყველა ინსტრუმენტისას... ჩვენი გონების წყალობით ჩვენ შეგვიძლია მსჯელობა იმაზე, თუ ვინ ვართ და ეს ნიჭი მხოლოდ იმით განისაზღვრება, რომ ჩვენში ძევს სამყაროს გონების ნაპერნკალი.

მეხუთი: გენების საოცარი მოვლენა, რომელიც უცნობი იყო დარვინისთვის, მონმობს იმაზე, რომ ყოველივე ცოცხალზე თავიდანვე იყო ზრუნვა. გენების სიდიდე ისე საოცრად მცირეა, რომ ყველა გენი, რომელთა წყალობითაც არსებობს კაცობრიობა დედამინაზე, ერთად რომ შეიკრიბოს, სათითეში მოთავსდებოდა და სათითე არც კი გაივსებოდა! და მაინც, ეს ულტრამიკროსკოპული გენები და მათი თანმხლები ქრომოსომები ყოველი ცოცხალის ყოველ უჯრედშია მოთავსებული და ნარმოადგენს აბსოლუტურ გასაღებს ადამიანის, ცხოველისა და მცენარის თვისებების გამოსავლენად. მილიარდობით ადამიანის ყველა ინდივიდუალური თვისება სათითეში ეტევა! თუკი ეს ასეა, მაშინ როგორ ხდება, რომ გენი თითოეული ცალკეული არსების ფსიქოლოგიის გასაღებსაც შეიცავს, ათავსებს რა მას უმცირეს მოცულობაში? აი, სად იწყება ევოლუცია! ის იწყება ერთეულში, რომელიც გენების მცველი და მატარებელია. რამდენიმე მილიონი ატომი, რასაც შეიცავს ულტრამიკროსკოპული გენი, შეიძლება აღმოჩნდეს დედამინაზე სიცოცხლის აბსოლუტური გასაღები. ეს კი მტკიცებულებაა, რომ ყოველ ცოცხალ არსებაზე ზრუნავენ, ვიღაცამ ყოველივე ნინასნარ გაითვალისწინა და რომ ეს შემოქმედი გონებისგან მომდინარეობს. არავითარ სხვა ჰიპოთეზას არ ძალუძს ყოფიერების არსის ამოცნობა.

ბევქვესე: ბუნების ეკონომიკაზე დაკვირვებისას ჩვენ იძულებული ვართ ვალიაროთ, რომ მხოლოდ უკიდურესად სრულყოფილ გონიერებას შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ის ურთიერთობები, ასეთ რთულ მეურნეობაში რომ წარმოიშობა. მრავალი წლის წინ ავსტრიალიაში ცოცხალი ღონისძიების სახით დარგული იქნა კაქტუსის ზოგიერთი შეტანილი სახეობა. მტრული მნერების არარსებობის გამო კაქტუსი გამრავლდა ისეთი გასაოცარი ოდენობით, რომ ხალხმა მასთან საბრძოლველად გზების ძებნაც კი დაიწყო. კაქტუსი კი გავრცელებას განავრძობდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფართობი, რომელიც მან დაიკავა, ინგლისის ფართობზე მეტი აღმოჩნდა. მან ხალხიც კი განვდევნა ქალაქებიდან და სოფლებიდან, ანადგურებდა ფერმებს. საბოლოოდ, მოხერხდა იმ მნერის აღმოჩენა, რომელიც უშუალოდ კაქტუსით იკვებებოდა და ადვილად მრავლდებოდა. მალე მნერმა დაამარცხა კაქტუსი. ამ მცენარის რაოდენობამ იკლო. ასევე იკლო მნერების რაოდენობამაც. დარჩა მხოლოდ იმდენი, რამდენიც საჭირო იყო კაქტუსის მუდმივი ზედამხედველობისთვის. მსგავსი მაკონტროლებელი ურთიერთკავშირები ყველგანაა. რატომ არის, რომ მნერები, ასე გასაოცრად რომ მრავლდებიან, არ ღუპავენ ყოველივე ცოცხალს? იმიტომ რომ ისინი ფილტვებით კი არა, ტრაქეებით სუნთქვენ. მნერი რომ იზრდება, მისი ტრაქეები პროპორციულად არ იზრდება. აი, ამიტომაც არ არსებობს უზარმაზარი მნერი. ეს შეუსაბამობა მათ ზრდას აფერხებს. ამ ფიზიკური კონტროლის გარეშე ადამიანი დედამინაზე არსებობას ვერ შეძლებდა. წარმოიდგინეთ ლომისხელა ხარაბუზა.

მეშვიდე: ის ფაქტი, რომ ადამიანს ძალუძს, აღიქვას დმერთის არსებობის იდეა, თავისთავად საკმარისი მტკიცებულებაა. კონცეფცია ღმერთის არსებობის შესახებ წარმოიშობა ადამიანის იმ საიდუმლო ნიჭის შედეგად, რასაც

ჩვენ ნარმოსახვას ვუწოდებთ... ნარმოსახვით შეუძლია ადამიანს, მიზნის და ამოცანის მთელი სიცხადით განსაზღვროს, დიადი ჭეშმარიტება, რომ ღმერთი ყველგან და ყველაფერშია, რომ ის ჩვენს გულებში ცოცხლობს. ამის დასტურია მეფსალმუნის სიტყვების: „ზეცა გვამცნობს უფლის დიდებას, ხოლო მის ქმნილებას ღაღადებს მინა“. მართლაც საოცარი ქმნილებაა სამყარო, ბუნების ჰარმონია და მისი მწვერვალი – სიცოცხლე. არ შეიძლება დიდი მგოსნის სიტყვებით არ გამოთქვა აღთრთოვანება შემოქმედის მიმართ,

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მის ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“.

ამჟამად მიმდინარეობს მეცნიერების და რელიგიის ურთიერთობის, მეცნიერული ცოდნის და რელიგიური რწმენის თანაფარდობის ახლებურად გააზრება. შეიძლება დავასკვნათ, რომ რელიგია და მეცნიერება წარმოადგენს კულტურის თანაბარ, მაგრამ განსხვავებულ კომპონენტებს, როგორც კაცობრიობის მტერიალური და სოციალური მიღწევების ერთობლიობას. XX საუკუნის მეცნიერულმა რევოლუციამ, ერთი შეხედვით, თითქოს შეავინწროვა რელიგია და დაამტკიცა მისი არქაულობა და უსარგებლობა თანამედროვე მსოფლიოში. სინამდვილეში კი მეცნიერებამ ვერ შეძლო მრავალი საკითხის გადაჭრა. მეცნიერების განვითარება და ახალი აღმოჩენები მოითხოვდა მორალურ-ეთიკურ შეფასებებს, რომელზე პასუხის გაცემა მხოლოდ რელიგიას შეეძლო. ამიტომ აუცილებელი გახდა მეცნიერების და რელიგიის შერიგება.

მეცნიერების განადგურება შეუძლებელია, იგი ცივილიზაციის ელიტარული ნაწილია, მისი უმაღლესი კულტუ-

რაა. იგი ისევე დიდებული და მარადიულია როგორც ეგვიპტის პირამიდები. ცივილიზაციის მთავარი ძალაა ახალ თაობათა მისწრაფება – განავითაროს და სრულყოს, შეინახოს და გაამრავლოს წინა თაობათა მიღწევები. ცოდნის დაგროვება უწყინარი რამ არის, ამიტომ ჭეშმარიტი მეცნიერება სუფთა და უმწიკვლოა. ახალი ცოდნის შეძენით იგი ასრულებს ორ ფუნქციას: ქმნის სასარგებლო საგნებს და მიუთითებს ადამიანისთვის საშიშ საგნებზე. მეცნიერება საშიში ხდება, როცა მას მეცნიერებს ართმევენ. ასე იყო ატომურ ბომბთან, ქიმიურ და ბაქტეროლოგიურ იარაღთან დაკავშირებით.

მეცნიერებამ და მისი მიღწევების საფუძველზე დამუშავებულმა ტექნოლოგიებმა შეცვალა თანამედროვე ცხოვრება, არსებითად აამაღლა ცხოვრების დონე. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გამალებული ცვლილებები კაცობრიობის წინაშე სახავს უდიდეს პერსპექტივებს, მაგრამ ამავე დროს ბადებს ურთულეს გლობალურ (ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ, ენერგეტიკული და სამხედრო) პრობლემებს.

ეკოლოგიური პობლემები გამოწვეულია ბუნებაზე სამრეწველო წარმოების და ადამიანის სხვა მიღწევების გავლენით. ატმოსფერომი და მსოფლიო ოკეანეში გროვდება მავნე ნივთიერებები. არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენს ტყეების მასობრივი ჩეხვა. მრეწველობის განვითარება ე.წ. “სათბურის ეფექტის” – გლობალური დათბობის მიზეზი გახდა, რაც თავის მხრივ, აჩქარებს ყინულის დნობას არქტიკასა და ანტარქტიდაში. ეს კი იწვევს მსოფლიო ოკეანის დონის ამაღლებას და დატბორვის საფრთხეს უქმნის მჭიდროდ დასახლებულ სანაპირო ტერიტორიებს. მრავალ ქვეყანაში მკვეთრად იგრძნობა სუფთა მტკნარი წყლის უკმარისობა.

დემოგრაფიული პრობლემები გაძლიერდა მოსახლეობის რაოდენობის გამაღებული ზრდით. დემოგრაფიული პრობლემები, პირველ რიგში შეეხო ყველაზე ღარიბ ქვეყ-

ნებს – აფრიკულს და ლათინოამერიკულს. ამ ქვეყნებში მწვავედ დგას ჭარბმოსახლეობის, საკვების უკმარისობის, ეპიდემიების პრობლემები.

ენერგეტიკული პრობლემები დაკავშირებულია დედა-მიწაზე ენერგიის წყაროების და ნედლეულის გამოლევას-თან. მოსახლეობისა და მრეწველობის ზრდა იწვევს სასარ-გებლო წიაღისეულის სწრაფ გამოფიტვას. გამოთვლილია, რომ რამდენიმე ათეულ წელიწადში, შესაძლოა, ადრეც გა-მოილიოს ნავთობის მარაგი, რაც უდიდეს პრობლემებს შე-უქმნის კაცობრიობას.

სამხედრო პრობლემები გამოწვეულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მასობრივი განადგურების – ქიმიური, ბირთვული, ბაქტერიოლოგიური – იარაღის დაგროვებით. მსოფლიოში მუდმივად მიმდინარეობს ლოკალური ომები და შეიარაღებული კონფლიქტები. უაღრესად დაძაბული ხასია-თი მიიღო „ცინიკურმა წმენდებმა“ და საერთაშორისო ტე-რორიზმის გლობალურმა პრობლემამ XX საუკუნის დასას-რულიდან, რაც გავლენას ახდენს მრავალი სახელმწიფოს სა-შინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

ექპერიმენტულად მტკიცდება ალქიმიკოსების სანუკ-ვარი ოცნება – ერთი ნივთიერების ატომების სხვა ნივთიე-რების ატომებად გარდაქმნის შესაძლებლობა (ტრანსმუტა-ცია) ცოცხალი ბაქტერიების საშუალებით. ტყვიიდან ოქროს მიღება მხოლოდ კერძო შემთხვევაა (ნედლეული, რომელიც შედგება არაორგანული მარილებისგან ან მაღნისგან მუშავ-დება ბაქტერიების წყლიანი სუსპენზიით. თავდაპირველად მიკროორგანიზმები განიცდიან ადაპტაციას, შემდეგ კი აქ-ტიურდებიან). ქათმის ორგანიზმი ადვილად გარდაქმნის კა-ლიუმს, რომელიც ბევრია მარცვალში, კალციუმად, რომ-ლისგანაც აგებულია კვერცხის ნაჭუჭი. მსგავსი პროცესები მიმდინარეობს ზღვის ნიჟარებში და მოლუსკებში. ბირთვუ-ლი სინთეზის დასაწყებად სწორედ ბაქტერიების საშუალე-

ბით ლახავენ ატომთა ბირთვები ე.წ. კულონურ ბარიერს. დღეს ფიზიკოსები მეტალთა რამდენიმე ატომს ქმნიან უზარმაზარ ამაჩქარებლებში. ამიტომ წარმოუდგენლად ძვირი ღირს ასეთი ნივთიერებები. მაგალითად, 1 გრამი კალიფორნიუმი 10 მილიონი დოლარი ღირს. ბიოტექნოლოგიის საშუალებით შესაძლებელი ხდება ზემდიმე ნივთიერებების მიღება სამრეწველო მასშტაბით. ისეთ ნივთიერებებს, როგორიცაა ნობელიუმი, მენდელევიუმი, აინშტაინიუმი, ფერმიუმი და სხვა ზემდიმე ელემენტები, ქიმიკოსები უწოდებენ აქტინოიდებს. დედამიწაზე ასეთი ნივთიერებები არ არსებობს, თუმცა ბაქტერიებს შეუძლიათ მათი წარმოქმნა. იშვიათ ქიმიურ ელემენტებს შეუძლია დედამინის მომავლის შეცვლა. მაგალითად, ატომური ელექტროსადგურები მათი საშუალებით 10-ჯერ მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ, ავტომანქანები არ დააბინძურებს გარემოს გამონაბოლქვებით. საკმარისი იქნება მხოლოდ ერთხელ, მანქანის აწყობისას, ენერგიის ჩატვირთვა. 1 კილოგრამი ლაურენსიუმი ცვლის ნავთობის და გაზის მთელ წლიურ მარაგს – 30 მილიარდ ბარელ ნავთობს. ბაქტერიებს ასევე შეუძლიათ რადიოაქტიური ნარჩენების გადამუშავება – საშიში იზოტოპების გარდაქმნა უვნებელ ქიმიურ ელემენტებად.

ჩვენი პლანეტის გადარჩენა და თანამედროვე გლობალური პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიოს ყველა ქვეყნის პროგრესულ მეცნიერთა და პოლიტიკოსთა ძალ-ღონის გაერთიანებით.

ლიტერატურა:

1. А. Пайс. Научная деятельность и жизнь Альберта Эйнштейна. М., Изд-во «Наука», 1989. 2. Э. Дюкас, Э. Хоффман. Альберт Эйнштейн как человек. Вопросы философии, 1991,1, N 61.
3. რ. გახოვიძე. გზა ხსნისა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991.
4. Э.М. Сороко. Структурная гармония систем. Минск. Наука и техника, 1984.
5. <http://www.trinitas.ru/rus/doc/0231/003a/02311031.html>.
6. S. Ohno. Birth of a unique enzyme from an alternative reading frame of the preexisted, internally Type equation here. repetitious coding sequence. Proc. Nat. Acad. Sci. USA, 1984, v. 81, N 8, p. 2421-2425.
7. T. Deguchi, Y. Kataoka, M. Nishida. Purification and characterization a nylon-degrading enzyme. Appl. Environ Microbiol. 1998, v.64, N 4, p. 1366-1371.
8. <https://forum.ge/?f=84&showtopic=34582587>.

RAMAZ GAKHOKIDZE – Academician of the Academy of Philosophical Sciences of Georgia. Director of the Institute of Bioorganic Technologies and Chair of Bioorganic Chemistry of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor, member of the scientific societies of the USA and Europe, Academician of the orders of honour of Georgia and the United States, author of over 500 scientific works, textbooks, monographies and inventions in different fields of science. Ramaz Gakhokize was nominated among the great minds of XXI century by the International Biographical Centre (Cambridge, England).

THE HARMONIOUS DIALOGUES BETWEEN SCIENCES AND RELIGION

ABSTRACT

Science is the rational basis of culture, and religion is its rational component. Currently, a new understanding of the relationship between science and religion, between scientific knowledge and the religious faith is taking place. Religion and science are the components of culture as the unity of the material and spiritual achievements of mankind.

In the process of interaction between science and religion, both acute and mutually reconciling periods were observed. Conflicts occurred when religion tried to assert monopoly rights to the spiritual life of society. In the fight against theology, science acquired the right to exist independently of religion. There was a discrepancy between religious faith and scientific knowledge of the universe. Science on the basis of internal laws studies the universe.

ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების ფილოსოფიის განყოფილებაშ.

ამირან ბერძენიშვილი – ფილოსოფიის დოქტორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიკოსი. მუშაობს სოციალური და პოლიტიკური ფილოსოფიისა და სოციოლოგის სფეროში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ დარგებში, მათ შორის მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები.

ეღვანდ ჰუსერლი „მეცნიერების პრიზისის“ დაპლევის შესახებ და „გაგებითი სოციოლოგიის“ პოზიციები

ფენომენოლოგიური სოციოლოგია ე. ჰუსერლის მოღვაწეობის ბოლოდროინდელ ფილოსოფიურ მეთოდოლოგიას ეყრდნობა. თავისი გვიანდელი გამოკვლევების ამოცანებისა და მიზნების განსაზღვრისას, ჰუსერლი იმის გაცნობიერებისგან ამოდიოდა, რასაც მან „თანამედროვე მეცნიერების კრიზისი“ უწოდა. ეს არ ყოფილა პრაქტიკული მეცნიერული საქმიანობის კრიზისი, ეს არ ყოფილა ამა თუ იმ დისციპლინაში თეორიის კრიზისი ან საზოგადოდ, მეცნიერების თეორიული საფუძვლების კრიზისი. თანამედროვე მეცნიერების კრიზისი ჰუსერლისთვის მეცნიერებათა მიერ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ადამიანური საზრისის დაკარგვას ნიშნავდა. „ის განსაკუთრებულობა, – წერდა ჰუსერლი – რომლითაც პოზიტიური მეცნიერებები თანამედროვე ადამიანის მთელ მსოფლმხედველობას განსაზღვრავენ... და მათ მიერ მოგანილი „აყვავების“ ნაყოფებითა და შედეგებით მას აბრმავებენ, იმ უმთავრესი საკითხების დავიწყებას ნიშნავს, რომლებშიც ბჭობა ადამიანური არსებობის ჭეშმარიტ ღირსებას ეხება... ფაქტების შესახებ წმინდა მეცნიერება ადამიანს შიშველ მეცნიერულ ფაქტად აქცევს. რა შეუძლია თქვას მეცნიერებას საზრისისა და უსაზრისობის, ადამიანის, როგორც საკუთარი

თავისუფლების სუბიექტის შესახებ? წმინდა ბუნებისმეცნიერებას, რა თქმა უნდა, არაფერი. იგი ხომ ყოველივე სუბიექტურისგან განყენებას ახდენს. რაც შეეხება გონიომეცნიერებებს, რომლებიც ადამიანს მის გონიო ყოფიერებაში აკვირდებიან... აქაც მკაცრი მეცნიერულობის მოთხოვნა გულისხმობს, რომ მკვლევარი მთელი მონდომებით გამორიცხავს ყველა მსჯელობას იმის საზრისისა და უსაზრისობის შესახებ, რაც ადამიანის ღირსებას და მისი კულტურის პროდუქტებს შეეხება. მეცნიერული, ობიექტური ჭეშმარიტება მხოლოდ და მხოლოდ კონსტატაციაა იმისა, რასაც სამყარო – ფიზიკური და გონიოთი – ფაქტობრივად წარმოადგენს. შეუძლიათ კი სამყაროსა და ადამიანურ არსებობას (ყოფიერებას) მეცნიერებაში თავიანთი ჭეშმარიტი საზრისი იპოვონ, თუკი მეცნიერებები ჭეშმარიტებად მხოლოდ ამგვარ კონსტატაციებს მიიჩნევენ? (იხ. კავაბაძე, 1985, გვ.49). ამ ციტატაში თანამედროვე (ბუნების შემსწავლელ და ჰუმანიტარულ) მეცნიერებათა მიმართ ჰუსერლის „პრეტენზიების“ არსია შეჯამებული. როგორც ბუნების შემსწავლელი, ისე საზოგადოებრივი მეცნიერებები, ფიქრობს ჰუსერლი, ყოველგვარი სუბიექტურისაგან, შეფასებითი თვალსაზრისებისაგან, საზრისისა და უსაზრისობის, ადამიანური ცხოვრების ღირებულებისა და ღირსების შესახებ მსჯელობებისაგან განყენებას ახდენენ. ის, რაც საბოლოოდ რჩება, არ არის ადამიანი მთელი თავისი სასიცოცხლო სისრულითა და მთლიანობით, მაგრამ არის როგორც „შიშველი მეცნიერული ფაქტი“, რომელიც მთელ თავის ჭეშმარიტად ადამიანურ შინაარსს მოკლებულია. „ფაქტობრივი“, ობიექტურად არსებული, ჭეშმარიტი ადამიანის სახით სწორედ მეცნიერების მიერ მოცემულ ასეთ აბსტრაქტულ ადამიანს გვთავაზობენ. „შეუძლია თუ არა სამყაროსა და ადამიანურ არსებობას – კითხულობს ჰუსერლი – მეცნიერებაში თავისი ჭეშმარიტი საზრისი იპოვოს, თუ მეცნიერებანი ჭეშმარიტად მხოლოდ ამგვარ კონსტატაციებს მიიჩნევენ?“ (იქვე). თუ ზემოთქმულიდან ამოვალთ, მაშინ პასუხი, უპირობოდ, უარყოფითი იქნება. გამოდის, რომ მეცნიერება, რომელიც იმ

სამყაროს მიმართ, რომელშიც იგი ცხოვრობს, ადამიანის და-მოკიდებულების გაშუქებას ისახავს მიზნად, ფაქტობრივად ამ ურთიერთობებს ამახინჯებს, ვინაიდან ადამიანურ არსებობას მოკლებულ სურათს ქმნის.

ჩვენ, პირველ რიგში, „კრიზისის“ ჰუსერლისეული შეფასება სოციალურ მეცნიერებებთან მიმართებაში გვაინტერესებს, ვინაიდან ადამიანისა და საზოგადოების შესახებ მეცნიერებათა განვითარების გზების დამახინჯებაში დაინახა ჰუსერლმა ბუნებისმეცნიერებების, რომლებიც შთაგონებულნი იყვნენ ახალი დროის ფილოსოფიით, მაობიექტივირებელ მეთოდთა ყველაზე დამღუპველი შედეგი. ცნობიერების ნატურალიზაციას იდეების, აბსოლუტური იდეალების, ნორმების და ა.შ. ზოგადად სოციალურის ნატურალიზაცია მოსდევს – ადამიანისა და საზოგადოების შესახებ მეცნიერებებში „ობიექტივიზმი“ ნატურალიზმის სამოსით გვევლინება. „ნატურალისტი“ და „ობიექტივისტი“ ჰუსერლისთვისი გივეობრივი ცნებებია.

ამგვარად, ჰუსერლი უბრალოდ ობიექტურ მეცნიერებას კი არა, არამედ ნატურალისტურ, პოზიტივისტურად ორიენტირებულ სოციალურ მეცნიერებას უპირისპირდება, რომელიც სოციალურ რეალობას ბუნების რეალობის ანალოგიურად განიხილავს, და რომელიც ბუნებისა და საზოგადოების კვლევის მეთოდთა სრულ და აბსოლუტურ ერთსახოვნებას ამტკიცებს. „ნატურალიზმის“ ჰუსერლისეული კრიტიკა სავსებით სწორია. ასევე სწორია მისი პრეტენზიები ნატურალისტურად ორიენტირებული სოციალური მეცნიერებების მიმართ იმ ასპექტით, რომ მას არ შეუძლია დაეხმაროს ადამიანს გააცნობიროს თავისი ადგილი სამყაროში, არაფერი შეუძლია უთხრას ადამიანსა და კაცობრიობას არსებობის საზრისზე, ასევე სამართლიანია ნატურალისტური სოციალური მეცნიერებების „კრიზისის“ ჰუსერლისეული შეფასება.

იმისათვის, რომ გავიგოთ მეცნიერება და შემდეგ მოვახდინოთ მისი რეფორმირება, ფიქრობს ჰუსერლი, საჭიროა ადამიანური ცხოვრების „რადიკალურ კონკრეტულობას“ სა-

ზოგადოდ ნამდვილი სიცოცხლის მთელ ერთობლიობას, ე. ი. ადამიანური ყოფიერების იმ ასპექტს მივმართოთ, რომელ-საც ჰუსერლმა „**ცხოვრების სამყარო – Lebenswelt**“ უწოდა, მაგრამ როგორ ვწვდეთ ამ კონკრეტულობას, როგორ დავი-ჭიროთ ის? მეცნიერება, ჰუსერლის მიხედვით, ვერ გვაძლევს შესაძლებლობას, შევაღწიოთ ცხოვრების სამყაროში. პირი-ქით, იგი ცოცხალი ადამიანური სამყაროს ნაცვლად ობიექ-ტივირებულ აბსტრაქციათა სამყაროს გვაძლევს. მაშასადა-მე, ამბობს ჰუსერლი, აუცილებელია მეცნიერების მიმართ — საერთოდ სამყაროს მეცნიერული სურათის მიმართ თავისე-ბური სახის რედუქცია მოვახდინოთ. ამგვარი რედუქციისას — დაყვანისას, ჩვენ ვიმეორებთ მეცნიერებების განვლილ გზას, მაგრამ მას უკუმიმართულებით გავივლით და იმას, სა-იდანაც გამოვიდა მეცნიერება, ანუ სამყაროს მეცნიერებამ-დელ მნიშვნელობებს დავუბრუნდებით. ამგვარად, ჩვენ მეც-ნიერებისთვის უცხო ყოველდღიური ცხოვრების სამყაროს, ანუ სიცოცხლის სამყაროს აღვადგენთ. ცხოვრების სამყა-როს, რომელიც პირველად, „ფუნდირებად“ (საფუძველ) ინ-ტენციათა ერთობლიობას წარმოადგენს, შესწავლამ მისი სა-ფუძვლიდან ცოდნის ყველა სისტემის, მათ შორის ობიექტურ მეცნიერებათა სისტემის წარმოშობის პროცესი უნდა აგვიხ-სნას. ასევე უნდა აგვიხსნას ამ მეცნიერებათა დამოკიდებუ-ლება ცხოვრების სამყაროსადმი და ამით ისინი სწორედ იმ ადამიანური შინაარსით აღჭურვოს, რომელიც მათ ასე აკლი-ათ.

ცხოვრების სამყაროსთვის დამახასიათებელია: 1) მისი ფაქტების უშუალო სიცხადე, ინტუიციური უტყუარობა, რომლებიც ინდივიდთა მიერ გაგებული და მიღებულია რო-გორც ასეთნი, ე. ი. სუბიექტური უეჭველობა, თანაც 2) ცხოვ-რების სამყაროს სუბიექტურობა — ესაა „ანონიმური“ სუბიექ-ტურობა, იმ აზრით, რომ მისი შინაარსი არა სუბიექტის საკუ-თარი აქტიურობით, არამედ სუბიექტურობის სფეროში არსე-ბული სამყაროს ფენომენებით განისაზღვრება. და კიდევ ერ-თი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თვისება: 3) სიცოცხლის

სამყარო მთელია, მთლიანია, რამდენადაც სწორედ როგორც მთელი, იგი გვევლინება როგორც რაღაც თვითცხადი, თავის-თავად უეჭველი რამ. ამ მთელს არ აქვს ნათლად, მკვეთრად გამოხატული წყობა, მისი სტრუქტურა განუსაზღვრელია.

სუბიექტის აქტიურობასთან მიმართებაში ცხოვრების სამყარო ყველა მისი მიზნების, პროექტების, ინტერესების – ამ უკანასკნელთა დროული, ვრცელული, ღირებულებითი და სხვა მასშტაბებისაგან დამოუკიდებლად – სამყაროს წარმო-ადგენს. მაგრამ ყოველ მაორგანიზებელ, მარეფლექტირებელ საქმიანობას (მეცნიერული საქმიანობის ჩათვლით), ცხოვრე-ბის სამყაროს ამათუმი ასპექტის „თემატიზაციასთან“, „ჩაკე-ტილი“ სამყაროს ჰორიზონტების, ჩაკეტილი სამყაროს (ამის მაგალითია „სპეციალისტის ვიწრო სამყარო“) წარმოშობას-თან მივყავართ, რომლებიც არსებული მიზნითაა გაშუალე-ბული და პირდაპირი წვდომისათვის მიუდგომელია. რამეთუ ყოველი თემატიზაცია არის აბსტრაქტირება, ხოლო სიცოც-ხლის სამყარო კი თავისი სიცხადით – თავისთავად გასაგები და წვდომადია, მხოლოდ როგორც მთელი ე. ი. თავისთავად ცხადი არა როგორც თემატიზირებული, ანუ როდესაც მისგან გამოყოფილია რაღაც ასპექტი, არამედ მხოლოდ როგორც მთელი ხდება. ყოველი, თვით უნივერსალური მიზანიც კი – მისი წვდომა მეცნიერული ჭეშმარიტებით – ცხოვრების სამ-ყაროს გულისხმობს, იქნება ეს მუშაობის დაწყებამდე თუ მუ-შაობის დროსაც კი.

ცხოვრების სამყარო მჭიდროდაა ჩაწნული ადამიანური პრაქტიკის სტრუქტურაში და ყოველი ორგანიზებული საქმი-ანობა, რომელიც მის რომელიმე ნაწილს ათემატიზირებს და ამით მას თავისთავად ცხადად გასაგები ერთობლიობისაგან გამოაცალკევებს, აგრძელებს არსებობას (და არ შეუძლია არ არსებობდეს) ცხოვრების სამყაროში, და ამ სამყაროს ბუნ-დოვან, გაუშუქებელ, არარეფლექტირებულ ცოდნას ეყ-რდნობა. მაგრამ დღემდე, – ამბობს ჰუსერლი, – ცხოვრების სამყარო არ გამხდარა გამოკვლევის, როგორც ასეთის, საგა-ნი. ვინაიდან მეცნიერები და არამხოლოდ ისინი, არამედ ყვე-

ლა, ვინც თავის საქმიანობას ორგანიზებას უკეთებს, ვინც თავის ცხოვრებაში მიზნით, პროექტით, ინტერესებით ხელ-მძღვანელობს, თავიანთი მიზნებისა და თავისი საქმის ჰორი-ზონტების გარდა, ყველაფრის მიმართ ბრმანი არიან და ცხოვრების სამყარო, რაც უფრო განაპირობებს იმას, რითაც ისინი ცხოვრობენ და რასაც მთელი მათი „თეორიული საქმი-ანობა“ განეკუთვნება, რაც უფრო მეტად ხდება იგი მათი საქ-მიანობის საშუალება, რომელი საქმიანობაც როგორც თეო-რიული განხილვის, ისე განხილული საგნის „საფუძველში ძევს“, იგი (ცხოვრების სამყარო) მათვის თემას მით უფრო ნაკლებად წარმოადგენს. ცხოვრების სამყაროსადმი მიმარ-თვამ მეცნიერებას რეალობის ახსნა-წვდომის პრეტენზია უნ-და მოუხსნას, ასევე მას სამყაროში ნამდვილი ადგილის დად-გენაში და ადამიანური სუბიექტურობისადმი დამოკიდებუ-ლების აღმოჩენაში დაეხმაროს. ჰუსერლის პათოსი „ნმინდა“ შემეცნების წინააღმდეგაა მიმართული, რომელიც პრაქტი-კულად ადამიანური საქმიანობის უშუალობას მოწყვეტილია. მეცნიერებაში სუბიექტურობის ადგილის ძიებისას, ჰუსერლი სამყაროსთან ადამიანის კავშირის ახსნას ცდილობს, რომე-ლიც საქმიანობის, პრაქტიკის გარეშე მოუაზრებელია. მის მიერ „სიცოცხლის სამყაროს“ კონცეფციაში დაყენებულ პრობლემას სოციალური მეცნიერებისათვის პირველხარის-ხოვანი მნიშვნელობა აქვთ: ეს სამყაროს შესახებ ადამიანური ცოდნის, როგორც პრაქტიკული საქმიანობის პროდუქტის პრობლემაა.

ეს ფრიად აქტუალური პრობლემაა. დღეს მეცნიერების განვითარებამ დემონური ნიშნები და თვისებები შეიძინა, მეცნიერების პროდუქტები, რომლებიც ადამიანებს უნდა ემ-სახურებოდნენ, პირიქით, ადამიანებზე ბატონობენ. ჰუსერ-ლმა ნათლად დაინახა, რომ მეცნიერება არ არის თავიდანვე უცხო და დაპირისპირებული სამყაროსადმი, რომ იგი ადამია-ნური ქმნილებაა და რომ სამყაროსადმი მისი ადრინდელი და-მახინჯებული დამოკიდებულებების მიზეზები ადამიანურ საქმიანობაში უნდა ვეძიოთ.

ჰუსერლი ფიქრობს, რომ ფენომენოლოგის მიერ გამოკვლეული სუბიექტი არ შეიძლება მხოლოდ შემმეცნებელი იყოს, რომ ადამიანმა ხელი უნდა მოკიდოს ყველა მის აქტიურ გამოვლინებებს მთლიანობაში, მთლიანობაში უნდა წვდეს, პრაქტიკულ - გონითი ცნობიერების სამყარო, ე. ი. „ცხოვრების სამყარო“, მისთვის ამგვარი მთლიანობის კრიტერიუმად, ჭეშმარიტების უკანასკნელ, საბოლოო კრიტერიუმად იქცევა. არა მეცნიერება განსჯის ცხოვრების სამყაროს, არამედ ცხოვრების სამყაროში მოცემულის – არსებულის თვით სიცხადე ხდება მეცნიერების ობიექტური დებულებების მიმართ მსაჯული. სამყაროსადმი პრაქტიკულ – გონითი დამოკიდებულება არარეფლექსირებულია, იგი თავისთავს შემეცნებად და საქმიანობად არ ანაწევრებს და არ ყოფს.

ჰუსერლს მიაჩნდა, რომ ადამიანები სამყაროს, როგორც უკიდურესად მოწესრიგებულ ადგილს განიხილავენ. აქტორები სამყაროს მოწესრიგების აქტიურ და რთულ პროცესებში ჩართული არიან, და მაინც, მათ არ იციან, რომ ისინი სამყაროს მოდელირებას ახდენენ. აქტორები სოციალურ სამყაროს განიხილავენ როგორც ბუნებრივად მოწესრიგებულს და არა მათ მიერ სტრუქტურირებულს. ჩვეულებრივი ადამიანებისაგან განსხვავებით ფენომენოლოგები აცნობიერებენ, რომ მოდელირებას აქვს ადგილი და მოწესრიგების პროცესი მათთვის ფენომენოლოგიური კვლევის საკითხი ხდება. ჰუსერლის ფენომენოლოგია ცდილობს შეაღწიოს აქტორების მიერ კონსტრუირებული სოციალური სამყაროს რამდენიმე შრეში, რათა ცნობიერების ძირეულ სტრუქტურას ჩაწინავდეს. „ტრანსცენდენტალურ ეგოს“ როგორც ჩვენი ცნობიერი ცხოვრების არსს, ცნობიერების ნაკადს მთელი მისი აქტიურობით, აზროვნებით და გამოცდილებით წვდეს. ტრანსცენდენტალური ეგოს იდეა ადამიანის ცნობიერების ბაზისური და ინვარიანტული თვისებებისადმი ჰუსერლის ინტერესს ასახავს.

ჰუსერლი ცნობიერების მენტალურ, მეტაფიზიკურ კონცეფციას უარყოფს. მისთვის ცნობიერება არ არის საგა-

ნი, არც ადგილი, არამედ – პროცესია. ცნობიერებას არა აქტორის თავში, არამედ აქტორსა და საგნებს შორის ურთიერთობაში ვპოულობთ. ჰუსერლმა ეს იდეა, როგორც ინტენციონალობა (intentionality) გამოხატა. მისთვის ცნობიერება ეს ყოველთვის რაღაც ობიექტის ცნობიერებაა. ცნობიერება ამ ურთიერთდამოკიდებულებაშია. ცნობიერება არ არის შინაგანი აქტორისთვის. „ცნობიერება არის ინტენციონალური (intentional)“. უფრო მეტიც, მნიშვნელობა არა ობიექტებში, არამედ აქტორსა და ობიექტს შორის ურთიერთობაშია.

ცნობიერების როგორც პროცესის განხილვა, რომელიც ობიექტებს მნიშვნელობას აძლევს, ჰუსერლის ფენომენოლოგიის არსია და შუტცის თეორიის საწყის წერტილს წარმოადგენს.

ამ კონცეფციამ თავისთავში გააერთიანა ჰუსერლის სოციალ-ფილოსოფიური და გნოსეოლოგიური ძებანი, თითქოსდა სინთეზი გაუკეთა, მის მიერ აღმოჩენილი მეცნიერებათა კრიზისის გადაჭრის და ადამიანური სუბიექტურობის გათელილი ღირსების აღდგენის გზები დასახა. ჰუსერლის მიერ დასახულ გზას გაუყვნენ ფენომენოლოგიური სოციოლოგიის თეორეტიკოსები, ამათგან ყველაზე უფრო ამერიკული ფენომენოლოგიური სოციოლოგიის თეორეტიკოსები გამოირჩევიან. ამ უკანასკნელთა შორის ყველაზე ცნობილი ფილოსოფოსი და სოციოლოგი შუტცი (რომელმაც თავისი თეორიული საქმიანობა ავსტრიაში დაიწყო) იყო. იგი თავის ძირითად ამოცანად და მიზნად ჰუსერლის მიერ მხოლოდ ზოგად ხაზებში მოხაზული „ცხოვრების სამყაროს“ კონცეფციის განვითარებას და ამ საფუძველზე სპეციფიკური სოციალური მეცნიერების – „გაგებითი“ სოციოლოგიის შემუშავებას ისახავდა.

Amiran Berzenishvili – Doctor of Philosophy, Professor of Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Prof. Berzenishvili works in the field of Social and Political Philosophy and Sociology. He has published many scientific works in science fields, including monographs and textbooks.

EDMUND HUSSERL ON OVERCOMING THE “CRISIS OF SCIENCE” AND DESIGN OF “INTERPRETATIVE SOCIOLOGY”

ABSTRACT

The article deals with Husserl's conception of the crisis of science and its relation to Schütz's “interpretative phenomenological” sociology. Schütz's main objective and goal was to develop the conception of “life-world” given only as a general outline by Husserl and to construct a specific social science – “interpretative” sociology on this basis.

ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების ფილოსოფიის განყოფილებამ.

შოთა შოშიაშვილი – ფიზიკო-მათემატიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი. უფროსი მეცნიერ თანამშრომლი. გამოქვეყნებული აქვს 55 სამეცნიერო შრომა ელემენტალური ნაწილაკების ფიზიკაში. რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების საკითხებზე გამოაქვეყნა 15 სამეცნიერო სტატია და წიგნები სახელწოდებით: „კოსმიური სამყაროსა და სულის უკვდავების შესახებ“(2003 წ), „სამყარო, მეცნიერება, რელიგია“ (თბ., 2008 და 2009), „კოსმიური სამყარო თეოსოფიური გადმოსახედიდან“ წიგნი I და წიგნი II (თბ., 2012) და წიგნი „რანი ვყოფილვართ!... რანი ვიქნებით“ (თბ., 2015).


ციკლურად ეპოლუციურებადი სამყარო თეოსოფიური თვალსაზრისით

შესავალი

ადამიანი კოსმოსური სამყაროს გვირგვინია და მისი ევოლუციური განვითარების საბოლოო ნაყოფს წარმოადგენს. მისი ერთ-ერთი მთავარი ნიშანი ტვინის მოაზროვნე ნაწილი წარმოადგენს, რომლის ძირითადი ფუნქცია მიზანდასახული აზრის გამომუშავებაში მდგომარეობს. მაგრამ, გარდა ამისა, ის გამოიჩინა დაუოკებელი სწრაფვით კოსმოსური იდუმალების, ჭეშმარიტებისა და სიკეთისაკენ, რაც ზოგადად მის სულიერებაში მჟღავნდება.

ადამიან-დამკვირვებლის მიღმა ობიექტურად არსებული გარე სამყარო არსებობს საგნებისა და მოვლენების სახით, რომელთა შესაცნობად, ადამიანს, როგორც დამკვირვებელს, გააჩნია სენსორული გრძნობის ორგანოები: თვალის (ხედვა), ყურის (სმენა), ენის (გემო), ცხვირისა (ყნოსვა) და კანის (სითბოს, სირბილის შეგრძნება) სახით. სენსორული გრძნობის ორგანოების გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანის მიერ შექმნილი დაკვირვების ხელსაწყო-დანადგა-

რები. მაგრამ საგნებსა და მოვლენებს ახასიათებთ ისეთი თვისებებიც, რომლებიც ვერ აღიქმებიან სენსორული ორგანოების საშუალებით. ასეთ თვისებებსა და ისეთ ფენომენებს, როგორიცაა: სილამაზე, მშვენიერება, ჰარმონია, სიკეთე, სულიერება და სხვა, ადამიანი აღიქვამს ინტუიციის მეშვეობით. ინტუიციური გრძნობის ორგანოებად შეიძლება მივიჩნიოთ თავის ტვინი („გონის თვალი“) და გული („გულისყური“).



საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ 3-გან-ზომილებიან აღქმად კოსმოსურ სივრცეში. როგორც მტკიცდება, ოფიციალური მეცნიერების მიხედვით. ჩვენი აღქმადი კოსმოსური სამყარო წარმოადგენს უსასრულო და

მარადიული **11**-განზომილებიანი კოსმიური სამყაროს 4-განზომილებიან პროექციას, რომელიც შემოსაზღვრულია დროში და სივრცეში. აღმოჩნდა, რომ კოსმიური სამყარო ხა-სიათდება „კოსმიური იდუმალებით“, რომლის შემეცნება შე-საძლებელია აზროვნების სამი ფორმით: ცნებით-რაციონა-ლური, ხატოვან-ინტუიციური და სიმბოლურ-მისტიკური. ცნებით-რაციონალური აზროვნება წარმოადგენს მეცნიერე-ბისა და ფილოსოფიის საფუძველს, ხატოვან-ინტუიციური აზროვნება – ხელოვნების საფუძველს, ხოლო სიმბოლურ-მისტიკური აზროვნება – რელიგიის საფუძველს. მეცნიერე-ბის დანიშნულება კოსმოსური სამყაროს სტრუქტურულო-ბისა და ევოლუციურობის კანონზომიერებების შემეცნებაში მდგომარეობს; ხელოვნებისა – ადამიანის გრძნობად-ემოცი-ური მოთხოვნილებების დაქმაყოფილებაში; რელიგიისა – ადამიანის და კაცობრიობის ფუნქცია-დანიშნულების დად-გენაში. მე, კოსმოსური სამყაროს შესახებ, კაცობრიობის მი-ერ ზემოხსენებული სამივე სახის აზროვნებით მოპოვებულ ცოდნათა გადაკვეთის არე ჭეშმარიტებად და თეოსოფიურ ცოდნად მივიჩნიე. მიუხედავად იმისა, რომ არც ფილოსო-ფოსი და არც თეოსოფი არ გახლავართ, კოსმოსური სამყა-როს შესახებ, კაცობრიობის მიერ, ცნებით-რაციონალური, სახიერ-ინტუიციური და სიმბოლურ-მისტიკური აზროვნე-ბით დადგენილ ცოდნათა ურთიერთშეჯერებისა და ლოგი-კური ანალიზის საფუძველზე მივედი შემდეგ დასკვნამდე:

11-განზომილებიანი კოსმიური სამყარო, ფართო გაგე-ბით, მატერიის ხილულ და უხილავ ფორმათა ჩათვლით, უსასრულოა სივრცე-დროის თვალსაზრისით, წარმოადგენს ცოცხალ, უგონიერეს, უსრულყოფილეს, სულიერ არსებას და თავისი თვითშემოქმედებით ევოლუციურად მიისწრაფ-ვის აბსოლუტური სრულყოფისაკენ.

კოსმიური სამყაროს შესაზებ

ამჟამად, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მატერიის, როგორც დაკვირვებადი, ისე არადაკვირვებადი ფორმებით არსებობის გათვალისწინებით, სამყაროს სიმკვრივე თავიდანვე კრიტიკულის ტოლი იყო და ამჟამადაც კრიტიკულის ტოლია. როგორც აღვნიშნეთ, ასეთ შემთხვევაში სამყარო განუწყვეტლივ ფართოვდება. ბოლო დროინდელი მეცნიერული მონაცემებით კი სამყარო აჩქარებით ფართოვდება.

დიდი გაერთიანების ველის თეორიის თანახმად კი, პროტონი არამდგრადი უნდა იყოს და მისი სიცოცხლის ხანგრძლივობის ნახევარპერიოდი 10^{32} წლის რიგისაა, ე.ი. დაახლოებით 10^{31} წლის შემდეგ შესამჩნევი გახდება პროტონების დაშლა ლეპტონებად და ფოტონებად. ბოლოს ჩვენი სამყარო გადაიქცევა ლეპტონურ უდაბნოდ. რელიქტური ფოტონების შესაბამისი ტემპერატურა ნულამდე დაეცემა. სამყაროში ნივთიერი მატერია გაქრება და იგი უსასრულო 10-განზომილებიან, ნულოვანი ტემპერატურის მქონე, სიცარიელედ გარდაიქმნება.

როგორც გაირკვა, ასეთ სიცარიელეში, სიმების თეორიის ერთ-ერთი მოდელის მიხედვით, შეიძლება ხელახლა წარმოიქმნას ჩვენი სამყაროს მსგავსი სამგანზომილებიანი სამყარო (აյ იგულისხმება ახალი კოსმოსური სამყაროების წარმოქმნა და არა ერთი და იმავე კოსმოსური სამყაროს ციკლური შეკუმშვა-გაფართოება).

ბრ. გრინის მიხედვით გაბრიელ ვენეციანომ და მაურიციო გასპერინიმ ტურინის უნივერსიტეტიდან წამოაყენეს სიმური კოსმოლოგიის ლამაზი ვარიანტი. მათ, სტანდარტულ ინფლაციურ მოდელში არსებული უსასრულო ტემპერატურისა და სიმკვრივის არსებობის მოსახსნელად, სიმურ კოსმოლოგიაში გაითვალისწინეს მინიმალური სიგრძის არსებობა. შესაბამისად, მათ დაადგინეს, რომ სამყარო

პლანვის ზომის ქვაკისაგან კი არ დაიბადა, არამედ არსებობდა ისტორიამდელი კოსმიური სამყარო, გაჩენილი გაცილებით ადრე იმ მომენტამდე, რომელსაც ჩვენ მოვიჩნევთ ნულოვან წერტილად, როცა დაიბადა ჩვენი კოსმოსური სამყაროს საწყისი ემბრიონი (რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი კოსმოსური სამყაროს დაბადებამდე არსებობდა მისი წინამორბედი სამყარო). ავტორების აზრით ისტორიამდელი კოსმოსური სამყარო იყო ციფი და უსასრულოდ განფენილი. გარკვეულ მომენტში, როგორც სიმების თეორიის განტოლებიდან გამოდის, სამყარო მოიცვა არასტაბილურობამ და, გუტის ინფლაციური მოდელის მსგავსად, უეცრად ყოველმა მისმა წერტილმა, დაინყო ურთიერთ დაშორება უდიდესი სიჩქარით. ავტორებმა უჩვენეს, რომ ამის გამო სივრცე სულ უფრო გამრუდდა და შესაბამისად მისი ტემპერატურა და ენერგიის სიმკვრივე მკვეთრად გაიზარდა. მცირე დროის გასვლის შემდეგ ამ უკიდეგანო სამყაროში არსებული მილიმეტრიანი ზომის 3-განზომილებიანი სივრცეები გარდაიქმნენ იმის მსგავს გახურებულ და მკვრივ ლაქებად, როგორებიც წარმოიქმნებოდა სამყაროს ინფლაციური გაფართოების თეორიი მიხედვით საწყის სტადიაში. შემდეგ ყველაფერი წარიმართა დიდი აფეთქების სცენარის მიხედვით და ერთ-ართი გაფართოებადი ლაქა, გარკვეულ საწყის პირობებში, გარდაიქმნა ჩვენს მიერ დაკვირვებად სამყაროდ. ამრიგად, გ. ვენეციანოს გამოთქმით: „სიმების თეორიამ ლანგარზე დადებული მოგვართვა ინფლაციური კოსმოლოგიის ვარიანტი.“ ეს არის სიმური კოსმოლოგიის ერთ-ერთი ვარიაბტი [8;234].

როგორც ირკვევა, ჩვენი დაკვირვებადი კოსმოსური სამყარო სასრულოა და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მასში არსებული ცივილიზაცია განადგურებადია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **აზრს მოკლებულია ადამიანის არსებობა,** რაც არალოგიკურია და ძნელად დასაჯერებელი, რადგანაც


გამოდის, რომ თითქოს ადამიანის ცხოვრება **მოწყობილია ალოგიკურად**. მეორე ხრივ, აბსოლუტურულ ჭაშმარტებად ითვლება აზრი, რომ ჩვენი კოსმოსური სამყარო მოწყობილია უნიკალურად, **ჰარმონიულად, მიზნობრივად, გონივრულად და ლოგიკურად**. ამიტომ მასში სიცოცხლე და ადამიანის ცხოვრებაც მოწყობილი უნდა იყოს ლოგიკურად. ჩემი აზრით, ამ აბსურდული სიტუაციიდან თავის დასაღწევად აუცილებელია დავუშვათ:

1. არსებული ცივილიზაციის განადგურების შემდეგ მისი განვითარების შესაბამისი დონის სტრუქტურების ამსახველი შესატყვისი ინფორმაცია ინახება კოსმიური გონის სახით, მატერიის გარკვეული უჩინარი ფორმის სტრუქტურებში.

2. აუცილებელია, რომ ახალი ცივილიზაციის წარმოსაშობად, ადრინდელი სამყაროს ცივილიზაციის შესატყვისი ინფორმაციის საფუძველზე, **ხელახლა წარმოქმნას ახალი კოსმოსური სამყარო ადამიანის ჩათვლით**.

ამ კონცეფციას შეესაბამება ამჟამინდელ მეცნიერებაში (კოსმოლოგიაში) შემუშავებული ჰიპოთეზა: 11-განზომილებიან უსასრულო და მარადიულ ვაკუუმში, ქვანტური ფლუქტუაციების საფუძველზე, წარმოქმნებიან ახალ-ახალი მინისამყაროები. ამ მინი სამყაროებიდან ნაწილი, სწრაფადვე კოლაფსირდება, ხოლო ნაწილი ისე სწრფად ფართოვდება, რომ მასში ვერ მოესწრება რაიმე მატერიალური სტრუქტურების წარმოქმნა. როცა ახლად წარმოქმნილი მინი სამყაროს სიმკვრივე ရა ე.ნ. კრიტიკული სიმკვრივის ჩერტოლი იქნება ($r_a = r_{cr}$), ხოლო ფიზიკური მუდმივების რიცხვითი მნიშვნელობები ჩვენი სამყაროს დამახასიათებელი შესაბამისი პარამეტრების მნიშვნელობებს მიუახლოვდება, მაშინ ის განვითარდება ჩვენი სამყაროს მსგავსად და შეიქმნება პირობები მასში სიცოცხლის წარმოსაქმნელად [9].

მართალია, ჩვენი სამყაროს მსგავსი სხვა სამყაროს წარმოქმნა ნაკლებ აღბათურია, მაგრამ მაინც შესაძლებელია, რადგანაც 11-განზომილებიანი კოსმიური სამყარო უსასრულო და მარადიულია [4].



ამიტომ, სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ჩვენი სამყაროს ცარიელ სამყაროდ გადაქცევის შემდეგ, 11-განზომილებიან უსასრულო და მარადიულ სამყაროში, ხელახლა დაიბადოს ჩვენი სამყაროს მსგავსი ახალი სამყარო და მან განვითარების ისეთი გზა გაიაროს, რომელიც მსგავსი

იქნება თავის დროზე ჩვენი სამყაროს მიერ გავლილი გზისა. ლოგიკურია აგრეთვე ვიფიქროთ, რომ ჩვენი სამყაროს წარმოქმნამდეც არსებობდა, მისი მსგავსი, მისი **წინამორბედი** სამყარო, რომელიც განვითარების გარკვეული ფაზის შემდეგ დაიშალა და უსასრულო გაფართოების შედეგად გარდაიქმნა უსასრულო ცარიელ სივრცედ. როგორც აღვნიშნეთ, არსებობს გაბრიელ ვენეციანოსა და მაურიციო გასპერინის სიმური კოსმოლოგიის გარიანტი, რომლის მიხედვით ცარიელ სივრცეში შეიძლება ხელახლა წარმოიქმნას ჩვენი სამყაროს მსგავსი სამგანზომილებიანი სამყარო [8;234].

ამრიგად, ფაქტობრივად მივიღეთ ჩვენი სამყაროს მსგავსი სამყაროების წარმოქმნის ახალი, ევოლუციურად განვითარებადი ციკლური ვარიანტი – **ციკლურად ევოლუციურებადი კოსმოსური სამყარო.**

ნახაზზე 1 ნაჩვენებია კოსმოსური სამყაროს I რადიუსის, □ რ სიმკვრივისა და I სტრუქტურული ინფორმაციის ცვლილება დროის მიხედვით:

ა – ამჟამინდელი სამყაროსათვის, ბ – მომავალი სამყაროსათვის, გ – წინამორბედი სამყაროსათვის. დროის ზრდასთან ერთად სამყაროს რადიუსი მიისწრაფვის უსასრულობისაკენ, სიმკვრივე – ნულისაკენ, ხოლო ინფორმაცია ინახება კოსმიური გონის სახით უჩინარ სუბსტანციაში. ამ ინფორმაციის საფუძველზე წარმოიქმნება ახალი, მომავალი კოსმოსური სამყარო. ახალ სამყაროში, მისი ევოლუციური განვითარების გამო, ინფორმაციულობა მატულობს. უსასრულო წარსულიდან, აწმყოს (ამჟამინდელი სამყაროს) გავლით, მომავლისაკენ პროცესი ევოლუციურად ვითარდება კოსმიური სამყაროს აბსოლუტურ სრულყოფილების მდგომარეობისაკენ, რაც მხოლოდ უსასრულო მომავალში მიიღნევა. კოთხვის დასმა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა კოსმიური სამყარო უსასრულო წარსულში და როგორი იქნება იგი უსასრულო მომავალში, **აბსულულად** მიმანია.

ისმის კითხვა: არსებობს თუ არა ჩვენს ამჟამინდელ კოსმოსურ სამყაროში მისი წინამორბედი სამყაროს კვალი? მიგვაჩინა, რომ ჩვენს სამყაროში მის წინამორბედ სამყაროს ნაკვალევად შეიძლება ჩავთვალოთ:

1. ვაკუუმური სივრცე ვირტუალური ნაწილაკ-ანტი-ნაწილაკებით;
2. საწყისი პირობები – უგანზომილებო უნიკალური ფიზიკური მუდმივების სახით;
3. ელემენტარული ნაწილაკების თვისებები;
4. ერთმანეთთან ჰარმონიულად მორგებული ფიზიკური კანონები;
5. ოქროს კვეთისა და ოქროს სპირალის პრინციპი, რომელიც მოქმედებს როგორც მინერალურ, ისე ბიოლოგიურ და საზოგადოებრივ სამყაროში;
6. მცენარეული და ცოცხალი ორგანიზმების სახეობები თავთავიანთი გვარისა და სახის მიხედვით;
7. ადამიანი, გასაოცარი სრულყოფილი ფორმით;
8. სულთა სამყარო;
9. კოსმიური გონი.

ასეთი გაგებით, 11-განზომილებიანი კოსმიური სამყარო, თავისი ე.წ. „სიცარიელით“, უსასრულოა როგორც დროსა და სივრცეში, ისე თვისებრივი მრავალფეროვნებით. ამიტომ ასეთი სამყარო შესაძლებელია თვითკმარიც იყოს და განუწყვეტელ ევოლუციურ განვითარებასაც განიცდიდეს. ასეთი დაშვება მოითხოვს, რომ სამყაროში არსებობდეს მუდმივად განვითარებადი კოსმიური გონი.

კოსმიური გონის შესახებ. იდეას კოსმიური გონის შესახებ ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია ბოლოდ-როინდელ მეცნიერებაში. ამ იდეის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება ვლადიმერ ვერნადსკი, რომელიც მიიჩნევდა, რომ სიცოცხლე ისეთივე მუდმივია როგორც მატერია, დრო და სივრცე. მისი აზრით, სიცოცხლე დაკავშირებულია მატერი-

ის განსაკუთრებულ სასიცოცხლო ფორმასთან, ე.წ. „კოსმიურ გონთან“. ამ მოსაზრებამ დადასტურება ჰპოვა შემდგომში სხვა მეცნიერთა ნაშრომებშიც [10].

მათი გაგებით, „კოსმიური გონი“ გულისხმობს დედამინის გარშემო არსებულ „ენერგონფორმაციულ“ ველს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას (კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის ერთობლიობას) დედამინისმიერი ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების შესახებ.

„კოსმიური გონის“ არსებობაზე მიუთითებენ შემდეგი ფაქტები:

ა. გკს-ს წარმოშობისა და განვითარების ამჟამინდელი M-თეორია ხსნის ყველაფერს არაცოცხალი სამყაროს წარმოშობისა და განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ ის არ იძლევა პასუხს სიცოცხლის წარმოშობის შესახებ. გამოთვლები გვიჩვენებენ, რომ **გკს-ს** დროსა და სივრცეში შემოსაზღვრულობის გამო, მასში ბიოლოგიური ორგანიზმების თავისთავად, შემთხვევით წარმოშობის ალბათობა, მათი უაღრესად რთული სტრუქტურულობის გამო, ნულისაგან ძალიან მცირედ განსხვავდება. ეს იმას ნიშნავს, რომ დედამინაზე სიცოცხლე შემთხვევით, გარედან ჩარევის გარეშე, ვერ წარმოიშვებოდა. მაგრამ, ფაქტია, რომ ჩვენს **გკს-ში** სიცოცხლე არა მარტო წარმოიშვა, არამედ ევოლუციურადაც ვითარდება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მას ჰყავდა შემოქმედი „კოსმიური გონის“ -ს სახით.

ბ. ალ. სილინის მოსაზრებით, ადამიანის ჩანასახი საშოში თავისი განვითარების დროს იმეორებს ცოცხალი ორგანიზმების განვითარების ყველა სტადიას სირთულის ზრდის მიხედვით, მარტივიდან რთულისაკენ, მათი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. მიჩნეულია, რომ დნმ-ში და ქრომოსომებში ჩანერილი ინფორმაცია არ არის საკმარისი ჩანასახის სამართავად მისი მიზანდასახული განვითარებისათვის. ამისთვის საჭიროა მისთვის გარედან აუცილებული და უსწორესი

ბიონფორმაციის მიწოდება. ამ სასწაულზე პასუხის გასაცემად ალექსანდრე სილინმა შემოიტანა ინფორმაციული ასახვის (Информационное отображение – ИО) კონცეფცია. ყოველ სტრუქტურას, სხეულს გააჩნია თავისი შესატყვისი – სხეულის ინფორმაციული ასახვა – „ს.ი.ა“, რომელიც წარმოადგენს მისი სტრუქტურულობის სირთულის ასახვის შესაბამის სრულ ინფორმაციას. იგი წარმოადგენს იდეალურ რეალობას. სხეულის „ს.ი.ა“ უხრინელია. იგი თავის პროტოტიპს (სხეულებრივ არსებას) ამყოფებს წონასწორობის მდგომარეობაში გარემოსთან და ხელს უწყობს მის გამრავლებას ხელსაყრელ პირობებში. სხეულებრივი სტრუქტურის შემთხვევითი, ან მიზანდასახული გართულებისას „ს.ი.ა“-ც შესაბამისად რთულდება შესაბამისი ინფორმაციის რაოდენობისა და წონის (ხარისხის) გაზრდით [12].

ალ. სილინის აზრით, ჩვენს სამყროს ახასიათებს ორი ფუნდამენტური ტენდენცია:

ა). სტრუქტურულობის სირთულისა და შესაბამისი ინფორმაციულობის ზრდა მარტივიდან რთულისაკენ;

ბ). ეს ზრდა ხასიათდება დევიზით: „უკანდაუხევლად“ („Ни шагу назад“), რაც იმაში მდგომარეობს, რომ ბუნება მიაღწევს რა სტრუქტურულობის სირთულის გარკვეულ დონეს, ცდილობს, შეინარჩუნოს იგი ინფორმაციულ დონეზე, მიუხედავად იმისა, რომ მატერიალური მხარე შეიძლება დანაწევრდეს და დაიღუპოს კიდეც. რაღაცნაირად, ერთხელ წარმოქმნილი განვითარების მორიგი პიკი, შემდგომში, ინფორმაციულ დონეზე აღარ იხარჯება, მისი მატერიალური მატარებლის დაშლის შემთხვევაშიც კი. უფრო მეტიც, სტრუქტურულობის ასეთი ფორმა ხდება ყოფის ნორმა და ინყებს ხელახალ გამრავლებას [12].

ალ. სილინის ეს კონცეფცია შეესაბამება ჩვენს მოსაზრებას სამყაროს სტრუქტურულობის შესაბამისი ინფორმა-

ციის შენახვისა და კვლავნარმოების შესახებ, მისი ციკლურობის პროცესში.

ალ. სილინის ჰიპოთეზისა და კოსმიური გონის არსებობის ექსპერიმენტულ დასადასტურებად საქმეში ჩაერთო სამყაროს იდუმალების შემეცნების **სიმბოლურ-მისტიკური** მიღებობა, როცა ადამიანი უშუალოდ უკავშირებდა სამყაროს უჩინარ ნაწილს. აღმოჩნდა, რომ ამ მოვლენას ადგილი აქვს ადამიანის კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში ყოფნისას [11].

დ. ვლადიმერ ეფრემოვი კოსმიური გონის შესახებ. მაღალი რანგის საბჭოთა მეცნიერმა **ვლადიმერ ეფრემოვმა** განიცადა რამდენიმე წუთიანი კლინიკური სიკვდილი. ვლ. ეფრემოვის რეპუტაცია უმნიკვლოა სამეცნიერო წრეებში. იგი გამორჩეული სპეციალისტია ხელოვნური ინტელექტის სფეროში. ვლ. ეფრემოვის ხელმძღვანელობით სამეცნიერო კოლექტივმა ოთხჯერ მიიღო სახელმწიფო პრემია. აკადემიკოს **ივ. ფრანგიშვილის** თვალსაზრისით, ვლ. ეფრემოვმა ყველაზე დაწვრილებით, აკადემიურ დონეზე და მეცნიერულად აღწერა კლინიკური სიკვდილის პერიოდში მიღებული განცდები.

2005 წლის 12 მარტს ვლ. ეფრემოვი კლინიკური სიკვდილით ფარდაიცვალა და 3,5 წუთის შემდეგ გაცოცხლდა. მან, კლინიკური სიკვდილის მდგომარეობიდან გამოსვლის დროიდან, 16 წლის გასვლის შემდეგ, გამოაქვეყნა მეცნიერული შრომა „Здесь и там. исследование и размышления“. მისი მონათხრობი ადასტურებს „კოსმიური გონის“ არსებობას სილინისეული „ს.ი.ა“-ს სახით, რომელიც მოიცავს გრძნობად სამყაროში მიმდინარე მოვლენებისა და მასში არსებული საგნების შესაბამის ყოვლისმომცველ ინფორმაციულ ასახვას [11].

ვ. ეფრემოვის მოსაზრებით, იმ ქვეყნად ობიექტები წარმოდგენილია ინფორმაციული ბლოკების სახით, რომელთა შინაარსი განსაზღვრავს მათ ადგილმდებარეობასა და

თვისებებს. „ობიექტები“ და „თვისებები“ შეკრულნი არიან ერთიან, არსებობისათვის თვითონარ, ინფორმაციულ სტრუქტურაში. მას გააჩნია ჰოლოგრაფიული თვისების მქონე ამოუწურავი ინფორმაციული სტრუქტურა, რომელიც შეიძლება აღინიროს მხოლოდ არაჩვეულებრივი მათემატიკური აპარატით. ეს მათემატიკური აპარატი იყენებს ინფორმაციულ ველში არსებულ ინფორმაციულ წერტილებს რომლებიც, ინფორმაციის შემცველობის მიხედვით, შეიძლება გაიგივებულ იქნას ინფორმაციულ ბლოკებთან. ვ. ეფრემოვის აზრით, ჩვენი ყოფის ყველა ობიექტი, მათი თვისებები და მათში მოქმედი ფიზიკური კანონები შექმნილია ინფორმაციულად, წარმოადგენს გლობალური ინფორმაციული პირველსაფუძველში არსებული ინფორმაციული ველის (კოსმიური გონის) ნაწილს და იმართება შესაბამისი ინტელექტუალური სუბიექტით.

ვ. ეფრემოვის აზრით, კოსმიური გონის შესასწავლად საჭიროა ახალი მეცნიერების გამოყენება, ე.ნ. „ახალი ფიზიკისა“ და „ახალი მათემატიკის“ სახით, რომლებიც ამჟამად დამუშავების სტადიაშია [11].

მინერალური სამყაროს ევოლუციურობა. ტერმინ „ევოლუციის“ ქვეშ ვგულისმობ სამყაროს რესტრუქტურიზაციისა და ნეგენტროპიულობის ზრდის პროცესებს.

ს. ავალიანი კოსმიური სამყაროს არხედ სუბსტანციას მიიჩნევს. მისი აზრით, განვითარებას საფუძვლად უდევს სუბსტანციის შემოქმედებითობა. განვითარების საზრისი, სუბსტანციის სრულქმნილებაში, აბსოლუტურობის მიღწევაში მდგომარეობს. განვითარების ნებისმიერი ეტაპი წინა ეტაპზე მაღლა დგას სრულქმნილების თვალსაზრისით [1;273].

სამყაროს გადასვლა ერთი სტრუქტურული დონიდან მეორე, შედარებით მაღლალი სტრუქტურულობის დონეზე, მიმდინარეობს ნეგენტროპიის (სისტემის სტრუქტურულო-

ბის სირთულის) ზრდით და ევოლუციურ პროცესს წარმოადგენს.

გარკვეულ შესაბამის პირობებში, დაპირისპირებულთა ერთიანობისა და პრძოლის კანონის საფუძველზე, წარმოქმნება ახალი, შედარებით რთული სტრუქტურულობის მქონე ობიექტები. აღებულ დონეზე არსებული ობიექტები წარმოადგენ საშუალებას (მასალას) ზედა დონის ობიექტებისათვის და მიზანს ქვედა დონის ობიექტებისათვის.

დიდი აფეთქების თეორიის მიხედვით, საწყის მომენტში წარმოიქმნენ ნივთიერი სამყაროს „აგურაკები“, კვარკებისა და ლეპტონების სახით. კვარკები ხასიათდებიან „ფერით“, რომლის საშუალებით ზემაღალ ტემპერატურაზე ისინი ამჟღავნებენ ზეძლიერი ურთიერთქმედების უნარს და წარმოქმნიან, ახალი სირთულის დონის ნაწლაკებს, პროტონებსა და ნეიტრონებს, ანუ ნუკლონებს. ნუკლონების მთავარი ფუნქცია ატომბირთვების წარმოქმნაში მდგომარეობს. ამისათვის. ნუკლონები ძლიერი ძალებით ურთიერთქმედების საშუალებით ქმნიან გარკვეული სტრუქტურის მქონე სისტემებს ატომბირთვების სახით. ბირთვების ძირითადი დანიშნულებაა შექმნან ატომები, რასაც ისინი ახორციელებენ მასში არსებული დადებითი ელექტრული მუხტის საშუალებით. ნივთიერი სამყაროს აღმშენებლობის ამ ეტაპზე მონაწილეობს ელექტრონი. ელექტრონი ხასიათდება მასით, უარყოფითი ელექტრული მუხტითა და სპინით. ელექტრული მუხტისა და სპინის საშუალებით ელექტრონები ბირთვებთან ერთად ქმნიან სრულიად ახალ, რთულ სისტემებს – ატომების სახით. ატომს, როგორც მთლიან სისტემებს, უჩნდება სრულიად ახალი თვისება ე.წ. **ვალენტობის** სახით.

ატომების ფუნქციური დანიშნულებაა სხვადასხვა სახის მოლეკულების წარმოქმნა. მოლეკულებსაც, თავისი შესატყვისი ფუნქციური დანიშნულება გააჩნიათ. მართალია, მოლეკულების თვისებები, ერთი მხრივ, განპირობებულია

მათი შემადგენელი ატომების თვისებებით, მაგრამ მათ, როგორც მთლიანებს, უჩნდებათ სრულიად ახალი თვისებები, რომელთა საშუალებით ამ სახის მოლეკულათა ერთობლიობები ქმნიან გარკვეულ სტრუქტურებს ნივთიერებებისა და კრისტალების სახით. ნივთიერებები, თავის მხრივ, ნამოქმნიან მატერიალურ სხეულებს. თითოეული სახის მაკროსკოპული სხეული ხასიათდება გარკვეული, მისთვის დამახასიათებელი თვისებებითა და ფუნქციური დანიშნულებით. თითოეულ საგანს სამყაროში, ქვიშის მარცვალსაც კი, თავისი ფუნქციური დანიშნულება გააჩნია. ამრიგად, მინერალურ სამყაროში ნათლად ჩანს მაკროსისტემების თანდათანობითი წარმოქმნა მარტივიდან რთულისაკენ თავთავიანთი ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

წათელია, რომ „დიდი აფეთქების“ შემდგომ წარმოუდგენელია მინერალური სამყაროს ასეთი მწყობრი აღმშენებლობითი პროცესი, წინასწარი გონიერი საწყისის და დეტალური გეგმის გარეშე.

მინერალურ სამყაროში ატომებსა და მოლეკულებს შორის ელექტრომაგნიტური ძალების მოქმედებით წარმოიქმნება მდგრადი სტრუქტურები მინიმალური ბმის ენერგიით. ამიტომ, მინერალური სხეულების მოლეკულების დასაშლელად აუცილებელია მათთვის ბმის ენერგიის ტოლი დამატებითი ენერგიის გადაცემა.

რაც შეეხება ცოცხალ ორგანიზმებს, ისინი შედგებიან ორგანული ნივთიერებებისაგან, რომელთა მოლეკულები მაღალენერგეტიკულია და დაშლისას ენერგიას გამოყოფენ. ამიტომ, ცოცხალი ორგანიზმების მოლეკულები სპონტანურად ვერ წარმოიშობა, რის გამოც ისინი მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმების საშუალებით იქმნებიან. ხოლო ცოცხალი უჯრედის წარმოსაშობად აუცილებელია, რომ ერთდროულად წარმოიქმნას ათასობით ურთულესი მოლეკულა საამშენებლო და გენეტიკური მასალის სახით. თითოეული მათგანიც

შემთხვევით უნდა წარმოიქმნას, რის ალბათობაც თითქმის ნულის ტოლია [5;300].

აღმოჩნდა, რომ კოსმოსურ სამყაროში, მისი დროსა და სივრცეში სასრულობის გამო, ცოცხალი ორგანიზმების შემთხვევით (გარედან დახმარების გარეშე) წარმოშობა შეუძლებელია, მათი უაღრესად რთული სტრუქტურულობის გამო. მაში, როგორ შეიქმნა ცოცხალი სისტემა ჩვენი სამყაროს დასაწყისში, როცა სიცოცხლის ნატამალიც არ არსებობდა?

ამ საკითხზე პასუხის გასაცემად საჭიროა განვიხილოთ „სოცოცხლის ევოლუცია ბაჩანა ბრეგვაძის მიხედვით“ [2].

სიცოცხლის ევოლუცია ბაჩანა ბრეგვაძის მიხედვით. ცნობილ ქართველ მწერალს, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, აკადემიკოს ბაჩანა ბრეგვაძეს (1936-2016) საკმალდ დაწვრილებით აქვს ჩამოთვლილი სამყაროს, დედამიწისა და სიცოცხლის წარმოშობისა და მარტივიდან რთულისაკენ ევოლუციური განვითარების პერიოდები თხზულებათა კრებულში „დრო და მარადისობა“ [2].

ფიზიკოსებისა და ასტროფიზიკოსების კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ ჩვენი სამყაროს ბუნება და უნიკალურობა განისაზღვრება საწყისი პირობებით, ანუ რამდენიმე ფიზიკური უგანზომილებო მუდმივი რიცხვითი მნიშვნელობით. მათი მცირე ცვლილებაც კი გამოიწვევდა სამყაროს ისეთ ცვლილებას, რომ მასში შეუძლებელი იქნებოდა სიცოცხლის არსებობა. ამიტომაა, რომ თანამედროვე კოსმოლოგიურ თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ე.ნ. ანთროპულ პრინციპს, რომელიც შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ჩვენი სამყაროს ობიექტური თვისებები იმნაირია, რომ უნივერსალური ევოლუციის გარკვეულ ეტაპზე მათ გამოიწვიეს შემმეცნებელი სუბიექტის წარმოშობა. ეს თვისებები რომ არ არსებულიყო, მათ უბრალოდ, ვერავინ შეიმეცნებდა [2;19].

ანთროპული პრინციპი, თავის დროზე, ჩამოაყალიბა დიდმა ფრანგმა ბიოლოგმა, ფილოსოფოსმა და თეოლოგმა ტეიერ დე შარდენმა (1881-1955 წწ.). მან დაწერა წიგნი „ადამიანის ფენომენი“, რომელსაც შეიძლება, გარკვეული აზრით, ბიოლოგის ფილოსოფია ეწოდოს [2;20]. ეს წიგნი ქართულად გადმოთარგმნა პ. ბრეგვაძემ. მისი აზრით, ამ წიგნით ავტორმა მკითხველს შესთავაზა ფაქტები, მეტაფიზიკური თეორიები, ოცნებები, ბრწყინვალე მიგნებები და ჰიპოთეზები, რომლებიც შეიძლება სამუდამოდ ჰიპოთეზებად დარჩეს. მიუხედავად ამისა, დიდი ბიოლოგის წიგნი სამუდამოდ დარჩება ადამიანის მაძიებელი აზრის ერთ-ერთ ყველაზე ღრმა და ორიგინალურ ქმნილებად [2;68].

ექსპერიმენტული ფაქტია, რომ მთელი მატერიალური ნივთიერი სამყარო შედგება ერთი და იმავე ელემენტარული ნაწილაკისაგან. ელემენტარული ნაწილაკები კი, დღეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც კონცენტრირებული ენერგიის დროებითი რეზერვუარები. ანუ, ენერგია, თანამედროვე მეცნიერების მტკიცებით, შეიძლება განვიხილოთ როგორც უნივერსუმის ქსოვილის ყველაზე ფუნდამენტური და პრიმიტიული ფორმა (ანუ, ის მასალა, რომლისაგანაც იგება მთელი ნივთიერი სამყარო). ამრიგად, უნივერსუმის დანაწევრების ბოლოს აღმოჩნდა, რომ მის საყრდენს უთვისებო ენერგია წარმოადგენს. (თუმცა ნივთიერი სამყაროს აგურაკებს – ელემენტარულ ნაწილაკებს, გარდა ენერგიის კონცენტრირებული პორციებისა მასების სახით, გააჩნიათ ფორმა – სხვა ფიზიკური თვისებების სახით: ელექტრული მუხტის, სპინისა და „ფერის“ სახით. ნაწილაკების ეს თვისებები წარმოადგენენ „ბერკეტებს“ კოსმიური გონისათვის, რომელთა საშუალებით იგი აყალიბებს ნივთიერ სამყაროს სტრუქტურას). რამდენად სწორეა ეს დასკვნა? სამყაროს ცვალებადობაზე უფრო სრული დაკვირვება ხომ არ გვაფიქრებინებს, რომ საგანთა საყრდენი ქვემოთ კი არ არის, არამედ ზემო-

თაა, რომელიც საგნის სტრუქტურულობის სირთულეში მდგომარეობს [2;24].

სამყაროს წარმოშობის დიდი აფეთქების თეორიის თანახმად, ჩვენი სამყარო დაიბადა ვაკუუმის ენერგიით სავსე, უდიდესი სიმკვრივის მქონე, უმცირესი ზომის ბუშტულაკის სახით. მისი უსწრაფესად გაბერვის შემდეგ, მასში არსებული ვაკუუმის ენერგიის ნაწილი გარდაიქმნა ელემენტარულ ნაწილაკებად (კვარკებად და ლეპტონებად), რომლებისაგანაც შემდეგში, მათი შეერთების გზითა და სტრუქტურულობის გართულების პროცესით, წარმოიქმნენ ჯერ ნეიტრონ-პროტონები, ხოლო შემდეგ ბირთვები, ატომები, მოლეკულები, ნივთიერებები, სხეულები, ცოცხალი უჯრედები, ქსოვილები და საბოლოოდ – ადამიანი.

შარდენი თავის წიგნში ყურადღებას ამახვილებს ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკურ ინტერაქტაციასა და ბიოლოგიურ ინტერაქტაციას შორის განსხვავებულობაზე. ფიზიკოსისათვის ელემენტარული ნაწილაკებიც, ატომებიცა და მოლეკულებიც, უსიცოცხლო უნივერსუმის ქსოვილის (უსიცოცხლო მატერიის) თავადაც უსიცოცხლო „პირველადი საშენი აგურაკებია“. მაგრამ, ავტორის აზრით, ასეთი წარმოდგენა საგნის მხოლოდ გარეგან – სხეულებრივ მხარეს ეხება. სინამდვილეში ყოველ ობიექტს გააჩნია როგორც „გარეგანი“, ისე „შინაგანი“ მხარე, რომელიც განსაკუთრებით ადამიანში მუდავნდება.

შარდენის მიხედვით, საგანთა „შინაგანი მხარე“ „ცნობიერების (გონიერების) ფენომენში“ მუდავნდება, რომელიც მხოლოდ სიცოცხლის უზენაესი ფენომენითაა შემოსაზღვრული. მეცნიერებისათვის მიჩნეული იყო, რომ ცნობიერება (გონიერება) ვლინდება მხოლოდ ადამიანში, ანუ, ის კერძო შემთხვევაა და საინტერესო არაა მთელი სამყაროს განხილვისას. დღეს კი, მეცნიერული აზრი იძულებულია იხელმძღვანელოს პრინციპით – აღმოვაჩინოთ გამონაკლის-

ში ზოგადი. ამ პრინციპიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ გონიერება მუღავნდება კოსმოსის მხოლოდ მცირე ნაწილში ადამიანის (ტვინის) სახით, იგი ვრცელდება მთელ კოსმოსშიც. შარდენის აზრით, საკმარისია, დავუშვათ, რომ საგანთა „შინაგანი მხარე“ ბუნებაში ყველგან და ყოველივე-ში არსებობს. რაკი, უნივერსუმის ქსოვილს თავის ერთ წერტილში მოეძებნა შინაგანი მხარე, მაშასადამე, ეს ქსოვილი ორმხრივია თავისი სტრუქტურით. ამრიგად, საგნებს გააჩნიათ არა მარტო გარეგანი მარცვლოვანი (სტრუქტურული) მხარე, არამედ მისი თანავრცეული შინაგანი მხარეც [2;27].

ანუ, ყოველი საგანი სტრუქტურულობის თვალსაზრისით, ორმაგი ბუნებისაა. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს ჩვენი გონებისათვის მისაღები წარმოდგენა სამყაროს შესახებ. თანამედროვე ფიზიკის მიხედვით პირველადი მატერიის ქვეშ იგულისხმება მოფუთფუთე სხვადასხვა სახის ნაწილაკების ერთობლიობა, რომელიც უნდა მივიჩნიოთ სამყაროს გარეგანი, მექანიკური ფორმის საფუძვლად. მაგრამ, ახალი პრინციპის გათვალისწინებით, ამ მექანიკური ფენის ქვეშ უნდა წარმოვიდგინოთ უაღრესად ნატიფი, ცნობიერების (შინაგანი მხარის) მატარებელი, „ბიოლოგიური ფენა“ (სასიცოცხლო ფენა). იგი აუცილებელია შემდეგდროინდელი კოსმოსის მდგომარეობის ასახსნელად [2;28].

მინერალურ სამყაროში, მაგალითად, ელემენტალური ნაწილაკისათვის, გონიერების ეს უმცირესი ჩანასახი გამოიხატება იმით, რომ ის, როგორც მოცემული თვისებების მქონე ობიექტი, მხოლოდ **არსებობდეს** იქ, სადაც არსებობს დროის აღებულ **მომენტში**. მისთვის, გამჩენის მიერ ბოძებული, ფუნქცია-დანიშნულება სწორედ ამაში მდგომარეობს.

უნივერსუმის მატერიალური ქსოვილის თანდათანობითი ევოლუციური განვითარების კვალობაზე, მისი შემადგენელი ელემენტები სტრუქტურული სირთულის მიხედვით, თანდათან რთულდებიან. შესაბამისად მათში იზრდება გო-

ნიერების კონცენტრაციაც. ანუ, საგანთა „შინაგანი მხარის“ ცვლილება პროპორციულია მათი „გარეგანი მხარის“ (სტრუქტურულობის სირთულის) ცვლილებისა. ამრიგად, ევოლუციის მთავარ ღერძზე, რაც მეტია სტრუქტურული სირთულე, მით მეტია გონიერებაც.

უმარტივეს მატერიალურ სტრუქტურაში ფარული სახით არსებული გონიერების ეს უმცირესი ელემენტი, ევოლუციის პროცესში, იზრდება და რთულდება კიდეც, რათა ბოლოს ადამიანის სახით, ევოლუციის დომინანტურ ფაქტორად იქცეს. ადამიანი ევოლუციის გვირგვინად გვევლინება. ევოლუცია სწორედ ადამიანის მეშვეობით შეიცნობს თავის თავს [2;33].

შარდენის აზრით, ადამიანის მოვლინებით სამყაროში დასაბამი ეძლევა კოსმოგენეზის ახალ ერას, რომელიც სამძირითად ფენას მოიცავს – არაცოცხალს (მინერალურს), ცოცხალსა (ბიოლოგიურს) და ადამიანურ სინამდვილეს. ეს ახალი ერა წარმოადგენს კოსმოგენეზის ბოლო ხვეულს, რომელიც, მთელი მისი თვისობრივი სვხაობის მიუხედავად, უშუალოდ აგრძელებს წინა ხვეულებს. ამას განაპირობებს ევოლუციური პროცესის დასაბამითვე წინასწარ განსაზღვრული მიმართულება, რაც თავისთავად გამორიცხავს შემთხვევითობას. რადგანაც, ქალსურ პროცესში სიცოცხლისა და ადამიანის შემთხვევითი წარმოშობა ისევე წარმოუდგენელია, როგორც „ბოინგის“ მარკის თვითმფრინავის აწყობა, წაგვის გროვაზე გადაქროლილი ქარიშხლის მიერ [2;33].

შარდენის მიხედვით, ევოლუცია მიზანმიმართული და მიზანსწრაფული პროცესია. ამიტომ, განვითარების უსასრულო პროცესის ზღვარს ბიოსფერო არ წარმოადგენს. იგი თავის წინსვლის გარკვეულ მომენტში მიადგება ერთგვარ კრიტიკულ ფაზას, სადაც ის უღრმეს შინაგან გარდაქმნას განიცდის. რის შედეგადაც, ბიოსფეროს სტრუქტურული სირთულის გარკვეულ ეტაპზე, გვევლინება პლანეტარული

სიცოცხლისა და ცნობიერების გვირგვინი – ადამიანის სახით [2;34].

ადამიანი წარმოადგენს მოაზროვნე არსებას. ადამიანის აზროვნების საუძველებელი დედამინის გარშემო, ბიოსფეროს გარეთ და ზემოთ, გარსის სახით, წარმოიქმნება „**მოაზროვნე ფენა**“, რომელსაც **ნოოსფერო** ეწოდა.

ჯერ კიდევ ცნობილი ბუნებისმეტყველი და მოაზროვნე, სასრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვლადიმირ ვერნადსკი, ამტკიცებდა რომ ჩვენი ფიზიკური (ხილული) სამყაროს გარდა არსებობს უხილავი, მაგრამ ცოცხალი, **გონიერი მატერია**. იგი შედგება უმაღლესი დონის ცოცხალი ენერგიებისგან, იდეებისგან, გრძნობებისგან, ემოციებისგან. ამ უხილავ, ცოცხალ ოკეანეს ვ. ვერნადსკიმ „**ნოოსფერო**“ უწოდა. იგი ფიქრობდა, რომ ნოოსფეროში არის ყველა ინფორმაცია და ცოდნა, რაც კი არსებობს ჩვენს კოსმოსურ სამყაროში

ნოოსფეროს არსებობის ექსპერიმენტულ დადასტურებად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, როცა ფიზიკოსმა **ვლდიმერ ეფრემოვმა**, კლინიკური სიკვდილის პირობებში, დაამყარა უშუალი ინფორმაციული კავშირი ნოოსფეროსთან [11].

ისმის კითხვა, რა აზრი აქვს ადამიანის არსებობასა და მოღვაწეობას კოსმოსურ სამყაროში.

შარდენის აზრით, სამყაროში ადამიანის არსებობასა და მოღვაწეობას მაშინ ეძლევა აზრი, თუ დავუშვებთ, რომ ჩვენი სულების ზემოთ არსებობს **ზესული**, რომელსაც შეიძლება განუსჯელად მივენდოთ და რომლის ბჭესთან მთავრდება ადამიანის მიწიერი სიცოცხლე და იწყება მისი არსებობის თვისობრივად **ახალი ეტაპი**, რომელსაც სახელად **ზესიცოცხლე** ჰქვია. **ზესიცოცხლე** კი, ადამიანის მიწიერი სიცოცხლის უშუალო გაგრძელებაა. ტეიარ დე შარდენის თანახმად, ზესიცოცხლე გამოირჩევა ინდივიდუალურ ცნობიე-

რებათა გაერთიანების მზარდი ტენდენციით, რაც მათი საბოლოო ურთიორთშერწყმით უნდა დასრულდეს: „ევოლუცია – ცნობიერების ზრდაა. ცნობიერება – ერთიანობისაკენ სწრაფვაა. ამჟამად, მოაზროვნე ერთეულთა მთელი სიმრავლე, დედამიწის გარეგან თუ შინაგან ძალთა ერთობლივი მოქმედების წყალობით, საყოველთაო გაერთიანების პროცესშია ჩართული. კაცობრიობის ყველა ნაწილი ერთიმეორებს განწყონის და ჩვენს თვალწინ მთლიან ბლოკად ერწყმის ერთმანეთს... ამიერიდან, ინდივიდუალურ რეალობათა (ადამიანის გონი, ადამიანის სული და სხვა) გვერდით არსებობენ რეალობები (ეროვნული სულიერება, ეროვნული ცნობიერება და სხვა), რომლებიც ინდივიდზე არ დაიყვანებიან, და მაინც, თავისთავად, ინდივიდივით რეალურები არიან... [2;41].

შესაბამისად, კაცობრიობა შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ინდივიდუალურ ცნობიერებათა ურთიერთშერწყმისას (ცნობიერების მეგასინთეზის შედეგად) მიღებული კოლექტიური ცნობიერების (კოსმიური გონის) სპეციფიკური რაობა [2;42].

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, **მინერალური სამყაროს** ევოლუციის პარალელურად მიმდინარეობს **ლვთაებრივი საწყისის** ევოლუცია „ალფადან“ „ომეგამდე“ (უსრულყოფილესობის მეორე – უფრო მაღალ დონემდე) [2;49].

ბოლოს, „ადამიანის ფენომენის“ ავტორი გადადის ევოლუციის დასკვნითი ეტაპის მესამე ძირითად ხაზზე, რაც მას მეცნიერებისა და რელიგიის შერწყმად ესახება [2;54].

სამყაროს დასასრულს, სრულყოფილებას მიღწეული გონიერება განცალკევდება თავისი **მატერიალური მატრიცისაგან**, რათა ამიერიდან საშუალება ჰქონდეს მთელი თავისი ძალმოსილებით დაივანოს **ლმერთ – ომეგაში** [2;58].

ჩემი აზრით, „**ლმერთ ომეგაში**“ შეიძლება ვიგულისხმოთ უსასრულო და მარადიული 11-განზომილებიანი შე-

მოქმედების უნარისა და გონიერების მქონე კოსმიური სამყარო, რომელიც ციკლურად ბადებს ჩვენი, ალქმადი, 3-გან-ზომილებიან კოსმოსური სამყაროს მსგავს სამყაროებს, სიცოცხლისა და ადამიანის მსგავსი არსებების ჩათვლით. რაც იმას ნიშნავს, რომ კოსმოგენეზის დასასრულს სრულყოფილებას მიღწეული ცნობიერება ერწყმის კოსმიური სამყაროს გონიერებას და ამდიდრებს მას.

ეს მოხდება ჩვენი სამყაროს ევოლუციის დასასრულს, ციკლური სამყაროს ჩვენეული საფეხურის დასრულებისას. გარკვეული დროის შემდეგ ადგილი ექნება ციკლური კოსმიური სამყაროს ახალი, შემდეგი საფეხურის დაწყებას. მისი დაწყებისას, ჩვენი სამყაროს დასასრულის შესაბამისი „ომეგა“ – ღმერთი, შეასრულებს „ალფა“ – ღმერთის ფუნქციას, ახლად დაბადებული კოსმოსური სამყაროს წარმოქმნაში, რათა ხელახლა ჩაებას კოსმიური სამყაროს კოსმოგენეზის უსასრულო სრბოლაში.

სუბსტანცია. სუბსტანცია არის ობიექტურად, სხვაზე დამოუკიდებლად, თავისთავად არსებული რეალობა, რომელიც მიჩნეულია ყველა საგნისა და მოვლენის საფუძვლად, ანუ **არსად**.

ფილოსოფოს აკადემიკოს სერგი ავალიანის თვალსაზრისით, სუბსტანცია არის საფუძველთა საფუძველი ყოფიერებისა, ანუ **არსისა**. არსი კი პირველადი, **აპსტრაქტული** ცნებაა, რომლის განსაზღვრა შეუძლებელია სხვა, უფრო მარტივი ცნებებით. ფართო გავებით, იგი მოიცავს ყველაფერს, როგორც ხილულ მატერიალურს, ისე უხილავს, იდეალურს: ბუნებას, საზოგადოებასა და სულიერებას [1;247].

იგი არის აბსოლუტური, უსასრულო, მარადიული არსი, რომელიც შეუძლებელია გავიგოთ, როგორც უსიცოცხლო, უძრავი, გაყინული არსი თავისუფლების, გონებისა და ნებელობის გარეშე. იგი არის შემოქმედების უზენაესი უნარის მქონე არსება, რომელიც ქმნის უმშვენიერეს, ჰარმონიულად

მოწყობილ და უნიკალურ სამყაროს, თვით ადამიანის ჩათვლით. ადამიანი კი, გარდა ყველაფრისა, **სულიერებითაც** ხასიათდება. ამიტომ შეუძლებელია, რომ სუბსტანციური არსი არ ხასიათდებოდეს გონიერებით, ნებელობით, თავისუფლებით, უმაღლესი კეთილობითა და სულირებით [1;273].

ისმის კითხვა: რა მიმართებაშია სუბსტანციური არსება ღმერთთან?

ფილოსოფოსთა ერთი ჯგუფი (დეკარტი, სპინოზა, ჰეგელი და სხვა) თვლიდა, რომ **სუბსტანცია და ღმერთი ერთი და იგივეა. ანუ, სუბსტანცია არის ღმერთი და ღმერთი არის სუბსტანცია.**

დეკარტის თვალსაზრისით ღმერთის ქვეშ იგულისხმება უსასრულო, მარადიული, ყოვლისმცოდნე, ყოვლადძლიერი, უცვლელი სუბსტანცია, რომელმაც შექმნა ყველაფერი, ადამიანის ჩათვლით [1;314].

სპინოზას უთქვამს: „ღმერთის ქვეშ მე ვგულისხმობ აბსოლუტურად უსასრულო არსებას, ე.ი. სუბსტანციას“ [1;313].

ს. ავალიანი მიიჩნევს, რომ რელიგიის ფილოსოფიის მიხედვით, ღმერთიც ზუსტად ასეთი თვისებებით ხასიათდება, როგორც სუბსტანცია. ამიტომ ლოგიკურად სუბსტანცია არის ღმერთი და ღმერთი არის სუბსტანცია [1;310].

ჰეგელის მიხედვით, სუბსტანციური სამყარო „ბრწყინვას“ სასრულო სამყაროში. ანუ, სუბსტანციური სამყაროს არსებობას, უწინარეს ყოვლისა, ადასტურებს აღქმადი სასრულო სამყაროს არსებობა.

ს. ავალიანის აზრით, მვლენათა სამყაროს სრულფასოვანი და სიღრმისეული შემეცნება ნიშნავს არსებათა სამყაროს – სუბსტანციური არსების – შემეცნებას [1;313].

სპინოზას აზრით, სამყაროში არსებული საგნები და არსებები სუფთა დროებითი „საშუალებებია“, სამყარო კი ღვთაებრივ სუბსტანციასთან იგივდება. ანუ სპინოზა **სამყარო**

როს აიგივებს ლვთაებრივ სუბსტამციასთან, ანუ ღმერთთან.

ს. ავალიანის აზრით, ღმერთი არის უკანასკნელი ინსტანციის (უმაღლესი) არსება, რომელიც სწორედ რეალური არსის სფეროში, როგორც მოვლენათა (აღქმად) სამყაროში გამოვლინდება. ამიტომ ღმერთის, როგორც აბსოლუტური არსების, შემეცნება შესაძლებელია მისი გამოვლინების (ბუნების) შემეცნების გზით. ბუნების შემეცნების შედეგად ადამიანი მიდის ღმერთის შემეცნებამდე [1;39].

თანმედროვე ბუნების მეცნიერება სულ უფრო და უფრო უახლოვდება სუბსტანციური არსების შემეცნებას. ანუ ბუნებრივი თეოლოგია განუწყეტელი განვითარების პროცესშია. ფაქტობრივად ბუნებრივ თეოლოგიას ემსახურება ფარდობითობის თეორია, კვანტური მექანიკა, მაღალი ენერგიების ფიზიკა, ველის თეორია, სიმების თეორია და თანამედროვე კოსმოლოგია.

რელიგიის ფილოსოფიის მიხედვით, მამა-ღმერთიც ზუსტად ისეთი თვისებებით ხასიათდება, როგორითაც სუბსტანციური არსება: უსასრულობა, მარადიულობა, ყველგანმყოფობა, ერთადერთობა, ყოვლადდლიერება, ყოვლადგონიერება, თავისუფლება, უნეტარესობა, შემოქმედებითობა, სულიერება, უსრულყოფილესობა და მუდმივობა [3].

როგორც აღვნიშნეთ ამჟამინდელი მეცნიერება M-თეორიის სახით, მივიდა უსასრულო და მარადიული უჩინარი 11-განზომილებიანი კოსმიური სამყაროს აღიარებამდე, რომელიც ბადებს ჩვენი აღქმადი სამყაროს მსგავს სამყაროებს.

ჩემი აზრით, 11-განზომილებიანი კოსმიური სამყარო ხასიათდება სუბსტანციური არსის ყველა ზემოხსენებული თვისებით, გარდა უცვლელობისა, რადგანაც ის დამატებით ხასიათდება ევოლუციური სწრაფვით აბსოლუტური სრულყოფისაკენ [7;317].

დასკვნა: ჩემი აზრით, დიალექტიკურ-მატერიალისტური, თეოსოფიურ-იდეალისტური თვალსაზრისებითა და ამ-ჟამინდელი მეცნიერული მიღწევების გათვალისწინებით, 11-განზომილებიანი კოსმიური სამყარო, წარმოადგენს მარადი-ულ და უსასრულო გონიერ, შემოქმედების უნარის მქონე, უხილავ, თვითკმარ სულიერ უსრულყოფილეს არსებას, რომელიც განიცდის ევოლუციურ სწრაფვას აბსოლუტური სრულყოფისაკენ.

ამ მიზნის მისაღწევად იგი თავისივე თავში, ციკლურად ბადებს უნიკალურად და ჰარმონიულად მოწყობილ, ხილულ, მატერიალურ სამყაროს ადამიანის ჩათვლით.

ადამიანი წარმოადგენს გონიერ, შემოქმედების უნარის მქონე, თავისუფალ არსებას, რომლის ფუნქცია-დანიშნულება მდგომარეობს, თავისი შემოქმედებითი შრომით მიეხმა-როს მისივე დამბადებელ უსრულყოფილეს არსებას სწრაფ-ვაში აბსოლუტური სრულყოფილებისაკენ.

ლიტერატურა

1. ს. ავალიანი, მეცნიერული ონტოლოგია, „ფილოსოფიური ბიბლიოთეკა“, თბ., 1994.
2. ბ. ბრეგვაძე. დრო და მარადისობა. I ტ. „ნეკერი“. თბილი-სი, 2006
3. გ. რუხაძე. დოგმატური ღმრთისმეტყველება. მსოფლიო საეკლესიო კრებები. სსგ, თბ., 2008
4. შ. შოშიაშვილი; კოსმიური სამყარო თეოსოფიური გად-მოსახედიდან; წიგნი I; „მერიდიანი“; თბილისი 2012.
5. შ. შოშიაშვილი, კოსმოსური სამყაროს ციკლურობის შე-სახებ. უურ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, N 4-6; 2003
6. შ. შოშიაშვილი. სამყარო, მეცნიერება, რელიგია. „მერი-დიანი“, თბ., 2009

7. შ. შოშიაშვილი; კოსმიური სამყარო თეოსოფიური გად-
მოსახედიდან; წიგნი II; „მერიდიანი“; თბილისი 2012
8. Бр. ГРИН. Элегантная вселенная. Москва. 2004
9. И. Новиков, Как взорвалась Вселенная. М., „Квант“, N 68,
1988
10. В.С. Поликарпов, Феномен жизни после смерти. „Феникс“,
Ростов-на-Дону, 1995
11. А. Силин, Тайна информации. Вести РАН. <http://veinik.ru/science/601/3/457.html>
12. В. Ефремов. „Здесь и там: исследования и размышления.“
2000, airclima.ru/research-deynd. Ntm

Shota Shoshiashvili – Academic Doctor of Physical and Mathematical Sciences. Senior scientist. He has published 55 scientific work in elementary particle physics. During the past 25 years he has been working on the issues related to the relationship between religion and science. He published 15 scientific articles and books entitled "About The Cosmic World and the Immortality of the Spirit" (2003), "The World, Science, Religion" (Tb., 2008 and 2009), "The Cosmic World From Theosophical Perspective" Book I and Book II (Tb., 2012) and the book "Who we were!...Who we will be" (Tb., 2015).

CYCLICALLY EVOLVED WORLD FROM THEOSOPHICAL POINT OF VIEW

ABSTRACT

According to official science, our perceived cosmic world is a 4-dimensional projection of an infinite and eternal 11-dimensional **cosmic world**, limited in time and space. It turned out that in the cosmic world there are "cosmic riddles" that can be understood in

three forms of thinking: conceptually rational, figurative, intuitive and symbolic-mystical. I considered the theory of theoretical knowledge, crossing the knowledge acquired by all three of the above-mentioned references to humanity. From a **theosophical** point of view, the 11-dimensional cosmic world, in a broad sense, including visible and invisible forms of matter, is infinite space-time. This is a living, feminine, infinite, spiritual being and his self-improvement, developing in the direction of **perfect perfection**. To achieve this goal, he creates a unique, harmoniously cosmic world that includes man in a separate chapter. Man is a rational, creative and detached person, whose goal is to help him in his work, the infinite Creator of his favor for **absolute perfection** in his pursuit of God.

ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების ფილოსოფიის განყოფილებამ.

პოლიტიკის ფილოსოფია

PHILOSOPHY OF POLITIC

მამული პერია – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებების პროგრამის დოქტორანტი. მუშაობს სადისერტაციო ნაშრომზე „ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება და აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრის გზები“. აქვს 15 წლიანი სამუშაო გამოცდილება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კითხულობდა ლექციების კურსს: „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“, „ქართული პოლიტიკური აზროვნება“, „პოლიტიკური იდეოლოგიები“, „გლობალიზაცია და ერი-სახელმწიფო“. ენევა აქტიურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას.

სახალხო დიპლომატიკა და დიპლომის როლი ავთაზეთის პოლიტიკის დარეგულირების საკითხები

კონფლიქტის სტრუქტურიდან და ქართული სახელმწიფოსათვის აფხაზეთის საკითხის მოწესრიგების მნიშვნელობიდან გამომდინარე დარეგულირების ნებისმიერი მოდელი, ნებისმიერი სქემა, ნებისმიერი კონცეფცია ორ შრეს: სტატიკურ და დინამიკურს, უნდა შეიცავდეს. სტატიკურ (უმოძრაო) შრეში უნდა იყოს მოაზრებული საქართველოს პრიორიტეტული ინტერესები - ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენიტეტის განუყოფლობა და უწყვეტობა, ფედერალიზაციის, კონფედერაციის, ასოცირებული სახელმწიფოს (ბოდენის დოკუმენტის მოდელი) აპრიორული უარყოფა.

დინამიკური შრე გულისხმობს კონფლიქტის მოწესრიგების, დარეგულირების მოდელების გარკვეულ ცვალებადობას იმისდა მიხედვით, თუ კონკრეტული ვითარებაში როგორი იქნება საქართველოს საერთაშორი-

სო მდგომარეობა, მოკავშირე სახელმწიფოთა დამოკიდებულება, დასავლეთის სახელმწიფოთა რუსეთზე ზენოლის მასშტაბები, პოსტ-საბჭოთა სივრცეში ანალოგიური კონფლიქტების მოგვარების მდგომარეობა და რეგიონში ძალთა განლაგების კონფიგურაცია.

დინამიკურ შრეში უნდა შევიდეს ქმედებების და აქტივობების მთელი კომპლექსი - სახალხო დიპლომატია, სამოქალაქო დიპლომატია (სტუდენტები, ექიმები, ხელოვანები, სპორტსმენები, მეცნიერები და სხვა), რომლებიც ქმნიან გარკვეული თანამშრომლობის პლატფორმებს. მაგრამ არ შეიძლება სამშვიდობო პროცესის ამ სეგმენტის გადაჭარბებული შეფასება, მასზე ორიენტაცია, რადგან მაქსიმუმი, რასაც შეიძლება მიაღწიოს სამოქალაქო დიპლომატიამ, არის ურთიერთნდობისა და ურთიერთგაების აღდგენა გარკვეული დოზით.

აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში დღემდე არსებულმა პოზიციებმა და მიდგომებმა ვერ გაამართლა, შესაბამისად შედეგი არ დადგა. დიალოგის პოლიტიკამ, რომელსაც წინ უძლოდაე .ნ. „სახალხო დიპლომატიის“ კურსი, ბუნებრივია, პრაქტიკული შედეგი არ მოიტანა. პლატფორმა „აფხაზთა კრების“ ერთ-ერთი ლიდერი მ. პატარაია ამასთან დაკავშირებით ამბობს: „ე.ნ. „სახალხო დიპლომატია“ იყო რუსეთის იმ პოლიტიკის ნაწილი, რომელსაც ჩვენ მორჩილად ვახორციელებდით. ეს ამართლებდა რუსეთის ჯარის ყოფნას საქართველოში ანუ იყო ანტურაჟი ე.ნ. სამშვიდობო პროცესისა, თორემ რეალურად არავითარი აზრი, პერსპექტივა, არც მაშინ ქონდა მას და მითუმეტეს არც ახლა აქვს ერთი მარტივი მიზეზის გამო: იქითა მხარე, რომელსაც აფხაზურ მხარესაც უწოდებენ (და ამასაც არას-

წორად) არ იყო და მითუმეტეს დღეს არ არის საკუთარი ნების თავისუფალი გამოხატვის პირობებში. ის არის ოკუპაციის ქვეშ. რუსეთის ხელისუფლება ყველა სტრუქტურებით მართავს ტერიტორიას და მოსახლეობას. ფაქტობრივად, სახალხო დიპლომატია ასეთ პირობებში არ ატარებდა და არც ატარებს იმ შინაარსს, რაც მასში ჩადებულია (იხ. დ. ჯოჯუა, „ვიტრინიზაციის “ქიმერა - კონფლიქტოლოგიური რომანტიზმი და აფხაზეთის მენტალური დაკარგვის საფრთხე, newposts.ge).

ერთ-ერთი საკვანძო საკითხი აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრის გზაზე, რომელიც მოითხოვს ობიექტურად გააზრებას და გამოყენებას, საჭირო და ადეკვატური ადგილის მინიჭებას კონფლიქტის დარეგულირების პროცესში არის დიალოგის ფორმატი.

უნდა ითქვას, რომ დიალოგის ფორმატს იმთავითვე გადაჭარბებული შეფასება მიეცა, თითქოს ის არის კონფლიქტის მოგვარების ერთადერთი და სწორი გზა, რაც საფუძველში არასწორია, არაადეკვატურია, არაპრაგმატულია, თუ გნებავთ პოლიტიკურად მიზანშეუწონელია.

ცნობილია, რომ, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წინასაარჩევნო პროგრამებში, სხვა დოკუმენტებში, კოალიციის ლიდერის გამონათქვამებში ხშირად მიდის აპელირება დიალოგის ფორმატზე, როგორც კონფლიქტის მოგვარების ძალიან მნიშვნელოვან საშუალებაზე, თითქმის პანაცეად არის გამოყვანილი ეს ფორმატი.

„რაც არ უნდა მრავალგანზომილებიანი გახდეს „აფხაზეთის კრიზისის“ მოწესრიგების სტრატეგია,

სტრუქტურულად ის უნდა დაეყრდნოს, ასე ვთქვათ, 3 სვეტის პრიორიტეტულობის განუყოფელ პრინციპს. ეს სამი სვეტია -დეოკუპაცია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და დევნილთების სრული და უპირობო დაბრუნება. ყველა სხვა დანარჩენი განზომილება - ჰუმანიტარული, სოციალური, „სახალხო დიპლომატიის“, თუ სხვა - ზემოთხსენებული სამი სვეტის ერთობლიობას უნდა დაექვემდებაროს. დაუშვებელია პრიორიტეტთა ხელოვნური გადაჯგუფება, რომელიმე სვეტის უკანა პლანზე გადაწევა და შექმნილი ვაკუუმის შევსება არა სტრატეგიული „დარგებით“. პირდაპირ უნდა ითქვას: პრიორიტეტთა გადასინჯვის იდეოლოგიის ფესვებს მივყავართ რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობამდე, ხოლო შედეგებს - აფხაზეთის მენტალური დაკარგვის საშიშროებამდე” (დ. ჯოჯუა, „ვიტრინიზაციის “ქიმერა - კონფლიქტოლოგიური რომანტიზმი და აფხაზეთის მენტალური დაკარგვის საფრთხე, newposts.ge). მეტად საინტერესოა ამ მიმართულებით აშშ-ის ყოფილი ელჩების მოსაზრებები. ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური კულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი შტრიხია ყოფილი მინისტრების, ელჩების, პრეზიდენტების მოსაზრებების პატივისცემა და გათვალისწინება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მითუმეტეს გასათვალისწინებელი და აქტუალურია ეს ახალი დემოკრატიის ქვეყნებში.

ყოფილი ელჩები მიუთითებენ იმ საშიშროებებზე და რისკებზე რომლებიც შეიძლება არსებობდნენ პირდაპირი დიალოგის შემთხვევაში. აშშ-ს ყოფილი ელჩი უკრაინასა და უზბეკეთში ჯონ ჰერბსტი პირდაპირ აღნიშნავს: „საქართველო დელიკური პრობლემის წინაშე დგას. სამხრეთ ოსეთი-

სა და აფხაზეთს მთავრობები არალეგიტიმური ფორმირებებია. როგორც წესი, ლეგიტიმური ერთეულის მხრიდან არა-ლეგიტიმურ ფორმირებებთან შეხვედრა არალეგიტიმურ მხარეს მხოლოდ აძლიერებს“ (იხ. www.amerikiskhma.com). მას მიაჩნია, რომ საქართველო დიდ რისკზე მიდის ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის წარმომადგენ-ლებისათვის კონფლიქტის სრულუფლებიანი მონაწილეობის მინიჭებით. მისი აზრით ამისათვის მთავრობას ძალიან კარგი მიზეზი უნდა ჰქონდეს.

ყოფილი ელჩი საქართველოში კენეტი იალოვიცი ამბობს, რომ პირდაპირი დიალოგის დაწყების ნაცვლად თბილისმა ოკუპირებულ რეგიონებთან „ხალხთაშორისი არაოფიციალური ურთიერთობა უნდა გააღრმაოს. აფხაზები და ოსები უფრო ხშირად უნდა ჩადიოდნენ სამკურნალოდ, განათლების მისაღებად. საქართველომ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ზოგიერთი შეღავათის გავრცელება ოკუპირებული რეგიონებზეც უნდა გაავრცელოს. ჩემი აზრით ეს შესაძლებელია“ (იქვე). კენეტი იალოვიცის აზრით, „ოფიციალური კონტაქტის რისკი-რა თქმა უნდა - აღიარების მინიშნებაა. ანუ საქართველოს მთავრობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთს მთავრობებს თანასწორუფლებიან მოთა-მაშებად ცნობს. ეს კი საქართველოსთვის მიუღებელია“ (იქვე). „თავიდანვე გასაგები იყო, რომ რუსებს მხოლოდ ის სურდათ, რომ შეენარჩუნებინათ პროცესი, რომელიც არა-ფერს მოიტანდა“ (იქვე). უთხრა „ამერიკის ხმას“ ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა დეიმონ უილსონმა. „მიმაჩნია რა, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია აფხაზებთან და ოსებთან კონტაქტის ქონა, ყველამ ვიცით, რომ გადაწყვეტილების მიმღები მხარე მხოლოდ მოსკოვია. არ უნდა შევქმნათ ის მოჩვენებითი განცდა, რომ ეს რეალობა არ არის. მოსკოვშია მარიონეტების ის მმართველი, რომელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტო-

როების და რეგიონებში არსებული გაყინული კონფლიქტების მანიპულირებას „აგრძელებს“ (იქვე) - დასძინა უილსონმა.

როგორც ვხდავთ, აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში სახალხო დიპლომატიისა და დიალოგის ფორმატის ობიექტურად გააზრება და გამოყენება საშური საქმეა, საჭიროა მისთვის ადეკვატური ადგილის მინიჭება ართულ პოლიტიკურ პროცესში.

სტატიაში მინიშნებაა გაკეთებული, რამდენადაც ამის საშუალებას მოცემული ფორმატი იძლევა, კონფლიქტის დარეგულირების სტრატეგიულ ხაზზე - ბრძოლა ოკუპაციის წინააღმდეგ, რომ ოკუპანტს დისკომფორტი უნდა შეექმნას ყველგან, როგორც შეგნით ისე გარეთ, ყველა ძირითად საერთაშორისო ფორმატებში.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლა მარტო პოლიტიკური მანიფესტაციებით არ ხდება. ბრძოლის მაგალითები უკვე დავაფიქსირეთ. პირველი არის ქართველი ერის 1992-1993 წლებში გენოციდის მომწყობთა დასჯა და საქართველოს პროკურატურაში არსებული 250 ტომის - გენოციდის მასალების, როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო სამართლებრივ ბრუნვაში მოქცევა. მეორე - „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია“. მესამე - ოკუპირებულ ტერიტორიებზე დევნილთა საკუთრების საქართველოს საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, რაც უაღრესაც მნიშვნეოვანია დევნილთა უფლებების დაცვის და საერთაშორისო ასპარეზზე ოკუპანტი რუსეთისათვის სერიოზული ფულადი სანქციების დასაკისრებლად. მეოთხე - აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების სტრუქტურების რეფორმის აუცილებლობა, რაც ნიშნავს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პერიოდულ და პირდაპირი გზით არჩევას. სტრუქტურებში უნდა მოღვაწეობდნენ პატრიოტი, პროფესიონალი ადამიანები, დღეს კი იგი გადაქცეულია ნეპოტიზმის, კორუფციისა და კოლაბორაციონიზმის ბუდედ.

Mamuli Beria – PhD student of Technical University of Georgia, program of social sciences, faculty of engineer economics, media technologies and social sciences. Currently working on PhD thesis “Georgian social and political thought and blueprints to resolve conflict of Abkhazia”. Have 15 years of working experience as a lecturer in Sokhumi State University. Lecture courses: “Introduction to Politics”, “Georgian Political Thought”, “Political Ideologies”, “Globalization and nation-state”.

SIGNIFICANCE OF CITIZEN DIPLOMACY AND DIALOGUE IN THECONFLICT RESOLUTION OF ABKHAZIA

ABSTRACT

The following article discusses blueprints to resolve conflict of Abkhazia, what part do citizen diplomacy and dialogue format play in this regard, that this format should not be exaggerated and deemed as a panacea. It is necessary that dialogue format should be given due place in Georgian politics. Especially when dialogue with illegitimate structures carries the risk of their recognition. To confirm my standpoint, I quote on Georgian expert's considerations and authoritative statements of former ambassadors of United States of America.

Farther, generally articulate strategic line for conflict resolution – all round daily, unsparing battle against occupants, in and outside of the country.

გურამ აბესაძე – პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკური მეცნიერების მიმართულების ხელმძღვანელი; მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი პოლიტიკის თეორიაში, მათ შორის გამოიჩინა მონოგრაფია: „პოლიტიკური კულტურა: კონცეპტუალური მოდელები და დემოკრატიული ტრანზიციის პარადიგმები“ (2015), რომელშიც თანამედროვეობის ბევრი აქტუალური პრობლემა განხილული.

ნოდარ აბესაძე – თბილისის სასულიერო აკადემიის თეოლოგიის მაგისტრატურის სტუდენტი; რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ძირითადად მართლმადიდებელი ეკლესიის როლზე ქართული სახელმწიფოებრიობის თვითდამკვიდრების პროცესში.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობილება და ეროვნული იდენტობა

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ტრასფორმაციულმა ტენდენციებმა იდეოლოგიური და კულტურულ-ლირებულებითი ცვლილებიც გამოიწვია, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების სტრუქტურა. პოლიტიკური ცნობიერება გადაიქცა თანამედროვე ეროვნული იდენტობის ფორმირების დომინანტურ პრიორიტეტად, რომელიც არსებითად განსაზღვრავს სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრების პერსპექტივებს. ამიტომ, თანამედროვე ქართული ეროვნული პოლიტიკური ცნობიერების შესწავლა განსაკუთრებული მნიშვნელობის პრიორიტეტს წარმოადგენს.

გლობალურ სივრცეში პოლიტიკური ცნობიერების წინა პლანზე წამოწევა შემდეგმა მიზეზებმა განაპირობა:

1. მსოფლიო პოლიტიკურში ზესახელმწიფოების მიერ გაიზარდა ე.წ. „ჰიბრიდული ომის“ სხვადასხვა ფორმების გამოყენება, რომელიც საქართველოს წინააღმდეგაც არის მიმართული; მისი უპირველესი მიზანია, ცნობიერების მანიპულირება იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების გამოყენებით. 2. აქედან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. „რბილი ძალის“ სხვადასხვა საშუალებების გამოყენებას ეროვნული ცნობიერებისა და იდენტობის ტრანსფორმაციის მიზნით, რომლითაც იმპერიული ამბიციური პრეტენზიები უნდა დაკმაყოფილდეს; იგი კულტურულ-ლირებულებით ინტერვენციას გულისხმობს, რასაც ჩვენ ტრასპლანტაციურ პროცესებად მივიჩნევთ, ეროვნული და პოლიტიკური იდენტობის შეცვლაზეა გამიზნული. ამ მხრივ, საქართველოში სახარბიელო მდგომარეობა ნამდვილად არ არის, რომელსაც პოლიტიკური ტრანზიციის ირაციონალური პროცესებიც ემატება. ამ გაგებით, თანამედროვე პოლიტიკური ცნობიერების ეროვნული ნიშნებისა და მისი პრაგმატული ღირებულებითი პრიორიტეტების შესწავლა დროის განსაკუთრებულ მოითხოვნას წარმოადგენს

პოლიტიკური ცნობიერება ერის თვითმყოფადი აზროვნების წესების ერთობლიობაა, რომელიც მენტალურ-გენეტიკური ნიშნებით ხასიათდება და პოლიტიკურ სივრცეში თავისი ინტელექტუალური პოტენციალითა და იდენტობის ღირებულებითი ნიშნებით გამოვლინდება; მისი ელემენტები გარკვეულ პოლიტიკურ სისტემაში მდგრადობას ინარჩუნებს, მაგრამ ტრანზიტულ სისტემებში, ღირებულებითი ტრასფორმაციების შედეგად, პოლარიზების ელემენტებით გამოვლინდება. თანამედროვე პოლიტიკური ცნობიერება შეიძლება განისაზღვროს როგორც პოლიტიკური შეხედულებების, ღირებულებითი ორიენტაციების, განწყობილებების, აზროვნების წესებისა და ინტელექტუალური პოტენციალის ერთობლიობა, რომელიც გარკვეული პოლიტიკური სისტემის აქტორთა ფუნქციურ მოღვაწეობაში

გამოვლინდება; იგი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდენტობის განმსაზღვრელ ლირებულებით სივრცეს ქმნის და პოლიტიკური თვითდამკვიდრების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური იდენტობის ფორმირების ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება ერთიანი სახელმწიფოებრივი ცნობიერების ფორმირება. ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერება ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვება, მაგრამ ჩვენი განვითარების ამ ეტაპზე ეს პრობლემა არ უნდა იდგეს. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება ერთიანი ეროვნული მეობისა და თვითშემეცნების ერთიან ნიშნებს უნდა მოიცავდეს და ისტორიულ-ლირებულებითი დანიშნულებით განისაზღვრებოდეს. ეს ჩვენს ერს გამოკვეთილი აქეს, რომელიც ევროატლანტიკურ ლირებულებით სივრცეს ანიჭებს უპირატესობებს. ისტორიული გაუცხოება ამ სივრცესთან დროებითი მოვლენა იყო, რომელიც მიუხედავად ჰიბრიდული კონფლიქტებისა, მაინც ლირებულებით პრიორიტეტად აღიქმება ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში. ქართული ცნობიერებისათვის ევროატლანტიკური სივრცის მიმზიდველობა თვითგადარჩენისა და გლობალურ სამყაროში თვითდამკვიდრებით განისაზრვება ქართული სახელმწიფოსათვის ევროატლანტიკური სივრცე, თავისი ინსტიტუციური წესრიგითა და სახელმწიფოებრივი იდენტობის აზროვნებით ქართული ლირებულებითი ორიენტაციის პრიორიტეტად იქცა.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალურმა ლირებულებითმა ტრანსფორმაციებმა წინა პლანზე წამოსწია პოლიტიკური თვითდამკვიდრების შეფასებითი ისეთი ელემენტი, როგორიც არის ეროვნული იდენტობა. ეს კატეგორია თანამედროვე ეროვნული პოლიტიკური ცნობიერების ერთ-ერთ აქტუალურ თვითმყოფად კრიტერიუმად იქცა. ყოველი ცნობიერება, მითუმეტეს ეროვნული, თავისი თვითმყოფადობითა და თვითშეფასებითი პრიორიტეტებით გამო-

ირჩევა. ეროვნული იდენტობა თანამედროვე ერი-სახელმწიფოების თვითდამკვიდრებისა და სახელმწიფოებრივი გეოპოლიტიკური სივრცის სტაბილურობის გარანტად გადაიქცა. გლობალური წესრიგი დარღვეულია, საერთაშორისო სისტემის ბალანსი მულტიპოლარულობის პირობებში მკვეთრად გამოხატულ წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს. გაიზარდა სახელმწიფოთა იმპერიული მისწრაფებები და ამბიციები, რომელიც გლობალური გეოპოლიტიკური გადანაწილების ახალ ფორმებს იძენს. ასეთ სიტუაციში, გაიზარდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდენტობის მნიშვნელობა და როლი.

ეროვნული იდენტობა ქართული პოლიტიკური ცნობიერების უპირველესი პრაგმატული ღირებულება უნდა გახდეს. თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერების რაციონალურობა ეროვნული იდენტობის მნიშვნელობის გაცნობიერებაშია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოებრიობის დომინანტური ეროვნული ნიშნების თვითგადარჩენა და გეოპოლიტიკურ სივრცეში სასიცოცხლო ინტერესების დაცვა. **აშშ-ის პრეზიდენტმა დატრამპმა გაროს 73-ე სესიაზე გამოსვლისას განაცხადა:** „თითოეული აქ მყოფი არის წარმომადგენელი განსხვავებული კულტურის, მდიდარი ისტორიის და მეცნიერების, ტრადიციისა და ლირებულებების მიერ შეკრული ხალხი. სწორედ ამიტომ ამერიკა ყოველთვის აირჩევს დამოუკიდებლობასა და თანამშრომლობას გლობალური მმართველობის ნაცვლად და მე პატივს ვცემ თითოეული ქვეყნის უფლებას, რომ მისდიოს თავის ჩვეულებებს, რწმენებსა და ტრადიციებს. ამერიკის შეერთებული შტატები არ გეტყვით, როგორ იცხოვროთ, იმუშაოთ ან როგორ სცეტ თაყვანი. ჩვენ საპასუხოდ მხოლოდ ჩვენი სუვერენობის პატივისცემას ვითხოვთ. ამერიკას ამერიკელები მართავენ... ჩვენ გლო-

ბალიზმის იდეოლოგიას უარვყოფთ და პატრიოტიზმის დოქტრინას ვალიარებთ.”⁸

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სცენაზე ინსტიტუციური წესრიგი სტაბილური არ არის, რადგანაც დომინანტი პარტია ტრადიციულად ქმნის პოლიტიკური თამაშის ისეთ მოდელს, რომელიც ავტორიტარულ ცნობიერებას ემყარება. დომინანტი ინსტიტუციური აქტორები ამკვიდრებენ ფასადურობის ისეთ სინდრომს, რომელიც პოლიტიკური იდენტობის დამკვიდრებას ხელს უშლის. **ამერიკელი პოლიტოლოგი ლ. მიტჩელი აღნიშნავს, რომ „...თუკი საქართველოში შენარჩუნდება ერთი პარტიის დომინირება, რაც ხდებოდა კიდეც დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან მოყოლებული, მაშინ ქვეყნის დემოკრატიული განვითარება ჩიხში შევა... საქართველოში შეიძლება განმეორდეს ერთი პარტიის კონსოლიდაციისა და შემდეგ მისი დაცემის ციკლი. ეს კი ძალიან სამწუხარო იქნება, რადგანაც სწორედ ეს ციკლი უშლის ხელს უკვე 25 წელია საქართველოს დემოკრატიის განმტკიცებას”.**⁹

გლობალური წესრიგის ტრანსფორმაციულმა ტენდენციებმა წინა პლანზე რელიგიური ფაქტორები წამოსწინა. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდენტობა თავისი ღირებულებითი ელემენტებით რელიგიურ იდენტობას ემყარება. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მართლმადიდებელი ეკლესია გადაიქცა ღირებულებითი პრიორიტეტების განმსაზღვრელ თანამონაწილედ და პოლიტიკური პროცესის აქტორად. ისტორიულად ქრისტიანულ-რელიგიური ცნობიერება

⁸ დ. ტრამპი. გამოსვლა გაეროს გენერალური ასაბლეის 73-ე სესიაზე 2018 წლის 25 სექტემბერს.

<https://imedinews.ge/ge/msoflio/78487/donald-trampi-gaerom-ver-shedzlo-potentialsis-srulad-realizeba>

⁹ ლ. მიტჩელი. 2017 წელს საქართველოს წინაშე მდგარი ოთხი კითხვა.

<http://georgianpress.ge/com/news/view/23819?lang=1>

ქართული ეროვნული იდენტობისა და იდეოლოგიის საფუძველი და ლირებულებითი პრიორიტეტების განმსაზღვრელი იყო. ქართული ეკლესია და მისი მეთაური, უწმინდესი და უნეტარესი ილია II განსაკუთრებული პრინციპულობითა და მიზანმიმართული პოზიციით ცდილობს შეინარჩუნოს ეროვნულ-ლირებულებითი სივრცე და ეროვნული იდენტობის განმსაზრვრელი კრიტერიუმები. პატრიარქი ექსტრემისტულ ნგრევით პროცესებს ყოველთვის წინ აღუდგა და გარკვეულ სივრცეებში შეაჩერა კიდევაც რადიკალური და გაუცნობიერებელი მოქმედებები. **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II აღნიშნავს, რომ „ფაქტია, ყველას გვინდა ძლიერი, განვითარებული ქვეყანა გვქონდეს, ამის მიღწევა კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ საზოგადოებაში სწორი ლირებულებათა სისტემა იარსებებს და ამ საფუძველზე მოხდება პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების მოგვარება, დეზორიენტირებული საზოგადოება კი ქაოსში ჩაიძირება და სახელმწიფოს დიდად დააზარალებს“.¹⁰**

ამრიგად, თანამედროვე ქართული ეროვნულ-სახელმწიფო-ებრივი ცნობიერება გარკვეულ ლირებულებით ტრასფორმაციას განიცდის; მისი როლი პოლიტიკურ ტრანზიციასა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. გლობალური ტრანსფორმაციები და მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებები ეროვნულ ცნობიერებას ახალი გამოწვევებისა და რისკების

იდენტობის საფუძველი გახდა, რომელიც ცნობიერების ღირებულებით კრიტერიუმებს პრინციპულად ცვლის. წინაპლანზე გამოვიდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუ-

¹⁰. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. კარიბჭე, თბ., 2018, გვ.21-22

ნებისა და პოლიტიკური თვითდამკვიდრების პრობლემები. ქართული ცნობიერება პოლიტიკური სივრცის რაციონალურობასა და პრაგმატულობას თავისი პოლიტიკური იდენტობის ძირითად პრიორიტეტად აღიარებს.

ლიტერატურა:

1. ილია ჭავჭავაძე. რა გითხრათ? რით გაგახაროთ? რჩ. ნაწ. ხუთ ტომად. ტ. IV. თბ., 1987
2. ილია ჭავჭავაძე. ერი და ისტორია რჩ. ნაწ. ხუთ ტომად. ტ. IV. თბ., 1987
3. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. კარიბჭე, თბ., 2018
4. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე. კარიბჭე, თბ., 2018
5. გ. აბესაძე, ნ.აბესაძე. ეროვნული იდეოლოგია და თანამედროვე ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. ჟ. რელიგია, 2018, 2
6. გ. აბესაძე. ირაციონალური არაცნობიერი და ქართული პოლიტიკური სცენა. „ფილოსოფიური ძიებანი“ / კრებული ოცდამეორე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. „უნივერსალი“, თბ., 2018
7. ლ. მიტჩელი. 2017 წელს საქართველოს წინაშე მდგარი თხზი კითხვა. <http://georgianpress.ge/com/news/view/23819?lang=1>
9. დ. ტრამპი. გამოსვლა გაეროს გენერალური ასაბლეის 73-ე სესიაზე 2018 წლის 25 სექტემბერს. <https://imedinews.ge/ge/msoflio/78487/donald-trampi-gaerom-ver-shedzlo-potentsialis-srulad-realizeba>

Guram Abesadze – Doctor of Political Sciences, Professor of Sokhumi State University, head of Policy science direction. He is author of more than 60 scientific works, 2 securities and 4 monographs in politics; Among them are monographs of "political culture" / Tbilisi., 2015 /, in which many current issues of modernity are discussed.

Nodar Abesadze – Master of the second course of policy science in Sokhumi State University The author of several scientific works, mainly on the role of Orthodox Church in the process of self-determination of Georgian statehood.

MODERN GEORGIAN POLITICAL CONSCIOUSNESS AND NATIONAL IDENTITY

Political consciousness is an important element of functioning the political system. It defines the value of orientations and cultural-intellectual level of actors of political processes. The modern global trajectory puts national consciousness into new challenges and risks. Modern Georgian national-state consciousness is undergoing some sort of transformation. Its role is crucial to political transition and preservation of national identity. It became the basis of national and state identity. In the foreground came the problems of preservation of national identity and political self-determination. The Orthodox Church has an important place in forming Georgian political consciousness. Its role has been particularly high in determining valuable priorities and maintaining national identity. Georgian consciousness recognizes rationality and pragmatism of political space as the main priority of national identity.

**ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერება-
თა აკადემიის პოლიტიკის ფილოსოფიის განყოფილებაშ.**

ელგუჯა ქავთარძე – ფილოსოფიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი. ამავე უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი. მუშაობს პოლიტიკის მეცნიერების თეორიულ და ემპირიულ პრობლემებზე, პოლიტიკური კონფლიქტების მართვისა და ანლიზის საკითხებზე. გამოქვეყნებული აქტის არცერთი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ სფეროებში. მათ შორის მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. ეწევა აქტიურ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას.

ლიდერობა და საზოგადოების მართვა

(ისტორიულ-პოლიტიკური ეტიუდი)

საზოგადოების რთული ორგანიზაციის წარმოშობამ და განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა სოციალური პოლიტიკური ინტერესების დაბალანსებისა და მართვის აუცილებლობა; შესაბამისად გაიზარდა მოთხოვნილება საზოგადოების მართვის უნარის მქონე გამორჩეულ პიროვნებებზე, ამიტომ, ლიდერობის ფენომენის გააზრების მცდელობა სათავეს შორეული წარსულიდან იღებს: ანტიკური პერიოდის მოაზროვნები თავისებურად ხსნიან მონარქების, მხედართმთავრების აღზევებისა და დაცემის საიდუმლოებებს; ჟეროდოტე ღმერთებს, გმირებს, მოკვდავებს შორის მხოლოდ რაოდენობრივ განსხვავებებს ხედავს; ქსენოფონტე ერთ-ერთი პირველთაგანი აიდეალებს გმირებს, პლატონი ლიდერს მიანერს ცოდნისა და ჭეშმარიტებისაკენ მისწრაფების თანდაყოლილ თვისებას. მისი აზრით, ლიდერი ფილოსოფოსი და მრავალმხრივ განვითარებული პიროვნება უნდა იყოს, რომელსაც გამოარჩევს თავმდაბლობა, სამართლიანობა, დიდ-სულოვნება, სულიერი სრულყოფილება; მხოლოდ ასეთი პიროვნებაა პლატონის აზრით ისტორიის შემოქმედი. პლუტარქეს მიაჩნია, რომ ლიდერი პირველ რიგში უნდა ფლობ-

დეს მაღალ ზნეობრივ და მორალურ თვისებებს; არისტოტელე თვლის, რომ სახელმწიფოს უნდა მართავდეს არა ადამიანები, არამედ კანონები და ამით აღიარებდა რა კანონის უზენაესობის პრინციპს, მიუთითებდა, რომ სახელმწიფო მოღვაწე სამართლიან კანონებზე დაყრდნობით რეალური ვითარების გათვალისწინებით უნდა მოქმედებდეს და მართავდეს სახელმწიფოს; პოლიბიოსი ერის აყვავებასა და დაცემას დიდ პიროვნებებს მიაწერს.

რენესანსის ეპოქაში ლიდერობის შესწავლაში ახალ ეტაპს დაუდო საფუძველი 6. მაკიაველმა. მას თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით პოლიტიკური განვითარება არ დაჰყავს „გაღმერთებულ“ პიროვნებათა მოქმედებაზე. თუ ანტიკურ და შუა საუკუნეებში ლიდერს წარმოადგენდნენ, როგორც იდეალურ ინდივიდს, მან ლიდერი რეალური ცხოვრების ჭრილში განიხილა. 6. მაკიაველმა თავის თხზულებაში „მთავარი“ რეალური მმართველებისა და ქვეშევრდომების ურთიერთობაზე დაკვირვების შედეგად გააანალიზა და ჩამოაყალიბა ლიდერის თვისებები, ქცევები, ფუნქციები, მიზნები, მოქმედების მეთოდები, ხერხები.

6. მაკიაველის აზრით ადამიანთა ქცევები სიყვარულისა და სიძულვილის გრძნობებითაა მოტივირებული. გონიერმა, ბრძენმა მმართველმა ერთმანეთს რაციონალურად უნდა შეუხამოს ეს ორი გრძნობა და სწორედ ისინი უნდა გამოიყენოს ხელისუფლების განხორციელებისათვის. თუმცა 6. მაკიაველი თვლის, რომ ქვეშევრდომების მართვა მიზანშეწონილია შიშის ქვეშ, მაგრამ შიში არ უნდა გადაიზარდოს სიძულვილში, რაც საყოველთაო აღშფოთების საფუძველი შეიძლება გახდეს. მმართველმა არ უნდა შელახოს საკუთრებითი და პირადი ინტერესები.

6. მაკიაველს მიაჩნია, რომ „მთავრის“ მიზანია სახელმწიფოებრიობის განმტკიცება და ამ გზაზე დასაშვებია ეშმაკობისა და ძალადობის ყველანაირი მეთოდების გამოყენება (სიცრუე, გამყიდველობა, ძალადობა და ა.შ.). პოლიტიკური

ლიდერი მხოლოდ მაშინ შეძლებს თავისი მისის აღსრულებას, თუ იგი თავის თავში აერთიანებს ლომისა (ძალა და პატიოსნება) და მელის (თავის მოკატუნება) თვისებებს. ლომის თვისებებით პოლიტიკური ლიდერი ღია ბრძოლაში დაამარცხებს მოწინააღმდეგეს, აღადგენს წესრიგსა და სტაბილურობას; მელის თვისებების დახმარებით თავიდან აიცილებს დაგებულ ხაფანგს, მანევრირებს და მიდის კომპრომისებზე. ლიდერი მოწოდებულია შეასრულოს გარკვეული ფუნქციები, რომელიც განაპირობებს მის როლს საზოგადოებაში. მაკიაველთან სახელმწიფო არაა კარგი ცხოვრების ბურჯი, როგორც ეს მის თანამორბედებთან იყო, არამედ მასთან სტრატეგიული საკითხებია სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდება და მისი შენარჩუნება. ჭეშმარიტი ლიდერი მაკიაველის აზრით, სწორედ ამით უნდა იყოს დაკავებული, ვინც ამას უკეთ აკეთებს სწორედ ისაა დიდი პოლიტიკური მოღვაწე.

6. მაკიაველი თვლის, რომ მმართველი უნდა “ფლობდეს ადამიანის სულის ფარული გამოცნობის უნარს” (პოლიტიკურ ინტუიციას, ალოს), რომ დააბალანსოს “მდიდრებისა და ღარიბების საშიში მისწრაფებები”, იყოს “სიტუაციათა შექმნის ინიციატორი”, რათა წარმატებით განახორციელოს საზოგადოებრივი სტაბილურობის მრავალფეროვან ინტერესთა შესაბამის, მოსახლეობის ინტეგრაციის ფუნქციები. მმართველი თავისი საქმიანობის პროცესში უნდა იყენებდეს წახალისებისა და დასჯის მეთოდებს, მაგრამ დაჯილდოებას მაშინ ექნება ეფექტი თუ ის იშვიათად ხდება. მისი აზრით, პოლიტიკოსს ორი გზით შეუძლია გახდეს მთავარი:

1. როცა ძალაუფლებას ბოროტმოქმედების გზით იგდებს ხელში;
2. როცა მოქალაქე მთავარი ხდება თანამოქალაქეთა კეთილგანწყობის წყალობით.

მაკიაველის აზრით, ლიდერი შეიძლება სასტიკი იყოს, შეიძლება არა. ეს დამოკიდებულია იმაზე თუ როგორია სიტუაცია. ანუ ყველაფერი უნდა დაექვემდებაროს ხელისუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების პრინციპს.

პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში, „მაკიაველიზმი“ მორალური კანონების უარმყოფელ მოძღვრებასთან გაიგვდა, მაგრამ 6. მაკიაველის იდეა სამართლიანობის და სიბრძნის გამტარებელი მმართველია და იგი პრინციპული ამორალიზმის მომხრე არ იყო.

ამდენად, მაკიაველთან პოლიტიკური ლიდერის სამოქმედო პრინციპი არაა სახელმწიფო, როგორც კეთილდღეობის წყარო და პოლიტიკური მოღვაწეობა, როგორც ამ კეთილდღეობის განმახორციელებელი, არამედ პოლიტიკურ მოღვაწეს მოეთხოვება ნებისმიერი გზით ხელში ჩაიგდოს ხელისუფლება და შეინარჩუნოს იგი.

6. მაკიაველის შემდეგ კვლავ მძლავრობს გაღმერთებული პიროვნებების ისტორიის შემოქმედად წარმოდგენის ტრადიცია. ლიდერობის ვოლუნტარისტული კონცეფციის განვითრებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის თ. კარლეილს, ფ. ნიცშეს, ს. ჰუკეს და სხვებს.

თ. კარლეილი თვლის, რომ გმირი პიროვნება ღვთაებრივი წინასწარდასახულობის ამსრულებელია. იგი რეალურად ქმნის ისტორიას. თ.კარლეილი შრომაში „გმირები და გმირობა ისტორიაში“ წერს, რომ მსოფლიო ისტორია ფაქტიურად დიდი ადამიანების შემოქმედების შედეგია.

თ. კარლეილი გარკვეული აზრით ეხმანება ფ. ნიცშეს ზეკაცის კონცეფციას, სადაც ზეკაცი ნახევრად თუ სავსებით ღვთაებრივია. ზეკაცი არის უმაღლესი არსება იმდენად აღმატებული ინტელექტუალური თვისებებით, რომ შესაძლოა ვცნოთ განსაკუთრებულ ანთროპოლოგიურ ტიპად. ზეკაცი ქმნის ისტორიას და ამ გზაზე ის შეიძლება სასტიკი იყოს და უარი თქვას მორალზე. კაცობრიობის მიზანი იმაში

მდგომარეობს, რომ მოამზადოს პირობები ასეთი ადამიანის გამოჩენისათვის.

უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ზეკაცის ბატონობა ფ. ნიცშეს ფილოსოფიაში უფრო სულიერ ბატონობას ნიშნავს, ვიდრე პოლიტიკურს, რომლის რეალიზაცია სახელმწიფოს პრეროგატივაა. ფ. ნიცშემ მოგვცა აზროვნების ისტორიაში სახელმწიფოსა და „ხელისუფლებისმოყვარეობის“ ყველაზე მძაფრი კრიტიკა და ამდენად, ნაკლებად სავარაუდოა და ნინააღმდეგობრივიც ის აზრი, რომ ნიცშეს, ზეკაცი სახელმწიფოს მმართველად წარმოედგინა.

ვოლუნტარიზმის წარმომადგენლისა და თანამედროვე ირაციონალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის ფრიდრიხ ნიცშეს ნააზრევმა ძლიერი გავლენა მოახდინა ლიდერობის თეორიებზე. ფ. ნიცშე საზოგადოებას ორ ნაწილად ყოფს: „ლიდერებად“ და „არაადამიანებად“. ამ უკანასკნელთა ხვედრი პირველთა მორჩილებაა. ლიდერის წარმოშობა ორგვარია: არიან მასების ლიდერები, რომლებიც ხალხის ინტერესებს გამოხატავენ. მაგრამ არსებობენ „ჭეშმარიტი გმირები-ზეადამიანები“, რომლებიც ვერ იტანენ ბრბოს და გამორიცხავენ საკუთარ თავზე გარეგან ზემოქმედებას. აღნიშნული „გმირების“ სწრაფვა ხელისუფლების და მისი მიღწევების გზები თავისუფალია მორალური შეზღუდვებისაგან, ანუ „მორალი სუსტების იარაღია“. ლიდერისა და მისი იდეის თვითრეალიზაცია ათასობით მიმდევრის „არაადამიანის“ ბედზე უფრო მნიშვნელოვანია.

ჰობსის აზრით, რათა დასრულდეს ადამიანის პირველყოფილი მდგომარეობა „ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ“ საჭიროა ერთმანეთისაგან თავდასაცავად ხელშეკრულების დადება, სახელმწიფოს ცენტრალური ფუნქციაა თავისი მოქალაქეების დაცვა და მშვიდობის შენარჩუნება. ამ მიზნით ჰობსმა სახელმწიფო აღჭურვა თითქმის განუსაზღვრელი უფლებებით.

რუსოს აზრით, „ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ“ არაა ადამიანის თავდაპირველი კონსტიტუცია, იგი არის თანამედროვე რღვევის პროცესების შედეგი, ამიტომ მისი აზრით პოლიტიკური თავისფულების ჩამოყალიბებაში არ უნდა დაიკარგოს ადამიანი მეორე, ე. ი. ბუნებრივი თავისუფლება. იგი გადაჯაჭვულია ხალხთა მმართველობის იდეასთან და აღნიშნული სისტემის საპირისპიროა.

საზოგადოებრივი განვითარების პროცესში პიროვნების როლის გაზიადების შეხედულებების საპირისპიროდ ყალიბდება მოძღვრებები, სადაც ისტორიაში ლიდერების როლის გადაფასების მცდელობებია მოცემული: ვიკოს მიაჩნია, რომ საზოგადოება ვითარდება შინაგანი კანონზომიერებით; რუსოსთვის კაცობრიობას შეადგენს ხალხი, ის რაც ხალხზე ზევით დგას იმდენად მცირეა, რომ მასზე ლაპარაკიც არ ლირს; ჰეგელის ფილოსოფიაში ისტორიული მოღვაწეები ხალხთან ერთად მსოფლიო გონის ხელში მხოლოდ იარაღს წარმოადგენს; ხოლო მარქსიზმის მიხედვით, გამოჩენილი პიროვნებები ისტორიული კანონზომიერებების აღმსრულებლები არიან და ისინი სხვაზე ადრე აღიქვამენ საზოგადოების წინაშე მდგარ მოთხოვნილებებს. მარქსისტული თვალსაზრისი პოლიტიკური ლიდერის როლს ზღუდავს ისტორიული აუცილებლობითა და კლასობრივი ინტერესებით.

ლიდერობის კონცეფციის შემუშავვებაზე მეტად მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ფრონტიზმმა. ზიგმუნდ ფრონტისათვის ადამიანის ფსიქიკური მოქმედების ძირითად იმპულსს წარმოადგენს ამა თუ იმ ფორმით გამოვლენილი მისწრაფება ლიბიდოსადმი, რაც არსებითად ადამიანის ქცევის საფუძველს წარმოადგენს. ზ. ფრონტის აზრით, ლიდერობის საფუძველია დათრგუნვილი ლიბიდო, როგორც უპირატესად სექსუალური ხასიათის არაცნობიერი ლტოლვა. სუბლიმაციის პროცესში იგი ვლინდება შემოქმედებისადმი და მათ შორის ლიდერობისაკენ მისწრაფებაში. ფსიქოანალიტიკურსები

ლიდერობას განიხილავენ, როგორც ნევროზის განსაზღვრულ სახეს. მათი აზრით, საზოგადოება იყოფა ფსიქიკურად ნორმალურ და არანორმალურ ადამიანებად. სწორედ ამ უკანასკნელთ ჰქონიათ ლიდერობის უნარი. ფრონტის თვალსაზრისით, ლიდერის თვალსაზრისით, ლიდერის ფსიქოლოგია მკვეთრად განსხვავდება ჯგუფის სხვა წევრების ფსიქოლოგიისაგან. საკუთარი “მე”-ს გარდა, ლიდერი არავის მიმართ არ ავლენს ემოციურ ერთგულებას. მას არავინ არ უყვრას საკუთარი თავის გარდა, ეს თვისება ხდის მას ლიდერად. იგი ყველა იმ თვისებითა და უნარითაა დაჯილდოვებული, რომლებსაც ვერ აღწევენ საზოგადოების რიგითი წევრები.

ადლერის კონცეფციის მიხედვით, პიროვნების განვითარების ძირითად მამაოძრავებელ ძალას წარმოადგენს სწრაფვა პირველობისაკენ, უპირატესობისა და ლიდერობისაკენ, რასაც ძლიერად აღვივებს რაიმე ფიზიკური ნაკლისაგან გამოწვეული არასრულფასოვნების გრძნობა და ლიდერობით ხდება ამ გრძნობის კომპენსირება.

ლიდერობის ფენომენის ახსნას მრავალი თეორია ცდილობს, რომელთა მიზანია ახსნას ლიდერთა წარმოშობის მექანიზმი. ეს თეორიებია: ნიშან-თვისებების თეორია, სიტუაციური თეორია, კონსტიტუციური და მიმდევართა თეორია და ფსიქოლოგიური თეორიები.

ნიშან-თვისებების თეორიის მიხედვით, ლიდერი არის ადამიანი, რომელიც ფლობს ისეთ განსაზღვრულ თვისებათა ერთობლიობას, რაც გამოარჩევს მას ჩვეულებრივი ადამიანებისაგან. ეს თეორია ადამიანის გამორჩეული თვისებების საფუძველზე ცდილობს ლიდერობის ფენომენის ახსნას. ლიდერისთვის აღნიშნული თეორია დამახასიათებლად თვლის: ინტელექტის ყურადღების მიქცევის უნარს, კომუნიკაცელობას, ორატორულ ნიჭს, იუმორის გრძნობას, მახვილგონიერებას, მიზანსწრაფულობას, მჩქეფარე ენერგიას, ორგანიზაცი-

ულ ნიჭს, თავის თავზე პასუხისმგებლობის აღების უნარს, გარკეულწილად ფიზიკურ აღნაგობას, ადამიანებში ნდობის მოპოვების უნარს.

სიტუაციური კონცეფციის თეორიის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ლიდერი ყალიბდება და მოქმედებს სიტუაციის შესაბამისად. სიტუაციური თეორია ამოდის ლიდერობის ფარდობითობისა და მრავალგვარობისაგან. ლიდერი განსაზღვრული სიტუაციის ფუნქციაა.

ლიდერობა სოციალურ სიტუაციაზეა დამოკიდებული, ამიტომ ადამიანი, რომელიც ერთ სიტუაციაში აღმოჩნდა ლიდერის ამპლუაში, სავალდებულო არ არის იყოს ასევე ლიდერი სხვა სიტუაციებშიც. სწორედ კონკრეტული გარემოება და ვითარება განაპირობებს პოლიტიკურ ლიდერთა შერჩევას. ქვეყნის ეკონომიკური, კულტურული, იდეოლოგიური სიტუაცია დიდად განსაზღვრავს იმას, თუ როგორი ტიპის ლიდერებს ექნებათ უპირატესობა. სიტუაცია, რომელიც იყო საქართველოში 1987-1991 წლებში, მოითხოვდა უფრო ძველი ტოტალური რეჟიმის წინააღდემგ მებრძოლ ლიდერს, რომელიც ხალხს ეროვნულ დამოუკუდებლობას მიანიჭებდა. ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შცვლილმა ვითარებამ მოითხოვა არა მებრძოლი, არამედ სიტუაციის მასტაბილურებელი და აღმშენებელი ლიდერები. რა თქმა უნდა ყველაფერი სიტუაციას არ უნდა „გადავაბრალოთ”, რადგან ძლიერ პიროვნებებსაც შეუძლიათ სიტუაციის შექმნა.

კონსტიტუენტების და მიმდევართა თეორია ლიდერობის საიდუმლოს ექებს არა პიროვნებაში, არამედ მიმდევართა მოლოდინში და მოთხოვნებში, რომლების ამ მოლოდინების შესაბამისად მხარს უჭერენ ან უარყოფენ რეალურ ლიდერებს. ლიდერი ხდება ადამიანი, რომელიც ყველაზე უკეთ ახორციელებს ორიენტაციას სხვებზე. სწორედ, რომ ჯგუფი ირჩევს ლიდერს, რომელიც მის ინტერესებსა და ორიენტაციას თუ მსოფლმხედველობას შეესაბამება. ლიდერს ხელ-

მძღვანელობენ და ძალას აძლევენ მისი მომხრეები და მიმ-დევრები. კონსტიტუციურთა ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, ვიწინასწარმეტყველოთ პოლიტიკური ლიდერის ქცევა, რომელიც ხშირად საკუთარი პოლიტიკური სიმპატიე-ბის ან ანტიპატიების საპირისპიროდ მოქმედებს.

ფსიქოლოგიური თეორიის მომხრეები თვლიან, რომ ადამიანის ფსიქიკა პირველადია. იგი დევს საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლებში და განსაზღვრავს მას.

მეტად მნიშვნელოვანი და ამავე დროს უცნაური სა-კითხია ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობების გამო კომ-პლექსების გაჩენა, რისი შედეგიც ხშირად ლიდერობისკენ სწრაფვით გამოიხატება. ფსიქოლოგები ამ მომენტს აკავში-რებენ პოტენციური ლიდერის ჩაგვრით დამოკიდებულებაში საზოგადოებისგან. ადრეულ ასაკში ამით ცნობიერებაში არასრულფასოვნების კომპლექსის გაჩენის გამო, უყალიბ-დებოდათ მახინჯი ფსიქიკა, რასაც შემდეგ საზოგადოების მიმართ არნახული აგრესით გამოხატავდნენ. კომპლექსის მიზეზი უამრავი შეიძლება ყოფილიყო. უმეტესად სოცია-ლურ ნიადაგზე ჩაგვრა ან დისკრიმინაცია ქონებრივი ცენ-ზის გამო. რაც შეეხება ფიზიკურ ნაკლს, ის შეიძლება ყოფი-ლიყო თუნდაც პიროვნების სიმაღლე (თუ აგდავხედავთ მსოფლიო ისტორიას დავინახავთ, რომ დიქტატორთა უმ-რავლესობა მოკრძალებული სიმაღლისა იყო).

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ ზემოთ აღნიშნულ ყველა თეორიას აქვთ უფლება იარსებონ, აქვთ უფლება ჰყავდეთ მხარდამჭერნი, რამეთუ ჭეშმარიტების გარკვეულ ასპექტს ყოველი მათგანი ავლენს, თუმცა არა მთლიან ჭეშ-მარიტებას.

ლიტერატურა:

- ბერძენიშვილი, ა. პოლიტიკური სოციოლოგია, გამომ-ცემლობა მერიდიანი თბ., 2000;

2. ბუცხრიკიძე, ა. პოლიტიკური ლიდერი. თბ., 1996წ;
3. მაკიაველი, ბ. „მთავარი”. თბ., 1984წ;
4. ვებერი, მ. პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა. თბ., 1994;
5. ვებერი, მ. ქარიზმატული ბატონობა. თბილისი, 1995წ;
6. Блондель Ж. В. Политическое лидерство. М. 1992;
7. мухаев Р. Политология М.2000.

Elguja Kavtaradze – Doctor of Philosophy – Associated Professor of Social and Political Sciences Department at Sokumi State University. At the same time he is the Head of the Social and Political studies Faculty. Mr. Kavtaradze works on theoretical and empirical problems of political sciences as well as on political conflict management and analyses. He has published a number of scientific works in the above field, monographs and coursebooks.

LEADERSHIP AND SOCIETY MANAGEMENT (Historical-Political study)

ABSTRACT

The author describes historical development of social, political and psychological conceptions of leadership (leader) building. In this connection ideas of Hobbes, Machiavelli, Carlyle, Weber, Freud and other thinkers are reviewed. The role and importance of a leader is also shown in the point of ruling a society.

ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკის ფილოსოფიის განყოფილებამ.

ინგა ხუციშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის დოქტორანტი. მუშაობს სოციალურ მეცნიერებათა პრობლემებზე. ეწევა აქტიურ პე-დაგოგიურ საქმიანობას.

ეროვნული იდენტობის სოციალურ-თეორიული გაგება

ეროვნული იდენტობის განხილვისას აუცილებელია ისეთი თემების გაანალიზება, როგორიცაა ერის რაობა და ნაციონალიზმი. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული იდენტობასთან, რის გამოც აუცილებელია მათ შესახებ თეორიებისა და არსებული ინფორმაციის გაანალიზება.

რა არის ერი? ერი ეს არის: ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული, მყარი ერთიანობა საერთო ტერიტორიით, ენით, ეკონომიკური თანაცხოვრებითა და კულტურულ-ფსიქოლოგიური ნიშნებით.¹¹

ფრანგი მწერალი, ისტორიკოსი და ფილოლოგი ერნესტ რენანი ერს განიხილავს, როგორც დიდ სოლიდარობას. მისი საფუძველია წმინდა გრძნობები, გაღებული მსხვერპლისა წარსულში და იმ მსხვერპლისა, რომელსაც მომავალში გაიღებს. ერის კონცეფცია გულისხმობს საერთო წარსულის გათვისების პროცესს, ისევე როგორც აწმყოსა და მომავლის საერთო გეგმას.¹²

ეთნიკური ჯგუფებისაგან განსხვავებით ერს გააჩნია პოლიტიკური მისწრაფებები, როგორიცაა პოლიტიკური და-მოუკიდებლობის მოპოვების სურვილი. ამ თვალსაზრისით ეს

¹¹ “ სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი”:
<http://dictionary.css.ge/content/nation>

¹² Ernest Renan (1882) : “What is a Nation?” :
<http://ucparis.fr/files/9313/6549/9943/What-is-a-Nation.pdf>

არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც საკუთარ თავს პოლიტიკურ ერთობად მიიჩნევს.

ინგლისელი სოციოლოგი და ეკონომისტი ჯონ სტიუარტ მილი ერის ცნების განსაზღვრის დროს სწორედ პოლიტიკურ ფაქტორებზე აკეთებს აქცენტს. ის ერს განიხილავს როგორც მრავალი საერთო ნიშნით დაკავშირებულ ადამიანთა ერთობას, მაგრამ მთავარ პირობად მიაჩნია პოლიტიკური ბედისა და ისტორიის ქონა. ასევე მაქს ვებერის აზრით, ერი წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როცა მოსახლეობა გააცნობიერებს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობას და იბრძვის მისთვის.

გარდა პოლიტიკური თვალსაზრისისა, ერის განხილვისას აუცილებელია გავაანალიზოთ მისი ფსიქოლოგიური განსაზღვრება. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ერი არის ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც აერთიანებს პატრიოტიზმის გრძნობა.

ერის, როგორც ტერმინის განმარტება მრავალი კუთხით შეიძლება თუმცა ამ შემთხვევაში საკვლევი თემიდან გამომდინარე, ჩემი ინტერესის სფეროში შედის მისი განმარტება ნაციონალიზმის კუთხით.

იქიდან გამომდინარე, რომ ტერმინი „ერი“ – მრავალ-მნიშვნელოვანია და მისი საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრება არ არსებობს, ნაციონალიზმის განმარტება არც თუ ისე მარტივი საკითხია. მისი მნიშვნელობები ხშირად განსხვავდება ერთმანეთისაგან, იმისდა მიხედვით თუ რა კუთხით განვიხილავთ მას. იგი ხშირად განიხილება, როგორც იდეოლოგია, პოლიტიკური მოვლენა, კულტურის ასპექტი და სხვა.

მისი განსაზღვრის ორაზროვნებაზე მიუთითებს როჯერს ბრუბეიკერი, რომელიც ნაციონალიზმს აიგივებს ომთან, ქსენოფობიასთან, გენოციდთან, ეთნოცენტრიზმთან. ეს დახასიათება მას აღვინერს, როგორც უარყოფით მოვლენას, თუმცა მეორე მხრივ ის ნაციონალიზმს აკავშირებს დემოკრატიასთან, სოლიდარობასა და სოციალურ ინტეგრა-

ციასთან (Brubaker, 1999)¹³. ამგვარი ორაზროვნი დახასიათება გაურკვევლობის შეგრძნებას გვიჩენს თუმცა მოდით შევეცადოთ განვსაზღვროთ მისი არსი.

ადამიანის უფლებათა ლექსიკონში ნაციონალიზმი განმარტებულია როგორც პოლიტიკური პრინციპი, რომელიც ამტკიცებს პოლიტიკურისა და ნაციონალურის ერთ მთლიანობას და ის არის იდეალი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებრიობა თითოეული ერის პოლიტიკური ორგანიზაციის ოპტიმალური ფორმაა¹⁴. მაშასადამე, ეს არის იდეოლოგია, რომლის ფუნდამენტური ნაწილი არის ერთ ანუ -ნაცია, რომელშიც ერის ინტერესი და ერთგულება ყველა ჯგუფისა და ინდივიდის ინტერესზე მაღლა უნდა იდგეს. აქედან გამომდინარე ნაციონალიზმის ძირითადი ამოცანაა ეროვნული ინტერესებისადმი, ერთობისა და ეროვნული დამოუკიდებულებისადმი ერთგულება და მისი დაცვა.

ამერიკელი აკადემიკოსი კარლტონ ჰეიესი ნაციონალიზმს ახასიათებს როგორც გრძნობას, სულს, რომელიც საერთო კეთილდღეობის მოტივით განაწყობს ერთ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებს (C. J. H. Haves, 1926)¹⁵. თუმცა ის ნაციონალიზმის ასეთი ერთპიროვნულად სასიკეთო დახასიათებით არ შემოიფარგლება. ზემოთ ხსენებული სიტუაციების შემთხვევაში იგი სიკეთედ ჩაითვლება, თუმცა შესაძლოა ის მტრობის იდენტურ ცნებად გადაიქცეს, როდესაც ის ხდება კონფლიქტისა და ომის საფუძველი. ამის საფრთხე კი ძალიან დიდია, რადგან ის ნაციონალიზმის უარყოფით გამოხატულებად ასახელებს შემდეგი სახის მოვლენებს: ეს შეიძლება იყოს ერის გამორჩეულობისა და უპირატესობის რჩმენა, შეუწინარებლობა და ტოლერანტობის არ ქონა, რამაც შე-

¹³Brubaker, R. (1999): The Manichean Myth: Rethinking the Distinction Between „Civic“ and „Ethnic“ Nationalism.

¹⁴ ადამიანის უფლებათა ლექსიკონი :

<http://www.nplg.gov.ge/glossword/index.php?a=term&d=2&t=442>

¹⁵ Hayes C.J.H – Nationalism : A Religion. New-York, 1960.p 1-10

საძლოა გამოიწვიოს შოვინიზმი, სხვა ეროვნებების სიძულვილი და მათ წინააღმდეგ ბრძოლა.

ცნობილმა ანთროპოლოგმა ერნესტ გელნერმა თავის წიგნში „ერები და ნაციონალიზმი“ განსაზღვრა ნაციონალიზმი, როგორც პოლიტიკური პრინციპი, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური და ეთნიკური ერთობები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. ეს არის გრძნობა, რომელიც ამ პრინციპების დარღვევით გამოწვეული გაბოროტებაა ან მისი არსებობითა და დაცვით კმაყოფილება (E. Gellner, 1983) მისი აზრით. ნაციონალიზმა სოციოლოგიურად განსაკუთრებული მნიშვნელობა თანამედროვე ეპოქაში შეიძინა და ამის გამოწვევი მიზეზია სახელმწიფო წყობა და მმართველების დამოკიდებულება. ქვეყნის პროგრესისათვის აუცილებელია სახელმწიფო და კულტურა ერთმანეთს შეესაბამებოდეს.¹⁶

სოციოლოგი ენტონი სმიტი თავის ნაშრომში „ეთნოსიმბოლიზმი და ნაციონალიზმი“ (A.D.Smith, 2009) ნაციონალიზმს განიხილავს როგორც უფრო დიდ ფენომენად, ვიდრე ეს არის პოლიტიკური იდეოლოგია. ბევრისთვის ის არის კულტურის სპეციფიკური სახე და სეკულარული რელიგიის ფორმა, და მათი მიზნები იმდენად არის კულტურული, რამდენადაც პოლიტიკური. აქიდან გამომდინარე იგი ნაციონალიზმს განიხილავს როგორც ცალკეულ რელიგიად, რომლის თაყვანისცემის ობიექტია ხალხი და ამავე ხალხის წინაპრები და გმირები. სმითი ნაციონალიზმის გაანალიზებისას გამოყოფს ძირითად თემებს, როგორებიცაა ავტონომია, ერთიანობა, იდენტობა, ღირსება და სხვ. ამ თემებში აისახება ნაციონალისტური მისწრაფებებისა და მიზნების არსი.¹⁷

სხვადასხვა სოციოლოგებისათვის ნაციონალიზმი სოციალური მოძრაობაა, რომელიც დამახასიათებელია ეროვ-

¹⁶ Gellner, E. (2006): Nations and nationalism. 2nd ed. Oxford u.a.: Blackwell.

¹⁷ Smith, A. D. (2009): Ethno-symbolism and nationalism. A cultural approach. London, New York: Routledge.

ნებისათვის და მიზნად ისახავს მსოფლიოში ადგილის მოპოვებას, შენარჩუნებას და გაძლიერებას. აქედან გამომდინარე არსებობს „ჩვენ“ და „თქვენ“ ფენომენი, რომელიც გამოყოფს ერთ საზოგადოებას მეორისაგან და გარკვეულწილად კონფლიქტების მაპროვოცირებელია.

ეროვნული იდენტობის განსაზღვრა, ისევე როგორც ზოგადად ტერმინი „იდენტობის“ ძალიან რთულია, რადგან ის მოიცავს უამრავ ასპექტს და თემას. ის არის მუდმივი საუბრის თემა ეთნოსის, როგორც სოციალური ჯგუფის ჩამოყალიბებიდან დღემდე.

ეროვნული იდენტობის განხილვამდე აუცილებელია მისი წინაპირობის, სოციალური იდენტობის გაშიფვრა. ჰენრი ტაიფელი და ჯონ ტერნერის სოციალური იდენტობის თეორია ხსნის საკუთარი იდენტობის ჩამოყალიბებას ჯგუფებთან მიმართებით (Turner, J. C. & Tajfel, H. 1986). ინდივიდს არ აქვს პირადი თვითმყოფადობა, არამედ მას გააჩნია მრავალი იდენტობა იმ ჯგუფებიდან გამომდინარე, რომელსაც ის თავს მიაკუთვნებს. ადამიანი შესაძლოა სხვადასხვანაირად მოიქცეს გამომდინარე იქიდან თუ რა სიტუაციაში და რომელ ჯგუფთან მიმართებით ანხორციელებს ამ ქმედებას.

როდესაც ადამიანი საკუთარ თავს რომელიმე ჯგუფის წევრად აღიქვამს, ის ამ ჯგუფს უწოდებს შიდას, ხოლო სხვა დაანარჩენს, რომელთანაც კავშირი არ აქვს, გარე ჯგუფს. ამ შემთხვევაში კი ჩნდება განცალკევება „ჩვენ“ და „ისინი“. ამ მოვლენის საბოლოო ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს 3 პროცესი: სოციალური კატეგორიზაცია, რაც გულისხმობს ადამიანის კატეგორიზაციას გარკვეული სოციალური ნიშნებით, როგორებიც შეიძლება იყოს ასაკი, სქესი, პოლიტიკა, პროფესია და ა. შ. შემდეგი პროცესი არის სოციალური იდენტიფიკაცია, რომლის ძირითადი არსი მდგომარეობს რომელიმე კონკრეტული ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის შეგრძნებასა და ამ ჯგუფში აღიარებული და მისთვის დამახასიათებელი ნორმებისა და ქცევების გათავისებაში. მაგა-

ლითად, ჩვენ თუ ვართ დემოკრატიული პარტიის წევრი, ჩვენი ქცევები მსგავსი იქნება ამ ჯგუფის სხვა წევრებისა. ასევე განგვივითარდება ემოციური კავშირი ამ ჯგუფთან და იდენტობას დავუკავშირებთ მას. მესამე პროცესი არის სოციალური შედარება. მას შემდეგ რაც თავს რომელიმე კონკრეტულ ჯგუფს მივაკუთვნებთ, ხდება ჩვენი ჯგუფისათვის უპირატესობის მინიჭება, რაც ხდება სხვა ჯგუფებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების გაჩენის ძირითადი მიზეზი (Turner, J. C. & Tajfel, H 1986)¹⁸.

ასევე გასათვალისწინებელია კოლექტიური იდენტობის ცნება, რომელიც იტალიელმა მკვლევარმა ანტონიო მელუჩიმ შემოიტანა. მისი განმარტებით კოლექტიური იდენტობა არის ინდივიდთა კოლექტიური აქტივობის, საერთო მიზნებისა და პრიორიტეტების ნაზავი. ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ჯგუფის წევრებს შორის ხდება აქტიური კომუნიკაცია და მათ გააზრებული აქვთ მათი საერთო პოლიტიკ. მელუჩიმ ჩამოაყალიბა სამი საფეხური, რომელიც კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბებას ახდენს: პირველი საფეხური გულისხმობს კოგნიტურ დეფინიციას, საერთო ღირებულებების, მიზნებისა და ამოცანების ერთობლიობას. მეორე საფეხური არის აქტიური ურთიერთობა ჯგუფის წევრებს შორის ხოლო მესამე არის ემოციური კავშირები, რომელიც მყარდება ასევე ჯგუფში მყოფ მონაწილეებს შორის. მელუჩი კოლექტიური იდენტობის პროცესის მეშვეობით ცდილობს ახსნას სოციალური მოძრაობებისა და სოციალური მოქმედებების არსი¹⁹ აქიდან გამომდინარე კოლექტიურ იდენტობას მივყავართ ეთნიკურ იდენტობამდე, რადგან ეროვნული ღირებულებებითა და საერთო ინტერესებით გა-

¹⁸ Turner, J. C., & Tajfel, H. (1986). The social identity theory of intergroup behavior. *Psychology of intergroup relations*, 7-24.

¹⁹ Melucci, A. (1995) The Process of Collective Identity. In: Johnson, H. & Klandermas, B. (Eds.), *Social Movements and Culture*. University of Minnesota Press, Minneapolis, pp. 41–63.

ერთიანებული საზოგადოება სწორედაც რომ მსგავსია კო-ლექტიური ჯგუფისა.

ნაციონალური იდენტობის უმთავრესი მახასიათებელია „სხვისი“ არსებობა, ანუ ჯგუფისა, რომელიც გაუცხოებულია ჩვენგან. ასეთი გაუცხოება ხშირად ნეგატიური მოვლენების წამოწყების მიზეზიც ხდება. ცნობილი ბრიტანელი სოციოლოგი ენტონი სმითი ნაციონალურ იდენტობას განიხილავს როგორც პროცესს, რომელიც მოიცავს პოლიტიკური ერთიანობის გრძნობას, ისტორიას, პატრიოტიზმს, საერთო ლირებულებებსა და ტრადიციებს (Smith 1991 : 9)²⁰. ის აღნიშნავს რომ ნაციონალური იდენტობის პროცესში დიდი როლი აკისრია განათლების სისტემასა და მასმედიას. სმითი გამოყოფს 5 ძირითად თემას, რომელსაც მოიცავს ნაციონალური იდენტობა: ესენია: ტერიტორია, საერთო მითები და ისტორია, საერთო კულტურა, საერთო კანონები და ვალდებულებები, საერთო ეკონომიკა.

მაშასადამე ეროვნული იდენტობა კომპლექსური ფენომენია და მისი გათავისების შემდგომ „უცხო“ ჯგუფებთან დამოკიდებულება შესაძლოა ნეგატიურ კონტექსტში გადაიზარდოს და კონფლიქტები გამოიწვიოს, ვინაიდან ადამიანი ყოველთვის ცდილობს იმ ჯგუფისათვის, ამ შემთხვევაში, კონკრეტულად ერისათვის უპირატესობის მინიჭებას, რომელთანაც აიგივებს საკუთარ თავს. მსგავსი დაპირისპირებების გამოვლინებაა ეთნიკური კონფლიქტები, რაც არც თუ ისე იშვიათი მოვლენაა დღევანდელ სამყაროში.

ეროვნული იდენტობის გაანალიზებისას მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ფაქტორი, რაც გულისხმობს ერის წევრებს შორის ერთიანობისა და სიახლოვის განცდას, რაც ძირითადად გამოიხატება სახიფათო სიტუაციებში, როგორიცაა ომი, სტიქიური უბედურება ან ნებისმიერი სხვა სახის

²⁰ <https://pdfs.semanticscholar.org/293a/8dabdfa7c1cbd9667eaad2-662d6875fe1f5.pdf>

უსიამოვნება. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ 13 ივნისის ტრაგედია, რომლის შემდეგაც ქართველი ერთ მუშტად შეიკრა და საერთო სიკეთის კეთებას შეუდგნენ თავიანთი ფიზიკური თუ სულიერი თანადგომის ხარჯზე. ნაციონალური იდენტობა უზრუნველყოფს მსგავსი ტიპის ემოციურ კავშირს ადამიანებს შორის. ასევე ამ კავშირის მაგალითია ჯარისკაცი, რომელიც მზადაა თავი გასწიროს საკუთარი ერისათვის. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია რელიგიური და კულტურული ფაქტორების გათვალისწინება, როგორებიცაა ის ღირებულებები, წეს-ჩვეულებები, ენა, რწმენები, წარმოდგენები რომლებიც აკავშირებს საზოგადოებას. მათი საშუალებით ეს საზოგადოება უზრთიერთობს და მოქმედებს საერთო, გაზიარებული ნორმებით. ისტორიის პოლიტიკისა და ტეროტორიული მთლიანობისთვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება ხდება ჩვენსსაზოგადოებაში, რომელიც ასევე აყალიბებს იდენტობას, რადგან სახელმწიფოს წარსული, საქართველოს შემთხვევაში გვიმძაფრებს ერთიანობისა და სიამაყის გრძნობას. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო დიდი ისტორიის მქონე ქვეყანაა, ხშირად გვესმის ჩვენი თანამოქალაქებისაგან ისეთი ფრაზები, რომლებიც უპირატესს ხდის საქართველოს სხვა ქვეყანასთან მიმართებით. ვამაყობთ იმით, რომ გვაქვს ხანგრძლივი ისტორია და ამდენი ქარტეხილებისა და ომების შემდგომ ისევ ფეხზე ვდგავართ.

მსგავსი ასპექტების გაზიარებისა და გათვითცნობიერების შემდეგ ადამიანებს უჩნდებათ შიში იმისა, რომ რაიმე გარე ფაქტორებმა შესაძლოა შეარყიოს მათი იდენტობა და ფიქრობენ, რომ ნებისმიერი ახალი რამ, რაც არ ემთხვევა მათ ღირებულებებს, საზიანოა. ამის მაგალითად შემიძლია მოვიყვანო ევროპასთან ინტეგრაციის ნაკლები სურვილი, ეროვნული ღირებულებების დაკარგვის შიშით. სწორედ ეს არის იმის გამოვლინება თუ რამდენად მჭიდროდ ვართ და-კავშირებული საკუთარ ეროვნულ იდენტობასთან და გვეში-

ნია ისტორიის, ტრადიციების, რელიგიისა და კულტურის
სხვა „უცხო“ ძალისაგან წართმევის.

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ წარმოდგენილი
თეორიები და შეხედულებები გვეხმარება სათანადოდ გავი-
აზროთ ზოგადად იდენტობის რაობა და მნიშვნელობა, ხო-
ლო უფრო კონკრეტულად კი მისი ერთ-ერთი მთავარი გა-
მოვლინების – ეროვნული იდენტობის ფენომენი.

Inga Khutsishvili– PhD Student of the Department of Social Sciences,
Georgian Technical University. She works on the problems of social
sciences, is actively engaged in pedagogical activities.

SOCIAL-THEORETICAL UNDERSTANDING OF NATIONAL IDENTITY

ABSTRACT

Contemporary social theories of identity in general and national identity are reviewed in the article. Particular attention is dedicated to the concept of Brubaker R. In the opinion of the author, the presented theories and points of view help us to adequately understand the essence and significance of identity in general and more specifically, one of its main manifestations – the phenomenon of national identity.

**წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერება-
თა აკადემიის პოლიტიკის ფილოსოფიის განყოფილებამ.**

**სოციოლოგია და სოციალური
ფსიქოლოგია**

**SOCIOLOGY AND SOCIAL
PSYCHOLOGY**

კახა ქეცბაია – ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი. საქართველოს ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი – მდივანი. მუშაობს თეორიული ფილოსოფიის (ონტოლოგია, გნოსეოლოგია), სოციოლოგიისა (თეორიული, დარგობრივი და მეტასოციოლოგია) და რელიგიის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ სფეროებში. ეწევა აქტიურ პედაგოგიურ და მთარგმნელობით საქმიანობას.

სიმპოზიუმ-ინტერაქციული პარადიგმები თანამედროვე ქართულ სოციუმში (მცირე სოციოლოგიური ეტიუდი)

სარკისებური მეს თეორია და თანამედროვე ქართული საზოგადოების თვითიდენტიფიკაციის ტრანსფორმაციის თავისებურებანი: დაინტერესებულ დამკვირვებელს სარკისებური მეს თეორია საშუალებას აძლევს რეფორმირების გზაზე მდგომი ქართული საზოგადოების თვითიდენტიფიკაციის ტრანსფორმირების პროცესის უკუ მხარეს შეხედოს. აღმოჩნდა, რომ ჩვენი თვითწარმოდგენები დიდწილად გარე მოლოდინების მიხედვით ყალიბდებიან.

პარტიულ ხელმძღვანელს შეიძლება მაღალი თვითიდენტიფიკაცია მხოლოდ იმ დაჯგუფებაში ჰქონდეს, რომელშიც მას ლიდერად მიიჩნევენ. „მის საქართველოც“ ერთადერთ და განუმეორებლად მხოლოდ იმ დაჯგუფებას მიიჩნევს, რომელიც მსგავს თვითიდენტიფიკაციას იზიარებს. როდესაც ინდივიდები საზოგადოებრივი სტრუქტურების მხრიდან აღიარებას კარგავენ, მაშინ მათი თვითიდენტიფიკაცია მაღე ინგრევა. მაგ., ჩვენში მრავალი საბჭოთა პარტიული ფუნქციონერი თავისი თვითიდენტიფიკაციის შენარჩუნებას იმით ცდილობდა, რომ საკუთარ თავს „ერის მამად და

მარჩენლად, გამოჩენილ თავკაცად წარმოადგენდა“, მაგრამ ამაოდ, რადგანაც მსგავს თვითიდენტიფიკაციას საზოგადოების დიდი ნაწილი არ იზიარებდა და ამიტომ ბევრ ასეთ „მოღვაწეს“ პოლიტიკიდან ან თავისი ნებით წასვლა ან ძალით გაძევება ხვდა წილად. დაახლოებით, იგივე ეხება დღეს არსებულ პოლიტიკურ მეინსტრომს (იქნება ეს „ნაციონალური მოძრაობა“ თუ „ქართული ოცნება“), რომლის თვითიდენტიფიკაცია მნიშვნელადი სხვების სარკისებურ ასახვას არ წარმოადგენს და ამიტომაც არ ილევა პრობლემები ამ სფეროში.

სარკისებური მეს პრინციპების გათვალისწინებით შესაძლებელია სოციალური გაებით, საკუთარი ხვედრის შეცვლა. ეს ხდება მაშინ როდესაც უარს ვეუბნებით იმ „სარკეს“, რომელიც ცხოვრებას გვიმრუდებს. ამ შემთხვევაში აუცილებელია სუბიექტურმა მემ როგორმე ობიექტური მეს სოციალურ ზენოლას გაუძლოს, რაც ახალ სოციალურ გარემოში ახალ სარკისებურ მესთან ურთიერთობის დაწყებას ნიშნავს, რომელშიც ინდივიდი თავის თავს საკმაოდ რესპექტაბელურად ხედავს. თუმცა, კულს (სარკისებური მე სთეორიის ავტორი) მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ლირსების შენარჩუნება საზოგადოების ნებართვაზე იქნება დამოკიდებული. აქ მოქმედებს აქსიომა: „რა ზომითაც აფასებს საზოგადოება ადამიანს, იმ ზომითვე აფასებს ადამიანი საკუთარ თავს“ ანუ თვითიდენტიფიკაცია და თვითშეფასება სოციუმზეა დამოკიდებული.

ცხოვრების მანძილზე ადამიანს ხშირად უწევს იდენტობის შეცვლა – მაგ. ზრდასრულობის ასაკში როდესაც გადადის, დაქორწინების შემთხვევაში, სამსახურის ან პროფესიის შეცვლისას და ა. შ. ეს იმას ნიშნავს, რომ იდენტობა სოციალური კატეგორიადა და არა ბიოლოგიური.

თანამედროვე ქართული საზოგადოება „სარკის“ სახეცვლილებით ხასიათდება, რაც ბუნებრივია რიგ შემთხვევებში დადებითად ან უარყოფითად აისახება ინდივიდთა

ქცევასა და მოქმედებაზე. კარგია თუ არა „სოციალური სარკის“ ცვლილება და რა შედეგებს მოუტანს ეს ქართულ საზოგადოებას, ამ კითხვებზე პასუხი მკითხველისთვის მიგვინდვია.

ჰ. ბლუმერის სპონტანური ქცევის თავისებურებები და თანამედროვე ქართული საზოგადოება: სიმბოლური ინტერაქციონიზმის წარმომადგენლები ადამიანთა სოციალურ მოქმედებას იმ მნიშვნელობებით ხსნიან, რომლებსაც ისინი ამა თუ იმ სიმბოლოებს ანიჭებენ. ეს კი ტიპური ქცევის სახეების კვლევის საშუალებას იძლევა თვით იმ სოციალურ ჯგუფებში, რომლებიც არინსტიტუციური და არც სოციოკულტურული თვალსაზრისით – ბრძო, მასა, საზოგადოებრიობა, – სტრუქტურირებულნი არ არიან, რადგანაც თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში, რომელშიც სიმბოლოების მნიშვნელობათა სწრაფ ცვალებადობას აქვს ადგილი, მასობრივი მოქმედების მნიშვნელობა და მასშტაბები განუხრელად მატულობს.²¹

როდესაც მმართველობითი ინსტიტუციური სტრუქტურები დასუსტებულია და მყარი სოციოკულტურული სიმბოლოები არ არსებობს, მრავალი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე მასებზე პირდაპირ აპელირებას ცდილობს და ამით, არსებითად, ახალ მნიშვნელად სიმბოლოებს სთავაზობს მათ. ამას ხელს უწოდენ მასობრივი ინფრომაციის საშუალებები, რომლებიც მოსახლეობის ყურადღების უფრო ფარო და მასშტაბური მნიშვნელობებისაკენ წარმართვას ცდილობენ.

ამ შემთხვევაში სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორიულ-მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი შეიძლება გამოყე-

²¹ საქართველოში სოციალური მოძრაობების თავისებურებათა შესახებ იხ. ა. ბერძენიშვილის სტატია: „სოციალური მოძრაობის თავისებურება ქართულ სოციუმში“, კრ. „ფილოსფიური ძიებანი“, ტ. 22. თბ., 2017, გვ: 126-164;

ნებულ იქნას იმ მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზის-თვის რომლებსაც ქართული საზოგადოების წარმომადგენ-ლები აძლევენ სოციალურ რეალობას სხვა ქვეყნებისა და კულტურების წარმომადგენელთა ანალოგიურ მოცემულობათა მიხედვით. ამ შემთხვევაში ავილოთ ბლუმერის მიერ ჩა-მოყალიბებული სპონტანური კოლექტიური ქცევის ორი ფორმა: **მოქმედი** და **ექსპრესიული ბრძო.**²²

დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით, ქართულ სოცი-უმში **მოქმედ ბრძოს** არათუ დიდი ადგილი უკავია, არამედ რიგი ნიშან-თვის ებებითაც განსხვავდება. ჩვენთან, როგორც წესი, მსგავსი სპონტანურად შექმნილი ჯგუფები ყალიბდება, როგორც სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და გარ-კვეულწილად კულტურის სფეროებში მოქმედ უწინდელ მნიშვნელობებზე რეაქცია. გარდა ამისა, ქართული საზოგა-დოების გაზრდილმა კონფლიქტურმა პოტენციალმა შეიძ-ლება დიდი სოციალური და ნაციონალური ჯგუფების მოქ-მედ ბრძოდ გადაქცევამდე მიგვიყვანოს. მაგ. როდესაც ისი-ნი რომელიმე მოვლენას განუზომლად დიდ ირაციონალურ მნიშვნელობას მიანიჭებენ, მაშინ შეიძლება მათი ქცევა და მოქმედება ბლუმერის მოქმედი ბრძოს ქცევის ანალოგიური გახდეს (მაგალითების მოტანა თანამედროვე ქართული სი-ნამდვილიდან მკითხველისთვის მიგვინდვია).

აქვე შეიძლება **ექსპრესიული ბრძოს** ნიშნებიც ნვახოთ ქართულ რეალობაში. თუკი ტრადიციულად ექსპრესიული ბრძო დადებითი შეფერილობის მქონე ემოციურ ცეკვებში ვლინდება (კარნავალები), მაშინ ჩვენთან მსგავსი ჯგუფების წარმოშობა მნიშვნელოვანნილად უცხო ცხოვრების წესის დიქტატისაგან, უცხო სოციოკულტურული ღირებულებები-საგან და სხვა მსგავსი მოსალოდნელი საფრთხეებისგან გაქ-

²² შევნინავთ, რომ მსგავსი ტერმინების გამოყენებით ადგილი არ აქვს ქართული საზოგადოების შეურაცხყოფას. ეს მეცნიერული ტერმინოლოგია ბლუმერის შემოტანილია სოციალურ მეცნიერებებში და სულაც არ აკნინებს რომელიმე საზოგადოებას.

ცევით იქნება მოტივირებული. ის ეროვნული ცეკვები რომ-ლებსაც ხშირად ტელევიზით ვიხილავთ საკუთარი მეს, ნა-ციონალური ფაქტორის დემონსტრირებაა. ამასთან ექსპრე-სიული ბრძოს წარმომადგენებს ცხადი წარმოდგენა არ აქვთ როგორ დაალწიონ თავი საფრთხეებს და იპოვონ გამოსავა-ლი ჩიხური სიტუაციიდან. იგივე შეიძლება ითქვას იმ საჯა-რო კონცერტებზე რომლებსაც მთავრობა მართავს ან აფი-ნანსებს. მათი მონაწილეები განცდადი ექსტაზის საშუალე-ბით ცდილობენ გაექცნენ საშიშ სოციალურობას, კორუფცი-ას, უფლებობას, უსამართლობას და სხვ. ამ მხრივ ინტე-რესს **გარანტიოზული შოუ** იწვევს, რომელიც ასევე ხელი-სუფლების მიერ არის ორგანიზებული. იბადება კითხვა: რო-გორია ამ შოუების ლატენტური ფუნქციები? ერთ-ერთი ჰი-პოთეზის მიხედვით, საქმე მნიშვნელადი რისკებისაგნ ადამი-ანთა გარიდებასთან და ამით ყოველდღიურობის ნეგატიური პოლიტიკური დეტალებისაგან დისტანცირებასთან გვაქვს.

შეიძლება ვივარუდოთ, რომ სამომავლოდ ჩვენს ცხოვ-რებაში მყარი სოციალური სიმბოლოების გამოვლინებასთან ერთად ელემენტარული კოლექტიური ქცევის მასშტაბები შემცირდება და მათ სოციალური ქცევის ფიქსირებული ფორმები გააქრობენ, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოე-ბის საფუძვლებს წარმოადგენენ.

Kakha Ketsbaia – doctor of Philosophy, Professor. Academician-secretary of the Academy of Philosophical Sciences of Georgia. Studies problems of theoretical philosophy (ontology, gnosiology), sociology (theoretical, branch, meta-sociology) and philosophy of religion and theology. He is the author of more than 100 scientific works in these spheres of science. Lectures on these problems, translates scientific works into Georgian.

SYMBOLIC-INTERACTIVE PARADIGMS IN THE CONTEMPORARY GEORGIAN SOCIUM (Short Sociological Study)

ABSTRACT

In the article specific features of transformation of the contemporary Georgian society's self-identification are discussed on the basis of Cooley's theory of "looking-glass self". Special attention, as well, is paid to peculiarities of spontaneous behavior, which are pointed out by H. Blumer, in relation to the contemporary Georgian socium.

ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებაში.

ამირან ბერძენიშვილი – ფილოსოფიის დოქტორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიკოსი. მუშაობს სოციალური და პოლიტიკური ფილოსოფიისა და სოცილოგიის სფეროში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ დარგებში, მათ შორის მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები.

ინფორმაციონური განვითარების პროგლობი განვითარების საუკუნის საქართველოში

თანამედროვე საზოგადოებას ხშირად "ინფორმაციულ საზოგადოებას" უწოდებენ, რაც ამ საზოგადოებაში ინფორმაციის როლისა და მნიშვნელობის ზრდაზე მიუთითებს. ინფორმაცია, როგორც ცოდნის გადაცემის საშუალება ყველა საზოგადოებაშიმნიშვნელოვანი იყო; ახალი საზოგადოების განმასხვავებელ ნიშანს ის წარმოადგენს, რომ ახალი ტექნოლოგიური პირობების წყალობით ინფორმაციის გენერირება, დამუშავება, გაცვლა და მოხმარება ძალაუფლებისა და წარმოების პროდუქტიულობის წყაროდ იქცა. აქ ინფორმაციის დამუშავება ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიების გაუმჯობესებაზეა მიმართული. ტექნოლოგიურ განვითარებაზეა ინფორმაციონალიზმი ორიენტირებული; ინფორმაციის მოპოვება, მისი დამუშავება, შენახვა და გადაცემა არის ის ძირითადი ამოცანები, რომელიც ამ ეპოქის წინაშე დგას.

ინფორმაცია არის ახალი ეპოქის მთავარი მამოძრავებელი ძალა. ინფორმაციის გაცვლის მთავარ საშუალებას კი დღეს ინტერნეტი წარმოადგენს. ცივილიზაციის ხარისხი მეტწილად კომპიუტერული კომუნიკაციის განვითარებასთანა დაკავშირებული. დღეს ინტერნეტი და ზოგადად ინფორმაციული ტექნოლოგიები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აღწევენ.

ინტერნეტის განვითარებისა და მისი მომხმარებლების რაოდენობის მატების კვალდაკვალ, სოციალური მედიის როლი ადამიანების ცხოვრებაში სულ უფრო იზრდება. ტერმინი „სოციალური მედია“ ადამიანებს შორის ინტერნეტის საშუალებით დამყარებულ კომუნიკაციასაღნიშნავს. სოციალური მედიის პირობებში, ჩვენ თვითონ ვქმნით ინფორმაციას, ვავრცელებთ და ვიღებთ უკუკავშირს ინტერნეტის სხვადასხვა მომხმარებლისგან და ეს ყველაფერი ხდება ონლაინ რეჟიმში, რაც სოციალურ მედიას უფრო ინტერაქტიულს და საინტერესოს / მიმზიდველს ხდის.

ინტერნეტი შეიძლება მოვიაზროთ როგორც არაიერარქიული, არსებითად სიმეტრიულ იკომუნიკაციის ფორმა, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომია. ასევე მას შეუძლია საზოგადოების სფეროების დაახლოება ერთმანეთთან და ღიაა ნებისმიერი მოქალაქისათვის.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია რაც ინტერნეტს აქვს, არის შესაძლებლობა, რომ მოქალაქეთა ინიციატივები საჯარო გახადოს. სწორედ ეს ფუნქციასახავს იმედს, რომმედიაში დემოკრატიის დეფიციტი შესაძლებელია დაძლეულ იქნას. ხვალინდელი დემოკრატიული მედია, რომელიც წარმოდგენილი იქნება ინტერნეტით, დაგვანახებს ახალ სამყაროს, სადაც ტელევიზიის უმეტესი კანონი აღარ იქნება რელევანტური. ახალი საზოგადოებრივი სფერო ხელს შეუწყობს ყველა მოქალაქეს, მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში და ამით გამოხატონ თავიანთი შეხედულება და გაიღრმავონ ზოგადი ცოდნა.

ინტერნეტის ქსელი დღესდღეობით ელექტორატის ურთიერთობის ყველაზე დემოკრატიული და სწრაფმზარდი სისტემაა. როგორც მკვლევარები იმედოვნებენ, ელექტორონული კომუნიკაციები ელექტორალური პროცესების თვალსაზრისით, ისეთივე რევოლუციური გახდებიან, როგორც რადიო და ტელევიზია. თუმცა, რადიოს აუდიტორიის დასაპყრობად დასჭირდა 50 წელი, ტელევიზიას – ამაზე ბევრად

ნაკლები დრო, ელექტრონული კომუნიკაციების განვითარება კი – ფეთქებად ხასიათსატარებს.

ჩვენ ხშირად გვხვდება და ვხედავთ თუ როგორ ანაცვლებს ძველი მედია საშუალებები ძველ ტექნოლოგიებს ახლით. მაგალითად, გაზეთების გამომცემლებმა და რადიო სადგურებმა წარმატებით განახორციელეს ინტერნეტში თავიანთი პროდუქტის განთავსება, თანაც ისე რომ შეინარჩუნეს ისეთივე სახე, როგორიც ძველ-კლასიკურ პერიოდში ჰქონდათ.

კომუნიკაციის ენა, რომლითაც დღეს ახალი ეპოქის ახალგაზრდა და „ნიგნიერი“ წარმომადგენელი ოპერირებს, ფრიად რთულია და თავის თავში ერთმანეთზე აქტიურად ურთიერთზემოქმედ ქვესისტემათა სიმრავლეს მოიცავს. ცხადია, რომ რაც უფრო გვიან იწყებს ადამიანი ახალი ენის შესწავლას, მისი დაუფლება მით უფრო უძნელდება. ყველაზე მოწყვლადი სოციალური ჯგუფი ციფრული წიგნიერების მიღწევაში 55 წლის და უფროსი ასაკის ადამიანები არიან. მათ ახალი ენისა და ტექნოლოგიების ათვისება არა მხოლოდ უძნელდებათ, არამედ ახალი ლირებულებების, ცხოვრების ახალი ხასიათის (წესის) და ახალი კულტურის ათვისებაც უჭირთ.

სკოლის მასწავლებელთა და უმაღლესი სკოლის პედაგოგებს შორის ეს ასაკი კრიტიკულ და არაპროდუქტიულ ასაკად არ ითვლება. თუმცა ახალგაზრდა მასწავლებლებმაც და ლექტორებმაც ახალი ენის ათვისება უკვე ზრდასრულებმა დაიინტერესოს. არაა გასაკვირი, რომ მისი საფუძვლების დაუფლებისას, ჩვენ მაინც „მიგრანტებად“ ვრჩებით, რომლების-თვისაც იგი უცხოა.

მათთვის კი, ვინც ციფრულ წიგნიერებას სრულად ფლობს, კიდევ უფრო ნათელი გრადაცია არსებობს. ის, ვინც კომპიუტერული კომუნიკაციის ენას გაცნობიერებულად, ზრდასრულ ასაკში დაეუფლა, „digitally Literate“, ე.ი. ციფრულ მიმართებაში წიგნიერად ითვლება. ის კი, ვინც იგი ბავ-

შვობაში, ინტუიციურად აითვისა, „digitalilly Savvy”, ე.ი. ციფ-
რული ენის თავისუფლად მფლობელად იწოდება. მაგრამ,
დღეს მეცნიერები უკვე მესამე კატეგორიას გამოყოფენ –
ესენი ის ბავშვებია, რომლებიც 2000 – იანი წლების შუაში
Web 2.0 – ის ერთდროულად გაჩნდნენ, და ციფრული მოწყო-
ბილობები პირველ სათამაშოებთან ერთად აიღეს ხელში. ამ
ბავშვებისთვის ციფრული ენა მშობლიური ხდება და მათ
“digitally native”-ს, ე.ი. ციფრული წიგნიერებით თანმობილ-
დაბადებულ ადამიანებს უწოდებენ. ეს თაობა ჯერ ახალგაზ-
რდა და არაერთგვაროვანია, მაგრამ მანძილი მათსა და
ჩვენს ანუ იმ ადამიანებს შორის, რომლებიც მათ რამდენიმე
წლის შემდეგ უნივერსიტეტებში შეხვდებიან ან უკვე სკო-
ლებში ხვდებიან, არაჩვეულებრივად დიდია. საქმე ის კი
არაა, რომ ჩვენ ციფრულ ტერმინებში კარგად ვერ ვაზროვ-
ნებთ, არამედ ისაა, რომ ციფრული წიგნიერება იმ სოციო-
კულტურულ გარემოს განსაზღვრავს, რომელშიც ეს ბავშვე-
ბი ცხოვრობენ, და მათ შორის ჩვენც ვცხოვრობთ. ისტორიის
სანაგვეზე მიდის მასობრივი წარმოების, მასობრივი კომუნი-
კაციის და მასობრივი განათლების ეპოქა, და მასთან ერთად
ისიც, რაც ჩვენთვის ფასეული და ძვირფასი-ლირებული იყო.
მეტად აღარ არსებობს ურყევი ჭეშმარიტებები და ავტორი-
ტეტები – სამყარო ლიაა ახალი იდეების, ჰიპოთეზებისა და
ფაქტებისადმი, რომლებიც ელვისებურად-ყოველწამიერ ახ-
ლდება და მოწმდება. წიგნი მეტად აღარ არის ცოდნის წყა-
რო – იგი ვერ უსწრებს მას. ცოდნისა და მისი გადაცემის
სისტემათა გაზომვის სტანდარტიზებული ინსტრუმენტები
მოსწავლეთა მიერ ამ ცოდნის წვდომის ხასიათს უკვე აღარ
შეესაბამებიან. უფრო მეტიც, განათლების სისტემაც კი
ცოდნის გავრცელებაში თავის პოზიციებსა და პრიორიტე-
ტებს კარგავს. შეიძლება მათ გარეშეც კი ისწავლო და თა-
ნაც წარმატებით. ამ ახალ სამყაროში თითოეულმა თვითონ
უნდა იპოვოს თავისი თავი, თანაც მასობრივი შეხედულებე-

ბის თუ ტრადიციული წარმოდგენების საპირისპიროდ, ღირებულების მქონე საკუთარი იდეების პროდუცირება (წარმოება) უნდა ვისწავლოთ.

ტექნოლოგია ჰაერს ჰგავს

მაშინ, როცა ციფრული თაობის ბავშვებმა აითვისეს ტექნოლოგია, გაიზარდნენ მასთან ერთად, ზრდასრულებს მასთან – სხვადასხვა და ბევრად უფრო რთულ სწავლის პროცესთან შეგუება მოგვიწია. ბევრი ბავშვისთვის, ახალი ტექნოლოგიის გამოყენება ისეთივე ბუნებრივია, როგორც სუნთქვა. გაცილებით ძნელია ასწავლო ხანდაზმულ ადამიანებს ახალი ტექნოლოგიები. სრულიად ახალი ტიპის კომუნიკაცია, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საკუთარი თავის გართობა ბევრად რთული ასათვისებელია და ჩვენში არსებული აზროვნების ძველი პატერნები უნდა შეიცვალოს, რათა ახალ ტენდენციას ავყვეთ.

ტექნოლოგია მთლიანად გამჭვირვალეა „ციფრული თაობისთვის“. „ის არ არსებობს. ის ჰგავს ჰაერს“.

„ციფრული თაობა“ არ იღებს მხოლოდ იმას, რაც მათ აქვთ მოცემული. ისინი აქტიური ინიციატორები, თანამშრომლები, ორგანიზატორები, მკითხველები, მწერლები, ავტორები არიან. ისინი არ აკვირდებიან; ისინი მონაწილეობენ. ისინი იძიებენ, განიხილავენ, კამათობენ, თამაშობენ, ყიდულობენ, აკრიტიკებენ, შეიმეცნებენ და ფანტაზიორობენ.

ბავშვებს უწევთ მხოლოდ მოძებნონ და უპრალოდ, შესედონ ინფორმაციას. ეს აიძულებს მათ მუდმივად იაზროვნონ და საგამოძიებო უნარ-ჩვევები დახვეწონ. ისინი კრიტიკოსები გახდნენ. ცალმხრივი სამაუწყებლო მედიიდან ინტერაქტიულ მედიაში გადაადგილებამ „ციფრულ თაობაზე“ ძლიერი გავლენა მოახდინა.

„ციფრული თაობის“ 8 წესი, სტანდარტი

ეს თაობა მშობლების თაობისგან 8 ნიშნით განსხვავდება. ამ განსხვავებულ მახასიათებლებს „ციფრული თაობის წესებს“, ზოგიერთი კი სტანდარტებს უწოდებს. თითოეული ნორმა დამოკიდებულებების და ქცევების კლასტერია, რომელიც ამ თაობასახასიათებს. ეს ნორმები ცენტრალურია იმის გაგებაში, თუ როგორ ცვლის ეს თაობა სამუშაოს, ბაზარს, სწავლას, ოჯახს და საზოგადოებას. ციფრული თაობის დამახასიათებელი სტანდარტები, ანუ ქცევის ის თავისებურებები, რითაც ისინი განსხვავდებიან სხვა თაობებისაგან – არის:

- 1)თავისუფლება;
- 2)მომხმარებელზე მორგება;
- 3)კრიტიკული განხილვა;
- 4)ერთიანობა;
- 5)თანამშრომლობა;
- 6)გართობა;
- 7)სიჩქარე;
- 8)ინოვაცია.

ამ 8 სტანდარტს/წესა თუ ნორმასდღევანდელი დასავლელი ახალგაზრდების გამოცდილებაში აქვს ფესვები გადგმული. ისინი ცდილობენ იყვნენ შემოქმედები, ინიციატორები, მოთამაშები, თანამშრომლები. ახალგაზრდები თავისი მშობლების და ბებია-ბაბუის თაობის ადამიანებისგან მრავალმხრივ განსხვავებულები არიან.

1) თავისუფლება

მათ ყველაფერში თავისუფლება სურთ, არჩევანის თავისუფლებიდან გამოხატვის თავისუფლებამდე. მათვის არჩევანი უანგბადივითაა. მაშინ, როცა უფროს თაობას აღი-

ზიანებს ბრენდები, პროდუქტების მრავალფეროვნება, „ციფრული თაობა“ ამას დელეგირებულად თვლის. მათვის მიზნის მისაღწევი საშუალება ტექნოლოგიაა, რომლითაც საჭიროების შესაბამისად მარკეტინგულ შეტყობინებებს პოულობენდა გაურკვევლობებს ჭრიან. ისინი იყენებენ ტექნოლოგიას, რათა თავი დააღწიონ ტრადიციულ ოფისებში ინსტიტუციონალურ შეზღუდვებს და სამუშაოებს სახლის პირობებში ასრულებენ. „ციფრული თაობა“ პოულობს თავისუფლებას საკუთარი პიროვნების გამოსახატავად და საკუთარ გზას იკვლევს.

ინტერნეტმა მისცა მათ თავისუფლება აარჩიონ რას შეიძენენ, სად იმუშავებენ, როდის რომელ მეგობართან ისაუბრებენ და სად იქნებიან სასურველ დროს. ეს ახალგაზრდები მოელიან აარჩიონ სად და როდის იმუშავებენ, ისინი იყენებენ ტექნოლოგიებს, რათა თავი დააღწიონ ტრადიციულ ოფისებს და რუტინულ სამუშაოს. ისინი აერთიანებენ სახლში ყოფნას და სამუშაო ცხოვრებას. ურჩევნიათ, იმუშაონ სხვადასხვა ადგილებზე, ვიდრე ერთ კონკრეტულ ოფისში. ასევე მათ სურთ მუშაობა სახლიდან გაუსვლელად, თავიანთ ოთახებში, საკუთარ კომპიუტერებში.

თავისუფლების ძიება მნიშვნელოვნად ცვლის განათლებას. ახალგაზრდებს სულ უფრო მეტ ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი. მათ შეუძლიათ ინფორმაცია ნებისმიერ დროსა და ადგილას მიიღონ. გარდა ამისა, აღარაა საჭირო ლექციებზე დასწრება, და შესაძლებელია ის სახლიდან გაუსვლელად მოისმინო.

2) კლიენტის/მომხმარებლის მოთხოვნებზე მორგება

ისინი უპირატესობას ანიჭებენ მოთხოვნილებებთან შესაბამისობას და ინდივიდუალურობას. თანამედროვე ახალგაზრდებს შეუძლიათ შეცვალონ გარემო მათ გარშემოთავიანთი დესკტოპი, ვებ-საიტი, ზარი, ეკრანის შემნახველი,

საინფორმაციო წყაროები და გართობის საშუალებები. სამყაროსგან იმას იღებენ, რაც უნდათ, როცა უნდათ და ცვლიან მას. დაივიწყეს სტანდარტული სამსახურეობრივი დის-ციპლინა და მხოლოდ ერთი სახეობის პროდუქტი. ახალი ციფრული თაობა იზრდება ტექნოლოგიების გარემოცვაში და მათ შეუძლიათ ეს უკანასკნელი საკუთარ მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს მოარგონ. ამ თაობის წარმომადგენელისთვის, ტელეფონი მისი პიროვნების გამოხატულებაა. ის კარგად წარმოაჩენს მის სამყაროს. გარდა ამისა აღსანიშნავია სოციალური ქსელებიც. ახალი თაობისთვის პირადი ინტერნეტ სივრცე თითქმის სავალდებულო გახდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია „ფეისბუქი“. სადაც ისინი სხვადასხვა როლებს ირგებენ და სასურველ გარემოს ვირტუალურად იქმნიან.

3) გულდასმით/კრიტიკულად განხილვა

ქსელური/ციფრული თაობის წარმომადგენლები, რომლებიც მეტად არიან მიჯაჭვულნი ტექნოლოგიებს და ინტერნეტს, არიან უფრო ფართო ინფორმაციის მქონენი და აქვთ განვითარებული უნარები კრიტიკულად და სიღრმისეულად განიხილონ ნებისმიერი ინფორმაცია, ვინაიდან ინტერნეტში განთავსებულია უამრავი ცრუ ინფორმაცია, ისინი მიჩვეულები არიან, რომ ეჭვის თვალით შეხედონ ყველაფერს, გადაამოწმონ(რაც მათვის კიდევ უფრო მარტივია) და მხოლოდ შემდეგ მიიღონ ინფორმაცია.

მათ აქვთ კრიტიკული ხედვის უნარი. გამჭვირვალობა, კერძოდ, კომპანიების და მათი შეთავაზებების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, როგორც ჩანს, „ქსელური თაობისთვის“ ბუნებრივია.

როდესაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი თაობის წარმომადგენლები ახალგაზრდები იყვნენ, მათთვის „სურა-

თი იყო სურათი, რომელიც აღნერდა რეალობას“, დღეს ეს მიდგომა შეიცვალა, ვინაიდან ფოტოშოპის დახმარებით სუ-რათი შეიძლება არ აღნერდეს რეალობას, და ის უბრალოდ შელამაზებული სინამდვილეიყვეს. **სტუდენტები ამარაგებენ ლექტორს ზუსტი ფაქტებით.** ლორენც დუგლასის მაგა-ლითი, როდესაც ლექციის კითხვისას საუბრობდა პოლიციე-ლების რაოდენობაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, მას სურდა რომ ზუსტი რიცხვი მიეწოდებინა სტუდენტების-თვის, რომელიც ლექციზე შესვლამდე ჰქონდა მონიშნული ფურცელზე. სანამ მან თავის ჩანაწერებში მოძებნა ეს რიც-ხვი, მანამ ერთ-ერთმა სტუდენტმა ინტერნეტში სწრაფად მოიძია ეს ინფორმაცია და მიაწოდა ლექტორს.

4) ერთანობა/ინტეგრაცია

ინფორმაციის გაზიარება სხვებისთვის. ეს თაობა აშკა-რაა, რომ ზრუნავს ერთიანობაზე, სურს იყოს დამხმარე, გულდია, გამჭვირვალე და ყურადღებიანი. ეს არის თაობა, რომელსაც უნდა დაამკვიდროს ტოლერანტობა.

ქსელური თაობა იყენებს ინტერნეტს, რომ გამოარკვი-ოს ინფორმაცია და შემდეგ სოციალური ქსელების საშუა-ლებით გაავრცელოს იგი მეგობრებში.

5) თანამშრომლობა

ციფრული/ქსელური თაობის წარმომადგენლები თა-ნამშრომლობის ძლიერი უნარით გამოირჩევიან. მათ ერთმა-ნეთთან მჭიდრო ურთიერთობები და ახლო კავშირები აქვთ. თანამედროვე ბავშვები თანამშრომლობები „ონლაინ ჩათ-ჯგუფებში“, ეთამაშებიან ერთმანეთს შორ დისტანციაზე, იყენებენ ელ-ფოსტას და აზიარებენ სხვადასხვა ინფორმა-ციას ერთმანეთთან. მათი მიზანია ინტეგრირებული თანამ-

შრომლობა და ღიაობა ყიდვისას და მუშაობის დაწყებისას. ინტერნეტი და სხვა საინფორმაციო, თუ საკომუნიკაციო ტექნოლოგია შლის ბარიერებს კომპანიებსა და მათ ამომრჩევლებს შორის, მომხმარებლების, აქტივისტების და აქციონერების ჩათვლით. თუ მომხმარებელი იკვლევს მომავალ დამქირავებელს და ავლენს მარკეტინგული კამპანიების ნაკლს, მაშინ „ციფრული თაობა“ თავადვე ამონმებს კომპანიის ღირებულებებს.

ისინი გავლენას ახდენენ ერთმანეთის გადაწყვეტილებებზე ინტერნეტ სივრცით, რამდენადაც ერთად განიხილავენ სხვადასხვა ბრენდებს, კომპანიებს, სხვადასხვა სერვისებს, რასაც მკვლევარები ქსელურ გავლენასუნოდებენ. გარდა ამისა, მათ მოწონთ, როდესაც ეკონტაქტებიან მობილურებით მეგობრებს, სადაც არ უნდა იყვნენ და რასაც არ უნდა აკეთებდნენ. ეს მათმთელი დღის განმავლობაში ვირტუალური კომუნიკაციის საშუალებასაძლევს. მათ აქვთ შეგრძნება თითქოს ყველა მეგობარი ახლოს, საკუთარ ჯიბეში ყავთ.

6) გართობა

მაღალტექნოლოგიურ სამყაროში, ციფრული თაობის წარმომადგენლებს შეუძლიათ, გასართობი თუნდაცსამუშაოადგილასიპოვონ, მაგალითად ვირტუალური სათამაში მოედნები. „გუგლში“ არსებობს უამრავი თამაში გასართობად, მაგალითად კლდეზე ცოცვით კედლის აშენება, ასევე სანაპიროზე ფრენბურთის თამაშის საშუალებას გაძლევს ინტერნეტი, ან ერთხელაც აღმოჩნდები ვირტუალურ დარბაზში სათამაშოდ.

თუკი ადრე განსაზღვრული იყო სამუშაო დღის განმავლობაში, რამდენ ხანს უნდა ემუშავა დასაქმებულს და როდის დაესვენა, ახლა დამსაქმებელმა იცის, რომ ბევრად ხა-

ლისიანად მუშაობენ თინეიჯერები, თუკი მუშაობის პროცესში აქტიურად იყენებენ ინტერნეტსაც. ასე, რომ ხშირად ისინი ნებადართულნი არიან აკეთონ თავიანთი საქმე სამსახურში, და პარალელურად არ მოსწყდენენ ვირტუალურ სამყაროსაც, იქნება ეს სოციალური ქსელები, თუ უბრალოდ კომპიუტერული თამაშები.

7) სისწრაფე

გუგლის მსგავსად, ჩათში კომუნიკაციისას მეგობრები ერთმანეთისგან პასუხის სწრაფად გაცემას მოითხოვენ. თუ ხედავ მეგობარს ონლაინ, ის კი აგვიანებს პასუხის გაცემას შეტყობინებაზე, ეს უკვე ეჭვს ბადებს, და გიჩენს შეგრძნებას, რომ დაგაიგნორეს.

გარდა ამისა, ელ-ფოსტა ბევრად უფრო სწრაფია, ვიდრე ლაპარაკი. ამიტომაცაა, რომ Net -Geners უფრო ამჯობინებენ კომუნიკაციას სამსახურში ელ-ფოსტით, ვიდრე შეხვედრით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირველად ხვდებიან პარტნიორს ან მნიშვნელოვანი შეხვედრაა, ისინი უპირატესობას ამ შემთხვევაში პირადად შეხვედრას ამჯობინებენ. Net-Geners სურთ, რომ მათი კარიერა ძალიან სწრაფი ტემპითგანვითარდეს, ისევე, როგორც კომუნიკაციები წარიმართება სწრაფად. და მათ სურთ შეუფერხებლად განვითარონ თავიანთი პროფესიული უნარ-ჩვევები, როგორც სამსახურის დაწყებამდე, ასევე სამუშაო პროცესში.

8. ინოვაცია/სიახლე

ახალი ციფრული თაობა გაიზარდა ინოვაციების კულტურაში, ინოვაციების ერაში. თანამედროვე ტექნიკა, ტექნოლოგიები, მობილური ტელეფონი, თითქმის ყოველ კვირას განიცდის განვითარებას, იცვლება, იხვენება და უფრო და

უფრო მეტ ფუნქციებს ითავსებს. ეჭვის ქვეშ აღარ დგას, რომ ახალ თაობას სურს და ითხოვს ჰქონდეს ბოლო დონის პროდუქტი ხელთ. ბოლო თაობის პროდუქცია მათ სჭირდებათ იმისთვის, რომ თავი მოაწონონ მეგობრებს, თანატოლებს, გარშემო მყოფებს და წარმოაჩინონ თავიანთი სოციალური სტატუსი და იმიჯი.

ეს არის 8 სტანდარტი, რაც ახასიათებს ციფრული თაობის (Net Gener) ახალგაზრდებს. მათთვის ღირებულია თავისუფლება, თუ ვინ იქნებიან ისინი და არჩევანისთავისუფლება. მათ სურთ, ყველაფერი, მათ შორის სამუშაო პირობებიცსაკუთარ მოთხოვნილებებსმოარგონ. ისინი სწავლობენ, იყონ სკეპტიკურები, გამოიკვლიონ ყველაფერი გულდასმით, რასაც ისინი ხედავენ, კითხულობენ მედიაში, მათ შორის ინტერნეტში. ისინი მეგობრებს, თანამშრომელებს შორისინტეგრაციას, კომუნიკაციას და თანამშრომლობასაფასებენ. მათ უყვართ სიახლეები და ახალ-ახალი გამოწვევებისთვისმზად არიან. ომი ახალი წიგნიერებისათვის უკვე ძლიერდება და სწრაფად კრეფს სიჩქარეს. ამ ომში ახალი თაობებისათვის მებრძოლები ძველ შეხედულებებს უკვე – ახალ ცოდნას, ხოლო პოლიტიზაციას(5) არჩევანის თავისუფლებას უპირისპირებენ.

არის თუარა ეს რვა სტანდარტი ქართველი ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი? შეიძლება თუ არა დარწმუნებით ვთქვათ, რომ დღეს ის ქართველები, რომლებიც 20-21 წლისანი არიან ციფრულ თაობას შეადგენენ და იმ რვა სტანდარტიდან თუ ყველა არა ძირითადი მაინც ახასიათებთ? ძნელი სათქმელია! ამ პრობლემაზე მომუშავე მკვლევართა ერთი ნაწილი იზიარებს ინფორმაციული საზოგადოების განვითარების შემსწავლელი ევროპული კვლევითი ინსტიტუტების დასკვნას, რომ „ევროპის ზოგიერთი და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნები ჩამორჩებიან.... OECD

წევრ ქვეყნებს ინფორმაციასთან მუშაობისა და პრობლემების ამოხსნის უნარით“.

ინფორმაცია ახალი ეპოქის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ინფორმაციის გაცვლის მთავარ საშუალებას კი დღეს ინტერნეტი წარმოადგენს. ციფილიზაციის ხარისხი მეტნილად კომპიუტერული კომუნიკაციის განვითარებასთანაა დაკავშირებული. დღეს ინტერნეტი და ზოგადად ინფორმაციული ტექნოლოგიები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აღწევენ. ცნობილი თეზისი – „ვინც ფლობს ინფორმაციას, ის ფლობს სამყაროს“ – დღეს უმთავრეს მნიშვნელობას იძენს.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია რაც ინტერნეტს აქვს, არის შესაძლებლობა, რომ მოქალაქეთა ინიციატივები საჯარო გახადოს. ახალი საზოგადოებრივი სფერო ხელს უწყობს ყველა მოქალაქეს, მონაწილეობა მიიღოს დისკუსიებში და ამით თავიანთი შეხედულება გამოხატონ და ზოგადი ცოდნა გაიღირმავონ. თუმცა თუ გავითვალისწინებთ მსოფლიოში არსებული ციფრული უთანასწორობის დონეს, მაშინ საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს დასკვნა, რომ „ევროპის ზოგიერთი და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნები.... OECD წევრ ქვეყნებს ინფორმაციასთან მუშაობისა და პრობლემების ამოხსნის უნარით ჩამორჩებიან“.

როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში, სკოლიდან დაწყებული კვლევითი ინსტიტუტებით დასრულებული, უმრავლესობა კომპიუტერიზებული და ინერნეტშია ჩართული, უფრო მეტიც, საქართველოს მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარი – ინერნეტს, განასკუთრებით სოციალურ ქსელებს მოიხმარს. ქვეყნის პრობლემა ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის უუნარო მოსახლეობის სიმრავლეში კი არა, არა-მედ ამ მიმართულებით დაჩქარებული ტემპით სვლის ნების არარსებობაშია.

საქართველოს სტუდენტებსა და პროფესურას სრული მისაწვდომობა აქვთ მსოფლიოში აღიარებულ ელექტრონულ

ბიბლიოთეკებთან (უმეტეს შემთხვევაში უფასოდ), მაგრამ ალბათ ძალიან ცოტაა იმათი რიცხვი, ვინც მათ ინფორმაციის დამუშავების (სინთეზი-ანალიზის) მიზნით იყენებს, იმიტომ კი არა, რომ ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის პრობლემა აქვთ, არამედ, ამ ტექნოლოგიების გამოყენების ადეკვატური უნარ-ჩვევები და მათი შესაძლებლობების შესახებ ცოდნა არ აქვთ. ამგვარად, საჭიროა, საქართველოში კომპიუტერიზაციის პროცესის მიმართ არსებული დამოკიდებულებების საფუძვლებში კარგად გარკვევა, რათა ოცდამეტთე საუკუნის საქართველოში ინფორმაციული (უკეთეს შემთხვევაში ინფორმაციონალური – მ. კასტელსის სიტყვით) განვითარების პრობლემები ეფექტიანად გადავჭრათ.

ლიტერატურა:

1. Al Khateeb, A. A. M. (2017). Measuring Digital Competence and ICT Literacy: An Exploratory Study of In-Service English Language Teachers in the Context of Saudi Arabia. *International Education Studies*, 10(12), 38.
2. Castells, M. (2010). The rise of the network Society(2nd ed.). Oxford:Wiley-Blackwell
3. Dijk, J. (2006). Network Society, Social Aspects of the New Media. SAGE
4. DiMaggio, P., Hargittai, E., Neuman, W. R., & Robinson, J. P. (2001). Social implications of the Internet. *Annual review of sociology*, 27(1), 307-336.
5. DiMaggio, P., & Hargittai, E. (2001). From the ‘digital divide’to ‘digital inequality’: Studying Internet use as penetration increases. *Princeton: Center for Arts and Cultural Policy Studies, Woodrow Wilson School, Princeton University*, 4(1), 4-2.
6. Ferrari, A. (2012). Digital competence in practice: An analysis of frameworks. *Sevilla: JRC IPTS.(DOI: 10.2791/82116)*.

7. Gilster, P., & Glister, P. (1997). *Digital literacy*. New York: Wiley Computer Pub..
8. Hicks, T., & Turner, K. H. (2013). No longer a luxury: Digital literacy can't wait. *English Journal*, 58-65.
9. Hargittai, E. (2001). Second-level digital divide: Mapping differences in people's online skills. *arXiv preprint cs/0109068*.
10. Hargittai, E. (2010). Digital na (t) ives? Variation in internet skills and uses among members of the "net generation". *Sociological inquiry*, 80(1), 92-113.
11. Masuda, Y. (1982). Vision of the global information society. *Information technology: Impact on the way of life*. Dublin: Tycooly International Publishing.
12. Murray, M. C., & Pérez, J. (2014). Unraveling the digital literacy paradox: How higher education fails at the fourth literacy. *Issues in Informing Science and Information Technology*, 11, 85.
13. Paino, M., & Renzulli, L. A. (2013). Digital dimension of cultural capital: The (in) visible advantages for students who exhibit computer skills. *Sociology of Education*, 86(2), 124-138.
14. Soldatova, G. V., & Rasskazova, E. I. (2014). Assessment of the digital competence in Russian adolescents and parents: Digital competence index. *Psychology in Russia: State of the art*, 7(4).
15. Soldatova, G. U., & Rasskazova, E. I. (2017). Motivation in the structure of the digital competence of Russian adolescents. *National Psychological Journal*, (1).
16. Lee, A. Y. (2013). Literacy and competencies required to participate in knowledge societies. *Conceptual relationship of information literacy and media literacy in knowledge societies*, 3.
17. Leung, L. (2010). Effects of Internet connectedness and information literacy on quality of life. *Social indicators research*, 98(2), 273-290.
18. Tapscott, D. (2008). *Grown up digital: How the net generation is changing your world* HC. McGraw-Hill.

19. Zillien, N., & Hargittai, E. (2009). Digital distinction: Status-specific types of internet usage. *Social Science Quarterly*, 90(2), 274-291.
20. Wong, Y. C., Fung, J. Y. C., Law, C. K., Lam, J. C. Y., & Lee, V. W. P. (2009). Tackling the digital divide. *British Journal of Social Work*, 39(4), 754-767.
21. Лебедев, П. А., & Петухова, С. И. (2010). Социальные медиа: показатель развития информационного общества? *Мониторинг общественного мнения: экономические и социальные перемены*, (5 (99)).
22. Уилсон, К., Гризл, Э., Туасон, Р., Акъемпонг, К., & Чун, Ч. К. (2012). Медийная и информационная грамотность: программа обучения педагогов. *Алтона Гриззла и Кэролайн Уилсон*.
23. <http://www.itu.int/en/ITU-D/Statistics/Pages/facts/default.aspx>
24. <https://idfi.ge/ge/statistics-of-internet-users-in-georgia>
25. <http://www.internetlivestats.com/>
26. <http://www.internetworldstats.com/stats.htm>
27. <http://ncp.ge/ge/curriculum/competencies/digital-literacy>
28. <http://www.dea.gov.ge/uploads/eGeorgia%20Strategy%20FINAL-GEO.pdf>
29. სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში: რეალური ვირტუალურის ძალაუფლება, 2013.
30. სტუდენტთა ციფრული წიგნიერების დონის კვლევა. კვლევის ანგარიში (ამირან ბერძენიშვილი, ნინო დურგლიშვილი, ილონა გოგია.თბილისი, 2017 წელი. ხელნაწერის უფლებით).

Amiran Berdzenishvili – Doctor of Philosophy, Professor of Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Prof. Berdzenishvili works in the field of Social and Political Philosophy and Sociology. He has published many scientific works in science fields, including monographs and textbooks.

„INFORMATIONAL– COMMUNICATION DEVELOPMENT PROBLEMS IN XXI CENTURY“

ABSTRACT

Modern society is often called as „Information society“ which indicates the increase the role and importance of Information in society. It was important the transmission of Information, as a knowledge in all epochs. The distinctive mark of new society is that, with new technological conditions generating, processing, exchange and consumption of information became as a source of the power and production. The main objectives of this era are information extraction, processing, storage, exchange and consumption.

Information is the main driving force of new age. Today the main channel of sharing information is the Internet. The degree of civilization is largely related with development of computer-mediated communication. Today, the Internet, and in general, information technologies invasion in all spheres of everyday life. The famous thesis – „Who owns the information, he owns the world“ – has the major importance nowadays.

One of the most important function that the Internet has, is in possibility that citizens' initiatives makes public. New public sector encourages all citizens to take part in discussions and thus express their views and improve their general knowledge. However, given the level of the digital divide, then there must be a reasonable conclusion that „Some European and Central Asian countries in the

region fall behind the OECD member countries with ability to work with information and problem-solving“.

However, as in public or private sphere, starting from school to completed research institutions, the majority is computerized and connected with internet, moreover, almost half of population in Georgia – use the Internet, and especially are users of social networks. The problem of country in this side is not in multitude of population with incapable foranalysis and synthesis of information, but rather a lack of will to move an accelerated pace in that direction.

The students and academic staff in Georgia have a full access to some of the world's most recognized electronic libraries (in most cases – for free), but probably very few of these who use them for information processing, synthesis and analysis purposes, it was not that they don't have access with technologies, but they haven't adequate skills for use these technologies and knowledge about the possibilities of these. Thus, it is necessary, perfectly clear attitude towards the principles of the computerization process in Georgia, because we'll be able to solve Information (in the best case - informational – acc. M.Castells) development problems effectively in Georgia in the XXI century.

ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.

ლია მეტრეველი – განათლების მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. არის სახელმძღვანელოების ავტორი. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები როგორც საქართველოში ასევე უცხოეთში. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. ძირითადად მუშაობს ფსიქოლოგიისა და განათლების პრობლემებზე.

ადიპციური პცევის პილევ ერთი სახე

დამოკიდებული ქცევის ბუნების შესახებ წარმოდგენები, რომელიც ვითარდებოდა კულტურის განვითარების პარალელურად და დღემდე არ არის ამონტული, ისტორიულად პირველი, სავარაუდოდ, იყო მორალური მოდელი, რომელიც ადიქტურ ქცევას სულიერების დეფიციტისა და მორალური არასრულყოფილების შედეგად მიიჩნევდა. ეს მოდელი იზიარებს რელიგიურ შეხედულებებს, რომლის შესაბამისადაც დამღუპველი ჩვევები ადამიანის ცოდვიანობის, ერთ-ერთი გამოვლინებაა.

დამოკიდებული (ადიქტური) ქცევა არის ისეთი ქცევა, რომელიც დაკავშირებულია რომელიმე ნივთიერების მოხმარებაზე დამოკიდებულებასთან (ან სპეციფიკური აქტივობის განხორციელებაზე დამოკიდებულებასთან) ადაპტაციისა და ფსიქიკური მდგომარეობის ცვლილების მიზნით. სუბიექტურად იგი აღიმება როგორც ადიქციის ობიექტის გარეშე ცხოვრების შესაძლებლობა, როგორც დაუძლეველი ლტოლოვა მისდამი. ეს ქცევა გამოხატულ აუტოდესტრუქციულ ხასიათს ატარებს, რადგან გარდაუვლად ანგრევს ორგანიზმს და პიროვნებას.

ადიქტიური ქცევის კიდევ ერთი, არც ისეთი საშიში, მაგრამ უფრო გავრცელებული სახე კვებითი დამოკიდებუ-

ლებაა. საკვების ბოროტად გამოყენების ყველაზე ხელმისაწვდომი ობიექტია.

სისტემატური გადაჭარბებული კვება ან, პირიქით, აკვიატებული სწრაფვა გახდომისკენ, საჭმლის არაბუნებრივი არჩევა, დამქანცველი ბრძოლა „ჭარბ წონასთან“, ახალ-ახალი დიეტებით გატაცება – კვებითი ქცევის ეს და სხვა ფორმები ფართოდაა გავრცელებული ჩვენს დროში. ყოველივე ეს უფრო წორმაა, ვიდრე წორმიდან გადახრა. ამის მიუხედავად, კვების სტილი ასახავს ადამიანის აფექტურ მოთხოვნილებებსა და სულიერ მდგომარეობას.

რუსულ ენაში ფართოდაა ასახული კავშირი სიყვარულსა და კვებას შორის: „საყვარელი – ე.ი. ტკბილი. თუ ვინმეს სურვილი გკლავს, ე.ი. განიცდი სიყვარულის შიმშილს. ვინმეს გულის დაპყრობა ნიშნავს მისი „კუჭის დაპყრობას“. ეს კავშირი სათავეს იღებს ჩვილ ბავშვთა განცდებში, როცა მაძლრობა და კომფორტი ერთიანდება, ხოლო დედის თბილი სხეული კვების დროს ბავშვს აძლევს სიყვარულის შეგრძნებას.

ვიტალური მოთხოვნილებების ფრუსტრაცია ადრეულ ასაკში დიდი ალბათობით იწვევს პრობლემებს ბავშვის განვითარებაში. მკვლევარები კვებითი ადიქციების მიზეზს ხედავენ ჩვილსა და დედას შორის დარღვეულ ადრეულ ურთიერთდამოკიდებულებებში. კერძოდ, დედას შეუძლია იზრუნოს თავის პატარაზე საკუთარი და არა ბავშვის მოთხოვნილებების შესაბამისად. როცა ბავშვის სიგნალები არ იღებენ გამოძახილს, იგი ვერ გამოიმუშავებს თვითმყოფადობის ჯანსაღ შეგრძნებას. ამის ნაცვლად ბავშვი საკუთარ თავს დედის გაგრძელებად აღიქვამს და არა სრულუფლებიან ავტონომიურ არსებად.

არანაკლებ მნიშვნელოვანია დედის ემოციონალური მდგომარეობა ბავშვის კვებისას. რ. შპიცის (2000) კვლევების შედეგები დამაჯერებლად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ რეგულარული უემოციო კვება არ პასუხობს ბავშვის მოთხოვ-

ნილებებს. თუკი ბავშვთა სახლის ჩვილები 5 თვეზე მეტ ხანს რჩებოდნენ ასეთ რეჟიმში, მათი მეოთხედი კვდებოდა საჭ-მლის გადამუშავების დარღვევების გამო, დანარჩენებს აღე-ნიშნებოდათ მძიმე სულიერი და ფიზიკური დარღვევები. თუკი თავმდგმურის ოდენობა იზრდებოდა იმდენად, რომ ყოველ ბავშვს ხელში აყვანილს აჭმევდნენ, ამ პროცესს კი ღიმილიც ახლდა თან, დარღვევები არ წარმოიქმნებოდა, ან ქრებოდა. ამრიგად, ბავშვის ჭმევა კომუნიკაციური პროცე-სია.

კვებითი ქცევის დარღვევა შესაძლოა დაკავშირებული იყოს მნიშვნელოვან ობიექტებთან ადრეული ურთიერთობე-ბის დარღვევებთან, დაცულობისა და სიყვარულის დეფიცი-ტის განცდასთან. პიროვნება თითქოს თავიდანვე კარგავს მაძლრობისა და დაკმაყოფილების შეგრძნების უნარს. საკვე-ბი, ნარკოტიკების მსგავსად, არაცნობიერად ირჩევა ინფან-ტილური აფექტებისგან, მაგალითად, დეპრესიისა და შიში-საგან თავის დასაცავად. ამის შედეგად ძნელდება კონტრო-ლი საკვების მიღებაზე. ადამიანს შეუძლია უკონტროლოდ შთანთქოს საჭმელი ან, პირიქით, მთელი ძალ-ღონე მოახმა-როს თავისი „აპეტიტის“ გაკონტროლებას.

მოცემული ქცევა ასევე დაკავშირებულია იმასთან, რომ მასობრივი ინფორმაციის თანამედროვე საშუალებები იდეალის სახით ახალგაზრდებს თავს ახვევენ გამხდარი ლა-მაზმანის სახეს. გარდა ამისა, მრავალ კულტურაში საკვები ძალიან მრავალფეროვანია, რაც ასევე ხელს უწყობს არაა-დეკვატურ კვებით ქცევას. ცხოვრების დონის გაუმჯობესე-ბასთან ერთად იზრდება ასევე კვებითი ქცევის დარღვევე-ბის სიხშირე.

მთლიანობაში, კვებითი ადიქციები არ წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს პიროვნების ან საზოგადოებისთვის. იმავდროულად, კვებითი დამოკიდებულების უკიდურესი ვა-რიანტები, როგორიცაა, მაგალითად, ნევროზული ანორექ-

სია (ბერძნ. „ჭამის სურვილის არქონა“) და ნევროზული ბულიმია (ბერძნ. „მგლური შიმშილი“) სერიოზულ და ძნელად დაძლევად პრობლემებს მიეკუთვნება. სახელწოდებამ „ნევროზული ანორექსია“ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს, რადგან იგი გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს აპეტიტის დაკარგვა. ფაქტობრივად, პრობლემა დაკავშირებულია ტანადობისადმი ფანატიკურ სწრაფვასა და გასუქების დამთრგუნველ შიშთან. ნერვული ანორექსიის დროს ცეცვა შეიძლება გამოიხატოს საჭმელზე უარის თქმით ან კვების მკვეთრი შეზღუდვით. მაგალითად, გოგონას დღიური რაციონი შეიძლება შედგებოდეს ვაშლის ნახევრის, იოგურტის ნახევრისა და ორი ნაჭერი ორცხობილისგან. ამას ასევე შეიძლება თან ახლდეს ლებინების გამოწვევა, საფალარათო საშუალებების მიღება, გადაჭარბებული ფიზიკური აქტივობა, აპეტიტის დამაქვეითებელი საშუალებების ან საფალარათო პრეპარატების მიღება. ამასთან აუცილებლად შეინიშნება წონის მკვეთრი დაკლება. დამახასიათებელია ასევე სპეციფიკური ზეფასეული იდეით შეპყრობა – ასთენური აგებულების ქონა. აშლილობა, როგორც წესი, იწყება პუბერტატული პერიოდის წინ და იწვევს სქესობრივი განვითარების დარღვევებს, სხეულის ზრდის შეფერხების ჩათვლით, რაც რემისის დროს ხშირად შექცევად ხასიათს იღებს. მკაფიოდ გამოხატული კახექსიის (გამოფიტვის) სტადიაზე ვლინდება ნეიროფიზიოლოგიური დარღვევები: კონცენტრაციის უუნარობა, სწრაფი ფსიქიკური გამოფიტვა.

კვებითი ადიქტების უმეტესობაში შეინიშნება: კონტროლის დაკარგვა; სხეულის სქემის აშლილობა (ეს ეხება ყველაზე მგრძნობიარე სფეროებს, როგორიცაა მუცელი, დუნდულოები და ბარძაყის ზედა ნაწილი. დროთა განმავლობაში იკარგება შიმშილის და მაძლრობის შეგრძნება. თითქმის ყოველთვის ადგილი აქვს მხოლოდ დაბალ თვითშეფა-

სებას. დაავადებისა და მზარდი კახექსის მიმდინარეობისას ინტერესების წრე ვინოვდება, იყარგება სოციალური კავშირები და იზრდება განწყობილების დეპრესიული ცვლილება. შეინიშნება ასევე საკვების მიღების გამოხატული რიტუალები და აკვიატებული აზრები, რომლებიც ძირითადად საკვებსა და კალორიულობას შეეხება. ჩნდება უმნიშვნელო ინტერესი სექსისადმი და გადაჭარბებული სწრაფვა წარმატებისაკენ. ფსიქოპათოლოგიური ფენომენები ნაწილობრივ დამოკიდებულია სხეულის წონაზე და ქრება მისი აღდგენისას.

კვებითი ქცევის დარღვევის განვითარებაში მონაწილეობს ბიოლოგიური კულტურალური, ოჯახური და ინტრაფსიქიური ფაქტორები. გამოყოფენ შემდეგი რისკის ფაქტორები: პუბერტატულ ასაკს; მდედრობით სქესს (შემთხვევების 90-95 %-ში) გამხდრის იდეალის ძლიერ გავლენას (მაგალითად ფოტომოდელებსა და პროფესიონალ სპორტსმენებში); სტრესს საკუთარი თავისადმი მაღალ მოთხოვნებთან დაკავშირებით (მაგალითად, მედიცინის შემსწავლელ სტუდენტ გოგონებში); საკუთარი შეგრძნებების აღქმის არასაკმარის უნარს; ოჯახურ კონფლქიტებსა და ძალზე მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებებს; პუბერტატის ძალზე ადრეულ დადგომას; ტყუპებს; ინსულინდამოკიდებულ დიაბეტს.

აღნიშნული აშლილობა, საყოველთაო შეხედულებით, მჭიდროდაა დაკავშირებული მოზარდების ასაკის პრობლემატიკასთან. გავრცელებულია შემდეგი ინტერპრეტაცია – ანორექსია წარმოადგენს პრობლემების გადწყვეტის საშუალებას წონის შემცირების გზით. ამ თეორიის თანახმად, შიმშილობის მეშვეობით სქესობრივი მომწიფების ფიზიკური ნიშნები ფაქტობრივად აღარ შეინიშნება, რაც გოგონას აძლევს საშუალებას „დარჩეს ბავშვად“ და თავიდან აიცილოს ასაკისთვის დამახასიათებელი ფსიქოსექსუალური მოთხოვნები. თვითიდენტურობისა და ავტონომიის (მშობლებისგან გამოყოფის) ასაკობრივი პრობლემები გადადის „ბრძოლის

ველზე კვების სფეროში“, რისი წყალობითაც ხანგრძლივი დროის მანძილზე ნარჩუნდება სიმბიოზური დამოკიდებულებები ოჯახთან. ნევროზული ანორექსიით შეპყრობილი გოგონების უმეტესობას სწამს, რომ ისინი „ცუდები, მახინჯები და წარუმატებლები არიან“. სინამდვილეში ასეთი დარღვევა ხშირად გვხვდება სწორედ „კარგ გოგონებში“. ნევროზულ ანორექსიას ხშირად უწოდებენ ფრიადოსნების დაავადებას. ეს გოგონები მთელი ცხოვრების მანძილზე ცდილობდნენ თავიანთი მშობლების მოლოდინების გამართლებას, მაგრამ მოულოდნელად გახდნენ ჯიუტები და ნეგატივისტურად განწყობილები თინერჯერულ ასაკში. როგორც ჩანს, ნევროზული ანორექსია ვითარდება როგორც „თვითმკურნალობის, სხეულის დისციპლინის მეშვეობით თვითმყოფადობისა და პიროვნებათაშორისი ეფექტიანობის შეგრძნების გამომუშავების მცდელობა“. ანორექსული პიროვნების ოჯახი გარეგნულად შეიძლება ძალზე ჰარმონიულადაც კი გამოიყურებოდეს. იმავდროულად, ოჯახური ატმოსფეროსთვის დამახასიათებელია: გადაჭარბებული ორიენტაცია სოციალურ წარმატებაზე, დაძაბულობა, გადაჭარბებული მზრუნველობა და ჰიპერმზრუნველობა, კონლიქტების გადაწყვეტის თავიდან აცილება. ქცევითი დარღვევა შეიძლება წარმოადგენდეს პროტესტს ოჯახის გადაჭარბებული კონტროლის წინააღმდეგ.

კვებითი ადიქციის სხვა ფორმის – ნევროზული ბულიმიის მქონე პიროვნებები ჩვეულებრივ გამოირჩევიან შედარებით ნორმალური წონით. ბულიმია არც დაავადებაა და არც უბრალოდ ჩვევა. ეს გახლავთ ქცევითი ჰატერნი, რომელიც წარმოადგენს ზოგიერთი მიზეზის შედეგს და ფესვს იდგამს კულტურაში, სადაც ბულიმია სულ უფრო ფართოდ ვრცელდება. მაგალითად, ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ დარღვეული კვებითი ქცევა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი სქემის გამო:

- დიდი ოდენობით საკვების შეტევითი შთანთქმა (აპე-ტიტი მოულოდნელად ჩნდება;
- მუდმივი ჭამა (ადამიანი ჭამს შეუსვენებლად);
- მაძლრობის შეუგრძნობლობა (ადამიანი მიირთმევს დიდი ოდენობით საკვებს და ვერ ძლება);
- ღამით ჭამა (შიმშილის გრძნობა ჩნდება ღამით).

უკონტროლიო ჭამის ხშირი შეტევების გარდა ბულიმი-ისათვის დამახასიათებელია წონის აქტიური კონტროლი ხშირი ღებინების გამოწვევის ან საფალარათო საშუალებე-ბის გამოყენების გზით.

მაშინ როცა ანორექსიისკენ მიდრეკილ პიროვნებას ახასიათებს ეგოს მეტი ძალა და სუპერ-ეგოს მეტი კონტრო-ლი, ბულიმიურ პიროვნებას შეიძლება ანუხებდეს იმპულსის განმუხტვის შეჩერების ზოგადი უუნარობა, რომლის საფუძ-ველსაც წარმოადგენს შესუსტებული ეგო და არასამედო სუპერ ეგო. ჭარბი საკვები და კუჭის გაწმენდა არ წარმოად-გენს ერთადერთ პრობლემას, ხშირად მათ ასევე ახლავს იმ-პულსური თვითდამანგრეველი სექსუალური დამოკიდებუ-ლებები ან ნარკოტიკების მოხმარება.

ბულიმისკენ მიდრეკილი პიროვნებები პიროვნებათა-შორის ურთიერთობებს ხშირად იყენებენ თვითდასჯის სა-შუალებად. დასჯაზე მოთხოვნილების წყარო შეიძლება იყოს მშობლების ფიგურების წინააღმდეგ მიმართული არაცნობი-ერი აგრესია. ეს მრისხანება გადადის საკვებზე, რომელიც შთაინთქმება და იშლება. კვებითი დარღვევების მქონე ადა-მიანებს ზოგადად არ შეუძლიათ საკუთარი დამოკიდებულე-ბების დამაკმაყოფილებლად რეგულირება, ასე რომ მათ კონფლიქტები გადააქვთ საკვებთან ურთიერთდამოკიდე-ბულებზე. თუ ანორექსული პიროვნებები ინარჩუნებენ კონტროლს ადამიანების მიმართ თავიანთ აგრესიულ გრძნობებზე ჭამაზე უარის თქმით, ბულიმიური პიროვნებე-ბი – სიმბოლურად ანგრევენ ადამიანებს გულისრევასა და ღებინებამდე საკვების გადაჭარბებული მიღების გზით.

ბულიმიური ოჯახური სისტემა მოიცავს მისი ყოველი ნევრის ძლიერ მოთხოვნილებას საკუთარი თავის „ძალზე კარგად“ აღქმაზე. მიუღებელი თვისებები მშობლებში ხშირად აისახება ბულიმიურ ბავშვზე, რომელიც ერთგვარად აგროვებს ყოველივე „ცუდს“. ბავშვი არაცნობიერად ახდენს იდენტიფიცირებას ამ პროექციებთან და ხდება ოჯახური სიხარბის ან იმპულსურობის მატარებელი. ამის შედეგად მშობლებს შორის კონფლიქტიდან ყურადღების ფოკუსი გადადის „პრობლემურ“ ბავშვზე. კვლევები ადასტურებენ, რომ საკვების გადაჭარბებული მიღება ნამდვილად წარმოადგენს კონტროლის დაკარგვისა და მიტოვების არაცნობიერი შიშისაგან დამცავ საშუალებას.

განხილული კვებითი ადიქციები ნაკლებად ექვემდებარება კორექციას. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ საკვები წარმოადგენს ძალზე ჩვეულებრივ და მისაწვდომ ობიექტს, რომ მოცემული დარღვევის წარმოქმნაში აქტიურად მონაწილეობს ოჯახი, რომ საზოგადოებაში დომინირებს ტანადობის იდეალი, და ბოლოს, რომ კვებითი ქცევის დარღვევა რიგ შემთხვევებში ატარებს სისტემური ფუნქციური აშლილობის ხასიათს. კვებითი დამოკიდებულების მქონე პიროვნების-თვის დახმარების განვისას მნიშვნელოვანია გავაგებინოთ მას კვებითი ქცევის დარღვევის ფსიქოლოგიური მნიშვნელობა. კორექცია ასევე გულისხმობს ოჯახის აქტიურ ჩართვას (პირველ რიგში ოჯახური თერაპიის ფორმით). მძიმე შემთხვევებში რეკომენდებულია ადიქტის მოწყვეტა ოჯახისგან, სამედიცინო ჩარევა და მკაცრი კონტროლი კვებით ქცევასა და წონაზე სამედიცინო დაწესებულების პირობებში, ინტენსიური ფსიქოთერაპიის პარალელურად.

ლიტერატურა:

1. ადლერი, როგორ გავიგოთ ადამიანის ბუნება, 2014წ;
2. სემენიუკი ლ. მ., მოზარდების აგრესიული ქცევის ფსი-ქოლოგიური თავისებურებები, 2006;
3. როლანდ გარტი, თანამედროვე კვების ფსიქოლოგიის შე-სახებ პუბლიკაცია;
4. დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური შეხედულებები, პუბ-ლიკაცია ინტერნეტ გაზეთი, 2014წელი. 27 ოქტომბერი, მ. ჯაფარიძე.

Lia Metreveli – Academic Doctor of Education Sciences. Associate Professor, Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences, Georgian Technical University. Is the author of few textbooks, has published scientific articles both in Georgia and abroad. Also she has participated in many international scientific conferences. The spheres of her research mainly are psychology and education problems.

ONE MORE TYPE OF ADDICTIVE BEHAVIOUR

ABSTRACT

The report discusses the images about the nature of depending behaviour, developing in parallel to the development of culture and have not been exhausted yet. Historically, the first image was a moral model, considering adaptive behavior as a result of spiritual deficiency and moral imperfection. This model shares religious beliefs, according to which the harmful habits are manifestations of human sincerity. This model shares religious beliefs, according to which disastrous habits are expressing Human sin. Thus, depending

behavior is such behavior, which is related to the use of any substance (or dependence on specific activity) changing the adaptation and mental state. Subjectively it is perceived as an opportunity to live without leaning object as a respite to him. This behavior has a pronounced auto destructive character, because it inevitably destroys both body and personality.

ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.

კობა ნონიაშვილი – ფილოსოფიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი. მავე ინივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეცანის მოადგილე. მუშაობს გამოყენებით სოციოლოგიაში, მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ დარგებში, მათ შორის მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის სოციოლოგია: მეთოდოლოგია, პროგლობი, განვითარების ისტორიული ასპექტები

მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე შეიმჩნეოდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შედარებით სუსტი განვითარება. იმდროინდელი ფიზიკულტურულ-სპორტული მოძრაობებისათვის დამახასიათებელი იყო მისი მონაწილეების მცირე რაოდენობა, ორგანიზაციისა და მართვის უბრალოება. სოციოლოგიური გამოკვლევები არ იყო მოთხოვნილი ფიზიკულტურულ-სპორტული მოძრაობის პრაქტიკით. ზოგიერთი სოციალური პრობლემები შეისწავლებოდა ისტორიის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის თეორიის, სოციალური ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის ფარგლებში. საზოგადაებრივი ცხოვრების ამ სფეროს მართვა ხორციელდებოდა ემპირიულ და ინტუინციურ საფუძველზე, ხშირად ქაოტურად.

მაგრამ, დაწყებული 1930-იანი წლებიდან, ფიზიკულტურულ-სპორტულმა მოძრაობამ ჩვენს ქვეყანაში მიიღო მასობრივი ხასიათი: მუშავდებოდა პროგრამულ-ნორმატიული საფუძვლები, იქმნებოდა მატერიალური ბაზა. ფიზიკურმა კულტურამ და სპორტმა მოიცვა მოსახლეობის ყველა ფენა, ხოლო მისი განვითარების პროცესები რთულდებოდა. წარმოიშვა კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევის ჩა-

ტარების მწვავე აუცილებლობა, რომელიც შეისწავლიდა ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის ეფექტიანობას, მასში ჩაბმული ადამიანების მოტივებს, ინტერესებს, აგრეთვე გამოარკვევდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მნიშვნელობას და ადგილს (როლს) საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში. წარმოიშვა გარდაუვალი მოთხოვნილება საგანგებო მეცნიერების ჩამოყალიბებისა, რომელიც გამოიკვლევდა ფიზიკური კულტურის სოციალურ პრობლემებს.

ო. ა. მილშტეინი გამოყოფს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სოციოლოგიის განვითარების რამდენიმე ეტაპს საბჭოთა პერიოდში:

– 1 ეტაპი – რევოლუციის შემდგომი წლებიდან 1960-იანი წლების დასაწყისამდე (ფიზიკური კულტურისა და სპორტის სოციალური ფუნქციების თეორიული განზოგადება და გააზრება); 1930-იანი წლებიდან დაწყებული სოციოლოგიური გამოკვლევები ტარდებოდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორიის ფარგლებში;

– 2 ეტაპი – 1960-იანი წლების დასაწყისიდან 1970-იანი წლების დასაწყისამდე (გამოყენებული კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევები განპირობებული იყო საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა მხარეების მნიშვნელოვანი განვითარებით). გამოკვლევები ტარდებოდა თეორიის ფარგლებში;

– 3 ეტაპი – 1970-იანი წლების დასაწყისიდან 1980-იანი წლების შუა ხანამდე (ხდება ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში სხვადასხვა სახის კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევების თეორიული განზოგადება, გამოვლინდება ტენდენციები, მისი განვითარებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებები). ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა მისი საგნის – ობიექტის განსაზღვრა, აგრეთვე, სხვა, როგორც სოციალურ, ისე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან კავშირი.

– 4 ეტაპი – თანამედროვე – გაფართოვდა სოციოლოგიური ცოდნა, სოციოლოგების დიდი ნაწილი ჩაერთო ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში, მუშავდება და ინერგება სპეციალური სასწავლო კურსები.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში, სოციოლოგიური ცოდნის გაძლიერება ადასტურებს, ადამიანის ცხოვრებაში მისი როლის გაზრდას. დაწყებული 1960-იანი წლებიდან გამოვიდა რიგი ნაშრომები, რომლებიც ეძღვნებოდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მეთოდოლოგიურ საკითხებს. მათი ავტორები წარმოადგენდნენ პირველ სპორტის სოციოლოგებს, რომლებმაც შეიტანეს მნიშვნელოვანი წვლილი ამ დარგის განვითარებაში:

ვ. უ. აგეევეცი, ვ. ა. არტიომოვი, ი. ვ. ვიშნევსკი, ვ. ი. ჟოლდაკი, გ. ი. კუკუშკინი, ო. ა. მილქტეინი, ლ. ნ. ნიფონტოვა, ნ. ა. პონომარიოვი, პ. ს. სტეპოვოი, ტ. ხ. ტიტმა.

ნ. ა. პონომარიოვის ფუნდამენტალურ ნაშრომში: „ფიზიკური კულტურის სოციოლოგიის საფუძვლები“ – გამოვლინებულია ფიზიკური კულტურის წარმოშობის, განვითარებისა და ფუნქციონირების ისტორია, განხილულია საზოგადოებაში მისი ადგილი და სხვა საზოგადოებრივი მოვლენებისადმი ურთიერთმიმართების საკითხები. დიდ ინტერეს იწვევს ავტორის პოზიცია ფიზიკური კულტურის პრობლემებისადმი, როგორც საზოგადოების საერთო კულტურის ნაწილისა და მნიშვნელოვანი სოციალური ფენომენისა.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაშრომს, ამ დარგში წარმოადგენს ნ. ი. პონომარიოვის წიგნი – „ფიზიკური კულტურისა და სპორტის სოციალური ფუნქციები“, რომელშიც განხილულია რიგი პრობლემური საკითხები: ა) თუ რა გავლენას ახდენს ფიზიკური კულტურა და სპორტი ყოველმხრივ განვითარებულ პიროვნების ფორმირებაზე; ბ) ავტორი გამოყოფს მოთხოვნილებებს, რომლებიც შეიძლება დაკმაყოფილ-

დეს სპორტით დაკავების საშუალებით; წიგნში, აგრეთვე, განხილულია ზოგიერთი აქსიოლოგიური პრობლემაც.

სწორედ, ამ პერიოდიდან იზრდება ყურადღება ფიზიკური კულტურის სოციოლოგიური ანალიზისადმი და მისი ფუნქციების განხილვას იწყებენ თეორიული პოზიციიდან.

სოციოლოგიური აზრის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კულტუროლოგიური საფუძვლების დამუშავება: მ. ვ. ვიდრინის, ი. მ. ნიკოლაევის, ნ. ა. პონომარიოვის მიერ.

სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა და მ. ა. არვისტოს, მ. ე. კუტეპოვის, ვ. ი. სტოლიაროვის-ფუნდამენტურმა წაშრომებმა აჩვენეს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დიდი აღმზრდელობითი როლი, როგორც ქმედითი საშუალებისა პიროვნების ფორმირების, განვითარებისა და სოციალიზაციის საქმეში.

სოციალური ადაპტაციის პრობლემები, მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიაში, ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირება-შეისწავლეს ვ. ვ. ბელორუსოვამ, მ. ი. ვილენსკიმ, პ. ა. ვინოგრადოვმა, ვ. დ. გონჩაროვმა, ვ. ი. უოლდაკმა.

1970-იანი წლების სოციოლოგიური გამოკვლევები, რომლებიც მიმართული იყო საბჭოთა სპორტსმენების სოციალური სახის შესასწავლად და ეხებოდა 1952-1976 წლების ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს, განხორციელდა ო. ა. მილშტეინის მიერ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პიროვნება-სპორტსმენის ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარების სოციოლოგიურ ასპექტებს, ცხოვრების წესის ფორმირების პრობლემების ჩათვლით, პიროვნების ტიპებსა და მიმართულებას, სპორტსმენი-ოლიმპიელის სპორტული კარიერის ფორმირების კანონზომიერებებსა და ცხოვრების გზებს.

1980-იანი წლებიდან აქტიურად ვითარდებოდა ოლიმპიური თემატიკა. ოლიმპიური განათლება, ოლიმპიური კულ-

ტურა, ოლიმპიური მოძრაობის განვითარება მსოფლიოსა და ჩვენს ქვეყანაში-ეს იყო ის საკითხები, რომლებიც ყველაზე ხშირად და საფუძვლიანად შუქდებოდა სპორტულ ლიტერატურაში, ამასთანავე, განხილვის საგანი ხდებოდა სხვადასხვა კონფერენციებსა და კონგრესებზე. 1976 წელს რიგაში ჩატარებულმა სიმპოზიუმმა, 1980 წელს თბილისა და 1984 წელს ნოვოსიბირსკში ჩატარებულმა კონფერენციებმა დაამტკიცეს ოლიმპიური თემატიკის პრიორიტეტი სპორტული მოძრაობის პრობლემების შესწავლაში. ეს პრობლემა ყველაზე ღრმად იქნა შესწავლილი : ნ. ნ. ბუგროვის, ო. ა. მილშტეინის, ბ. ს. როდიჩენკოს, ვ. ი. სტოლიაროვის ნაშრომებში.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის ჩამოყალიბებასა და განვითარებას მსოფლიოში ხელი შეუწყო 1964 წელს „იუნესკოსთან“ არსებული სპორტის სოციოლოგიის საერთაშორისო კომიტეტის შექმნამ, რომლის წევრებიც გახდნენ არამარტო ამ დარგის სპეციალისტები, არამედ სხვა სოციალური მეცნიერების წარმომადგენლებიც. სწორედ, ამ ფაქტს უკავშირდება ფიზიკური კულტურისა და სპორტის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების წარმოშობა. მოგვიანებით, აღნიშნული კომიტეტი გახდა საერთაშორისო სოციოლოგიური ასოციაციის ოფიციალური კვლევითი კომიტეტი. ამჟამად, მისი წევრები არიან მეცნიერები მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან.

1966 წლიდან სპორტის სოციოლოგიის საერთაშორისო კომიტეტმა დაიწყო სპეციალური უურნალის გამოცემა. ამჟამად, იგი ატარებს სახელწოდებას: International Review for the Sociology of Sport.

პირველად ის გამოდიოდა წლიური მიმოხილვის სახით, ხოლო 1973 წლიდან დაიწყო მისი ყოველ კვარტალური გამოცემა. 1972 წლიდან ჩრდილო ამერიკაში დაიწყო სოციოლოგიური ინფორმაციული ბიულეტენის – Sport Sociology Bulletin გამოცემა. 1976 წლიდან იგი იწოდება Review of sport and

Leisure. 1978 წლიდან მას გამოსცემს სპორტის სოციოლოგი-ის ჩრდილო-ამერიკული საზოგადოება.

1966 წლიდან სპორტის სოციოლოგის საერთაშორისო კომიტეტმა სპორტის სოციოლოგიაში დაიწყო საერთაშორი-სო სემინარების, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ჩა-ტარება.პირველი სემინარი,რომელიც მიეძღვნა სპორტში მცირე ჯგუფების კვლევის პრობლემებს,ჩატარდა კიოლნში (გფრ).მეორე სემინარზე,რომელიც ჩატარდა 1968 წელს ვე-ნაში (ავსტრია),განხილული იქნა თემა: „ახალგაზრდობა და სპორტი“.მესამე სემინარი მიმდინარეობდა 1971 წელს ვა-ტერლოოში (კანადა) და მიეღვნა პრობლემას: „სპორტი და სოციალიზაცია“. მეოთხე სემინარი ჩატარდა 1973 წელს ბუ-ქარესტში (რუმინეთი),თემაზე -„საბავშვო სპორტული თამა-შები“.მეხუთე და მეექვსე სემინარი გაიმართა 1975 წელს ჰე-იდელბერგსა და 1979 წელს ვარშავაში (პოლონეთი) და მათში განხილული იქნა სოციალიზაციის პრობლემები სპორტში.ამ სემინარებზე შეეხნენ აგრეთვე, სპორტის სოციოლოგიის აქ-ტუალური პრობლემებსაც.

1967 წლიდან კომიტეტი ორგანიზებას უწევს სამუშაო საერთაშორისო სემინარების ჩატარებას. ასე, მაგალითად, 1967 წელს აშშ-ში ჩატარდა სემინარები, რომლებიც მიეძ-ღვნა სპორტში სოციოლოგიური გამოკვლევების მეთოდო-ლოგიას.გარდა ამისა, კომიტეტი ორგანიზებას უწევს სპორ-ტის სოციოლოგიაში სექციების მუშაობას,მსოფლიო სოციო-ლოგიური კონგრესებისა და ოლიმპიური სამეცნიერო კონ-გრესების ფარგლებში.კომიტეტის დახმარებით შემუშავე-ბულ და რეალიზებული იქნა მთელი რიგი საერთაშორისო კვლევით პროექტები: მაგ, „სპორტული კარიერის მოდელე-ბის პროექტი“, „სპორტული სოციალიზაციის პროექტი“, „სპორტულ ორგანიზაციებში პოლიტიკის გატარების პრო-ექტი“ და ა.შ.

ამჟამად,ფიზიკური კულტურისა და სპორტის სოციო-ლოგიის ფარგლებში ტარდება მრავალრიცხოვანი გამოკვლევები, მიძღვნილი საზოგადოებრივი ცხოვრების ამ სფეროს განვითარებისა და ფუნქციონირების პრობლემებზე,აგრეთვე, იმ საკითხებზე,თუ რა გავლენას ახდენს სპორტი პიროვნების ფორმირებაზე. ეს გამოკვლევები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს სოციოლოგიური ინფორმაციის მიღებასა და გავრცელებაში.

კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევები მოიცავენ პრობლემების ფართო წრეს, რომლებიდანაც შეიძლება გამოყოფილობის მიმართ:

— საზოგადოების მთლიანად და მოსახლეობის სხვა-დასხვა სოციალურ- დემოგრაფიული ჯგუფების სუბიექტური დამოკიდებულების გამორკვევა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მიმართ;

— ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი მოსახლეობის რეალური დამოკიდებულების განსაზღვრა, ე.ი. მისი ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში ჩაბმა (ჩართვა).

ჩართვაში ანუ ჩაბმაში გულისხმობენ ინდივიდის ქცევის ნაირსახეობებს,მათ ემოციურ რეაქციებს,სურვილის შეცნობას,ცოდნას.გამოიყოფა ჩართვის შემდეგი სახეები: ქცევითი,შემეცნებითი და ემოციური.მათ შეიძლება დაემატოს კიდევ ერთი სახე,რომელიც განსაზღვრავს ჩართვის ხარისხს და ეს არის ფიზკულტურულ-სპორტული აქტიურობა.მისი დახასიათებისათვის გამოიყენება სიხშირის კრიტერიუმი,ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის ხანგრძლივობა და ინტენსიურობა.

მოსახლეობის ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში ჩართვის პროცესის სოციოლოგიური ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს მივიღოთ წარმოდგენა:

-ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში ჩაბმული სოციალური ჯგუფების შემადგენლობის შესახებ;

-ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში ჩართვის ტიპების, გამოვლინების ფორმების შესახებ.

-სოციალურ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ პროცესზე ააქტიურებენ, თუ ამუხრუჭებენ მას;

-პიროვნების, სოციალური ჯგუფების ფიზკულტურულ-სპორტული აქტივობის დინამიკის შესახებ.

კონკრეტული სოციოლოგიური გამოვკვლევის საგანს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში ტარდება, წარმოადგენს: მოსწავლეების, სტუდენტების, წარმოების მუშაკების, განათლების, მეცნიერებისა და მოსახლეობის სხვა ჯგუფების ფიზკულტურულ-სპორტული აქტიურობა. ისმება ამოცანა: გაირკვეს დაკავებული არიან თუ არა ისინი ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობით, როგორია მათი მოტივაცია, რომელი ფიზიკური ვარჯიშებით (სპორტის სახეობით) არიან ისინი დაკავებული, რამდენად აქტიურად და რეგულარულად, ორგანიზაციულ ფორმებში, თუ დამოუკიდებლად, და, რამდენად ეფექტურად. აანალიზდება ფიზკულტურული განათლებულობა, აგრეთვე, მოსახლეობის ამათუ იმ დემოგრაფიული ჯგუფების ფიზკულტურულ-სპორტული აქტიურობის მიზეზები სხვადასხვა რეგიონებსა და ქვეყნებში, ასევე მათი ღირებული (ფასეული) დამოკიდებულება ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობისადმი.

ფიზკულტურისა და სპორტის სოციოლოგიაში, როგორც ახალგახრდა მეცნიერებაში გადაიხედება (გადაისინ-ჯება) უკვე შექმნილი და ჩამოყალიბებული მიღები სპორტის მნიშვნელობის შესაფასებლად თანამედროვე სოციუმში. საზოგადოების განვითარების ახალმა სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის წინაშე დააყენეს ახალი ფასეული (ღირებული) ორიენტაციის ფორმირების, ქცევის სახეების, აზრების, ცხოვრების სტილის პრობლემები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სპორტსმენის პიროვნების ფორმირების პრობლემების შესწავლა, საზოგადოებაში

მისი ქცევის პროგნოზირება. სპორტის კომერციალიზაციისა და პროფესიონალიზაციის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პრობლემების გამოკვლევა, რომლებიც შეეხება სპორტსმენების ზნეობრივი ქცევის ფორმირებას. ახალ ეკონომიკურ პირობებში წარმოიქმნება ორი სოციალური სუბიექტის-მწვრთნელისა და სპორტსმენის უერთიერთმიმართების საკითხები. ისინი მუშაობენ სპორტულ შედეგებზე, რომელიც ამჟამად, გამოიხატება არამხოლოდ მეტრებში, გოლებში, წამებში, არამედ, ჰონორარებსა და სხვა მატერიალურ წახალისებებში.

არ უნდა დარჩეს ყურადღების გარეშე სპორტსმენების სოციალური ადაპტაციის პრობლემები საზოგადოების ცხოვრებაში, კარიერის დასრულების შემდეგ. როგორ ავიცილოთ თავიდან კრიზისი, დავიცვათ სპორტსმენები ფსიქოლოგიური ჩავარდნებისგან, დავეხმაროთ მათ უზრუნველყოფითი იყვნენ ღირსეული ცხოვრებით-თანამედროვე ფიზიკური კულტურისა და სპორტის სოციოლოგიის უმნიშვნელოვანესი პრობლემებია.

სპორტის განვითარების ლოგიკა მოითხოვს შესწავლას ისეთი სოციოლოგიური პრობლემებისა, როგორიცაა: „სპორტი და ახალგაზრდობა“, „სპორტი და პროგრესი“, „სპორტი და ჰუმანიზმი“, „სპორტი და პიროვნება“. ფიზიკური კულტურისა და სპორტის სოციოლოგია ასრულებს მნიშვნელოვან როლს ამ პრობლემების გადაწყვეტაში, რითაც კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის მნიშვნელობას-გახადოს საზოგადოება განვითარებული და ადამიანი სრულყოფილი.

Koba Noniashvili – Doctor of Philosophy, Associate Professor of Sokhumi State University. Currently he is the Deputy Dean of the Faculty of Social and Political Sciences. He works in applied sociology, on the methodology issues. He has published more than 50 scientific works, which includes monographs and textbooks

SOCIOLOGY OF PHYSICAL CULTURE AND SPORTS: METHODOLOGY, PROBLEM, ESTABLISHMENT AND DEVELOPMENT HISTORY

ABSTRACT

Sociology of physical culture and sport, as applied science studies the issues associated with one of the most important social institutions of the society, the physical and sports organization. Its purpose as a scientific discipline is to identify the regularities of the functioning of physical culture and sport, its place in the society, the substantive social functions, the definitions of social relations and specific mechanisms of significant social phenomena.

Sociology of physical culture and sports is designed to study the nature of the attitude of different social-demographic groups of population to the physical and sports activities, public opinion needs, motivations, interest in the field of activity. In the frame of physical culture and sport sociology, it is important to understand and explain the contradictory nature of modern sports, the ability to use it for both human and anti-human purposes. This science allows us to find ways to solve social problems and make it possible to integrate social knowledge into social life practice.

The goal of scientific discipline – "physical culture and sports sociology" is to study physical culture and sport as a public event, study the development and trends of their development, predictability and management decisions for further improvement of the working skills in this field.

The goal of Physical Culture and Sport Sociology, as a Study Discipline is to establish worldwide views on physical culture. It is a component of physical education; it helps to revive scientific thinking on physical culture and sports, finds public demand on them, examines their ways and rules.

The aim of sociology of physical culture and sport is to equip specialists with the knowledge of social aspects in their professional activities, to promote habitual development through specific sociological examinations.

**ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერება-
თა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლო-
გიის განყოფილებაშ.**

ნინო სეფაშვილი – საქართველოს ტექნიკური ინიციატივის საინიციატივო ეკონომიკის, მედიატექნიკოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი. მუშაობს განათლების სოციალურ პრობლემებზე.

ქართული და ჩინური განათლების სისტემის შედარებითი ანალიზი

თანამედროვე საზოგადოების წარმოდგენა განათლების გარეშე პრობლემატურია, იგი უმთავრესი ძალა და სიმდიდრეა. ადამინებს, რომელთაც არ აქვთ განათლება თავისთავად გაუჭირდებათ სწორი ორიენტირის პოვნა, სწორი და გააზრებული არჩევანის გაკეთება ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე, შესაბამისი ქცევა და სხვა უამრავი ფაქტორის განსაზღვრა, რომელიც გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამასთან ერთად მოხდა გაცნობიერება იმისა, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია მოტივაციის ქონა მიიღო განათლება და მიიღო განათლება იმ სფეროდან, რომელიც შედის ინდივიდის ინტერესებში, აქედან მოდის განათლების თავისუფლებაც. ყოველივე ამან წარმოშვა კითხვები როგორი უნდა იყოს განათლება? რამდენად სრულყოფილი და მისაღებია იგი? აღნიშნული კითხვების წარმოშობამ გამოიღო ის შედეგი, რომ დაიწყო ამ სრულყოფილი და მისაღები განათლების ძიების პროცესი რეფორმების სახით. აღნიშნული ძიების პროცესი დღემდე უწყვეტია და ამ პროცესში აქტიურმა ჩართულობამ მეორე ადგილზე დააყენა პიროვნება, რომლის გამოც საერთოდ შეიქმნა საგანმანათლებლო სისტემა.

დღევანდელ საქართველოში უმაღლესი განათლება მრავალი სოციალური პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, რამაც აქტუალური გახადა საკითხის კვლევა. მეტიც, საქართვე-

ლოს პარლამენტის დადგენილებაში „საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულების“ შესახებ ნათქვამია „უმაღლესი განათლების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება ქართული სახელმწიფოს გადაუდებელი ამოცანაა. ამ პრობლემის დროული გადაწყვეტა ქვეყნის პერსპექტიული განვითარების შესაბამისად დემოკრატიული საზოგადოების აშენების, ეროვნული და მსოფლიო კულტურის ღირებულებებისა და ფასეულობების დაცვის, სილატაკისა და სოციალური გაუცხოების დაძლევის აუცილებელი წინაპირობაა.“

აღნიშნული რა თქმა უნდა გასაგებია, მაგრამ სისტემური რეფორმა ახდენს გავლენას სისტემის განვითარებაზე, როგორც დადებითად ისე უარყოფითად. ვფიქრობ მიზანშეწონილია შევისწავლო წამყვანი უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემები და გავაკეთო შედარებითი ანალიზი საქართველოს სისტემასთან. კონკრეტულად საინტერესოდ მიმართია განვიხილო განათლების სისტემა და გავაკეთო შედარებითი ანალიზი საქართველოსთან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მაგალითზე.

უმაღლესი განათლების სისტემის სისტემური რეფორმა, რომელიც 2004 წელს დაიწყო, მიზნად ისახავდა საბჭოთა სისტემის ნარჩენების დემონტაჟსა და უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას. მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, თითქმის 10 წლის შემდეგ კვლავინდებურად აქტუალურია უმაღლესი განათლების რეფორმის საკითხი, მაგრამ რეფორმის ახალი ტალღის დაწყებამდე აუცილებელი იყო სისტემაში ამ პერიოდამდე მიმდინარე ცვლილებების შეფასება და ანალიზი, არსებული მდგომარეობის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება ისევე როგორც ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა და ჩართულობა. რეფორმის განხორციელებას წინ უნდა უძლოდეს თვალსაჩინო მონაცემებზე დაფუძნებული სარეფორმო პოლიტიკის შემუშავება. აქტიური ზეგავლენა საქართველოს

საგანმანათლებლო სისტემაზე აგრეთვე მოახდინა ბოლონიის პროცესში ჩართულობამ. ბოლონიის პროცესს საქართველო შეუერთდა 2005 წელს, ნორვეგიის ქალაქ ბერგენში (ბერგენის კომუნიკე 2005წ). სწორად ზემოაღნიშნულ კომუნიკეში საუბარია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკირების ძირითად სტრუქტურაზე, რომელიც სამი საფეხურისგან შედგება, სადაც აგრეთვე მოცემულია თითოეული საფეხურის აღწერა, შედეგები და კომპეტენციები.

დღეისათვის საქართველოში ხორციელდება სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლება: ბაკალავრიატი; მაგისტრატურა და დოქტორანტურა.

სწავლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამა შედგება არანაკლებ 240 კრედიტისგან. ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს.

სწავლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

სწავლების მესამე საფეხური (დოქტორანტურა) შედგება არანაკლებ 180 კრედიტისაგან. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

რაც შეეხება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება და საზოგადოების კეთილდღეობა განათლების მზარდ მნიშვნელობას ეფუძნება. თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში შრომის წარმოების ამაღლება და ეკონომიკის ეფექტური ზრდა დამოკიდებულია არა მხოლოდ მუშავთა პრაქტიკულ გამოცდილებაზე, არამედ მათი ცოდ-

ნის მოცულობაზე და კვალიფიციურ უნარებზე, რასაც ისინი სისტემატიური სწავლების პროცესში ეუფლებიან. ეს მოცულობა კი განისაზღვრება ზოგადი განათლების სისტემის ხარისხიან განვითარებაზე. დღევანდელ დღეს ჩინეთის განათლების სისტემის ნებისმიერი სექტორი მძლავრ ინფრასტრუქტურას ფლობს, რაც მოიცავს შენობებს, ნაგებობებს ინფორმაციის დამუშავების, შენახვისა და გავრცელების თანამედროვე საშუალებებს. ისინი უზრუნველყოფილი არიან სრულყოფილი ბიბლიოთეკებით, გამომცემლობებით, კვლევითი ცენტრებით, კადრების მომზადების და გადამზადების დაწესებულებებით.

ჩინეთის მთავრობა „რეფორმების და ღია კარის პოლიტიკიდან“ მოყოლებული, პრიორიტეტად მიიჩნევს ეკონომიკის სწრაფი ტემპებით ზრდის მხარდაჭერას, აღნიშნული ქვეყანას გლობალიზაციის პირობებში აძლევს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების საშუალებას. ჩინეთის მთავრობამ მეცნიერება და განათლება სოციალური მოდერნიზაციისა და ჩინური საზოგადოების განვითარების საფუძვლად გამოაცხადა. ეტაპობრივად ჩინეთი იქცა ყველაზე მრავალ-რიცხვოვანი და განათლების სამუშაო ძალის მქონე ქვეყნად იქცა. ქვეყანამ ამოცანად დააყენა შექმნას ეფექტური განათლების სიტემა, რომლის წყალობით ხარისხიანი სწავლება დაფუძნებული იქნება მრავალსაუკუნოვან და მრავალეთნიკურ კულტურაზე. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მაგალითზე ჩინეთმაც გააცნობიერა სიახლეების საჭიროება, რადგან იგი ვერ შეძლებს სხვაგვარად გაუწიოს კონკურენცია ზემოთ ნახსენებ ქვეყნებს. ისინი სისტემატიურად ანარმოებენ საკუთარი ქვეყნის განათლების სისტემის მოკვლევას, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. აღნიშნული მაგალითი ეფექტურ შედეგს გამოიღებდა საქართველოშიც, მაგრამ სამწუხაროდ დღეს საკითხმა ჯერ-ჯერობით ვერ გამოიწვია მკვლევარების დაინტერესება.

ჩინეთი განათლების ყველა საფეხურს ერთნაირ ყურადღებას უთმობს. დღეს არსებობს ცხრაწლიანი სავალდებულო განათლება, მას შემდეგ მოსდევს დაბალი და მაღალი საფეხურის საშუალო განათლება და საშუალო პროფესიული განათლება, შემდეგ უმაღლესი განათლება, რომელიც მოიცავს უმაღლეს სასწავლებლებს და გასცემს უმაღლესი განათლების შესაბამის დიპლომს. არსებობს უმაღლესი განათლების შემდგომი საფეხურებიც.

ისევე როგორც საქართველოში განათლებას არეგულირებს კანონი, რომელიც ჩინეთში შემდეგი სახელწოდებით ფორმირდება: „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავალდებულო განათლების კანონი“.

ჩინეთის განათლების სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებით სავალდებულო განათლებას ეუფლება თითქმის ყველა, ხოლო სხვა საფეხურებზე სწავლის მსურველთა რაოდენობა წლიდან წლამდე იმატებს, აგრეთვე დიდი პროცენტული მაჩვენებელი უცხოელი სტუდენტებისა რომლებიც ეუფლებიან განათლების სხვადასხვა საფეხურს ჩინეთში. მაგალითისთვის შეგვიძლია ავილოთ საქართველოდან გამგზავრებული სტუდენტები პროცენტული მაჩვენებელის ზრდა. ჩინეთის სახელმწიფო თავად გამოყოფს კოლოსალურ თანხებს დაფინანსებისათვის, არსებობს მხოლოდ ერთი მოთხოვნა სტუდენტმა ისწავლოს ჩინური ენა. ენის ცოდნის დონე დამოკიდებულია კონკრეტულ პროგრამაზე, რომელზეც სურს სტუდენტს სწავლა. აღნიშნულიდან გამომდინარე გასაკვირი სულ არ არის რომ გაიზარდა მოთხოვნა ენის შესწავლაზეც.

რაც შეეხება უმაღლესი განათლების საფეხურს ისევე როგორც საქართველოში ის ფასიანია, თუმცა სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისათვის არსებობს რამდენიმე სახის საშეღავათო სქემა. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ სახელმწიფო სტიპენდიებით, ამისათვის ხაზინიდან გაიცემა

სპეციალური დოტაციები და სუბსიდიები, აგრეთვე აქვთ შე-საძლებლობა სწავლა შეათავსონ სამუშაოსთან.

ისევე როგორც საქართველოში ჩინეთშიც სახელმწიფო უნივერსიტეტებთან ერთად ვითარდება აგრეთვე კერძო სასწავლო დაწესებულებები. განსხვავება მხოლოდ იმაშია რომ აღნიშნული დაწესებულებები მოიცავენ სწავლების ყველა საფეხურს: საბავშვო ბაზს, დაწყებით, საშუალო და უმაღლეს საფეხურებს. აღნიშნულმა არჩევანი გახადა მრავალფეროვანი.

საქართველოსგან განსხვავებით ჩინეთი არ არის ბოლონიის პროცესის წევრი. მათ აგრეთვე გააჩნია განსხვავებული აკადემიური შეფასების სისტემა, რაც წარმოადგენს განმასხვავებელ ნიშანს საქართველოსთან. საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტის შეფასება ხდება სწავლის პროცესში მისი მიღწევების საფუძველზე. გამოიყენება მეთოდები როგორიცაა გამოკითხვა, კურსის ბოლოს ბარდება გამოცდა და საკვალიფიკაციო გამოცდა. ხდება აგრეთვე სადიპლომო ნაშრომები, თუმცა უნივერსიტეტების უმრავლესობაში ბაკალავრიატის საფეხურზე საჯარო დაცვა არ არის სავალდებული.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიღგომა განახორციელონ რეფორმა ამ ორ ქვეყანას შორის ცალსახად განსხვავებულია. ჩინეთი რეფორმას ნერგავს დაწყებითი საფეხურიდან, ხოლო საქართველო უმაღლესის საფეხურიდან. უკანასკნელი არაეფექტურია და შედეგზე გასვლის საშუალებას ნაკლებად იძლევა. ჩინეთი ორიენტირებულია გააძლიერო პროფესიონალი სამუშაო მუშა ხელი. საქართველოში რა თქმა უნდა უკანასკნელი პრობლემას წარმოადგენს. აგრეთვე სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე განსხვავებით საქართველოსაგან ჩინეთში არ არის პრიორიტეტული და სავალდებულო აუცილებლად მოიპოვო უმაღლესი საფეხურის დამადასტურებელი დოკუმენტის ქონა.

და ბოლოს საჭიროა ითქვას, რომ საქართველოს განათლების სიტემა რა თქმა უნდა ერთ ადგილზე არ დგან მაგრამ საჭიროებს დახვეწას. ამისათვის კარგი იქნება გათვალისწინებული რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინება რასაც იძლევიან მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
2. საქართველოს პარლამენტის დადგენილება – საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ – 2002 წლის 1 მარტი;
3. საქართველოს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი – **www.mes.gov.ge**
4. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდი – **www.eqe.ge**

Nino Sepashvili – PhD student of social sciences doctoral program on Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences Faculty at Georgian Technical University. Works on social problems of education.

GEORGIAN AND CHINESE EDUCATION SYSTEM COMPARATIVE ANALYSIS

ABSTRACT

inthearticleitisreviewed education system of People's Republic of China's and Georgia, its structure and evaluation system.discusses how the approach and implementing reforms, it is revealed that the need to carryoutre forms and how it has been implemented. Also reviewed the policies and strategyfor the development of the education sector of these two countries.In both countries the starting point and regulation document is the laws about education.Based on the information was collected and reviewed, we can see the distinguishing features were identified in the education system of the two countries, namely: assessment system, teaching methods and etc.

**ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერება-
თა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლო-
გიის განყოფილებაშ.**

რუსულან ჭელიძე – საქართველოს ტექნიკური ინივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი. მუშაობს გენდერის სოციალურ პრობლემებზე.

გენდერული როლები და ქართული საზოგადოება

გენდერის განსაზღვრების მრავალფეროვანი პოზიციების უნდა გამოიყოს ორი კონცეფცია: 1) გენდერის სოციალური კონსტრუქტის თეორია და 2) გენდერული სისტემის თეორია. პირველი მიდგომის ლოგიკაში ასახელებენ სამი სახის დახასიათებას: ბიოლოგიური სქესი, სქესობრივი სტერეოტიპები, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებაშია გაავრცელებული და ე.წ. „გენდერული დისფლენი“. ეს გამოხატავს კულტურული გამოვლენების მრავალმხრივობას, რისგანაც იქმნება სქესი. ამის მიხედვით გენდერი წარმოადგენს სოციალური ურთიერთობების საზომს, რომელიც დაფუძნებულია მოცემულ კულტურაში. შეიძლება აღვნიშნოთ, რომ გენდერული ურთიერთობის ანალიზი წარმოადგენს სქესობრივ ძალთა ურთიერთობის ანალიზს, როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში. სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიაში ამ პრობლემებს ეხება სწორედ გენდერის მიმართულება. იგი პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, რელიგიურ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების გამოყენებით გამოავლენს ქალის როლს სამშვიდობო შეთანხმების მიღწევისას მოსა თუ კონფლიქტურ სიტუაციებში.

საინტერესოა ქართულ საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქალთა პრობლემებზე ზრუნვა, მათი უფლებების დაცვა და გენდერული თანასწორობის დამკავიდრება დასავლეთიდან შემოსული პრობლემაა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის შეორენებაში ნახევრიდან საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკვე თავი იჩინა ამ ახალმა პრობლემამ. ქალის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის საკითხი აქტიური განხილების საგანი ხდება. ამ პერიოდიდან პრესაში საქმაოდ დიდი ყურადღება ექცევა პუბლიკაციებს, სადაც საუბარია ქართველი ქალის როლისა და დანიშნულების შესახებ. ძირითადად ხაზგასმუ-

ლია შემდეგი საკითხები: ქალი, როგორც „ოჯახის ბურჯი“ მეუღლე, სამშობლოსთვის შვილების აღმზრდელი და ქალი, როგორც მშობლიური ენის სიწმინდის დამცველი. საქართველოში ქალთა საკითხი ეროვნულ საკითხთან არის გადაჯაჭვული. გავრცელებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ შეუგნებელი დედა შეგნებულ მოქალაქეს ვერ აღზრდის, რომ სწორედ დედამ უნდა შთაბეროს ქართული სული შვილს. ქართველები, როგორც მცირერიცხოვანი ერი, თვლიდნენ, რომ ქალთა საზოგადოებრივი პოტენციალის რეალიზება მეტად დიდი მნიშვნელობისმქონე საკითხია. ქალთა ემანსიპაცია დიდმნიშვნელოვან კულტურულ და სოციალურ საკითხად იყო მიჩნეული იმდროინდელი ქართული საზოგადოებისათვის; მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხისადმი დამოკიდებულება ერთმნიშვნელოვანი არ იყო. ქალის სოციალური სტატუსი, მისი ფუნქცია და როლი, ქალისათვის დაკანონებული იურიდიული, სოციალური და მორალური ნორმები, ქართულ სოციუმში საუკუნეთა მანძილზე სახესხვაობებს განიცდიდა.

ქალი საქართველოში განსაკუთრებული უნიკალური ფენომენია. იგი არის ერთდროულად ემანსიპირებული, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური და ამავდროულად შეზღუდული, თავისი ოჯახისა თუ გარემოს მოთხოვნებზე დამოკიდებული პიროვნება. მისი სოციალური მდგომარეობა ეხმიანება ქართული საზოგადოების თავისებურ მოდელს. ქართული საზოგადოებრივი მოდელი პატრიარქალურად არის მიჩნეული (თუმცა ისტორიული წყაროები ქალთა ბრწყინვალე მმართველობის არაერთ ფაქტს ადასტურებს). საზოგადოების სოციალური კრიტერიუმებისა და დოგმატების განსაზღვრა ტრადიციულად მამაკაცთა ხელშია. იმ მამაკაცთა ხელში, რომელთა იდეალიც ქალია, მაგრამ არა როგორც ქალი – პიროვნება, ან სოციალური სუბიექტი, არამედ, როგორც ქალი – დედა, როგორც შთამომავლობის მომცემი და ოჯახის მომვლელი. ფუძე „დედისგან“ არის წარმოებული ქართულ ენაში ისეთი სიტყვები, როგორიც არის: დედამინა, დედა-ენა, დედა-სამშობლო, კერის დედა და სხვ. პარადოქსია, მაგრამ ქალის ამგვარი გაიდეალება მას უამრავ შეზღუდვებს უქმნის და აკრძალვების წინაშე აყენებს. საზოგადოება მას ცხოვრების გაცილებით ასკეტურ წესს სთავაზობს, ვიდრე მამაკაცს. „ის, რაც ეპატიება კაცს, არ ეპატიება ქალს“. 80 – იან წლებში დაიწყო ქალთა კვლევების ახალი ფაზა, რომელიც ქალის გამოცდლების პატრიარქატის ანალიზიდან გადავიდა გენდერული სისტემის ანალიზებდნენ

ქალის ფაქტორს და მამაკაცის დომინირებას, ახლა იკვლევენ, თუ როგორ აგებს და ანარმოებს გენდერი ყველა სოციალურ პროცესს და როგორ გავლენას ახდენს ეს ქალებსა და მამაკაცებზე. სქესობრივი და გენდერული ძალადობის ფაქტები კაცობრიობის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. გენდერული ძალადობა იძენს მრავალ ფორმას – საყოფაცხოვრებო ძალადობიდან დაწყებული, (რომლის შედეგადაც მიღიონობით ქალი შიშის ქვეშ ცხოვრობს) შეიარაღებული კონფლიქტების შედეგებით დამთავრებული.

შეიარაღებული კონფლიქტების დროსს ქესობრივძალადობაზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს გენდერული პრობლემატიკა საქართველოში და ამ თვალსაზრისით ის, თუ რა საფრთხე ემუქრებათ ქალებსა და გოგონებს შეიარაღებული კონფლიქტების მსვლელობისას. ამ დროს გამოუსწორებელი ზიანი ადგება ქალის ორგანიზმის სქესობრივ და რეპროდუქციულ მიმართულებას, ირლვევა ლტოლვილი ქალების და გოგონების ადამიანური უფლებები. კაცობრიობის არსებობის მანძილზე ძალადობა ადამიანის განუყრელი თანამგზავრია. ძალადობის მსხვერპლი ყველაზე ხშირად ქალები, ბავშვები და ხანდაზმულები ხდებიან. ქალთა მიმართ ძალადობა ქალთა და კაცთა შორის უთანასწორობის გამოვლენაა. ძალადობის სინონიმებია: აგრესია, სასტიკი მოპყრობა, შეურაცხყფა, იძულება, სიცოცხლის ხელყოფა, ნამება, მუქარა. ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, ილახება მისი ღირსება და თავისუფლება. ძალადობას ვხვდებით ნებისმიერ საზოგადოებაში, საზოგადოების ნებისმიერ ფენაში, განურჩევლად რელიგიური მრნამსისა, ეთნიკური და კლასობრივი კუთვნილებისა, ასაკის, განათლებისა და კულტურული დონისა. ძალადობას არც ეკონომიკური, არც სოციალური და არც გეოგრაფიული საზღვრები არ გააჩნია. ძალადობა გენდერული თვალსაზრისით ხშირ შემთხვევაში ჩადენილია მამაკაცების მიერ ქალების ნინაალმდეგ, რაც უფრო მეტად აძლიერებს უთანასწორობას ქალებსა და მამაკაცებს შორის. ძალადობის შედეგები ქალის თავმოყვარების, დამოუკიდებლობისა და ჯანმრთელობისათვის შოკის მომგვრელია. მსოფლიოში ყოველი მესამე ქალი ძალადობის მსხვერპლი ხდება, ეს არის ცემა, თუ სრუვილის საწინააღმდეგო სექსუალური ურთიერთობების დამყარება (19,8). ომის შედეგად იცვლება ქალთა ცხოვრების სტილი, ხელი ეშლება მათ პერსონალურ და სოციალურ განვითარებას. საქართველოს კონფლიქტურ ზონებში არსებული სიღარიბე, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანდაცვის მექანიზმების მოშლა,

ასევე სხვა მრავალი თანმდევი ფაქტორის არსებობა ხელს უწყობს ძალადობის სხვადასხვა ფორმის გამოვლენას. პიროვნების მიმართ ძალადობათა გამოვლენას შორის გაუპატიურება ყველაზე საშიში და ცინიკური ხასიათის დანაშაულია. აღნიშნულის უფლებების ხელყოფის ობიექტი, უმრავლეს შემთხვევაში ქალის პატივი და ლირსებაა, მისი სქესობრივი თავისუფლების ხელშეუხებლობაა (6,274).

ამგვარად, გენდერული როლების (მამაკაცისა და ქალის) განსაზღვრა სუბიექტურია და კონკრეტულ ისტორიულ ხასიათს ატარებს. როგორც წესი, თითოეულ საზოგადოებას თავისი ჩვეულებები, ტრადიციები და ნორმებიგააჩნია. სწორედ ეს განსაზღვრავს სოციალურ – სქესობრივ როლებს საზოგადოებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კენეთ ნ. უოლცი, ადამიანი, სახელმწიფო და ომი, 2003;
2. თომაშვილი თ, სქესობრივი და გენდერული ძალადობა შეიარაღებული კონფლიქტების დროს/გენდერული პრობლემატიკა საქართველოში/ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი-თბილისი 2002;
3. ხომერიკი ლ, ჯავახიშვილი მ, ქალთა საზოგადოებრივი მოღვაწეობა საქართველოში. XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი. თბილისი, 2005;
4. ერეთელი, მ, გენდერი – კულტურული და სოციალური კონსტრუქტი, სოციალურ მეცნიერებათა სერია, თბილისი, 2006;
5. Элиот П, Менделл Н, Феминистская теория проблематизация женской субъективности. хрестоматия, часть II, Санкт-Петербург, 2001;
6. Обещание равенства: между мужчинами и женщинами, репродуктивное здоровье и цели в области развития, сформулированные в Декларации тысячелетия ЮНФПА, 2005;
7. Moghaddam, F.N& Harre,R.Words of conflict, words of war: how the language we use in political processes sparks fighting.

Rusudan Shomidze – PhD student of social sciences doctoral program on Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences Faculty at Georgian Technical University. Works on social problems of gender.

GENDER ROLES AND GEORGIAN SOCIETY

ABSTRACT

The analysis of gender equality represents the analysis of sexual power relations in economic, social as well as political fields.

Woman in Georgia is unique and particular phenomenon. She is simultaneously emancipated, active in social life and restricted, being person dependent on the environment requirements and her family.

Gender roles are subjective and they carry specific historic mood.

କୌଣସି

AESTHETICS

ნანა გულიაშვილი – ფილოსოფიის დოქტორი; თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი; მუშაობს ესთეტიკის, კულტურის ფილოსოფიის, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიის პრობლემებზე; გამოქვეყნებული აქტებს სამეცნიერო სტატიები და წიგნი: „არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიურ-ესთეტიკური ნააზრევი“ (თბ. 2012 წ.).

მოდერნული იდეაბი ფრანც კაზკას შემოქმედებაში

როდესაც მოდერნიზმზე ვსაუბრობთ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ იგი პირველი სახელოვნებო აქტივობა იყო, რომელმაც თანამედროვეობა გამოაცხადა ყოფიერების და არსებობის იმპერატივად. იგი XX საუკუნის კულტურული მიმდინარეობაა (როგორც მისი ეტიმოლოგია აღნიშნავს). მოდერნისტული იდეები უარყოფდა კულტურის ისტორიაში ჩამოყალიბებულ ტრადიციულ პრინციპებს.

XX საუკუნის ხელოვნება ნიჰილისტური სულის გამოვლენას წარმოადგენს, აღნიშნავს გერმანელი ფილოსოფოსი პანს ზედლმაიერი თავის ნაშრომში „ცენტრის დაკარგვა“. ხელოვნების დეპუმანიზაცია გამოისახა ადამიანზე უარის თქმით.

მოდერნიზმის წარმოშობა დაკავშირებულია უნივერსალური ცნობიერების კრიზისთან ე.ნ. კლასიკური ფილოსოფიური დისკურსის ამონურვასთან. რამაც თავის მხრივ მოიტანა აბსოლუტის გაქრობა. სამყარომ დაკარგა სიმყარე, გამაერთიანებელი იდეა რის შედეგადაც საგნების და მოვლენების დედიფერენციაცია ქაოტურ ხდომილებად იქცა.

მოდერნიზმი, როგორც მიმდინარეობა ხელოვნების ყველა დარგში განსაკუთრებულად გამოვლინდა. რა იყო ძირითადი მახასიათებლები? მოდერნისტული მწერლობის და ხელოვნების თითქმის ყველა მიმართულებამ თავის ერთ-

ერთ დანიშნულებად გონების წინააღმდეგ შეტევა დაისახა. ამდენად, თუ ჩვენ გვინდა საერთო საფუძველი მოვუძებნოთ ხელოვნების სხვადასხვა დარგებს, ერთი ძირითადი ნიშანი არის ანტიინტელექტუალიზმი – ინტელექტის გაუფასურება.

მოდერნიზმი უპირისპირდება რეალიზმს და წარმოადგენს ავანგარდულ სახელოვნებო მიმდინარეობას. მის მიერ შექმნილი სამყარო საშინელებით, ტრაგიზმით სავსე სიზმარეული სამყაროა, რომელშიც ადამიანები ცივ საშინელ კონსტრუქციებად არის გადაქცეული. მოდერნიზმის თეორეტიკოსები აღიარებენ იმას, რომ ფრონიდიზმმა მოახდინა უდიდესი გავლენა მთლიანად დასავლეთის ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ფრონიდიზმს უკავშირებენ ექსპრესიონიზმს, სიურეალიზმს, ეგზისტენციალიზმს, „ახალ რომანს“.

გონების უარყოფა და ინსტინქტებზე და არაცნობიერზე ორიენტირებული ეთიკა, რა თქმა უნდა, რაციონალისტური ეთიკისგან რადიკალურად განსხვავებული მოძღვრება იქნება. ამორალიზმი, ნიჰილიზმი, პესიმიზმი ირაციონალიზმის საფუძველზე შექმნილ ეთიკურ კონცეფციებში მთავარი ტენდენციაა. ხშირად მოდერნიზმის თეორეტიკოსებს აღუნიშნავთ, ტრადიციულ, რეალისტურ პროზაზე, რომ ასეთ პროზაში, მოთხრობილია რაღაც ამბავი, თითქოს ჭორიკანები ყვებიან ვინმეს ცხოვრების შესახებ – და რომ ასეთი თხრობა მოძველდა და მოსაბეზრებელი გახდა. საქმე კი ის არის, რომ ე.ნ. ტრადიციულ პროზაში, რომელიც მოდერნისტებმა დაიწუნეს, სწორედ ამბის თხრობის დროს იბადება ნაწარმოებში ეთიკური და ესთეტიკური ლირებულებები და სწორედ ეს ლირებულებები ქმნის დიდ ლიტერატურას. მსოფლიო ლიტერატურის რეალისტური და ჰუმანისტური ცხოვრების მიმართ მოდერნისტების უმრავლესობის პოზიცია ნიჰილისტური და ცინიკურია. ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობები, მორალური ნორმები, სამშობლოს სიყვარული, მშვენიერება ბუნებასა და ხელოვნებაში და ა.შ. ყველა-

ფერი განრიდებულია ხელოვნებისგან, უარყოფილია რო-
გორც დრომოქმული.

მოდერნიზმში „ცნობიერების ნაკადი“ გაგებულია, რო-
გორც არაცნობიერიდან ამოტივტივებული აზრების მიმდი-
ნარება, რეალიზმში კი, როგორც პიროვნების ცნობიერება-
ში მიმდინარე პროცესი. ჩნდება კითხვა, რა ხერხს მიმარ-
თავს მოდერნისტი მწერალი „ცნობიერების ნაკადში“? ეს კი
შეიძლება ასე დავალაგოთ: დროისა და სივრცის მიმართ სუ-
ბიექტური დამოკიდებულება, რომელიც გამოიხატება დრო-
ის დარღვევაში: ანტყო, წარსული და მომავალი, „იქ“ და „აქ“,
„შორს“ და „ახლოს“ ხშირად არეულია, უფრო მეტიც დრო და
სივრცე სუბიექტურია, ის პიროვნების „საკუთარი“ დრო და
სივრცეა.

მოდერნიზმის თეორიული წყაროები – ირაციონალიზმი
და ანტიინტელექტუალიზმი – მხატვრული ლიტერატურის
ისტორიაში ზედმინევნით კარგად აჩვენა ფრანც კაფკამ.

დასავლეთში XX საუკუნის ლიტერატურის, კერძოდ კი
პროზის მამამთავრად, რომლებმაც უმონყალოდ დაამსხვრი-
ეს ძველი კლასიკური, ტრადიციული ეპიკური ფორმები და
ახალ ნაკადს დაუდეს დასაბამი, ასახელებენ მარსელ
პრუსტს, ჯეიმს ჯონს, თომას მანს, რობერტ მუზილს,
ფრანც კაფკას.

კაფკას შემოქმედების შეფასებისას მას სხვადასხვაგ-
ვარ ინტერპრეტაციას აძლევენ: მას მიიჩნევენ რელიგიის
ფილოსოფოსად, ფროიდისტად, ეგზისტენციალისტად, სიუ-
რეალისტად და სხვ. ალბერ კამიუმ თავის წიგნში „სიზიფის
მითი“ სპეციალური თავი მიუძღვნა კაფკას – რომელიც ასე
დაასათაურა – „იმედი და აპსურდი ფრანც კაფკას შემოქმე-
დებაში“. კაფკას შემოქმედების გაცნობისას უნდა გავითვა-
ლისწინოთ ორი ფაქტორი: ერთი მხრივ ობიექტური (დასავ-
ლური სამყაროს ტოტალური სულიერ-კულტურული კრიზი-
სი.) და სუბიექტური (პირადი უბედურება, სასიკვდილო სნე-

ულება, შეუფერებელი საქმიანობა, დესპოტი მამა, ფილის-ტერული ოჯახი და ა.შ).იგი ყოველთვის ცდილობდა მამის-გან გაქცევას.

ფრანც კაფკას შემოქმედებაში თავისებურად აისახა ცნობიერების კრიზისის ეპოქა და ირაციონალური ფილოსოფიის პრინციპებმა განუმეორებლობა შეიძინა. ფრანგი მოაზროვნე ეუენ იონესკო ერთ-ერთ ნაშრომში აღნიშნავს, რომ აბსურდის ფილოსოფიისკენ კაფკას მოთხრობებმა უბიძგა.

ფრანც კაფკას შემოქმედება ტრაგიზმით არის გამსჭვალული მან გამოხატა უკიდურესი ტრაგიზმით ის პრობლემები, რომლებიც მოდერნისტულ მწერლობას და მთლიანად მოდერნიზმს თან ახლდა. ყოფიერების აბსურდულობა, ადამიანის გადაგდებულობა სამყაროში, ადამიანის გაუცხოება, ადამიანთა გათიშულობა, არაცნობიერისა და ალოგიკურობის დომინანტობა.

ფრ. კაფკას ცხოვრება ძალიან ჰგავს მის შემოქმედებას, იგი თავისი მეგობრის მაქს ბროდისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „შემოქმედება ტკბილი, მომხიბლავი ჯილდოა, მაგრამ რის საფასურად?... ეს წიაღსვლაა პნელ ძალებთან, ეს თავის ბუნებრივ მდგომარეობაში შებოჭილი სულების გამონთავისუფლებაა. ღამით როცა შიში არ მაძინებს, მე ვიცი მხოლოდ ეს და მასში სატანურს ვხედავ თვალნათლივ.“ (ფრ. კაფკა რჩეული მოთხრობები 2013წ. გვ. 7-11.)

კაფკა ოცნებობდა, რომ სინამდვილე გამოესახა, როგორც სამართლიანი, ნათელი. მან იცოდა, რომ სხვაგვარი შემოქმედების შესაძლებლობაც არსებობდა, მაგრამ მას არ შეეძლო რეალობა სხვაგვარად დაენახა. ის, რაც კაფკას ნაწარმოებებში ხდება, არ ექვემდებარება ადამიანურ ლოგიკას: აბსურდული სიტუაციები, აუხსნელი უმიზეზო მოქმედებები და ფრაზები. როგორც სიზმარში, ერთი ვითარებიდან მეორეში გადასვლა არ ექვემდებარება მიზეზობრიობის კანონს. მისი გმირების საუბრები ერთი შეხედვით, თითქოს

ჭკვიანურია, თითქოს ლოგიკურია მაგრამ მკითხველი მალე აღმოაჩენს, რომ სრული ალოგიზმია. კაფუა არ გვაძლევს თავისი გმირების ფსიქოლოგიურ დახასიათებას, მას არ აინტერესებს მათი სულიერი სამყარო. ისინი ასოციალურნი, თავის თავში ჩაკეტილი არსებები არიან, განიცდიან შიშასა და ძრწოლას. ემორჩილებიან ირაციონალურ ძალებს, ეს ძალები კი მათ სულშიც არის და მათ გარეთაც.

ადამიანის ცხოვრების აბსურდულობა, ადამიერების ქცევების და აზრების ალოგიკურობა არის თემა კაფუას რომანისა „პროცესი“ (1915-1918წ). რომანის თითოეული პერსონაჟის ქმედება და საუბარი ამოგლეჯილია კონტექსტიდან, წარმოდგენილია, როგორც სრული უაზრობა. ასევე უაზრობაა მისი რომანები „ამერიკა“ (1911- 1916). და „ციხე-სიმაგრე“ (1921-1922). ამ რომანების კითხვის დროს კაფუა აჩვენებს, რომ ყველაფერი ფუჭი და უაზრობაა, რეალიზმის პოზიციებიდან.. მტანჯველ, დამრთგუნველ სიცარიელეში, უიმედობისა და უსასობაშია მოქცეული ამ რომანების პერსონაჟებიც და მკითხველიც. დიდი ოსტატობით ქმნის კაფუა იმ საშინელ სამყაროს, რომელიც მოდერნიზმის ძირეული სივრცეა. კაფუას რომანებიდან „ამერიკა“ ყველაზე რეალისტური, ყველაზე ოპტიმისტურია. მისი ალეგორიულ-სიმბოლური აზრი შემდეგია: კაპიტალისტურ სამყაროში თანამედროვე ადამიანი მოხვედრილია მტრულ, გაუგებარ და ქაოტურ გარემოში. ეს გარემო უცხოა მისთვის, რომელშიც იძულებით არის მოხვედრილი. ძირითადი არსი შემდეგია: თექვსმეტი წლის გამოუცდელი, მიამიტი, უდანაშაულო ბიჭი ასაკოვანმა მზარეულმა ქალმა შეაცდინა, მისგან შვილი გააჩინა. ქალის-თვის რომ ჩამოეშორებინათ, მშობლებმა ბავშვი ამერიკაში გახიზნეს, სადაც კაფუა აღწერს ბიჭის საცოდავობას, გადმოსცემს უთვისტომოდ, უსახსროდ და უსახლკაროდ დარჩენილ ბიჭის თავგადასავალს.

კაფუას ნაწარმოებში ყოველი დეტალის, ან სიტუაციის ნამდგილი ახსნა და აზრის გამოტანა შეუძლებელია. ალბერ კამიუ შენიშნავდა, რომ აზრი არა აქვს კაფუას ნაწარმოებში ყველაფრის „ახსნა-გაშიფვრას.“ ყოველი წვრილმანის სიმბოლურობის ზუსტ დადგენას. ასევე შეუძლებელია ზუსტად თქმა იმისა, თუ რა იგულისხმება, როცა აღწერს „პროცესში“ იოზეფ კ-ს ცხოვრებას. ბანკის პროკურისტ იოზიფ კ-სთან მიდის ორი უცნობი და უცხადებენ რომ ის დაპატიმრებულია. იოზიფ კ თავისი ცხოვრების წესას და თავის წარსულში ვერაფერს პოულობს ისეთს, რის გამოც მისი დაპატიმრება იქნებოდა შესაძლებელი. დაპატიმრების მიზეზის შესახებ ის ორი უცნობიც ვერაფერს ეუბნება... რომანი მთავრდება იმით, რომ საღამოს კ-სთან მიდის ისევ ის ორი მამაკაცი, მიჰყავთ ქალაქებარეთ, ჩაჰყავთ მიტოვებულ ქვისასატებში, გააშიშვლებენ, დააწვენენ და გულში დანას დაარტყამენ. იოზეფ კ-მ დაასრულა თავისი სიცოცხლე ისე, რომ ვერ გაიგო, რა დააშავა და რისთვის მოკლეს. ამ რომანის ლოგიკურ დასასრულს ალბერ კამიუ გვაძლევს. იგი ამბობს „ყველა ადამიანი დამნაშავეა.“ ის ამ ქვეყნად დამნაშავედ იბადება იმიტომ რომ „დაიბადა“, ქვეყანას მოევლინა, ამით დანაშაული ჩაიდინა.“

ასევე გაუგებარია რომანში „ციხე-სიმაგრე“ კ-ს, ფრიდასა და ოლგასთან ურთიერთობები. კაფუას გმირებს, მისი შემოქმედების ალეგორიული ელემენტების წყალობით არ აქვთ რეალობა, არა აქვთ სინამდვილე. ისინი მოკლებული არიან ინდივიდუალურ თვისებებს. არ აღწერს მათ გარეგნობას, ჩაცმულობას. არ ვიცით გმირის ეროვნება და ზოგჯერ არც სახელი და გვარი. მას მხოლოდ ინიციალებით წარმოგვიდგენს. კაფუას გმირები წარმოადგენენ ერთგვარ ხორცშემოცლილ ჩონჩხებს, თავისებურ სიმბოლოებს. ყველაფრის სტრუქტურამდე დაყვანა კი მოდერნიზმის ძირითადი ნიშანია. იგი არ აკონკრეტებს თავის ნაწარმოებში არც დროს და

არც ადგილს. არც ხსენებული ამერიკა და არც ჩინეთი არ არის ნამდვილი ქვეყანა. მათი გეოგრაფია არ აინტერესებს და შეცდომით აღნიშნავს სან-ფრანცისკოს ადგილმდებარეობას. უფრო მეტიც ამერიკის თავისუფლების ქანდაკებას ხელში ჩირალდნის ნაცვლად მახვილს აჭერინებს და ა.შ. კაფეკას სინამდვილისათვის დამახასიათებელია სიზმრის „ლოგიკა“ რაც ფაქტიურად ულოგიკობას, ქაოტურობას უდრის. მის სამყაროში გაბატონებულია უაზრობა, აბსურდულობა, პარადოქსულობა.

XX საუკუნე მოდერნიზმის საუკუნეა. ეს არის ეპოქა როცა ორი უზარმაზარი ომი მოხდა. საუკუნის დასაწყისში გარემო მომავალი რევოლუციით და ომებით იყო გაუღენთილი. ასეთი ეპოქის შვილი იყო კაფეკა რომლის ცხოვრებასაც და შემოქმედებასაც ეპოქამ დაღი დაასვა და „მოდერნიზმის“ სახელით შეინიბდა. „კაფეკას გარდაცვალების შემდეგ მისმა მეგობარმა მაქს ბროდმა მწერლის ქალალდებში იპოვა ბარათი, სადაც კაფეკა თხოვნით მიმართავდა, რომ შეეგროვებინა მისი ნაწერები მაქს ბროდს და გაენაფერებინა. (ნაწერები, წერილები, ნახატები). მაქს ბროდმა არ შეასრულა მეგობრის თხოვნა და საკმაო ხნის შემდეგ გამოაქვეყნა ხელნაწერები და დარჩენილი რომანები „ამერიკა“, „პროცესი“, „კოშკი“. ისინი მაქს ბროდმა დაასათაურა შინაარსის მიხედვით. ამიტომ სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ფრანც კაფეკას გაცნობას მსოფლიო მაქს ბროდს უნდა უმადლოდეს.“ (ფრანც კაფეკა. რჩეული მოთხოვობები. 2013წ. გვ.11) კაფეკა თავისი ნაწარმოების გმირების მსგავსად შიშს და ძრნოლას განიცდის. ის დათორგუნულია ოჯახშიც, რადგან დესპოტი მშობლების გვერდით იზრდებოდა და ყოველთვის მამის სურვილები უნდა გაეთვალისწინებინა და შეესრულებინა. ცხოვრებამ მასზე და მის ოჯახზე გარკვეული დაღი დაასვა. ის სულ აპოკალიფსის მოლოდინში იყო და მას სიკვდილის შიში თრგუნავდა. ის ებრაული წარმოშობის გერმანულენოვან ოჯახში აღიზარდა და მოაზროვნედ ჩამოყალიბდა. ალბათ, როცა აპოკა-

ლიფსს ახსენებდა ხშირად ის ხედავდა ოჯახის მომავალ ბედსაც. იგი 1924 წელს გარდაიცვალა, ხოლო მისი დეპი ოჯახებით ომის დროს რავენსბრუკის საკონცენტრაციო ბანაკში გარდაიცვალნენ.

ფრანც კაფკა თავის შემოქმედებაში ასახავს ბიურგერული ეპოქის მიწურულის სულიერ, კულტურულ, ფილოსოფიურ მსოფლმხედველობრივ კრიზისს. კაფკას ნაწარმოებებში ჩვეულებრივ ასახულია, თუ როგორ ვერ იკიდებს ფეხს, გზას ვერ იგნებს, ვერ აღწევს თავს მარტოობას საწყალი ადამიანი. იგი გვიჩვენებს, თუ როგორ იმარჯვებს მხეცი ადამიანზე, მხეცური ელემენტი ადამიანურ ელემენტზე, თუ როგორ ზეიმობს გამარჯვებას ქვენა გრძნობები, ინსტიქტები, ბნელი ზრახვები ადამიანურ მისწრაფებებზე და იდეალებზე. მისთვის უცხოა ჭეშმარიტი სიყვარული და სასიყვარულო ურთიერთობები. უსახლკარობა, უსამშობლოობა, ადამიანის სულიერი უთვისტომობა – ეს კაფკას შემოქმედების ძირითადი პრობლემაა. არსად არ ჩანს არავითარი აბსოლუტი, არავითარი ზნეობრივი იდეალი, რომელიც აზრს და მნიშვნელობას მიანიჭებდა ადამიანის არსებობას. „პროცესის“ გმირი იოზეფ კ. ამბობს: „სიცრუე ქვეყნის წესრიგად ქცეულა“ ეს არის კაფკას ძირითადი მოტივი, რაც მთელს მის შემოქმედებას მიჰყვება. ამის გამო მისი შემოქმედება უკიდურესად პესიმისტური, უპერსპექტივო და უკიდურესი სასონარკვეთილების შემცველია.

ხელოვანის პიროვნების პრობლემა ითვალისწინებს, რომ დავახასიათოთ ხელოვანი მისი სპეციფიკური და არასპეციფიკური თვისებების დიალექტიკურ კავშირში. ე.ი. უნდა განვიხილოთ იმ თვისების კავშირში, რომლებიც საერთოდ პიროვნებისათვის არის დამახასიათებელი და რომლებიც ხელოვანის პიროვნებას განასხვავებენ პიროვნებათა სხვა ტიპებისაგან. დავიწყოთ სწორედ განმასხვავებელი თვისებების გამოვლენით. საქმე ისაა, რომ მხატვრულ შემოქმედებაში ადგილი აქვს ფსიქოლოგიურ და ესთეტიკურ თვალსაზრისე-

ბის ფენომენს. როცა ჩვენ ხელოვანის პიროვნების „თვითგა-მოხატვაზე“ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არა მისი რეალური ყოფითი პიროვნება, რომელიც პრაქტიკულ ცხოვ-რებაში ვლინდება, არამედ მისი მეორე, იდეალური პიროვნე-ბა, რომელსაც იგი ნაწილობრივ ცნობიერად და ნაწილობრივ არაცნობიერად აკონსტრუირებს თავის ქმნილებაში. რასაკ-ვირველია, ემპირიულად მოცემულ პოეტის პიროვნებას ე.ი. უბრალო ადამიანს, ადამიანებს შორის – და მის პოეტურ ნა-ტურას შორის უფსერული არაა. პირიქით ეს ორი იპოსტასი ორგანულად განაპირობებენ ერთმანეთს. მაგრამ ამავე დროს იგივეობრივნიც არ არიან. ხელოვანის პიროვნება, ის რაც შემოქმედებაში ვლინდება, თითქოს მაღლდება ყოველ-დღიური კონკრეტული პიროვნებისაგან, თითქოს შორდება ყოველდღიურ ფუსფუსსა და ზრუნვას, ინმინდება ყოველ-გვარი წვრილმანებისგან და ნარმოჩინდება როგორც იდეა-ლური პიროვნება, როგორც ადამიანი საუკეთესო თვისებე-ბის მატარებელი.

კაფუას შემოქმედების გაცნობისას თუ გავითვალისწი-ნებთ ხელოვანის როგორც ემპირიულ მეს და შემოქმედებით მეს, რაც მნიშვნელოვანია ხელოვანის დახასიათებისას. ეს ორი მხარე კაფუასთან (ემპირიული და შემოქმედებითი) ერ-თმანეთთან ჰარმონიულად არის შეწყობილი. მისი ცხოვრება ემპირიული მე ძალიან ახლოს არის შემოქმედებით მეს – თან. ეს სიახლოვე იმით აიხსნება რომ ორივე შემთხვევაში „ტრაგიკულ“ ადამიანთან გვაქვს საქმე.

მოდერნიზმი XX საუკუნის მონაპოვარია. იგი მიმდინა-რეობად ჩამოყალიბდა და კულტურის თუ ხელოვნების ყვა-ლა დარგი დაიპყრო. ის დაუპირისპირდა კლასიკურ ხელოვ-ნებას. რენე დეკარტე თავის თეორიაში აღნიშნავს რომ კლა-სიკური ეპოქის ადამიანი მყარად იდგა მიწაზე. მას ამ სიმყა-რეს აძლევდა ტრადიციები, ისტორია სამშობლოს სიყვარუ-ლი და რწმენა. ამდენად ადამიანი ძლიერი და თვითდაჯერე-

ბულია. მოდერნიზმა კი ადამიანს წაართვა ისტორიაც, ტრა-
დიციები, სამშობლო და რაც მთავარია რწმენა. ამდენად მო-
დერნისტი ადამიანი სასოწარკვეთილი, მარტოსული, მიუსა-
ფარი ძრწოლვას და შიშს განიცდის სამყაროში და სამყა-
როსგან განადგურების მოლოდინშია. ასეთია ფრანც კაფკას
ძირითადი მოდერნისტული იდეები და შეიძლება დავას-
კვნათ, რომ იგი უახლოვდება მოდერნისტულ ექსპრესიო-
ნიზმს და სიურეალიზმს, სადაც საგანი გარკვეულად დე-
ფორმირდება.

ლიტერატურა:

1. ფრანც კაფკას ცხოვრება და შემოქმედება. “ფრანც კაფ-
კა რჩეული მოთხრობები. 2013წ.
2. ალბერ კამიუ „სიზიფეს მითი“. 2010წ.
3. ზურაბ კაკაბაძე ფილოსოფიური საუბრები 1988წ. გვ176-
198.
4. 6. გულიაშვილი ხელოვნების ფილოსოფია – ლექციე-
ბი.(მოდერნიზმი) (ელ. ვერსია) 2017წ.

Nana Guliashvili – Doctor of Philosophy; Assistant-Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University; She studies problems of aesthetics, philosophy of culture, history of Georgian aesthetic thought; has published scientific articles and a monograph ~Archil Jorjadze's Philosophic-Aesthetic Thought" (Tbilisi, 2012).

MODERN IDEAS IN FRANZ KAFKA'S WORK

ABSTRACT

Franz Kafka in his work reflects the spiritual, cultural, philosophical world view of the end of the burger epoch. In the works of the kapka it is usually illustrated, how can you do not understand the way you can not reach the loneliness of loneliness? It shows how the beast wins the beast, the human element of the human element, how to win the subconscious feelings, the instincts, the dark intentions of human aspirations and ideals. She is alien to true love and love relationships. Homelessness, inhumanity, and human malnutrition – this is a major problem for the kapka creativity.

ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ეთიკისა და ეთიკოლოგიის განყოფილებაში.

ნატალია ბერძენიშვილი – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი.

ხელოვნების ნაწარმოების გაგების პროცესი პ. გ. გადამორის ფილოსოფიურ პერსევანტიკაში

გაგების ფენომენთან დაკავშირებული საკითხი პ. გ. გა-დამერის ფილოსოფიურ ნააზრევში ხელოვნებასთან მიმართებით განიხილება და ამ სფეროს სპეციფიკურ ღირებულებით ხასიათს წარმოაჩენს. მის ესთეტიკურ კონცეფციაში საყურადღებოა კულტურის სისტემაში ხელოვნების ადგილისა და ფუნქციის თავისებურებათა გამოვლენა. წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით ვაჩვენოთ ხელოვნების თავისთავადობის არსობრივი ძალა, რამაც, ვფიქრობთ, უნდა დაგვანახოს, თუ რატომ წარმოადგენს ხელოვნების გაგება თეორიული აზროვნებისთვის პრობლემას. ეს თემა წარმოიშვება ხოლმე ყოველთვის, როცა არსებული პოეტური სახეებისა და გამომსახველობითი ფორმების ტრადიცია წინააღმდეგობაში ექცევა თანამედროვე აზროვნებასთან. როგორც გადამერი აღნიშნავს, თავდაპირველად სოკრატეს მიმდევრების მიერ, ხოლო შემდეგ, დასავლური კულტურის ისტორიის საზღვრებში, ხელოვნების წინაშე დაისვა მოთხოვნა, დაესაბუთებინა თავისი არსებობის კანონზომიერება. ასეთი მოთხოვნა, გადამერის აზრით, ერთგვარი გამოწვევაა ხელოვნების ხელახალი გააზრებისაკენ. ასეთ ხელახალ გააზრებას (შემოწმებას), ჰერმენევტიკულ რეფლექსიას, ანუ აზრის შემობრუნებას – ახლის შექმნიდან ხელახალი გააზრებისაკენ განაპირობებს პრობლემის აქტუალურობა. რამდენადაც ეს საკითხი აქტუალურია, იმდენად აქტიურდება პიროვნული

და შემოქმედებითი ენერგია, რაც გაგების აუცილებელი წინაპირობაა.

გადამერი მოიხმობს ჰეგელის ცნობილ ფორმულირებას, რომ „ხელოვნება წარსულს ჩაბარდა“ და მიმართავს საკითხის რეკონსტრუირებას (ხელახალ გადააზრებას). ის ამბობს, რომ ჰეგელმა აღნიშნული მიდგომით შეძლო ამ პრობლემისადმი ჩვენი კვლავ-დაინტერესება. ჰეგელმა ამ ფორმულირებით რადიკალურად გამოკვეთა ფილოსოფიის პრეტენზია, – ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვა აქციოს შემეცნების საგნად. მისი აზრით, ეს ამოცანა მხოლოდ მაშინ იქნება გადაწყვეტილი, როცა ფილოსოფია დაეუფლება ჭეშმარიტებას მთელი თავისი მოცულობით. გადამერი გვერდს უვლის ჰეგელის ამგვარ, მისი თქმით, კადნიერ პოზიციას და ცდილობს აჩვენოს, რას შეიძლება ნიშნავდეს ხელოვნების წარსულობა. როცა ჰეგელი ამბობდა, რომ ხელოვნება განზეგადგა, გადამერის აზრით, ის გულისხმობდა იმას, რომ ხელოვნება აღარ იქნება, ან უარს ამბობს იყოს თავისთავადი გაგებულების მქონე და, ამდენად, ის დასაბუთებას საჭიროებს.

გადამერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გაგება განუწყვეტლივ მიმდინარეობს რა გამოცდილებასთან უცვლელი კომუნიკაციური თანაზიარობით, მისი რაციონალური ბუნება ვერასოდეს ჩაისმება ლოგიკურ ფორმულებში. ის მიიჩნევს, რომ ამით გაგება ხელოვნებას უკავშირდება და ესთეტიკის სფეროს ჰერმენევტიკის საზღვრებში მოიაზრებს, რადგანაც ესთეტიკური შეგრძნებით შესაძლებელია იმ რაღაცის გაგება, რაც შეუძლებელია ნებისმიერი სხვა თეორიული ფორმით, ანუ, ესთეტიკური ღირებულება ისეთ განზომილებაში გვიჩვენებს ადამიანის ურთიერთობას სამყაროსთან, რომელიც არცერთი სხვა კუთხით არ დაინახება. ამდენად, ესთეტიკურ ღირებულებას აქვს მსოფლმხედველობრივი მნიშვნელობა. ესთეტიკური, როგორც სინამდვილის სუ-

ლიერი ათვისების განსაკუთრებული სახე, ადამიანის მიერ სამყაროსა და საკუთარი თავის გაცნობიერების გამორჩეული ფორმაა.

თავდაპირველად, შევეცდებით, განვიხილოთ საკითხი გაგებისა და ინტერპრეტაციის შესახებ ჰერმენევტიკული გამოცდილების საზღვრებში; საუბრისას გამოვკვეთავთ სიტუაციას განცდის ცნებასთან მიმართებაში, და გავაანალიზებთ მიბაძვისა და გამოსახულების ცნებათა მნიშვნელობებს გადამერის ესთეტიკური კონცეფციის ფარგლებში.

გადამერთან სამყარო, როგორც ადამიანური გამოცდილების დაუსრულებელი სრულყოფის შესაძლებლობა, – ეს არის ენის სფეროში ქმედება, რომელიც გულისხმობს სამყაროსთან უფრო ფართო „ხედვის“ ასპექტით მიღვომას. აქ დანახვისთვის ზრუნვა ექსისტენციალური მნიშვნელობითაა აღქმული, ანუ ხედვა, მისთვის მისაწვდომ ყოფიერებას თვით თავის თავთან დაუფარავი შეხვედრის შესაძლებლობას აძლევს (10, გვ. 226). ჰაიდეგერის თქმით, ყოფიერება არის ის, რაც წმინდა მჭვრეტელ დაკითხვაში ვლინდება, და მხოლოდ ეს ხედვა აღმოაჩენს ყოფიერებას (10, გვ. 261).

ტერმინი „გაგება“ გადამერთან გვხვდება იმ მნიშვნელობით, რომელიც მას ჰაიდეგერმა მიანიჭა. „გაგება“ ჰაიდეგერთან მოიაზრება, როგორც შინაგანი ძალა, უნარი იგრძნო ის, რაც დაფარულია ყოფიერების სიღრმეში, რასაც ონტოლოგიური მნიშვნელობა აქვს და მიუთითებს „ყოფიერების პირველსაწყისზე“.

Dasein სტრუქტურა შეუძლებელია გაიხსნას, როგორც ასეთი, მაგრამ თავად Dasein ყოფიერების გაგება, გადამერის აღნიშვნით, შესაძლებელია მხოლოდ ინტერპრეტირდეს. ამიტომაც გაგება არსებითად უკავშირდება Dasein ონტოლოგიურ განსაზღვრებას, რომლის მიხედვით გაგება და განმარტება იმეორებენ მოძრაობას წრეზე.

თანამედროვე ფილოსოფიურ ჰერმენევტიკაში იცვლება შეხედულება ინტერპრეტაციის ძირითად მეთოდოლოგი-

ურ სირთულეზე – „ჰერმენევტიკულ წრეზე“. თუ მანამდე ჰერმენევტიკა ცდილობდა ამ წრიდან გამოსულიყო, გადამერი ამტკიცებს, რომ ამ წრიდან გამოსვლა არა თუ შეუძლებელია, არამედ არც არის საჭირო. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციის წრიულ სტრუქტურაში სწორად შეღწევის უნარს.

გაგების წრიულობა გადამერის მიერ კონკრეტიზირდება, როგორც გამოცდილება. სხვისი გამოცდილების გაგება შესაძლებელია მხოლოდ საკუთართან დაპირისპირებით. ამ აზრით, გაგება წარმოადგენს პორიზონტების შერწყმის პროცესს. ეს შერწყმა არასოდეს არ არის სრული, გადამერის მიხედვით, გამყოფი დისტანცია ყოველთვის რჩება. ის მიუთითებს „დროითი დისტანციის“ პოზიტიურ მნიშვნელობაზე, რადგანაც დროითი მანძილი გადაფარავს სუბიექტურს და ტოვებს თვითონ გამოცდილებას, საზრისა. ამით დროითი დისტანცია არის ის ფილტრი რომელიც გადმოცემას ასუფთავებს ყოველგვარი „ძველი“, წინასწარი განსჯიდან, იმ წინასწარმიღებული მსჯელობიდან, რომელიც გაგებას ოდესალაც წარმართავდა, და რომელიც ახალ ისტორიულ გარემოში უკვე ყალბი მსჯელობა და მცდარი გაგების წინამდვრია. ამგვარად, გაგებაში შემოდის თვითონ ტრადიცია, თვითონ გადმოცემა, რომელიც მიმართავს გაგებას შეკითხვით თავისი რაობის შესახებ. სინამდვილეში, გამგები თავისი შეკითხვით იძლევა პასუხს. ასეთი დიალოგით გადმოცემა აიძულებს გამგებს „გახსნას თავისი შესაძლებლობები და გაუჩნდეს შეკითხვები ჭეშმარიტების საძიებლად“ (4,ს280).

გადამერი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, როცა ადამიანი ცდილობს გაარკვიოს, თუ რა არის ხელოვნება. მისი თქმით, ამ დროს თავის თავთან შეხვედრა არაერთგვაროვნებით ხასიათდება. სწორედ აქედან გამომდინარე, ხელოვნების გამოცდილება, როგორც საკუთარ რაობასთან შეხვედრა, გადამერის მიხედვით, არის ჭეშმარიტი გამოცდი-

ლება და ყოველ ჯერზე მოითხოვს თავიდან გაუმკლავდე ამოცანას, რომელსაც აყენებს ნებისმიერი გამოცდილება: საკუთარი თვითშემეცნების ინტეგრაცია შენივე ორიენტირების ერთობლიობასთან სამყაროში (2,264).

მხატვრული ნაწარმოების განმსაზღვრელი მისი ესთეტიკური განცდის ხარისხია.

„განცდა“ ნაწარმოებია სიტყვისგან „erleben“, რაც ნიშნავს „გადატანილს“, „გამოვლილს“, „გარდასულს“. განცდის ემფატიკურობა გულისხმობს რაიმე დაუვიწყარის, შეუცვლელის არსებობას.

ესთეტიკური განცდა არ არის განცდის რიგითი სახეობა. ხელოვნების მნიშვნელობა, რომელიც განცდით გაიგება, ემყარება არა მხოლოდ შინაარსის ან საგნის განსაკუთრებულობას, არამედ აზრობრივი მთელის წარმოდგენილობას. ესთეტიკური განცდით ყოველთვის უსასრულო მთელი შემცნება. ეს არის შემეცნების ერთიანი ღია პროცესი, სადაც განცდა რაიმე სხვასთან შეკავშირების გარეშე უშუალოდ წარმოგვიდგენს მთელს. ამ ძალით მისი მნიშვნელობა განუსაზღვრელია.

მხატვრული სიმართლე არისტოტელესთან არ ემთხვევა საგნებისა და მოვლენების ნამდვილ არსებობას (22,235). ასეთი მიდგომა გადამერისთვის წარმოადგენს ანტიკური მემკვიდრეობის პირველ მითითებას. ის დახმარებისთვის მიმართავს ესთეტიკურ ცნებათა ფორმირების ტრადიციას. კერძოდ, გადამერი ცდილობს მოგვცეს „მიბაძვის“ ძირეული გაგება.

გადამერი მიბაძვის ცნებას განიხილავს არისტოტელეს მიხედვით და მიიჩნევს, რომ მასთან ეს ცნება პრინციპულ და პოზიტიურ მნიშვნელობას იძენს (3,235). რას გულისხმობს არისტოტელე, როდესაც ამბობს, რომ ხელოვნება არის მიბაძვა, მიმეზისი? რა არის მიბაძვა?

ხელოვნების ანტიკური თეორია, რომლის თანახმადაც ნებისმიერ ხელოვნებას საფუძვლად უდევს მიმეზისის, მი-

ბაძვის ცნება უკავშირდება თამაშის გაგებას. ის, ვინც რაიმეს ბაძავს, მას აქცევს ისეთად როგორი ცოდნაც მის შესახებ გააჩნია. ბავშვების მოთხოვნილება გადაცემისადმი, რომლითაც არისტოტელეა დაინტერესებული, ნიშნავს არა საკუთარი თავის დაფარვას, ან მოჩვენებით ან გამოგონილ ქმედებას, რომელსაც ამოცნობა უნდა მოჰყვეს, არამედ, პირიქით, როცა ბავშვი გადაცმულია და მას არ უნდა რომ ვიცნოთ, ამის საშუალებით ის წარმოგვიდგენს იმას, რისი გამოსატვაც უნდა, და თანაც ცდილობს აჩვენოს, რომ გამოხატვას. მაგრამ თუკი უნდა რაიმე ამოცნობილი იყოს, ესაა მხოლოდ: ამოიცანი ”რა არის ეს?“ (2,160) აქ მნიშვნელოვანია ინტენსიურობის ხარისხი, ანუ, ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი რაიმეს ამოცნობა და საკუთარი თავის შეცნობა.

ასეთი მსჯელობა ეხმარება იმ ფაქტის კონსტანტირებას, რომ მიმეზისის შემეცნებითი მნიშვნელობა ამოცნობაა და არა უბრალოდ კოპირებული გამეორება. მაგრამ გამოსახვა იმით ჰგავს უბრალო მიბაძვას, რომ ის შეიცავს აუცილებელ მითითებას, რაც გულისხმობს გამოკვეთის სიჭარბეს, ანუ მიმბაძველმა უნდა რაღაც უკუაგდოს და რაღაც გამოყოს. აქ ჩნდება მოუხსნელი ყოფიერებითი დისტანცია და მისი შესაძლო იგივეობრივი.

რა არის საკუთრივ ამოცნობა? ამ ფენომენის ანლიზმა შეიძლება სრულად აგვიხსნას გამოსახვის იმგვარი ყოფიერება, რომელიც აქ იგულისხმება.

გადამერის აზრით, ამოცნობა?”ნაცნობი” მხოლოდ ამოცნობით აღნევს თავის ჭეშმარიტ აზრს და წარმოგვიდგება ფიქსირებული სახით (2,161). მიბაძვის შედეგად მიღებული ამოცნობის სიხარული, რომელზედაც ანტიკური ფილოსოფია საუბრობს, მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ შეიცნობა უფრო მეტი, ვიდრე აქამდე იყო ცნობილი.

ამასთან ერთად, გადამერისთვის ყოველგვარი ამოცნობა წარმოადგენს სამყაროს შეთვისების, მასთან შეგუების

მზარდ გამოცდილებას, ხოლო ყველა სახის გამოცდილება არსებითად ის ფორმებია, რომლითაც ხორციელდება სამყაროსადმი ჩვენი მიმართება. ამის საფუძველზე, ხელოვნება, – ეს არის ამოცნობის იმგვარი სახეობა, რისი საშუალებითაც ღრმავდება თვითშემეცნება და სამყაროსთან ჩვენი ნდობის, ან მინდობის შესაძლებლობა (2,237).

გადამერი ეყრდნობა მიმეზისის უძველეს გაგებას, რომელიც წესრიგის წარმოდგენას ვარაუდობს. მხატვრული ნაწარმოები ჩვეულ და ახლობელ საგანთა სამყაროს რღვევაში დგას, როგორც წესრიგის საწინდარი. ხელოვნების საჭიროება მდგომარეობს იმაში, რომ ის ყოფიერების მუდმივი და ხელახლი მომწესრიგებელია. გადამერის აღნიშვნით, სწორედ ამ გზით ხვდება ჭეშმარიტება ქმნილებაში.

ჭეშმარიტების შემეცნება – ეს იგივე არსის შემეცნებაა, და ხელოვნებაც სწორედ ასეთ შემეცნებას ყველაზე დამაჯერებლად ემსახურება (2,162).

ხელოვნებასთან ურთიერთობისას დანახულსა და ასახულს შორის საგრძნობი დაძაბულობა ონტოლოგიურად გვაგებინებს, რომ საქმე გვაქვს მხატვრულ ნაწარმოებთან და მას ამოვიცნობთ იმის მიხედვით, თუ როგორ გავლენას ახდენს ჩვენზე თითოეული ასეთი შეხვედრისას; რა არსებითს შეიცავს მოცემული მომენტი, რომლის წყალობითაც ხელოვნება იქცევა ხოლმე იმად, რაც ის სინამდვილეშია?

იმისათვის, რომ განისაზღვროს გამოსახულების (Bild) ყოფიერების წესი (ვალენტურობა), გადამერი საჭიროდ მიიჩნევს გაარკვიოს როგორ პოზიციაშია ასახვა (Abbild) პირველსახესთან (urbild).

საკუთრივ გამოსახულების შინაარსი ონტოლოგიურად განისაზღვრება როგორც პირველსახის ემანაცია. ემანაციის არსი ემანირების სიხშირეშია: ემანაცია უშრეტად მოედინება და ამოუწურავია

ის, რომ წარმოდგენა – არის გამოსახულება, და არა პირველსახე, ნიშნავს არა ყოფიერების უარყოფას, არამედ სინამდვილის ავტონომიურობას.

აქ ადგილი აქვს გამოსახულების მიღმა არსებული საკუთრივი-ყოფიერების გაცხადებას. ამ შემთხვევაში, მთავარია იმის ჩვენება, რომ გამოსახულება „წარმოდგენილისგან“ ონტოლოგიურად განუყოფელია

იმისათვის, რომ გამოსახულების ყოფიერების თავისებულება (ვალენტურობა) ასახვასთან და პირველსახესთან მიმართბაში უკეთ წარმოაჩინოს, გადამერი საუბრობს რეპრეზენტაციის ცნების საჭიროებაზე, რადგანც მიიჩნევს, რომ გამოსახულება შეიცავს საკრალურობის, უფრო კონკრეტულად კი, „რეპრეზენტაციის“ მომენტს, და მხოლოდ გამოსახულების წყალობით პირველსახე გვევლინება პირველ-სახედ.

„გამოსახულება ყოფიერებითი პროცესია“ ნიშნავს იმას, რომ მასში ყოფიერება იძენს გააზრებულ და ხილულ გამოვლინებას. პირველსახოვნებას არ ზღუდავს გამოსახულების ასახვითი (ამსახველობითი ფუნქცია). პირველსახოვნება ის არსებითი მომენტია, რომლის დასაბუთება შესაძლებელია მხოლოდ იმ აზრით, რომ ხელოვნება წარმოდგენითი ხასიათის მქონეა. გამოსახულება თავის სამყაროსთან ურღვევ კავშირში მყოფია და ეს მის თვისობრივ ნიშანს შეადგენს.

ამასთანავე, ხელოვნების წაწარმოები მოიაზრება როგორც ყოფიერებითი პროცესი, რომელიც წყდება მაშინ, როცა აბსტრაქციას მივყავართ ესთეტიკური გარჩევითობისაკენ. გამოსახულება, – წარმოდგენის პროცესია, მაგრამ „წარმოდგენის ყველა ფორმა, ბუნებრივია, არ არის „ხელოვნებისეული“ ბუნების მატარებელი. მაგალითად, წარმოდგენით ფორმას განეკუთვნება სიმბოლოც და ნიშან-აღმნიშვნელიც. ერთიც და მეორეც გამოსახულების არსის შემადგენე-

ლი ნაწილებია, და მიუთითებენ იმაზე, რაც მასშია წარმოდგენილი; იმისათვის, რომ ნიშანმა ამ ფუნქციის შესრულება შეძლოს, პირველყოვლისა, როგორლაც უნდა აჩვენოს თავისი თავი, ანუ ის „თვალშისაცემი“ უნდა იყოს. ამიტომაც, ის ვერ იქნება ისეთი მიზიდულობის, რომ მივაჩერდეთ მას. ნიშანს ევალება მხოლოდ ამცნოს, აუწყოს იმ რაღაცის არსებობის შესახებ, რაც მისი თანდასწრებით არ იმყოფება. მაშასადამე, ნიშანის საკუთრივი გამომსახველობითი შინაარსი არ უნდა იყოს შემაფერხებელი.

გამოსახულება რაიმეს წარმოგვიდგენს ისე, რომ არ განეშორება მისგან. პირიქით, ის მისი ყოფიერების თანამონანილეა: როგორც კი წარმოდგენილი ახალს შესძენს თავის ყოფიერებას, ის საკუთარ გამოსახულებას უკანვე უბრუნდება უფრო შევსხებული სახით, რადგანაც მისი მკვიდრი სამყოფელი მხოლოდ ეს გამოსახულებაა. საბოლოოდ, გამოსახულებაში პირველსახის არსებობა განაპირობებს იმას, რომ ეს-თეტიკური რეფლექსია, რომელსაც გადამერი ესთეტიკური გარჩევითობის უნარს უწოდებს, – აბსტრაგირდება. (2,202).

ამასთანავე, გამოსახულებისა და ნიშნის განსხვავებულობას აქვს ონტოლოგიური საფუძველი. მართალია, გამოსახულებას ნიშნის მსგავსად გააჩნია ჩვენებითი ფუნქცია, მაგრამ ამით ის არ ამოწურავს თავის თავს, ანუ არ იმყოფება მოხსნილი სახით, – პირიქით, ის თავისი ყოფიერების თანამგრძნობია და მონაწილეობს მასში იმით, რომ – გამოხატავს.

სიმბოლო და ნიშანი ერთმანეთისგან განირჩევა გამოსახულებასთან მიმართებაში. სიმბოლოს წარმოდგენით ფუნქციას არ შეადგენს უბრალო მითითება იმაზე, რასაც კონკრეტულ სიტუაციაში ადგილი არა აქვს. სიმბოლო ავლენს იმის არსებობას, რაც მის საფუძველში მუდმივად მყოფია. სიმბოლოს მინიჭებული აქვს ნიშნობრივი ფუნქცია. მიუხედავად ამისა, ის – რაღაც უფრო მეტია, ვიდრე ნიშანი. სიმბოლო არა მხოლო მიგვანიშნებს, არამედ თვალნათლივ

წარმოგვიდგენს. მაგრამ სიმბოლოს არ მოეთხოვება იყოს გამომსახველობითი. ამიტომ, სიმბოლოს, როგორც ნიშნის ცოდნა საჭირო ხდება, რათა გავყვეთ იმ კვალს რაზედაც მიგვითითებს. სადაც გარკვეულობაა, იქ სიმბოლო უკვე აღარ არის, ანუ თავისი შემცველობითი ბუნებიდან გამომდინარე, სიმბოლო ჩანაცვლებული უნდა იყოს.

ამდენად, სიმბოლო არის რეპრეზენტანტი, და თავის რეპრეზენტირების ფუნქციას იძენს იმ ყოფიერებისგან, რომელიც უნდა რეპრეზენტირდეს. გამოსახულება კი პირიქით, მართალია ისიც რეპრეზენტირებს, მაგრამ თავის თავზე გავლით და მნიშვნელოვნების მინიჭების გზით. რაც იმას ნიშნავს, რომ მასში დავანებულია რეპრეზენტირებადი „პირველსახე“ და იმყოფება მეტად დამახასიათებელ ჭეშმარიტ მდგომარეობაში.

როდესაც ჩვენ საგნებიდან რაღაცნაირად მოვიპოვებთ გამოსახულებას, მივიჩნევთ, რომ ესა თუ ის ხატი მხოლოდ ამ საგანშია. ესთეტიკურ აზროვნებას, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებს წარმოდგენილი, – ადამიანის უნარი შექმნას სახე-ხატი.

ასე რომ, გამოსახულებას მართლაც უკავია შუალედური მდგომარეობა ნიშანსა და სიმბოლოს შორის. მასში წარმოდგენილი არ არის არც წმინდა მითითება და არც წმინდა შემნაცვლებელი. სწორედ ეს ცენტრალური პოზიცია განსაზღვრავს საკუთრივ მისი ყოფიერების დონეს.

ხელოვნება, როგორც ადამიანური ყოფიერების გამოსახვა გრძნობად-კონკრეტულ ფორმაში, თავისი მხატვრულობის სპეციფიკური თვისებით ესთეტიკურის უმაღლესი ფორმაა, რომელიც დანახვისა და განცდის თავისებურ შესაძლებლობებს მოითხოვს. ხელოვნება არ წარმოადგენს ემპირიული სინამდვილის მარტივ მიბაძვას. იგი ყოფიერებისა და ადამიანური არსებობის ინტერპრეტაციისა და ფორმირე-

ბის ერთი გზათაგანია, კონცენტრაციისა და შემჭიდროების აქტის შედეგია.

„ჭეშმარიტება და მეთოდში“ ხელოვნების გამოცდილების შესახებ მსჯელობის მოთხოვნამ გამოკვეთა ამ ნაშრომის მთავარი ამოცანა, რომ ჰერმენევტიკული ცდის გაფართოების პროცესში სინამდვილის შემეცნების ხერხების განსაზღვრა განპირობებულია მეცნიერული საზღვრების დაძლევით. გადამერი ამგვარი „არამეცნიერული“ შემეცნების დამახასიათებელ მაგალითად მიიჩნევს ფილოსოფიაში, ისტორიასა და ხელოვნებაში განხორციელებულ შემეცნებით მოღვაწეობას.

ლიტერატურა:

1. არისტოტელე, პოეტიკა, თბ. 1964;
2. პლატონი, ფედონი, თბ. 1966;
3. ბენიამინი ვ., ხელოვნების ნიმუში მისი ტექნიკური რეპროდუცირების ეპოქაში, თბ., 2007;
4. ყულიჯანიშვილი ა., ესთეტიკა, თბ., 2006;
5. Gadamer H.G., Wahrheit und Methode, 2, 1993;
6. Гадамер Г. Г., Истина и Метод М., 1988;
7. Гадамер Г. Г., Актуальность прекрасного, М., 1991.

INTERPRETATION OF WORK OF ART IN GADAMER'S PHILOSOPHY

ABSTRACT

In Hans – Georg Gadamer's philosophy, the issue of understanding is studied in respect of Art and highlights its specific value in his concept of aesthetics. It is notable to disclose the peculiarities of place and function of Art within the system of culture. The aim of the study is to manifest the essence of authenticity of art and why the process of interpretation or cognition is so complicated from the perspective of theoretical thinking. The more significant this issue is nowadays, the more active becomes personal and creative inspiration, which is the prerequisite for understanding.

ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერება-
თა აკადემიის ეთიკისა და ესოეტიკის განყოფილებაშ.

କୌଣସି

ETHICS

ბადრი ფორჩხიძე – საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფილოსოფიის დოქტორი, ქუთაისის ა. წერეთლის სახ. უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ავტორი მრავალი წარომისა ფილოსოფიის აქტუალურ პრობლემებზე, მათ შორის წიგნებისა: „პიროვნებათა ამოცნობის ისტორიულ-ფილოსოფიური ჰოროსკოპი“ (2007), „სამართლის ფილოსოფიის აქტუალური პრობლემები“ (თანაავტორი ო. მინდაძე, 2009), „არაისტორიული, ისტორიამდელი და ისტორიის შემდგომი ყოფიერების ფილოსოფია“ (2014). მისი წარომები ხშირად იბეჭდება ჩვენს გამოცემაში.

სამართლისა და სამრთლიანობის ურთიერთმიმართების პროგლობა

არისტოტელეს მიხედვით, სამართალი არ წარმოადგენს მეცნიერებას, რადგან იგი იცვლება ისტორიული ცვალება-დობის შესაბამისად. სამართალი თავისი ბუნებით ვერც იქნება უცვლელი ნორმების სისტემა, რამდენადაც ყველა სახელმწიფო და მისი შემადგენელი საზოგადოება სწორედ ისტორიული ეპოქების შესაბამისი მონაცვლეობის წესზეა დამყარებული, რადგან ისტორია სხვა არაფერია, თუ არა პროცესუალური თანმიმდევრობის ერთიანი სისტემური ციკლი, რომელიც ასახავს ამა თუ იმ სახელმწიფოს, ეთნო-სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, რელიგიურ და ზოგად-კულტურულ ურთიერთობებს, რომლებიც მოქცეული არიან მოძრაობა-ცვალებადობისა და განვითარების ურთიერთგანპირობებულ, მიზეზ-შედეგობრივ, კანონზომიერ ჯაჭვში. რამდენადაც სახელმწიფო წარმოადგენს აუცილებელ ბოროტებას, ის გვევლინება, როგორც ადამიანის ბედისწერა, რომელიც თან ახლავს მის ისტორიულ ყოფიერებას დაბადებიდან სიკვდილამდე. ადამიანის, როგორც პოლიტიკური ცხოველის არისტოტელესეული გან-

საზღვრებაც სწორედ ცივილური საზოგადოების სახელმწიფოებრივ ხასიათს გულისხმობს, ამიტომაც სავსებით ბუნებრივია, რომმოცემული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ყოვლად წარმოუდგენელია ისეთი ეპოქა, სადაც ადამიანს არ დასჭირდებოდა ფიქრი ხსენებული აუცილებელი ბოროტების არსის შესახებ და მასთან მიმართებაში, იდეალური საზოგადოებრივი წყობილების კონსტრუირების შესაძლებლობაზე, მორალური სამართლიანობის პრინციპებზე დამყარებული სოციალური ურთიერთობებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს სრულყოფილი მოდელის რეალური განხორციელებისა და დამკვიდრების მიზნით (4; 117-118).

სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა თვით სახელმწიფოს წარმოშობის დღიდან (შესაძლოა მანამდეც), განიხილებოდა მოაზროვნე ადამიანის ინტელექტუალურ თვალსაწიერში. ეს იდეა იმთავითვე აერთიანებდა თავისუფლების, თანასწორობისა და სამართლიანობის, აგრეთვე, საყოველთაო კეთილდღეობის ამოსავალ პრინციპებს. ძველი ბერძნული მითოლოგიდან მოყოლებული, სიმბოლურად იყო განსხეულებული სამართლიანობის იდეის პერსონიფიცირებული სახე, იგივე ქალღმერთ „დიკე“ -ს მსგავსად, როგორც ბოროტებისა და ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი გმირის ღვთაებრივი იერსახე. ბიანტი იყო ერთერთი, ძველ ბერძენთა მიერ შერაცხულ იმ შვიდ ბრძენთაგან, რომელიც თვლიდა, რომ სახელმწიფო წყობილების საუკეთესო ფორმას ის წყობა წარმოადგენს, სადაც მოქალაქეებს აქვთ კანონებისადმი ისეთივე შიში, როგორც ტირანის მიმართ. ცნობილი ფილოსოფიური ფორმულის – „შეიცანთავიშენი“, ინტერპრეტატორი ჰილონი მოუნიდებდა პოლისის მოქალაქეებს კანონებისადმი მორჩილებას, ხოლო საზოგადოებრივი თანაცხოვრების საუკეთესო ფორმად მიიჩნევდა ისეთ საზოგადოებას, სადაც მოქალაქენი კანონების დამჯერი არიან და არ ექვემდებარებიან პოლიტიკური დემაგოგიით გამსჭვალულ არაკეთილსინდისიერ ორატორებს (5; 41). ძველი ბერძნული ფილოსოფიის

განვითარების პროცესი სახელმწიფოს სამართლებრივი კე-
თილმოწყობის იდეის მომწიფების პარალელურად მიმდინა-
რებდა, რომელიც ემყარებოდა როგორც თეორიულ, ასევე
პრაქტიკულ შედეგებზე ორიენტირებულ გნოსეოლოგიურ,
სოციალურ და მეთოდოლოგიურ წარმატებებს. ჯერ კიდევ
ეფესოელი ჰერაკლიტე ამტკიცებდა, რომ ადამიანთა მიერ
შემოღებული კანონები დათიური განვების ძალით იყო დამ-
კვიდრებული; ის ფართო მნიშვნელობით მოიხმარდა ისეთ
ფილოსოფიურ ცნებებსა და კატეგორიებს, როგორიცაა ლო-
გოსი, ბედისწერა, გონი, სამართლიანობა და სხვა, რასაც გა-
აზრებულად მიაწერდა საზოგადოების სამართლიანი მმარ-
თველობის დანიშნულებასა და ფუნქციებს.

სამართლებრივი სახელმწიფოს შესატყვისი კონცეფცია
კიდევ უფრო გამოკვეთილ სახეს იძენს სოფისტებთან. ამ
კუთხით გვერდს ვერ ავუვლით სოფისტი კალიკლეს თეორი-
ას, რომელშიც საინტერესოდაა განხილული ბუნებითი სა-
მართლიანობის არისტოკრატიული გაგება. ასევე არანაკლებ
მნიშვნელოვანია მეორე სოფისტის, ლიკოფრონოსის შეხე-
დულებანი საზოგადოებრივი ურთიერთშეთანხმების ვალდე-
ბულებასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება ჩაითვა-
ლოს ევროპაში საყოველთაოდ აღიარებული სამოქალაქო
ხელშეკრულების თეორიის წინამორბედად. ასევე ჩვენს ყუ-
რადღებას იპყრობს ბუნებითი თანასწორობის სამართლებ-
რივი პრინციპის ფორმულირება სოფისტი ალკიდამოსის მი-
ერ, რომელიც არისტოტელეს საპირისპიროდ, ადამიანთა
მოდგმის დაყოფასა და დიფერენციაციას, უკეთესი და უარე-
სი ნიშან-თვისებების მიხედვით, სრულიად გაუმართლებლად
მიიჩნევდა და პიროვნების თავისუფლების მახასიათებელს,
ღვთისგან დადგენილ საყოველთაო უფლებად აცხადებდა.
ამდენად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მოგვიანებით, ჰუ-
გო გროციუსისა და უან-ჟაკ რუსოს სამართლებრივი სახელ-
მწიფოს სოციალურ-პოლიტიკური მოძღვრებანი თავიანთ
იდეურ-თეორიულ წარმატებებს სწორედ ანტიკურობაში

მოიპოვებდნენ (6; 524). თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჯერ კიდევ არ ყოფილა ღრმა ფილოსოფიური არგუ- მენტებით კონსტრუირებული, ისეთი პოლიტიკური მართვის სისტემის სრულყოფილი მოდელი, რომელსაც ჩვენ ვხვდე- ბით პლატონთან და შემდგომში, არისტოტელესთან. სწორედ პლატონმა შეიმუშავა თეოკრატიული სახელმწიფოს ტიპის სამართლებრივი თვალსაზრისი, სადაც ის ერთმანეთისგან რაფინირებულად მიჯნავდა სამართლიანობისა და სამარ- თლებრივის ცნებებს. მისი აზრით, სამართალი წარმოადგენს იმ ქცევისა და საქმიანობის დასაბუთებულ კანონმდებლო- ბას, აუცილებელ ვალდებულებათა წესწყობილებას, რომე- ლიც ემყარება თავისუფალი ურთიერთობის სამართლიან მოთხოვნას. პლატონის მიხედვით, სამართალი და სამარ- თლიანობა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველ მათგანს შეეძ- ლოს აკეთოს თავისი საქმე და პქონდეს თავისუფლება ისე, რომ არც სხვისი თავისუფლება მიითვისოს და არც საკუთა- რი დაჰკარგოს (3; 368-370). პლატონის სამართლებრივი კონ- ცეფციის ამოსავალი პოსტულატები თითქმის უკლებლივ შეინარჩუნა არისტოტელემ, რომელმაც მის იდეალისტურ გაგებას გარკვეული რეალისტური შეინარსი შესძინა, ამგვა- რი მეტამორფოზს ვაწყდებით მის ნაშრომში „პოლიტიკა“, მაგალითად, არისტოტელეს მიხედვით, „ის, ვისაც სჯერა, რომ სახელმწიფო უნდა ექვემდებარებოდეს გონებრივ მმარ- თველობას, ეთანხმება იმ აზრს, რომ სახელმწიფოს მართავ- დეს კანონები და ღმერთი, ხოლო ვინც აღიარებს, რომ ადა- მიანი განაგებდეს სახელმწიფოს, ის საჭიროდ თვლის, ამ- გვარ მმართველობაში, ცხოველის შეყვანასაც; რამდენადაც ვნება და მრისხანება სწორედ ისცხოველური თვისებებია, რომლებიც ერთიანად ამახინჯებენ მმართველებს, იმისდა მიუხედავად, რომ ისინი შესაძლოა, ბუნებით კეთილშობილი და გონიერი ადამიანები იყვნენ“ (1; 79). ამიტომაცაა, რომ სა- მართლიანი კანონების უქონლობა არის უმთავრესი მიზეზი მმართველთა მხეცური თვისებების გამომულავნებისა, რაც

გულისხმობს ადამიანური გონიერების ხარჯზე, ცხოველური ინსტინქტების გააქტიურებასა და გაძლიერებას. პლატონთან მოცემული ფორმალური, ცოცხალი კონტექსტის მხრივ მკრთალი, მაგრამ მაინც არსებული მნიშვნელოვანი განსხვავება სამართლიანობისა და სამართლის ცნებებს შორის, არისტოტელესთან საერთოდ უგულვებელყოფილია, როდე-საც ის საუბრობს იმაზე, რომ სამართლიანობა წარმოადგენს სახელმწიფოებრივ მოვლენას, რადგანაც სამართალი გახლავთ სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგების ერთადერთი საშუალება და ყოველგვარი სამართლიანი გადაწყვეტილების განმსაზღვრელი კრიტერიუმი. ამ პოზიციას ადასტურებს მისი შემდეგი მტკიცებულებაც: „სახელმწიფოები, რომლებიც მიზნად ისახავენ საზოგადო სარგებლობას, აბსოლუტური სამართლიანობის თვალსაზრისით, სწორი სახელმწიფოებრივი ფორმებიარიან, ხოლო ის სახელმწიფოები, რომლებიც მხოლოდ ხელმძღვანელი პირების თვითნებობასა და სარგებლობას ემსახურებიან, არასწორ სახელმწიფოებრივ ფორმებსა და სწორი სახელმწიფოებრივი წყობიდან გადახრას წარმოადგენენ“ (1; 75). ხელისუფლებათა თვითნებობა, რასაკვირველია, მოწმობს დესპოტური სახელმწიფოების არასამართლებრივ ხასიათს, თუმცა დიდ შეცდომად მიგვაჩნია ტირანიისა და ტოტალიტარიზმის ერთკონტექსტში მოქცევა და მათთვის ერთნაირად არასამართლებრივი მმართველობის ატრიბუტის მიწერა, რასაც ახდენს არისტოტელეს შრომების შვეიცარიელი მკვლევარი, ვ. ზიგფრიდი, რომელიც თავის ნაშრომში მიუთითებს, რომ არისტოტელე დესპოტურ სახელმწიფოში აერთიანებს ტირანულ, შეუზღუდავ, პოზიტიური და ბუნებითი სამართლებრივი ნორმებით გაუწონასწორებელ ტოტალიტარულ სახელმწიფოს (9; 64-65). საქმე ის გახლავთ, რომ პლატონის მიერ შემუშავებული იდეალური სახელმწიფოს მოდელი, თავისი აბსტრაქტულობის მიუხედავად, ზედმინევნით ტოტალიტა-

რულია, რასაც კარლ პოპერთან ერთად, სხვა მოაზროვნეებიც ერთხმად ადასტურებენ, თუმცა, ძალიან ძნელი იქნება ვინმე დაეჭვდეს, აღნიშნული სახელმწიფოს სამართლებრივი მმართველობის საკითხში. პრინციპული განსხვავების მიუხედავად, სახელმწიფოს მეტ-ნაკლები რეალისტური კონსტრუქციის შემოთავაზებისას, არისტოტელეც არ უარყოფს პლატონის იდეალური მოდელის სამართლებრივ ბუნებას, ამიტომ სრულიად არასწორია მითითებული ავტორის მტკიცებულება, თითქოსდა არისტოტელე, დესპოტურ სახელმწიფოთა ნუსხაში, ერთნაირად მოიაზრებდა ტირანულ და ტოტალიტარულ სახელმწიფოებს. საერთოდ შეიძლება ისიც ითქვას, რომ როგორც პლატონის, ასევე არისტოტელეს მიერ წარმოდგენილი სახელმწიფოს მოდელები, მათი აშკარად გამოხატული შინაარსობრივი და ფორმალური სახეცვლილებების მიუხედავად, ერთნაირად ემყარებიან ბუნებითი სამართლის თეორიულ პრინციპებს.

არისტოტელეს ბუნებითი სამართლის თეორიას ფრიად განსაკუთრებული გამგრძელებელი მოევლინა, ძველი რომაელი ისტორიკოსისა და პოლიტიკის სოციალური თეორიის ფუნდამენტური წარმომადგენლის, პოლიბიუსის სახით, რომელმაც კიდევ უფრო დახვეწა და განავითარა ხელისუფლების დანაწილების კონცეფცია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მას დღევანდელი სამართალმცოდნებისგან დიამეტრულად განსხვავებულად ესმოდა ეს საკითხი, რადგანაც სამ განშტოებაში ის გულისხმობდა არა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, არამედ მონარქიულ, არისტოკრატიულ და დემოკრატიულ მმართველობითი პრინციპების ურთიერთშეჯერებას. კონსულების ძალაუფლებას ის უკავშირებდა მონარქიას, სენატის მმართველობას არისტოკრატიას, ხოლო რომის მოქალაქეთა მიერ გამოხატულ წებას – დემოკრატიას. მისი აზრით, სახელმწიფოს მართვის სისტემის სწორედ ასეთი ტიპის არაერთგვაროვნებამ უზრუნველყო რომის იმპერიის ტრიუმფალური გაძლიერება

და განვითარება (7; 59). სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპების თანმიმდევრული დეკლარირება განხორციელდა რომის სამართალში, რომელიც დღესაც ითვლება კლასიკური სამართალწარმოების ამოსავალ დოქტრინად. რომაელმა იურისტებმა არსებულ სამართლებრივ ნორმებში წინ წამონიერს სამართლიანობის მორალური ღირებულების რაციონალური ელემენტი. მათ განახორციელეს აგრეთვე, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის თეორიული და პრაქტიკული დამუშავება ეკვივალენტურობის საყოველთაო პრინციპით. ისიც არ უნდა დავივინყოთ, რომრომაელი-იურისტები ცხადყოფდნენ აუცილებელ და მნიშვნელოვან განსხვავებას სამართალსა და სამართლიანობას შორის – სამართლიანობაში ისინი სიკეთის მიზნით მიმართულ საქმის-წარმოებას გულისხმობდნენ, ხოლოსამართლის პრინციპი კი გახლდათ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა (7; 67). ასევე რომის იმპერიაში, ციცერონის სახელთანაა დაკავშირებული, სამართალმცოდნეობაში, მოქალაქეთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ტერმინოლოგიის დამკვიდრება, რამაც შუა საუკუნეებში, თომა აქვინელთან და მარსილ პადუანელთან თეოლოგიური დატვირთვა შეიძინა, ხოლო ახალი ეპოქის განმანათლებლობაში კი, ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღიჭურვა. მანამდე, ჯერ კიდევ, ჰუგო გროციუსმა, ხოლო ახალ პერიოდში, ჯონ ლოკმა, ციცერონის ტერმინოლოგიაზე დაყრდნობით შემოიტანეს და განავითარეს სამოქალაქო საზოგადდოების ცნება, რომელზეც დაფუძნებულ იქნა, თომას პობსის სახელმწიფოს ჩამოყალიბების ხელშეკრულებითი თეორია. რაც შეეხება ჯონ ლოკს, ის ითვლება კლასიკური პოლიტიკური და სამართლებრივი ლიბერალიზმის დამფუძნებლად, რომელმაც სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი ელემენტების თანამედროვე ფორმებს დაუდო დასაბამი. ლოკი სახელმწიფოს უმთავრეს ნორმატიულ პრინციპებად აცხადებდა სახალხო სუვერენიტეტს, ხელისუფლების დანაწილებას და ადამიანის ბუნებრივი უფ-

ლებების დაცვას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ის ეთანხმება ჰოგო გროციუსის მიერ წამოყენებულ ხალხის წმინდათან-მინდა უფლებას, უსამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოყენებულ იქნას კანონიერი აჯანყების თანდაყოლილი უფლებაც, რომელიც მოგვიანებით კვლავ იქნა გახმოვანებული, საფრანგეთის ადამიანის უფლებათა პირველ დეკლარაციაში და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოს კონსტიტუციის ერთერთი დამფუძნებელ მამასთან, თომას ჯეფერსონთან. ჯონ ლოკის მიერ შემუშავებულ „ლიბერალურ სამართლებრივი სახელმწიფოს“ კონცეფციაში მთავარი და განმსაზღვრელი არის ხელისუფლების დანაწილების, მისი ურთიერთგანონასწორებისა და ურთიერთკონტროლის პრინციპები. მისი აზრით, საზოგადოებაში სახელმწიფოებრიობის განხორციელება გულისხმობს მხოლოდ ერთი ხელისუფლების, საკანონმდებლო ხელისუფლების, არსებობას, თუმცა კანონთა შესრულების უზრუნველყოფა არ შეუძლია არც ერთი დეალურად მოქნილ და სრულყოფილ ხელისუფლებას. ამიტომ საჭიროა ჩამოყალიბდეს, პოზიტიური სამართლის ნორმებით, საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან გამიჯნული ხელისუფლების ახალი შტო, აღმასრულებელი ხელისუფლების სახით. თუმცა, ორივე, საკანონმდებლოც და - აღმასრულებელიც, ვერ იფუნქციონირებს მესამე, ფედერაციული ხელისუფლების გარეშე.

ჯონ ლოკის აზრით, საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა განახორციელოს უშუალოდ ხალხმა, მათ მიერ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს, პარლამენტის მიერ. ხოლო დანარჩენი ორი ხელისუფლება კი, მხოლოდ ერთგვარ „მინისტერიალურ“ ხასიათს უნდა ატარებდეს (8; 669). ლიბერალურ-სამართლებრივი სახელმწიფოს ტრანსფორმაცია წარიმართა შარლ ლუი მონტესკიეს „კანონთა სული“-დან მოყოლებული, თანამედროვეობამდე, უან-უაკ რუსოსა და იმანუელ კანტის შეხედულებების გავლით, რომელიც ერთთავად გაუღენთილია ნებაყოფლობითი ქცევისა და საქმიანო-

ბის არიალის გაფართოების სულისკვეთებით, რომელიც პი-
როვნების თავისუფალი არჩევანის უზენაეს უფლებაზეა
ორიენტირებული. ზოგიერთი სამართლის ფილოსოფიის
მკვლევარი აღნიშნული ლიბერალური ტენდენციის ტრან-
სფორმაციაში მოიაზრებს ჰეგელის სამართლის თეორიულ
დებულებებს, რაც მეტად ხელოვნური და არაკორექტული
მიდგომაა, ვინაიდან ჰეგელი, რომელიც პირწმინდად ემსრო-
ბა მონარქიულ წყობილებას, ინარჩუნებს სოციალ-პოლიტი-
კური იერარქიის ტრადიციას, ამიტომაც კონსტიტუციური
მონარქია, რასაც ის ლეგიტიმური კანონიერების პრინციპზე
დამყარებულ მმართველობას უწოდებს, აუცილებლობით არ
ნიშნავს მმართველობის ისეთ შეზღუდულ ფორმას და ხასი-
ათს, როგორიც თანამედროვე ევროპულ ქვეყნებშია გავ-
რცელებული. ასე რომ ყოფილიყო, ჰეგელი ამდენ ყურადღე-
ბას საერთოდ არც მიანიჭებდა მას, მხოლოდ სიმბოლური ის-
ტორიული ფასადის მიმართ გამორჩეული პატივისცემის გა-
მო. მონარქიის ლეგიტიმურობა და კანონიერება მასთან უფ-
რო მაღლა დგას, ვიდრე რესპუბლიკური მართვა-გამგეობის
ინსტიტუციები, ამიტომაც წარმოუდგენელია, რომ მისი წარ-
მოდგენით, სიმბოლური მმართველობის სუროგატული ხასი-
ათი რაიმეთი აღემატებოდეს რეალური მართვა-გამგეობის
დემოკრატიულ სახეობებს.

მომდევნო პერიოდში, სამართლებრივი სახელმწიფოს
შესახებ, სხვადასხვა სახის თეორიულ ასპექტებს განიხილა-
ვენ ისეთი ავტორიტეტული მეცნიერები, როგორებიც არიან:
კ. გერბერი, ა. დაისი, გ. ელინეკი, რ. იერინგი, ნ. კორკუნოვი,
ი. ილინი, პ. ნოვგოროდცევი, კისტიაკოვსკი, კელზენი, პ. ლა-
ბანდი, შტალი, შერშენევიჩი, რ. რადბრუხი და სხვანი. ამათ-
გან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჰანს კელზენის სა-
მართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია, რომელიც განასა-
ხიერებს რეალური სახელმწიფოს დინამიურ ხასიათს. მას-
თან მეტაიურიდიული, აქსიოლოგიური კონცეპტები სრული-

ად გამორიცხულია ნორმატიული წესრიგის კონტექსტიდან, სამართლისა და სახელმწიფოს პოლიტიკური ინსტიტუციები შეუთავსებელია სამართლიანობის მორალურ პრინციპთან, ვინაიდან, ის არაერთგვაროვანია სხვადასხვა ტიპის სოციალურ განსაზღვრულობებში, ამიტომაც სუბიექტურ გაგებასა და შეფასებას ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიეცემა საყოველთაო ვალდებულების იურიდიულად დაკანონებული ფუნქცია. აქედან გამომდინარე, სრულიად ნათელია, თუ რატომ უწოდა სამართლიანობის მორალურ პრინციპს კელზენმა „კაცობრიობის ლამაზი სიზმარი“, ვინაიდან უამრავი ცდისა და მონდომების მიუხედავად, ყველაზე ცნობილი მოაზროვნენი აქამდე ვერ შეთანხმებულან, თუ რა უნდა იქნეს მიჩნეული საყოველთაო სამართლიანობის შესაბამის მდგომარეობად. ამ თეორიამ დაამკვიდრა კანონიერი იძულების ნორმატიული წესრიგი, რის თანახმადაც ერთმანეთისგან არ განასხვავებდა სახელმწიფოსა და სამართლის ცნებებს. კელზენისთვის სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა სამართლებრივი ნორმების სისტემა, რომელიც ისეთივე მრავალგვაროვანია, როგორც სხვადასხვა ხალხისა თუ საზოგადოების ტრადიციული თვითშეგნება და ტრადიციები. თუ ამოვალთ ცალკეულ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის საწყისი დებულებიდან, ყოველ ხალხსა და საზოგადოებას უნდა ჰქონდეს საკუთარი გემოვნებისა და ცნობიერების შესატყვისი სახელმწიფოებრივი წყობა. ამგვარად, იურიდიული ნორმები უნდა გამოხატავდნენ სახელმწიფოს ნებისყოფას. ამ თვალსაზრისით, ყოველი ქმედუნარიანი და სტაბილურად თვითრეგულირებადი სახელმწიფო წარმოადგენს ამავდროულად სამართლებრივ სახელმწიფოს (3; 68). ამით მან საბოლოოდ დაანგრია საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული ბუნებითი სამართლის ღირებულებები და ორიენტირები. მრავალი სპეციალისტის მიერ გამოთქმულ კომენტარში მითითებულია კელზენის პოზიტიურ-ნორმატიული კონცეფციის როლის თაობაზე, რამაც, მათი აზრით, ნახალისა ევ-

როპის კონტინენტზე, ტოტალიტარული სახელმწიფოების ჩამოყალიბისაკენ სწრაფვის ტენდენცია. მართალია, ჰან-სკელზენის ნორმატივიზმა სამართლებრივი სახელმწიფოს იდეაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა და ანორმატიულ ნიჰილიზმამდე დაიყვანაიგი, თუმცა ის არის ზედმინევნით რეალისტური თვალსაზრისი, რომელიც განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს ფსევდოლიბერალურ და ფსევდოდემოკრატიულ დემაგოგიურ ნარატივთა საწინააღმდეგო ჯან-საღი აზრის დასაბუთების ფორმულირებაში.

ზოგიერთი მკვლევარის მტკიცებულების მიხედვით, სა-მართლიანობის მორალური პრინციპისა და სახელმწიფოს სამართლებრივი, ნორმატიული სისტემის ურთიერთდაპი-რისპირების თვისობრივი მახასიათებლის ხაზგასმა ემსახუ-რება ერთი მხრივ, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი კა-ნონმდებლობის, ხოლო მეორე მხრივ, მორალური სამარ-თლიანობის მიმართ გამოხატულ ნიჰილისტურ პოზიციებს, თუმცა ჩვენი შეხედულებით, პირიქით ხდება, რაც გამოიხა-ტება სამართლებრივისა და სამართლიანობის არსის თვი-სობრივი განსხვავების ნათელყოფაში, რომელიც ყველაზე კარგად იქნა ასახული ჰანს კელზენის სამართლის თეორია-ში. ჯერ კიდევ ანტიკურობიდან მოყოლებული, აქ დასახელე-ბული ფილოსოფოსები თანხვედრას აღწევდნენ ერთ მნიშ-ვნელოვან საკითხში, არსისა და ჯერარსის პრინციპული ურ-თიერთგანსხვავების ასპექტში. სახელმწიფოთა არსებობა და ფუნქციონირება რეალური ისტორიული ფაქტია და ამ კონ-ტიქსტში, სახელმწიფოს ე. ნ. ქვეშევრდომი, თუ მოქალაქე განისაზღვრება იმ უფლება-მოვალეობის კოდექსით, რო-მელსაც მას მზამზარეულად დაახვედრებს მოცემული სა-ხელმწიფო სისტემა, მაგრამ ჯერარსული მორალური მრნამ-სი განისაზღვრება განსხვავებულ სუბიექტთა შორისი ურ-თიერთმიმართების გნოსეოლოგიური და აქსიოლოგიური საზრისით, რომელიც ითვალისწინებს მათ ნებაყოფლობით თანხმობას და ურთიერთმზადყოფნას, იმისათვის, რომ თი-

თოვეულმა, საკუთარ ინტერესებსა და მისწრაფებებზე დაბლა არ დააყენოს სხვათა ინტერესები და მისწრაფებანი, რათა ეგოისტურ ვნებებსა და აფექტებს არ მიეცეს ფართო გასაქანი. მანამდე, ვიდრე ცალკეული ადამიანი არ მივა იმ თვითშეგნებამდე, რომ მან აუცილებლად უნდა დათმოს საკუთარი კერძო მისწრაფება და ინტერესი, საერთო საზოგადოებრივი სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოს იძულებითი სამართლებრივ-ნორმატიული სანქციები უმკაცრესი ვალდებულების რანგში უნდა იქნეს აყვანილი, რომელიც გამოიყენებს სადამსჯელო ღონისძიებებსა და ზემოდან დაწესებულ ვალდებულებებს, ადამიანთა სასიცოცხლო უფლებების მინიმალური გარანტიების მიცემის სანაცვლოდ. სხვა შემთხვევაში კი, სახელმწიფო, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთთანაცხოვრებისა და კეთილდღეობის უნივერსალური ინსტრუმენტი, უბრალოდ აზრს კარგავს.

რაც შეეხება, საბოლოო ანგარიშით, მორალური სამართლიანობის იდეას, სახელმწიფოებრივი სამართლის პილიტიკური წნევის პირობებში, ის არამც თუ აზრს კარგავს, არამედ, პირიქით, იძენს უდიდეს სოციალურ საზრისს და ფუნქციას, ზოგადადამიანური ცნობიერების ევოლუციის ასპექტში. საქმე ისაა, რომ მაღალი თვითშეგნების საფეხურზე მყოფ პიროვნებას ხელეწიფება სოციალური თვითრეგულაციისა და თვითშეფასების ისეთი საფეხური, რომელიც აღარ საჭიროებს გარეშე ძალების მხრიდან კონტროლისა და მონესრიგების ფუნქციას. მართალია, დღესდღეობით, ყოველივე ეს შეიძლება უტოპიურ შეხედულებად მოგვეჩენოს, თუმცა, ამის გასაქარნყლებლად, იმის თქმა შეგვიძლია, რომ კაცობრიობამ ბევრად მეტი ხანი დაჰყო პირველყოფილ თემურ წყობილებაში, რისი ნიშნებიც აქამდე არ გამქრალა ტრადიციულ ეთნო-სოციალურ წარმონაქმნებში, ვიდრე პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი თანაცხოვრების იძულებით კომპრომისულ ურთიერთობებში, სადაც ადამიანის ინდივიდუალური უფლებები და თავისუფლების ხასიათი ყალიბდე-

ბა არა თითოეული სუბიექტის შინაგანი შეფასებისა დაგაგების მიხედვით, არამედ გარედან თავსმოხვეული აპრობირებული წესებისა და ნორმების მიხედვით, რომლებიც, რაც უნდა ლოგიკურად დასაბუთებული და სოციალურად ადაპტირებული შეიძლება იყოს, თითოეული მოქალაქის უფლებავალდებულების სამართლებრივად დაკანონებულ კოდექსში, მაინც ძირეულად წინააღმდეგობაში მოდის, იმ ბუნებრივ მისწრაფებებთან და ინდივიდუალურ გამოხატულებებთან, რომელიც გააჩნია ცალკეულ ადამიანს, როგორც განსაკუთრებული ღვთაებრივი მსგავსებისა და ხატის ქმნილებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწილი პირველი, თბ., 1995.
2. ნაწერები გ. სამართლის ფილოსოფიის საკითხები., თბ. 1992.
3. პლატონი, სახელმწიფო., ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ. გამომცემლობა „ნეკერი“, 2003.
4. სავანელი ბ., „სამართლის თეორია“, იურისპრუდენცია. თბ., 1993.
5. Аристотель, Афинская Полития. М., 1996 г.
6. Большой Юридический Словарь, М., 1997 г.
7. Синявский В.И., „История Источников римского права“ Варшава. 1911 г.
8. Проблемы общей теории права и государство., М., 1999 г.
9. Siegfried W., Der Rechsgedanke bei Aristoteles, Zurich, 1947.

Badri Porchkhidze – Academician of the Academy of Philosophical Sciences of Georgia, Doctor of Philosophy, Assoc. Professor of Kutaisi ac. Tsereteli State University, author of many labor, about topical problems of philosophy, Including books: "Historical-philosophical horoscope of personality recognition" (2007), "Actual Problems of Law Philosophy"(Co-author O.Mindadze 2009), "The philosophy of non-historic, prehistoric and post-historic being" (2014). His works are often printed in our publications.

THE PROBLEM OF RELATIONSHIP LAW AND JUSTICE

ABSTRACT

The idea of a legal state from the day of its origin (possibly even earlier) was considered in the intellectual eye of the thinker. As far as the state is the necessary evil, it looks like as human destiny, which reflects a particular state of ethno-social, economic, political, legal, religious and general-cultural relations, which are turned into a mutually-contradicted, causal, consequential, chain of movement-variation and development. The idea of a legal state from the day of its origin was considered in the intellectual view of the intellectual human. This idea embraced the principles of liberty, equality and justice as well as the principles of universal well-being.

According to some researchers' evidence, the qualitative character of the moral principle of justice and the state's legal, normative system of interaction is served on the one hand, on the other hand, nihilistic positions expressed towards moral justice, however, in our view, on the contrary, is expressed in the qualitative distinction of the essence of justice and law, which was best reflected in Hans kelzen's theory of law. The idea of moral justice, in terms of political pressure of state law, does not lose sense, but, on the contrary, is gaining great social meaning and function, common human consciousness aspect of evolution.

**ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერება-
თა აკადემიის ეთიკისა და ეთიკოლოგიის განყოფილებაშ.**

**ქართული და უცხოური
ვილოსოფიის ისტორია**

**GEORGIAN AND FOREIGN
HISTORY OF PHILOSOPHY**

ნუცუბიძიანა

აკად. შალვა ნუცუბიძე გამოჩენილი მეცნიერი და მრავალმხრივი მოღვაწე იყო: ფილოსოფოსი, ლიტერატორი, მთარგმნელი და პოლიტიკოსი. ამავე დროს ის ცნობილი იყო იუმორისტ, მახვილგონივრულობითა და ენამოსნრებულობით. არც თუ იშვიათად ასეთ პერსონებს მიაწერენ ისეთ რამეებს, რასაც არაფერი ჰქონია საერთო სინამდვილესთან. ასეთ ვითარებებთან შეიძლება გვქონდეს საქმე ნუცუბიძის მიმართაც. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ეს „მინერები“ რაღაცნაირად მაინც კავშირშია მის ობიექტთან. თუ მიაწერენ – მიაწერენ ისეთ რამეს, რაც მას არ უთქვამს და არც გაუკეთებია, მაგრამ თავისუფლად შეეძლო ეთქვა და გაეკეთებინა კიდეც.

ჩემს „ნუცუბიძიანაში“ ერთი გამონაკლისის გარდა, ან მომისმენია ან წამიკითხავს, თუმცა ასე ერთად მთლიანობა-ში არც არსად წამიკითხავს და არც მომისმენია.

* * *

დავიწყოთ გამონაკლისით, რაც უშუალოდ მომისმენია. 1968 წლის თებერვლის დასაწყისია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ფილოსოფოსები უნივერსიტეტის დაარსების 50-ე წლისთავს აღნიშნავენ. პრეზიდიუმში არიან მხცოვანი აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე, ცნობილი ფილოსოფოსი კოტე ბაქრაძე, ფაკულტეტის დეკანი... თავის სიტყვაში ნუცუბიძემ ილაპარაკა უნივერსიტეტის დაარსების პერიპეტიკის ბზე, აქო კოტე ბაქრაძე, სინანული გამოთქვა ნაადრევად გარდაცვლილ გამოჩენილ ფილოსოფოს სავლე წერეთელზე, ცოტა ხელისუფლებასაც გადაკრა, ცოტა შეყოვნდა, შემდეგ ირიბი მზერა მიაპყრო სივრცეს და

ომახიანად დასჭექა: „არ ყოფილა ხელისუფლება, რომელსაც მოვწონებოდი!“ ნუცუბიძისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი წერილი, სადც მისი პატიმრობის შესახებ დაწერილ წიგნს ვეხებოდი, ამ ფრთიანი ფრაზით დავასათაურე.

* * *

აკად. შალვა ხიდაშელს არაერთხელ მოუყოლია. რუსთაველის გამზირზე ნუცუბიძესთან ერთად მივსეირნობდიო. მოულოდნელად ბატონმა შალვამ (ნუცუბიძემ) მისთვის არა-დამახასიათებელი უესტი გააკეთა, შლიაპა მოიხადა და გამზირის მეორე მხარეს ჩემთვის უცნობ, საკმაოდ ულაზათო პიროვნებას თავი დაუხარა რამდენიმეჯერ, რასაც უცნობის-გან მსგავსი რეაქცია მოჰყოლია. ხიდაშელს გაკვირებია ნუცუბიძის ასეთი უესტი, მით უმეტეს, რომ დიდი ფილოსოფოსი საკმაოდ თავაწეული პერსონა იყო და რევერანსებს ასე ჰაიჰარად არ არიგებდა.

ცერემონიალის დამთავრების შემდეგ ხიდაშელს უკითხავს ნუცუბიძისთვის – თუ ვინ იყო ის კაცი, ასე მოწინებით რომ მიესალმეო.

„– ო, ეს უწესიერესი კაცია, საქართველოს მონადირეთა კავშირის თავმჯდომარე. როცა მე ყველაფრიდან გამრიცხეს ან გამავდეს, ეს იყო ერთადერთი ორგანიზაცია, რომელმაც წევრობა არ შემიჩერაო“.

P. S. ეს ისტორია, ოლონდ სხვადასხვა აქცენტებით, სხვებისგანაც მომისმენია.

* * *

პროფ. სერგი ავალიანის ნაამბობი: ზემელზე შალვა ნუცუბიძე და ცნობილი ფსიქოლოგი ვასო ფრანგიშვილი მისეი-იონობენ. ორივენი საშუალო სიმაღლისანი არიან, ზომაზე მეტად სრულები, უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, ღიპიანები. შეხვდებათ ცნობილი პროფესორი სერგი დაწელია, რომე-

ლიც მათგან განსხვავებით მაღალიც არის და გამხდარიც, მოკულედ ანტიკური ფილოსოფიის უბადლო მცოდნე, როგორც ზემო აჭარაში იტყვიან, „ანტიკასავით“ გამოიყურება.

ნუცუბიძე და დანელია ერთმანეთთან უბრად არიან და ამიტომაც მისალმებისა და ზრდილობის გულისთვის ურთიერთ მოკითხვის შემდეგ, თავთავიანთ გზას აგრძელებენ სხვადასხვა მიმართულებით. ნუცუბიძე ფრანგიშვილს გადაულაპარაკებს: „ეს მამა... ნამდვილი მენშევიკია თორემ ასე რამ გაახდუნა ამ საამურ ყოფაშიო“. ამ სიტყვებით ნუცუბიძემ დანელიაც გააქილიკა და საბჭოთა წყობაც.

* * *

პროფ. ს. ავალიანმა გამოაქვეყნა ასეთი შემთხვევის შესახებ: ერთხელ ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტებთან მისულა სერგი დანელია და ჩართულა საუბარში. ცნობილმა მეცნიერმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა სამტრედია და სამტრედიელები, აქ თავმოყრილია გურიისა და გურულების, იმერეთისა და იმერლების, სამეგრელოსა და მეგრელების ყველა უარყოფითი თვისებებიო. მორჩა თუ არა ლაპარაკს სწრაფად გაშორდა ახალგაზრდებს. თუმცა, შორიახლოს შეჩერდა და უკან მოტრიალებულმა მიაძახა: „სხვათ შორის, ნუცუბიძე სამტრედიელიაო“.

არადა, სოფელი ფარცხანაყანევი, სადაც დაიბადა შალვა ნუცუბიძე, ეკუთვნის წყალტუბოს რაიონს.

* * *

ერთ დროს, ფილოსოფიის ინსტიტუტის ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებაში ერთდროულად ირიცხებოდნენ: შალვა ნუცუბიძე და სერგი დანელია, ზურაბ კაკაბაძე და გურამ თევზაძე, არჩილ ბეგიაშვილი და ვაჟა გოგობერიშვილი... განყოფილებას კი ხელმძღვანელობდა ქართული ფილოსოფიის ისტორიის აღიარებული მკვლევარი შალვა ხიდაშელი...

ხიდაშელს არაერთხელ მოუყოლია ერთი ასეთი ფაქტი: მოსკოვის რომელიდაც სამეცნიერო დაწესებულებიდან სარეცენზიონდ გადმოუგზავნიათ სამეცნიერო ნაშრომი, რომლის რეცენზიორებაც დაევალა ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებას. ნაშრომს გაეცნო განყოფილების ყველა წამყვანი თანამშრომელი სერგი დანელიას გარდა. როგორც იქნა გამოჩენდა სერგი დანელიაც. ხიდაშელმა გადასცა მას ნაშრომი, აუხსნა საქმის ვითარება და თანაც ჰქითხა თუ რამდენ დღეში დააპრუნებდა ნაშრომს და რეცენზიას. მაქსიმუმ ორი-სამი დღე, უთქვამს დანელიას. აუღია ნაშრომი, გამომშვიდობებია განყოფილების ხელმძღვანელს და ოთახიდან გასულა. თუმცა მალევე უკან მოპრუნებულა და უკითხავს ხიდაშელისთვის:

„– ნუცუბიძეს რამდენი ხნით ჰქონდა წიგნიო“.

„– ხუთი დღით“, უპასუხია ხიდაშელს.

„– მაშინ მე ექვსი დღე დამჭირდებაო“ და სწრაფად გასულა ოთახიდან.

* * *

ნუცუბიძე ტრიბუნასთანაა, მოხსენებას აკეთებს და თავის სტიქიაშია. მოხსენების თემა რუსთაველის შემოქმედებაა. მეტი სიზუსტისთვის /რაც მას მაინცდამაინც არ ახასიათებდა/ <<ვეფხისტყაოსანი>> უდევს წინ და საჭირო სტროფებს უშუალოდ წიგნიდან იმოწმებს. ერთ მომენტში რომელიდაც სასურველ სტროფს ვერ მიაგნო. წიგნი დახურა და ზეპირად ზუსტად წარმოთქვა დასამოწმებელი სტროფი. მორჩა თუ არა სტროფის წარმოთქმას, მისთვის დამახასიათებელი მზერა მიაპყრო ზევით, საჩვენებელი თითო მარჯვენა საფეხქელზე მიიდო და დასძინა:

„სადა მქონია და სად ვეძებ!“, ხელი ჩამოუშვა და ახლა საჩვენებელი თითო წიგნისკენ გაიშვირა.

* * *

შალვა ხიდაშელი, როგორც კი სიტუაცია შეიქმნებოდა, იტყოდა ხოლმე: „დისკუსიების დროს ნუცუბიძე მდარე აზრებით იწყებდა. პირველი დებულება, მეორე, მესამე,... აუდიტორიას ირონია ემატება გამომსვლელის აზრებზე და აი მეათე, მეთორმეტე თუ სულაც მეთხუთმეტეს ისეთს იტყოდა, რომ მისი ადგილიდან ძვრა გამორიცხული იყო. ეს კი თავის მხრივ მოპაექრეებს კამათის ხალისს უკარგავდა“.

* * *

სხვათა შორის, როცა ერთ-ერთ გერმანულ გამოცემაში ნუცუბიძე რუს ფილოსოფოსად მოიხსენიეს, ნუცუბიძემ გააპროტესტა ეს ფაქტი და შემდეგ გამოცემაში ეს შეცდომა გაასწორეს. რაც მთავარია – ნუცუბიძე მუდამ ამაყად აცხადებდა იმის თაობაზე, რომ გერმანელებს ახალ გამოცემაში მის შესახებ შავით თეთრზე უწერიათ: „გებორენ ინ ფარცხანაყანევში“ (დაიბადა ფარცხანაყანევში).

* * *

ნუცუბიძეს საბჭოთა დიქტატორული რეჟიმის შესაბამისი სამსახურები ამუნათებენ, რომ ბევრისგან განსხვავებით გაგვიანდებათ საბჭოთა პლატფორმაზე გადმოსვლაო.

ნუცუბიძე ამ სიტუაციიდან მისთვის დამახასიაებელი იუმორით თუ ნახევრად იუმორით გამომძვრალა: მატარებელი როცა ბოლო პუნქტში ჩამოდგება, უბაგაურ მგზავრები ადრე და სწრაფად გამოდიან მატარებლიდან, ხოლო ბაგაურანები – ნელა და გვიან. სავარაუდებელია, აქ სიტყვა – „ბაგაუს“ ნუცუბიძე იყენებდა როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით.

* * *

ერთხელ ფილოსოფიის ინსტიტუტში მოსულ ნუცუბიძეს, ისე რომ არც მისალმებია დამხვდურთ, 20-25 სანტიმეტ-

რზე აუწევია მარჯვენა ფეხი და ირონიულად უთქვამს, ამას და ამას ამ სისქის წიგნი დაუწერიაო და თანაც ანეული ფესისკენ ჰქონია მზერა მიპყრობილი.

ნუცუბიძის ნახსენები პიროვნება გამოირჩეოდა სქელ-ტანიანი წიგნების ინტენსიური ბეჭდვით. ამ წიგნების ამაზე უკეთესი შეფასება წარმოუდგენელიცაა.

* * *

ნუცუბიძეს ეუბნებიან, რომ გვერდწითელმა გაგაკრიტიკაო. ის კი ამაყად პასუხობს:

„მთლად წითლებმა ვერაფერი დამაკლეს და გვერდწითელი რას დამაკლებს“.

* * *

ნუცუბიძე მოხსენებას კითხულობს. თემა მწვავეა. ერთ სადავო საკითხთან მიმართებაში მან დარბაზში მყოფი ცნობილი მეცნიერის კორნელი კეკელიძის მისამართით აღნიშნა: „ეს რომ ასეა ამას თვით ბატონი კორნელიც დამიდასტურებსო“ და თანაც კეკელიძე დადებითი ეპითეტებით შეამკო. ამან არ გაჭრა და კეკელიძე ჩაირთო – სამწუხაროდ, ვერ და-გიდასტურებო. ნუცუბიძემ ამ გამოწვევას ასე უპასუხა:

„შენ ღმერთს ულალატე და ამასთან ჩემთვის დალატი რა მოსატანია!“ რა თქმა უნდა, აქ „ლალატზე“ აქცენტირება პირდაპირი მნიშვნელობთ არ უნდა იქნას გაგებული და უფრო ნუცუბიძის ენამოსწრებულობასთან გვაქვს საქმე, რითაც მისთვის უხერხული სიტუაცია განმუხტა.

აქ ნუცუბიძეს მხედველობაში ჰქონდა ის გარემოება, რომ კორნელი კეკელიძე ადრე მღვდელი იყო, შემდეგ ანაფორა გაიხადა და მეცნიერების სამსახურში ჩადგა. ისიც უნდა ითქვას, რომ დიდ ფილოლოგს კომუნისტებმა შვილი დაუხვრიტეს და მას შემდეგ ის ერთობ ფრთხილობდა.

* * *

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მოსკოვში და-არსეს საინტერესო სერია – <<XX საუკუნის მოაზროვნეე-ბი>>. სერიის მთავარი რედაქტორი იყო აკადემიკოსი თეო-დორ ოიზერმანი. საქართველოდან სერიის გამოსაცემ გეგ-მაში მხოლოდ შალვა ნუცუბიძე იყო შეყვანილი. ფილოსოფი-ის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ გამოცემისთვის ნუცუ-ბიძის შრომების მომზადება მე – მიხეილ მახარაძეს დამავა-ლა.

გამოცემის დეტალების დასაზუსტებლად სპეციალურად წავედი მოსკოვში და შევხვდი აკადემიკოს ოიზერმანს ფი-ლოსოფიის ინსტიტუტში, სადაც ის მუშაობდა. ჩვენი საუბა-რი ხანმოკლე იყო. მან მითხვა, რომ გამოსაცემი მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე დაბეჭდილ 25 თაბახს /დაახ-ლოებით 600 გვერდს/. ამასთან, კატეგორიულად მოითხოვა, რომ გამოცემაში აუცილებლად და თანაც სრულად უნდა შე-სულიყო ნუცუბიძის პირველი ფუნდამენტური ნაშრომი ფი-ლოსოფიაში – <<ბოლცანო და მეცნიერების თეორი>>, რო-მელიც გამოქვეყნდა მოსკოვის ფსიქოლოგიური საზოგადო-ების უურნალში – <<Вопросы философии и психологии>>. 1913, წიგნი I (116) და წიგნი II (117).

თბილისში დაბრუნების შემდეგ, პროფესორებმა არჩილ ბეგიაშვილმა /მასვე ეკუთვნოდა შესავალუ წერილი/, თამაზ ბუაჩიძემ და მე /რედაქტორი/ სამ თვეში მოვამზადეთ ნუცუ-ბიძის ნაშრომების კრებული, რა თქმა უნდა ოიზერმანის მოთხოვნის გათვალისწინებით და წარვადგინეთ მოსკოვის გამომცემლობაში – <Политиздатъ>, სადაც ამ სერიით უკვე გამოცემული მე-20 საუკუნის რამდენიმე გამოჩენილი ფი-ლოსოფოსის წიგნი.

სამწუხაროდ, ამ სერიით ნუცუბიძის რჩეული შრომების გამოქვეყნება ვეღარ მოხერხდა. ცნობილი მოვლენების შემ-დეგ მოსკოვში ქართველი ფილოსოფოსის მემკვიდრეობის გამოცემა აღარ ისურვეს თუ საერთოდ აღარ ეცალათ ამის-

თვის, ამაზე ვერაფერს ვიტყვი. მეტიც, გამომცემლობის ადგილმონაცვლეობის გამო, გამოსაცემად გამზადებული ხელნაწერის ორივე ეგზემპლარი საერთოდ დაიკარგა და მოსკოვში მცხოვრები ერთი ჩემი ქართველი ახლობლის დიდი მცდელობის მიუხედავად, ხელნაწერის კვალს ვეღარ მივაგენით.

* * *

ნიკო კეცხოველი, როგორც ამბობენ, უნივერსიტეტის გამორჩეული რექტორი იყო. უყვარდა დისციპლინა, ზრუნავდა თანამშრომლებზე. როცა ცნობილ ფილოსოფოს კოტებაქრაძეს საფრთხე დაემუქრა, თბილისს განარიდა.

კეცხოველი მკაცრი იყო ლექციების გამცდენ თუ დაგვიანებული ლექტორების მიმართ. ერთხელაც, შესამოწმებლად გამოსულ რექტორს რომ გადაეყარა, დაგვიანებულმა ნუცუბიძემ კეცხოველს ასე მიმართა: „ნიკო, რას დამდევ ამ ჩემს დაარსებულ უნივერსიტეტშიო“.

* * *

დაგვიანებულ სტუდენტს კარებში თავი შემოუყვია და ლექტორ ნუცუბიძისთვის აუდიტორიაში შესვლის ნებართვა უთხოვია.

„შენი სხეულის ძირითადი ნაწილი უკვე აუდიტორიაშია და დანარჩენს რა მნიშვნელობა აქვსო“, უთქვამს ნუცუბიძეს და ლექცია გაუგრძელებია.

* * *

2009 წლის თებერვალში წყალტუბოში ტარდება ნუცუბიძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციის სტუმართა შორის ნამვილი წყალტუბოელი ოტია იოსელიანიცაა.

ბატონმა ოტიამ საინტერესო გამოსვლა დაამთავრა იმის ხაზგასმით, რომ სიცოცხლეში ნუცუბიძე სათანადოდ არ იყო დაფასებული ხელისუფლების მიერო.

ჩემს გამოსვლაში არ გავიზიარე ბატონ ოტიას წუხილი. ნუცუბიძე იმ ხელისუფლებას აკრიტიკებდა და რატომ დააფასებდნენ. პირიქით, რომ დაეფასებინათ, მაშინ ნუცუბიძე აღარ იქნებოდა ასე ძვირფასი. სამაგიროდ, ხალხმა დააფასა ის. როცა ნუცუბიძის სახელი ეწოდა ერთ-ერთ რიგით ქუჩას საბურთალოზე, ხალხმა ქუჩის მიმდებარე სამ ფერდობს – დიდ მასივებს თვითონ უწოდა ნუცუბიძის ფერდობი და ახლა ის ცნობილია ნუცუბიძის პლატოების სახელით (სულ სამი).

იმ საღამოს ამ საკითხზე საუბარი აღარ გაგვიგრძელებია. თუმცა, ბანკეტზე, რომელსაც ბატონი ოტია თამადობდა, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მან გაიზიარა ჩემი შენიშვნა, მაგრამ მთლიანობაში უკმაყოფილო იყო ამ შეპასუხებით.

* * *

<<ნუცუბიძიანაზე>> შედარებით სრული სურათის შესაქნელად მოვიტანთ ამონარიდებს მისი უახლესი ადამიანების წიგნებიდან. ამონარიდებში შეგვხვდება ისეთებიც, რომელთა შესახებაც სხვისგან გაგვიგონია და დავაფიქსირეთ კიდეც. მათ შორის განსხვავებული ნიუანსები მაინც არის.

ქეთევან ნუცუბიძე /შალვა ნუცუბიძის მეუღლე/
<<შალვა ნუცუბიძე>>— მე-2 გამოცემა
თბილისი, 1988

* * *

შალვა ნუცუბიძეს ბევრი ბაძავდა და ამის გამო ზოგიერთი მათგანი კომიკურ სიტუაციაშიც აღმოჩენილა. „ერთი აღიარებდა კიდეც, იმდენად დიდი იყო ჩემზე ნუცუბიძის გავლენა, მე მას სიარულშიც კი ვძაძავდიო. სიარულში ნუ-

ცუბიძეს თავი ოდნავ მარჯვნივ გადახრილი ეჭირა და მეც ასე დავიწყე სიარულიო. იმ ხანებში ერთი გოგონა შეჰყვარებოდა და უარი კი მიიღო, დედას არ მოსწონხარ, თავი მოღრეცილად აქვსო. ასე შალვას სიყვარულმა პირველი სიყვარული დამაკარგვინაო“.

* * *

„სამაგისტრო გამოცდების სამზადისში [ნუცუბიძე] ხშირად უნახავთ ტრამვაის ვაგონში რომელიმე მგზავრის ზურგზე მიყრდნობილი არისტოტელესა და ციცერონის თხზულებებს რომ ჩასცეროდა“.

* * *

ერთ-ერთ ინგლისურ ჟურნალში აღნიშნულია: „...ნუცუბიძემ გაწმინდა ფილოსოფია სპეკულატური და ინტუიციური ნაწილებისგან და დაგვანახა გზა სიბრძნისკენ, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე ფილოსოფიის უაღრესად დახლართული პრობლემების მარტივი გადაწყვეტის მიმართებით“.

* * *

„ცნობილი მოაზროვნე, ესპანელი ორტეგა ი გასეტი, ფილოსოფოსთა შეკრებაზე, რომელსაც ანრი ბერგსონი [დიდი ფრანგი ფილოსოფოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურაში-მ.მ.] თავმჯდომარეობდა, თავის მოხსენებაში შეეხო ნუცუბიძის შრომებს, განაცხადა: რომ <<გნოსეოლოგია-ში მე მიმდევარი ვარ პატარა საქართველოს დიდი მოაზროვნისა და ყველა მოაზროვნის სამუშაო მაგიდაზე მისი წიგნი უნდა იყოს>>. ამ აზრს ბერგსონიც დაეთანხმა“.

* * *

ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის რექტორია, შალვა ნუცუბიძე პრორექტორი. არაკეთილმოსურნეებმა მათ შო-

რის „ჩორთის“ ჩამოგდება შეძლეს. ნუცუბიძემაც დაწერა განცხადება განთავისუფლებაზე და სახლში წამოვიდა.

სახლში დაბრუნებულმა „გაიშილიფა, ცივი წყალი შეისხა,... და თავის სამუშაო მაგიდას ღილინით მიუჯდა, რომ სა-დარბაზოში ზარის ხმა გაისმა. ოთახში შემოვიდა ივანე ჯავახივილი. მან ყოველგვარი შესავალის გარეშე კატეგორიულად განუცხადა:

ახლავე უნდა დაუბრუნდეთ თქვენს მოვალეობას, წინააღმდეგ არც მე დავპირუნდებიო.

არც ამაზე შეყოყმანებულა შალვა და ორივენი მეგობრული განწყობით უნივერსიტეტისაკენ წავიდნენ“.

* * *

ცნობილი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი „გიორგი ახვლე-დიანი რომ ხედავდა, რა გატაცებული პრორექტორი იყო [ნუცუბიძე], ერთხელ შეეკითხა:

- რა ისმის ფულოსოფიის ფრონტიდან?
- ფულოსოფიის ფრონტზე ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ცუდი სუნი მოდის ფუნეტიკის მხრიდან, არ დაიბნა შალვა“. აქ ნუცუბიძემ ხაზი გაუსვა დიდი ენათმეცნიერის ფონეტიკოსობას.

* * *

გასული საუკუნის 30-იან წლებში, იდეოლოგიური პოზიციებიდან უტევდნენ უნივერსიტეტის პროფესორთა ერთ ჯგუფს, მათ შორის იყო შალვა ნუცუბიძე.

კათედრაზე ელაგა ნუცუბიძის შრომები და მათი ავტორიც ასე „ინანიებდა“: „უარს ვამბობ ყველა ამათზე. დავიწყოთ თავიდან“.

„- როდის დადექი შენ ჩვენს პლატფორმაზეო? – ირონიულად ჰეთხეს ნუცუბიძეს.

– როდესაც რევოლუციის მატარებელი ოქტომბრის პლატფორმაზე ჩამოდგა, უბაგაუო ხალხი უმალ გადმოხტა

და პლატფორმაზე დადგა. ნურას უკაცრავად, თუ ბაგაჟიან ხალხს ცოტა დააგვიანდაო, – უმაღლ უპასუხა შალვა ნუცუბიძემ.

ამაზე ისეთი ხმაურიანი, შეუჩერებელი ტაში ატყდა, ისე აგუგუნდა სტუდენტობა, რომ ისინი, ვისაც უნდა ეყვირა: <<ძირს შალვა ნუცუბიძე>>, ალფროვანებულ ვაშას გაიძახოდნენ“.

ამის გამგონე, ერთ პარტიაში ახლად შესულს, თითქოს მის მეგობარს შორიდან დაუძახია:

„– შალვა, წაწოლის პოლიტიკა არ დაგავიწყდესო.

– ზოზო, მე რო არ წავწოლილიყავი, შენ როგორ გადამახტებოდიო, – უკვე სიცილით ესროლა სიტყვა შალვამ“.

ამ ამბავს გაგრძელებაც აქვს. შესვენებაზე ნუცუბიძე მის გარშემო შეკრებილთ სხვადასხვა ამბებს უყვებოდა, ამით ხალხის ყურადღებასაც იპყრობდა და დაძაბულ სიტუაციასაც ამსუბუქებდა.

ერთ ახალ მოსულს შორიდან დაუძახია:

„– როგორა, ხართ, ბატონი შალვა, როგორ?

– მეხივით, მეხივით! – ხმამაღლა გასძახა შალვამ.

– გამოიწით, თავში არ დაგვეცესო, – იხუმრა ვითომ განზე მდგომა მინისტრმა, რომელსაც საზოგადოების ყურადღება აკლდა და თითქმის მარტო იყო.

– ნუ გეშინიათ, მეხი ცარიელ ადგილზე არ ეცემაო, – მიახალა შალვამ“

* * *

„მახსოვს, – იგონებდა გიორგი ახვლედიანი, – შალვამ წინასწარ გვაჩვენა კოლეგებს ჯერ გამოუქვეყნებელი თავისი თარგმანი <<ვეფხისტყაოსნის>> ზოგიერთი მონაკვეთისა. ჩვენ ყველანი გაგვაოცა თარგმანის ადეკვატურობამ და რუსული ლექსის სიმშვენიერები. ივანე ჯავახიშვილმა თქვა: <<ამით ხომ რუსთველოლოგის ნახევარია გაკეთებულიო>>.

მახსოვს, თუ როგორ განცვიფრდა დიმიტრი უზნაძე და ჰქითხა შალვას: <<შენ ხომ არ შეცდი შენი შემოქმედების გზის არჩევანში, იქნებ დიდი პოეტის გზა უფრო შეგეფერებოდა, ვიდრე დიდი მეცნიერისაო>>“.

* * *

როდესაც ციხეში დამპატიმრებლები და დიდი პოსტის ადამიანებიც მოხვდნენ, №10 პატიმარ ნუცუბიძეს არა მხოლოდ თავის გამამხნევებლად შეუნიშნავს:

„ზოოპარკი ცხოველებისთვის შენდება, ციხე – ადამიანებისთვის, ქაჯებისთვის კი არა! ესეც ხომ ცხოვრებაა, მხოლოდ სამყაროს უფსკრულის ერთ კუნჭულში მიხვეტილი“.

* * *

თბილისში, საპატიმროში მორიგი დაკითხვისას გამომძიებელს ნუცუბიძისთვის ჩვენების დასაწერად ქაღალდი მიუწოდებია. პატიმრის ირონიულ შეკითხვაზე „– იქნებ მიკარნახოთ“, გამომძიებელს უთქვამს:

„– მეტის სერიოზულობით შეხედეთ თქვენს საქმეს, ეს ქაღალდი თქვენი სიკვდილ-სიცოცხლის გადამწყვეტია.

შალვამ თავი დაღუნა და, რაც რამ ბოროტება გაახსენდა საერთოდ, ყველა თავის თავს მიაწერა, იმ განზრახვით, რაც სიკვდილის განაჩენის სისრულეში მოყვანას დააჩქარებდა და ბოლოს ჩვენების ტექსტსა და ხელწერას შორის დიდი მანძილი რომ დატოვა, გამომძიებელმა იყვირა:

– ყოფილო პროფესორო, დაგავიწყდა ხელი სად უნდა მოაწერო?

– არა, მე არაფერი არ მავიწყდება, ეს ადგილი თქვენთვის დავტოვე, იქნებ რაიმე გამომრჩა და თქვენ დაამატოთ, – თქვა შალვამ და თვალი გაუსწორა გამომძიებელს“.

ამის შემდეგ გამომძიებელს ტელეფონზე ვიღაცისთვის უთქვამს – „გამოუსწორებელიაო“ და ნუცუბიძე ჯერ სხვა

კამერაში გადაუყვანიათ და სულ მალე თბილისის საპატიმ-როდან მოსკოვში გაუმწესებიათ.

* * *

როცა ნუცუბიძე მეორედ ქორწინდებოდა ყოფილა მით-ქმა-მოთქმა:

„ – ნაქმარევი რომ არ აერჩია, გაუთხოვარი ქალი აღარ იყო?! – არ ცხრებოდნენ. ეჱ, ბედია ყველაფერი! – დაასკვნეს საბოლოოდ. მაგრამ ერთმა მაინც თქვა: რომ მცოდნოდა ასე-თი უბრალო მოთხოვნილებისა იყო, – მეც ვეცდებოდიო“.

* * *

ასეც ხუმრობდნენ თურმე: „შალვა ნუცუბიძეს გაჩეჩი-ლაძის კალენდარი ისე შეუძლია წაიკითხოს, შექსპირი გეგო-ნებაო“.

* * *

თურმე, როცა ნუცუბიძეს სახლში მარტოს სტოვებდნენ, მხოლოდ ერთი საქმე ევალებოდა – რძის ადუღება, რასაც მისი საყვედური მოსდევდა: „თქვენ ყველაზე ძნელ საქმეს მიტოვებთ. რძეს დავადექი თავზე – არ ადუღდა, მოვცილდი და გადმოვიდაო“.

* * *

ერთ პედაგოგს ნუცუბიძისთვის ნიშნის მოგებით უთ-ქვამს:

„– დღეს თქვენი ვაჟი გამოვიჭირე, გაკვეთილი არ იცო-დაო.

– თქვენც მაშინ გამოიჭირეთ, როცა იცისო“, უპასუხია ნუცუბიძეს.

* * *

ნუცუბიძეს მეცნიერებათა აკადემიის თაობაზე ასეთი ირონიული შენიშვნა გამოუთქვამს:

„— აკადემიის კარი რაკი ერთხელ! გაიღო, ვეღარ იხურება — ზოგს შესასვლელად წინაპრების ძვლების ფოსტორი უნათებს გზას, ზოგს თანამდებობით ირჩევენ, ზოგს ხელმძღვანელ პოსტიდან განთავისუფლებისას აკადემიკოსობით იმადლიერებენ, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ თვითონ უნდათ სწირონ, ჩვენ კი მხოლოდ პირჯვარი ვიწეროთ!“.

* * *

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იმ სხდომაზე, როდესაც ნუცუბიძეს აკადემიის წევრობა შეუწყვიტეს, აკადემიის პრეზიდენტს განუცხადებია, რომ დადგენილება ერთხმად არის მიღებულიო. ამის პასუხად ივანე ბერიტაშვილს განუცხადებია:

„ რატომ ერთხმად, — მე წინააღმდეგი ვარ,... პასუხად რომ მხოლოდ დუმილი მიიღო, დასძინა, — მე ვტოვებ ამ უსამართლო სხდომას“ და პირდაპირ ნუცუბიძესთან წასულა სახლში.

ამ პროტესტის თაობაზე ნუცუბიძისთვის არაფერი უთქვამს დიდ მეცნიერსა და მოქალაქეს. ამის თაობაზე სხვებისგან გაუგია ოჯახს.

* * *

ერთ ოჯახის ახლობელ ექიმს ნუცუბიძისთვის უკითხავს:

„— მაინც რისთვის გამოგიყვანეს აკადემიიდან?...“

— ჯობია, გენაცვალე, გეკითხებოდნენ, რისთვის გამოგიყვანეს, ვიდრე გეკითხებოდნენ რისთვის შეგიყვანეს“, ღიმილით უპასუხია ნუცუბიძეს.

* * *

როცა ნუცუბიძე მეცნიერებათა აკადემიიდან გამოიყვანეს, იმ ხანებში გერმანიაში იბეჭდებოდა <<ვეფხისტყაოსნის>> გერმანული თარგმანი ნუცუბიძის ვრცელი წინასიტ-

ყვაობით. გასაგები მიზეზის გამო წიგნის ბეჭდვა შეუჩერებიათ. გამოსავალი კი ასე მოინახა – წინასატყვაობა გამოქვეყნდა ახალგაზრდა გერმანელის გვარით, რომელსაც სახელი აინტერესებდა, სამაგიეროდ საკმაოდ სოლიდური ჰონორარი ნუცუბიძეს გამოუგზავნეს.

ნუცუბიძის მეუღლე ქალბატონი ქეთევანი ამის თაობაზე წერს: „ამ თანხამ მატერიალურად წელში გაგვმართა და სხვის სახელით დაბეჭდილი სტატია შალვამ ისევ თავის სასარგებლოდ გამოიყენა. იგი ხშირად დაიმოწმებდა გერმანელ ავტორს, როცა საყვედურობდნენ, <<აბა, შენს მეტი ვინმე თუ ამბობს ასეთ რამესო>>“.

* * *

აკადემიდან გამოყვანილი ნუცუბიძე პერიოდულად შეუვლიდა აკადემიის პრეზიდენტს – ნიკო მუსხელიშვილს და შეახსენებდა მისი საკითხის გადასინჯვას. ერთხელ უთქვამს კიდეც: „მაკვირვებს, მოგჩერებივარ და ვერ გამიგია, ბოლოს და ბოლოს, ხარ თუ არა პრეზიდენტი?!“

გავიდა ხანი და 1960 წლის 14 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ ნუცუბიძე აღადგინა ნამდვილ წევრად.

ნიკო მუსხელიშვილს მადლობის სათქმელად მისული ნუცუბიძისთვის ღიმილით უკითხავს:

„– ჩემს პრეზიდენტობას რაღა ვუყოთ, ხომ არ გექნება რაიმე წინადადება?“

„– ისევ შეჩვეული <<ჭირი>> გვირჩევნია, იყოს, რაც არისო“, დაუფიქრებლად უპასუხია ნუცუბიძეს.

* * *

ინსტიტუტის დირექტორობიდან განთავისუფლებული მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი ივანე ბერიტაშვილი გლდანში მისულა ნუცუბიძის სახლში. მომხდარის გამო

აღელვებული ყოფილა. ამის თაობაზე სუფრასთან ნუცუბიძეს ასეთი რამ უთქვამს:

„– მსოფლიოში კვანტური ფიზიკა ვითარდება, საქართველოში კი ფიზიკური კვანტი“.

* * *

ნუცუბიძე წინააღმდეგი იყო თავისი 80 წლის იუბილე პომპეზურად რომ აღენიშნათ და თავისი გამოსვლის დამთავრებას ასე აპირებდა:

„ვერ ვიტყვი ზოგიერთებივით, რომ ყველა პირობა მქონდა მუშაობისა და ყველაფერი გავაკეთე. ვიტყვი – ყველაფერი გამიკეთეს იმისთვის, რომ არ გამეკეთიბინა, მაგრამ ვერაფერიც ვერ დამაკლეს“.

* * *

ნუცუბიძის ერთი აღმოჩენის შესახებ თურმე „ჯერალდ გარიგმა ეს დებულება ერთ კონგრესზე <<საკმაოდ პარადოქსალურად მოიხსენია>>, რაც შალვა ნუცუბიძემ კარგის მაუწყებლად მიიჩნია, რადგან ჯერ კიდევ შოპენჰაუერს გერმანიაში, უილიამ ჯეიმსს ამერიკაში, მეცნიერებისთვის განემარტათ, რომ ყოველი მნშვნელოვანი და ჭეშმარიტების მქონე დებულება თავდაპირველად პარადოქსალურია, შემდეგ საეგებისო და ბოლოს – ნამდვილიო“.

თამარ ნუცუბიძე /ნუცუბიძის ქალიშვილი/
შალვა ნუცუბიძე. მეცნიერის გზა
თბილისი, 1988

* * *

ნუცუბიძეს უთქვამს: „როდესაც პოლიტიკურ სიტყვას ვამბობდი, მიკიუინებდნენ – ლექციას გვიკითხავსო, ახლა ლექციებს ვკითხულობ და – პოლიტიკას გვაპარებსო“

* * *

ნუცუბიძე იხსენებდა 1940 წლის 20 ოქტომბერს მოსკოვში შინაპატიმრობიდან კრემლში სტალინის კაბინეტში სტუმრობას. ეს „ვიზიტი“ უკავშირდებოდა <<ვეფხისყაოსნის>> ნუცუბიძისეულ რუსულ თარგმანს: „ვიყავით ოთხიოდე ქართველი კაცი. ჩამოვარდა ლაპარაკი საშა წულუკიძის სამგლოვიარო მიტინგზე კობას /სტალინის-მ.მ./ მიერ ნარმოთქმული სიტყვის შესახებ. მე სიტყვა კარგად მახსოვდა და მასპინძელს მისი დასაწყისი გავახსენე. ის აღფრთოვანებული დარჩა და იქვე მდგომ ბერიას მიმართა: – თქვენ ამბობდით, რომ ვერსად აღმოაჩინეთ ჩემი ამ სიტყვის კვალი. აი, ამას კარგად ხსომებია, შეიძლება ითქვას – სიტყვასიტყვით. ამის გამგონემ [ბერიამ] მომმართა მისთვის ჩვეული მანერით: – შე ყურუმსალო, თუ ეს დოკუმენტი ასე გახსოვდა, რად არ გაამხილეო? მართალია, ჩემი მობაასე ჩემი ციხის პატრონი იყო, მაგრამ კრემლის მასპინძელი უფრო მეტი ავტორიტეტის პატრონი აღმოჩნდა და მეც მკვახედ ვუპასუხე: – მე ისეთი სავაჭროს პატრონი არა ვარ, რომ მუშტარს ვეძებდე. ვისაც ესაჭიროებოდა, თვითონ მომაკითხავდა“.

* * *

ნუცუბიძე გულნატკენი იყო იმის გამო, რომ მონაწილეობა არ მიაღებინეს რუსთაველის იუბილეზე 1966 წელს. „განსაკუთრებით აღმაშფოთებელი იყო ის ფაქტი, რომ 1968 წელს თბილისის უნივერსიტეტის 50 წლის იუბილეზე მის ერთ-ერთ დამაარსებელს სიტყვა არ მისცეს, არადა ამის დიდი სურვილი ჰქონდა“.

* * *

ცნობილი სომეხი მეცნიერის ვაზგენ ჩალოიანისთვის ნუცუბიძეს უთქვამს: „არასოდეს გისურვებთ ისეთი წიგნის

დაწერას, რომელსაც ყველა დაეთანხმება, რადგან ეს იმის
მაუნყებელი იქნება, რომ უმნიშვნელო წიგნი დაწერეთ“.

* * *

ნუცუბიძე თურმე ხუმრობდა: „მემუარების დასაწერად
ცოტა გამოშტერებაა საჭირო და ეს დრო ჯერ არ დამდგომი-
აო“.

* * *

ნუცუბიძისთვის ერთხელ უთქვამთ: „შენ ბევრი ქვა გეს-
როლეს“. მას უპასუხია: „ეს ქვები მე პიედესტალად მექცა“.

* * *

ნუცუბიძის მონაყოლით აღტაცებულ ერთ-ერთ თანამო-
საუბრეს მისთვის რჩევა მიუცია:

„ – დაწერეთ, რაც იცით, ჭურში ჩამარხეთ, ერთი საუკუ-
ნის მერე ამოთხრიან და შთამომავლობა მადლობას გეტყვი-
თო“.

ნუცუბიძეს ღიმილით მიუგია: „ერთი თვის მერე რომ
ამოთხარონ?!“

* * *

ნუცუბიძისთვის უთქვამთ: „ბატონო შალვა, თქვენ ვინმე
უნდა დაგყვებოდეთ და იწერდეს თქვენს საუბარს“.

„ – კი დამყვებიან და კიდეც იწერენო“, დაუმშვიდებია
მრჩეველი ნუცუბიძეს.

მოამზადა მიხეილ მახარაძემ

**ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერება-
თა აკადემიის ქართული და უცხოური ფილოსოფიის ის-
ტორიის განყოფილებამ.**

ფილოსოფიური ანთროპოლოგია

PHILOSOPHYCAL ANTRPOLOGY

ირაკლი გოვიჩაძე – ფილოსოფიის მაგისტრი, ავტორი მრავალ-რიცხოვანი სტატიებისა თეორიული ფილოსოფიის სფეროში ფი-ლოსოფიური ანთროპოლოგიის განხრით; ადმინისტრირებას უწევს პირველ ქართულ ფილოსოფიურ ინტერნეტსაიტს – www.philosophya.ge-ს.

„ანთროპოლოგიური და მიკროკოსმოსი“

ანთროპოსის მიკროკოსმოსად განხილვას ფილოსოფიის ისტორიაში დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს განხილვები ძირითადად ანალოგიებით მსჯელობის ხასიათს ატარებდა – მიკროკოსმოსი (კერძოდ კი ადამიანი ზოგადად) მოიაზრებოდა კოსმოსის იგივე მაკროკოსმოსის მსგავს, ოღონდ მასშტაბებში შემცირებულ, მონესრიგებულ, კანონქვემდებარე და ა.შ. მოცემულობად.

ამგვარი განხილვისას ძალზე ზედაპირულები რომ არ აღმოვჩნდეთ წინასწარვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მაკროკოსმოსისა და მიკროკოსმოსის მხარეებს შორის პირველი იმთავითვე მოცემული ან თავისთავად ჩამოყალიბებული ერთეულია, ხოლო მეორე ასეთად და ასეთად შეიძლება ან უნდა იქცეს. ცხადია, აქ საქმე ეხება მიკროკოსმოსს როგორც ანთროპოსის შინაგან, გნებავთ სულიერ-გონით სამყაროს და არა ანთროპოსს როგორც ფიზიკურ-ვიტალურ მოცემულობას, რომელიც ისედაც მაკროკოსმოსის უშუალო წარმოებულია.

მეორე შენიშვნა იქნება ის, რომ მანამ, სანამ ბუნების-მეტყველებას ცოდნის შენობის აგებისთვის წერტილი არ დაუსვამს (რაც, ალბათ, არც მოხდება) ჩვენ არ გვეცოდინება თუ რამდენად ადეკვატური სახე ექნება ამგვარი ანალოგიებით წარმოებულ მსჯელობას. ცხადია, არც ის გვეცოდინება,

თუ რა სახეს მიიღებს რეალიზების შემდეგ ანთროპოსის პო-ტენციური მიკროკოსმოსი.

გარდა ამისა, გაურკვეველი დარჩება ისიც თუ 1) რამ-დენად ერთნაირი შინაგანი სამყარო ჩამოუყალიბდება თვი-თოეულ ანთროპოსს და ასევე ის, თუ 2) რომელი მათგანის მიკროკოსმოსი ემსგავსება უფრო მაკროკოსმოსს. ეს ყველა-ფერი, რა თქმა უნდა, ამცირებს განხილვის შედეგად მიღე-ბული დასკვნების საყოველთაობის ხარისხს.

ერთი სიტყვით, ამ მსჯელობის ხასიათი ერთობ მიახ-ლოებითი, სავარაუდო უნდა გამოვიდეს და არა უეჭველი, ევიდენტური სტუსტით დადგინებული.

ანთროპოსის ყოფიერება, როგორც ბიო-ფსიქოლოგიუ-რად ისე გონით-მეტაფიზიკურად ერთგვარი დაძაბულობაა, რომლის გაძლებაცა და ატანაც ყოველი ცალკეული ანთრო-პოსის ყოველდღიური ცხოვრებისეული საზრუნავია. ამ საზ-რუნავს ყველა ანთროპოსი ერთნაირი წარმატებით როდი ართმევს თავს. უამრავი ანთროპოსის ფსიქიკა და ფიზიო-ლოგია დანგრეულა, ინგრევა და დაინგრევა ამ გზაზე, მაგ-რამ სხვა გზა არ არსებობს ამ ქვეყნად, ესაა ცხოვრება. გან-საკუთრებით ეხება ეს ანთროპოსთა იმ სრულ უმრავლესო-ბას, რომელთაც ბიო-ფსიქიურს მიღმა, რაღაც უფრო მაღა-ლი რანგისა არაფერი ეგულებათ. თუ ანთროპოსის ბიო-ფსი-ქიურს ღრმა, იმანანტური, გონითი, მეტაფიზიკური, ტრან-სცენდენტური არ ეპირწონება, მაშინ ის ამ უკიდეგანო, უზო-მიერო, ინდიფერენტულ და თავისი ძნელად საწვდომი გზით მიმავალ სამყაროში სრულიად უიმედოდაა გადაგდებული და განწირული. ეს ფატალური ამაზრზენობა მთელი ცხოვრება ტანჯავდა მაგ., პასკალს, ხოლო კანტი განცვიფრებული იყო იმით, რომ ვარსკვლავებით მოჭედილი უკიდეგანო ზეცის გა-რემომცველობიდან მომავალი უსუსურების განცდისგან თა-ვის დაღწევის გზა გადიოდა ადამიანის იმანენტურ სიღრმე-ებში დანთქმულ, ძლივს მოკიაფე ზნეობრიობის გრძნობაზე, გრძნობაზე, რომელიც არა ყველა ანთროპოსის მიერ შეიგ-

რძნობა და არა ყველა ანთროპოსის მიერ მიიღება ანგარიშ-ში. მართლაც, სინდისის ხმას დიდი ძალა აქვს, დიდი მეტაფი-ზიკური ძალა, და არ არსებობს არავითარი გარანტია, რომ ანთროპოსი, რომელიც მას ვერ შეიგრძნობდა მანამდე თავის იმანენტობაში, ერთხელაც არ გაისრისება მისი გამაყრულებე-ლი, უცაბედად მოვრდნილი ზვავისგან. სწორედ ამ დროს ცნობიერდება იმ უკიდეგანო შინაგანი სიღრმის არსებობა, რომლის წილიდანაც ამოჩქეფა სინდისის ექსისტენცია-ლურმა უღერამ, რომელიც ანთროპოსის იმანენტობაში მა-ნამდე თითქოს უხმოდ სუფევდა. ეს იმანენტური „უფსკრუ-ლი“ არანაკლებ “თავზარდამცემად უკიდეგანო” შეიძლება გახდეს, ვიდრე ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა ჩვენს თავ-ზე და სწორედ ამ შემთხვევაში მივიღებთ სახეზე ნამდვილ მიკროკოსმოსს. ცხადია, ამგვარი რამის გაცნობიერებას მხოლოდ სინდისის ძახილი არ იწვევს ხოლმე, იგივე ტიციან ტაბიძეში ამას იწვევდა მაგ., მუზა, მეწყრად მოვარდნილი ლექსი, რომელიც მას ცოცხლად მარხავდა, ამას იწვევს აღ-სარება-სინანული, რომელმაც მაგ., ავგუსტინე სულიერ ფე-რიცვალებამდე მიიყვანა ან სიყვარული, რომელიც შეიძლება იმდენად დიდი გახდეს, რომ მთელი სამყარო, მტერი და მოყ-ვარე მოიცვას და ა.შ. აქ საქმე გვაქვს მეტაფიზიკურისა და იმანენტურის ურთიერთობის ექსისტენციალურ ცდებთან, რომელიც იძლევა სრულიად უნიკალურ ანთროპულ გამოც-დილებას.

როდესაც ანთროპოსში ამგვარი იმანენტური სიღრმი-სეულობა აღარ იგულვება, ის განწირულია გარემომცველი სამყაროს უსასრულობის, გულგრილობის, უთანაზომობის წნებში გასრესვისთვის. იმანენტური სამყარო და მხოლოდ ის არის ჭეშმარიტად მეტაფიზიკური მოცემულობა. უდიდე-სი, ეტიმოლოგიური მიზეზის მქონე შეცდომაა მეტა-ფიზი-კურის ძიება ანთროპულს გარე არსებული ფიზიკური სამყა-როს მიღმა. თუ ანთროპოსის მზერა მიმართულია გარეთ, იქ

შეუძლებელია დანახვა რაიმე არაფიზიკურისა. ანთროპოსს გარეთ მხოლოდ ფიზიკური, „ცუდი უსასრულობა“ ძევს. ან-თროპოსი-დან და გარეთ იწყება უსასრულო ფიზიკური სამყარო, ფიზიკური სამყაროს უსასრულობიდან და ანთროპო-სის-კენ, ანთროპოსის იმანენტური სამყაროს მიჯნასთან, ფიზიკური უსასრულობა სრულდება, ზღვარი ედება, და ეს ერთადერთი ზღვარია, რომელიც ფიზიკურ უსასრულობას შეიძლება დაედოს. შეიძლებას აქ იმიტომ ვამბობთ, რომ ან-თროპოსის იმანენტური, გონით-მეტაფიზიკური სამყაროს უსასრულობა პოტენციაა და არა აუცილებელი რეალობა. ჩვენი ანთროპოლოგიური სურათის თანახმად, აუცილებელი რეალობა ანთროპოსში არის მხოლოდ მისი ერთი, ანიმალუ-რი პლასტი, იგივე ცხოველი, რომელიც ინსტინქტური ლტოლვების მონაა და ხელმძღვანელობს შიშველი, გულუბ-რყვილო ემპირიული მონაცემებით. ცხადია, რომ ამ უკანას-კნელსაც გააჩნია თავისი შინაგანი სამყარო, რომელსაც სუ-ლიერი სამყარო მხოლოდ იმდენად შეიძლება ეწოდოს, რამ-დენადაც ის ცოცხალი არსების კუთვნილებაა, ანუ წმინდად ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური, ან, გნებავთ, გრამატიკული აზრ-გაგებით. ამგვარად გაგებული იმანენტური სამყარო ერთობ შეზღუდულია, ზღვარდებულია, მაგრამ მაინც ის წარმოადგენს იმ ზღურბლსა და ბილიკის დსაწყისს, რომელ-საც ანთროპოსი პიროვნებად ამაღლების გოლგოთაზე აჰ-ყავს. პიროვნებაც პოტენციაა, რომელიც ერთობ იშვიათად ხორციელდება და სწორედ ის ხდება იმ უსასრულო იმანა-ნენტური სამყაროს, მიკროკოსმოსის მატარებლი, რომელ-საც თავად ქმნის პიროვ-ნებად შედგომის გზაზე. პიროვ-ნე-ბის შინაგან სამყაროსთან წყდება ფიზიკური სამყაროს დამ-თრგუნველი უსასრულობა და იმანენტურ-ექსისტენციალურ ბილიკზე გავლით იწყება ჭეშმარიტად მეტაფიზიკური რეა-ლობა.

ანთროპოსს ცხოველურ დონეზე გააჩნია ანიმალური სულიერება ისევე, როგორც ნებისმიერ ცხოველს, შესაბამისად საკუთარი ცენტრალური ნერვული სისტემის განვითარებულობისა. იშვიათად, მაგრამ მაინც, ჩვენ ვხვდებით ცხოველთა სამყაროში მაგ., ზნეობრივად ამაღლვებელ ქცევებს. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი გახადა თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით გადაღებულმა ნატურალისტურმა კინო-დოკუმენტალისტიკამ. რაც უფრო მაღალგანვითარებულ ცხოველთან გვაქვს საქმე ამგვარ გამოვლინებებს ალბათ უფრო ხშირად წავაწყდებით და ეს ეხება ველურ ტომებად მცხოვრებ ანთროპოსებსაც. კი, მაგრამ, რატომ მოვდივართ აღტაცებაში, რატომ გვაოცებს ცხოველის ის ქცევა რომელიც, მაგ., ატარებს ზნეობრივი ქმედების ნიშნებს? იმიტომ, რომ წინასწარ დაშვებული გვაქვს ის დებულება, რომლის თანახმადაც ცხოველს არ გააჩნია ზნეობრიობის შეგნებული ცნობიერება, რომ მისი ზნეობრიობის ნიშნების მატარებელი ქცევა შემთხვევითია და ა.შ. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამგვარი ნიშნები ცხოველთა თუ ველურ ანთროპოსთა ქცევაში აშკარად თვალშისაცემია ზნეობრიობის ცნობიერების მატარებელი ანთროპოსისთვის და ამის ხელაღებით უარყოფა შეუძლებელია. ყველაზე უფრო მისაღები ახსნა ყოველივე ამისა, ჩვენის აზრით იმაში მდგომარეობს, რომ ანიმალურ არსებას, მიუხედავად შინაგანი სამყაროს შეზღუდულობისა, გააჩნია რაღაც მაკავშირებელი ძაფი ზემოხსენებულ გონით-მეტაფიზიკურ რეალობასთან. ამ უკანასკნელს კი ახასიათებს ექსისტენციალური გამონათება, უეცარი თავსდატეხვა და გაელვება. ეს უეცარობაა სწორედ მიზეზი იმისა, რომ ცხოველის ქცევაში ამოკითხული ნიშნები ზნეობრივი ქმედებისა ჩვენთვის შემთხვევითობის ეფექტს ქმნის და გვიჩნის ეჭვს – თუ ეს ყოველივე შემთხვევითი არაა, მაშინ რატომ არ აქვს ამგვარ ქცევებს ცხოველის ყოფაში რეგულარული ხასიათი? კი, მაგრამ, ამგვარ ქმედებებს რეგულარული ხასითი არ აქვს ანთროპოსთა იმ თანამედრო-

ვე ერთობაშიც კი თავი რომ განვითარებულ, ცივილიზებულ „ადამიანად“ მოაქვს. ნამდვილი, შეგნებული, უანგაროდ ზნეობრვი ქმედება თანამედროვე საზოგადოებაშიც ერთობ იშვიათი ხილია და რატომ უნდა ჰქონდეს მას რეგულარული ხასიათი ცხოველის ყოფაში? რეგულარული ხასითი საკუთარ შეგნებულ ზნეობრივ ქმედებებს შეიძლება მისცეს მხოლოდ იმ ანთროპოტიპმა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ „პიროვნებას“. რამდენადაც იშვიათია ანთროპოსთა საზოგადოებაში პიროვნება, იმდენად იშვიათია ნამდვილი, შეგნებული, უანგარო ზნეობრივი ქმედებაც.

....

მიკროკოსმოსად ანთროპოსის წარმოდგენა და ამ უკანასკნელის მაკროკოსმოსთან მიმართებაში, პოლარიზაციაში განხილვა, როგორც ითქვა, ძალიან დიდი ხნის ხილია ფილოსოფიაში. ამ საკითხის წმინდად ფილოსოფიის ისტორიული დემონსტრირება ჩვენს უშუალო ინტერესებში არ შედის, მით უმეტეს, რომ ამის თაობაზე ფილოსოფიის ისტორიაში უკვე საკმაოდ ბევრი თქმულა და დაწერილა. ჩვენ უბრალოდ გვსურს, რომ ეს თამატიკა გარკვეული ინტერპრეტირებით ჩვრთოთ იმ ანთროპოლოგიურ კონტექსტში, რომელიც წარმოდგენილი გვაქვს წინამდებარე კრეპულში გამოქვეყნებულ სტატიათა საკმაოდ ვრცელ ციკლში.

ანთროპოსი მიკროკოსმოსად შეიძლება წარმოვიდგინოთ არა ცალსახოვნად, არამედ იმდენსახად, რამდენ პლასტისაც, განზომილებასაც ვგულვობთ ჩვენ ანთროპულ ყოფიერებაში. ასეთ პლასტებად მივიჩნევთ ოთხს: 1. ემპირიული სუბიექტ-ობიექტი, ანუ ცხოველი, 2. რაციონალური სუბიექტ-ობიექტი, ანუ საკუთრივ ადამიანი, 3. ინდივიდუალი, ანუ მოფიქრალი მე, თვისტომთა შორის ორიგინალური ხედვით გამორჩეული შემოქმედი და 4. პიროვ-ნება, ანუ ანთროპოსის ის პოტენციური ცენტრი, რომელმაც შეიძლება შეგნებულად, თავისუფლად მართოს ყველა სხვა პლასტში მიმდი-

ნარე პროცესები (ბიოლოგიური, ქიმიურ-ფიზიკური, ფსიქიკური, შემოქმედებითი თუ ექსისტენციალური).

თუ ჩვენ მაკროკოსმოსს წარმოვიდგენთ, უპირველეს ყოვლისა ერთგვარ მოწესრიგებულ მთლიანობად, მაშინ თვითონეულ პლასტთან მიმართებაში შეიძლება ვილაპარაკოთ ოთხგვარ მიკროკოსმოსზე. ვიტალურიც, ადამიანურიც, ინდივიდურ-შემოქმედებითიცა და პიროვნულიც ცხადია, გარკვეული მოწესრიგებული მთლიანობაა, მაგრამ ეს საკითხის მეტისმეტად გამარტივება იქნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ წესრიგისა და მთლიანობის ცნებებს მივცემთ ერთობ ორიგინალურ ინტერპრეტაციას. თუმცა, რაოდენი ორიგინალურობის გამოჩენასაც არ უნდა ვეცადოთ, ყველგან აგვედევნება ერთგვარი ბეკონისეული იდოლა, რომელიც ამ ცნებებს მიკროკოსმოსთან მიმართებაში აძლევს კანონდამოკიდებულების ინტერპრეტაციას. ამ უკანასკნელის თანახმად, სამყარო კოსმოსია იმდენად, რამდენადაც მასში მიმდინარე პროცესები ექვემდებარებიან ბუნების კანონებს. ეს უკანასკნელი წარმოიდგინებიან უცვლელად და სამყაროს შემადგენელი ყოველი ნაწილისთვის ერთნაირი ძალის მქონედ. ამგვარი გაგება წესრიგისა ერთობ დრომოქმულია. კვანტურმა ფიზიკამ და ფარდობითობის თეორიამ ამგვარი დამოკიდებულება უკვე დიდი ხანია შეცვალა – კვანტურ და ასტრონომიულ დონეებზე კანონდაქვემდებარებულობის ცნებას სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა გააჩნია, ხოლო ფარდობითობის თეორის თანახმად, ფიზიკის ისეთი ფუნდამენტური ცნება როგორიცაა დრო სრული ფანტასტიური ბურუსით მოცულად წარმოგვიდგება ფიზიკის სხვა, ისეთ არანაკლებ ფუნდამენტურ ცნებასთან მიმართებაში, როგორიცაა მაგ., სიჩქარის ცნება. დაბალ და ზემაღალ სიჩქარეებთან მიმართებაში დრო სრულიად სხვადასხვაგავარ კანონდამოკიდებულებას იჩენს, რაზეც აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

მაშასადამე, სრულიად აღარაა გასაკვირი ის ფაქტი, რომ დრო ანთროპული ყოფიერების ამგებ ცალკეულ პლას-

ტებთან მიმართებაშიც სხვადასხვანაირ ხასიათსა და კანონ-დამოკიდებულებას ამჟღავნებდეს. მაგ., ბიოლოგიური დრო ცხოველურ პლასტთან მიმართებაში დიდწილადაა დამოკი-დებულ-განსაზღვრული წელიწადის, თვეების და ა.შ. ციკ-ლურ ცვალებადობასთან; ფრინველები იწყებენ გადაფრე-ნას, მღრღნელები იწყებენ საკვების მომარაგებას სწორედ ამ ციკლური ცვალებადობების შესაბამისად. მეტიც, თვით ისე-თი ბიოლოგიურად მნიშვნელადი აქტიც, როგორიცაა გამ-რავლება, დამოკიდებულია ამ ციკლურ წრებრუნვაზე. ეს დროის სრულიად განსხვავებული ლავირებაა თავისი გამო-ნაკლისებითა და კანონშესაბამისობისგან ხშირი გადახვევე-ბით, რაც გამოწვეულია მაგ., ლოკალური მიკროკლიმატური პირობებით. აქ დროს გააჩნია დასაწყისიც და დასარულიც, მორიგეობითი კვლავგანმეორადება და ერთფეროვნება – ის იწყება ყოველი კონკრეტული ცხოველის დაბადებით და სრულდება სიკვდილით, ხოლო ამ განსაზღვრულ მონაკვეთ-ში ფუნქციობს ერთი და იგივე პროცესების ციკლური მო-ნაცვლეობით.

თავისი სადინარებით მიედინება ე.წ. ფსიქოლოგიური დროც. მაგ., ფსიქოლოგიურად დროის განცდა ანთროპოსის სხვადასხვა ასაკობრივ ეტაპზე სხვადასხვანაირია – საშუა-ლო ასაკში და ხანდაზმულობისას დრო უფრო სწრაფად გა-დის ვიდრე ჯეელობაში. რაც უფრო ემატება ასაკი ანთრო-პოსს დროის მსვლელობის სიჩქარეც იმატებს. თუ ახალგაზ-რდობაში დრო „თავზე საყრელად“ გვაქვს შემდგომ და შემ-დგომ ის აღარაფერზე გვყოფნის. სკოლაში სწავლისას ყვე-ლას გამოუცდია, რომ 45 წუთი (ჩემს ბავშვობაში ასეთი ხან-გრძლივობის გაკვეთილები ტარდებოდა) სულაც არ გადის 45 წუთში, ის უსასრულოდ ხანგრძლივი გვეჩვენება, მაშინ, როცა საზაფხულო არდადეგები (სამთვიანი) ხელსა და ხელს შუა გაგვირბის. მსგავსი მაგალითები ძალზე ბევრია, რაც დროის ფენომენის სრულიად სხვადასხვაგვარ ჰიპოსტაზზე მიგვანიშნებს.

რაციონალურ სუბიექტ-ობიექტთან, ანუ „საკუთრივ ადამიანთან“ მიმართებაში დროს ორადი კანონშესაბამისობა ახასიათებს, რაც უკვე ნათლად გამოხატავს მიკროკოსმოსისა და მაკროკოსმოსის ორგვარ ინსტანციასთან – ფიზიკურთან და მეტაფიზიკურთან – ონტოლოგიურ კავშირს.

რაციონალური სუბიექტ-ობიექტი შემეცნებითი წვდომის გზაზე მიემართება ა) ლოგიკური (გულისხმობს მარადიულ ზედროულობას) და ბ) ემპირიულ-ცდისეული (გულისხმობს ცვალებად დროულობას) ბილიკებით. ამ ორი, ეხლა უკვე კარგა ხნის მოთანამშრომლე (გავხსენოთ ანტიკურობა სადაც პრიორიტეტი სრულად ენიჭებოდა პირველს) მიდგომის ბუნების გაშივრა ფილოსოფიის ისტორიაში არაა ახალი ხილი. პრიციპში დაგენილ ჭეშმარიტებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ლოგიკური და მათემატიკური ობიექტები არაა ფიზიკური დროითა და სივრცით განსაზღვრული რეალიები. მათი იდეალისტურ-მეტაფიზიკური ბუნების დემონსტრირება, პლატონიდან მოყოლებული, წარმოადგენდა არაა ერთი დიდი მოაზროვნის (მაგ., დეკარტი ან ჰუსერლი) სამოღვაწეო ამოცანას. ამ უკანასკნელთა შორის პოზიციების ისეთი წარმომადგენლებიც კი გვხვდებიან, როგორიცაა მაგ., რასსელი და ვიტგენშტაინი, რომლებმაც განიცადეს ფრეგეს ფენომენოლოგიური ორიენტაციის ლოგიკურ-ფილოსოფიური იდეების ზეგავლენა.

რაც შეეხება ემპირიულ-ცდისეულ მიდგომას, ის ობიექტები, რომლებთანაც მას გააჩნია მიმართება, მთლიანად ფიზიკური დროულ-ვრციული არტახებითა შეკრული.

საკვირველია, რომ ანთროპული ყოფიერების პლასტებიდან, სწორედ რაციონალური სუბიექტ-ობიექტის დონეზე ედება საფუძველი მსოფლმხედველობრივ ნიპილიზმს, რომელიც მოკლებულია ყველაფერი ზემოხსენებულის შეგრძნება-განცდას, ხოლო ცოდნის თვალებით კი ცდისეულ-ემპირიულის გარდა ვერაფერს ხედავს. არადა, როგორც პოპერი ამბობდა – ნატურალისტური დაკვირვებებით მოპოვებული

ჩანახატებით შევსებული რვეულების დასტების ანაბარა ვერ მივიღებთ, მაგ., ბიოლოგიას, როგორც მეცნიერებას. ე.ი. ლოგიკურ-მეტაფიზიკურის გარეშე, რომელიც უნდა დაე-ორგანონოს ემპირიულს ჩვენ ვერ ავაგებთ ცოდნის მწყობრ შენობას.

შემეცნებითი მიმართების ობიექტთა ბუნების ნათელ-ყოფისას ფიზიკური, სოციალური, ფინანსონგიური და ა.შ. ფენომენები აშკარავდებიან, სისტემატიზირდებიან და ლაგ-დებიან ცოდნის შენობად ლოგიკურ-მეტაფიზიკურის მეოხე-ბით. ლოგიკურ-მეტაფიზიკური გამოიხატება იმით, რასაც ფილოსოფიაში თუ აქსეოლოგიაში, სიკეთისა და მშვენიერების გვერდით, მოიხსენიებენ ჭეშმარიტებად. როცა საქმე ეხება რაციონალურ სუბიექტ-ობიექტს, ანუ საკუთრივ ადა-მიანს, მაშინ ეს ხსენებული ჭეშმარიტება წარმოგვიდგება სრულიად ცალსახად – წმინდა ლოგიკურად ან სციენტისტუ-რად. ამ შემთხვევაში მიზანი შემეცნებისა არის მოპოვება ჭეშმარიტი ცოდნისა, რაც აუცილებლობით გულისხმობს ცოდნას თავად ჭეშმარიტებისა – თუ არ ვიცით რა არის ჭეშ-მარიტება, არც ის გვეცოდინება, თუ რომელია ჭეშმარიტი ცოდნა.

ცოდნაში გამოხატული ბუნება ჭეშმარიტებისა არის მშრალი, ფორმალიზებული ანუ ყოველგვარი ემოციებისა და გრძნობებისგან დაცლილი. ცოდნით შეიძლება ბევრი რამ ვი-ცოდეთ, მაგრამ ყველაფერი ეს არ გვქონდეს უშუალოდ ნაგ-რძნობ-განცდილი, საკუთარ ტყავზე ნაგემი. იგივე ვითარებაა ჭეშმარიტების, როგორც ერთ-ერთი უმაღლესი მეტაფი-ზიკური ღირებულების შემთხვევაშიც.

რაციონალური სუბიექტ-ობიექტი ცდილობს ცოდნის მოპოვებას ჭეშმარიტების თაობაზე და არა მის (ჭეშმარიტე-ბის) შეგრძნებას, განცდას, „შეხებას“. არცერთი მეცნიერული დისციპლინის აუცილებელ ამოცანას არ წარმოადგენს საკუთარი საგნის შეგრძნება-განცდა და მით უმეტეს შეგ-რძნება ჭეშმარიტებისა თავისთავად.

მშვენიერების ბუნების ნათელყოფას ემსახურება, მაგ., ხელოვნება. ყოველი ჩვენთაგანის გული ალბათ არა ერთხელ შეუტოკებია დიდი მხატვრების, მწერლებისა თუ კომპოზიტორების ნაწარმოებებს. იმის გაგება და დანახვა ცოდნის თვალებით, რასაც განვიცდით ამ ნაწარმოებებთან კონტაქტისას, სრულიად ფუჭი და უნაყოფო წამოწყებაა. ამის თაობაზე ბევრი თქმულა და დაწერილა, რის საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ მშვენიერების მეტაფიზიკა ხელოვნებაში სწორედ შეგრძენება-განცდის ფანჯრიდან მიიწვდომება.

რაც შეეხება სიკეთეს, როგორც ერთ-ერთ უმაღლეს მეტაფიზიკურ ღირებულებას, მის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა დღემდე არსებობს. უკვე სოკრატე მიიჩნევდა, რომ სიკეთე დამოკიდებულია არა გრძნობა-განცდაზე, არა „გულზე“, არამედ ცოდნაზე.

ქრისტიანული სულისკვეთებით ნასაზრდოები მიმდინარეობანი კი პირიქით, მიიჩნევდნენ, რომ სიკეთე, თუ ის „გულიდან“ არ მოდის და გრძნობების აღზე არ იწვის, არაა სიკეთე. წამდვილი, უანგარო სიკეთე მხოლოდ ამგვარი წარმომავლობისა შეიძლება იყოს, რამეთუ ცოდნა უდიდესწილად ანგარიშია, რხოლო ანგა-რიში უშუალოდ ემეზობლება ანგა-რებას.

ჩვენის აზრით ეს მეორე მიდგომა უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან. სიკეთე ხორციელდება შეგნებით, ეს უკანასკნელი კი, უპირველეს ყოვლისა, მოედინება საკუთარი თავის სხვის მდგომარეობაში ჩაყენებიდან, ისე შეგნებულობა არ მოდის. სხვის ადგილზე საკუთარი თავის დაყენებამ უნდა მოგვცეს განცდა სხვისი მდგომარეობისა – ჩვენ უნდა გვეტკინოს სხვისი ტკივილი, გაგვიხარდეს სხვისი სიხარული... ამ დროს მოდის შეგნება ანუ უკვე წამდვილი „ცოდნა“ იმ მდგომარეობისა, რომელშიც იმყოფება სხვა. მე ვფიქრობ, რომ სოკრატეს ამგვარი ცოდნა უნდა ჰქონოდა მხეველობაში და

არა ცოდნა დისციპლინარული გაგებით. ამიტომ გარკვეული ჭეშმარიტება მის პოზიციაშიც ძევს.

მაშ ასე, რაციონალური სუბიექტ-ობიექტი არ ცდილობს რა შეიგრძნოს ჭეშმარიტება, არამედ მხოლოდ იღებს მშრალ დისციპლინარულ ცოდნას მასზე და კმაყოფილდება პრაქტიკულ-ზედაპირული შედეგებით, საერთოდაც კარგავს თვალთახედვიდან ლოგიკურ, ეთიკურ და ესთეტიკურ მეტა-ფიზიკურს და რჩება ფიზიკური, „ცუდი უსასრულობის“ – სანსარას ტყვეობაში.

განსხვავებით ამისგან ინდივიდუალი თავისი შემოქმედებითი აქტივობით ცდილობს ფიზიკურის ისე ამოძრავებას, შედევრირებას, რომ მასში რეციპიენტმა დაინახოს, თუნდაც ბუნდოვნად შეიგრძნოს და განიცადოს ჭეშმარიტების, სიკეთისა და მშვენიერების მეტაფიზიკა, რასაც მივყავართ კათარზისამდე, სულიერ და ზნეობრივ ფერისცვალებამდე, ანუ ორიგინალური მიკროკოსმოსის ჩამოყალიბებამდე.

ინდივიდუალის მიერ საკუთარ ფიქრთა დენაში გარდატეხილი შინაარსები სრულიად დამოუკიდებელი არიან. ფიქრში მის-ნებურად და არა მე-ს-ნებურად ხდება როგორც ემპირიული, ისე ფსიქოლოგიური და რაციონალური შინაარსების ფერისცვალება. შემოქმედი ინდივიდუალი საკუთარი ფიქრთადენის მორჩილი და მხატვრული ფორმის მიმცემი, გამფორმებელია – „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს...“. მის ფიქრში ექსისტენციალური გამონათებებით უეცრად შემოდის ჭეშმარიტების, სიკეთისა და მშვენიერების მეტაფიზიკური შუქ-ჩრდილები, რომელთა ზეგავლენაც მას სრულიად ცვლის და სხვათაგან განსხვავებულად, უნიკალურად აქცევს. ამიტომა, რომ იგივე ვან გოგი და ნიკო ფიროს-მანი „თეთრი ყვავებივით“ გამოიყურებიან Man-ის ფონზე.

ამგვარი არაორდინალური შინაგანი ასამყარო, მიკროკოსმი არად დაგიდევთ სკოლურ ცოდნასა და გულუბრყვილ ემპირიულ გამოცდილებას. რა მნიშვნელობა აქვს იმის

ცოდნას, მზე ბრუნავს დედამიწის გარშემო თუ პირიქით? როგორც ამბობდა კამიუ, უმთავრესია, თუ რა ხდება ჩემს თავს, ჩემს სულში, რატომ ვარ ამ ქვეყნად, რა მელის წინ...

მაშასადამე, მეტაფიზიკურთან არსებული ღრმა ან-თროპოკავშირი შემეცნებით დონეზე იხსნება ემპირიული სუბიექტ-ობიექტის, ანუ „საკუთრივ ადამიანის“ პლასტში; თუმცა ამ კავშირის შედეგები ამ დონეზე ცალმხრივ შეფასება-დაფასებას იღებს. პრიორიტეტულია არა ის საფუძვლად მდებარე ლოგიკურ-მეტაფიზიკური, რომელიც ჭეშმარიტების როგორც მარადიული ღირებულების ერთ-ერთი პიპოსტაზი (შემეცნებით-სკიუნტისტური) და მეცნიერული გამოცდილების რეგულატორია, არამედ ის ზედაპირულ-ემპირიული, რომელიც სახეზე იძლევა „ტექნოლოგიურ სასწაულებს“, მაგ., მობილურ ტელეფონსა და კომპიუტერს. ეს პრიორიტეტულობა იმდენად ყოვლისშთანმთქმელია, რომ Man-ის თვალთახედვიდან სრულიად აქრობს ხელშესახებს მიღმა არასებულ მომწერიგებელ ლოგიკურ-მეტაფიზიკურ საწყისს, ჭეშმარიტებას როგორც უმაღლეს ღირებულებას, რაც შედეგად იძლევა მსოფლმხედველობრივ ნიჰილიზმს. ან-თროპოსის ადამიანური პლასტი ჩვენს ერთ-ერთ წინამორბედ სტატიაში „ადამიანი მასა და Man-ი“ გავყავით ორ შტოდ - ე.ნ. Man-ი მოდერნულ ეპოქაში წარმოგვიდგება Homo consumens-ად და Homo sienza-დ. ამათგან მეორე თავისი მონოპოლიური მეცნიერულ-ტექნიკური მოღვაწეობით „პროგრესს“ მიითვლის იმის მიხედვით, თუ რამდენად აღაფრთოვანებს და აკმაყოფილებს პირველთ, ანუ Man-ის სრული უმრავლესობის მოთხოვნებსა და ხუშტურებს. ცხადია, რომ ადამიან-მომხმარებელმა, რომელიც გატაცებით აწკაპუნებს ტელეფონისა და კომპიუტერის კლავიატურის ღილაკებს, არაფერი უწყის და არც აინტერესებს, თუ რა ლოგიკურ-მეტაფიზიკური უკუპლანი გააჩნია ტექნიკის ამ „საოცრებებს“.

ის ხედავს მხოლოდ ფიზიკურ ობიექტებს – ტელეფონსა და კომპიუტერს.

ანთროპოსის ინდივიდუალურ პლასტს რაც შეეხება, აქ ხსენებული კავშირი იმდენად აშკარაა, რომ არათუ იძლევა საფუძველს მეტაფიზიკურის უგულებელყოფისთვის, არა-მედ პირიქით, ერთი შემოქმედი ინდივიდუალის მიერ მოხელ-თებულ-შედევრირებულ და ნაწარმოებში თავჩენილ მეტა-ფიზიკურ-მარადიულს ეზიარება სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის, ერისა და რჯულის წარმომადგენელი.

ამ დონეზე მეტაფიზიკურთან ზიარება არა შემეცნებით და მშრალად ფორმალურია, არამედ ესაა გრძნობითა და განცდით აღსავსე ზიარება.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქ მეტაფიზიკურ-თან ინდივიდუალის შეხვედრა გულისხმობს ინდივიდუალის მინიმალურ აქტივობას. დომინანტი ამ კონტაქტირებაში თავად მეტაფიზიკურია, ზედროულია რომელიც დროში, ფიზიკურში შემოდის ინდივიდუალის იმანენტურ, სულიერ-ფიქ-რით სამყაროზე გამოვლით. ანუ მეტაფიზიკა თავად, უეცა-რი გაელვება-გამონათებებით, შემოქმედის მიკროკოსმოსზე გავლით აღნევს ფიზიკაში. ამდენად ეს შეხვედრა ნაკლებ სრულფასოვანია.

სრულიად სრულფასოვანი, ალბათ თანაბარი, ტოლ-სწორი რანგის შეხვედრა ხორციელდება პიროვნების დონე-ზე, რომლის ექსისტენციალური შინაარსიც ჩვენ გადმოვე-ცით წინამორბედ სტატიაში. შეხვედრის ამ ამაღლებული ფორმის დემონსტრირებას ვხედავთ სახარებაში, რომელიც, უპირველეს ყოვლისა გვიჩვენებს მაცხოვარის პიროვნული ნების განხორციელებას. ყოველი სახარებისეული ეპიზოდი – ძე ღვთისად მოვლინებიდან მოყოლებული, გოლგოთასკენ მიმავალი გზის გავლითა და სულინმიდის მამა ღმერთან ამაღლების ჩათვლით – წარმოადგენს უზენაესი პიროვნული ნების ხორციელების მაგალითს.

როგორც ვხედავთ ანთროპული ყოფიერების ყოველი პლასტი საკუთარ, განსხვავებულ მიკროკოსმოსს გულის-ხმობს. ამიტომ ანთროპოსის უბრალოდ ანალოგიზირება იმ აზრით, რომ ეს ორი რამ მხოლოდ ერთმანეთის მასშტაბებში გაზრდილ-შემცირებული ვარიანტებია, წარმოადგენს ან-თროპოცენტრიზმის დრომოქმულ და გამარტივებულ სახე-ობას.

როგორც ვხედავთ, ანთროპოსთან მიმართებაში სულ მცირე მიკროკოსმოსის ოთხგვარ – გულუბრყვილო ემპირიულ-ანომალური, სციენტისტური, შემოქმედებით-ინდივიდუალური და პიროვნული – მოდელზე შეიძლება საუბარი. ყველა მათგანის წიაღში მაკროკოსმოსიცა და მეტაფიზიკურიც სხვადასხვაგვარად გარდატყდება, განსხვავებულად ზემოქმედებს და აისახება თავისებურ, შესაბამის მიკროკოს-მოსად.

ეს შეეხება როგორც დროს (რომელიც ფიზიკური რეალობის ფორმა და განმსაზღვრელია) ისე ზედროულ მეტაფიზიკურს თავისი მარადიული ღირებულებებითურთ. ანთროპული ყოფიერების სხვადასხვა პლასტში განსხვავებულად ხდება როგორც ფიზიკურთან ისე მეტაფიზიკურთან კონტაქტი ანთროპოსისა, დაყოფა-დახარისხება მოკონტაქტე მხარეებისა – ფიზიკური > ანთროპოსი < მეტაფიზიკური – დომინანტურად, დაქვემდებარებულად თუ ტოლსწორად.

ამდენად მეტაფიზიკურსა და ფიზიკურ მაკროკოსმოსს შორის მოქცეულ ანთროპოსს ექნება იმ თარგზე მოჭრილი მიკროკოსმოსი, რომელ ანთროპოტიპულ პლასტსაც – ცხოველი, ადამიანი, ინდივიდუალი, პიროვნება – რეალიზაციაჲ-ყოფს, რომლის ფანჯარასაც გააღებს ის.

Irakli Gogichadze – Master of Philosophy, the author of numerous articles in theoretical philosophy field, mostly on philosophical anthropology. He also manages first Georgian philosophical website www.philosophya.ge.

"ANTHROPOTYPE" AND MICROSCOPE

ABSTRACT

The tendency of considering Anthropos as a microcosm in the history of philosophy has been of anthropocentric-cosmologic character. Within Anthropos, macrocosm was considered as an indefinitely increased given and vice versa. In addition, it was a common point of view, that both of these givens – microcosm (Anthropos) and macrocosm (the universe) – function according to the same rules and these rules, for all spheres, were once and forever equally established by the Demiurgos or the God. Anthropological-cosmological theory based on such understanding represents a version of obsolete anthropocentrism. Biophysics of the Anthropos is subject to the rules of nature and is the part of macrocosm anyways, so considering it as macrocosm is senseless.

We believe, the term microcosm, with its true meaning, should be used to describe Anthropos's inner world and not its' bio-physical given. Since inner world, unlike bio-physical, is not a necessary reality, but only potential matter. Besides, potential universe is not one-dimensional. According to our anthropological picture, existence of Anthropos is realized within four ascending modi: 1. animal, or empirical object subject-object. 2. Rational subject-object, i.e human being 3. Thinking self – creatively active individual and 4. person-which is the center or the peak of Anthropic existence and whose conscious mind acts govern the processes in all the strata of anthropic existence. Whichever of these described levels is realized by this or that Anthropos, relevant microcosm is established as his inner world.

**ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერება-
თა აკადემიის ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყო-
ფილებაზ.**

სამეცნიერო დისკუსია

SCIENTIFIC DISCUSSION

ერთი დისკუსიის გამო

„სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ვაჟას ნაწერების გასაცნობად უნდა ესწავლათ დასავლეთის მეცნიერებს ქართული ენა, ვინაიდან ეს ნაწერები ფენომენალური მოვლენაა მთელი მსოფლიოს ლიტერატურაში“.

სერგი დანელია

1927 წელს გამოჩენილმა ქართველმა ფილოსოფოსმა სერგი დანელიამ /1988-1963/ გამოაქვეყნა 80 გვერდიანი ესე-ისტური ნარკვევი – <<ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი>>. ნარკვევის გამოქვეყნების დროს ს. დანელია აღიარებული მეცნიერია, ფილოსოფოსი და ფილოლოგი. მას უკვე გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიული ნაშრომები ჰელვეციუსის ზნეობრივ თეორიაზე /1922/, პარმენიდეს მეტაფიზიკაზე /1924/, დემოკრიტეს ატომისტიკასა და ატომისტურ ფილოსოფიაზე /1925/, ქსენოფანე კოლოფონელის მსოფლმხედველობაზე, სოკრატემდელ ფილოსოფიასა და ძენონის დიალექტიკაზე /1926/.

ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ დანელიას ეს შრომები დადგებითად მიიღო, იყო გამოხმაურებები, კრიტიკული შენიშვნები. მათი ავტორები იყვნენ გამოჩენილი ქართველი სწავლულები: შალვა ნუცუბიძე, გრიგოლ წერეთელი, მოსე გოგიძერიძე, სავლე წერეთელი. რეცენზეტები ერთხმად აღნიშნავდნენ დანელიას ორიგინალურ მიდგომებს ანტიკური ფილოსოფიისადმი, კრიტიკულ დამოკიდებულებას ანტიკური ფილოსოფიის აღიარებული მკვლევრების /დილსი, ცელერი და სხვ./ მოსაზრებებისადმი და ა. შ.

აღნიშნული ფუნდამენტური და სამეცნიერო საზოგადოების მიერ აღიარებული ნაშრომების ფონზე ქვეყნდება-

დანელიას სწორედ ეს საყურადღებო და დამაინტრიგებელი ნარკვევი. ბუნებრივია ისიც, რომ ამ დონის მრავალმხვრივი მეცნიერის ყოველი ახალი პუბლიკაციისგან როგორც სპეციალისტები, ისე დაინტერესებული მკითხველი მუდამ სიახლეს მოელის. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ დანელიას ახალმა ნარკვევმა ეს მოლოდინი სრულად გაამართლა.

მოკლედ იმის თაობაზე თუ რას წარმოადგენს და რაზე მოგვითხრობს დანელიას -<<ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი>>. დანელიას ეს ნარკვევი თავისებური ნაწარმოებია, ეს არ არის მეცნიერული გამოკვლევა და მასში არ არის გამოკვეთილი ერთიანი ლოგიკური ხაზი. მასში თითქსდა ერთგვარად „ჩაყრილია“ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე დანელიას მოსაზრებები. ამიტომაც გვხდება წინააღმდეგობები, ურთიერთგამომრიცხავი აზრები და ა. შ.

დანელია ვაჟას შემოქმედების ფილოსოფიურ ანალიზს იძლევა. პარალელურად ქართველი ხალხის განვლილგზას განიხილავს მისი შუქ-ჩრდილებით, აჩვენებს თუ როგორ აისახა ყველაფერი ეს ვაჟას შემოქმედებაში. ამ წიაღსვლებისას ავტორი ზოგჯერ ზედმეტად მკაცრია, ზოგჯერ ისეთ აზრებს გამოთქვამს, რომ ძნელია მას დაეთანხმო. მაგრამ ყველაფერი ეს გაკეთებულია ვაჟას გენიალობის ხაზგასმის ფონზე. მთავარია სწორად გავიგოთ თუ რაში ხედავს დანელია ვაჟას გენიალობას.

დანელია მუდამ ხაზგასმით ლაპარაკობს ვაჟას გენიოსობაზე, მიიჩნევს მას არაქრისტიანად, წარმართად, რომელიც ამავე დროს შორს არ არის ჰილოძოისტური მსოფლმხედველობისგან და სხვა. ამიტომაც იწვევს დანელიას ეს ნარკვევი აზრთა სხვადასხვაობებს.

ვაჟა, დანელიას აზრით, მიყურადებულია სამყაროს მაჯისცემაზე, პულს უსინჯავს მასში მიმდინარე პროცესებს, უნდა გაიგოს სამყაროს საზრისი და მიდის იმ დასკვნამდე, რომ სიცოცხლის აზრი არ არის სიამოვნება, რადგანაც სი-

ცოცხლეში ტანჯვაცარის; არც სიკეთეა სიცოცხლისაზრი და არც ირანული წარმომავლობის პესიმისტური დუალიზმი, „უნდა მოვნახოთ ისეთი თვალსაზრისი, რომელიც ბოროტებასა და სიკეთეს უზოგადეს კატეგორიაში არიგებს“/**დანელია, 1983: 33/**, აღნიშნავს დანელია.

დანელიას აზრით, სიკეთე და ბოროტება ერთმანეთის-გან მოუწყვეტელია. მაგრამ არსებობს მესამე ძალა, რომელიც ორივეზე ამაღლებულიადა ეს არის სიცოცხლისსილამაზე ან მშვენიერება, რომლისთვისაც არსებობს სიკეთეც და ბოროტებაც. „სწორედ ეს სილამაზე არის ვაჟას მსოფლგანცდით ბუნების უმაღლესი აზრი, რომელსაც შეუძლია გაამართლოს იგი და მისაღები გახადოს ჩვენთვის“/**დანელია, 1983: 35/**.

დანელია უარყოფს ვაჟას შემოქმედებაში როგორც პესიმიზმს, ისე მისტიციზმს. „სად საქართველო და სად მისტიციზმი?“, კითხულობს იგი.

ვაჟა არ იყო ინდივიდუალისტი და ცდება ყველა, ვინც მის პოეზიაში ინდივიდუალიზმის აპოლოგიას ხედავს /**დანელია, 1983: 87/**.

კიტა აბაშიძის საწინააღმდეგოდ, დანელია ნარკვევში დიდ ადგილს უთმობს იმის დამტკიცებას, რომ ვაჟას არაფერი აქვს საერთო სიმბოლიზმთან.

ვაჟა-ფშაველაზე დანელიას ნარკვევში ბევრი ასეთი პასაჟია, რაც ყურადღებით წაკითხვას მოითხოვს და ამის საფუძველზე შესაძლებელია შესაპამისი დასკვნების გაკეთება...

დანელიას ნარკვევს 46 წლის!// შემდეგ უურნალ <<მნათობში>> /1983, № 3/ გამოეხმაურა სულხან უორდანია კრიტიკული და ტენდენციური წერილით – <<„ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“ კრიტიკული კონცეფციის კრიტიკის ცდა>>.

კრიტიკულ წერილში უორდანია უურნალის შესავალსამ გვერდსუთმობს სრულიად უადგილო წიაღსვლებს, ახსე-

ნებს კასირერს, ლევი-ბრიულს, ლოსევს, ლევი-სტროსს, მა-ლინოვსკის. ერთმანეთს უდარებს მათ აზრებს და ა. შ.

შემდეგ კი, უორდანია „კრიტიკულად“ განიხილავს და-ნელიას ნარკევევს, აჩვენებს შეუსაბამობებს, მიუღებელ აზ-რებს და სხვა. კრიტიკოსი ერთხელაც არ ახსენებს რომ საუ-ბარია გამოჩენილ ქართველ ფილოსოფოსზე, ანტიკური ფი-ლოსოფიის მეტრზე, შესანიშნავ ლიტერატორზე. როცა ამ რანგის მეცნიერს ასეთი „ცთომილებები“ მოსდის, კრიტიკო-სი ვალდებულია ჩაუღრმავდეს საკითხს, დაძებნოს ამგვარი გადაცდომების მიზეზები. უორდანიას გამოხმაურებაში მსგავსი არაფერია. საქმეში ჩაუხედავ მყითხველს ისეთი შთაბეჭდილება დარჩება, რომ დანელიასახით საქმე გვაქვს ერთ შემთხვევით ფსევდო-მეცნიერთან.

სამაგიეროდ, უორდანია შემდეგი ეფითეტებით ამკობს დანელიას: დანელია „უკიუინებს ქართველ ერს“, დანელიას წიგნი შეიცავს „არაერთ ფუნდამენტურ სიყალბეს“, დანელია „მოგვმართავს ყალბი პათოსით“ „იმონმებს ვაჟას კრიტიკო-სი [დანელია] იმისათვის, რათა დაასაბუთოს მგოსნის სი-ძულვილი !/ კულტურისადმი, განათლებისადმი,...“, დანელი-ას „აკლდა სილამაზის აღქმის უნარი“, „ფეხის ერთი აქნევით სურს მას [დანელიას] გადაალაჯოს ქართული კრიტიკული აზროვნების საუკეთესო წარმომადგენლებს...“ და მრავალი სხვა.

უორდანიას გამოსვლას იმავე უურნალის მე-7 ნომერ-ში უპასუხავამოჩენილმა ფილოსოფოსმა, ფილოსოფიის ინ-სტიტუტის დირექტორმა ნიკო ჭავჭავაძემ რეპლიკით – „ეს არ არის კრიტიკა“. მან ნათლად აჩვენა უორდანიას გამოს-ვლის ტენდენციურობა, მისი მხრიდან დანელიას კონცეფციის გაყალბება, დანელიას ტექსტის მიზანდასახული დაჩეხვა-მანიპულაციები, ამხილა ტყუილებში, გამოჩენილი მეცნიე-რის სახელის მიმართ არაკორექტულობასა და უდიერ დამო-კიდებულებაში და სხვა.

ამასთან ჭავჭავაძემ საყვედური გამოთქვა ჟურნალ <<მნათობის>> რედაქციის მისამართით – თუ რა მიზნით და-უთმო ჟურნალმა ამ პასკვილს თავისი ფურცლები. მან რე-დაქციას უსაყვედურა, აგრეთვე, გამოჩენილი და ამასთან გარდაცვლილი მეცნიერის მიმართ ჟორდანიას მხრიდან შე-ურაცხმყოფელი გამოთქმები, რაზედაც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ.

<<მნათობის>> რედაქციამ ჭავჭავაძის რეპლიკას, რეპლიკაზე ნახევარი გვერდით მეტი მოცულობის მინაწერი გა-უკეთა, სადაც უფრო დაამძიმა ვითარება დანელიას ნარკვე-ვის მიმართ. არავითარი რეაქცია ჟორდანიას გადაცდომებზე, რაც ნათლად ჩანს ჭავჭავაძის რეპლიკიდან. ეს კი სხვა არაფერი იყო თუ არა ჭეშმარიტების ნაცვლად „მუნდირის ღირსების“ დაცვა.

ჭავჭავაძის რეპლიკისა და რეპლიკაზე სარედაქციო მი-ნაწერის გამოქვეყნების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა დისკუსია ჟორდანიას პუბლიკაციის გამო. სიტყვებით გამოვიდნენ ჭავჭავაძე, ედუარდ კოდუა, როლანდ ბურჭულაძე, ამ სტრი-ქონების ავტორი და სხვები. გამომსვლელები ერთსულოვანი იყვნენ ჟორდანიას გამოსვლისა და ჟურნალის რედაქციის ტენდენციურობაში, რაც გამოიხატა მსგავსი წერილის გა-მოქვეყნება ყოველგვარი სარედაქციო შენიშვნის გარეშე.

საინტერესო იყო ე. კოდუას გამოსვლა. მან აღნიშნა, რომ დანელია დიდ იმედებს ამყარებდა საქართველოს დამო-უკიდებლობაზე და დამოუკიდებლობის დაკარგვამ მასზე ძლიერ იმოქმედა. ამ მარცხმა მასში დიდი გულგატეხილობა გამოიწვია, რაც გარკვეულწილად აისახა მის სადისკუსიო ნარკვევში. კოდუას მაშინდელი აღნიშვნით, ეს მომენტი აუ-ცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული დანელიას ამ ნარკვევის შეფასებისას.

მიგვაჩნია, რომ დანელიას ნარკვევის შეფასებისას ერ-თი ნიუანსია გამორჩენილი როგორც კრიტიკოსებთან, ისე

დანელიას პოზიციის დამცველებთან, კერძოდ, ჩვენი ღრმარნმენით ეს არის ავტორის ერთი ამოსუნთქვით დანერილი ესეისტური ნარკვევი და არა მეცნიერული გამოკვლევა. ეს რა თქმა უნდა ავტორისთვის არ არის შეღავათი, მაგრამ სხვანაირად ვერ აიხსნება ის წინააღმდეგობები და შეუსაბამობები, რაც ნამდვილად გვხდება დანელიას ნარკვევში.

ვფიქრობ, კრიტიკოსებს მხედველობიდან გამორჩათ, აგრეთვე, დანელიას ნარკვევის ბოლოს გატარებული ერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება, რისი სწორი გაგება ბევრ გაუგებრობას აგვაცილებს თავიდან. დანელიას აზრით, „ვაჟას გენიოსობის საფუძველი ის არის, რომ იგი დარჩა იმ პირველყოფილი გულუბრყვილო რეალიზმის ფარგლებში, რომელსაც ჯერ არ განუცდია აზროვნების ანალიტიკური ძალა, რომელმაც უკვე საბერძნეთის პირველ ფილოსოფოსთა თეორიებში სცადა დაეშალა რეალური სინამდვილე ცოცხალ და მკვდარ არსებებზე. ვაჟას მსოფლიო ჯერ კიდევ გაუდიფერენცირებული მსოფლიო არის. მას [ჯერ] კიდევ ანალიზი არ შეხებია“ /დანელია, 1983: 96/.

რა თქმა უნდა, მკითხველი გაიკვირვებს, როცა დანელიას ნარკვევიდან გაიგებს, რომ ვაჟას გენიოსობა დაკავშირებულია „პირველყოფილი გულუბყვილო რეალიზმის ფარგლებში“ დარჩენით. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ტერტულიანეს, რუსოს, ნიცშესა და კიდევ სხვათა ერთობ უარყოფითი აზრები კულტურაზე, რამაც მათი აზრით, ადამიანი მოწყვიტა ბუნებრივ ფესვებს, განაპირობა მისი [ადამიანის] გაუცხოებ და ა. შ., რაც არის მთელი უბედურების სათავე. დანელიამ ყველაფერი ეს კარგად ცოდდა და ამის გარდა ბევრი სხვა რამ. სწორედ ამაში, კერძოდ, ვაჟას მსოფლედვის შეურყვნელობასა და წაუბილნაობაში ხედავს მის გენიოსობას დანელია.

დანელიას ეს აზრი შეიძლება გაიზიარო ან არ გაიზიარო, მაგრამ შეუძლებელია არ აღიარო მისი ორიგინალურო-

ბა. რაც მთავარია, მსგავსი აზრისთვის გაუმართლებელია, მისი ავტორი ლამის ჯვარს აცვა.

დანელიას ნარკვევის შეფასებისას უყურადღებოდ არ უნდა დაგვრჩეს ავტორის შემდეგი ბევრისმთქმელი მოსაზრება: „**სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ვაჟა ნაწერების გასაცნობად უნდა ესწავლა დასავლეთის მეცნიერებს ქართული ენა, ვინაიდან ეს ნაწერები ფენომენალური მოვლენაა მთელი მსოფლიოს ლიტერატურაში**“/დანელია, 1983: 97/.

ამის შემდეგ რაც არ უნდა თქვას, ამ აზრის ავტორზე როგორ უნდა მოგიბრუნდეს ენა ილაპარაკო ისე, რა ტონითაც ლაპარაკობენ უორდანია და უურნალის რედაქციის მინაწერის ავტორი თუ ავტორები.

P. S. მედალს მეორე მხარეც აქვს. ს. უორდანიას „კრიტიკის ცდამ“ გააცოცხელა თითქმის მივიწყებული თემა და საზოგადოება კიდევ ერთხელ მიუბრუნდა ს. დანელიას ნარკვევს. როგორც აღვნიშნეთ, უორდანიას გამოსვლას რეპლიკით უპასუხა ნ. ჭავჭავაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კი შედგა დიკუსია ამ საკითხის ირგვლივ.

1998 წელს როლანდ ბურჭულაძემ ხელმეორედ გამოსცა ს. დანელიას <<ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი>>. გამოცემას ახლავს ბურჭულაძის ვრცელი წერილი, სადაც გადმოცემულია დანელიას ნარკვევის მთავარი აზრი და ძირითადი მომენტები, კრიტიკულად არის შეფასებული 1983 წელს უურნალ <<მნათობში>>/№ №3, 7/ ამ საკითხის ირგვლივ გამართული დისკუსია.

2008 წელს განხორციელდა დანელიას ნარკვევის მესამე გამოცემა, რასაც წინ უძღვის ირაკლი კალანდიასა და მიხეილ მახარაძის შესავალი წერილი – <<ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ-ლიტერატურული ანალიზი>>.

დანელიას ნარკვევი, რომ სიცოცხლისუნარიანია და მასში გატარებული აზრები კვლავაც აქტუალური, ნათლად ჩანს მესამე გამოცემის შესავალი წერილიდან: „[...] ს. დანელიას გამოკვლევა, თამამად შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი გამორჩეული და საყურადღებოა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურათმცოდნეობითი თუ ფილოსოფიური ხასიათის ნაშრომთა შორის“/დანელია, 1983: 4/.

დანელიას ნარკვევი აქტუალურია დღესაც და ამაში უპირველესი დამსახურება მიუძღვის ვაჟას შემოქმედებას და ასევე, ნარკვევის ავტორს. თემისადმი მიბრუნებაც თანამედროვე ეტაპზე მისი აქტუალობით არის განპირობებული.

ა.მ.

ლიტერატურა:

დანელია, 2008. დანელია სერგი: – <<ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი>>. თბილისი.

<<მნათობი>>, 1983. უურნალი <<მნათობი>>, № 3, 4.

სტუდენტური ძიებანი*

STUDENT'S INVESTIGATIONS

* თანამედროვე განათლების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა სწავლებისა და კვლევის ჰარმონიზება და ახალგაზრდა თაობის სამეცნიერო კვლევებით დაინტერესებაა. ამის გათვალისწინებით „ფილოსოფიური ძიებანის“ ერთ-ერთი ნაწილი სტუდენტთა ნაშრომებს ეთმობა, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ მეცნიერების მნვერვალებისაკენ მიმავალ გზაზე, ამიტომაც საინტერესო უნდა იყოს მათი ნააზრევის გაცნობა. მთელი ჩვენი საქმიანობა მომავალზე – ახალი თაობის აღზრდაზე ორიენტირებული. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს სტუდენტთა ერთი ჯგუფის მიერ ნარმოდგენილი სტატიებისა თუ თარგმანების დაბეჭდვა, რომელთაც მკაცრ მეცნიერულ მოთხოვნებს, რა თქმა უნდა, ვერ წავუყენებთ. ყველაზე კრიტიკულად განწყობილმა მკითხველმა კი მათ უნდა შეხედოს, როგორც მეცნიერების სხვადასხვა პრობლემის მკვლევართა პირველ ნაშრომებს, რომელთაგან სამომავლოდ მნიშვნელოვან წარმატებებს უნდა ველოდეთ (სარედაქციო კოლეგია).

სალომე აბულაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილის სის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი.

მარიკა გაჩერილაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის უურნალისტისა და მასობრივი კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი.

რელიგიის სწავლება საქართველოს საჯარო სკოლებში და საერთაშორისო გამოცდილება

რელიგიის ისტორიის სწავლება საქართველოს კონტექსტში: საქართველოში არსებობს რელიგიის სწავლების გარკვეული გამოცდილება, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია. 1988 წლიდან საქართველოში ჰუმანიტარულ სასწავლებლებში შემოვიდა საგანი „ქრისტიანული რელიგიის ისტორია“, რომელიც ხელოვნებასა და ლიტერატურაზე რელიგიის გავლენასაც სწავლობდა. მალე ეს საგანი დამკვიდრდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებშიც (საგანი არჩევითი იყო და მის შესწავლას კვირაში ერთი აკადემიური საათი ეთმობდა. დროთა განმავლობაში იცვლებოდა ამ საგანის სწავლებისადმი მიდგომაც). ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს საპატრიარქოც, რომელსაც ეს უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა იმ დროს არსებული კანონმდებლობით. კერძოდ, „განათლების შესახებ“ კანონის 18.2 მუხლი (1997 წლის 22 ივნისის კანონი) აღნიშნული იყო: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა ითანამშრომლოს საქართველოს საპატრიარქოსთან სასკოლო გეგმის შემუშავებისას“.

2005 წლიდან საქართველოში დაიწყო ეროვნული სასწავლო გეგმების რეფორმირება და ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა. ახალი მიდგომის შესაბამისად, საჯარო სკოლებში სავალდებულო საგნად შემოვიდა საგანი „სამოქალაქო განათლება“, რომელიც საზოგადოებრივი მეცნიერებების საგანთა ჯგუფის ნაწილად იქცა. 2011 წელს შემუშავდა მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წლებისთვის, რომელიც დღესაც მოქმედებს. ამ სასწავლო გეგმის მიხედვით, რელიგიისა და რელიგიის ისტორიის საკითხები ისწავლება ესთეტიკური საგნებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნოპრივ ჯგუფებში ინტეგრირებულად. კერძოდ, საგან „ხელოვნების“ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია, რომ „მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშები ისტორიულ, რელიგიურ და სოციალურ კონტექსტთან“. აღნიშნული შედეგი ასახულია ხელოვნების საგნის ყველა კლასის სასწავლო გეგმაში, ხოლო საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო გეგმა კლასების მიხედვით უფრო დეტალურად გვთავაზობს იმ შედეგებისა და ინდიკატორების ჩამონათვალს, რომელიც რელიგიის სწავლებას შეეხება. ფაქტია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს რელიგიის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხების საკმაოდ საფუძვლიან შესწავლას, თუმცა სწავლების მიდგომად არჩეულია ინტეგრირებული სწავლება.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ცხრილში მკაფიოდაა განერილი რელიგიის სწავლება, დღეს საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში რელიგია აღარ ისწავლება, ან თუ ისწავლება, ხშირად სრულიად სხვაგვარი ინტერპრეტაციებით და არა განერილი სასწავლო გეგმის მიხედვით.

საქართველოს სკოლებში არსებული კლიმატი რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით: რელიგიის შესახებ საგნის საჯარო სკოლებში სწავლებისათვის შესაბამისი სახელმძღვანელოს შექმნისა და მასწავლებელთა კვალიფიკა-

ციის საკითხთან ერთად ერთ-ერთი გასათვალისწინებელი საკითხია არსებული სასკოლო გარემო, მასწავლებლების, მოსწავლებისა და ადმინისტრაციის დამოკიდებულება რელიგიის საგნის სწავლებასთან დაკავშირებით. 2014 წელს ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ, მიუხედავად მოქმედი საკანონმდებლო ნორმებისა, საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია მათი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა (ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი – TDI, 2014). კვლევის ანგარიშის თანახმად, საქართველოს საჯარო სკოლებში ერთ-ერთი პრობლემური საკითხი მართლმადიდებლური წესით კოლექტიური ლოცვის პრაქტიკაა, რომელშიც ძალაუნებურად რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ სკოლებში არსებულ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტებს ადასტურებს აგრეთვე 2014 წელს ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის მიერ თბილისის რამდენიმე საჯარო სკოლაში ჩატარებული კვლევაც.

რელიგიის სწავლება საფრანგეთში: საფრანგეთში სახელმწიფო და ეკლესია მკაცრადაა გამიჯნული. ქვეყნის კონსტიტუციის პირველივე მუხლში აცხადებს: „საფრანგეთი არის ერთიანი, სეკულარული, დემოკრატიული და სოციალური რესპუბლიკა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა თანასწორობას კანონის წინაშე მიუხედავად წარმომადისა, რასისა და რელიგიისა. საფრანგეთი პატივს სცემს ყველა აღმსარებლობას (croyances)“. ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა კი ეფუძნება 1905 წლის კანონს და ამ დროიდან ეს პრინციპი მტკიცედ არის დაცული ამ ქვეყანაში. საფრანგეთის საჯარო სკოლებში რელიგია, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს კურიკულუმის ნაწილს. 1882 წელს საფრანგეთში კანონით გაუქმდა რელიგიური განათლების მიღება საჯარო

სკოლებში. მის ნაცვლად შემოღებულ იქნა საგანი სამოქალაქო განათლების შესახებ, რომელიც ეთიკის სწავლასაც გულისხმობს. სამაგიეროდ, ქვეყანაში კარგად არის განვითარებული კერძო (უფრო ზუსტად კი, კათოლიკური) სკოლების სისტემა. ასეთ სკოლებში კი მოსწავლეების 20% სწავლობს. ამ გარემოების გათვალისწინებით ზოგი ავტორი ფიქრობს, რომ საფრანგეთის საჯარო სკოლებში არ არსებობს რელიგიური განათლების მიღების საჭიროება, რადგან ყველა აღმსარებლობის მოსწავლეს, სურვილის შემთხვევაში, საშუალება აქვს საკუთარ რელიგიას გაეცნოს ამგვარ კერძო სკოლებში. მაგრამ ბოლო ხანს საფრანგეთში მიმდინარე სერიოზული დისკუსიების შედეგად საჯარო სკოლის მასწავლებლებმა აღიარეს, რომ მოსწავლეებს არ შეუძლიათ ადეკვატურად გაიგონ ისტორია ან ხელოვნება, თუნდაც ფრანგული ლიტერატურა, რელიგიის შესახებ ბაზისური ცოდნის გარეშე. ამიტომ გაჩნდა ინიციატივა რელიგიის შესახებ ცოდნის ინტეგრირებისა საფრანგეთის საჯარო სკოლების სხვადასხვა მომიჯნავე საგნებში, რაც მოგვიანებით თავად განათლების სამინისტროს რეკომენდაციებშიც აისახა და პრაქტიკულადაც განხორციელდა.

გარდა ამისა, საჯარო სკოლებში ასევე კვირაში ერთი დღეა გამოყოფილი რელიგიური გაკვეთილისთვის სასწავლო საათების მიღმა. რელიგიური ხასიათის სამოსლის ტარება სკოლებში მკაცრად აკრძალულია. ბოლო ხანს სწორედ ამ აკრძალვას დაქვემდებარა მუსლიმი მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ სკოლებში ბურქით სიარულის ჩვეულებაც. ამრიგად, 1989 წელს ისტორიისა და გეოგრაფიის კურიკულუმი მოდიფიცირდა და მასში მეტი აქცენტი სწორედ რელიგიურ განათლებაზე გაკეთდა. 1996 წელს კი ფრანგული ენისა და ისტორიის პროგრამებში ისლამის პირველადი გაცნობისთვის საჭირო ზოგადი ინფორმაციაც იქნა ინტეგრირებული. 2001 წელს განათლების სამინისტრომ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლის თანახმად, რელიგიური განათლება

უნდა შემოღებულიყო არა როგორც ცალკე საგანი საჯარო სკოლებში, არამედ სხვა საგნებში (ისტორია, ფილოსოფია, კულტურა) ინტეგრირებულად. რეკომენდაციებში ასევე საუბარი იყო „რელიგიის მეცნიერების“ ინსტიტუტის შექმნაზეც, რომელიც მომავალ მასწავლებლებს მოამზადებდა. 2002 წელს ეს ინსტიტუტი მართლაც შეიქმნა. როგორც დამკვირვებლები აღნიშნავენ, სახელმწიფო არსობრივად კვლავ სეკულარული (ლაიცისტური) რჩება, მაგრამ ის არ არის ანტი-რელიგიური, არამედ ინდივიდის სინდისის თავისუფლების დაცვის გარანტორად გვევლინება.

რელიგიის სწავლება ნიდერლანდებში: საფრანგეთის მსგავსად, ნიდერლანდების სკოლების ორი მესამედი ე.ნ. ქრისტიანული ანუ კონფესიური სკოლებია, ხოლო ერთ მესამედს ნეიტრალური სკოლების სტატუსი აქვთ, სადაც რელიგია ცალკე საგნად არ ისწავლება. თუმცა ბოლო ხანებში საჯარო სკოლების მოსწავლეების მშობლები უფრო ხშირად ითხოვენ რელიგიის ან ეთიკის გაკვეთილებს ცალკე საგნად, რომელსაც რეფორმისტული ეკლესია ან ჰუმანისტური კავშირი უზრუნველყოფს.

რელიგიის სწავლება გერმანიაში: გერმანიაში რელიგიური განათლება რეგულირდება ფედერაციული მხარეების კანონმდებლობით. თუმცა რელიგიური განათლება ნახსენებია გერმანიის კონსტიტუციაშიც და ის განსაზღვრულია როგორც რეგულარული სასკოლო დისციპლინა. მე-7 მუხლის, მე-3 პარაგრაფში კითხულობთ: „განსხვავებით სეკულარული სკოლებისგან, სახელმწიფო (state) და მუნიციპალური (municipal) სკოლების ორდინარული კურიკულუმების ნაწილი მოიცავს რელიგიურ სწავლებასაც. სახელმწიფოს ზედამხედველობით, რელიგიური სწავლება ხორციელდება რელიგიური გაერთიანებების დოქტრინათა შესაბამისად. არცერთ მასწავლებელს არ შეიძლება აეკრძალოს რელიგიის სწავლება“. საინტერესოა, რომ გერმანიაში ყველა სკოლას

აქვს ვალდებულება მოსწავლეები უზრუნველყოს რელიგიური განათლებით და ამ საგნის სწავლებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა მკაფიოდაა განაწილებული სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის. სახელმწიფოს აქვს კონტროლის უფლება. რელიგიური გაერთიანებები კი რელიგიის სწავლების შინაარსზე არიან პასუხისმგებელნი. გერმანიაში „რელიგიური გაერთიანებებში“, ძირითადად, კათოლიკურ ან პროტესტანტულ ეკლესიები მოიაზრება. კონსტიტუციის ძალით ხსენებულ ეკლესიებს საკმაოდ მყარი პოზიციები აქვთ. მაგ., ბრანდენბურგის ფედერალურმა მხარემ ეკლესიების მონაწილეობის გარეშე შექმნა საგანი რელიგიის სწავლების შესახებ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ აღმოსავლეთ გერმანიაში უფრო სეკულარული მოსახლეობაა, ვიდრე დასავლეთ გერმანიაში. ამ მხარეში ეკლესიებმა ეჭვის ქვეშ დააყენეს ამგვარად შემუშავებული რელიგიური განათლების კონცეპციის შესაბამისობა კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-3 პარაგრაფით გათვალისწინებულ რელიგიის სწავლების პრინციპთან. ისინი ითხოვდნენ მეტ მხარდაჭერას საკუთარი კონფესიური სწავლებისთვის. თუმცა ამ თემაზე სამართლებრივი ხასიათის დისკუსია იმდენად კომპლექსური გამოდგა, რომ უზენაესმა სასამართლომაც კი კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო აღნიშნულ საკითხზე. გერმანიაში რელიგიური განათლების კუთხით არაერთგვაროვან მდგომარეობას ბერლინის მაგალითი განსაკუთრებით ასახავს. ამ ქალაქში რელიგიური განათლება წარსულში თითქმის არ არსებობდა. თანდათან ზოგიერთ რელიგიურ გაერთიანებას მიეცა სკოლაში შემოსვლის შესაძლებლობა, რომლებიც მცირე დაფინანსებასაც კი ღებულობენ მთავრობისგან. მაგრამ ეს გაკვეთილები სასკოლო საგნების-თვის გათვალისწინებული საათების შემდეგ იქნა მოთავსებული. ბერლინის მულტიკულტურული გარემოს გავლენით ამ ქალაქის სკოლებში არსებობს ასევე გაკვეთილები ისლამისა და ბუდიზმის შესახებ. ათეიისტთა კავშირმაც გაუკეთა

ორგანიზება მკაცრად სეკულარული ეთიკის შესახებ გაკვე-
თილებს სკოლებში. ამრიგად, ბერლინის ვითარება საკმაოდ
განსხვავებულია გერმანიის სხვა მხარეების მდგომარების-
გან და ის ნაკლებად მოდის კონსტიტუციასთან სრულ შესა-
ბამისობაში, მაგრამ ბერლინი საკუთარ თავში პლურალიზ-
მის დინამიკას ასახავს.

რელიგიის სწავლება ამერიკის შეერთებულ შტატებში: აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების (1791 წ.) თა-
ნახმად, „კონგრესს არ შეუძლია მიიღოს, ერთის მხრივ, კა-
ნონი, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო რელიგიის
დადგენას და, მეორეს მხრივ, ასევე კანონი, რომელიც შეზ-
ღუდავს აღმსარებლობის თავისუფლებას“. ამ ჩასწორებით
ფაქტიურად ეკლესია გამოყეო სახელმწიფოს. ცნობილია,
რომ 1962 წელს აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ საჯარო
სკოლებში ლოცვა და ქადაგება აკრძალა (იხ. საქმე Engel v.
Vitale), რადგან ის კონსტიტუციის პირველი შესწორების სა-
წინააღმდეგოდ მიიჩნია. ასევე აიკრძალა გაკვეთილის დაწ-
ყების წინ ბიბლიიდან ნაწყვეტების კითხვა. თუმცა უზენაეს-
მა სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია საჯარო სკოლებში
ბიბლიის შესწავლა როგორც ლიტერატურული ძეგლისა. მი-
უხედავად ამისა, ზოგიერთმა სკოლამ სასწავლო საგანთა
შორის ბიბლიის შემსწავლელი კურსი მაინც შემოიღო, რომე-
ლიც სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო. მოსამარ-
თლეთა დასკვნით, ეს არის შენიღბული მცდელობა ბიბლიის
ერთი კონკრეტული აღქმის/გაგების სწავლებისა. თუმცა
აშშ-ში საჯარო სკოლის მოსწავლეებს აქვთ უფლება რელი-
გიური (ასევე სხვა სახის) კლუბების შექმნისა და სასწავლო
საათების შემდეგ მსგავსი კურსების მოწყობისა, რომელზეც
შეუძლიათ თუნდაც სასულიერო პირის მოწვევა გაკვეთილის
ჩასატარებლად ან ლოცვისთვის ან რელიგიური შინაარსის
ფილმების ჩვენებისთვის. მოსწავლეებს ამისათვის შეუძლი-
ათ გამოიყენონ სკოლის შენობის და სკოლის ტექნიკური აღ-
ჭურვილობა. სხვა სიტყვებით, იმისათვის, რომ აშშ-ს კონ-

სტიტუცია არ დაირღვეს, საჯარო სკოლების სასწავლო საათებში რელიგია (მათ შორის ბიბლიაც) უნდა ისწავლებოდეს აკადემიურად, უნდა ხდებოდეს ნებისმიერი რელიგიური იდეის შინაარსისა თუ წეს-ჩვეულების წარმოშობის კრიტიკული კვლევა და განხილვა.

სახელმწიფოს ნეიტრალობა: დასავლეთის ქვეყნები ნეიტრალობის შენარჩუნებას ცდილობენ საგანმანათლებლო სისტემაში რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით. ისინი მხოლოდ გარკვეულ რეგულაციებს მიმართავენ ამა თუ იმ რელიგიური გაერთიანების სკოლასთან ურთიერთობის დროს. ზოგიერთი ავტორის განსაზღვრებით, რელიგიური განათლებასთან დაკავშირებით არსებობს ორი სახის ნეიტრალობა: პირველი შეიძლება დახასიათდეს, როგორც პასიური სახელმწიფო მოდელი – სახელმწიფო საერთოდ არ ერევა რელიგიურ სფეროში. მეორე კი როგორც რეგულაციური მოდელი – სახელმწიფო თავს შორს იჭერს რელიგიური შინაარსის აქტივობისგან, თუმცა რელიგიური აქტორების ქმედებების რეგულაციას ახდენს. ნეიტრალობის შენარჩუნება, ერთი მხრივ, ამცირებს სახელმწიფოს გავლენას რელიგიაზე და, მეორე მხრივ, რელიგიის გავლენას სახელმწიფოზე. მსგავსი რეგულაცია გვაქვს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ამის კარგი ილუსტრაციაა, მაგ., ზემოთნახესენები ინგლისელი ქოუფერ თემპლის მიერ ჯერ კიდევ 1870 წელს გატარებული საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმადაც, „სკოლები თავისუფალი უნდა იყოს ამა თუ იმ დენომინაციის მიერ განხორციელებული რელიგიური კატეხიზაციისგან“. ამგვარი ფორმულირება ნაყოფიერი აღმოჩნდა ინგლისის რელიგიური განათლების ისტორიაში. ასევე სიტყვათშეთანხმებამ „არაკონფესიური რელიგიური განათლება“ (ანუ რელიგიის შესახებ სწავლება) მნიშვნელოვნად განაპირობა შვეიცარიის საგანმანათლებლო სისტემის ნეიტრალობა რელიგიის სწავლების საკითხის მიმართ. სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფებიც კი თანხმდებიან იმაზე, რომ არაკონფესიური რელიგიუ-

რი განათლება სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა. სახელმწიფო საზღვრავს საგანმანათლებლო პოლიტიკას, მაგრამ დავას იწვევს საკითხი იმის შესახებ თუ როგორ და რა დოზით არის სახელმწიფოს პრეროგატივა კურიკულუმში რელიგიური საკითხების შეტანა და მათი ფორმულირება. დღესდღეობით დასავლეთის ქვეყნებში რელიგიური განათლება მოკრძალებული საგნის სახითაა წარმოდგენილი სკოლებში. სახელწიფოს შეუძლია დააპრკოლოს ან წაახალისოს რელიგიური გაერთიანებების აქტივობა სკოლებში. რელიგიური განათლებასთან დაკავშირებული საკითხები ქვეყნის რელიგიური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. ამიტომ სეკულარული სახელმწიფოები ამჯობინებენ მხოლოდ რეგულაციური ფუნქციებით შემოიფარგლონ და შეინარჩუნონ მშვიდობა რელიგიურ გაერთიანებებთან მიმართებაში. სწორედ ამიტომ ამ უკანასკნელთ აძლევენ უფლებას ორგანიზება გაუკეთონ რელიგიურ-შემეცნებით გაკვეთილებს საჯარო სკოლებში (როგორც წესი, სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებული საგნების დასრულების შემდეგ ანუ დღის მეორე ნახევარში). ამრიგად, სეკულარული სახელმწიფოს სასკოლო განათლების სისტემა ვერ იქნება მიწნეული ანტირელიგიურად, რადგან გარდა საჯარო სკოლებში დაშვებული არაკონფესიური ხასიათის რელიგიის გაკვეთილებისა (და კონფესიური გაკვეთილებისა საღამოობით), სახელმწიფო ასევე უშვებს კერძო სკოლების არსებობასაც, რომლებიც ამა თუ იმ კონფესიის მიერაა დაფუძნებული (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთ სკოლების რაოდენობა საკმაოდ მრავალრიცხოვანია, მაგ., საფრანგეთსა და ნიდერლანდებში). ასეთ კერძო სკოლებს დაფინანსების მიღებაც კი შეუძლიათ სახელმწიფოსგან.

რელიგიის სწავლების სტანდარტიზაცია: დენომინაციურად ორიენტირებული რელიგიური განათლება უფრო მოსწავლეთა იდენტობის ფორმირებისკენაა მიმართული (რათქმა უნდა, აქ პირველ რიგში, სწორედ რელიგიური იდენტო-

ბა იგულისხმება). არაკონფესიური სწავლება კი სხვადასხვა რელიგიის შესახებ ბაზისური და დაბალანსებული ცოდნის, ინფორმაციის მიღებაზეა ორიენტირებული. როგორც იკვე-თება, თითოეულ ქვეყანაში სასკოლო რელიგიური განათლე-ბა საკუთარ თავში ასახავს ქვეყნის მდგომარეობას რელიგი-ური მრავალფეროვნებისა და საზოგადოებაში გაბატონებუ-ლი ტენდენციების მიხედვით. არის თუ არა განათლების მი-ზანი ბავშვის სულიერ-ზნეობრივი აღზრდა? თუ პასუხი და-დებითია, მაშინ ჩნდება მომდევნო შეკითხვა: როგორ უნდა განხორციელდეს ეს სასკოლო განათლების ფარგლებში? ამასთან განათლების უპირველესი მიზანია განსხვავებული რელიგიური მრნამსისა და მსოფლმხედველობის ადამიანე-ბის პატივისცემის სწავლება. რელიგია არ გამქრალა ევრო-პაში, ის სახეცვლილი ფორმით განაგრძობს არსებობას. თა-ნამედროვე ადამიანი შეიძლება არ მიაკუთვნებდეს თავს რომელიმე ინსტიტუციონიზირებულ რელიგიას, მაგრამ ის შინაგანად ხშირად სწორედ რელიგიური რჩება. ამრიგად, რელიგიურობა კვლავ ადამიანის იდენტობის განმსაზღვრე-ლია. დასავლურ საზოგადოებებში არცერთი რელიგია აღარ არის ექსკლუზიურ ვითარებაში საჯარო არენაზე (საჯარო სკოლების სივრცის ჩათვლით). საკლასო ოთახებში პლურა-ლური გარემო მთელი სისრულით მკვიდრდება და სულ უფ-რო მეტი მასწავლებელი ხდება მგრძნობიარე იმ მოსწავლეე-ბისადმი, რომლებსაც განსხვავებული რწმენა აქვთ. რელი-გიურ განათლებაზე მომუშავე სპეციალისტთა შორის არსე-ბობს დავა იმის შესახებ თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყო-ფილებდეს ხარისხიანი რელიგიური განათლება ყველა ქვე-ყანაში, მიუხედავად ამ ქვეყნების სპეციალისტთა მდგომარე-ობისა. ფრიდრიხ შვეიცერმა ასეთი საერთაშორისო სტან-დარტის განმაპირობებელი 5 მთავარი პრინციპი შემოგვთა-ვაზა:

- რელიგიის სწავლება უნდა აკმაყოფილებდეს ზოგადი გა-ნათლების კრიტერიუმებს (საგანმანათლებლო ხარისხი);

- რელიგიის სწავლება უნდა შეესაბამებოდეს საჯარო სივრცის ნორმებს (დამხმარე ფუნქცია ზოგადი განათლებისთვის);
- რელიგიური განათლება უნდა მოიცავდეს ინტერდენომინაციულ და ინტერრელიგიურ სწავლებას, რომელიც შეესაბამება მრავალ ქვეყანაში მზარდად პლურალისტულ მდგომარეობას (დიალოგურობაზე ორიენტირება; მშვიდობისა და ტოლერანტობის ხელშეწყობა);
- რელიგიის სწავლება უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის უფლებას მიიღოს რელიგიური განათლება (ბავშვზე ორიენტირება);
- რელიგიის მასწავლებლები უნდა იყვნენ პროფესიონალები და ჰქონდეთ შესაბამისი და მაღალი აკადემიური გამოცდილება (პროფესიონალური სწავლება).

ამრიგად, დისკუსია მიმდინარეობს და ის მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს თუ როგორ გაუმჯობესდეს რელიგიის სწავლება სკოლებში, მაგრამ სპეციალისტები ნაკლებად დავობენ უკვე იმის შესახებ, საჭიროა თუ არა საერთოდ რელიგიური განათლება სკოლებში. კვლევები ადასტურებს, რომ იმ მოსწავლებს, რომლებსაც გარკვეული (ობიექტური) ცოდნა აქვთ მიღებული სხვადასხვა რელიგიაზე, უფრო ტოლერანტულები არიან, ვიდრე ის ბავშვები, რომლებსაც არავითარი ინფორმაცია არ აქვთ მათ შესახებ. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი რელიგიური განათლება ხელს უწყობს განსხვავებული კულტურებისადმი ინკლუზიური დამოკიდებულების განვითარებას ბავშვებში.

დასკვნა

- 1. რელიგიის სწავლების მიღებმა – კვლევებმა აჩვენა, რომ რელიგიის შესახებ ფუნდამენტური ცოდნის შეძენა კრიტიკული აზროვნების განვითარებასა და კულტურული ცნობიერების ამაღლებას ხელს უწყობს. თუმცა, თა-**

ვის მხრივ, გასათვალისწინებელია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დამოკიდებულება, არსებული სასკოლო გარემო და მასწავლებელთა დამოკიდებულება რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ. მნიშვნელოვანია, განისაზღვროს რელიგიის შესახებ სწავლების ნეიტრალური მიდგომა და განხორციელდეს არაკონფესიური სწავლება.

2. **რელიგიის შესახებ სწავლების შინაარსობრივი მხარე**
– საგნის შინაარსობრივი მხარე და საგნის სწავლების მიზნები უნდა უფუძნებოდეს ადამიანის რწმენისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების უფლებებს. მნიშვნელოვანია, საგნის შინაარსობრივი მხარე იყოს მრავალფეროვანი როგორც რელიგიის შესახებ ფაქტობრივი ცოდნის, ასევე ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში რელიგიის, ფილოსოფიის და მითოლოგიის როლის გააზრების თვალსაზრისით, არ შეიცავდეს რომელიმე რელიგიური მრნამსის მიმართ დისკრიმინაციულ ელემენტებს და ხელს უწყობდეს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას.
3. **სასკოლო გარემო** – სასკოლო განწყობა რელიგიის საკითხებთან დაკავშირებით ძალიან სენსიტიურია. რელიგიების შესახებ საუბარი სკოლაში განსაკუთრებით ღირებულია. სკოლაში ამას შეიძლება მიეცეს დისკუსიის სახე, გაიმართოს მსჯელობა სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების შესახებ. დისკუსიის პროცესში მოსწავლეები სწავლობენ განსხვავებული აზრის მოსმენას და, რაც მთავარია – განსხვავებული აზრის პატივისცემას. სასკოლო გარემო უნდა იყოს უსაფრთხო და პოზიტიური ყველა მოსწავლის მიმართ და აძლევდეს თითოეულ მათგანს საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლებას, თუნდაც მისი აზრი უმრავლესობის შეხედულებისგან განსხვავებული იყოს. სახელმწიფოებრივი მშვიდობისათვის საჭიროა, სახელმწიფომ უზრუნველყოს რელიგიური ტოლე-

რანტობა, როგორც საკანონმდებლო, ასევე რეალიზაციის დონეზე. მისი რეალიზაციის ერთ-ერთი საშუალება კი არის სკოლა, სადაც უნდა მოხდეს მოსწავლის ჩამოყალიბება ტოლერანტ მოქალაქედ.

4. **მასწავლებელთა კვალიფიკაცია** – რელიგიის შესახებ სწავლების პროცესში დიდი როლი ეკისრება მასწავლებელს, როგორც ფასილიტატორს. მნიშვნელოვანია როგორც მომავალი, ასევე მოქმედი მასწავლებლების მომზადება ზოგადად მრავალფეროვან საკლასო გარემოში მუშაობისათვის. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი იყოს ობიექტური, ფლობდეს ინფორმაციას სხვადასხვა რელიგიის შესახებ და ქმნიდეს ისეთ გარემოს, განწყობას, როდესაც მოსწავლეებს დაუბრკოლებლად შეეძლებათ საკუთარი აზრის თუ ვარაუდის დაფიქსირება. დაუშვებელია, მასწავლებელი ცდილობდეს საკუთარი რწმენის ან აზრის მოსწავლეებისათვის თავს მოხვევას, მისი მოვალეობაა, დააბალანსოს დისკუსიები და დებატები. მნიშვნელოვანია, მასწავლებელი ფლობდეს მოსწავლეებთან კომუნიკაციის უნარებს და გახადოს რელიგიის შესახებ საგანი მოსწავლეებისათვის საინტერესო და რელევანტური. ვფიქრობთ, თუ საქართველოს საჯარო სკოლებში დაიგეგმება რელიგიის შესახებ საგნის სწავლება, უმთავრესი ამ საგნისათვის კარგად მომზადებული კადრების შერჩევა იქნება. განხილული კვლევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, მოსწავლეთა განვითარებაზე და ტოლერანტ მოქალაქეებად მათ ჩამოყალიბებაზე რელიგიის შესახებ სწავლება დადგებით ზეგავლენას ახდენს. ვფიქრობთ, საქართველოს საჯარო სკოლებში რელიგიის შესახებ საგნის სწავლებათან დაკავშირებული მოსალოდნელი საფრთხეების პრევენციის შემთხვევაში აღნიშნული საგანი მოსწავლეებს დაეხმარება, გაეცნონ როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს რელიგიურ მრავალფეროვნებას, ასწავლის კრიტი-

კულ აზროვნებასა და განსხვავებული აზრის პატივისცემას. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ გლობალიზებულ სამყაროში ვცხოვრობთ, უნდა ვიცოდეთ, რა არის ისლამი, ბუდიზმი, კათოლიციზმი, მართლმადიდებლობა, ათეიზმი და სხვ. ადამიანი ერთი მთლიანი და დიდი სამყაროს ნაწილია, მას სჭირდება ცოდნა როგორც საკუთარი, ასევე სხვისი მრნამსის შესახებ, იმისათვის, რომ იცოდეს და აფასებდეს განსხვავებულს.“

ლიტერატურა:

1. დ. თინიკაშვილი, რელიგიის სწავლება ევროპისა და აშშ-ს საჯარო სკოლებში:
<http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619861&kat=313>
2. 6. პაპუაშვილი, (2004). Via dolorosa of Religios Studies in Georgia, Magaizine Freedom.,
3. 6. პაპუაშვილი, (2008). State of freedom of religion in Georgia since the adoption of Constitutional Agreement between Government and the Orthodox Church of Georgia; Human Rights Centre;
4. გ. ტაბატაძე, რელიგიის სწავლება საჯარო სკოლებში:
<https://www.tdi.ge/ge/page/religiis-scavleba-sajaro-skolebshi>
5. კ. ქეცბაია, რელიგიის სოციოლოგია, თბ., 2012;
6. ე. ჯავანიძე, (2015). რელიგიის სწავლების მნიშვნელობა საქართველოს საჯარო სკოლებში:
<http://www.multilingualaleducation.org/storage/uploads/articles-contents/150614124130.pdf>

Salome Abulashvili – student of Iv. Javakhishvili named Tbilisi State University, Social and political sciences, Bachelor of Social Work
Marika Gachechiladze – student of Iv. Javakhishvili named Tbilisi State University, Social and political sciences, Bachelor of Journalism and Mass Communication

RELIGION TEACHING IN GEORGIAN PUBLIC SCHOOLS AND INTERNATIONAL EXPERIENCE

ABSTRACT

Religious education in public schools is important and at the same time controversial issue. There is still discussion in Georgia. Whether religion should be taught in public schools and in what terms should it be presented to pupils. Besides the fact that there is no agreement yet, the problem is the lack of specialists who will be able to study the history of religion, culture, its importance to the society and not the rules, which can cause even negative feedback on the students.

I think it's important to take into account the local context as well as the international experience in this regard. International organizations the United Nations (UN), UNESCO, The European Commission (EC), Council of Europe and Organization of European Security and Cooperation (OSCE) recommendations should be a part of public education. Such recommendations are based primarily on the protection of human rights, particularly freedom of religion and respect for tolerance in the public sphere.

The study uses qualitative research methods, such as secondary data analysis and review of literature. The arguments of advocates and opponents of religious education are taught in the public schools of Georgia, France, Germany, the Netherlands and the United States, teaching religion and the standardization of state

neutrality and religion. Finally, the conclusion / recommendations of Elene Jajanidze's work are based on "Importance of Religious Education in Public Schools".

ნარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებაში.

გამოსათხოვარი

FAREWELL



დემურ ქერქაძე 1931-2018

ქართველ ფილოსოფოსთა რიგებს გამოაკლდა გამორჩეული ადამიანი, ღირსეული პიროვნება, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი დემურ ქერქაძე. იგი არ იყო ჩვენი აკადემიის წევრი, მაგრამ აქტიურად თანამშრომლობდა ჩვენთან, აქვეყნებდა სტატიებს „ფილოსოფიურ ძიებანში“. ამქვეყნიდან მისმა წასვლამ ძალიან ბევრს

და განსაკუთრებით ქართველ ფილოსოფოსთა დიდ ნაწილს გული დაგვწყვიტა.

დ. ქერქაძე 1931 წლის 23 დეკემბერს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვიანში დაიბადა. 1940-1951 წლებში ლანჩხუთის რაიონის სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლაში სწავლობდა. 1953-1958 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც ფილოსოფიის სპეციალობით წარჩინებით დაამთავრა. 1966 წელს ასევე წარჩინებით დაამთავრა საქ. მეცნ. აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურა და იქვე დაიწყო მუშაობა, სადაც ამ ინსტიტუტის დახურვამდე 2011 წლამდე აგრძელებდა სამეცნიერო საქმიანობას. ამასთან პარალელურად ლექციებს კითხულობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სხვადსხვა უმაღლეს სასწავლებლებში. იგი წლების განმავლობაში ერთგულად და დაუღალავად ემსახურებოდა ახალგაზრდობის ფილოსოფიური განათლებისა და ზნეობრივი აღზრდის საქმეს. მისი ლექციები სტუდენტების არაერთი თაობის მოწონებას იმსახურებდა, რასაც მოწმობს ის, რომ დღემდე ახსოვთ მის მიერ ჩატარებული შთამბეჭდავი ლექცია-სემინარები. 1989-2005 წლებში იყო საქ. მეცნ. აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრის პოლიტიკის ფილოსოფიის განყოფილების გამგე და წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი.

უნდა ითქვას, რომ პროფ. დემურ ქერქაძეს არასოდეს უმუშავია ყალბ ფილოსოფიურ პრობლემებზე. მისი აზროვ-

ნება და შემოქმედება ყოფიერების კულტურის, პოლიტიკის, ადამიანთა სოციალური ყოფის საზრისის პრობლემებს დასტრიალებდა თავს, ამიტომაც იკვლევდა მაკიაველის, ჰერდერის, ნიცშეს, შპენგლერის, ეროვნული იდენტობის, დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობის პრობლემებს. ამ მხრივ მის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში ჩანს სილრმისეული აზროვნება. მან საინტერესო ფილოსოფიური ნაშრომები დაგვიტოვა. გამოქვეყნებული ჰქონდა მრავალი სამეცნიერო სტატია და მონოგრაფია აღნიშნულ დარგებში.

ქართველ ფილოსოფოსთა შორის გამორჩეული იყო თავისი წესიერებით, პატიოსნებით, უანგარობით, კაცთმოყვარეობითა და სტუმართმოყვარეობით. იყო სამაგალითო მეუღლე და მამა. აღსანიშნავია, რომ მისი ერთ-ერთი შვილი მამის პროფესიას გაჰყვა და დღეს ნარმატებით ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის მიმართულებაზე. დ. ქერქაძე სტუდენტებისა და ხალგაზრდობისათვის სასურველი მასწავლებელი და მოძღვარ-დამრიგებელი იყო. მისი ხელდასხმით ქართველ ფილოსოფოსთა, სოციოლოგთა და პოლიტოლოგთა არაერთმა წარმომადგენლმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია.

საინტერესო პედაგოგი და მოაზროვნე ფილოსოფოსი კიდევ უფრო საინტერესო ხდებოდა მეგობრების, მისი საყვარელი კოლეგების წრეში ქართულ სუფრასთან. ქართულ სუფრასთან მასთან ერთად გატარებული დრო ფილოსოფიური აზროვნების ზეიმი და შეუცნობელის შეცნობის მორიგი ვირტუოზული გაკვეთილი იყო. მან თავისი ყოველდღიური ცხოვრებითა და შემოქმედებითი საქმიანობით ნამდვილად დაადასტურა, რომ ფილოსოფოსობა ცხოვრების განსაკუთრებული წესია. დღეს ამ წესით მცხოვრები ადამიანები ცოტანი არიან.

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის მთელი შემადგენლობა დიდ მწუხარებას გამოთქვამს დემურ ქერქაძის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ფილოსოფიურ
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი



რევაზ გორდეზიანი 1935-2019

გარდაიცვალა ფილოსოფიის დოქტორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფილოსოფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, კეთილშობილი ადამიანი, თავმდაბალი და უპრეტენზიო სწავლული რევაზ გორდეზიანი.

რევაზ გორდეზიანი 1935 წლის 20 აპრილს ონის რაონის სოფელ უოშხაში დაიბადა. მან დაამთავრა თბილისის მე-19 (ამჟამად გ. რჩეულიშვილის სახ. 30-ე სკოლა) წარჩინებით (ოქროს მედალზე). 1955-60 წ.-ში სწავლობდა თსუ-ში ფილოსოფიის სპეციალობით. 1963-66-ში იყო ფილოსოფიის ისტორიის კათედრის ასპირანტი. პროფ. კ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (1969 წ.) თემაზე – „არსებობის“ პრობლემა მ. ჰაიდეგერის „ფუნდამენტურ ონტოლოგიაში“. 1966 წ. – 1970 წ. იყო ფილოსოფიის ისტორიის კათედრის მასწავლებელი, შემდეგ (1970-2006) დოცენტი, ხოლო 2006 წლიდან, როცა გაერთიანდა ფაკულტეტები, გახდა ამავე ფაკ-ის ასოცირებული პროფესორი ფილოსოფიის მიმართულებით.

მას დაწერილი აქვს 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები ფილოსოფიის ისტორიის სფეროში (გ. თევზაძის, მ. ჭელიძის და სხვათა თანაავტორობით). ბოლო წლებში წაკითხული აქვს მრავალი დასახელების სალექციო კურსი (ათზე მეტი), რომელთა შორის ზოგი მის მიერვე არის შემუშავებული (მაგ. ალმოსავლური ფილოსოფიური მოძღვრებები).

წლების განმავლობაში თსუ-ში ეწეოდა ნაყოფიერ პე-დაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას. იყო ხელმძღვანელი ბაკალავრების, მაგისტრების და დოქტორანტების. მისი ხელმძღვანელობით დაცული იქნა არაერთი დისერტაცია ფილოსოფიის ისტორიის აქტუალურ პრობლემებზე; მათ შორის პირველი აღმოსავლურ ფილოსოფიაში სადოქტორო დისერტაცია. რ. გორდეზიანს მოსწავლე ახალგაზრდობასთან და კოლეგებთან გულისხმიერი დამოკიდებულება ჰქონდა.

ბოლო წლებში მის მიერ გამოცემული წიგნებია: „ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური პრობლემები გერმანულ ეგზისტენციალიზმსა და აღმოსავლეთში (ძენ-ბუდიზმი), თბ., 2009. „ქველი აღმოსავლეთის ფილოსოფია (ინდოეთი, ჩინეთი)“, მერი ჭელიძის თანაავტორობით, თბ., 2001. ადამიანის პრობლემა მ. ჰაიდეგერის „ფუნდამენტურ ონტოლოგიაში“, თბ., 2016.

რ. გორდეზიანი მუშაობდა სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტში – ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებაში მანამ, სანამ თევზადე-რატიანმა 2011 წელს არ გააუქმეს ინსტიტუტი.

მისი აზროვნება და შემოქმედება ყოფიერების საზრისის პრობლემებს დასტრიალებდა თავს, ამიტომაც იკვლევდა ეგზისტენციალისტურ ფილოსოფიას. მის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში ჩანს სიღრმისეული აზროვნება. მან საინტერესო ფილოსოფიური ნაშრომები დაგვიტოვა ქართული და უცხოეთის ფილოსოფიის ისტორიის სფეროებში.

აქვე უნდა ითქვას, რომ ცხოვრობდა ფილოსოფიურად და ფილოსოფიურადაც წავიდა ამ ქვეყნიდან.

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ამავე აკადემიის მთელი შემადგენლობა დიდ მწუხარებას გამოიქვამს თავისი ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრის გარდაცვალების გამო.

**საქართველოს ფილოსოფიურ
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი**

სამეცნიერო ინფორმაციები

2018

SCIENTIFIC INFORMATIONS

1. ამერიკაში გამოიცა (გარდაცვალების შემდეგ) საქართველოს საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ამავე აკადემიის სულისჩამდგმელის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, ფილოსოფიის მოამაგისა და ღვაწლმოსილი პროფესორის **სერგი ავალიანის წიგნი „ფსევდოაბსოლუტურის ფილოსოფია“**.
3. დაიბეჭდა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **ზურაბ ხასაიას წიგნი „ვეფხისტყაოსანი და ფაუსტი“, ფილოსფიური ესეები, გამ. Carpe diem, 2018.**
4. დაიბეჭდა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **ზურაბ ხასაიას მიერ შესრულებული არტურ შოპენპაუერის „ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმები“ თარგმანი და ვრცელი და საინტერესო კომენტარებით, გამ. Carpe diem, 2018.**
5. აფრიკაში, ზამბიაში დაიბეჭდა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **რამაზ გახოკიძის წიგნი: „ბიოორგანული მწვანე რევოლუცია“**.
6. დაიბეჭდა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **კახა ქეცბაიას მიერ ალექსანდრე მენის ცნობილი წიგნის – „ძე კაცისა“ თარგმანი**.
7. გამოვიდა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **ამირან ბერძენიშვილის მონოგრაფია „პიერ ბურდიეს სოციოანალიზის ძირითადი კატეგორიები“, გამ. „უნივერსალი“, 2018.**
8. გამოვიდა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **ამირან ბერძენიშვილის მონოგრაფია „ალფერდ შუტცის ფენომენოლოგიური სოციოლოგიის ძირითადი პრინციპები“, გამ. „უნივერსალი“, 2018.**
9. გამოვიდა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **ამირან ბერძენიშვილის მო-**

ნოგრაფია „გეორგ ზიმელის ფორმალური სოციოლოგია“, გამ. „უნივერსალი“, 2018.

10. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **რამაზ გახოვიძე** არჩეულ იქნა ამავე აკადემიის მეცნიერების ფილოსოფიის განყოფილების აკადემიკოს მდივნად.
11. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ამირან ბერძენიშვილი** არჩეულ იქნა ამავე აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილების აკადემიკოს მდივნად.
12. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **თეიმურაზ მთიბელაშვილი** აირჩიეს ამავე აკადემიის კულტურის ფილოსოფიის განყოფილების აკადემიკოს მდივნად.
13. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **რამაზ გახოვიძე** აირჩიეს ამერიკის ქიმიური საზოგადოების წევრად.

სარჩევი

რედაქტორის წინასიტყვაობა.....5

ნაცილი პირველი

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის
ცნობარი9

ნაცილი მეორე

ფილოსოფიური ძიებანი

ონტოლოგია

ნაპო კვარაცხელია – ფილოსოფიური აზროვნების
რაციონალობა.....17
კახა ქეცბაია – მონისტური პრინციპი, როგორც
ონტოლოგიის საფუძველი.....30
ფიქტურია დიდებაშვილი – ადამიანი და თავისუფლება.....37
ნატალია ბერძენიშვილი – ენა, როგორც
ჰერმენევტიკული ონტოლოგიის ჰორიზონტი.....51

გეოსეოლოგია

ნაპო კვარაცხელია – შემეცნების თეორიის
წარმოშობის პირობები64
არსენ ბურჯალიანი, ლია მეტრეველი – გრძნობათა და
შეგრძნებათა ურთიერთმიმართების საკითხი
ფილოსოფიაში (ფენომენოლოგია)81
ეთერ ორმოცაძე – დაკვირვებადობის ცნების სზრისი....94
მიხეილ ხალვაში – დიოგენეს სიბრძნის და
კანონზომიერების შესახებ.....102

გეცნიერების ფილოსოფია

რამაზ გახოკიძე – მეცნიერების და რელიგიის
ჰარმონიული დიალოგი.....140
ამირან ბერძენიშვილი – ედმუნდ პუსერლი „მეცნიერების
კრიზისის“ დაძლევის შესახებ და „გაგებითი
სოციოლოგიის“ კონტურები184

**შოთა შოშიაშვილი – ციკლურად ევოლუცირებადი
სამყარო თეოსოფიური თვალსაზრისით 193**

პოლიტიკის ფილოსოფია

| |
|---|
| მამული ბერია – სახალხო დიპლომატიისა და დიალოგის როლი აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში 222 |
| გურამ აბესაძე, ნოდარ აბესაძე – თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერება და ეროვნული იდენტობა 229 |
| ელგუჯა ქავთარაძე – ლიდერობა და საზოგადოების მართვა (ისტორიულ-პოლიტიკური ეტიუდი) 237 |
| ინგა ხუციშვილი – ეროვნული იდენტობის სოციალურ-თეორიული გაგება 247 |

სოციოლოგია და სოციალური ფსიქოლოგია

| |
|--|
| კახა ქეცბაია – სიმბოლურ-ინტერაქციული პარადიგმები თანამედროვე ქართულ სოციუმში (მცირე სოციოლოგიური ეტიუდი) 257 |
| ამირან ბერძენიშვილი – ინფრომაციული განვითარების პრობლემები XXI საუკინის საქართველოში 269 |
| ლია მეტრეველი – ადიქციური ქცევის კიდევ ერთი სახე 281 |
| კობა ნონიაშვილი – ფიზიკური კულტურისა და სპორტის სოციოლოგია: მეთოდოლოგია, პრობლემები, განვითარების ისტორიული ასპექტები 291 |
| ნინო სეფაშვილი – ქართული და ჩინური განათლების სისტემის შედარებითი ანალიზი 302 |
| რუსუდან ჭელიძე – გენდერული როლები და ქართული საზოგადოება 310 |

ესთეტიკა

| | |
|--|-----|
| ნანა გულიაშვილი – მოდერნული იდეები ფრანც | |
| კაფუას შემოქმედებაში | 316 |
| ნატალია ბერძენიშვილი – ხელოვნების ნაწარმოების | |
| გაგების პრობლემა გადამერის ფილოსოფიურ | |
| ჰერმენევტიკაში..... | 327 |

ეთიკა

| | |
|---|-----|
| ბადრი ფორჩისიძე – სამართლისა და სამართლიანობის | |
| ურთიერთმიმართების პრობლემა | 340 |

| | |
|--|-----|
| ქართული და უცხოური ფილოსოფიის ისტორია | |
| მიხეილ მახარაძე – ნუცუბიძიანა..... | 355 |

ფილოსოფიური ათოროპლოგია

| | |
|---|-----|
| ირაკლი გოგიჩაძე – „ანთროპოტიპი“ და | |
| მიკროკოსმოსი..... | 375 |

სამაცნიერო დისკუსია

| | |
|--|-----|
| მიხეილ მახარაძე – ერთი დისკუსიის გამო | 392 |
|--|-----|

სტუდენტური ძიებანი

| | |
|---|-----|
| სალომე აბულაშვილი, მარიკა გაჩეჩილაძე – | |
| რელიგიის სწავლება საქართველოს საჯარო | |
| სკოლებში და საერთაშორისო გამოცდილება | 401 |

გამოსათხოვანი

| | |
|-------------------------------|-----|
| დემურ ქერქაძე | 418 |
| რევაზ გორდეზიანი | 420 |

სამაცნიერო ინცორმაციები

| | |
|---------------------------------|-----|
| ინფორმაციები (2018)..... | 423 |
|---------------------------------|-----|

CONTENTS

| | |
|--------------------------------|---|
| Preface – Irakli Kalandia..... | 5 |
|--------------------------------|---|

FIRST PART

| | |
|--|---|
| Reference Book of the Academy of Philosophical Sciences of Georgia | 9 |
|--|---|

SECOND PART

Philosophical Investigations

ONTOLOGY

| | |
|--|----|
| Napo Kvaratskelia – Rationality of Philosophical Thinking | 17 |
| Kakha Ketsbaia – Monistic Principle as a Foundation of Ontology | 30 |
| Piqria Didebashvili – Man and Freedom..... | 37 |
| Natalia Berdzenishvili -Language as a Horizon of Hermeneutical Ontology | 51 |

GNOSEOLOGY

| | |
|--|-----|
| Napo Kvaratskelia – Premises of Forming Theory of Cognition | 64 |
| Arsen Burjaliani, Lia Metreveli – The Issue of Interrelation of Feelings and Sensations in Philosophy (Phenomenology) | 81 |
| Eter Ormocadze – The Concept of Observability | 94 |
| Mikheil Khalvashi – About Diogen’s Wisdom and regularity ... | 102 |

PHILOSOPHY OF SCIENCE

| | |
|--|-----|
| Ramaz Gakhkidze – The Harmonious Dialogues Between Sciences and Religion..... | 140 |
| Amiran Berdzenishvili – Edmund Husserl on Overcoming the “Crisis of Science” and Design of “Interpretative Sociology” | 184 |

| | |
|--|-----|
| Shota Shoshiashvili – Cyclically Evolved World from Theosophical Point of View | 193 |
|--|-----|

PHILOSOPHY OF POLITICS

| | |
|---|-----|
| Mamuli Beria – Significance of citizen diplomacy and dialogue in the conflict resolution of Abkhazia..... | 222 |
| Guram Abesadze, Nodar Abesadze – Modern Georgian Political Consciousness and National Identity | 229 |
| Elguja Kavtaradze – Leadership and Society Management (Historical-Political Study) | 237 |
| Inga Khutshishvili -Social-Theoretical Understanding of National Identity | 247 |

SOCIOLOGY AND SOCIAL PSYCHOLOGY

| | |
|--|-----|
| Kakha Ketsbaia – Symbolic-Interactive Paradigms in the Contemporary Georgian Socium (Short Sociological Study) | 257 |
| Amiran Berdzenishvili – Problems of Informational Development in XXI century Georgia | 263 |
| Lia Metreveli – One More Type of Addictive Behaviour..... | 281 |
| Koba Noniashvili – Sociology of Physical Culture and Sports: Methodology, Problems, Historical Aspects of Development | 291 |
| Nino Sepashvili – Georgian and Chinese Education Systems: Comparative Analysis | 302 |
| Rusudan Shelidze – Gender roles and Georgian society | 310 |

AESTHETICS

| | |
|---|-----|
| Nana Guliashvili – Modern Ideas in Franz Kafka's Work | 316 |
| Natalia Berdzenishvili -Interpretation of Works of Art in Gadamer's Philosophical Hermeneutics..... | 327 |

ETHICS

| | |
|--|-----|
| Badri Porchkhidze – Problem of Interrelation of Law and Justice | 340 |
|--|-----|

GEORGIAN AND FOREIGN HISTORY OF PHILOSOPHY

| | |
|---|-----|
| Mikhael Makharadze – Nucubidziana..... | 355 |
|---|-----|

PHILOSOPHYCAL ANTROPOLOGY

| | |
|--|-----|
| Irakli Gogichadze – „nthropotype" and Microcosmos | 375 |
|--|-----|

SCIENTIFIC DISCUSSIONS

| | |
|---|-----|
| Mikhael Makharadze – Echoing One Discussion..... | 392 |
|---|-----|

STUDENTS' INVESTIGATIONS

| | |
|--|-----|
| Salome Abulashvili, Marika Gachechiladze –Teaching Religion in Georgian Public Schools and International Experience | 401 |
|--|-----|

FAREWELL

| | |
|------------------------------|-----|
| Demur Kerkadze | 413 |
| revaz gordeziani..... | 420 |

SCIENTIFIC INFORMATIONS

| | |
|----------------------------------|-----|
| Informations (2018) | 423 |
|----------------------------------|-----|

ავტორთა საყურადღებოდ!

1. „ფილოსოფიურ ძიებანში“ იპეჭდება მხოლოდ მეცნიერული გამოკვლევის შედეგები, ორიგინალური შინაარსის მქონე სტატიები, რომლებიც წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებულ სიახლეს ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში. პოპულარული, განმანათლებლური ხასიათის სტატიები დასაბეჭდად არ მიიღება.
2. აუცილებელია სტატიის წარმოდგენა ელექტრონულ ფორმატში და მითითებულ ელ.ფოსტაზე გამოგზავნა.
3. სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ორ თაბახს {80 000 სასტამბო ნიშანი}.
4. „ფილოსოფიური ძიებანი“ სამეურნეო ანგარიშზე იპეჭდება; სტატიის ავტორი იხდის დაბეჭდვის ღირებულებას. თუ სარედაქციო კოლეგია სტატიას არ მიიღებს, მაშინ თანხა ავტორს დაუბრუნდება სტატიასთან ერთად.
5. სტამბური წესით აწყობილ სტატიაში არსებითი ხასიათის ცვლილებების შეტანა მიუღებელია. აუცილებლობის შემთხვევაში ავტორი იხდის დამატებით ღირებულებას.
6. სტატიას თან უნდა ახლდეს ავტორის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები არაუმეტეს ნახევარი გვერდისა.
7. სტატიას აგრეთვე თან უნდა ახლდეს რეზიუმე უცხო {სასურველია ინგლისურ} ენაზე დაახლოებით 1600 სასტამბო ნიშნის {კრებულის ერთი გვერდი} მოცულობით, რომელშიც წარვენები იქნება გამოკვლევის შედეგები.
8. ლიტერატურა ერთვის ბოლოს, ტექსტში მითითებული ციტრების მიხედვით.
9. სტატიის წარმოდგენის ბოლო ვადაა 25 დეკემბერი. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატია არ მიიღება.
10. სტატია გამოგზავნილი {ან მოტანილი} უნდა იყოს აკადემიის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის ან აკადემიკოსი-მდივნის სახელზე.

**„ფილოსოფიური ძიებანის“ სარედაქციო კოლეგია
ტელ: 599-39-31-07
ელ/ფოსტა: ketsbaiak@mail.ru
kalandiai@mail.ru**



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტეკნიკური №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com